

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან არსებული
ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი

**დამატებითი საკითხავი კურსი
თანამედროვე მათემატიკურ ლინგვისტიკაში**

ნაშრომი სრულად დაფინანსდა „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტთან
(CEU) არსებული სასწავლო პროგრამების ცენტრის (CRC) მიერ, რომლის
პროგრამებსაც ნაწილობრივ აფინანსებს უმაღლესი განათლების მხარდაჭერის
პროგრამა (HESP).

**Complementary Reader Course
in Contemporary Mathematical Linguistics**

**Funding for this reader course was given in whole by the Curriculum Resource Center (CRC) at the
Central European University (CEU), whose programs are partially funded by the Higher Education
Support Program (HESP). The opinions expressed herein are the author's own and do not
necessarily express the views of CEU**

**Georgian Group of Logic and Language
Of TSU I.Vekua Institute of Applied Mathematics**

On the basis of collaboration of the Department of Mathematical Logic and Methodology of TSU I. Vekua Institute of Applied Mathematics and the Department of Typology of Oriental Languages of G. Tsereteli Institute of Oriental Studies under the leadership of the senior researcher of I. Vekua Institute of Applied Mathematics Konstantine Pkhakadze "Georgian Group of Logic and Language" (members: M. Ivanishvili, L. Lekiasvili, E. Soselia, L. Tibua, G. Chankvetadze) was formed and a regular seminar 'Logic, Language, Computation' is functioning.

In 2003 the topic determined by the TSU State Program 'Free and Complete Programming Inclusion of a Computer in the Natural Georgian Language System' was chosen as an individual subject of research, on which the mentioned group has been working on a voluntary basis.

In 2003 the project of the group 'Introductory Course to Contemporary Mathematical Linguistics' received a grant of the Curriculum Resource Center ("CRC") of Central European University ("CEU"). Professor of the University of Massachusetts Barbara Partee collaborates with the group in carrying out of the Project.

In October 2003 at I. Vekua Institute of Applied Mathematics a workshop has been held with participation of Prof. Barbara Partee, where among the various topics had been discussed necessity of founding the Georgian course on the basis of the handbook of Barbara H. Partee, Alice Ter Meulen and Robert E. Wall (Mathematical Methods in Linguistics, Kluwer Academic Publishers, 1990.) Prof. Barbara Partee granted the literature in this interdisciplinary field to the group, which, together with the books purchased with the CEU grant, has formed "CEU and Prof. Barbara Partee Book Fund" at the library of I. Vekua Institute of Applied Mathematics.

The Administration of the Institute and the members of the group express their gratitude towards CEU and Prof. Barbara Partee for the support and collaboration.

Advisers of the "Georgian Group of Logic and Language":

**Director of TSU I.Vekua Institute of Applied Mathematics, Head of
the Department of the Informatics and Computing Mathematics**

Prof. D. Gordeziani

**Head of Department of Typology of Oriental Languages
of G. Tsereteli Institute of Oriental Studies,
Member of Chair of Turkology of TSU**

Prof. M. Jikia

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ 1
2. წარმოადგენენ თუ არა ლოგიკური, პროგრამული და ბუნებრივი ენები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ტიპის სემანტიკურ სისტემებს? – ანუ ენობრივი ნიშნისა და ჩვენეული ენობრივი მსოფლხედვის შესახებ 22
3. სიტყვათა შორის სინტაქსური კავშირების შესახებ 50
4. ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემის ერთი ფრაგმენტი როგორც სიმრავლეთა თეორიული სისტემა 60
5. წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნება, პირის ნიშანთა საკითხი, ინტეგრალური და არაინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა-შინაარსები და ქართული ზმნის არასრული ანუ პირველი სემანტიკური კლასიფიკაცია (მომზადებულია თსუ მაგისტრის 6. ბუაძის თანამონაწილეობით) 72
6. ლოგიკა და ენა: ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი 153

**სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა
„კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა
ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“**

**პროგრამის ძირითადი არსი, დღეს არსებული ვითარება, მიზნები,
მოსალოდნელი შედეგები და პერსპექტივები:**

მე მოვიძიე და აღეწერე ადამიანის გონის აზროვნების მათემატიკური კანონები.

ჯ. ბული

როგორც ლექსიკაში, ისე გრამატიკაში არის ბირთვი (ცენტრი), რის გარშემოც ვითარდება ყველა ენა.

ვ. ფონ პუმპოლდტი

ადამიანი ყველაფერთან ერთად შეიძლება განხილული იქნეს როგორც გარკვეული ტიპის თვითმომქმედი ნაკეთობა

ჯ. ფონ ნეიმანი

არ არის ახალი აზრი იმის თაობაზე, რომსხვადასხვა ენების სემანტიკური აღწერისათვის საჭიროა გარკვეულად განსაკუთრებული და განსაზღვრული „შუამავალი ენა“

მოსკოვის სემანტიკური სკოლა

I. რა მიზნებს ითვალისწინებს ბუნებრივი ენობრივი სისტემების ფორმალურ-ლოგიკური ადეკვატების ძიება

კომპიუტერის ბუნებრივ ენობრივ გარემოში სრული პროგრამული და მომსახურეობითი მოქცევა თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის მამოძრავებელი ამოცანაა. ეს კი მხოლოდ ენის ფორმალურ-ლოგიკური ბუნების შეცნობის ხარჯზე, მისი იზომორფული ფორმალურ-ლოგიკური ადეკვატის მოძიების შემთხვევაშია შესაძლებელი, იმ მიზნით, რომ უკვე ამგვარად აგებულ ე. წ. ბუნებრივ ფორმალურ ენაში და მის საფუძველზე განვითარდეს მათემატიკური ლოგიკურ-ფორმალური ხასიათის კვლევები, როგორც ფორმალურ-მექანიკური მტკიცებათა თეორიის, ისე ფორმალურ-გამოსახულებათა გადაწვერი სისტემების აგების ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი კი წინასწარვე ითვალისწინებს ამგვარად დამუშავებული ბუნებრივი ფორმალური ენის ფარგლებში კომპიუტერთან პირდაპირი და თავისუფალი პროგრამული და მომსახურეობითი ურთიერთობის განხორციელებას, რასაც ჩვენ ბუნებრივი ენის ფარგლებში კომპიუტერთან თავისუფალ პროგრამულ და მომსახურეობით ურთიერთობას ეუწოდებთ. ამ მიმართულებით წარმოებს კვლევები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში; მათ შორის ისეთებშიც, როგორებიცაა: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი, თურქეთი. მიმართულებით კვლევები წარმოებს ესპანურ ენოვან გარემოში. ინგლისურ ენოვანი გა-

რემო ამ მხრივ ყველაზე წინაა. მიმართულებით მოძრაობენ იაკონელებიც და ნინელებიც – ერთი სიტყვით, თითქმის ყველა ქვეყანა, რომელიც ფიქრობს მომავალ მსოფლიოზე და ამ მსოფლიოში თავის თავს ერთ-ერთ ეროვნულ-კულტურულ შემადგენლად სახავს! – აზერბაიჯანული ენის თურქულთან ნათესაობა და სომხური ენის ინდოევროპული სპეციფიკა, მათ ამ ინტერესების გათვალისწინებით შედარებით მშვიდად ყოფნის უფლებას აძლევს. სულ სხვაგვარადაა ვითარება ჩვენს შემთხვევაში: რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, იმ უზარმაზარ ენობრივ-გეოგრაფიულ არეალში, რომელიც ისტორიულად გარს ეკრა და აკრავს საქართველოს. დღევანდელი თვალთახედვებით ქართული ენა არ ნათესაობს არცერთ სხვა მათგანთან. ანუ, უნიკალურობა ქართული ენისა ამ მხრივ კარგად ცნობილი და აღიარებული ფაქტია. ეს გარემოება მით უფრო უცილობელს ხდის ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივ-ისტორიული ინტერესების გათვალისწინებით აღნიშნული მიმართულებით ბუნებრივი ქართული ენის ფარგლებში კვლევების განვითარებას, უფრო მეტიც, უფიქრობთ, აუცილებელია ამ ჩვენთვის ახალი, მაგარი ამ მიუხედავად ამისა, საფუძვლიანი ნიადაგის მქონე (ქართული ენის წყალობით!) მეცნიერული მიმართულებით კვლევები ერთ-ერთ ეროვნულ სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად განისაზღვროს.

დაესვათ კითხვა: რას ნიშნავს კომპიუტერის ბუნებრივ ენობრივ გარემოში სრული პროგრამული და მომსახურებითი მოქცევა? და როგორ პერსპექტივებს ითვალისწინებს ამგვარი მოვლენა? – კომპიუტერული ტექნოლოგიები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის თანატოლია და ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა ერთი ტექნოლოგიური საფეხურის ახალი, უფრო მაღალი ტექნოლოგიური საფეხურით ცვლის ჯერად აღმოცენდა. უპრეცედენტოა ამგვარი პროცესების ის ტემპი რაც აქ შეიქმნევა. მასიური ეგზემპიდან კომპაქტურ პერსონალურ კომპიუტერებზე გადასვლა ერთი თაობის შიგნით მდინარე პერიოდში განხორციელდა. აღნიშნული არც დღესაც სწრაფი ტემპებით ვითარდება. აქ მოვლენები ორი მიმართულებით წარმოებს: პირველი, ეს არის უშუალოდ ტექნიკური თუ ფიზიკური პარამეტრების და ამ საფუძველზე კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობათა გაფართოება-გაუმჯობესება; და მეორე, არსებული კომპიუტერების მათემატიკური პროგრამული უზრუნველყოფა და ამ თვალსაზრისებით შესაძლებლობრივი ინტერესების გათვალისწინებით მათი მაქსიმალური დახვეწა და გამოკუთარება (ე. ი. კომპიუტერის მასიურად და თავისუფლად გამოყენებად ატრიბუტად (ნაკეთობად) გადაქცევა). ბუნებრივი ენის ფორმალიზაცია და მათემატიზაცია, ანუ მათემატიკური ლინგვისტიკის ძირეული მიზანი, ზემოთ აღნიშნული მიმართულებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა, და კერძოდ, იგი აღნიშნული მეორე მიმართულების იდეალური გადაწყვეტის პერსპექტივას იძლევა. კომპიუტერის ბუნებრივ ენობრივ გარემოში სრული პროგრამული და მომსახურებითი მოქცევა სწორედ ფორმალიზირებული და მათემატიზირებული ბუნებრივი ენით კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფას ნიშნავს. ანუ, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანსათვის ეს ნიშნავს მისივე მშობლიური ენის მეშვეობით ნებისმიერი შესაძლო ინტერესების გათვალისწინებით კომპიუტერთან თავისუფალ ინტელექტუალურ ურთიერთობას: კითხვის დასმას, მისგან დასმულ კითხვაზე პასუხის მიღებას, მისი მოსაზრებების მასთან დაზუსტებას – ერთი სიტყვით, ამგვარ პირობებში ჩაყენებული კომპიუტერი ადამიანის (როგორც ზრდასრულის, ისე მოზარდის) ინტელექტუალური პარტნიორი ხდება. – დღევანდელი ტენდენციებიდან გამომდინარე

ამგვარ პერსპექტივებს თვალი უნდა გაეუსწოროთ! – როდის მოხდება ეს? – რამდენი წელი დასჭირდება ამ პერსპექტივების გარეაღებას? – თხუთმეტი, ოცი თუ ოცდაათი, ან იქნებ უფრო ნაკლები, ან იქნებ უფრო მეტი, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ის, რომ ამგვარი უნარებით აღჭურვილი კომპიუტერი იქნება, და რომ ყველა სხვა ფუნქციებთან ერთად ის გარკვეულად და საკმაო ფარგალით თავის თავზე აიღებს მასწავლებლის, ანუ დაუზარებელი ინტელექტუალური მეგობრის ფუნქციას, ეს უდარია! – და აქედან გამომდინარე: ის მოზარდი და ის ენობრივი საზოგადოება, რომელიც ამგვარ ტექნიკურ საშუალებას მოკლებული იქნება, ვერ შეძლებს მხარი აუბას კულტურული თვალსაზრისებით მსოფლიო ცივილურ პროცესებს მისი მშობლიური, ეროვნული ენის ფარგლებში. ამდენად, ამგვარ საშუალებას მოკლებული ეროვნული საზოგადოება იძულებული იქნება ან საერთოდ უარი თქვას კულტურული განვითარების პერსპექტივაზე, ან წარმართოს იგი არა ეროვნულ ენობრივ გარემოში! – აი, ის ძირეული ხედვა, რომელთა მიხედვით უნდა შეფასდეს ზემოთ აღნიშნული მიმართულებით კვლევების წარმოება, რაც, ჩვენ ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველია ამ მიმართულებით კვლევების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრიორიტეტთა შორის განსასაზღვრავად. – აქ, ქართული ენის კულტურული ფუნქციების და აქედან გამომდინარე ქართველი ერის კულტურული მერმისის გადარჩენა-შენარჩუნებაზეა საუბარი!

პროგრამის მიზნები და ამოცანები: პროგრამის მიზნები და ამოცანები მეცნიერული თვალსაზრისებით შემდეგი ხუთი პუნქტით შეიძლება იქნეს განზოგადოებული:

1. ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის სრული ფორმალიზაცია და მათემატიკაშია კომპიუტერის ქართულ ბუნებრივ ენობრივ გარემოში მოქცევის მიზნით.

2. ქართული ენიდან და ქართულ ენაზე ავტომატური მთარგმნელის რეალიზაცია.

3. ტექსტების სრული ლინგვისტურ-ლოგიკური ანალიზისათვის აუცილებელი სისტემური თეორიულ-მეცნიერული საფუძვლების მოძიება.

4. ქართველი ერის ეთნო-კულტურული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნოგენეტიკური სახის ყალიბში ქართული ენის მნიშვნელობის (როლის) მოძიება მისი დაფუძნებული სისტემური წარმოჩენის მიზნით.

5. ბუნებრივი ენის და შიგა ადამიანისეული ბიო-ბუნებრივი ენების, როგორც სიცოცხლის მარეალიზირებელი საშუალებების როლის შეცნობა-მოძიება. მათი ურთიერთკავშირების მარეალიზირებელი ბიო-სისტემური საფუძვლების მეცნიერულ-თეორიული გააზრება მკაცრი ფორმალურ-მათემატიკური პრინციპების საფუძველზე.

ახლა ცოტა უფრო კონკრეტულად თითოეული მათგანის შესახებ:

ფართო ლინგვისტური თვალსაზრისებით ნებისმიერი ბუნებრივი ანბანური ენობრივი სისტემა შედგება ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური, ლოგიკური და ფსიქო-ლოგიკური საფეხურებით. ბუნებრივი ენობრივი სისტემის ფორმალიზაცია გულისხმობს ბუნებრივი ენობრივი სისტემის მარეგულირებელი წესების სრულ და ამომწურავ მოძიებას და ამ საფუძველზე ბუნებრივი ენის იზომორფული ე. წ. ფორმალური ბუნებრივი ენის აგებას. ბუნებრივი ენობრივი სისტემის მათემატიკაზაცია გულისხმობს ამ ბუნებრივი ენობრივი სისტემის იზომორფული ფორმალური ბუნებრივი ენის ფარგლებში მკაცრი მათემატიკური ლოგიკურ-სემანტიკური და ფსიქო-ლოგიკურ-სემანტიკური ხასიათის კვლევების განე-

თარებას. ანუ, ბუნებრივი ენის შესაბამის ფორმალურ ბუნებრივ ენაში დღეს არსებული კლასიკური მათემატიკური ლოგიკის მეთოდებით და მიზნებით შესვლას, და უკვე შემდგომ, ამ მეთოდების და მიზნების კონკრეტული ენობრივი სისტემის სპეციფიკების შესაბამისად ბუნებრივ განვრცობა-გაფართოებას, როგორც შედეგი, თან ახლავს ის, რასაც ბუნებრივი ენობრივი სისტემების მათემატიზაციას უწოდებენ. ამ ყველაფრის მიზანი კი ბუნებრივი ენობრივ-აზროვნებითი პროცესების მკაცრი და სრული ფორმალურ-მათემატიკური მოდელირებაა, რის შემდგომაც უკვე, ბუნებრივი ენობრივ-აზროვნებითი პროცესების ამგვარი სრული ფორმალურ-მათემატიკური მოდელით კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა არის ის, რასაც ბუნებრივ ენობრივ არეალში კომპიუტერის სრულ პროგრამულ-მომსახურეობით მოქცევას უწოდებენ. ჩვენი მიზანია, დასახული ამოცანის გადაწყვეტა ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემისათვის. რაც შეეხება ქართული ენიდან და ქართულ ენაზე ავტომატური მთარგმნელის პრობლემას იგი ზემოთ განხილული ამოცანის ქვე-ამოცანაა. (უფრო დეტალურად ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ტექსტის ლინგვისტურ-ლოგიკური ექსპერტიზა არა მხოლოდ მეცნიერული პრობლემატიკაა. თანამედროვე დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა, ამგვარის სახელმწიფოებრივი-ინსტიტუციონალური ინსტიტუტების ჯანსაღი ფუნქციონირება, არსებითად არის დამოკიდებული ტექსტუალური ინფორმაციის (მასალის) დაფუძნებული ლინგვისტურ-ლოგიკური ექსპერტიზის შესაძლებლობაზე. აქ საუბარი ფაქტიურად იმავებია, რაზეც თავის დროზე ლეიბნიცი ოცნებობდა. ანუ შესაძლებლობაზე ისევე გადამოწმებულიყო ტექსტის საფუძველზე ფილოსოფოთა მოსაზრებანი, როგორც ამას ტექსტზე დაყრდნობით მათემატიკოსები ახერხებდნენ თავიანთი მათემატიკური ხასიათის შინაარსების თაობაზე. პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულება იძლევა ამომწურავ საფუძველებს ტექსტების სრული და დაფუძნებული ლინგვისტურ-ლოგიკური ანალიზისათვის.

დღეს არსებული თვალსაზრისებით, ნებისმიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემა მორჩილებს ამ ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელ წინასწარ განსაზღვრულ წესთა გარკვეულ სისტემურ ერთობას, რომელიც მყარი ქვეცნობიერი ბიოფიზიოლოგიური საშუალებებით რეალიზებული, მჭიდრო ურთიერთკავშირშია ამ ბუნებრივი-ენობრივი სისტემის მატარებელი ერთეულის (ადამიანის) შიგა-ბიო-ბუნებრივ ენებთან, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს ენობრივი ერთეულის ინსტიტურ-ფსიქოლოგიურ, გრძნობა-აღთქმით და ფსიქო-აზროვნებით უნარებს. ეს ნეო-პოზიტივისტური თვალსაზრისი საფუძველია თანამედროვე მათემატიკური-ლინგვისტიკით განსაზღვრული ტიპის კვლევებისა. ანუ, ბიბლიური მსოფლხედვა ენის (სიტყვის) პირველყოფილობის თაობაზე დღეს მკაცრი მეცნიერული კვლევების განმსაზღვრელ საფეხურად გვევლინება. დღეს, უკვე აღარაეის ეპარება ეჭვი, რომ ენობრივი ერთეულის ძირითადი წარმმართველი ორგანო „ტვინია“ და რომ ეს უკანასკნელი მასზე დაკისრებულ მმართველობითობას ნიშნავს სისტემით, ანუ ენის მეშვეობით ანხორციელებს! - აი, აქ უნდა დავინახოთ ამ პუნქტებით განსაზღვრული კვლევების არეალი, და აქვე იკვეთება ამ ყველაფერში იმის მნიშვნელობა, რასაც ჩვენ ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემას ეუწოდებთ. ადამიანთა ბიოგენეტიკური ურთიერთაფასებადობა ამ თვალსაზრისებით ადამიანთა ერთწარმომადელობას (ან მსგავსწარმომადელობას) ადასტურებს. თუმცა კი, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაეტოვოთ ადამიანის ფსიქო-აზროვნებითი და გრძნობა-

აღქმითი თვისობრიობათა მსაზღვრელი მისივე მშობლიური ენა, რომლის უკვე სუფთა ენობრივი სპეციფიკები ძირითადად განსაზღვრავენ ხსენებული თვალსაზრისებით ენის მატარებლის არსებით ტიპობრივ სუბიექტურ მახასიათებლებს. აქ საუბარია, როგორც მსოფლხედვის ისე მისი ერთგვარად მსაზღვრელის – მსოფლალქმის ყალიბში გენეტიკურად კუთენილი ბუნებრივი ენობრივი სისტემის მკაფიოდ გამოკვეთილი ადგილის და როლის შეცნობაზე. აქ საუბარია ეთნო-აზროვნებითი და ეთნო-ენობრივ-აზროვნებითი (ანბანების) მოძიებაზე და მათ კავშირზე სხვა ეთნო-აზროვნებით და ეთნო-ენობრივ-აზროვნებით „ანბანებთან“. აქ საუბარია იმ ჯერ კიდევ აუხსნელი ფაქტების ბიო-მენტალურ-ფსიქოლოგიური მიზეზების (ან შედეგების) ძიებაზე, რასაც ენობრივი სისტემის მარეგულირებელ სინტაქსურ, მორფოლოგიურ და ფონემატურ წესთა ერთ-მთლიანობა წარმოადგენს. – ისევე ვიმორებთ, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნა ამ კითხვებით არის დატვირთული და ამ კითხვებითვე მოძრაობს. – ჩვენ ამ უნიკალური მოვლენების სიღრმისეული მიზეზების შეცნობისკენ ვართ მისწრაფულნი და ძალი, რომელიც აქეთ-იქნ გეობიძებებს გზას არ გეიტოვებს სხვაგან წასასვლელად.

II. მოსალოდნელი პარალელური შედეგები

ჩვენ ზემოთ ხაზგასმული გეკონდა მიმართულებით განსაზღვრული ერთი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული შედეგი და მისგან მდინარე პერსპექტივები. ახლა ჩვენ შეეცდებით ამ მიმართულებით განსაზღვრული კვლევების, ანუ ენის ფორმალისტიკისა და მათემატიკის მიზნით განვითარებული კვლევების სხვა მოსალოდნელ შედეგთა და ღირებულებათა უფრო დეტალურ წარმოჩენას:

ა) *ავტომატური თარგმნის ამოცანაზე* წლების განმავლობაში მუშაობენ, თუმცა სრულად და ამოწმურადად იგი დღესაც არ არის გადაწყვეტილი. ამ მიმართულებით შედეგებად უნდა ჩაითვალოს გარკვეული წინასწარი სპეციფიკების გათვალისწინებით წინასწარ განსაზღვრული შეზღუდული ტიპის ენობრივი ფორმების მექანიკური თარგმნითი პროცესები ერთი ენიდან მეორეზე. – რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისების გათვალისწინებით: ბუნებრივი ენის ფორმალური ადეკვატის მოძიება და ამგვარად მიღებულ ბუნებრივ ფორმალურ ენაში ლოგიკური, ფორმალურ-სემანტიკური ხასიათის კვლევების განვითარება, როგორც ჩანს, აუცილებელი წინა საფეხურია ავტომატური თარგმნის ამოცანის გლობალური გადაწყვეტისა, ანუ, თუ მოხერხდა ბუნებრივი ენობრივი შინაარსების მათემატიკისა, ანუ, თუ შეეძლებოდა ბუნებრივი ენობრივი გამოსახულებების (ფორმის) ჯერ ბუნებრივ ფორმალურ ენობრივ ფორმაზე დაყვანა შინაარსის შენარჩუნებით და მერე, ეს შინაარსულად (სემანტიკურად) ინვარიანტული ბუნებრივი ფორმალური ენის ფორმა ასევე სემანტიკური თვალსაზრისების გათვალისწინებით ინვარიანტულად დაიყვანეთ სუფთა მათემატიკური ტიპის ფორმალურ ფორმით შინაარსზე, საშუალება გვეძლევა, ამ საფუძველზე, უკუმიმდინარეობით პროცესით პირველსაწყისი ენობრივი ფორმით განხორციელებული შინაარსის სხვა ენობრივი ფორმაში ინვარიანტულად გადატანისა. აქ მინიშნებულია თარგმნის ამოცანის სრულიად ახალი, პრინციპულად გადამწყვეტი გზა და შესაძლებლობა: აქ სუფთა ინტელექტუალურ შინაარსულ (სემანტიკურ) თარგმანთან გვაქვს საქმე. ამგვარი ხედვებით ენებს შორის შუალედური ენის ფუნქციის მათემატიკური ენა ასრულებს. ანუ, პირველსაწყისი ენობრივი შინაარსის ამსახველი მათემატიკური

შინაარსი, რომლის გაგლითაც, როგორც ჩანს, უნდა გადაწყდეს გლობალური თეატრის საზღვრებით ავტომატური თარგმნის ამოცანა, მკაცრი კონკრეტული ერთსახა ფორმა, მაშინ როდესაც ბუნებრივ ფორმალურ ენობრივ ფორმაში თითქმის იგივე შინაარსის მატარებელ ენობრივ ფორმათა რიცხვი მრავლობითია. ანუ, მთარგმნელ ავტომატს (ნაკეთობას) მოუწევს დაფიქრება, იმ შესაძლო სხვადასხვა ენობრივი ფორმებიდან რომელი ერთი აირჩიოს და რომელი უფრო მეტად და ადეკვატურად ასახავს პირველსაწყისი (ე. ი. სათარგმნი) ენობრივი ფორმით მოცემულ შინაარსულ სიტუაციას. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტომატური თარგმნის ამოცანაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა; მათ შორის, ამ მიმართულებით წარმოებდა კვლევები ქართული ენობრივი ინტერესებიდან გამომდინარე. აქ, საქართველოში, პიონერად პროფ. მიხეილ ჩხაიძე უნდა ჩაითვალოს. ავტომატური თარგმნის ამოცანის ფარგლებში, მაშინ განვითარებული კვლევები და შედეგები ჩვენი დღევანდელი ინტერესების გათვალისწინებითაც არ კარგავენ თავიანთ ღირებულებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტომატური თარგმნის ამოცანა უაღრესად რთული მეცნიერული პრობლემატიკაა, მაგარამ თუ მაინც კრიტიკული თეატრის საზღვრის ვიტყეით ამ ყველაფერთან დაკავშირებით, შემდეგს: ჩვენ მიგვაჩინია, რომ ფაქტი, რომელიც აფიქსირებს ქართული სინტაქსური საფეხურის სპელჩეკერის ჯერ კიდევ არ არსებობას (თავი რომ დაეანებოთ გარკვეული ძალის სემანტიკური სპელჩეკერის თაობაზე საუბარს), დასტურებს მაშინ განვითარებული მიდგომების არასრულფასოვნებას; ჩვენ ვთვლით, რომ ერთი ენიდან მეორე ენაზე ავტომატური თარგმანი ევრაფრთა განხორციელებდა სათანადო და სასურველი შედეგებით თუ მანამდე (წინასწარ) შეცნობილი და მოძიებული არ იქნება ამ ენების სუფთა (სემანტიკური ინტერესების ნივთიერების ფონზე) შესაძლებლად სრული ფორმალური სტრუქტურა. - ამასთან დაკავშირებით: ჩვენს მიერ შემოთავაზებული ქართული ენის სრული პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა, როგორც მეთოდი და გზა, იძლევა საშუალებას, მოძიებული იქნეს ბუნებრივი ქართული ენის იზომორფული ფორმალური ენა (მას ჩვენ ბუნებრივ ფორმალურ ქართულ ენას ვუწოდებთ), ანუ, მაქსიმალურად ავლენს და აზუსტებს ქართული ენის ფორმალურ სტრუქტურას. ამასთან, აღნიშნული აღწერის საფუძველზე ჩვენ უვლდება გვაქვს განაცხადით, რომ მოძიებულია არა გაუმჯობესება (ე. ი. იდეალური) გზა ქართული ენის სრული სინტაქსური საფეხურის სპელჩეკერის გასაკეთებლად. ამავდროულად, ნაჩვენებია ამგვარად მიღებული სრული ქართული სინტაქსური სპელჩეკერის (მართლმწერის) საფუძველზე მისი შემდგომი დეტალიზაციით (კერძოდ, აღწერით განსაზღვრული ადგილიანობის მქონე სიტყვების ადგილთა განსაზღვრის არეების დაზუსტებით), შესაძლებლობა მიღებულ იქნას გარკვეულად და თანდათან გასრულებადი ქართული სინტაქსურ-სემანტიკური სპელჩეკერი (მართლმწერი). ამგვარად, ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მიდგომათა ღირებულებას, და უფრო მეტიც, აქ ჩვენ წინა პლანზე ვაყენებთ კიდევ ერთ, საკმაოდ მნიშვნელოვან პრაქტიკული ხასიათის შედეგს. ამასთანავე, ვდებთ მის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც გარდა უკვე აღნიშნულისა, იმ თეორიული ღირებულებების მატარებელიცაა, რასაც შემდგომი სიღრმისეული კვლევების წინამდებარე, საჭირო და აუცილებელი საფუძველი ქვეყანა. ანუ, ვწყვეტთ რა სრული ქართულენოვანი კომპიუტერული მართლმწერის შექმნის პრობლემას, ჩვენ ამავდროულად გვერდზე არ ვუხვევთ და არ

ეწოდებით ჩვენი ძირეული ინტერესებით განსაზღვრულ კვლევით მამოძრავებლებს.

ბ) ბუნებრივი ქართული ენის ზოგიერთ სპეციფიკათა (თავისებურებათა) შესახებ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუნებრივი ქართული ენა არ ნათესაობს არცერთ სხვა ენობრივ არეალთან და იგი ამ თვალსაზრისებით უნიკალურს, განყენებულად მდგარ ენობრივ სისტემას წარმოადგენს. ნებისმიერ ბუნებრივ ენობრივ სისტემაში გამოიყოფა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური საფეხურები. ენის ფონეტიკური წესთ-წყობა ერთგვარად განაპირობებს იგივე ენის მორფოლოგიურ საფეხურს (გრამატიკას), რომელიც თავის მხრივ, ენის სინტაქსური საფეხურის (გრამატიკის) განმსაზღვრელი ხდება. ის ფაქტი, რომ ერთი ფონემატური ბერძენიშანი ზეპირმეტყველებითი ქართული ენისა ცალსახად ითანხმებს და თანხმობილია ქართული წერილობითი ქართული ენისა ასევე ცალსახად განსაზღვრულ ასო ნიშანთან, და რომ აქ, ნებისმიერი შესაძლო შემთხვევისდა მიუხედავად გამონაკლისი არ შეიძინევა, მეტყველებს ქართული ენის ბოლომდე (ამომწურავად) დახვეწილ და მკაცრად მოწესრიგებულ ასო-ბგერით წესთ-წყობაზე. ეს, ერთის მხრივ თითქოსდა უმნიშვნელო შემადგენელი გარემოება ერთ-ერთი ძირეული და მნიშვნელოვანი პრიორიტეტია (მთელი რიგი თვალსაზრისების გათვალისწინებით) ბუნებრივი ქართული ენისა და ამან ერთხელ უკვე საყრდენი როლი ითამაშა უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ღირებულების მქონე ლინგვისტური ხასიათის კვლევებისათვის, რომელთა ღირებულება გასცდა ქართულ ენობრივ არეალთა ინტერესებს და საერთო ინდოევროპულ ენობრივ არეში დამკვიდრდა ერთ-ერთ საყრდენ და მანიშნებელ საფუძვლად (მხედველობაში გვაქვს აკადემიკოსების თ. გამყრელიძის და ე. ივანოვის ცნობილი შრომა, რომლის ძირეული საყრდენი საფუძველი ქართული ენის სამრიგოვანი ფონემატური წესთ-წყობა იყო). აქ შემოთავაზებული მიდგომები ინდოევროპულ ენობრივ არეალში ფონემატურ წესთ-წყობაზე ახალ, ქართულ ფონემატურ წესთ-წყობაზე დამყარებულ ხედვათა განვითარების საშუალებას იძლევა. ღირებულება ყოველივე ამისა იმაშია, რომ აქედან ინდოევროპული ენობრივი არეალისათვის დამახასიათებელი ფონემატური პროცესები კლასიკური შედარებითი ენათმეცნიერების პრინციპების გათვალისწინებით უფრო მარტივად, ლოგიკურად გამართულად და სრულყოფილად იხსნება; და ეს მიუხედავად იმისა, რომ საფუძველი ყოველივე ზემოთქმულისა, ანუ ქართული ენა, დღევანდელი თვალთახედვებით არ შეიკუთვნება ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს. - აი, ის ერთი, რაც ამ თვალ-საზრისებით უკვე სახეზეა.

ქვემოთ მსჯელობა გაგრძელდება ჩვენი დღევანდელი ინტერესებიდან, ანუ კომპიუტერის ბუნებრივ ენობრივ გარემოში სრული მოქცევის მიზნიდან გამომდინარე ინტერესების ჭრილში: ქართული ზეპირმეტყველებითი ენის სრული ანბანური ნოტიფიკაცია, ანუ, ის რომ იკითხება ასო-ნიშანი ცალსახად ყოველგვარი რიგითი თუ გარემომცველი წყობებისაგან დამოუკიდებლად და მიუხედავად, ანუ, ის რომ ქართული ანბანი ქართული მეტყველებითი ენის ერთგვარად სრული ნოტიფიკატური ნარეკლია, საფუძელიანად გვანიშნებს იმაზე, რომ ქართულად კომპიუტერის ამეტყველება ბევრად უფრო მარტივად გადაწყვეტადი ამოცანაა, ვიდრე იგივე ნებისმიერ ანბანურად არასრულად ნოტიფიცირებულ ენაში. ის ფაქტი, რომ ქართული ენა არ ცნობს დიფთონგურ და ტრიფთონგურ ფონემატურ შემადგენლებს ზემოთ აღნიშნული ვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი გარემოებაა, რომელიც თავისთავად, როგორც ბიო-ლინგვისტურ, ისე ფსიქო-ლინგვისტურ

ინტერესთა კვლევის საგანს წარმოადგენს. ფონმატური თვალსაზრისებით ენები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნენ შემდეგი პარამეტრული მიდგომებით: ენები, სადაც ხმოვანებასთან ერთად შიგა-აღქმით-სხვაობით თვალსაზრისებით არსებით დატვირთვას იღებს თავისთავზე იმავე ხმის სხვადასხვა ელფერიერება და ენები, სადაც ხმის ფერითი ფაქტორები ბოლომდე ნიველირებულია (უზულეებულყოფილი) და ერთ ბგერას ფუნქციონალური თვალსაზრისებით მეორესაგან მხოლოდ ხმოვანება განარჩევს*. ასეთ ენებში ხმის სხვადასხვა ელფერიერება უკვე ემოციურ-განწყობითი სახის გამოხატველი საშუალებებია და ისინი ფაქტობრივ შინაარსულად განმასხვავებელ ფუნქციონალურ დატვირთვებს თავის თავზე არ იღებენ. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, და კერძოდ, ჩინური, იაპონური, ტაილანდური, კორეული ამ თვალსაზრისებით ყველაზე უფრო მეტად დატვირთული ენებია, ქართული ენა ბოლომდე განთავისუფლებულია ფუნქციონალური თვალსაზრისებით ხმის შეფერილობითი დატვირთვებისაგან, ინდოევროპული ენები სადაცა შუალედურად ადგილს იკავებენ ზემოთ აღნიშნულთა გათვალისწინებით. – რა შეიძლება აქ ითქვას: ბუნებრივია, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ბიო-ფონეტიკის და ფსიქო-ფონეტიკის ინტერესები გამოკვეთილი და განსაზღვრულია: სასმენი და სამეტყველო აპარატის ბიო-ფონეტიკური ანალიზი, დიქტონული და სინქრონული თვალსაზრისებით ამ პროცესების დამზერა-ანალიზირება, გეო-ფიზიკური მიზეზების გამოყოფა ენის მატარებლის შიგა სუბიექტური (პიროვნული) იერსახეობრივი მიზეზებისაგან, განწყობილებითი და ხასიათობრივი მახასიათებლების ამ ფონურ-ნობრივ პარამეტრთან კავშირი, ანუ, აზროვნების ფსიქოლოგია და ენის ფონემატიკური წყობა – აი, ის მცირე ნუსხა საკითხებისა, რომლებიც შეიძლება ითქვას, და ამგვარად, უკვე დასმული კითხვების მიმართულებით მოძრაობენ პასუხებისაკენ, ეს ყველაფერი შემეცნებითი თვალსაზრისებით (შეიცან თავი შენი!) ღრმა მეცნიერული ღირებულების მქონე საკითხებია. მით უფრო, რომ ენა, მაორგანიზებელი საშუალება ცოცხალი სისტემისა (ტოლი და გვარი შემომქმედისა!), თავადვე ორგანიზდება მისივე ასობგერით სისტემაზე დაყრდნობით. – ეს მნიშვნელოვანი პერსპექტივებია, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ინტერესებიდან გამომდინარე ხაზგასმით ვაფიქსირებთ ერთს და კერძოდ შემდეგ, მარტივად დასაჯერებელ ფაქტს: ის ენები, რომელთა ასობგერითი თანადობა სრული, ცალსახა და არა რიგით მდებარეობითა და რომელთა ბგერითი შემადგენლები ფუნქციონალური თვალსაზრისებით განირჩევიან მხოლოდ მათი ხმოვანებით, ე. ი. ისეთი ენები, სადაც ხმის ფერითი შემადგენლები ნიველირდება, ანუ ისეთივე ტიპის ენები, როგორცაა ქართული ენა, ბევრად უფრო ადვილად შეიძლება ჩადებულ იქნენ კომპიუტერში (სრული წერით-მეტყველებითი და ზეპირმეტყველებითი თვალსაზრისების გათვალისწინებით), ვიდრე არა ამგვარი ტიპის ენები. – აქ სუფთა ტექნიკური და თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის სიმარტივეებზე და აქედან გამომდინარე უპირატესობებზეა საუბარი. ამდენად, როგორც ჩანს, ერთ-ერთი უახლოესი მიზანი კომპიუტერული ტექნოლოგიების დღევანდელი საფეხურის (პერსპექტივების) გათვალისწინებით ქართულ ენობრივ სისტემაში ბევრად უფრო მარტივად გადაწყვეტადია ვიდრე საერთოდ: მხედველობაში გვაქვს ბუნებრივი ენის ფარგლებში კომპიუტერის

* ბგერის სემანტიკური რიგი ამ ბგერის ხმით ისაზღვრება, მახვილი და ინტონაცია ხმის ფერითი შემადგენლებია. ამდენად, ბგერის ზესემანტიკური ელემენტები ხმის ფერით მახასიათებლებზე გვანიშნებს.

როგორც ამეტყველება, ისე მისი აღქმით-სმენითი უნარებით აღჭურვა აღქმულ-სმენილის ტექსტუალურ ფორმაში გადაწყვენი უნარ-შესაძლებლობების სრული გათვალისწინებით. - ეს არ არის უმნიშვნელო ფაქტი, მას დანახვა, საყრდენად ღება და გათვალისწინება სჭირდება შემდგომი პერსპექტივების განსასაზღვრავად.

ჩვენ ზემოთ საუბარი გეკონდა ქართული ენის იმ სპეციფიკაზე და აქედან გამომდინარე იმ უპირატესობაზე, რომელიც ენის ფორმალური საფუძვლით არის განპირობებული. ქვემოთ ყურადღება ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ გრამატიკაზე (წესთ-წყობაზე) გამახვილდება და დასახული მიზნებიდან გამომდინარე ამ თვალსაზრისებით შეფასდება ქართული ენის შესაძლებლობანი და პერსპექტივები: ერთმანეთისაგან განარჩევენ ანალიზურ და სინთეზურ ენებს. ინგლისური ენა მკაცრად ანალიზურია. ინგლისური ენის არამორფოლოგიური სტრუქტურა გეაიძულებს მართე წინადადებათა საფეხურზევე სიტყვის ფუნქციონალურ-სემანტიკური როლის დასადგენად ყურადღება მივაქციოთ წინადადების შემადგენელი სიტყვითი ერთეულების რიცხობას. გარდა ამისა, ინგლისურენოვან წინადადებაში სიტყვის შინაარსს ფუნქციონალურ-სემანტიკური თვალსაზრისებით აზუსტებენ ე. წ. დამხმარე სიტყვები, მათ ენის ანალიზურ საშუალებებს უწოდებენ. თუ ინგლისური ენა მკაცრად ანალიზურ ენად უნდა შეფასდეს, ქართული ენა კლასიკური მაგალითია სინთეზური, თითქმის სრულად სინთეზური ენისა. ამას მისი სრულყოფილი - თითქმის სრულყოფილი მორფოლოგიური გრამატიკა განაპირობებს. რას ნიშნავს ეს მათემატიკური თვალსაზრისებით: როგორც ფრეგესეული მათემატიკური ენის, ისე ფორმალური აღნიშვნათა თეორიისა და თანამედროვე თუ კლასიკური ფორმალური თეორიების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ენობრივი თვალსაზრისებით მათემატიკური სიმბოლოები ძირითადად ხასიათდებიან ადგილიანობის, ადგილთა ტიპის და სიმბოლოს, როგორც ოპერატორის, მნიშვნელობათა ტიპის მინიშნებით. ამასთან, როგორც წესი, მათემატიკური სიმბოლოები შინაარსებს (მნიშვნელობებს) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ითაეისებენ (ინარჩუნებენ). ასე მაგალითად, '+' ნიშნის ყველა სათვის კარგად ცნობილი შინაარსი არ არის დამოკიდებული მისით აგებული მათემატიკური გამოსახულების ფორმაზე. საზოგადოდ, f" (t₁, —, t₂) ტიპის მათემატიკურ გამოსახულებაში და მისი ინტერპრეტირებისას ცალკე, დამოუკიდებლად სხვა ნაწილებისაგან, ინიშნება f" სიმბოლოს შინაარსი (ინტერპრეტაციული მნიშვნელობა). ასევე ერთმანეთისაგან და f"-ისაგან დამოუკიდებლად იღებენ შინაარსებს (ინტერპრეტაციულ მნიშვნელობებს) t₁, —, t₂ ფორმებს. ეს ერთგვარად ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელი თვისობრიობაა მათემატიკური ფორმალური ენებისა. - და უნდა ითქვას, რომ ფრეგესეული კომპოზიციურობის (ე. ი. შემადგენლობითობის) პრინციპი, რომელიც მათემატიკური ფორმალურ-ლოგიკური სემანტიკების გასააზრებელ საყრდენ საფუძვლად იქცა, სწორედ მათემატიკური ენების ზემოთ აღნიშნულ ძირეულ მახასიათებელ თვისობრიობას ემყარება. მონტე-გიუსეული, ანუ როგორც უფრო სწორი იქნებოდა, ფრეგე-მონტეგიუსეული კომპოზიციურობის პრინციპი, ანუ ფრეგესეული პრინციპის მკაცრი მათემატიკური ფორმალურ-ლოგიკური ადეკვატი სწორედ მათემატიკური ენების ხსენებულ სპეციფიკათა ფონზეა ჩამოყალიბებული. ანუ, შემადგენლობითობა თავიდანვე უნდა გულისხმობდეს მთლიან გამოსახულებაში ნაწილების ავტონომიურობას! - წინააღმდეგ შემთხვევაში, პრინციპიც კი, როგორც იდეა, იკარგება. დაუბრუნდეთ ბუნებრივ ენობრივ სპეციფიკას და ენახოთ რას ნიშნავს ეს: მსჯელობებს მცირე მიახლოებითი თვალსაზრისებით განეკუთარებთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ

გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძვლიანობაში და, თუ გნებავთ, მეცნიერულ ღირე-
ბულებაში ეკვი შევიტანოთ, პირიქით, მიახლოებითობას ხაზი ესმება სწორედ
მკაცრი მეცნიერული პრინციპების შენარჩუნებისა და არ დარღვევის მიზნით. ახლა
უშუალოდ იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ყოველივე ზემოთ თქმული: მათემატი-
კური თვალსაზრისებით ანალიზური ენის მარტივი წინადადება დალაგებულ სიმ-
რავლეს წარმოადგენს, მაშინ როდესაც სინთეზური ენის მარტივი წინადადება
სიტყვათა სიმრავლეა. მკაცრი სიმრავლურ-თეორიული ხედვებით დალაგებული სიმ-
რავლე (ბევრად უფრო) რთული მათემატიკური ობიექტია, მაშინ როდესაც
დაულაგებელი სიმრავლე, ანუ უბრალოდ სიმრავლე, უმარტივეს ძირითად მათემა-
ტიკურ იდეას და ობიექტს წარმოადგენს. ასე მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს
ორ ელემენტარულ დალაგებული და დაულაგებული სიმრავლეები (a, b) და {a, b}.
სიმრავლურ-თეორიული თვალსაზრისებით (a, b) წყვილი (ე. ი. დალაგებული სიმ-
რავლე) {{a}, {a, b}} სიმრავლეს წარმოადგენს და თუ სიმრავლის შემადგენლობად,
ანუ ნაწილებად მის ელემენტებს დავინახავეთ (და ეს ცხადია, ბუნებრივ მიდგომად
უნდა ჩაითვალოს) მაშინ ადვილად დავერწმუნდებით, რომ (a, b) წყვილის ერთ-ერთი
ნაწილი - შემადგენელი თვითონ {a, b} სიმრავლეა, მაშინ როდესაც {a, b} სიმრავ-
ლის ნაწილებად, და ეს უკვე აღინიშნა, ბუნებრივია მისი ელემენტები დავინახოთ.
ანალოგიური ხასიათის თვისობრივი სხვაობაა ქართულენოვანი (ე. ი. სრულად
სინთეზურენოვანი) ტიპის მარტივ წინადადებასა და ინგლისურენოვანი (ანუ მკაც-
რად ანალიზური) ტიპის მარტივ წინადადებას შორის. ქართულენოვანი მარტივი
წინადადების ნაწილებად ჩვენ უფლება გვაქვს დავინახოთ შემადგენელი სიტყვები
(ისევე, როგორც სიმრავლის ნაწილებად ბუნებრივია გავიაზროთ მისი ელემენტები),
მაშინ როდესაც, ინგლისურენოვანი მარტივი წინადადების ერთ-ერთი ნაწილი
(რამდენადაც იგი სიტყვათა დალაგებული სიმრავლეა), უხეშად რომ ვთქვათ, ამ
წინადადების ქართულენოვანი ადეკვატია; ვგულისხმობთ იმას, რომ ინგლისურ-
ენოვანი მარტივი წინადადების შემადგენელი სიტყვები არ გვაქვს უფლება ფრეგე-
სეული კომპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე ამ წინადადების კომპოზანტე-
ბად ე. ი. შემადგენელ ნაწილებად განვიხილოთ. და თუ მაინც აქ ნაწილების დამზ-
ერას შევეცდებით, მაშინ უნდა დავიწყოთ პირველი სიტყვით (თუმცა უშუალოდ ამ
სიტყვას ნაწილად ვერ ვიაზრებთ), შემდეგი ნაწილი ამ პირველი სიტყვით და
მეორე სიტყვით (გააზრებული) შექმნილი მთლიანობაა, და ასე შემდეგ. ამდენად,
ფრეგე-მონტეგუსეული კომპოზანტური თვალსაზრისებით ინგლისური ენის მარ-
ტივი წინადადება მის შემადგენელ სიტყვებს კომპოზანტებად ვერ ინარჩუნებს და
რამდენადაც რიგითობაში პირველის ანუ თავის იდეა წარმმართველია ამით უნდა
ავხსნათ ანალიზური ენების ფორმალური აღწერისათვის თავით მართული სტრუ-
ქტურების გრამატიკებამდე მისვლა. რაც შეეხება სინთეზურ ენებს და კერძოდ,
თითქმის სრულად სინთეზურ ქართულ ენას, აქ ფრეგესეული კომპოზიციურობის
პრინციპი მარტივი წინადადების საფუძველზე კომპოზანტებად ინარჩუნებს წი-
ნადადების შემადგენელ სიტყვებს და ხორციელდება თითქმის სრული მათემატი-
კური სპეციფიკების გათვალისწინებით: ეს ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისებით ქარ-
თული ენის ძირეული მახასიათებელი თავისებურებაა და ის, რომ ამ მიზეზის გამო
ქართული ენა ბევრად უფრო ახლოს დგება (თითქმის თანმიხვევაში) მათე-
მატიკური ენებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკებთან, იძლევა საშუალებას
განხორციელდეს მისი, მე ვიტყვი იგი ფრეგესეული ტიპის, ანუ როგორც ჩვენ მას
აზრეთვე ვუწოდებთ, პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა. ეს ფორმითი სი-

მარტივე და აქედან გამომდინარე ფორმითი სიახლოვე ბუნებრივი ქართული ენისა მათემატიკურ ენასთან, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი თავისებურებაა, რომელიც მნიშვნელოვან ღირებულ საყრდენად გეძლევა თანამედროვე მათემატიკური და კომპიუტერული ლინგვისტიკის ინტერესებით განსაზღვრული პრობლემების გადაჭრული გზების ეკლავ-ძიების პროცესში; და კერძოდ, ეფიქრობთ, ბუნებრივი ენობრივი შინაარსების მათემატიზაცია ქართული ენის საფუძველზე და მისი გავლით არსებითად ხსნის ამ პრობლემასთან⁵ დაკავშირებულ სირთულეებს. - აი, ესეც ერთ-ერთი ის ძირეული საფუძველი და საყრდენი ინტუიცია რისი თქმის უფლებასაც ჩვენ ჩვენს მიერ უკვე ჩატარებული კვლევები გვაძლევს. - ბუნებრივია, აქ გადამწყვეტი და მთავარი როლი ქართული ენის ის სპეციფიკაა, რომელსაც მისი თითქმის სრულად და მათემატიკურად მოწესრიგებული მორფოლოგიური გრამატიკა წარმოადგენს.

შენიშვნა: მათემატიკურ ენებში რიგითობას რა თქმა უნდა დატვირთვა აქვს, მაგრამ არა სემანტიკური. რიგითობა აქ მხოლოდ ფორმითი-გამოსახულებითი ცალსახობის და კორექტულობის ინტერესებით არის განსაზღვრული: მაგალითად, უფრჩხილებო ფორმალურ თეორიებში (მათემატიკურ ფორმალურ თეორიებში ფრჩხილი ფაქტიურად მარკერია, ამასთან, სემანტიკური დატვირთვები მასზე მისი ამ მარკერული ფუნქციით ისაზღვრება), სადაც ოპერატორული ანუ არანუ-ლადგილიანი სიმბოლოები, როგორც წესი, პრეფიქსულ პოზიციებში ყენდებიან, რიგითობას განმსაზღვრელი როლი ენიჭება სიმბოლო-ოპერატორის ადგილიანობის და ადგილოთ ტიპობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, მაგრამ ეს მკაცრი რიგი გამოსახულების შემადგენელი ნაწილებიდან იმავდ გამოსახულების განმსაზღვრელ თავ-სიმბოლო ოპერატორის სემანტიკაზე გავლენას არ ახდენს. უფრო მეტიც, ამგვარი სპეციფიკით რომ არ ხასიათდებოდეს მათემატიკური ენა მისთვის კომპოზიციურობის პრინციპი ან მთლიანად, ან ნაწილობრივ მაინც აზრს დაკარგადა! - ანუ, რამდენად გეაქვს უფლება რთულ კომპოზიციურობის პრინციპს ეუწოდოთ კომპოზიციურობის პრინციპი. - ჩვენ ვფიქრობთ, რომ სინთეზურ ენებში, და კერძოდ, ქართულ ენაში, რომელიც შეიძლება ითქვას თითქმის სრულად სინთეზურია, ისევე როგორც კლასიკურ და თანამედროვე ფორმალურ მათემატიკურ ენებში მუშაობს კომპოზიციურობის მარტივი პრინციპი (ე. ი. ფრეგელების პრინციპი), მაშინ როდესაც ანალიზურ ენებში მარტივი წინადადების საფეხურზე ჩვენ ვერ ვსარგებლობთ კომპოზიციურობის მარტივი პრინციპით, ჩვენ აქ იძულებულნი ვართ გაეიზროთ ჩვენს მიერ ეგრეთ წოდებული კომპოზიციურობის რთული პრინციპი, რაც ერთგვარად გვიბიძგებს ანა-ლიზურ ენებში მარტივი წინადადების სიტყვებად გაგებისაკენ.

ამ პუნქტის დასასრულს შევეცდებით მოყვანილი არგუმენტების უფრო სისტემურ და კომპაქტურ წარმონეხას: დავესვსხოთ გივი მაჭავარიანს: მისი აზრით, „ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ნიშნებით, რომლებიც ამჟღავნებენ ქართველი მეკლავარის ფუნდამენტურ და, შეიძლება ითქვას, ორგანულ ნათესაობას სტრუქტურული ლინგვისტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან და მეთოდებთან“. - ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრად უფრო ადრე

⁵ ბუნებრივი ენობრივი ფორმებისა და შინაარსების მათემატიზაცია, ანუ ბუნებრივი ენობრივი ფორმების დაყვანა შინაარსების შენარჩუნებით მკაცრ მათემატიკურ ფორმებზე, დღეს, უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული, თეორიული და მსოფლმხედველობითი ხასიათის პრობლემაა!

ვიდრე დასაუღესში სტრუქტურალიზმი ჩამოყალიბდებოდა და განვითარდებოდა, იგი როგორც ერთ-ერთი მეთოდი და საფუძველი უკვე მუშაობდა ქაროულენოვან არეალში, და აქ დღეწამოსილი მეცნიერის მამოძრავებელი ინტუიცია, რა თქმა უნდა ქართული ენა და მისი მკაცრი, თითქმის მათემატიკურად მოწესრიგებული სტრუქტურული წყობა გახლდათ; იგივე ხასიათის მოვლენასთან გვაქვს საქმე აკად. თ. გამყრელიძის დღეს გლობალურად წოდებული თეორიის შემთხვევაში. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ აქაც მამოძრავებელი საფუძველი და ინტუიცია ქართული ენა, და კერძოდ, მისი სრულყოფილად მოწესრიგებული სამრიგოვანი ასო-ბგერითი სისტემაა, რომლის საფუძველზეც შედარებითი ენათმეცნიერების პრინციპების გათვალისწინებით ფონემატური პროცესები უფრო მარტივად და ლოგიკურად იხსნება ინდოევროპულ ენობრივ არეალში. და ამდენად, იგი (ქართული ენა) შეიძლება ითქვას უკვე შუამავალი, შუალედური ენის ფუნქციას ასრულებს ამ თვალსაზრისებით აღნიშნულ ენობრივ არეალში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წლებით უკანა ვართ, და ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის მიზნებით საზღვრული პერსპექტივები, აქაც ჩვენ საიმედოდ და საყრდენად უნდა მივიღოთ ქართული ენა და მისი თავისუფალი და ამავდროულად მოწესრიგებული სტრუქტურა, რომელიც მას ძლიერ ახლოს აყენებს ფორმალურ-მათემატიკური ენებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკასთან. უფრო კონკრეტულად: გაწეული კვლევების საფუძველზე და ჩვენი თვალსაზრისებით ქართულენოვან აბსტრაქტიზმულ ფორმათა ერთობლიობა ნაწილად ინიშნავს და მთლიანად მოიცავს ინდოევროპულ ენათა ოჯახის შემადგენელ ენათა აბსტრაქტიზმულ ფორმებს, რაც მანიშნებელია ამ თვალსაზრისებითაც ქართული ენის შესაძლო შუამავლობით ფუნქციას აღნიშნულ ენობრივ არეალში.

ამდენად, ჩვენ შევეცადეთ და ნაწილობრივ წარმოვამჩინოთ ის არსებული მეცნიერული საბუთები, რაც ამ მიმართულებით ქართული ენის ფარგლებში კვლევების განვითარების აუცილებლობისაკენ გვიბიძგებს. აქ ის არგუმენტებია, რომლებიც არ გვაძლევს უფლებას ზემოთ აღნიშნული პრობლემატიკა არ იქნეს გააზრებული საერთო ქართულ ეროვნულ კულტურულ ჭრილში, და ამდენად, აქ საუბარია პასუხისმგებლობაზე, რომელიც ჩვენ არა მარტო ჩვენს აწმყოსთან და მომავალთან გვაკავშირებს, არამედ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ჩვენ წარსულიდანაც მოგვყვება.

გ) ენის მკაცრი მათემატიკური ამოხსნა და შემეცნებით-მსოფლმხედველობითი ხასიათის პრობლემები: უზოგადესი თვალსაზრისებით ენა ნიშანთა სისტემაა. ამდენად, ენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს დანახული ყველა სხვა შემადგენელთა შორის, თუ წინასწარვე იმავე შემადგენელთა ფარგალში დაეინახათ ისეთი უნარების მქონე ერთეულს, რომელიც მატარებელი იქნება 'ნიშნის' - ანუ როგორც 'სადღნიშნო-აღსანიშნის', ისე 'ღნიშვნა-მღნიშვნელის' იდეებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ენის არსებობა შეიძლება გააზრებულ იქნეს მხოლოდ ენის მტარებლობის უნარმქონე ერთეულის არსებობასთან ერთად, და ამასთან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი (ენა!) მისი (ერთეულის!) ყველა დანარჩენი უნარ-ჩვევების მსაზღვრელი და მანიშნებელი ფარგალია. - ეს ჩვენი თვალსაზრისების ხედვითი საყრდენია. ამასთან, თუ მთავარ შემადგენელ ორგანოდ 'ტენის' ცენტრით და ვადარებით მის მმართველობითობას ერთეულში, რომელსაც ადამიანი ეწოდა, მაშინ უნდა დაეფიქრდეთ იმ საშუალებებზეც, რითაც ეს მმართველობითობა ხორ-

ციელდება: „დასაწყისში იყო სიტყვა; და სიტყვა იყო ღმერთთან; და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო დასაწყისში ღმერთთან. ყოველივე შექმნილია მის მიერ; და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე...“ – ციტატა, რომელიც აქ კონტექსტად მოვიყვანეთ, დღეს, იქნებ არამეცნიერული, რელიგიური ხედვების საფეხურზე მდგარ მოსაზრებად მიიჩნევა, თუმცა ჩვენთვის იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ მკაცრად-მეცნიერული სიღრმისეული წინჭყვეობა: ანუ ჩვენ ეფიქსირობთ, რომ აქ საუბარი სწორედ ამაზეა, ანუ 'ტეინი', როგორც ნიშნის იდეის მატარებელი, და ამდენად, ენის ფლდობის უნარმქონე, სწორედ ენის ფარგლებში და მხოლოდ მისი მეშვეობით ახერხებს სხენებულ მმართველობითობას! – იგია (ენაა) სიცოცხლე. ანუ, რომ არა ნიშანთა სისტემა, რომლის მეშვეობითაც 'ტეინი' არეგულირებს ცნობიერ თუ ქვეცნობიერ ბიო-ქიმიურ პროცესებს, არ ექნებოდათ და ჩვენ დღეს ამ საკითხებზე აღარც საუბარი გვექნებოდა. – აი, ძალიან მოკლეა ის, რაზეც ქვემოთ მეტად განვივრცობით: 'ნიშნის' იდეა 'აღსანიშნის' აღქმითობას და 'აღმქმელ-ერთეულში' მისი აღქმითი უნარის შედეგად ჩენილი 'ნაბეჭდის' 'დასახელების' ანუ 'დანიშნის' უნარ-ნებითობითაა რეალიზირებული. ამდენად, 'ტეინის' ანუ 'მენტალის' აღქმითი უნარები და მისი უნარ-ნებითობა უკვე აღქმულის 'ღნიშნა-დანიშნისა' ენის მტარებლობის უნარ-მქონეობისათვის აუცილებელი ნაწილ-ძირეული შემადგენელი უნარ-ჩვევებია. თუმცა მათთან ერთად ენის მტარებლობის უნარი აუცილებლად გულისხმობს 'მეხსიერების' ანუ 'შიგა-ბეჭდილის ამა თუ იმ ფორმით ნახეა-შენახვის' უნარს. ამრიგად, 'აღქმის უნარი', 'აღქმულის დანიშნა-დასახელების უნარ-ნებითობა' და 'აღქმულისა და შიგა-ბეჭდილის მეხსიერი მტარებლობა' ის სამი ძირითადი უნარ-ჩვევაა, რომელთა ფარგალშიც და საფუძველზეც მხოლოდ ერთეული შეიძლება გააზრებულ იქნეს ენის მტარებლობის უნარ-მქონედ. იგივეთაგან კი პირველი და მესამე საკმარისი და აუცილებელი საფუძველია იმისათვის, რომ ერთეულის ფარგლებში განვითარდეს გამოსახულებათა გადამწერი ამა თუ იმ ძალის, ესა თუ ის ლოგიკურ-ფორმალური სისტემა წინასწარგანსაზღვრული სემანტიკური ინტერესების შესაბამისად და გათვალისწინებით. ეს 'მენტალური' პროცესების შესაცნობად საყრდენი საფუძველმდებოთი თვალსაზრისებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი მოსაზრებით ხედვებია. – ჩვენ ამ თვალსაზრისებს ვეყრდნობით და ეიზიარებთ. ნ. ხომსკი გეთავაზობს უნივერსალური ლინგვისტურ-გენეტიკური პროგრამის იდეას. მისი მიდგომები, მისი ურამატიკები ფაქტურად ამ პროგრამის და პარალელურად ამვე პროგრამის მხორციელებელი ფორმალური ავტომატის (თეთიმომქმედი ნაკეთობის) ძიებაა. ჩვენ სხვა მსოფლმხედველობით თვალსაზრისებს ეანვითარებთ. ჩვენ ვეძებთ ჩადებულ ენას. ჩადებული ძირეული ენა არ არის გენეტიკური. იგი წინა გენეტიკურია. რა თქმა უნდა, იგი გენიურად უზრუნველყოფილია, თუმცა თავად გენეტიკურობა, უნარ-თვისობრიობა ამგვარი, თავად ამ ძირეული ჩადებული ენით და მის ფარგალშია რეალიზებული – ამდენად, იგი წინა გენეტიკურია! – დაზუსტების მიზნით, აქვე შევნიშნოთ: ძირეული ჩადებული ენა არა მხოლოდ გენეტიკურ უნართა მქმნელი და მსაზღვრელია. გენი ერთ-ერთი შემადგენელია იმ მთლიანობაში, რომელთა მარეალიზებულ გარემოს და საშუალებასაც ჩადებული ძირეული ენა წარმოადგენს. ამგვარად, ჩვენ ვეძებთ და ვცდილობთ ავაგოთ არა უნივერსალურ-ლინგვისტური პროგრამა, არამედ ეიპოვოთ ის მკაცრი ფორმალური სახე ენისა, რომელიც ენის მატარებელი ერთეულის ენობრივი ჩვევების საყრდენზე შეიძლება

განხორციელდეს ერთეულში 'სრული ენობრივი სისტემის სახით'. ე. ი. თუ ხომსკისათვის ამოსავალია უნივერსალური ლინგვისტურ-გენეტიკური პროგრამის წინკერტა, ჩვენთვის ამოსავალი ანუ საწყისი, ენის მატარებელი ერთეულის უნარ-ჩვევებია, (რომლებსაც ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი), რომლებიც რა თქმა უნდა გენეტიკურად გადაეცემათ წინა-პირიდან შემდეგ-პირს, მაგრამ რომლებიც, ჩვენი თვალთახედვით, ჩადებული ძირეული ენის წინაგენეტიკურობის საფუძველზე ასევე წინაგენეტიკურია.

მონტევიდეოსელი ფორმალურ-სემანტიკოსთა სკოლის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი დოუტი ამბობს, რომ "სიტყვის თეორიულ-მოდელურ შინაარსს პრინციპში არაფერი საერთო აქვს იმასთან, რაც ადამიანის ტენში ხდება, როდესაც ის ამ სიტყვას იყენებს". მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც ჩვენ თავს ფორმალურ-სემანტიკოსებად ვთვლით, რამდენადაც არ ვცნობთ არაფორმალური შინაარსის არსებობის იდეას, საესებით არ ვეთანხმებით ზემოთ მოყვანილ დოუტისეულ ფრაზას. კერძოდ, ჩვენ მივიჩნევთ და ერთმანეთისაგან განვარჩევთ ერთი და იმავე ენის წერილობითეულებით, ზეპირმეტყველებით და აზრითმეტყველებით ფორმებს და მათ ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა ფორმებად ეთარებათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზეპირმეტყველებას წინ უსწრებს აზრითმეტყველება (ზოგჯერ ცნობიერი, ზოგჯერ ქვეცნობიერი, ზოგჯერ იქნებ ზეცნობიერიც!), თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში დარწმუნებულნი ვართ, რომ სიტყვა ენაზე არ იბადება! - ეს ჩვენი ერთ-ერთი ძირეული ხედვითი საყრდენია. უფრო კონკრეტულად ზემოთ მონიშნულ მოსაზრებათა თაობაზე: ჯ. ნეიმანის მიხედვით: „ადამიანი ყველაფერთან ერთად შეიძლება განხილული იქნეს როგორც გარკვეული ტიპის თვითმოქმედი ნაკეთობა (ავტომატი)". ჩვენ ესე დავუსუტდებით: ადამიანი თვითმოქმედი მხოლოდ მის მიერვე ტარებული ენის ფარგლებში და მეშეუბოთ. ამდენად, გზა ადამიანის შესაცნობად გადის იმ ენის შეცნობაზე, რომელსაც იგი ფლობს და რომლითაცვე იგი თვითქმედობს. ჩვენ ვთვლით, რომ ბუნებრივი ენა ადამიანის ცნობიერი აზროვნებითი პროცესების წარმმართველია. ქვეცნობიერი აზროვნებითი პროცესები არ არის აუცილებელი დანახულ იქნან ბუნებრივი ენის ფარგლებში მდინარე პროცესებად, უფრო მეტიც, ვფიქრობთ აქ (ე. ი. ქვეცნობიერში), მკაცრი ფორმალური ლოგიკურ-მათემატიკური ტიპის ენები მუშაობენ, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ის, რომ ქვეცნობიერი გამოსავალს პოულობს ცნობიერში ბუნებრივი ენის მეშეუბოთ ცხადი და ჩვენთვის საყრდენად სადები ვითარება. და ამდენად, ჩვენ ვადასტურებთ ქვეცნობიერ მკაცრ ფორმალურ-ლოგიკურ მათემატიკურ ენებსა და ცნობიერ-აზროვნებითი პროცესების წარმმართველ ბუნებრივ ენებს შორის განსაზღვრული ფორმალურ-შინაარსული კავშირების არსებობას. - ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ხედვითი საყრდენი და საკელევი ნიშნულია. - ეს შემდგომისათვის, მანამდე კი: ბუნებრივი ენა, ისევე როგორც საზოგადოდ ნებისმიერი გამოხატველობითი ენა, ნიშანთა მოწესრიგებული სისტემაა. ნიშანი აკავშირებს 'აღსანიშნს' 'აღნიშნვლთან'. 'ღმნიშნვლს' ჩვენ 'ტივის', 'მენტალს' ანუ 'აზრითს' ვუწოდებთ. ძველი ბერძნების მიხედვით, ლოგოს არის მეცნიერება აზროვნებითი ფორმების შესახებ, ხოლო 'ლოგოს' ნიშნავს სიტყვას და ამავე დროს ამ სიტყვის აზრს ანუ მენტალურ ცნებთ შინარსს. ე. ი. ძველი ბერძნების მიხედვით, 'ლოგოს' არის სიტყვა არა მხოლოდ როგორც ნიშანი, როგორც ზმა, არამედ აზრი ტარებული და ნიშნული ამ სიტყვით სიტყვის მატარებელ მენტალში. სხვაგვარად რომ ვთქვათ: თუ ჩვენ ერთმანეთისაგან განვარჩევთ წერილობითეულებით, ზეპირმეტყველებით და აზ-

რითმეტყველებით ენებს და სიტყვის წერით, ზეპირ და აზრით ფორმებს და
 ამაოდროულად ამ უკანასკნელ სამ ფორმას ერთი და იგივე სიტყვისა გაავივივებთ,
 მაშინ მარტივად იმზირება არსებული ბუნებრივი იზომორფიზმი ზემოთ აღნიშნული
 სამი განსხვავებული ტიპის ენებს შორის. ვთქვათ, W^f , W^h და W^a არის შესა-
 ბამისად ერთი და იგივე სიტყვის წერითმეტყველებითი, ზეპირმეტყველებითი და
 აზრითმეტყველებითი ფორმები. $|W|_m$ არის W სიტყვით აღნიშნული სამყაროსული
 შინაარსი, ხოლო $|W|_m$ არის W სიტყვის აზრითი შინაარსი. მაშინ ცხადია, რომ
 $|W^f|_m = |W^h|_m = |W^a|_m$ და $|W^f|_m = |W^h|_m = |W^a|_m = W^a$. ე. ი. აზრითი ენის სიტყვის აზრითი
 შინაარსი და სამყაროსული შინაარსი პირდაპირ არაშუალედურ კავშირშია ერთ-
 მანეთთან, მაშინ როდესაც წერითმეტყველებითი და ზეპირმეტყველებითი ენის
 სიტყვები მათი აზრითი და სამყაროსული შინაარსების მაკავშირებელთა როლში
 გვევლინებიან. ნებისმიერ ისეთ ენას, რომლის ნებისმიერი W სიტყვა ამ სიტყვის
 აზრით და სამყაროსულ შინაარსებს შორის მაკავშირებელ პირობით ნიშნად
 გვევლინება, გამომხატველობით ენას ეუწოდებთ. ენას ეუწოდოთ არა გამომხატ-
 ველობითი თუ იგი მისი სიტყვის აზრით და სამყაროსულ შინაარსებს
 (მნიშვნელობებს) შორის მაკავშირებელი პირობითობის ფუნქციას არ ასრულებს.
 წერითმეტყველებითი და ზეპირმეტყველებითი ენები გამომხატველობითი ენებია.
 თუმცა ისიც ცხადია, რომ გამომხატველობითი ენების კლასი მხოლოდ ამ ენებით
 არ იზღუდება. ასე მაგალითად, მიმიკათა ენაც გამომხატველობითი ტიპის ენაა.
 როგორც ჩანს, ერთადერთი არაგამომხატველობითი ენა აზრითი ენაა. ამ ენის
 სიტყვა თავად წარმოადგენს სიტყვის აზრით შინაარსს. ახლა დაეუწვათ, W^b ნების-
 მიერი გამომხატველობითი ენის ნებისმიერი სიტყვაა. მაშინ, ან $|W^b|_m \neq |W^b|_m$, ანუ
 სიტყვის სამყაროსული შინაარსი არსებობს და იგი განსხვავებულია მისი აზრითი
 შინაარსისაგან, ან $|W^b|_m = |W^b|_m$, ანუ სიტყვის სამყაროსული შინაარსი გან-
 სხვავებული მისი აზრითი შინაარსისაგან არ არსებობს. $|W^b|_m \neq |W^b|_m$ სახის სიტყ-
 ვებს გამომხატველობითი ენის არსით-არსით ანუ სამყაროთ ანუ ინტერპრეტირე-
 ბად სიტყვებს ეუწოდებთ. $|W^b|_m = |W^b|_m$ სახის სიტყვებს კი აზრით-არსით ანუ
 არაინტერპრეტირებად, ანუ ლოგიკურ სიტყვებს ეუწოდებთ (მაგალითად, 'მზე' არ-
 სით-არსითი სიტყვაა, 'მაგრამ' კი აზრით-არსითია). ამდენად, ეკასუხობთ რა
 დოუტისეულ ზემოთ მოტიანად თვალსაზრისს საკმარისი საფუძველი გვაკეთეთ
 შემდეგი მნიშვნელოვანი მოსაზრების განსაცხადებლად: ჩვენ ვფიქრობთ, რომ
 ლოგიკა, და მათ შორის მათემატკიკური ლოგიკა, სწორედ აზრით-არსითი სიტყვე-
 ბის მკაცრი ფორმალური და შინაარსული შესწავლით უნდა იყოს დაკავებული და
 რომ იგი ამითვე ამოიწურება! – ეს სრულიად ახალი ხედვაა იმის თაობაზე, რასაც
 დღეს (მათემატკიკურ) ლოგიკას უწოდებენ და შეიძლება იმ ჰილბერტისეული
 წინჭერეტის წინა თეორიული საფუძველია, რომელსაც იგი აკეთებდა ასე
 დაქსაქსული და დაპირისპირებული მათემატკიკურ-ლოგიკური გარემოს ფონზე, და
 იგი იმედოვნებდა, რომ მიუხედავად ლოგიკური თეორიების ამგვარი დაშორიშორე-
 ბისა, რამდენადაც თეორიული ლოგიკის მსაზღვრელი და მამომრავებელი საფუძ-
 ველი ერთი ძირიდან მოდის, აუცილებლად დადებოდა დრო და შემზადდებოდა
 გარემო და თეორიული ლოგიკა ერთ, მთლიან, განუყოფელ მეცნიერულ თეორიად
 ჩამოყალიბდებოდა. – აქ, სწორედ ჰილბერტისეული ამ წინჭერეტის თეორიული სა-
 ფუძველია დადებული. ანუ, აზრით-არსითი სიტყვების ლოგიკა, ანუ ვიტგენ-
 შტეინისეული 'ენის ლოგიკის' ჩვენეული თვალთახედვა სწორედ ზემოთ მონ-

იწველი პილბერტისეული წინაგერტის წინა თეორიულ საფუძვლად გვენიშნება. ახლა კვლავ დაგუბრუნდეთ დოუტისეული თვალსაზრისის კრიტიკას. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ბუნებრივ იზომორფულ ურთიერთკავშირთა საფუძვლზე (მხედველობაში გვაქვს წერილობითეულებით, ზეპირმეტყველებით და აზრითმეტყველებით ენებს შორის ბუნებრივი იზომორფიზმი) შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივი ენის კვლევა-ძიების პროცესში ენათმეცნიერი კვლევა-ძიების პროცესშია იმისა, რასაც ადამიანის შიგა-არსი ანდა შიგა-რაობა შეიძლება ვუწოდოთ. ამ თვალსაზრისებით განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ბუნებრივი ენის მსახურეული როლი იმაში, რასაც ადამიანისეული აზროვნებითი უნარი, ანდა მოკლედ ადამიანისეული აზროვნებითობა უნდა ვუწოდოთ. აზროვნების უნარი, ფიქრის უნარი ძირეული ადამიანისეული უნარია და მათი ამ უნარით ადამიანები ყოველდღიურად სარგებლობენ. მაგრამ ის, თუ როგორ მდინარებს ფიქრის პროცესი, ანუ ის, თუ როგორ წარმოათავს მას ტენიი, ანუ მენტალი ჯერ კიდევ ამოუხსნელი, პასუხაუცემელი კითხვაა. ადამიანის ცხოველქმედება, ადამიანის შიდა ურთიერთობა საკუთართანვე, ან თვითნებურია ანუ უნებურია, ან აზრითია ანუ პიროვნულ-ნებითია. ფიქრი პიროვნულ-ნებითი აზრითი პროცესია, მაგრამ არა ბოლომდე ცნობიერი. იროვნულ-აზროვნებითი პროცესი იწყება ცნობიერი ბუნებრივი ენის ფარგლებში, მიმდინარეობს ქვეცნობიერი ბუნებრივი ენის (ან ენების!) მეშვეობით და მთავრდება ამა თუ იმ შედეგის სახით კვლავ ცნობიერი ბუნებრივი ენის არეულში. ტენიში მიმდინარე პროცესები უშუალოდ მათემატიკურ-ლინგვისტურ სპეციფიკად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ მათ შევხედავთ არა როგორც სუბბურულ (მოუწესრიგებელ) ცხოველქმედითობას, არამედ როგორც მის (ტენის) სხვადასხვა ფორმალურ-ტექსტუალურ მდგომარეობათა მოწესრიგებულ მონაცემლებას, იმ საფუძველზე, რასაც აზრითმეტყველებით ენასთან (ნებისმიერი) გამომხატველობითი ენის ბუნებრივი იზომორფული ურთიერთკავშირი წარმოადგენს, გასაგები გახდება იმ ინტერესთა სიდრმისეულობა, რითაც მიმართულება კავდება. ანუ, თუ აზროვნების უნარი ადამიანთა მყარი უნარია, მაშინ კონსტრუქციონისტული მსოფლმხედველობა გუპარნახობს ევქიით ამ მყარი თვისების მარეალიზებელი კონსტრუქცია ანუ ფორმა. ანუ, ჩვენ ვთვლით, რომ ენის მკაცრი მათემატიკური ამოხსნის პროცესში, ჩვენ ამავდროულად პროცესში ვართ იმ შავი ყუთის გახსნისა, რომელიც ლ. ბლუმიფილდს ან საერთოდ შეუძლებლად, ან ძლიერ შორეულ პერსპექტივად ეჩვენებოდა. ხომსკი, რომელსაც პარესი ბლუმფილდიანელად თვლიდა, ენისადმი მისი მკაცრი, ფორმალური დამოკიდებულებების გამო, თვითონ თავის თავს და გენერაციულ გრამატიკას „კარტეზიანული ლინგვისტიკის“ გაგრძელებად მიიჩნევდა, თემცა არსად არ აკეთებდა კარტეზიანული თუ ლეიბნიცისეული ლინგვისტიკის ძირეული ხაზის, ენისა და აზროვნების კავშირზე აქცენტს. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ვეყრდნობით და ეანეთარებთ შეიძლება ითქვას, ბოლომდე მკაცრ-ფორმალურ მიდგომათა აუცილებელ საჭიროებას, ჩვენ ვზორედებით როგორც ბლუმფილდ-ხომსკისეულ, ისე მონტეგიუსეულ ფორმალურ-სემანტიკურ თვალსაზრისებს! - ბლუმფილდი გვაქვს შინაარს, რამდენადაც შეაშინა იგი მისმა ბუნდოანებამ, იგი ვერ ხედავდა ამგვარი ბუნდოანი ცნების საფუძველზე მკაცრი ლინგვისტურ-მეცნიერული თეორიის განვითარების საშუალებას, ხომსკი აღნიშნავდა: „თუ დადასტურდა, რომ სემანტიკა თამაშობს არსებით როლს ენის გრამატიკულ აღწერაში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მცდელობა წინასწარვე კრაზისტოის არის განწირული“ - ისევე ვიმეორებთ, სიტყვის შინაარსის და

მნიშვნელობის ანუ სემანტიკის პრობლემა ძირეული ლინგვისტური და არა მხოლოდ ლინგვისტური ხასიათის პრობლემაა. კოგნიტური რეოლუციის ერთ-ერთ მამოძრავებელთან ჯერომ ბრუნერთან ტერმინი 'მნიშვნელობა' შეიცვალა ტერმინით 'ნიფორმაცია', ხოლო ტერმინი 'მენტალური (აზროვნებითი) პროცესი' შეიცვალა ტერმინით 'გამოთქვადობა' და ამით კოგნიტური თეორიების ძირითადი საყრდენი ცნებები მკაცრად და ფორმალურად განსაზღვრებად ობიექტებად იქცნენ, თუმცა სიტყვის მნიშვნელობის (სემანტიკის) პრობლემა ისევ პასუხგაუცემელი დარჩა: ამასთან დაკავშირებით: ქართული ენა გეგარნახობს, რომ ერთმანეთისაგან უნდა განეარჩიონ სიტყვის შინაარსი და სიტყვის მნიშვნელობა, ან არ უნდა განეარჩიონ, რაც ამ ქართული სიტყვების იდენტიფიკაციას ანუ გაიგივებას ნიშნავს. მენტალური თვალსაზრისებით არსებობს სიტყვები, რომლებიც მათ გასააზრებლად თავიანთ თავზე არსებით დატვირთვებს იღებენ. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა 'ნიშნავს' ანუ ერთ-ერთი ასეთი შინაარსის მატარებელია სიტყვა 'რას ნიშნავს?' – ამ კითხვაზე მკაცრი ამომწურავი პასუხის მოძიების ინტუიციის ფორმალური აღნიშვნათა თეორია იძლევა. მისივე მეშვეობით ჩვენ ვფიქრობთ მკაცრი ფორმალურ-სემანტიკური კვლევების განვითარებას კარტეზიანულ-ლეიბნიციუსული ლინგვისტიკის პრინციპების გათვალისწინებით და შენარჩუნებით. ამაზე ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი ჩვენ შევეცდებით პოზიტივიზმისა და ნეოპოზიტივიზმის საფუძვლების წარმოჩენას, და ამავედროულად, მათ ფონზე ჩვენეული ხედვების განვითარებას გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთვის ენა ნიშანთა სისტემაა: მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თვალთახედვებით პოზიტივიზმი და ნეოპოზიტივიზმი ფილოსოფიაში იდეალისტურ, არამეცნიერულ მიმართულებად ფასდებოდა. ევოლუციური-მატერიალისტური ფილოსოფიის მიმდევარი თელიდენი, რომ პოზიტივისტები და ნეოპოზიტივისტები ფილოსოფიას ძირითადი საკვლევი საგნის ბუნების უზოგადესი კანონების შეცნობის გარეშე ტირიყენ. ამ დროს, ვითარება პირობითაა. პოზიტივიზმი (კონტი, ლაფიტო, მილი, სპენსერი), განსაკუთრებით კი ნეოპოზიტივიზმი (კარნაპი, აიერი, ვიტგენშტეინი, რასელი), აღიარებს რა გნოსეოლოგიურ (შემცენებით) პროცესებში სუბიექტის (ადამიანის) გადაძწყვეტ როლს, ფილოსოფიურ-მეცნიერული კვლევების ამ ეტაპზე წინა პლანზე თავად შემეცნებითი სუბიექტის (ე. ი. ადამიანის) კვლევას აყენებს. ამ წინა ფილოსოფიური ხედვით იხსნება ნეოპოზიტივისტების განსაკუთრებული ინტერესი ენისადმი. აქ უნდა აღინიშნოს ა. აიერის ნაშრომი „ენა, ჭეშმარიტება და ლოგიკა“ (1968), სადაც იგი ფილოსოფიური კვლევების ძირითად ორიენტორად ენას და ლოგიკას გენიშნავს. ნეოპოზიტივიზმი ამერსაკაში ლოგიკური ემპირიზმის, ხოლო ინგლისში – ლინგვისტური ფილოსოფიის სახით გაფორმდა. რატომ აყენებს ფილოსოფიური მიმართულება წინა პლანზე ენას? და რა საყრდენებს სთავაზობდნენ ნეოპოზიტივისტებს პოზიტივისტები? – ფილოსოფიის და საერთოდ მეცნიერების ძირითადი მიზანი სამყაროს შეცნობაა. ეს ამბიციური მიზანი სამყაროს იმ შემადგენელმა განისაზღვრა, რომელსაც ჩვენ ადამიანს (სუბიექტს) ვუწოდებთ. პოზიტივისტები ამბობდნენ, რომ სუბიექტი მხოლოდ მისი გრძნობა-აღქმითი უნარებით შედის სამყაროსთან კონტაქტში და ამდენად, იგი მხოლოდ მისი ამ უნარებით ფარგლებში შეძლებს განსინამდვილოდ გარემო არსებული რეალობა, და ამდენად, ისინი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებული სამყაროს პრინციპს ერთგვარად უარყოფდნენ. ჩვენი თვალთახედვებით, ობიექტურად არსებული სამყაროს უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ ამასაც ჩვენი აღქმა-გრძნობითი აზროვნებითი უნარები გეგარ-

ნახობენ, თუმცა ისიც ცხადია, რომ ჩვენთვის ობიექტური რეალობის მხოლოდ ის ნაწილი შედგება, რასაც ჩვენი გძრნობა-აღქმითი აზროვნებითი უნარების შესაძლებლობითი ფარგალი წვდება. იმისათვის, რომ უფრო გასაგები იყოს რაზეა საუბარი, შევეხოთ ერთ საბუნებისმეტყველო-ფილოსოფიური ხასიათის პრობლემას: რამდენ განზომილებიანი ფიზიკურ-გეომეტრიული სამყარო გვაკრავს გარს? – სამგანზომილებიანი? – თუ იქნებ ოთხგანზომილებიანი? – ამ კითხვებზე პასუხს ფიზიკოსები დღესაც ეძებენ. გამოთქმულია მოსაზრებები, რომ მცირე მანძილებზე შეიძლება მეოთხე განზომილების დამზერაც! – ჩვენი თვალთახედვებით აქ პასუხი ამგვარია: იმ შემთხვევაში თუ ადამიანის (სუბიექტის) აზროვნებითი (ტეინი) დაპროგრამირებულია (კონსტრუირებულია) როგორც სამგანზომილებიანი აღქმითი უნარის მქონე ნაკეთობა (და ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს ასეა!), მაშინ ჩვენ ვერაფრით შევძლებთ მეოთხე განზომილების აშკარა დამზერას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამყარო მხოლოდ სამი განზომილებით არის შეკრული და მეოთხე, ჩვენითვის უცნობელი განზომილება აქვე არ ფიგურირებს: კიდევ უფრო გასაგები რომ იყოს ერთი წუთით დაეუშუთ, რომ ჩვენ ორგანზომილებიანი აღქმითი უნარებით ვართ ქმნილნი. მაშინ, ჩვენ მყოფნი იმავე, ჩვენითვის ახლა სამგანზომილებიანად ცნობილ ფიზიკურ სივრცეში კითხვად დაესვამდით მესამე განზომილების არსებობას და ასევე ვერაფრით შევიძლებდით მის აშკარა დამზერას. – ახლა რა კავშირშია ეს ყველაფერი ენასთან? – ჩვენ აქ მაგალითით მარტივად და მოკლედ შევეცადეთ გნოსეოლოგიურ (შემცენებით) პროცესში სუბიექტის და სუბიექტის განსაზღვრაში მისი გრძნობა-აღქმითი და აზროვნებითი უნარების როლის წარმოჩენას. რაც შეეხება ენას, როგორც ნიშანთა სისტემას, აქაც გრძნობა-აღქმითი და აზროვნებითი უნარები გადამწყვეტია. უფრო მეტიც, ჩვენი თვალსაზრისებით, თუ ენის სიტყვითი მასალის ერთი ნაწილი სუბიექტის (ენის მატარებლის) გრძნობა-აღქმითი უნარების ერთგვარი ნარეკლია, ენის ლოგიკური და გრამატიკული სტრუქტურა იმავეს აზროვნებით უნარებთანაა მჭიდრო შესაბამისობაში. ამდენად, ენის მკაცრი მათემატიკური სტრუქტურულ-ფორმალური და სემანტიკური ანალიზი (ამოხსნა) ყველაზე უფრო მეტად გვაახლოებს ენის მატარებლის, როგორც გრძნობა-აღქმით, ისე აზროვნებით უნარებთან და ერთგვარად ამ უკანასკნელთა დამზერა-მოძიების (შეცნობის) გზად გვენიშნება. – ანუ, რამდენადაც იგია სიცოცხლე, სიცოცხლის, როგორც მივლენის და სუბიექტის, როგორც ამ მოვლენის განმხორციელებელი სახის შესწავლა-შემცენება ბუნებრივია მისი მარეალიზებლის ანუ ენის გავლით და მეშეობით ეაწარმოთ. ამგვარად, და ყველაფერთან ერთად, ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთი დასტურია ენისა და სუბიექტის ერთგვარი ერთი და იგივეობისა. ენა მეტყველებს ჩვენი, თუ ჩვენ ვმეტყველებთ ენით, ეს ქათმისა და კვერცხის თაობაზე დასმული კითხვის საფეხურზე მდგარი კითხვაა! – ჩვენი თვალსაზრისებით, ენა მეტყველებს ჩვენი, რამდენადაც, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ ჩადებული წინაგენეტიკური ენის ძიებაში ვართ და ეს სწორედ ჩვენი ენის მეტყველებას ნიშნავს. ეს თვალსაზრისები ჩვენითვის მით უფრო მნიშვნელოვანს ხდის ენის სიტყვითი მასალის მკაცრი მათემატიკური სემანტიკური ანალიზის პროცესს. აქ, ჩვენ იმ ჩადებული წინა გენეტიკური ენის ძიებაში მყოფნი, ვიმედოვ-

* გ. რამიშვილთან პრინციპში თითქმის იგივე შემდგენიერად არის ჩამოყალიბებული: – „ჯერ ენა, მერე – ადამიანი, ანდა (ასევე დაუსაბუთებელი): ჯერ ადამიანი, შემდეგ ენა!“ იხ. გ. რამიშვილი, „ენის ენერგეტული თეორიის საკითხები“, თბ., 1978.

ნებთ მისი დამზერისა და მოძიების შემთხვევაში, დღეს ღრმა ფილოსოფიური ღირებულების მქონე საკითხებზე უფრო ნათელი და განსაზღვრული ხედვების ჩამოყალიბება-განვითარებას, რაც საერთო მსოფლმხედველობითი თვალსაზრისების დაზუსტების და ამდენად, მისტერიულ-რელიგიური საფეხურებიდან მათი ცოდნით საფეხურზე გადატანის პერსპექტივებს გვისაზღვრავს. ეს შემდგომ ახლა კი უფრო კონკრეტულად: ჩვენი აზრით, 'აღსანიშნი' როგორც იდეა მხოლოდ ჩვენი გრძნობა-აღქმითი და აზროვნებითი უნარებითაა რეალიზებული, ხოლო 'აღსანიშნზე' 'ნიშნის' დადების იდეას აზროვნებითი უნარი უკეთებს რეალიზებას - ჭეშმარიტება კი იმაშია, რომ 'ნიშნის' მნიშვნელობა მისით მონიშნული 'აღსანიშნია'. 'აღსანიშნთა' აზროვნებითი კლასიფიკაცია, 'აღსანიშნთან' 'ნიშნის' გაიგივებით, 'ნიშნთა' კლასიფიცირებასაც ნიშნავს. აზროვნებითი ახალი 'აღსანიშნის' დამზერით ახალი 'ნიშნის' მოძიებისკენ გეკარნახობს. ეს ახალი ნიშანი ენაში (სამეტყველო ბუნებრივ ენაში) ახალი სიტყვით ირეკლება. თუ ახალი 'აღსანიშნი' წინა 'აღსანიშნებიდან' განსაზღვრებადი აზრითი იდეაა, მაშინ მისი მანიშნებელი სიტყვა, როგორც წესი, ამ განსაზღვრებადი კავშირის მატარებელია კომპოზიციურად. ეს, როგორც ჩანს, ჩვენი ენობრივ-აზროვნებითი უნარების ზოგადი უნივერსალური მახასიათებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი სიტყვა ახალი განუყოფელი-ატომალური შერწყმაა ენის ბეგრითი ნიშნებისა. ასეთი ახალი ატომალური სიტყვა-ნიშანი აფართოებს რა ენას, ჯდება მის გრამატიკულ წესთწყობაში და ენის ბუნებრივი ორგანული ნაწილი ხდება. - ასეთი ახალი სიტყვა ენობრივი სისტემის სტრუქტურას არ არღვევს. რაც შეეხება განსაზღვრებად ახალ სიტყვებს, ისინი იშლებიან რა მის კომპოზანტებად, წინა, უკვე განსაზღვრულ შინაარსებზე დაყრდნობილებს, გვაძლევენ ახალ, გასაგებ შინაარსებს, ვუწოდოთ ასე, აზროვნებითი კომპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც როგორც ჩანს, ასევე ერთ-ერთი საზოგადო უნარ-ჩვევაა აზროვნებითის, მაგრამ არა უნივერსალურად (ე. ი. ერთგვარად) გადაწყვეტილი სხვადასხვა ენობრივი სისტემისათვის! - ამდენად, უნივერსალური ენობრივი კატეგორიების ძიების პრინციპს, ჩვენ ეფიქრობთ, მიეყვებთ არა რეალიზაციების დონეზე (ე. ი. სხვადასხვა ენობრივ სისტემებში მათი კონკრეტული გადაწყვეტების საფეხურზე), არამედ იმ იდეის საფუძველზე, რასაც აზროვნებითი უნარების უნივერსალიზაცია, ანუ საერთო-საზოგადო ენობრივი უნარ-ჩვევითი პრინციპები უნდა ეწოდოს. ანუ, თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, ანუ ენობრივი უნივერსალიზების ძიება ენათა პარადიგმატულ ჭრილში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ერთი და იგივე ენობრივ-აზროვნებითი იდეის სხვადასხვა ენობრივი გადაწყვეტის შემთხვევაში არაუნივერსალური ენობრივი კატეგორიების არსებობის მიზეზების კვლევა-ძიება. ამ მიხრდა, განსაკუთრებით საინტერესოა და მნიშვნელოვანია ლეიბნიციუსული მიზანი, მოეძია „ადამიანის აზროვნებითი ანბანი“. არისტოტელედან იღებს სათავეს განსაზღვრებათა იერარქია, ანუ ის, რომ შემდეგით წინა არ ისაზღვრება. მათემატიკურ-აქსიომაურ ხედვებს საფუძველი ეკლდის გეომეტრით ჩაყვარა. პასკალი ამბობს: „გასაგებია რომ არსებობენ სიტყვები, რომლებიც შეუძლებელია იქნენ განსაზღვრულნი; და ბუნებას რომ არ ამოვესო ეს ჩვენი შეუძლებლობა და რომ არ მოეცა ჩვენთვის მათი პირველსაწყისი გაგება ყველა ჩვენი გამონათქვამი იქნებოდა გაუგებარი“ - ამ ცნობილი მათემატიკოსის და ფილოსოფოსების ნაზრევში ფაქტურად უკვე სახეზეა პოზიტივიზმის ძირეული საფუძველები: სწორედ ისინი და თანამედროვე მათემატიკური ლოგიკა გეკარნახობს როგორ უნდა მოწესრიგდეს და გადაწყდეს ნიშნის სემანტიკური პრობლემა ბუნებრივ

გადაწევენ ნიშნის სემანტიკური პრობლემა ბუნებრივ ენებში: ენაში უნდა დაიძებნოს, როგორც პასკალი გეანიშნებს, ძირეული, არაგანსაზღვრებადი სიტყვები. ასეთ სიტყვებს ა. ვერბიციკაია პრიმიტივებს უწოდებს. ლეიბნიციანთათვის ასეთი სიტყვები (ენობრივი) აზროვნებითი ანბანის შემადგენლები იქნებოდნენ; და შემდეგ, უნდა დაიძებნოს ამ სიტყვების მეშვეობით ყველა დანარჩენი სიტყვების ე. ი. განსაზღვრებადი სიტყვების შემომტანი განმსაზღვრელი წესები: ამის შემდეგ სემანტიკური ანალიზის პრობლემა არსებითად გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ განმსაზღვრელ წესთა სისტემა წინასწარვე იქნება მკაცრად და ფორმალურად განსაზღვრული დაახლოებით ისე, როგორც ამის შესაძლებლობას აღნიშვნათა თეორია იძლევა. აქვე იმზირება გზა ბუნებრივი ენობრივი სისტემის მკაცრი მათემატიკური მოწესრიგებისა ანალოგიურად იმისა, როგორც ეს ევკლიდემ გააკეთა ძირეული აქსიომატური მიდგომებით გეომეტრიაში და პასუხი კითხვაზე - 'რას ნიშნავს ეს?' - როგორც ცნობიერი, ისე ქვეცნობიერი ენობრივი პროცესების ჭრილში - ანუ ნიშნავს იმას, რაც კითხვად დაყენებულ ფორმაში მისი ამა თუ იმ განსაზღვრებადი ნაწილი-ფორმის ამა თუ იმ დასაშვები ჩანაცვლებით მიიღება! - და გამომდინარე ამ თვალსაზრისებიდან, მენტალური პროცესების მექანიზაციისათვის (და არა მარტო!) განმსაზღვრელი წესების მკაცრი მათემატიკური ფორმალიზაცია ფრიად მნიშვნელოვანი ხდება.

ახლა ძალიან მოკლედ ლინგვისტურ ბიო-ფსიქოლოგიაზე; დაეუბრუნდეთ ლეიბნიცს: ეთნო-გნოსეოლოგიური თვალსაზრისებით ფრიად საინტერესოა ის ეთნო-ენობრივ-აზროვნებითი ანბანი, რომლის მოძიების საშუალებასაც ზემოთ აღნიშნული მიდგომები და ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემა იძლევა; და ამგვარივე მიდგომებით სხვადასხვა ენობრივი სისტემების დამუშავებით მოძიებული სხვადასხვა ეთნო-აზროვნებითი ანბანების შედარება. ცხადია, სხვადასხვა ეთნო-აზროვნებითი ანბანების გარკვეული ტიპის თანაკეთით მიღებული იქნება სწორედ ლეიბნიცისეული ენობრივ-აზროვნებითი ანბანი, ან მისი ერთგვარად უნივერსალურად გაფართოებული ეარიანტი. ვფიქრობთ, აზროვნებითი ანბანის და ეთნო-აზროვნებითი ანბანის მოძიების პროცესში ჩვენ მაქსიმალურად მოგვეცემა საშუალება ქართული ენის საფუძველზე ქართული ეთნო-ფსიქო-ტი-პისათვის დამახასიათებელი სურათის აგებისა. გარდა ამისა, ენა ჩვენთვის არის სამყაროს აღმწერი და მმართველი საშუალება. სამყაროს კი ჩვენი ვყოფთ ორ ნაწილად: ეს არის სამყარო ჩვენს შიგნით არსებული და სამყარო ჩვენს გარეთ არსებული. ის 'აღსანიშნები', რომლებიც ჩვენს შიგნით არსებული სამყაროს შემადგენლებია და მათი აღმნიშვნელი სიტყვები სწორედ შეადგენენ და ქმნიან ლინგვისტური ბიო-ფსიქოლოგიის საკვლეუ არეალს. გასაგებია, რომ ენობრივი სისტემის მათემატიკური მოწესრიგება არაგანსაზღვრებადი სიტყვებისა და ძირეული აქსიომატური დებულებების საფუძველზე წინასწარვე გულისხმობს ენის მატარებელი სუბიექტის უნივერსალიზაციას, ანუ ენის მატარებელი სუბიექტების პიროვნული ფსიქო-სუბიექტური ფაქტორების ერთგვარ უგულვებელყოფას. ეს კი სწორედ ის საყრდენი იქნება, რაც უკვე ამ უნივერსალური იდეალიზირებადული ენობრივი სუბიექტის საფუძველზე მოგვეცემს ფსიქო-სუბიექტური ტიპაჟების კლასიფიცირების მკაცრ საფუძველებს. აქვე გვიქნება საფუძველი ბიო-ქიმიური პროცესების მსაზღვრელი სიტყვების გამოყოფა-კლასიფიცირებისა, რაც ბიო-ლინგვისტიკას და ფსიქო-ლინგვისტიკას ახალ, მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე გადაიყვანს; და რამდენადაც, ჩვენ ისევ წინაგენეტიკური ჩადებული ენის ძიებაში ვართ, არ არის გამორიცხული

შემეცნებითი და მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისებით სიტყვებმა და მათმა ღრმა მათემატიკურმა (აზროვნებითმა) შესწავლამ იმ დიდი წიგნის წაკითხვის საშუალება მოგვცეს, რაც ჩვენი მეტყველი ქართული ენით დღესაც იწერება, მით უფრო, რომ ამ თვალსაზრისებით პირველი კვლევები გვარწმუნებენ: სიტყვებმა უფრო მეტი იციან ჩვენს შესახებ, ვიდრე ჩვენ, ამ სიტყვების მცოდნეებმა, მათ შესახებ ვიცით.

წარმოადგენენ თუ არა ლოგიკური, პროგრამული და ბუნებრივი ენები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ტიპის სემანტიკურ სისტემებს? – ანუ ენობრივი ნიშნისა და ჩვენეული ენობრივი მსოფლხედვის შესახებ

„შესაძლებელია მთელი აზროვნების დაყვანა აღრიცხვაზე და აზრების სისწორისა - ანგარიშის სისწორეზე, თუ უმარტივესი ცნებებისათვის და მათი შეერთების ხერხებისათვის მოძიებულ იქნება ისეთივე მოხერხებული ნიშნები როგორიგვარნიც მათემატიკას აქვს თავის თავში.“

„ნიშნები არის ყველაფერი, რასაც ჩვენ აზროვნების დროს საგნების ნაცვლად ვსვამთ.“

ლ ე ი ბ ნ ი ც ი.

თანამედროვე მიდგომებით მეცნიერების განვითარების ისტორია განიხილება როგორც თეორიულ პარადიგმათა ცვლა. იცვლება ხედვა, იკვეთება ახალი მიზნები, შესაბამისად იქმნება თვისობრივად განსხვავებული თეორიები, რომელთაც ახალ საფეხურზე აყვავებენ მეცნიერული თვალსაზრისები მანამდე უკვე თითქოსდა ამომწურავად და ღრმად შესწავლილ საკითხებზე. სწორედ ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე თანამედროვე მათემატიკური და კომპიუტერული ლინგვისტიკის შემთხვევაშიც. ამ შედარებით ახალი მეცნიერული მიმართულებების უმთავრესი პრაქტიკული მიზანი არის ისეთი კოგნიტიური მანქანების, ანუ რაც იგივეა, ისეთი აღქმით უნარიანი ენობრივ-შემეცნებითი თვითმომქმედი ნაკეთობების შექმნა, რომლებთანაც ადამიანები თავისუფლად შექალებენ ამომწურავი მიზნობრივ-ფუნქციონალური და ენობრივ-იტელექტუალური ურთიერთობების დამყარებას არასპეციფიკური, ანუ, ბუნებრივად მოცემული, და მათ შორის, ენობრივად განსაზღვრული საშუალებებით. ამგვარად, დროითი მიმდინარეობის პერსპექტივაში ასეთ შემეცნებით მანქანებთან ადამიანთა ურთიერთკავშირები ითვალისწინებს არა მხოლოდ ვერბალურ ანუ სიტყვით, არამედ არავერბალურ ანუ არასიტყვით აღქმით პროცესებსაც და მოქმედებებსაც. დღეს უკვე ცხადია ის, რომ თანამედროვე და კლასიკური, მკაცრი, ლოგიკურ-ლინგვისტური ხასიათის თეორიული კვლევების შედეგების გაუთვალისწინებლად, და არსებითად მათზე დაყრდნობის გარეშე, წარმოუდგენელია, როგორც ასეთი მანქანების შექმნა, ისე ბუნებრივ-ენობრივი ინფორმაციის გამცემელ-დამმუშავებელი საშუალებების ისეთი ფორმალურ-მათემატიკური მოდელირება, რომ შესაძლებელი გახდეს იმგვარი პროგრამულ-კომპიუტერული სისტემების აგება, რომლებთანაც ადამიანები თავისუფლად შევლენ სრულ ბუნებრივ-ენობრივ კომუნიკაციაში. ასეთი მიზნებისა და ამ მიზნების განმსაზღვრელი თვალსაზრისების პირველ საფუძვლებად ძველბერძნულ ენობრივ-გამატიკულ – ლოგიკურ-ლინგვისტურ ხედვებთან ერთად დეკარტ-ლეიბნიციისეული ეპოქის უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი და მეცნიერულად

გაფორმებული სულისკვეთებანიც უნდა ჩაითვალოს, რაც, მიუხედავად უკვე აღნიშნულისა, იმ დიდი მეცნიერული იდეებით დატვირთული დიდი ეპოქის ხანგრძლივობაში, უფრო რეალობას მოკლებულ განუხორციელებელ ოცნებებად ესახებოდათ, ვიდრე ნამდვილად შესაძლო და განხორციელებად პერსპექტივებად. საკითხებისადმი უკვე განსაზღვრული საზოგადო დამოკიდებულება შეცვალა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ფორმირებულმა, დღეს მათემატიკური ლოგიკის სახელით ცნობილმა, ახალმა მეცნიერულმა მიმართულებამ. მათემატიკის დაფუძნების მიზნით განვითარებულმა იდეებმა და ფორმალური მეთოდებით მუშაობის აქ მიღებულმა გამოცდილებამ არსებითად განსაზღვრა თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის, ანუ ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზის, როგორც დღეს არსებული მიზნები, ისე ის მეთოდებიც, რითაც ამ მეცნიერულ სფეროში წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტისას სარგებლობენ. დღევანდელი რეალობის ასევე საეტაპო და ფუნდამენტური ხასიათის საფუძვლებად გაიგება აგრეთვე ვიერიესული უწყვეტი პროცესების ავტომატთა თეორია, და განსაკუთრებით კი, მაკალოკ-ნიემანისეული ციფრულ ავტომატთა თეორია. სწორედ მაკალოკ-ნიემანისეულ ციფრულ ავტომატთა თეორიით დაედო საფუძველი ისეთ, დღეს უკვე ფართოდ ცნობილ დეფინატორებს, როგორებიცაა ციფრული რეკოლუცია, ციფრული უთანასწორობა, ციფრული ტექნოლოგიები და სხვა. ციფრული გამოთვლელი მანქანების შემდგომი ლოგიკური და ტექნოლოგიური დახვეწის გზით გახდა შესაძლებელი დღევანდელი მძლავრ მონაცემებიანი გამოთვლელი მანქანების კონსტრუირება. პარალელურად აღნიშნული პროცესისა, როგორც ერთ-ერთი მონაწილე თვითონ პროცესისა, ინტენსიურად იწყებს განვითარებას პროგრამულ ენათა თეორია, რომელიც უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა, არა როგორც მხოლოდ უკვე არსებულ გამოთვლელ აპარატთა დაპროგრამირებად შესაძლებლობათა განმავითარებელი საშუალება, არამედ, აგრეთვე როგორც, ინიშნულად ჯერ არ არსებული, თუმცა კი, ჩანაფიქრობრივად ბევრად უფრო ღრმა შესაძლებლობების მქონე, და ამასთან, ფართო საზოგადოებისათვის თავისუფლად გამოყენებადი, ნოვაციური, გამოთვლითი ტექნოლოგიური საშუალებების ფორმალურ-თეორიული, და ამდენად, არქიტექტურული გადაწყვეტების უშუალო კონსტრუქტორ-მოდელიორი. ლოგიკური ანუ, როგორც მას სხვაგვარადაც უწოდებენ, არაიმპერატიული პროგრამირების იდეების განვითარებამ, რომელიც მათემატიკურ ლოგიკაში უკვე აპრობირებული ფორმალური ხედვების საფუძველზე ჩამოყალიბდა, დიდი როლი ითამაშა, როგორც ხელოვნური ინტელექტის ამოცანის სახელით ცნობილი სამეცნიერო სფეროს ფორმირებაში, ისე იმ დღევანდელი ტენდენციის დამკვიდრებაში, რასაც ნებისმიერი ტიპის პროგრამული ენის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური გადააზრება უნდა ვუწოდოთ. ამ უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულებებით მოძრაობაში ჩვენთვის არსებით და ფუნდამენტურ როლს თამაშობდა და თამაშობს პროფ. შ. ფხაკაძისეული ფორმალური აღნიშვნათა თეორიით განსაზღვრული იდეები და შესაძლებლობანი – წინამდებარე ნაშრომის ერთი მხარე ზუსტად აქ ხაზგასმული ტენდენციებით ნაგულისხმევ მიდგომებს ისაფუძვლებს. რაც შეეხება ნაშრომის, და შესაბამისად, უკვე აღწერილი პროცესების მეორე მხარეს, აქ ჩვენთვის სასაფუძვლოა ნიემანისეული პოზიტივისტური ხედვა ადამიანზე, როგორც გარკვეული ტიპის თვითმომქმედ ნაკეთობაზე და ბუნებრივი ენისადმი ხომსკისეული პოზიტივისტური დამოკიდებულება, რომელსაც იგი მიიჩნევდა ადამიანში გენეტიკურად

რეალიზებულ გარკვეული ტიპის ფორმალურ სტრუქტურად. ამ საწყისი ხედვიდან გამომდინარე, ხომსკი ცდილობდა ისეთი მექანიკური ნაკეთობის მოძიებას, რომელიც ენის სიტყვითი მასალის საფუძველზე შემძლე იქნებოდა აეგო ამ ენისათვის დამახასიათებელი ყველა შესაძლო სწორი ენობრივი გამოსახულება. ამასთან, მისეულ ენობრივ ავტომატს უნდა შესძლებოდა ამ უკვე აგებულ სწორ ენობრივ გამოსახულებებს შორის გარკვეული აზრით ისეთი სრული ეკვივალენტური კავშირების დამყარება, რითაც ამომწურავად იქნებოდა გათვალისწინებული ბუნებრივ ენობრივ სისტემაში ბუნებრივადვე არსებული ლოგიკურ-გრამატიკული და ზოგად-სემანტიკური ინტერესები. ხომსკის გრამატიკული წესების მიზნებში სწორედ ასეთი ენობრივი ავტომატის მოძიება, და შესაბამისად, ენობრივი სისტემის სიტყვითი მასალის საფუძველზე სწორი ენობრივი გამოსახულებების ამგებ წესთა სრული დეფინიცია იყო. ხომსკისეული ხაზის განვითარებით ჯერაღდ გაზდარი მივიდა GPSC-გრამატიკების სახელით ცნობილ განზოგადებული ფრანგული სტრუქტურების გრამატიკებამდე, რომელთა შემდგომი მოდიფიკაციის საფუძველზეც, მათი კომპიუტერული რეალიზაციის ინტერესების გათვალისწინებით, სტენფორდის ენის შესწავლისა და ინფორმაციის ცენტრში ჩამოყალიბდა და განვითარდა თავით მართული ფრანგების სტრუქტურათა გრამატიკა, რომელიც დღეს სპეციალისტთა შორის HPSG-გრამატიკების სახელითაცაა ცნობილი. ეს მიმართულება ზემოთ ხაზგასმული მიზნებიდან გამომდინარე დღესაც წარმატებით ვითარდება მთელ მსოფლიოში. ხაზგასასმელია ისიც, რომ თანამედროვე ლინგვისტური თეორიები ძირითადად ემყარება კლასიკურ თუ არაკლასიკურ ლოგიკასა და სიმრავლეთა თეორიაში განვითარებულ, და დღეს უკვე ამ მიზნებისათვის ფართოდ აპრობირებულ, მკაცრ, ფორმალურ-მათემატიკურ თვალსაზრისებს, რომელთა ბაზაზე, როგორც უკვე დადასტურდა, იგება საკმარისი გამომხატველობითი ძალის მნიშვნელოვანი ლინგვისტურ-სემანტიკური სტრუქტურები. უკვე ჩამოყალიბდა თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე კლასიკური თუ არაკლასიკური მათემატიკური ლოგიკის საფუძველებზე დამყარებული კვლევები ენის ბუნებისა, და საზოგადოდ, ადამიანის აზროვნებითი უნარის ახსნა-გაგებისათვის, უმნიშვნელოვანეს პერსპექტივებს უშლის თანამედროვეობას, რითაც უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ, და ფაქტიურად ფორმირებულად ჩავთვალოთ, ანთროპოლოგიური ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზი მეცნიერებაში.

ბუნებრივი ენების ფორმალური მოდელების აგებისას, თუკი მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების ფორმალიზაცია, ყოველთვის, ბუნებრივი ენობრივი სისტემის იერარქიულ სტრუქტურაში, ფორმალიზმისათვის რთულად ასაღებ და ძნელად გასაგებ საკითხად რჩებოდა ენის სემანტიკური და პრაგმატული საფუხურები. დღეს კარგადაა ცნობილი ხომსკის თვალსაზრისი, რომელიც ამბობდა, რომ თუ სემანტიკა ძირითად როლს თამაშობს ენის ძირეულ ბუნებრივ სტრუქტურაში, მაშინ ჩვენე ცდა წინასწარვე განწირულად უნდა ჩაითვალოსო! - სემანტიკაზე ამგვარ ხედვას ბლუმფილდით დაედო საფუძველი, მაშინ როდესაც კუმბოლდტისათვის ენის შინაფორმა არის ის უცვლელი, სისტემური და შეუცნობი, მუდამ მსწრაფი მოძრაობა სულისა, რომელიც არტიკულირებული ბგერის მეშვეობით ახერხებს აზრებისა და გრძნობების

ენობრივ ფორმებში მოქცევასა და გამოხატვას.[იხ. [22]]. გამომდინარე აღნიშნულიდან, ჰუმბოლდტისათვის ენა იყო არა იმდენად ერგონი ანუ უკვე მზა, დასრულებული, პროდუქტული ტიპის წარმონაქმნი, არამედ უფრო ენერგია ანუ მუდამ მსწრაფი, განვითარებადი და დაუსრუტელი ძალი სუბიექტის გრძობა-აზრითი მწარმოებლობისა, და ამდენად, ჰუმბოლდტისათვის სემანტიკა იყო არამარტო ორგანულად განწყობილი, არამედ, ამავედროულად ძირეული და სასაფუძვლო შემადგენელი ენისა, და აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, იგი უკვე მის შემდგომ განვითარებულ ბლუმფილდ-ხომსკისეულ ლინგვისტურ მსოფლხედვას მხარს არ დაუჭერდა, რამდენადაც, მათთვის, როგორც ეს ხომსკისეული ლინგვისტური მეთოდოლოგიის ზემოთ მცირედ მოცემული აღწერიდანაც ჩანს, ენა უფრო ერგონია, ვიდრე ენერგია! - ბლუმფილდისათვის სემანტიკა იმდენად ბუნდოვანი შემადგენელი იყო ენობრივი სისტემისა, რომ მას ჰუმბოლდტისეული, ანუ ანთროპოლოგიურად ძირმდებითი, სემანტიკური ხედვების გათვალისწინებით ვერც წარმოედგინა მეცნიერული ლინგვისტური თეორიის აგების შესაძლებლობა, რაც, ჩვენი თვალსაზრისებით, ამ ცნობილი მკვლევარის სიღრმისეული და სასაფუძვლო შეცდომა იყო. ამ მიმართულებით გარდამტეხად უნდა ჩაითვალოს რინარდ მონტეგიუს სრულიად ახალი მიდგომა. იგი ამბობს, რომ ვერ ხედავს ძირეულ განსხვავებას ბუნებრივ ენობრივ სისტემებსა და ფრეგესეულ ხელოვნურ ფორმალურ-მათემატიკურ ენობრივ სისტემებს შორის, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა ლინგვისტურ თეორიებში ლოგიკურ-მათემატიკური და სიმრავლურ-თეორიული მიდგომებისა და მეთოდების შეტანას. დღეს კარგადაა ცნობილი მონტეგიუსეული სიმრავლურ-თეორიული სემანტიკური თვალსაზრისები, და თუ სათაურში გამოტანილ შინაარსს კითხვის ნიშანი დაეუსვით, ჩვენ აქ ჰაუსერთან განვითარებულ თანამედროვე თვალსაზრისებს მონტეგიუსზე დაყრდნობითაც ვეკამათებთ. კერძოდ, როგორც ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის პირველმა შედეგებმა გვიჩვენა, ნამდვილად არ არის არანაირი არსებითი განსხვავება ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელ ფორმალიზმსა და ფრეგესეული ხელოვნური ფორმალურ-მათემატიკური ენებისათვის დამახასიათებელ ფორმალიზმებს შორის, და თუ აქ, ამ შემთხვევაში, თითქმის თავიდან ბოლომდე მონტეგიუს თეზას ვიმეორებთ, ჩვენ მისგან განსხვავებით უფრო ღრმად მივიღივართ იმით, რომ ხელოვნურად წოდებულ ფორმალურ-მათემატიკურ ენასაც ბუნებრივ ენად მივიჩნევთ და მას ანდროიდში არსებულ ქვეცნობიერ ბუნებრივ-ენობრივ სისტემად განვიხილავთ, რასთანაც დაპირისპირებაში უნდა იქნეს გაგებული ცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემით ნაგულისხმევი ტერმინისა და ცნების შინაარსი, რომელსაც ტექსტში, მანამადე, ბუნებრივ ენობრივ სისტემად ვიხსენიებდით. - ამგვარად, ჩვენი ანდრო-ლინგვისტურ-ლოგიკური ხედვები ითვალისწინებს ანდროიდში ჩვენს მიერ ცნობიერ და ქვეცნობიერ ენობრივ სისტემებად წოდებული ენობრივი სრუების ერთმანეთისაგან პირობითად განყოფილ თანაარსებობას. ამასთან, ჩვენეული ტერმინოლოგიით ცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის ცნებითი შინაარსი ემთხვევა დღეს ბუნებრივ ენობრივ სისტემად გაგებულ ცნებით შინაარსს, ხოლო ჩვენეული ქვეცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის ცნებითი შინაარსი, ერთისმხრივ, ერთგვარად ფრეგესეულ ფორმალურ-მათემატიკურ ენობრივ სისტემად გაგებულ ცნებით შინაარსთანაა გაიგივებული, მეორესმხრივ კი, ჩვენთვის იგი იმ ჰუმბოლდტისეულ ენის შინაფორმის ცნებითი შინაარსის დაზუსტებისკენ

მიმართული მცდელობაა, რომელზედაც შტეინთალი აღნიშნავდა: „ენის შინაფორმა პუმბოლდტისათვის მაღალი დანიშნულებით დაბადებული, მაგრამ მის ხელში სამუდამოდ სუსტად დარჩენილი ბავშვია“-ოქ[იხ. [22]] – ამგვარად, როდესაც ერთმანეთისაგან განვყავით ანდროიდით ბუნებრივად არსებული ცნობიერი და ქვეცნობიერი ენობრივი სისტემები, ჩვენ არსებითად შევეხმიანეთ ენის გარეფორმით და ენის შინაფორმით განსაზღვრულ პუმბოლდტისეულ ცნებით შინაარსებს, და თუ მაინც მისგან განსხვავებით აქ რაიმეს ახალს ვამბობთ, ვამბობთ იმას, რომ პუმბოლდტთან უკვე განჭვრეტილი ენის შინაფორმა ფრეგესეულ ფორმალურ-მათემატიკურ ენობრივ გარემოშია გაშლილი, და ვამბობთ კიდევ იმას, რომ, ჩვენი აზრით, შიდა ანდროიდისეული აზროვნებითი ფორმალურ-ინსტინქტური კავშირები ენის გარეფორმასა და მის შინაფორმას შორის ხორციელდება პროფ. შ. ფსაკაძისეული ფორმალურ აღნიშვნათა თეორიით განსაზღვრული სქემების მსგავსი ფორმალური საშუალებებით. – ეს ჩვენი სასაყრდენე ენობრივ ანთროპოლოგიური მსოფლხედვაა, თუმცა, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ანდროიდში გარდა ამ ორი ენობრივი შრისა ჩვენ ვცნობთ კიდევ ორ ენობრივ შრეს, რომელთაგან პირველი პირობითი ნაწილია ქვეცნობიერი ენობრივი შრისა და მას ძირეულ ქვეცნობიერ ენობრივ შრეს ვუწოდებთ, ამასთან, სწორედ მას მიეიხნეთ შემომქმედით თანდაყოლილ, და ამდენად, წინაგენეტიკურ ენობრივ შინაფორმად, რომლის საფუძველზეც და რომელთანაც ერთად განვითარებადი გენეტიკური მსაზღვრელობით მოიცემა თითოეული გენიურად არსებული ბუნებრივი ენის ასევე გენიურად არსებული პუმბოლდტისეული შინაფორმა, ხოლო მეორე, ჩვენივე პიპოთეტიური განჭვრეტილი უნარით არსებულად გაცნობიერებული ენობრივი შრე, ჩვენთან არაცნობიერ ანუ აპარატულ ანუ ბიოსური საფეხურის ენობრივ შრედ იწოდება. – ამ ნაშრომში ბიოსური საფეხურის ენობრივ შრეს უფრო მეტი დეტალურობით აღარ შევხებით, ამჯერად ეიტყვიტ მხოლოდ იმას, რომ ჩვენი წინჭვრეტიტ ბიოსური საფეხურის ენობრივი შრე სასაფუძველო მონაწილეობას იღებს ბიო-უჯრედოვანი მასის ერთი მთლიანი ბიო-სისტემური სახით ორგანიზირებაში, რაც შეეხება ძირეული ქვეცნობიერი ენობრივი შრით დეფინირებულ შინაარსს, მასზედ მცირეოდენად ქვემოთაც შევწერდებით.

დღეს უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე პრობლემაა ბუნებრივ-ენობრივი ფორმითი შინაარსების დაყვანა მკაცრ მათემატიკურ ფორმით შინაარსებზე. ანუ, ის რაც, გამომდინარე ჩვენი ზემოთ გატარებული ხედვებიდან, ჩვენ ვთვლით, რომ უკვე გადაწყვეტილია შიდა-ადამიანისეულ ენობრივ-აზროვნებით სამყაროში, თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტური კვლევების პირველ ეტაპობრივ მიზნად დაისახა. – უფრო გასაგებად აქ უკვე ფრაზირებულის შესახებ: გამომდინარე ჩვენი აპრიორულად ანუ სასაფუძველოდ განსაზღვრული ხედვებიდან ანდროიდული ტიპის ნებისმიერი კონკრეტულად მიმდინარე ცნობიერი აზროვნებითი პროცესის იწყება ამ კონკრეტული ცნობიერი აზროვნებითი პროცესის წარმმართველი ანდროიდის ცნობიერ ბუნებრივ ენობრივ სისტემაში, და კერძოდ, ცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის გარკვეული ტექსტუალურად მოცემული პირობის საფუძველზე, რომლის შემდგომი ლოგიკურ-ლინგვისტური ანალიზირების გზითაც, რასაც ფიქრითი პროცესის წარმმართველი ანდროიდი ახერხებს ცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემით და მასთან განუყოფლობით თანაზიარი ლოგიკურ-

შინაარსული კანონმდებლობით მასშივე გატარებული ცოდნის საფუძველზე, თავდაპირველი, ცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის ტექსტუალურად მოცემული, პირობა შინაარსის სრული შენარჩუნების გზით დაიყვანება ქვეცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის, ანუ რაც ჩვენთვის იგივეა, ფრეგეს ტიპის ფორმალურ-მათემატიკური ენობრივი სისტემის სემანტიკურად შესაბამის (ე.ი. შინაარსულად ეკვივალენტურ) ტექსტუალურ პირობაზე, რის შემდგომაც, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, აზროვნებითი პროცესი გრძელდება, როგორც ცნობიერი, ისე ქვეცნობიერი მიმართულებებით, თუმცა კი, ორივე შემთხვევაში მათემატიკურ ენობრივ გარემოში. ამგვარად, ჩვენთვის ფიქრი, ანუ ადამიანისუფლი აზროვნებითი უნარი, ეს ურთულესი შემადგენელი ანდროიდისუფლი ცოცხალი ბუნებისა, არის არა რაღაც „შეეცნობი მოძრაობა შემომქმედი სულისა“, არამედ, ანდროიდშივე ბუნებრივად არსებული ფრეგესული ტიპის ფორმალურ-მათემატიკურ ენობრივ გარემოში ნაწილობრივ ქვეცნობიერად მიმდინარე, რაციონალურად და კონსტრუქციულად განსაზღვრული, ცნობიერად მართვადი და მიზნობრივად ჩარევადი ალგორითმულობა დამყარებული ცნობიერი ბუნებრივ-ენობრივი ტექსტის ლოგიკურ-შინაარსული ანალიზირების ცნობიერ-ენობრივადვე რეალიზებულ ანდროიდულ შესაძლებლობებზე. – აქედან უნდა იქნეს დანახული ჩვენს მიერ ქვემოთ გაშუქებული ენობრივი ნიშნის სამშრიანი სტრუქტურული გააზრების ღრმა ბუნებრივი ღირებულება და შინაარსი, ანუ ის, რისი მეშვეობითაც მარტივად და ბუნებრივად ხორციელდება ლოგიკურ-ლინგვისტური ხასიათის ძიებებში ენობრივი სისტემის მატარებელი ერთეულის მეცნიერულად დაფუძნებულად ჩართვა, რაც გამომდინარე საკვლევ არეში მდებარე მიზნებიდან და ამოცანებიდან საჭირო აუცილებლობას წარმოადგენს.

ეხლა მივყვით ქაუსერს და მისი მეშვეობით გავაშუქოთ დღეს არსებული არამონტეპიუსეული კლასიკური ლინგვისტური ხედვები ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორებიცაა სემანტიკისა და ენობრივი ნიშნის პრობლემატიკასთან დაკავშირებული სპეციფიკები. – როგორც უკვე აღვნიშნეთ, სემანტიკა ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული და ძნელად აღსაწერი დონეა ენობრივ სისტემაში. უნდა ითქვას ისიც, რომ როგორც საზოგადოდა მინჩული, სემანტიკის საკითხი შორდება სუფთა ლინგვისტური ხასიათის პრობლემატიკას და იგი უფრო ფართო და ზოგად-მსოფლმხედველობითი ხასიათის პრობლემად გვევლინება. ამიტომაც, ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც ჩნდება ლოგიკურ, პროგრამულ და ბუნებრივ ენებთან ორგანულად მიბმული სემანტიკური სისტემების შედარებისას. რ. ჰაუსერი, [5]-ში გამოყოფს სამი პრინციპულად განსხვავებული ტიპის ენებს: ლოგიკურ ენებს, პროგრამულ ენებსა და ბუნებრივ ენებს და „შესაბამისად – სამი არსებითად განსხვავებული ტიპის სემანტიკებს. – წინამდებარე ნაშრომით, როგორც აღბრუნდებით უკვე გასაგები გახდა მკითხველთათვის, ჩვენ სწორედ ზემოთ გატარებული თვალსაზრისის გაბათილებას ვცდილობთ. დაუბრუნდეთ რ. ჰაუსერს. იგი ამბობს: ლინგვისტიკაში სემანტიკა გრამატიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სინტაქსურად გაანალიზებული ბუნებრივი ენის ზედაპირული ფორმებისგან წარმოქმნის მნიშვნელობის გამოხატულებებს. – ამგვარად: მისთვის ლინგვისტური სემანტიკა, ისევე როგორც სოსიურისათვის ენობრივი ნიშანი, ორდონიანი ბაზისური სტრუქტურაა. ამასთან, ჰაუსერისათვის იგი შედგება სინტაქსურად გაანალიზებული ენობრივი გამონათქვამებისა და მასთან დაკავშირებული

სემანტიკური სტრუქტურებისგან, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან განაწილების ალგორითმის საშუალებით:

I. ენის ზედაპირული დონე



სინტაქსურ-სემანტიკური
განაწილების ალგორითმი

II. სემანტიკური დონე

რ. ჰაუსერი მიიჩნევს, რომ თეორიულად, ერთი და იგივე ენისათვის სხვადასხვა სემანტიკური ინტერპრეტაცია შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა განაწილების ალგორითმის გამოყენებით. ამასთან, მისთვის სემანტიკის ყოველ ტიპს ახასიათებს მისი საკუთარი სინტაქსი, იმ მოთხოვნით, რომ მიღწეულ იქნეს სემანტიკური დონის ოპტიმალური კონტროლი ენის ზედაპირული ფორმების მეშვეობით. [იხ. [5] გე-372] - ამგვარად: რ. ჰაუსერთან ლინგვისტური სემანტიკა მეორადი გრამატიკული მოვლენაა, რომელიც უკვე მანამდე გრამატიკულად აგებული ენობრივი მასალის ლოგიკურ-სინტაქსური ანალიზის შედეგად მიიღება. - თავისთავად ამგვარი ფორმალურად გაგებული და მეცნიერულად დაფუძნებული ხედვების სუფთა თეორიული ღირებულებანი ჩვენთვის გასაგებია, თუმცა სიღრმისეული ანთროპოლოგიური და ბუნებისმეტყველებითი ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენ ამ თვალსაზრისებს არ ვიზიარებთ: - სემანტიკას ჩვენ პირველად, ძირეულ ენობრივ-აზროვნებით მოვლენად მივიჩნევთ. ჩვენთვის ენობრივ გრამატიკული სტრუქტურის არც ერთ დონეზე, გარდა ფონემატური საფეხურისა, უსემანტიკო ენობრივი ერთეული არ არსებობს, და ამდენად, თუნდაც სუფთა ლინგვისტური სემანტიკის მეორად გრამატიკულ მოვლენად გააზრებას ჩვენ ძირეულ შეცდომად მივიჩნევთ. - ანუ, ჩვენ ვთვლით, რომ თუნდაც ნებისმიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის გამომხატველობით და შინაარსულ პლანებს შორის გამმიჯნავეი ზღუდის ჩადება, და შესაბამისად, მათი მთლიანი და მექანიკური განცალკევება, იმდენადვე არამეცნიერულია, რამდენადაცვე არაადეკვატურია არსებული სინამდვილისა ის, რომ ბუნებრივი ენობრივი სისტემა ბუნებრივად არსებულად იქნეს გაგებული იმ ბუნებრივადვე არსებული ენობრივი ერთეულის გარეშე მხოლოდ რომელთანაც განუყოფელ მთლიანობაში იგი ბუნებრივად არსებულად გაიგება! - რას ნიშნავს ეს? - ანუ ოდნავ სხვაგვარად თითქმის იგივე თითქმის იგივეს შესახებ: ჩვენ ვერაფრით ვერ წარმოვიდგენია ლინგვისტიკაში სემანტიკის, ანუ ენაში შინაარსის, პრობლემის სრული და მეცნიერული გადაწყვეტა ენის მატარებელი ერთეულის ფორმალურ-ენობრივი ფსიქო-ლოგიკური მოდელის მოძიების გარეშე. - ეს ცხადია, რამდენადაც ნებისმიერი ენობრივი სისტემის ნებისმიერი ენობრივი ფრაზის, ისევე როგორც ნებისმიერი ენობრივი მორფემის და მორფემათა ნებისმიერი კომპოზიციური ენობრივი მთლიანობის შინაარსი, როგორც ამას თავად ეს სიტყვაც გვანიშნებს, არსად სხვაგან არ არის საძებნი, თუ არა გარდა იმ არსთა მატარებელი ერთეულის შიგა ბიო-აპარატული მთლიანობისა, რომლისთვისაც ეს არსნი, რიგ შემთხვევაში, მისი შიგა ან გარე გრძობა-ადქმითი უნარებით ნახორციელებულთა აზრითი ნაბეჭდებია, რაც საბოლოო ჯამში აზრითში ახალი ცოდნითი მონაცემებია ამ ენის მატარებელი

აპარატული-ერთეულის გარე ან შიგა ბუნებით მდგომარეობებზე, რიგ შემთხვევაში კი ისინი, გარე ან შიგა წინანებითი მიზნობრიობით ან მიზნულობრიობით აზრითში უკვე განხორციელებული ნაბეჭდების ქვემდებარე არსითი ნაღვეები, რომლებიც მერე ან გარე ან შიგა ენობრივ-აპარატული ქმედების სახით იხარჯებიან. - ჩვენ აქ, ძალიან მოკლედ, არა სქემებისა, გრაფებისა და სხვადასხვა მათემატიკური თუ არა მათემატიკური სიმბოლიკის გამოყენებით, არამედ სუფთა ენობრივი საშუალებებით ენობრივ-ლოგიკური აპარატული ერთეულის ღრმა განზოგადების საფუძველზე გაეაშუქეთ ლინგვისტური სემანტიკის ფუნდამენტურ პრობლემასთან დაკავშირებული ჩვენეული დამოკიდებულების ძირები, თუმცა სურათის უფრო მეტი სისრულით წარმოჩენის მიზნით უნდა ითქვას შემდეგიც: ჩვენ ვთვლით, რომ ენობრივ ფორმებსა და მათ შინაარსებს შორის ენობრივ-ლოგიკური აპარატული ბუნებრიობით უფრო მეტ შემთხვევებში არა პირდაპირი, არამედ შუალედური, თანდათანობითი და საფეხურდარივი კავშირებია, და ისეთ სიტყვებს, შესაბამისად მორფემებს, რომლებიც პირდაპირობით არ არიან დაკავშირებულნი თავიანთ შინაარსებთან ჩვენ პირობითად შინააზრიან სიტყვებს, შესაბამისად მორფემებს, უწოდებთ. ამასთან, ჩვენი თვალსაზრისებით, მორფოლოგიურად ორგანიზებულ ენებში შინააზრიან სიტყვათა ფარდობითი მოცულობა შინაარსიან სიტყვებთან მიმართებაში მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტად არის ენობრივი სისტემა გაჯერებული მორფოლოგიური შესაძლებლობებით. - უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ აქ განხილული თვალსაზრისები საკითხთა პირველი მიმოხილვა და არა მეტყვერულად დასრულებულია და მკაცრად ამოწმურავი პასუხები მათზე. ჩვენ აქ ერთგვარი დასაბუთებით შევეცადეთ მიგვეჩვენებია ის ერთადერთი დერძული ხაზი მხოლოდ რომლის გასწვრივაც მოძრაობის შემთხვევაშიც შესაძლებლად მიგეაჩნია პრობლემათა სრულ გადაჭრამდე მისვლა.

ქვემოთ ჩვენ შევეცადებით აქ წამოყენებული ხედვების უფრო სიღრმისეული ძირების წარმოჩენას. კერძოდ: ქვემოთ საუბარი გვექნება ენობრივი ნიშნის ფუნდამენტური ხასიათის ცნებაზე, რომელზედაც ჩვენეული თვალსაზრისით რა თქმა უნდა არსებითად ეყრდნობა სოსიურისეულ ხედვებს, მაგრამ ამჟამად უფრო მისგან პრინციპულად განსხვავდება იმით, რომ ჩვენთან ენობრივ-აპარატული ფსიქო-ლოგიკური 'შე' გამოტანილია სოსიურისეული ნაგულისხმეობის მდგომარეობიდან და ძირეულადე გაფორმებულია, როგორც 'აღსანიშნისა' და 'აღმნიშნელის' პირობითობით მკაცრდარეული და როგორც ამ მკაცრდარეულობის ენობრივ-აპარატულად რეალიზებადი და დამუშავებული საშუალება, რითაც სწორედ, ჩვენ ვცდილობთ, და ვახერხებთ კიდევ, ბუნებრივ-ენობრივი სისტემის სრულ ლინგვისტურ და ფსიქო-ლოგიკურ კანონმდებლობაში მისგან განუყოფელი ფსიქო-ლოგიკური ენობრივ-აპარატული 'შეს' ძირეულ და ბუნებრივ-განუყოფლობით შეტანას ადეკვატურად იმისა, რაც ჩვენი თვალსაზრისებით სახეზეა რეალობაში. - აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის, კლასიკური ენობრივი ნიშნობრივი ხედვების გამყრელიძისეული განზოგადება, რაც თავისმხრივ მოჰყვება თავად სოსიურისეული ფარდობითი მოტივაციის ნიშნის უფრო განზოგადებულ გაგებებს, ბევრად უფრო მეტი გამოკვეთილობით ითვალისწინებს კლასიკურ ნიშნობრივ გაგებაში ენის მატარებელი ერთეულის სახით ასევე ნაგულისხმევი ენობრივ-აპარატულ ფსიქო-ლოგიკურ 'შეს', თუმცა არც გამყრელიძესთან არ არის იგი ცალკე გამოყოფილი და დეფინირებული, არადა, ისევე როგორც ნიშნის სისტემა

არ შეიძლება იქნეს გასმენილ-გაგებული იმ მუსიკალური ინსტრუმენტის გარეშე, რომლისთვისაც იგია გაწერილი, ვერც ენა გააზრდება იმ ენობრივ-ნიშნობრივი ერთეულის აპარატულ-ინსტრუმენტული უნარ-შესაძლებლობათა გაუაზრებლად, რომელთანაც, რა ამავედროულად, რომლისთვისაც იგი არსებულობს. არნ. ჩიქობავა თავის შესანიშნავ ნაშრომში სათაურით „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომლის პირველი გამოცემა 1928 წლით, ხოლო მეორე გამოცემა 1968 წლით თარიღდება, ამოწურავად მიმოიხილავს ენათმეცნიერების განვითარების ისტორიას მოყოლებული ძველი ბერძნებიდან იმ დრომდე. აქ იგი დეტალურად ეხება ენათმეცნიერებაში ლოგიცისტურად და ფსიქოლოგიცისტურად ცნობილ მიმართულებების და, რამდენადაც თავად იგი გახლდათ სუფთა გრამატიკული ენათმეცნიერების აქტიური ქონიერი და მხარდაჭერი, ორივე ზემოაღნიშნული მიმართულებების ჩართვის ენათმეცნიერული კვლევების მიმდინარეობაში ფრიად გამართულად მიიჩნევს. იგი თავისი ენობრივი მსოფლხედით იმ ბლუმფილდისეული თვალსაზრისების მატარებელი იყო, რომელიც აგრეთვე ცდილობდა ენათმეცნიერებისათვის განესაზღვრა მისი კუთვნილი, სუფთა სტრუქტურულ-გრამატიკული, ენათმეცნიერული არგ. ამგვარი სუფთა ენობრივ-გრამატიკული ტენდენციები სოსიურის შემდგომი და ხომსკი-მონტევიუმდელი ენათმეცნიერებისათვის ერთ-ერთი ძირეული და დამახასიათებელი ხაზი იყო. უფრო მეტიც, მიუხედავად ხომსკისეულ რეეოლუციად ცნობილი სიდრმისეული მსოფლმხედვლობითი ხასიათის მოვლენებისა, ხომსკი არსებითად მაინც ვერ მოშორდა სუფთა, ანუ გრამატიკულ-სემანტიკური, ლინგვისტური ხაზით ნაკარნახევ თვალსაზრისებს. ამ მხრივ მონტევიუ იყო პირველი, რომელმაც შემოგვთავაზა და განავითარა ლინგვისტური სემანტიკისადმი მანამდე უცნობი, სუფთა მათემატიკური, სიმრავლურ-თეორიული დამოკიდებულება. მანვე პირველმა გამოთქვა თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ბუნებრივი ენობრივი სიტემების მათემატიკური, ფორმალურ-ენობრივი გადააზრება, რაც მთლიანობაში დღესაც თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის საფუძველმდებოთი და საყრდენი ხედვაა. ამით მონტევიუმ ჯერ კიდევ მანამდე ძველი ბერძნების მეცნიერული მიგნებების წიაღში გაფორმებულ ლოგიცისტურ ანუ ლოგიკურ-ლინგვისტურ ხაზს ახალი მიმართულება და შინაარსი მისცა. იგი თავისი ლინგვისტურ-ლოგიკური სედევების განვითარებისას გარდა ხომსკისეული ფორმალურ-ლინგვისტური თვალსაზრისებისა არსებითად ეყრდნობოდა მანამდე უკვე არსებულ, და კლასიკური მათემატიკური ლოგიკის ფარგლებში განვითარებულ, ლოგიკურ, ფორმალურ-მათემატიკურ და სიმრავლურ-თეორიულ ხედვებს. ამ მხრივ მისი მეთოდოლოგია ძირითადად ეყრდნობა ფრეგე-ჰილბერტისეულ ენობრივ-თეორიულ გარემოს და ჩორჩისეულ ლოკურატორს, რომელიც მისეული მიდგომების ძირითადი ფორმალური ინსტრუმენტია. ჩვენ, მონტევიუსეული ხედვები გაავლრმავეთ იმით, რომ ადამიანში, როგორც ენობრივ ჭურჭელში, ბუნებრივ ენასთან ერთად ქვეცნობიერ აზროვნებით შრეში ასევე ბუნებრივად არსებულად გამოვაცხადეთ ფრეგესეული მათემატიკური ენა. ამასთან, ჩვენ უაღირო, რომ ცნობიერ ენობრივ-აზროვნებით შრეში არსებული ენობრივ-ლოგიკური პრობლემების არსებითი წილი, და მათ შორის, ცნობიერად არსებული ბუნებრივი ენობრივი სისტემის სემანტიკურ პრობლემათა ძირითადი შემადგენლები, გასაგებად წყდება და იხსნება მასთან ერთად ქვეცნობიერად არსებულ ასევე ბუნებრივ ფრეგესეულ ფორმალურ-მათემატიკურ ენობრივ-აზროვნებით გარემოში. ამასთან, ჩვენს მიერ უკვე

დეფინირებულ და ანდროიდში ბუნებრივად არსებულ მოვლენებად გაგებულ ცნობიერ და ქვეცნობიერ ენობრივ-აზროვნებით შრეებს შორის მაკავშირებელი ძირითადი ფორმალური ინსტრუმენტი ჩვენთვის პროფ. შ. ფხაკაძისეული აღნიშნათა თეორიით განსაზღვრული საშუალებებია. ამგვარად, ჩვენი ენობრივი მსოფლხედვა და მეთოდოლოგია, ერთისმხრივ, ეყრდნობა მონტეგიოსეულ ზოგად ენობრივ თვალსაზრისებს და მეთოდებს, მეორესმხრივ კი, პრინციპულად განსხვავდება მათგან, რაც ჩვენ უფლებას გვაძლევს იმის თქმისა, რომ ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის, ჩვენს მიერ ეგერტწოდებული, პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერით ახალი, პრინციპულად განსხვავებული ლოგიკისტური ხაზი ისაზღვრება ლინგვისტიკაში. - აქედან და არა მხოლოდ აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის, რომ მიუხედავად არა. ჩიქობავას ნაშრომის თაობაზე ჩვენს მიერ უკვე ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისისა ეყრდნობით ვერ დაეუჭერთ მხარს იქ განვითარებულ მისეულ ხედვას, სადაც იგი ამბობს, რომ „მსჯელობისა და წინადადების პარალელიზმზე დაყრდნობით ლოგიკიზმი ვერ წყვეტს წინადადების საკითხს ოდნავ დამაკმაყოფილებლად, ვერ იძლევა წინადადებისა და მისი ელემენტების საჭირო და გამოსადეგ განსაზღვრებათ, და თუ ლოგიკოსები ცდილობენ ბოლო მოუღონ გრამატიციზმს ლოგიკაში, გრამატიკისათვის კიდევ უფრო აუცილებელია თავი დააღწიოს ლოგიკიზმს: ენობრივისა და ლოგიკურის გამოიჯნას მოითხოვს სასიცოცხლო ინტერესები, როგორც გრამატიკისა ისე ლოგიკის.“ - ამგვარ დასკვნას ავტორი ანეთარებს ჯერ სხვადასხვა ლოგიკისტური მიმართულებათა ანალიზირებისა, ხოლო შემდეგ, მათი განზოგადებისა და შეჯერების ხარჯზე. იგი კრიტიკულად წარმოგვიჩენს წინადადების საკითხთან დაკავშირებით მისი აზრით ლოგიკიზმისათვის დამახასიათებელ სუსტ მხარეებს, რომელთა კონტრკრიტიკას, გამომდინარე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული მიზეზებიდან, ჩვენ ჩვენ თავზე არ ვიღებთ, თუმცა კი, მიუხედავად უკვე აღნიშნულისა, დაყრდნობილი ჩვენსავე საკუთარ მიდგომებსა და ხედვებზე ამომწურავად ვაბათილებთ ავტორის მიერ საზოგადოდ გამოთქმულ თითოეულ კრიტიკულ თვალსაზრისს ლოგიკისტური ხაზის მიმართ. - ამ საკითხებს უფრო მეტი დეტალურობით ამჯერად არა, მაგრამ სხვა დროს და სხვაგან მათ ჩვენ მცირედ აუცილებლად შეეხებით. ჩვენ ვერ ვიზიარებთ ვერც მისეულ ზოგად დამოკიდებულებას ფსიქოლოგისტური ხაზისადმი, მაგრამ ამჯერად ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიზიარებდეთ მის უმეტეს შემთხვევებში სამართლიან კრიტიკას მთელ რივ კონკრეტულ ფსიქოლოგიკისტურ მიმდინარეობებზე. ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულ იქნა, რომ ამერიკული ბოპევიორისტული ლინგვისტური სკოლის ფარგლებში, და საზოგადოდ, ხელოვნური ინტელექტის ამოცანით განსაზღვრული პრობლემატიკის მოცულობაში ანთროპოლოგიური ლოგიკურ-ლინგვისტური მეცნიერული ხაზი უკვე ფორმირებულად ითვლება, და ამდენად, მცდელობა ენათმეცნიერების მხოლოდ სუფთა გრამატიკულ მიმართულებად განვითარებისა მიუღებლად და ყოველმხრივ გაუმართლებლად მიგვაჩნია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით ვერც დ. უზნაძისეულ ენობრივ მსოფლხედვას, რომელიც ეძებს რა პუმბოლდტისეულ ენის შინაფორმას ამბობს: „რა უფლება გვაქვს ეიგულისხმობთ, რომ ენას თვითონ აქვს თავისი საკუთარი, ადამიანისაგან დამოუკიდებელი, კანონები, და, მაშასადამე, უნდა არსებობდეს მეცნიერება, რომელსაც შეუძლია, ენობრივი სამყაროს შესასწავლად მის ფარგლებში

არსებული ფაქტების კვლევით დაკმაყოფილდეს, მაშინ როდესაც ეს ფაქტები ყოველთვის ადამიანთა აქტივობას გულისხმობენ?

თავისთავად ნათელია, ამ საკითხზე სათანადო პასუხის გარეშე, ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, არსებობა სრულიად დაუსაბუთებელი დარჩებოდა, და საგულისხმოა, რომ იგი – ეს საკითხი პირველად არსებითად სწორედ ენათმეცნიერების დამაარსებელმა, ვილჰელმ ჰუმბოლდტმა, დააყენა. რასაკვირველია, ეს მისი დიდი დამსახურება იყო ენათმეცნიერების წინაშე. მაგრამ არანაკლები სამსახური გაუწია მან ამ მეცნიერებას იმითაც, რომ არსებითად სწორი პასუხის მონახვა შესძლო ამ საკითხზე. ჰუმბოლდტი ფიქრობს, რომ ენას თავისი „შინაფორმა“ აქვს, და იმ კანონზომიერებათ, რომელთაც ენათმეცნიერი ადასტურებს ენის ცხოვრებაში და შესატყვისი გრამატიკული ფორმების სახით ვითვალისწინებს, ეს შინა ფორმა უნდა განსაზღვრავდეს.

ამრიგად ჰუმბოლდტის აზრით, ენას თავისი საკუთარი, შინაგანი პრინციპი აქვს, და ენაში დადასტურებულ კანონზომიერებათა გასაგებად და ასახსნელად მისი ფარგლების დატოვება და კვლევა ძიების მის გარეთ წარმოება გაუმართლებელი იქნებოდა. ენათმეცნიერება, ამისდა მიხედვით, სრულიად დამოუკიდებელ მეცნიერებად უნდა ჩაითვალოს.” [იხ. 22] - ამგვარად, იგი ჰუმბოლდტისეულ ენის შინაფორმას ცნობს ენათმეცნიერების ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად მაფორმირებელ საფუძველად, რაც ჩვენი მიდგომებიდან გამომდინარე თავიდანვე არასწორი მსოფლხედვაა, რასაც ბუნებრივია არც თავად ჰუმბოლდტი გაიზიარებდა, რომლისთვისაც ენა იმდენადვე ღრმა და შეუცნობი ფენომენი იყო, რამდენადაცვე ღრმა და შეუცნობი ადამიანი და მისი სულით შემოქმედებითი, აღქმადი, განცდიადი და აზროვნებითი ბუნება. - ეს ერთისმხრივ, მეორეს მხრივ კი, იმავე წყაროში, ჩვენ ეფიქრობთ, რომ ავტორი არა ნაკლებ სცდება სწორ ენობრივ მსოფლხედვას, როცა ენის ჰუმბოლდტისეული შინაფორმის როლსა და ფუნქციებს მისეულ ენობრივ განწყობას აკისრებს. - ამ ყველაფერთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნიშნობრივი მიდგომებით, რომელიც ცალკე გამოყოფს ენობრივ ფსიქო-ლოგიკურ 'მე'-ს, და ამით, მას საშუალებას აძლევს მასზედ სინამდვილით გადატანილი წილითი მონაწილეობა მიიღოს ნიშნობრივ-აპარატული ფსიქო-ლოგიკური სისტემის ახსნა-გაგების საქმეში, არსებითად ხსნის ზემოთ ნაწილობრივ განხილულ პრობლემებსა და სირთულეებს, რაც, გამომდინარე ჩვენს მიერ შემოთავაზებული გზის ბუნებრიობიდან, სხვაგვარი გზებითა და მიდგომებით ვერაფრით ვერ განხორციელდება. - ისევე ვიმეორებთ, ეს ჩვენთვის ცხადი, და უკვე დასაბუთებულად გააზრებული, მეცნიერული დამოკიდებულება! - ამ მიმართულებით საკითხებისადმი ჩვენიული ხედვა უფრო დეტალურად გაშუქებულია [23]-ში.

ზოგად კლასიკური ენათმეცნიერული თვალსაზრისებით ბგერები და ასოები შესაბამისად ზეპირმეტყველებითი და წერითმეტყველებითი ენის ენობრივი ნიშნების შემქმნელი საშუალებებია. ამასთან, ჩვენთან ენობრივი ნიშანი გაიგება როგორც 'აღსანიშნ - აღმნიშვნელის' დაწყვილება, რომელთაგანაც პირველი ამ ენობრივი ნიშნის ბუნებით-სამყაროსეული აზრითი მნიშვნელობაა, ხოლო მეორე აზრითმეტყველებითი ენისათვის ასევე ბუნებით-სამყაროსეულ აზრით მნიშვნელობას წარმოადგენს. ამგვარად, აღმნიშვნელი ჩვენთან აზრით მტყველებითი ენის ენობრივ ელემენტად არის გაგებული, რისი მეშვეობითაც

ენათმეცნიერული ხასიათის კვლევებში, ჩვენ, არსებულობის შესაბამისი ბუნებრივობით, ვახერხებთ ფიციკლინგვიციტური მიმართულებით ნაგულისხმევი პრობლემატიკის გათვალისწინებას. [იხ. [23]]. 'აღსანიშნ - აღმნიშვნელის' ასეთი გააზრება არსებითად თანმხვევა შინა რიჩარდსისეულ ნიშნობრივ სემანტიკურ ხედვებთან, რომელიც ფართოდან ცნობილი მისი სამკუთხედოვანი დიაგრამით, რომელსაც მიწერის სამკუთხედსაც უწოდებენ [იხ. [15] გვ. 29]. ამგვარად, 'აღსანიშნ - აღმნიშვნელის' კლასიკური დაწვეილება აზრითმეტყველებით, ზეპირმეტყველებით და წერითმეტყველებით ენებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ 'აღმნიშვნელის' სხვადასხვაგვარ, და კერძოდ: აზრით, ბგერით და წერით დასუბსტანტირებაში, მაშინ როდესაც, მიუხედავად ენობრივი სისტემების სხვადასხვაგვარობისა ენობრივი ნიშნის 'აღსანიშნად' წოდებული შემადგენელი ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში გადასვლისას არ ცვალებადობს და იგი ყოველთვის ფსიქიკაში, ანუ ჩვენთვის ენობრივ-აპარატულ ფიციკლოგიურ 'მეშ' ასახულა ერთიადიგეგვარად. ამგვარი მიდგომებით ჩვენ ვახერხებთ სხვადასხვა ტიპის ენებს შორის ბუნებრივად არსებული იზომორფული კავშირების დამყარებას, რაც თავისმხრივ შესაბამის ნიველირებას უკეთებს ზეპირმეტყველებითი ენის პრიატულ როლს სოსიურისეულ კლასიკურ ენობრივ თეორიებში. სოსიურის მიხედვით, ნიშანი არის არა მხოლოდ აკუსტიკური ხატი ანუ აღმნიშვნელი, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული, არამედ არის ერთი მთლიანი სტრუქტურა, რომელიც შესდგება აღსანიშნისა და აღმნიშვნელისაგან. აქედან გამომდინარე, ის იქვე, ნიშანს განიხილავს ისეთ ორსაფეხურებრივ, ორშრიან მთლიანობად, რომლის ორივე შემადგენელიც ფსიქიკურია. სოსიური ამბობს, რომ ნიშანი აწვეილებს არა საგანსა და სახელს (ეს არ არის ენობრივი პრობლემა), არამედ ცნებასა და აკუსტიკურ ხატს. ამასთან, ის მიიჩნევს, რომ ნიშანი არის აზრების ცნებებად და ხმათა სუბსტანტის ხმებად დამნაწევრებელი საშუალება. იქვე იგი აღნიშნავს, რომ ნიშანს თავისთავად არანაირი მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა არ გააჩნია, და რომ ამგვარს იგი მხოლოდ სისტემაში იძენს [იხ. [17]]. ამასთან, იმავე წყაროში, სოსიურს სისტემა გაგებულ აქვს როგორც ორგანიზმი, ხოლო ორგანიზმი როგორც სისტემა. თითქმის ანალოგიურ ტერმინოლოგიურ გაიგივებასთან გვაქვს საქმე მისეულ ტერმინებთან ცნება და აღსანიშნი, თუმცა ამ შემთხვევაში იგი დამატებით აღნიშნავს, რომ აღსანიშნს ის უფრო კარგ ტერმინად მიიჩნევს იმისთვის, რასაც ზოგჯერ ცნებადაც იხსენიებს. სოსიურთან ტერმინოლოგიურად იგივეება აგრეთვე აკუსტიკური ხატისა და აღმნიშვნელის ცნებები. აქვე იგი ამბობს, რომ აღსანიშნი აღმნიშვნელთან ერთად ჰქმნის ორშრიან ნიშნობრივ სტრუქტურას, რომელიც აღმნიშვნელის გარეშე მხოლოდ ფიციკლოგიის ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაშინ როდესაც, იგივე ნიშნობრივი სტრუქტურა აღსანიშნის გარეშე მხოლოდ ფიციკლოგიის ინტერესის საგანია - აქ ჩვენ ძალიან მოკლე გავაკეთოთ რეფერირება სოსიურისეული ნიშნობრივი ხედვებისა თავად სოსიურისეუ მემუოებით. ჩვენი ხედვები შორს არ არის ამ კლასიკური ხედვებისაგან, თუმცა არის რიგი პრინციპული განსხვავებები და ამ განსხვავებათა განმპირობებელი ასევე პრინციპული მიზეზები. - ქვემოთ ჩვენ სწორედ მათ წარმოიყენას შეეცდებით. დაუბრუნდეთ კვლავ სოსიურს, იგი [17]-ში ამბობს -

„ფიციკლოგიური თვალსაზრისებით ჩვენი აზროვნება, თუ ყურადღებას არ მიუქცევთ სიტყვებით მისი გამოხატვის შესაძლებლობას, წარმოადგენს


ამორფულ, დაუნაწევრებელ მასას. ფილოსოფოსები და ლინგვისტები ყოველთვის თანხმდებოდნენ იმაში, რომ ნიშნების გამოყენების გარეშე ჩვენ ვერ შევიძლებით საკმარისი სიცხადითა და სისტემურობით განგვერჩია ერთი ცნება მეორესაგან. აზროვნება ადებულები თავად თავისთავადობაში გავს ბუნდოვანებას, სადაც არაფერია ერთმანეთისაგან მკაფიოდ განრჩეული. ძირეულად განსაზღვრული ცნებები არ არსებობენ, ისევე როგორც არ არსებობს არანაირი განრჩეულობა ენის გამოჩენამდე.

თუმცა, განსხვავებით აზრთა ამ არამკაფიო, ბუნდოვანი ველისაგან, იქნებ ხმები თავიდანვე დანაწევრებულ სუბსტანტებად გვევლინებიან? სრულებითაც არა! ხმათა სუბსტანცია არ წარმოადგენს არც უფრო განსაზღვრულს და არც უფრო გამოკეთილს ვიდრე თავად აზროვნებაა. იგი არ იძლევა მზა ფორმებს, რომლებშიც დამჯერად იღვრებიან აზრები, არამედ პლასტიური მასაა და თვითონ იყოფა ისეთ განცალკავებულ ნაწილებად, რომლებიც მზად არიან ემსახურონ აზრებს მათთვის აუცილებელ ადმინიწველებად. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ენა მთელი მისი მთლიანობით გამოვსახოთ, როგორც ერთდროულად და წყვილად მიმდინარე რიგი ერთმანეთს მიყოლებული სეგმენტებისა, ერთის მხრივ, არამკაფიო, ბუნდოვანი ცნებების და, მეორეს მხრივ, ასევე არამკაფიო და ბუნდოვანი ხმების ერთნაირად არაგანსაზღვრულ შრეებში. ყოველივე ეს გარკვეული პირობითობით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სქემით (იხ [16], გვ. 145]).


სპეციფიური როლი ენისა აზრებთან მიმართებაში მდგომარეობს არა იმაში, რომ შექმნას მატერიალური ბგერითი საშუალებები აზრების გამოსახატავად, არამედ იმაში, რომ იმსახუროს მკაფიოებელ რგოლად აზრებსა და ხმებს შორის, ამასთან ისე, რომ მათ გაერთიანებას უცილობლად მიეყვადეთ გამიჯნული ერთეულების გაერთიანებამდე. აზრი, ქაოტური თავისი ბუნებით, საჭიროების შემთხვევაში ზუსტდება ნაწილებად დანაწევრების გზით. ამგვარად, არა აზრთა „მატერიალიზაცია“, ანდა ხმათა „სპირიტუალიზაცია“, არამედ ყველაფერი დაიყვანება იმ გარკვეული აზრით იდუმალ მოვლენაზე, რომ მიმართება 'აზრი - ხმა' ითხოვს გარკვეულ დანაწევრებას და, რომ ენა თავად იმუშავეს თავის ერთეულებს." (იხ. [16]). - აქ ვრცელ ციტატად მოტანალი სოსიურისეული ხედვები და მანამდე თავისუფალი ციტირებით გამოქვეყნებული ჰუმბოლდტისეული თვალსაზრისები ედება საფუძვლად იმას, რასაც დღეს ზოგჯერ ენის საარტიკულაციო ფუნქციას, ზოგჯერ კი ენის დანაწევრების ფუნქციასაც უწოდებენ. ჩვენთვის ენის საარტიკულაციო ანუ დანაწევრების ფუნქცია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რამდენადაც ჩვენთვის „აზროვნება“, განსხვავებით სოსიურისაგან, არ წარმოადგენს „ამორფულ, დაუნაწევრებელ მასას“, რომელიც გავს „ბუნდოვანებას, სადაც არაფერია მკაფიოდ ერთმანეთისაგან განრჩეული.“ ჩვენთვის აზრი არ არის „ქაოტური თავისი ბუნებით“, რომელიც „საჭიროების შემთხვევაში ზუსტდება ნაწილებად დანაწევრების გზით“. სოსიურისგან განსხვავებით ჩვენ არ ვთვლით, რომ „ყველაფერი დაიყვანება“ „იდუმალ მოვლენაზე“. პირიქით, ჩვენ ვთვლით, რომ გეცნობრული ინტერესებისა და პრინციპების გათვალისწინებით, თუნდაც რაიმეს დაყვანა „იდუმალ მოვლენაზე“ ნონსენსურია, და ამგვარად, ჩვენ ვერ ვდებულობთ, და ამდენადვე, ვერ ვგებულობთ შინაარსს ფრაზისა, „რომ მიმართება 'აზრი - ხმა' ითხოვს გარკვეულ დანაწევრებას და, რომ ენა თავად იმუშავეს თავის ერთეულებს.“ ჩვენ ვთვლით, რომ ძირეული სოსიურისეული შეცდომა იყო ის, რომ

მისთვის არ არსებობდნენ „აპრიორულად მოცემული“ ანუ „ძირეულად განსაზღვრული ცნებები“, რითაც იგი დაუპირისპირდა უკვე მანამდე არსებულ პასკალ-ლეიბნიცისეულ ანთროპოლოგიური ხასიათის ლინგვო-ლოგიკურ ხედვებს, რომლებიც თავისმხრივ ეყრდნობოდნენ რა პლატონიდან და არისტოტელედან მომდინარე და პითაგორელებთან და სტოველებთან უკვე ჩამოყალიბებულ ძველებერძულ თვალსაზრისებს ანეითარებენ მათ ევკლიდესეული ძირეული ანუ პირველსაწყისი და აქსიომატური გაგებათა მომცემი სიტყვა-ცნებათა არსებობის წინგურეტით, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უარყო სოსიურმა ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ მისეულ ციტატაში, და ამით, იგი იძულებული გახდა ეცნო ენამდე არსებული აზრთა „პოტური“, „არამკაფიო“ და „ბუნდოვანი“ სამყარო, რომლის „დანაწევრება“ და „არტიკულირების“ გზით მათი ხმწოვან ფორმებში მოქცევა ენის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრა, რაც, ისე ვიმეორებთ, ჩვენთვის მიუღებელი და მცდარი ენობრივი მსოფლხედვაა. – ჩვენ ენის ფუნქციას არა აზრთა ქაოტური, არამკაფიო და ბუნდოვანი სამყაროს დანაწევრებაში, არამედ, სწორედ არაქაოტურად, მკაფიოდ და ცხადად განსაზღვრულ აზრთა სამყაროს შემქნელი და მისი აზროვნებითად მმართველი პოტენციურობის მომცემი შესაძლებლობაში ეხედავთ. სოსიურთან ენა ცხოველმქმედია, ჩვენთან ცხოველმქმედების განმსაზღვრელი. სოსიურთან ენა ფუნქციებით ხასიათდება, და მასთან, ტერმინები „სისტემა“ და „ორგანიზმი“ ერთიდაიგივე ცნებების სხვადასხვა დეფინიციებაა. ამასთან, სოსიურისთვის, „ნიშნის თვითონ თავისთავად არანაირი მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა არა აქვს, არამედ იქნეს იგი ამგვარს სისტემაში“. ჩვენთან ენას თვითონ თავისთავადობაში არანაირი ფუნქცია არ შეიძლება განესაზღვროს, ფუნქციებით ჩვენ ენობრივი სისტემის მატარებელ ენობრივ ერთეულს ანუ ენობრივ ორგანიზმს ვახასიათებთ, რასაც ზოგჯერ უფრო ზოგადი დეფინირებით ენობრივ აპარატადაც ვისხენიებთ ხოლმე, რისი გათვალისწინებითაც, ენა ჩვენთვის ენობრივი აპარატის შესაძლო ფუნქციონალურ ქმედითუნარიანობათა ერთგვარად პოტენციურად განმსაზღვრელი ფარგალია. ამგვარად, ჩვენ პრინციპულად განვარჩევთ ენობრივ აპარატს, როგორც სისტემას, ენისაგან, როგორც სისტემისაგან, და მიუხედავად იმისა, რომ მათ მჭიდრო ერთიერთკაეშირში განვიხილავთ, არცერთ შემთხვევაში არ ვახდენთ მათ ერთმანეთთან გაიგივებას. შესაბამისად აღნიშნულისა, და აქედან გამომდინარე, სოსიურისაგან განსხვავებით, ჩვენთვის ენობრივი ნიშანი სამკლანიანი, სამშრიანი ენობრივ აპარატთან განუყოფელი და მასში ძირეულად გატარებული სემანტიკური სტრუქტურაა. ნიშნის ამგვარ გააზრებაში არსებითია ნიშნის მატარებელ ენობრივ-აპარატულ ერთეულთან ნიშნის უზოგადესი განუწყვეტლობით განხორციელებული ნიშნის უმარტივესი და უზოგადესი იდეა. ანუ, არაეითარ შემთხვევაში არ შემოიღება გააზრდეს უენოდ არსებული სამყაროს და, მათ შორის თუნდაც, აზრთა სამყაროსა და ენის, როგორც დანაწევრებელი, მარტიკულრებელი სისტემის პირდაპირი კაეშირები ამ ენის მატარებელი ერთეულის ასევე სისტემური გააზრების გვერდის ავლით და გარეშე! - ამიტომ, ჩვენ ეთვლით, რომ ენობრივი ნიშნის დეფინირებისას გრძნობა-აქქმითი და აზროვნებითი უნარებით განსაზღვრული პრაგმატული, კოგნიტიური, ლოგიკური და ფსიქოლოგიკური მე-ს ასპექტისა და სასაყრდენე როლის ცალკე გამოყოფისა და გათვალისწინების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ვერც სწორი ენობრივი მსოფლხედვის ჩამოყალიბებას და ვერც ბუნებრივი ენობრივი სისტემისა და ამ სისტემის მატარებელი ენობრივი

ერთეულის სწორად, ანუ, არსებული რეალობის ადეკვატურად ამსახველი სრული სისტემურ-თეორიული სურათის მოძიებას. – ეს ცხადია! – და აქედან გამომდინარე: ჩვენი ნიშნობრივი თვალსაზრისების ამსახველი სქემა შემდეგ სახეს იღებს:



ენობრივი ნიშნის რეალურ სამკლანობრიობას რა თქმა უნდა ფ. დე სოსიურიც გრძნობდა და ამჩნევდა, რომელიც 'აღსანიშნისა' და 'აღმნიშენელის' პირობით მიმართებას ფსიქიკურ პროცესად გაიაზრებდა. ეს სოსიურის თავდაპირველი სქემიდანაც ჩანს:



თუმცა, იმით რომ მან გააიგივა სისტემისა და ორგანიზმის ცნებები და შესაბამისად ენას ჯერ ენობრივად არაგაფორმებულ აზრთა არამკაფიო შრეში არტიკულირების ფუნქცია განუსაზღვრა, იგი, როგორც ჩვენ ეთლით, არსებითად აშორდა სწორ ენობრივ მსოფლხედვას, და ის, რომ ენათმეცნიერული კვლევების განვითარების იმ ეტაპზე მისი მთავარი ამოცანა ენის სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზი იყო არა მხოლოდ ნაწილობრივ, არამედ იქნებ არსებითადაც ამართლებს მის მიერ ენობრივი თეორიის ამ მიმართულებით განვითარებას.

ამგეარად, სოსიურთან ნიშნის იდეა გააზრებულია ენის მატარებელი ერთეულის გარეშე. მასთან 'აღსანიშნი' და 'აღმნიშენელი' ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული სუბსტანტებია. მათგან პირველი, მისი თქმით, ფსიქოლოგიის ხოლო მეორე ფიზიოლოგიის ინტერესის საგანს წარმოადგენს. ჩვენ გარდა სოსიურისეული 'აღსანიშნისა' და 'აღმნიშენელისა' ვიაზრებთ აგრეთვე

'მღნიშვნელს' და ამ უკანასკნელს 'ენის მატარებელ ერთეულთან' ანუ 'ენობრივ ფსიქო-ლოგიკურ მესთან' ანუ 'ენობრივ აპარატთან' ვაიგივებთ. გარდა ამისა, ჩვენთან, 'აღსანიშნი' და 'აღმნიშვნელი' არ განიყოფა ერთმანეთისაგან ისე ცალსახად და პრინციპულად როგორც ამას სოსიური აკეთებს. ჩვენი ლოლიკურ-ინტეგისტური მსოფლხედვის ძირითადი საყრდენი არის ენობრივი სისტემისა და ენობრივი აპარატის განუწყვეტლობითი ურთიერთგანყოფა ენობრივი აპარატის იმ კონსტრუქციულად რეალიზებული უნარის საფუძველზე, რაც მასში ნიშნის უზოგადესი იდეის, ანუ, პირობითად დაწყვილებულთა მეხსიერი მატარებლობის ამა თუ იმ ფორმით და ამა თუ იმ ძალით არსებულობა წარმოადგენს. - ჩვენ ამჯერად ამგვარი უზოგადესი მიდგომებიდან თავს შევიკავებთ და გადმოცემას გაუბარებლემთ ანდროიდისეული ენობრივი აპარატის საფუძველზე, ანუ, ქვემოთ საშუაარი ძირითადად გავრქვლდება ადამიანისეული ბიოსისათვის დამახასიათებელი სემასიოლოგიური ანუ ნიშნობრივი ხედვების ფარგლებში: ქართულმა ენობრივმა მსოფლხედვამ ერთმანეთისაგან განყო და სხვადასხვა სიტყვებით დანიშნა 'აზრი' და 'არსი'. ჩვენ შევეცდებით ჩვენი ხედვების ამ საფუძველზე დამკვიდრებას. სემიოტიკა ანუ ნიშანთმცოდნეობა შეისწავლის არა მარტო ენობრივ ნიშნებს არამედ საზოგადოდ ანდროიდისეული ბიოსისათვის დამახასიათებელ ნიშანთა ყველა შესაძლო და პრინციპულად განსხვავებულ ტიპებს. ჰუმბოლტდ-სოსიურისეული კლასიკური თვალსაზრისებით ერთმანეთისაგან განირჩევა სამი განსხვავებული ტიპის ნიშანი: ენობრივი ნიშანი, რომელზედაც ჩვენ უკვე გვეყრნა საუბარი, იქონა ანუ ხატი ტიპის ნიშანი და ინდექსი ანუ მაჩვენებელი ტიპის ნიშანი. ამ სამი ტიპის ნიშანს, და საზოგადოდ, ნებისმიერი ტიპის ნიშანს, აერთიანებს და ანზოგადებს უნარი იმისა, რომ ნიშნობრივ აპარატში აღსანიშნის აღმნიშვნელთან პირობითი დაწყვილების შედეგად შექმნას და გაატაროს შესაბამისი ცოდნითი მონაცემი, რაც თავისთავად ამ ნიშნობრივ აპარატში ერთგვარი აუცილებლობით გულისხმობს გარკვეულად რეალიზებულ გარკვეულ მეხსიერებით შესაძლებლობებს. - ეს ცხადია, და აქედან გამომდინარე, ენობრივ, ანუ ჩვენთვის რაც იგივეა, ნიშნობრივ აპარატში პრინციპში ნებისმიერი ტიპის დაწყვილება შეიძლება იქნეს ნიშნობრივ წყვილად გააზრებული, და ესეც ცხადია. მიუხედავად ამისა, თუ მაინც საუბარია ნიშანთა სამ ძირითადად განსხვავებულ ტიპზე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ანდროიდულად უნივერსალური ღრმა ბიოსური ლოლიკურობით განპირობებული და საზოგადოდ განსაზღვრულ-აპრობირებული ნიშანთა ტიპები. აქედან გამომდინარე, ნიშანთა უძირეულესი ტიპების ანალიზისას ჩვენ ვერ გავუქცევით ანდროიდის უზოგადესი ბიო-კონსტიტუციური უნარების ანალიზირებას. ჩვენთვის, ანდროიდი ანუ გრძნობა-აღქმითი უნარების მქონე არატრივიალური ფსიქო-ლოლიკური ნიშნობრივ-აპარატული ერთეული, თავის მხრივ შედის რა მის გარე და შიგა ბუნებით სამყაროსთან მისივე ბიო-კონსტიტუციით განსაზღვრულ გრძნობა-აღქმით ურთიერთობაში, იხატავს და მეხსიერად იმახსიერებს მას უშუალო არსობრივი პირდაპირობით. ამგვარი ურთიერთობით ნიშნობრივ აპარატში იქმნება არააზრობრივი, არამედ არსობრივი ხატური აღქმები, რომლებიც ბიოსურად რეალიზებული შიდა გონებითი ინსტიქტურობით, ანუ რაც იგივეა, აპარატულ-მექანიკური თავისთავადობით, ნიშნობრივად წყვილდება თითოეული არსობრივი ხატური სახის საგნობითი, თვისობითი ანდა მოვლენითი ხასიათის საარსთან, რაც მთლიანობაში განაპირობებს სხვადასხვა იკონური ანუ ხატური ტიპის

ანდროიდისეული ნიშნების არსებობას. ამგვარად, იკონური ნიშნების თაობაზე შემდეგით უნდა ჩამოყვალდეთ: ჩვენთვის ნებისმიერი იკონური ნიშნის აღმნიშვნელი არის გრძობა-აღქმითი აღგზნებითი საშუალებებით მიღებადი შიდა ადამიანისეული არსითი სამყაროს დროში და სიერცით ფორმაში განრჩეული, გამოკვეთილი და დამახსოვრებული შემადგენელი, რომელიც იმავე ადამიანისეული დროში გაშლილი და მიმდინარე ინსტიქტურ-მეხსიერებითი უნარებით ნიშნობრივად წყვილებულია შესაბამის გამღიზიანებელთან, ანუ, საარსთან. ამგვარად, ნებისმიერი იკონური ნიშანი ჩვენთვის სქემატურად 'არსი - საარსი' დაწყვილების სახით გამოიხატება. ამასთან, იმასაც ვითვალისწინებთ, რომ საარსთა სამყარო ნამდვილად არსებულ სამყაროსთან ან არის თანმთხვევაში, და ასეთ შემთხვევაში ნიშნობრივ-ენობრივ აპარატს გრძობა-აღქმითად სრულს ეუწოდებთ, ან არ არის, რაგვარ შემთხვევაშიც ნიშნობრივ-ენობრივი აპარატი გრძობა-აღქმითად არასრულად უნდა იწოდოს. გამომდინარე უკვე აქ გაკეთებული განსაზღვრებებიდან შეგვიძლია დავასკენათ, რომ ადამიანი გრძობა-აღქმითად არასრული ენობრივ-ნიშნობრივი აპარატია. უფრო მეტიც, ჩვენ ვთლით, რომ ნებისმიერი ცოცხალი ბიო-ერთეული ამ ერთეულისათვის ერთგვარად თანდაყოლილი და ერთეულით გაუცნობიერებელი თვითდამცველობითი უნარის სახით ახდენს რეგულირებას და, ჯერ კიდევ ჩვენთვის აუხსნელი გარჩევითობის წყალობით, ახერხებს იმგვარ საარსთა არ გაარსებას, რომელთა გაარსების შემთხვევაშიც მის ცოცხალ ცხოველქმედითობასაც ამა თუ იმ გეარისა თუ შინაარსის საფრთხე დაემუქებოდა. ამგვარად, თუ ერთი წუთით დაეუშვებთ, რომ დადევანთ ჩვენსმიერე კონსტრუირებული ენობრივ-ნიშნობრივი გრძობა-აღქმითი აპარატის გარკვეულ ფიზიკურ სამყაროში ტრანსპლანტირების პრობლემის წინაშე, მაშინ ჩვენ ის შესაძლებლობაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მიერ კონსტრუირებულის აპარატული აღნაგობიდან გამომდინარე, სატრანსპლანტაციო ფიზიკური გარემოს მისთვის არასასურველი შემადგენლებისაგან მისი დამცველობითი სისტემის დაყენება მას ტოვებს იმ ნამდვილად არსებული ფიზიკური სამყაროს მსოფლად იმ მისთვის ჩენი ჩანაფიქრით გრძობა-აღქმითად გაშლილ ნაწილში, სადაც იგი გამომდინარე მისივე აპარატული სპეციფიურობით თავს სრული გაჯერებულობით და ამომწურავობით იგრძნობს უსაფრთხოდ და ადაპტირებულად არამარტო მისთვის გაცნობიერებად რეალობასთან, არამედ რეალობის იმ მასში არა გაარსებად ნაწილთანაც, რომელისგანაც იგი ჩვენ, ჩვენზე ჩანაფიქრით გაემიჯნეთ. - იქნებ აქ გაშუქებული არც იყო ამჯერად სასურველი იმისათვის, რომ აქ გაშუქებულიყო, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი ხედვები არსებობენ, და რომ ეს სიღრმეებიც გასათვალისწინებელია. - ანუ, თუ აქ, ეფიქრობთ მარტივად და გასაგებად, მონიშნულიდან შეეხედავთ იმას, რასაც იდეალისტური ფილოსოფიური მსოფლმხედველობით ჩვენს გარშემო არსებული მატერიალური სამყაროს ჩენით არსებულობის პეგელისეული პრინციპი ითვალისწინებს, მაშინ ცხადლეი გასაგები გახდება იგი, ისევე როგორც ცხადლეი გაიგება ჩვენგან დამოუკიდებელი მატერიალურად არსებული სამყაროს არსებობა. და კიდევ ერთი: ჩვენ ვთლით, რომ ჩვენს გარშემო თუნდაც ნებისმიერი მატერიალური თუ არამატერიალური არსებულობა ჩვენთვის არარსებულად გაიგება თუ არანაირი ინფორმაცია ანუ არანაირი აღგზნება-აღგზნებულობა და შეშფოთება-შეშფოთებულობა ჩვენ მისგან არც მოგვეწოდება და არც უკვე მოწოდებული განგვეცდევინება. თუ იმ ყველაფრიდან გამომდინარე, რაც უკვე აქ

ითქვა შეეგზმიანებით ეინშტეინის ფარდობითობის პრინციპს, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სამყაროში ყველაფერი აბსოლუტურია, და რომ ფარდობითობა მოცემულია მხოლოდ აღქმაში ამ საყოველთაო აბსოლუტურობისა. აქედან გამომდინარე, ის, რომ მიუხედავად აღქმის ამგვარი აბსოლუტური ფარდობითობისა ენერგია ჩაკეტულ სისტემაში სულ მუდამ იგივეობს, ნიშანია იმისა, რომ იგი ცარიელი იდეა და არა აღქმადი ან არააღქმადი არსებულობა. ეს ერთი, და მეორე, რაც ამ ჩვენი თითქოსდა არაფრისმტკმელი ფილოსოფიური განსჯებიდან ისკვნება: ის რომ სინათლის სიჩქარე ჩვენს სამყაროში მაქსიმალურობს, და ამდენად, მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მახასიათებლად გვევლინება, ეს ჩვენთვის, როგორც იდეა, გამომდინარე ჩვენზე ნიშნობრივ-ენობრივი აპარატული ლიდიკურ-აზროვნებითი თანდაყოლილობიდან, გაუგებარია. აგრამ, ის, რომ ჩვენი, როგორც ნიშნობრივ-ენობრივი ლოლიკურ-აზროვნებითი გრძობა-აღქმითი აპარატული ერთეულის თანდაყოლილი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჩვენს გარშემო არსებული ჩვენსავე სამყაროში ჩვენთვის იყოს განსაზღვრული გრძობად-აღქმადი შეშფოთებების, ანუ გრძობად-აღქმადი ინფორმაციის, გრძელ მანძილებზე გადამტანი ველი, ჩვენი ჩვენშივე არსებული ბიო-ბუნებრივი-აღნაგობითი თავისებურებებით განსაზღვრული მისივე მაქსიმალური სიჩქარით, ეს ჩვენთვის, ისევე ეიმეორებთ, როგორც ნიშნობრივ-ენობრივი ლოლიკურ-აზროვნებითი გრძობა-აღქმითი აპარატული ერთეულისათვის, ლოლიკურად მისაღებიცაა და გასაგებიც. – და აქედან გამომდინარე: ეინშტეინისეული ფარდობითობის პრინციპებით განსაზღვრული ჩვენთვის ცოტა არ იყოს ლოგიკურად ძნელად გასაგებით მსოფლმედვის ნაცვლად ჩვენ ვლბებულობთ ლოლიკურად ცხადად და მარტივად გასაგებ ფიზიკურ მსოფლმედვას, რომელიც გვეუბნება, რომ ჩვენი სამყაროსათვის დამახასიათებელი საინფორმაციო ველის სიჩქარეზე მეტად აჩქარებული სხეული ჩვენი სამყაროს საარს საგანთა არედან გადის და ის მყისიერებაში ვერგარსებად ანუ უარსო საგანთა არის შემადგენლობაში გადადის. – ამ თითქოსდა ერთგვარი გადახვევით ძირითადი თემტიკიდან ჩვენ გვიწოდოდა გვეჩვენებია ის სიღრმეები რასაც ჩვენ ვცნობთ და ეხედავთ ანთროპოლოგიური ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზით ნაგულისხმევი მეცნიერული ხაზით წარმოებულ კვლევებში, და კერძოდ ის პერსპექტივები, რაც ამ მიმართულებით მიღებულმა შედეგებმა შეიძლება ითამაშონ თანამედროვე ფიზიკური მეცნიერების შემდგომი ანთროპო-ლოგიკური დაფუძნების საქმეში. ეხლა მცირედ შეეხოთ არსთა სამყაროსაც, რომელიც ენობრივი-ნიშნობრივ აპარატულ ერთეულში საარსთა სამყაროს ერთგვარი ხატური ნარეკლით მიღებული ასევე ნამდვილად არსებული სამყაროა. არსის ეს დუალური ბუნება ერთგვარ ბუნებრივ-რეკურსულ გენერაციას წარმოქმნის საარს საგანთა არეში, რაც ბუნებრივია დამატებით, მაგრამ არა გადაუწყვეტად სირთულეებს ქმნის შესასწავლ საკითხთა მთლიანობაში. აქ შემჩნეულ არსის დუალისტურ ბუნებას მცროსედენად და გაკვრით ქვემოთაც შეეხებით, მანმადე კი შევნიშნოთ, რომ 'არსი – საარსი' და წყვილებით გაგებული იკონური ნიშნებისათვის ნიშნობრივ-აპარატული ერთეულის აზროვნებითი სპეციფიკა შეიძლება დახასიათდეს მექანიკურად თუ არამექანიკურად რეალიზებული სახეთა გამომცნობი აპარატული შესაძლებლობებით. ამასთან, აქვე ვიტყვით, რომ ხმა, ასე მნიშვნელოვანი სოსიურისეული ენობრივი თეორიისათვის, ჩვენთვის მხოლოდ ერთი კონკრეტული ტიპის სახეა და მეტი არაფერი. იკონურ ანუ ხატურ ნიშანზე ჩვენეული ხედვების გაშუქებას დავასრულებთ იმ ხაზგასმით, რომ ჩვენთვის 'არსიც' და 'საარსიც'

არაენობრივი ელემენტებია, ისინი თითქმის ერთმანეთის ადეკვატური ბუნებითი სიღრმევით ხასიათდებიან, და ამდენად, ვერცერთი მათგანი ვერ შემოდის ენობრივ-აზროვნებით არეში მთელი მათვის დამახასიათებელი სისრულითა და სიცხადით. – ის რომ, 'საარსს' მისი უკვე გაცნობიერებული 'არსის' გავლით 'სახელი დეარქვით' სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ან 'საარსი' ან მისი 'არსი' გავაენობრივად მთელი მათი გარე ან შიგა ბუნებრივობით განსაზღვრული სირთულევით, და შესაბამისად ამისა, ისინი ენობრივ-აზროვნებითი ეკლის ცხად და ამომწურავ შემადგენლებად ვაქციეთ. კიდევ ერთი შენიშვნა იკონური ნიშნის 'არსი – საარსი' კოსტრუქციის შესახებ: 'საარსის' 'არსი', როგორც 'საარსის' ნიშანი 'არსის' ერთ-ერთი მენტალურ-ფუნქციონალური დანიშნულებაა, თუმცა 'არსი', როგორც გრძნობა-აღქმად ნიშნობრივ-აპარატულ ერთეულში გარკვეულად უკვე არსებული შიდა ბიოსური 'საარსო შემადგენელი' რა მოცულობით დებულობს მონაწილეობას 'სუფთა საარსო საგანთა სამყაროში', სად სცილდება იგი მისსავე 'სუფთა არსით ბუნებას' და სად იწყებს ცალკე 'საარსო საგნობრივ ყოფაქცევას' ეს კიდევ ცალკე საკვლევი პრობლემატიკაა და ამაზედ ამჯერად არ შეეჩრდებით. საკვლევია აგრეთვე საგანთა, თვისებათა და მოვლენათა არსით აღქმათა ურთიერთ განმასხვავებელი და ურთიერთ არაგანმასხვავებელი თავისებურებანი, და საზოგადოდ, დასაზუსტებელია ანდროიდულ ნიშნობრივ აპარატში 'არსითი აღქმით' ნაგულისხმევი ცნებითი შინაარსი, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მინიშნევებით რა თქმა უნდა ჯერ კიდევ მთელი ამომწურაობით დაზუსტებულად ვერ ჩათვლება. ეხლა დაეუბრუნდეთ ენობრივი ნიშნის ცნებას, ანუ, უფრო ზოგადი დუიონიციით, სიმბოლო ნიშნის ცნებას: ანდროიდში ჩვენ ერთმანეთისაგან განვარჩევთ ორი ტიპის სიმბოლო ნიშნებს: მათგან პირველი ჩვენ 'არსის სახელი – არსი' სქემით, ხოლო მეორეს 'აზრის სახელი – აზრი' სქემით გამოვხატავთ. ამასთან, ჩვენთვის 'არსის სახელი' და 'აზრის სახელი' ენობრივი ელემენტებია, 'აზრი' კი ენობრივ-ნიშნობრივ აპარატულ ერთეულში უკვე განსაზღვრულად მოცემული ენობრივი ელემენტებით ენობრივად აგებული გარკვეული ცნებითი შინაარსის გამოსახულებაა. ამგვარად, ჩვენს მიერ განვითარებული ენობრივ-ნიშნობრივი თვალსაზრისებიდან გამომდინარე არ არსებობს არანაირი არანიშნობრივად არსებული არამკაფიო და ბუნდოიანი აზრით შრე, და შესაბამისად, არ არსებობს არანაირი აუცილებლობა იმისა, რომ ენა „ღრმა იდუმალი კანონზომიერებით“ მოცემული, და ამდენად, ჩვენთვის განუგებარი „არტიკულაციის გზით დაანაწევროს“ და ამგვარად აქციოს იგი მერე უკვე ჩვენთვის ენობრივად გასაგებ აზრებად. პირიქით, ჩვენთვის, სოსიურისაგან განსხვავებით, აზრთა სამყარო იქმნება ენობრივ-ნიშნობრივ აპარატულ ერთეულში ამავე აპარატული ერთეულის მიერ უკვე მანამდე შემოტანილი ენობრივ-ნიშნობრივი ელემენტებისა და მასში ბუნებრივ-აპარატულობით ასევე უკვე არსებული ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ენობრივ-ნიშნობრივი სისტემური შრეების საფუძველზე ისევე ამავე ენობრივ-აპარატული ერთეულის გარკვეული მიზნობრივობით ან მიზნობრივობით განპირობებული აქტივობით. ამასთან, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ერთერთი ძირეული პირველსაწყისი ამ ყველაფრისა, ენობრივ-ნიშნობრივ აპარატულ ერთეულში ნიშნის უზოგადესი იდეის აპარატულ რეალიზაციასთან ერთად, არის ჩვენს მიერ ძირეული ქვეცნობიერ ენობრივ შრედ წოდებული სასაფუძველო ენობრივ-ნიშნობრივი შემადგენლის ბიო-აპარატული არსებობა და მისივე აპარატულად თანდაყოლილი პოტენციური უნარი თანდათანობითი

ფორმალურ-ენობრივი და ლოგიკურ-ოპერაციული გაფართოებისა, თანაც ისე, რომ ყოველი ახალი ფორმალურ-ენობრივი თუ ლოგიკურ-ოპერაციული გაფართოება იყოს გაგებადი წინა გაფართოებამდე არსებულ ენობრივ-აპარატულ შრეში. ამდენად, ჩვენ განსხვავებით თანამედროვე კლასიკური ენობრივი ხედვებიდან ენის ძირითად მახასიათებლად მივიჩნევთ არა გამოსატყვის (expressio), კომუნიკაციის (communicatio) და დანაწევრების (artikulatio) ფუნქციებს არამედ შინაარსთა და შინააზრთ ტევადობისა და ენობრივ-ნიშნობრივი აპარატული ერთეულისათვის ამ შინაარსებისა და შინააზრების ფარგლებში ენობრივ-ნიშნობრივი თვითგაგებადობის რეალიზაციას. ამგვარად ჩვენთვის, ნიშანთა ორგანიზებული სისტემის, ანუ ენის, ძირითადი მახასიათებელი არის ის, თუ როგორ იღებს და არამდენად ახერხებს მისი მეშვეობით ამ ენის მატარებელი ნიშნობრივ-ენობრივი აპარატი, რომ საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ან მისი რომელიმე აპარატული უნარით გათვალისწინებული კმედება, როცა ენობრივად მას ენიშნება ამ კმედებაზე მოწოდებითი, ან თუ გნებავთ ბრძანებითი, შინაარსის ენობრივი გამოსახულება, ანდა ნიშნობრივ-ენობრივად გამოხატოს ანუ გაიგოს, ასევე მისი რომელიმე სენსორულ-აპარატული უნარით მასში გატარებული და მისი ამ სენსორული შესაძლებლობით მის მიერვე მიღებული მონაცემი, ანკი მისივე ნიშნობრივ-ენობრივი და აპარატულად რეალიზებული ლოგიკურ-ანალიზური უნარებით და გარკვეული წინასწარი კითხვით განსაზღვრული მიზნობრიობის გათვალისწინებით გადაამუშავოს მასში მეხსიერებითად შენახული, ან უკვე გაგებული, ან კი იქნებ, ჯერ კიდევ გაგების მიღმა რჩენილი, ენობრივ-ცოდნითი მონაცემები, ამ აპარატისათვის ერთგვარად ახალი ენობრივ-ცოდნითი და მისთვის გაგებადი დასკვნითი შინააზრის მოძიებამდე, რომელიც უკვე ენობრივ-ნიშნობრივად გაფორმებული აფართოებს მის ენობრივ-ცოდნით მეხსიერებით მონაცემებს, და შესაბამისად, ზრდის აპარატის ენობრივი გაგებულობის ფარგალს. - დასკვნის სახით: ჩვენთვის ენა არის ენობრივად ორგანიზებულ აპარატში გამეგებ მოქმედებით უნართა და ენობრივი აპარატისათვის სამოქმედოდ გაგებად გამოსახულებათა მფორმირებელი საშუალება. - ეხლა ძალიან მოკლედ ინდექსი ნიშნის ჩვენეული გაგების შესახებ: ჩვენთვის ინდექსი ნიშანი არის 'არსი - აზრი' ტიპის კონსტრუქცია, რომელიც უკვე გაფორმებულ აზრით სამყაროში იძლევა პირობათად მონიშნული აზრის შემოკლებულად ხატური ანუ არსითი მანიშნებლით დაინდექსირების ანუ დანიშვნის საშუალებას. ამდენად, ჩვენთვის ინდექსი ნიშანი იერარქიულად უფრო მაღალი საფეხურის ნიშანია ვიდრე ენობრივი ანუ სიმბოლო ნიშანი, რომელთა გარეშედაც ჩვენ რა თქმა უნდა არ მოგვეცემოდა საშუალება არანაირი აზრის, და შესაბამისად, არანაირი ინდექსი ტიპის ნიშნის გაფორმებისა. ინდექსი ტიპის ნიშნების კარგი მაგალითებია საგზაო ნიშნები. ცხადია, რომ ისინი ჩვენში ხატურად შემოსულნი 'არსი - აზრი' ტიპის დაწყვილებით მანიშნებლობენ მათი მეშვეობით განსაზღვრულ შინააზრებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტყველების ინტონირება, და მისთვის ასევე დამახასიათებელი, და მასზევდ თანართული მიმიკა, ინდექსი ტიპის ნიშნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად გაეცელებული და ენობრივად ფართედ დატვირთული კლასებია, და აქედან გამომდინარე, მათი ფსიქოლოგიცისტური, ლოგიცისტური და სუფთა ლინგვისტური (რომლებიც, ჩვენ ვფიქრობთ, არც არსებობენ!) თავისებურებათა შესწავლა ინდექსი ნიშნის ზემოთ შემოთავაზებულ გაგებებზე დაყრდნობილებმა უნდა წარმართოს. უკვე აქვე შეიძლება ითქვას, რომ წინადადებაზე ზოგად ლოგიცისტური და

ფსიქოლოგიცისტური ხედვების ჩიქობავასეული კრიტიკის ერთი არსებითი არგუმენტი, რომელიც იხილავს რა ერთსიტყვიან წინადადებებს, რომელთაგან უმეტესობა ან შორისდებულთ ან ერთგვარი ემოციური შეძახილით ფორმდება, მიიჩნევს, რომ ამგვარი ენობრივ-გრამატიკული ფორმებით მოცემული წინადადებებით არანაირი მსჯელობა არ ფორმდება, და აქედან გამომდინარე ასკენის იმას, რომ, ლოგიცისტური მეთოდოლოგია ვერ ერევა წინადადების პრობლემას, რადგან ლოგიცისტური პრინციპების შესაბამისად მათ წინადადებად ვერ განვიხილავთ. – ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემები მარტივად წყდება, ოღონდ, თუ მანამდე იმას დავინახავთ, რომ ასეთი ტიპის ერთსიტყვიანი წინადადებები ზემოთ აღნიშნულს გათვალისწინებით უნდა ინდექსი ტიპის წინადადებად განვიხილოთ, რითაც ყოველნაირიგვარი წინააღმდეგობანი და სირთულეები არსებობდა იხსნება.

თუ სოსიურის შემდგომი ბლუმფილდ-ხომსკისეული ენათმეცნიერება ვითარდებოდა დესემანტიზირებული ენობრივი ფორმების მაწესრიგებელი და მარეგულირებელი წესების სრული და ამომწურავი მოძიების გზითა და მიზნებით, გასაკები ხდება, რომ ამგვარი კვლევების განსავითარებელ საყრდენად სწორედ სოსიურისეული ნიშნის პრიმიტიული ორშრიანი სტრუქტურა უნდა ყოფილიყო აღებული, რომელიც გააზრებული იყო რა აზროვნებით სემანტიკურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირში, მინც მისგან იგნორირებულად განიხილობოდა. გასაკები იხიცი, რომ პალსერთან განვითარებული სემანტიკური ხედვები სწორედ ნიშნის სოსიურისეულ პრიმიტიულ გაგებას ემყარება. ნიშნის ჩვენეული თვალსაზრისით ღინგვისტური კვლევის სფეროში შემოდის ჩვენს მიერ 'მღნიშვნელად' წოდებული "ნიშნის იდეის მხორციელებელი" 'ენობრივი ფსიქო-ლოგიკური მე', რომელიც, როგორც 'ბუნებრივი ენის ბუნებრივადვე მატარებელი ენობრივი ერთეული', თუ ენათმეცნიერული კვლევის მიღმა დაეტოვეთ, მაშინ უნდა გვესმოდეს, რომ თავიდანვე საკვლევი სფეროს მიღმა ეტოვეთ ისეთ ძირითად ენობრივ საყრდენსა და მოვლენას, რომლის გარეშეც ცხადია ვერაფრით მოხერხდება ისეთი ურთულესი ენობრივი საფეხურის აღება, რაგვარსაც ენობრივი სისტემის სემანტიკური სიღრმე წარმოადგენს. ამგვარად, თანამედროვე ლოგიკურ-ღინგვისტური ხაზით განსაზღვრული კვლევიითი მიზნების პროდუქტიული წარმოებისათვის სახეზეა აუცილებლობა: ნიშნის სოსიურისეული ორდონიანი გაგება შეიცვალოს და დაზუსტდეს ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სამდონიანი ნიშნითი ხედვებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერაფრით შევძლებთ ბლუმფილდ-ხომსკისეული არასემანტიკური ღინგვისტური თვალსაზრისებიდან მონტეგოუსეულ ლოგიკურ-ღინგვისტურ თვალსაზრისებზე გადასვლას და იმ მიმართულებით გავრმაგებას, რასაც ხელოვნური ინტელექტის პრობლემატიკა და მასთან ბუნებრივად მიბმული ადამიანისეული ბუნებრივ-ენობრივი აზროვნებითი პროცესების მათემატიკური მოდელირება გვთავაზობს.

კიდევ რამოდენიმე სიტყვა ენობრივი ნიშნის ჩვენეული თვალსაზრისების შესახებ: ჩვენთვის ენობრივი ნიშანი 'ენობრივ-ლოგიკურ მეში', რომელიც აუცილებელი არ არის ანდრო-ენობრივ ერთეულად იქნეს გაგებული, კქმნის ძირეული ნიშნობრივი იდეიდან მომდინარე ცოდნას იმის თაობაზე, რომ 'აღმნიშვნელი', როგორც ენობრივი ელემენტი, მანიშნებლობს მასზედ შინაარსულ

პლანად 'მეთით მეში' უწყვეტად მიბმულ 'აღსანიშნზე' - ანუ: კითხვაზე - რას ნიშნავს 'აღმნიშნელი'? - 'ენობრივ მეში' არსებობს ერთადერთი და ტრივიალური პასუხი: ნიშნავს მასთან ამავე 'მეს' გავლით დაწყვილებულ 'აღსანიშნს' და ის ამას ნიშნავს ამავე 'მეში', რითაც სწორედ 'ენობრივ-ლოგიკური მე' ნიშნით რეალიზებად 'ცოდნით აპარატად' იწყებს ჩამოყალიბებას. ამასთან, ნიშანს ეუწოდებთ ნაწილობრივენობრივს ანუ ნაწილობრივაზროვნებითს ანდა გარეენობრივს ანუ გარეაზროვნებითს თუ მისი 'აღსანიშნი' არაენობრივი ელემენტია, ხოლო თუ ნიშნის 'აღსანიშნი' ენობრივი ელემენტია, მაშინ ასეთ ნიშანს ენობრივ ანუ აზროვნებით ანდა შიდაენობრივ ანუ შიდააზროვნებით ნიშანს ეუწოდებთ. გამომდინარე აქედან, ჩვენთვის, 'არსის სახელი - არსი' ტიპის ნიშნები ნაწილობრივენობრივი ანუ გარეენობრივი ნიშნებია, მაშინ როდესაც, 'აზრის სახელი - აზრი' ტიპის ნიშნები ენობრივ ანუ შიდაენობრივ ნიშნებს წარმოადგენენ. ამგვარად, ჩვენთვის 'აღსანიშნთა' ერთობლიობაში ერთმანეთისაგან ბუნებრივად გამოიყოფა აზრითი ანუ ენობრივი და არსითი ანუ არაენობრივი შემადგენლები. ამასთან, 'აღსანიშნთა' არაენობრივი შემადგენლები განისაზღვრებიან 'ენობრივი მე აპარატის', როგორც სხვადასხვა ენობრივად მართული ქმედითი უნარებით, ისე, ამავე 'ენობრივ მე აპარატში' მისივე გრძნობა-აქმითი აპარატული უნარებით' არსებული შიდა და გარე სამყაროსეული მთლიანობის გაცნობიერებადი არსითი ხატებით და აპარატულადვე განცდადი სხვადასხვა მდგომარეობა მსახვედრელი შინა არსებით. ხოლო 'ენობრივ აპარატში' არსებულ 'აღსანიშნთა' ენობრივი შემადგენელთაგან ნებისმიერი, ან იმავე 'ენობრივ აპარატში' ძირეულადვე მოცემულ ენობრივ შრეში განსაზღვრული სწორი ენობრივი გამოსახულებაა, ან იგივე, ამავე აპარატში ამავე აპარატის მიერ იერარქიულად უკვე მანამდე აგებული ენობრივი შრისა. ეს საკითხები უფრო მეტი ზოგადურობითა და გარკვეული დეტალურობით განხილულია [10]-ში, [16]-ში და [22]-ში. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ, ამ მიმართულებით ჩვენი ხედვები პირველ საწყის კვლევით ეტაპზეა და მათი შემდგომი დაზუსტებისა და დაკონკრეტების პროცესი აქ მომავალში წარმოებული კვლევების პერსპექტივებშია. მანამდე კი მკითხველისათვის საკითხთან მიმართებაში კიდევ ზოგი განსასჯელი კითხვის მიწოდების მიზნით შემდეგი განსაზღვრებები: ენობრივ აპარატს ეუწოდებთ პრიმიტიულს ანუ ენობრივ-აზროვნებითი უნარების არმქონეს თუ მისი ენობრივი სისტემის ნიშანთა ერთობლიობა მხოლოდ გარეენობრივი ნიშნებისაგან შედგება. პრიმიტიული ენობრივი აპარატის ენობრივ-აპარატული ურთიერთობა მისსავე გარეენობრივ ნიშანთან ან ამ აპარატის ერთგვარი აპარატული აქტივობით თავდება, და ასეთ შემთხვევაში, პრიმიტიული ენობრივი აპარატის ნებისმიერ ასეთ გარეენობრივ ნიშანს აპარატში ერთგვარი ლიდაკის ფუნქცია ედება და ჩვენ ასეთ პრიმიტიულ გარეენობრივ ნიშანს ბრძანებით-მოქმედებით შინაარსის გარეენობრივ ნიშანს ეუწოდებთ, ან და, იგივე პრიმიტიული ენობრივი აპარატს პრიმიტიულ გარეენობრივ ნიშანთან ენობრივ-აპარატული ურთიერთობის შედეგად ეგრეთ წოდებული ძირეული ნიშნობრივი 'ცოდნის' საფხურზე დებულობს ინფორმაციას ამ აპარატის გარეთ ან მის შიგნით ბუნებრივად არსებული რეალობის შესახებ, და ასეთ პრიმიტიულ გარეენობრივ ნიშანს გრძნობა-აქმით გარეენობრივ ნიშანს ეუწოდებთ. ენობრივ-ნიშნობრივი აპარატის ბიოსური კონსტიტუციით, ანუ, აპარატული აღნაგობით თანდაყოლილ ბრძანებით-მოქმედებითი შინაარსის გარეენობრივ ნიშანთა აღმნიშნელებს ენობრივ-ნიშნობრივი აპარატის თანდაყოლილი ენობრივი

შრის თანდაყოლილი მოქმედებითი შინაარსის ძირეულ სიტყვა-ნიშნებს ეუწოდებთ, ხოლო ენობრივ-ნიშნობრივ აპარატზე თანდაყოლილ ისეთ გრძნობა-აღქმით გარეეწობრივ ნიშანთა აღმნიშვნელებს ენობრივ-ნიშნობრივი აპარატის თანდაყოლილი ენობრივი შრის თანდაყოლი მდგომარეობითი შინაარსის ძირეული სიტყვა-ნიშნები ეუწოდეთ. გარე ენობრივ ნიშანს ეუწოდებთ იერარქიულად პირველსაფეხურებრივს თუ მისი 'აღსანიშნი' ძირეულ ენობრივ ნიშანთა მეშვეობით გარკვეულად აგებული და მათივე მეშვეობით გარკვეულადვე გაგებადი 'ენობრივი გამოსახელება'. საზოგადოდ, არაძირეული ენობრივი ნიშნის იერარქიული საფეხური ერთით მეტია მისი 'აღსანიშნის' ენობრივი საფეხურისა. ენობრივი აპარატს, რომელსაც უნარი აქვს შექმნას ახალი იერარქიული საფეხურის ენობრივი ნიშანი ენობრივად განვითარებად აპარატს ეუწოდებთ, ხოლო აპარატს, რომელსაც უნარი აქვს ახალი ძირეული ნიშნის შექმნისა, ძირეულად განვითარებადი აპარატი ეუწოდოთ. ჩვენ ვთვლით რომ, ენობრივი აპარატი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ძირეულად განვითარებადი თუ იგი ამავედროულად ენობრივად განვითარებადია. ამასთან, ვთვლით, რომ პრიმიტიული ავტომატი მოკლებულია როგორც ძირეული ისე ენობრივი განვითარებადობის უნარს. – ისევე ვიმოვრებთ: აქ განვითარებული თვალსაზრისები პირველი ხედვებია ამგვარ მიდგომათა შესახებ, თუმცა, აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ ენობრივ აპარატებზე ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები ენობრივი ნიშნის ძირეულადვე სწორად გააზრებულ ბუნებრივ გაგებას ემყარება, რაც სასაფუძველო მნიშვნელობისაა შემდგომში ამ საყრდენებზე შედეგიანი კვლევების განსავითარებლად.

დაუებრუნდეთ სათაურშივე დასმულ კითხვას: იძლევიან თუ არა ლოგიკური, პროგრამული და ბუნებრივი ენები სამი, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული, ტიპის სემანტიკურ სისტემებს? – ჩვენ შევეცდებით ამ კითხვას პასუხი გაეცეთ ჩვენული ენობრივი-ნიშნობრივი მსოფლხედვის საფუძველზე, მანამდე კი მივუყუთ რ. ჰაუსერს, რომელიც [5]-ში გამოყოფს [იხ. გვ.373] სამი განსხვავებული ტიპის ენებს, და შესაბამისად ამისა, განიხილავს სამი განსხვავებული ტიპის სემანტიკურ სისტემებს. ესენია:


1. ლოგიკური ენები – სათავეს იღებენ ფილოსოფიიდან (არისტოტელე). ლოგიკური ენების სრულ გამოსახულებებს გამონათქვამები ეწოდება. მათი დანიშნულებაა განსაზღვრონ ჭეშმარიტების მიმართება ნებისმიერ წინადადებასთან ნებისმიერ მოდელში. მათ აქვთ მეტაენაზე დაფუძნებული სემანტიკა, რადგან ორ დონეს შორის კორელაცია ემყარება მეტაენობრივ განსაზღვრებებს.

2. პროგრამული ენები – შექმნილია პრაქტიკული საჭიროებით, რათა გამარტივდეს კომპიუტერთან (აბსტრაქტულ მექანიზმთან) ურთიერთობა. პროგრამული ენების გამოსახულებებს ბრძანებები ეწოდება, რომლებიც შესაძლებელია გაერთიანდეს რთულ პროგრამებად. მათ აქვთ პროცედურული სემანტიკა, რადგან კორელაცია სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებს შორის ემყარება შესრულების პრინციპს, ანუ ბრძანებათა ოპერაციულ რეალიზაციას აბსტრაქტული მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ჩვეულებრივ ხორციელდება ელექტრონულად.

3. ბუნებრივი ენები – ვითარდება ბუნებრივად სამეტყველო კომუნიკაციებში, ამიტომ სემანტიკურად ინტერპრეტირებადი სისტემებიდან ისინი ყველაზე ძლიერი


და ძნელად ახსნადი არიან. ბუნებრივი ენის გამოსახულებებს ენის ზედაპირული ფორმები ეწოდება. ენის ზედაპირულ ფორმებთან დაკავშირებული წარმოდგენები გამოიყვანება ბუნებრივი კომუნიკაციის ზოგადი პრინციპებით, რადგან მნიშვნელობის ზედაპირულ ფორმებს მსგავსი კონკრეტული მანიფესტაცია არა აქვთ. ბუნებრივ ენებს აქვთ პირობითად დაფუძნებული სემანტიკა, რადგან სიტყვათა ზედაპირულ ფორმებს (ტიპებს) მნიშვნელობები შეთანხმების საფუძველზე უერთდებიან.

რ. ჰაუსერთან, ერთის მხრივ, სამივე ტიპის სემანტიკურ ინტერპრეტაციებს აქვთ ერთნაირი ორდონიანი სტრუქტურა, მეორეს მხრივ კი, მათი შესაბამისი კომპონენტები განსხვავებულია ყველა შესაძლო შემთხვევაში. ისინი იყენებენ: განსხვავებულ ენობრივ გამოსახულებებს, განსხვავებულ დამაკავშირებელ ალგორითმებს და განსხვავებულ ობიექტებს სემანტიკურ დონეზე. ამასთან, იგი ხაზს უსვამს, რომ ლოგიკისა და პროგრამირების ხელოვნური ენებისათვის სემანტიკის სრული დეტალები ცნობილია სულ ცოტა მათი შემქმნელებისა და სპეციალისტებისათვის მაინც, მაშინ როცა ბუნებრივი ენის სემანტიკის ზუსტი დეტალები მეცნიერებისთვის ცნობილი არ არის. რ. ჰაუსერი გეთავაზობს შემდეგ სქემას:



მასთან სემანტიკური ინტერპრეტაციების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება ხელოვნურ და ბუნებრივ ენებს შორის არის ის, რომ ხელოვნური ენების სემანტიკური ინტერპრეტაცია შეზღუდულია ორდონიანი სტრუქტურით, მაშინ როცა ბუნებრივი ენების სემანტიკური ინტერპრეტაცია ეფუძნება [2+1] დონის სტრუქტურის ენის SLIM თეორიას. ლოგიკურ და პროგრამულ ენებში ინტერპრეტაცია სრულია სუფთა სემანტიკურ დონეზე. ამის საპირისპიროდ, ბუნებრივ ენებს აქვთ დამატებითი ინტერპრეტაციული სფეროები, რომლებიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სუფთა სემანტიკური ინტერპრეტაციული შრე. ეს მეორე საინტერპრეტაციო საფეხურებრივი შრე ძირითადად იშლება კომუნიკაციურ ინტერპრეტაციებში. ის შედგება სემანტიკური დონის ობიექტების შეწყობით შესაბამისად გამოყენებულ კონტექსტურ ობიექტებთან. ამგვარი ზოგადი ხედვების

საფუძველზე იგი განიხილავს ექვსი განსხვავებული ტიპის მიმართებას მისთვის სამი განსხვავებული ბაზისური ტიპის სემანტიკებს შორის, რაც სქემატურად შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი:



ეს მიმართებებია: $N \rightarrow L$, $N \rightarrow P$, $L \rightarrow N$, $L \rightarrow P$, $P \rightarrow N$ და $P \rightarrow L$, რომლებსაც ის ახასიათებს კომპირების, რეკონსტრუქციის, გადაცემის და კომპოზიციის ცნებებით.

ჩვენთვის ლოგიკური და პროგრამული ენების ნებისმიერი ძირეული, განუყოფელი ნიშანი, ბუნებრივი ენის ნიშნის მსგავსად, სამდონიანი, სამშრიანი სტრუქტურაა. რაც შეეხება თვით კომპიუტერს - აბსტრაქტულ მექანიზმს, იმ შემთხვევაში, თუ მას შემეცნებითი უნარით არ აღვჭურვათ, მაშინ ეს ნიშანი მისთვის, და შესაბამისად ჩვენთვისაც, მასშივე პროგრამულად რეალიზებული ღილაკის მსგავსი ორდონიანი სემანტიკური სტრუქტურა იქნება, ხოლო თუ მას პროგრამულადვე რეალიზებული შემეცნებითი უნარებით დაეინახათ, რაც უფრო სწორი ხედვაა, მაშინ იქაც სამდონიანი ნიშნით სტრუქტურასთან გვექნება საქმე, რაც შეეხება ნიშნის სემანტიკურ პროცედურულ-ბრძანებით ბუნებას, ეს მისი - აბსტრაქტული მექანიზმის შემეცნებითი სპეციფიკა და ჩვენთვის იგი ამ შემთხვევაში ენობრივად არაარსებითია. ხაზგასასმელია ისიც, რომ, დღეს, თანამედროვე ლოგიკურ ფორმალურ-მათემატიკურ ენებს არსებითად აღარ განასხვავებენ კომპიუტერული პროგრამული ენებისგან. იმპერატიული და არაიმპერატიული პროგრამების განყოფა, და ამ ტერმინების გააზრება, ემყარება სწორედ ეგრეთწოდებული ხელოვნური ფორმალურ-მათემატიკური ენების ფარგლებში განვითარებული ლოგიკური პროგრამირების იდეებს. ჩვენთვის ლოგიკური ენის ნიშანიც სამდონიანი, სამშრიანი განუყოფელი სტრუქტურაა და აქედან გამომდინარე, სიღრმისეული ძირეული ნიშნობრივი ბუნებით ეს განსხვავებული კლასის ენები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. რაც შეეხება ბუნებრივ ენებს, ჩვენ ევთანხმებით ზემოთ წარმოდგენილ თვალსაზრისებს იმ ნაწილში, რომ ბუნებრივი ენა ბუნებრივადვე განვითარებადი და რეინტერპრეტირებადი უნარ-შესაძლებლობის მქონე ენაა, რომელთა მეშვეობითაც კომუნიკაციის პროცესში ჩვენ ვახერხებთ პრინციპში ნებისმიერი აზრის ენობრივად გამოხატვას, ვახერხებთ ნებისმიერი აზრის ენობრივ ფორმაში მოქცევას. ამასთან, ჩვენი თვალსაზრისით, მსმენელის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა გვეძლევა ნებისმიერი ენობრივად გაფორმებული ფრაზიდან აზროვნებითი გაგების გამოტანისა, ანუ აზროვნებითი აღქმის (წარმოდგენის) შექმნისა იმ საფუძველზე, რასაც კომუნიკაციის პროცესში ტექსტთან ერთად მოწოდებული ტექსტუალური მასალის სარეინტერპრეტაციო-პირობითი გარემო წარმოადგენს. ეს საბოლოო ჯამში იგივე თვალსაზრისია, რაც ჰუსერლთან ვითარდება, უბრალოდ, უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ არ გააჩნიათ ენის ზედაპირულ ფორმებს კონკრეტული მანიფესტანტები მთლიანი ენობრივი სისტემის გასწვრივ და როგორ იტივრთებიან

ისინი ამ კონკრეტული მანიშნებლობითი ფუნქციით ყოველ კონკრეტულ საკომუნიკაციო შემთხვევაში, რაც ვერაფრით ვერ განხორციელდება, და შესაბამისად ვერ იქნება მეცნიერულად ახსნილი და შესწავლილი, თუ ნიშნის ძირეულ იდეაში 'აღსანიშნისა' და 'აღმნიშვნელის' გვერდით მოვსხნით მათი ნიშნობრივად მაწვილდებელი 'მღნიშვნელის' გაგებას. - სწორედ 'მღნიშვნელი', მისი აქტიური 'მღნიშვნელობითი' უნარებით ახერხებს ენობრივი შემადგენლების ზემოთხაზგასმულ კონკრეტულ კონტექსტურ მანიფესტირებას და ყოველ შესაძლო საკომუნიკაციო შემთხვევაში 'ენის მატარებელი ერთეულის' ეს 'რეინტერპრეტაციული უნარ-შესაძლებლობა', ანუ ჩვენს შემთხვევაში 'ენობრივი ფსიქო-ლოგიკური მეს' ერთგვარად 'მსაზღვრელი და დაშვებადი ცოდნითი' სპეციფიურობა არის ის, რაც ბუნებრივი ენობრივი სისტემებისათვის ჰქმნის იმ დამატებით სირთულეებს, რაზეც აქცენტები ოდნავ სხვა კონტექსტით ზემოთ უკვე იყო გაკეთებული.

ამგვარად, ჩვენი აზრით, თუ მხედველობაში მივიღებთ ენობრივი ნიშნის შემოთავაზებულ სამშრიან სტრუქტურას და ენობრივი სისტემის სემანტიკური სპეციფიურობის განსაზღვრაში ჩაერთავთ 'ენობრივ-აპარატულ მეს', და ამასთან, თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის უკვე არსებული მონაცემებით დადასტურებულია მისი ტიპობრივი თანმხვევა ფრეგესულ მათემატიკურ ენასთან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არსებობს არცერთიგვარი ძირეული პრინციპული განსხვავება ლოგიკურ, პროგრამულ და ბუნებრივ ენებსა და შესაბამისად მათთან ბუნებრივად მიბმულ სემანტიკურ სისტემებს შორის. თუმცა, გასაგებია, რომ ბუნებრივი ენობრივი სისტემა, გამომდინარე მისი მატარებელი ერთეულის ფართო შემეცნებითი და მოქმედებითი უნარებიდან, ბევრად უფრო რთულად აღსაწერი და ძნელად გასაცნობიერებელი სისტემაა, ვიდრე დანარჩენი ორი. გასაგებია ისიც, რომ ე.წ. ფრეგესული ხელოვნური ფორმალურ-მათემატიკური ენობრივი სისტემები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გააზრდნენ ბუნებრივი ენობრივი სისტემის ეკვივალენტური ძალის სისტემებად, თუ მათ ფორმალურადვე აღგჭურვათ ფორმალურად განვითარებადი რეინტერპრეტაციული უნარით დაახლოებით ისე, როგორც ამის საშუალებას შ. ფსაკაძისეული აღნიშვნათა თეორია იძლევა. ამასთან, ცხადია, რომ თუ რაიმეს თქმა შეიძლება, შეიძლება მისი თქმა ბუნებრივი ენითაც. ანუ, თუ რაიმეს თქმას ვერ ვახერხებთ ბუნებრივი ენით, მაშინ მის თქმას ვერ მოვახერხებთ საერთოდ ვერანაირად! - გასაგებია ისიც, რომ ე. წ. ხელოვნური ფორმალურ-მათემატიკური ენობრივი სისტემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ბუნებრივი ენის ეკვივალენტური ენობრივ-თეორიული სისტემა, თუ ამ თეორიულ ფორმალურ-მათემატიკურ სისტემაში შემდეგვით ბუნებრივი ენობრივი სისტემის შემადგენელი თითოეული სიტყვის გამოთქმას, ანდა რაც იგივეა, აღწერას მხოლოდ ამ ფორმალურ-მათემატიკური სისტემის ენობრივი საშუალებებით. ამდენად, ბუნებრივი ენობრივი სისტემის შემადგენელი სიტყვების პირდაპირ ფორმალურ-ლოგიკურ აღწერას, ანუ, მათ გამოთქმა-თქმას ფრეგე-ჰილბერტისეული ენობრივი მათემატიკური საშუალებებით პრინციპული და გადაუწყვეტი რილი ენიჭება როგორც ბუნებრივ ენობრივ სისტემათა ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ისე, ჩვენი იმ თვალსაზრისის მთელი სიმკაცრით დასასაბუთებლად, რომლის თანახმადაც

ლიტერატურა:

1. Benthem, J. (1986), *Essays in Logical Semantics*, by D. Reidel Publishing Company, Dordrecht, Holland.
2. Benthem, J., Meulen, A. (1997), *Handbook of Logic and Language*, Elsevier Science B. V. The MIT Press.
3. Chomsky, N. (1965), *Aspects of the Theory of Syntax*, Cambridge, Mass. MIT Press, (1975), *The Logical Structure of Linguistic Theory*, Chicago, University of Chicago Press.
4. Frege, G. (1879). *Begriffsschrift*, Halle.
5. Hauser, R. *Foundations of Computational Linguistics, Man-Machine Communication in Natural Language*, Springer-Verlag Berlin, Heidelberg, 1999.
6. Gazdar, G., Evan Klein, Geoffrey K. Pullum, Ivan A. Sag (1985), *Generalized Phrase Structure Grammar*. Cambridge, Mass. Harvard University Press and Oxford Basil Blackwell.
7. Fitting, M. (1996), *First-Order Logic and Automated Theorem Proving*, Springer-Verlag.
8. Montague, R. (1970), *Universal Grammar Theory*, 36: 373-398. Reprinted in Richard Thomason (ed.) *Formal Philosophy*. New Haven Yale University Press (1974).
9. Sag, Ivan A. and Wasow, Th. (1999), *Syntactic Theory, A Formal Introduction*. CSLI Publications, Stanford, California.
10. Pkhakadze, K., Ivanishvili, M. (2001), *To Direct Formal-Logical Description of Georgian Language Based on the Language as a Natural System*, Theses, The Fourth Tbilisi Symposium Language, Logic, Computation, Borjomi, September 24-28.
11. Pollard, C. and Sag, Ivan A. (1994), *Head-Driven Phrase Structure Grammar*, Chicago, University of Chicago Press.
12. Russel, B. (1938), *The Principle of Mathematics*, N.Y.
13. Wittgenstein, L. (1967), *Philosophical Investigation*, Oxford.
14. Гилберт, Д., Бернейс, П. (1982), *Основания Математики*, Москва
15. Л Толд (1975), *Проблеми Семантики*, Москва.
16. Пхაკაძე, შ. (1977), *Некоторые вопросы Теории обозначений*, Тбилиси.
17. Соесюр, Фердинанд де (1977), *Труды по языкознанию*, Москва.
18. რ. ასათიანი (1982), *მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, „მეცნიერება“, თბილისი.*
19. თ. გამყრელიძე (1979), *ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული მიძღვნილი გივი მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე „მეცნიერება“, თბილისი.*
20. ლ. გოკოელი (1951), *მათემატიკის დაფუძნების საკითხები, თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა, თბილისი – 1951.*

21. დ. უზნაძე (1947), ენის შინაფორმა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია – ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ IV.
22. კ. ფხაკაძე, მ. ივანიშვილი (2001), ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის მათემატიკური ფორმალურ-ლოგიკური იზომორფის მოძიებისათვის, „ივერია“, IV, პარიზი–თბილისი.
23. შ. ფხაკაძე (1996), მათემატიკური ლოგიკა – საფუძვლები, I ნაწილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
24. შ. ფხაკაძე (1999), მათემატიკური ლოგიკა – საფუძვლები, II ნაწილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
25. არნ. ჩიქობავა (1961), მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია – ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სიტყვათა შორის სინტაქსური კავშირების შესახებ

სინტაგმა ანუ სინტაქსური წყვილი საყრდენი ცნებაა იმ ყველაფრისა, რასაც ენობრივი სისტემის სინტაქსურ საფეხურს ანუ სინტაქსურ გრამატიკას უწოდებენ. თანამედროვე კლასიკური ენათმეცნიერება წინადადების პრობლემას ერთ-ერთ ძირითად ლინგვისტურ პრობლემად ცნობს და აღიარებს. ჩვენ ეფიქრობთ, რომ ამა თუ იმ ენობრივ სისტემაში წინადადების პრობლემა გადაწყდება სათანადო და საკმარისი სიზუსტით, თუ მანამდე იმავე ენობრივ სისტემაში მკაცრ, ამომწურავ და მისაღებ გადაწყვეტას მოუძებნით სინტაგმის, ანუ სინტაქსური წყვილის ანუ სიტყვათა შერწყმის პრობლემას. ნებისმიერ ენობრივ სისტემაში სიტყვათა შემრწყმელი კანონები (წესები) თავისებურად, ამ ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელი წესებითაა რეალიზებული. ჩვენ სწორედ ამ წესების მოძიებისა და მათ მკაცრ მათემატიკურ განსაზღვრაში ეხედავთ სინტაქსური წყვილის პრობლემის გადაწყვეტას, რის შემდგომაც, წინადადების პრობლემასთან დაკავშირებულ ძირითად სირთულეებს მოხსნილად მივიჩნევთ. ანუ, ჩვენ ეფიქრობთ, რომ ძირეული ლინგვისტური პრობლემა არის არა წინადადების, არამედ სინტაგმის, ანუ სინტაქსური წყვილის პრობლემა. – სიტყვათა შემრწყმელი კანონები აუცილებელი საფუძველია სიტყვათა სხვადასხვაგვარად განსაზღვრული შერწყმების და, მათ შორის, კერძოდ, სიტყვათა იმ შერწყმის ბუნების შესაცნობად, რომელსაც წინადადებას უწოდებენ! – და ამდენად, წინადადების პრობლემა დაიყვანება სიტყვათა შერწყმის პრობლემაზე. რაც შეეხება თავად სიტყვათა შერწყმის პრობლემას, ცხადია, იგი მკაცრი მათემატიკური (აზროვნებითი) სიზუსტეების გათვალისწინებით ვერ გადაიჭრება, თუ მანამდე, ასევე მკაცრად არ გადაიჭრა სიტყვის პრობლემასთან დაკავშირებული სირთულეები. ენობრივ სისტემებში სინტაქსური თვალსაზრისებით ძირეულია სიტყვის ცნება. ამ ცნების მათემატიკური – ზუსტი განსაზღვრების შემთხვევაში ენობრივ სისტემაში ყველა სხვა სინტაქსური ხასიათის სირთულეები მექანიკურად იხსნება. სიტყვის ზუსტი განსაზღვრა არსებითად ხსნის ენობრივ სისტემაში მორფოლოგიური ხასიათის პრობლემებსაც. ამდენად სიტყვა ფუნდამენტური ლინგვისტური კატეგორიაა და ჩვენთვის იგი არის გარკვეული ტიპის ენობრივ-სინტაქსური ფორმალურ-ფუნქციონალური სიმბოლო, რომლის განსასაზღვრავად საჭიროა (ისევე როგორც მათემატიკური თვალსაზრისებით ფუნქციის ზუსტად განსასაზღვრავად!) განსაზღვრის არის, მნიშვნელობათა არის და გადასახეის წესის მინიშნება. ეს ერთსმხრივ, მეორეს მხივ კი, სიტყვის როგორც ენობრივი ოპერატორის ბუნება თითქმის ამომწურავად ისაზღვრება მისი სხვა სიტყვებთან სინტაქსურ-სემანტიკურად შერწყმის უნარით. ჩვენ ქვემოთ სწორედ ამ საკითხების გაშუქებით დაგვაყვებით:

განვიხილოთ სინტაქსური წყვილი 'კაცმა გადაწყვიტა' (I). ამ სინტაგმის შემადგენელი თითოეული სიტყვა მიმართულია წყვილის შემადგენელ თითოეულ დანარჩენზე და ეს გასაგებია. ასეთივე ტიპის სინტაგმაა 'გადაწყვიტა კაცმა' (II).

ასეთ სინტაქსის რიგითად თავისუფალი, ანდა ორმხრივი, ანუ ორმხრივოპერატორული, ანუ ორმხრივებში სინტაქსური წყვილი (სინტაგმა) ეუწოდოთ. ამგვარად, ჩვენ ერთმანეთისაგან განვარჩევთ რიგითად თავისუფალ, ანუ ორმხრივ ბმულ და რიგით ანუ ცალმხრივებში სინტაგმებს, რომლის მაგალითსაც იძლევა სინტაქსისი 'დიდი ხიდი'. ისიც გასაგებია, რომ 'ქუდი კაცისა' სინტაქსის რიგითი სინტაგმაა და აქ 'კაცისა' არის მარცხნივ ერთადგილიანი სიტყვა. 'ქუდი' მისი ოპერანდული ადგილის განსაზღვრის არის ელემენტია და სწორედ ეს ორი არის ის ერთადერთი გარემოება, რაც ამ სინტაგმას ჰქმნის. რა შეიძლება ითქვას რიგითად თავისუფალ სინტაგმებზე? აქ ვითარება სხვაგვარადაა: კერძოდ, 'კაცმა' არის სიტყვა, რომელიც (I) სინტაგმაში მარჯვნივ ერთადგილიანად შეიძლება აღიწეროს, თუმცა იგივე სიტყვა, (II) სინტაგმაში მარცხნივ ერთადგილიანია. ასევე, 'გადაწყვიტა' (I) – სინტაგმაში მარცხნივ ერთადგილს, ხოლო (II)-ში მარჯვნივ ერთადგილს ინიშნავს. რას ნიშნავს ეს? – არსებული ვითარება გეიბიბგებს შემდეგი დასკვნისაკენ: 'კაცმა' არის მარცხნივ-ან-მარჯვნივ ერთადგილიანი. ასევე, ვიტყვით, რომ 'გადაწყვიტა' არის მარცხნივ-ან-მარჯვნივ N-მა ადგილიანი. (N-მა არის ზოგადი სახე 'კაცმა' ტიპის სიტყვებისა). ამდენად: თუ 'დიდი ხიდი' ფრჩხილებიანი ჩანაწერით არის 'დიდი(ხიდი)', ხოლო 'ქუდი კაცისა' არის '(ქუდი)კაცისა', 'კაცმა გადაწყვიტა' ფრჩხილებით ორგვარად შეიძლება გაფორმდეს 'კაცმა(გადაწყვიტა)' და '(კაცმა)გადაწყვიტა'. რა ძირეული თვისობრივი განსხვავებული ნიშნებით ხასიათდებიან ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში რიგითად თავისუფალი და რიგითი სინტაგმები? – რიგით სინტაგმებში ერთ-ერთი სიტყვა არის ისეთი ერთადგილიანი სიტყვა ოპერატორი, რომლის ოპერანდული განსაზღვრის არის ელემენტს (ერთ-ერთ ელემენტს!) მისი მეორე სიტყვა წარმოადგენს. ამასთან, თუ სინტაგმის შემადგენელი და მისი განმსაზღვრელი სიტყვა ოპერატორი სინტაგმის პირველი სიტყვაა, მაშინ იგი მარჯვნივ ერთადგილიანია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მარცხნივ ერთადგილიანია. გარდა ამისა, ამგვარი სინტაგმა არის მისი არა-აქტიური (ე. ი. არა-ოპერატორული) სიტყვის ტიპის სწორი ენობრივი გამოსახულება. ('დიდი ხიდი' არის 'ხიდი', მაგრამ 'დიდი', 'ქუდი კაცისა' არის 'ქუდი' ოდონდ 'კაცისა'. - ეს ზემოთ მოყვანილი ფორმალური არგუმენტების ერთგვარი ბუნებრივ-შინაარსული დაფუძნებაა). რიგითად თავისუფალი სინტაგმა არის სწორი ენობრივი გამოსახულება, თუმცა იგი ტიპობრივად განსხვავებული გამოსახულებაა მისი შემადგენელი სიტყვებისაგან. – ე. ი. რიგითი სინტაგმები ტიპობრივად ემთხვევიან მისი პასიური სიტყვის ტიპს, ხოლო რიგითად თავისუფალი სინტაგმების ტიპობრივი თანმთხვევა მის შემადგენელ ნაწილებთან არ ფიქსირდება*. – ეს ის, სწორედ ის ძირითადი თვისობრივი განმასხვავებელია, რითაც ხასიათდებიან ეს ორი განსხვავებული ტიპის სინტაგმები. დაეუბრუნდეთ 'კაცმა გადაწყვიტა'

* 'კაცმა გადაწყვიტა' ნამდვილად და აღარანაირად აღარ არის 'კაცმა' ტიპის ენობრივი ფორმა, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით იგი 'გადაწყვიტა'-ს და'უსტკებული შინაარსია და ამდენად, შეიძლება საუბარი მისი ამ უკანასკნელთან ტიპობრივ თანმთხვევაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ 'კაცმა გადაწყვიტა' სინტაგმაში ერთგვარად უფრო მეტი უფლება გვაქვს სიტყვა-ოპერატორად (ე. ი. აქტიურ სიტყვად) დაეინახოთ 'კაცმა', ვიდრე 'გადაწყვიტა', რაც დღევანდელი ხელების ცათვლისწინებით ცოტა არ იყოს მოულოდნელი დასკვნაა: ეს ხედავს გარკვეულად ირეკლება ჩვენ კელეუბზე.

სინტაგმას და შეეცადოთ მისი თითოეული სიტყვის აღწერას. 'გადაწყვიტა' სიტყვის აღსაწერად ვიყენებთ N-მა და N-ი სიმბოლოებს, რომლებიც თავის მხრივ ზოგადი ტიპობრივი სახელებია მოთხრობითში და სახელობითში ჩაყენებული 'კაცმა' და 'კაცი' ტიპის სიტყვებისა, და ვამბობთ, რომ 'გადაწყვიტა' სიტყვის ის ეგზემპლარი, რომელიც სინტაგმაშია არის მარცხნივ N-მა ადგილიანი და მარცხნივ-ან-მარჯვნივ N-ი ადგილიანი. ხოლო 'კაცმა' სიტყვის სინტაგმის შემადგენელი ეგზემპლარი არის მარჯვნივ ერთადგილიანი. ამდენად, 'კაცმა გადაწყვიტა' სინტაგმა არის ერთადგილიანი სწორი ენობრივი ფორმა, და კერძოდ, იგი არის მარჯვნივ-ან-მარცხნივ N-ი ადგილიანი სწორი ენობრივი გამოსახულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ტიპი არ ემთხვევა არცერთი შემადგენელი სიტყვის ტიპს! - და გარდა ამისა, ნიშნავს იმასაც, რომ 'საქმე კაცმა გადაწყვიტა' და 'კაცმა გადაწყვიტა საქმე' ორივე არის სწორი ენობრივი გამოსახულება, რამდენადაც 'საქმე' არის N-ი ტიპის სიტყვა, ხოლო 'კაცმა გადაწყვიტა', როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის მარჯვნივ-ან-მარცხნივ N-ი-ადგილიანი ენობრივი ფორმა. ამდენად, თუ შეეთანხმებით და ცოტა გაემარტივებით, შემდგომში მარჯვნივ-ან-მარცხნივ ერთადგილიანი სიტყვის (სიტყვა-ოპერატორის) (ოპერატორის) ნაცვლად ვიხმართ ტერმინს ერთადგილიანი სიტყვა (სიტყვა-ოპერატორი) (ოპერატორი). ასე რომ, ჩვენთვის შემდგომში 'გადაწყვიტა' იქნება უბრალოდ ორადგილიანი სიტყვა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სხვადასხვა ეგზემპლარები შეიძლება იყვნენ ან მარჯვნივ ორადგილიანი ან მარცხნივ ორადგილიანი ან მარჯვნივ-და-მარცხნივ ერთადგილიანები.

ახლა დავსვათ კითხვა: რა არის სიტყვათა მიწერით (კონკრეტნაციით) მიღებული სიტყვათა წყვილი 'კაცმა საქმე' ? - არც 'კაცმა' და არც 'საქმე' ერთადგილიანი სიტყვა-ოპერატორების ოპერანდული განსაზღვრის არეში არ არის შესაბამისად 'საქმე' და 'კაცმა' სიტყვები. და ამდენად, 'კაცმა საქმე' ისევე როგორც 'საქმე კაცმა' არ არის სინტაგმა ანუ სინტაქსური წყვილი. მაშინ რა არის იგი? - ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს 'კაცმა' და 'საქმე' სიტყვები, ანუ ამ სიტყვა-ნიშნების სრული პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერით მიღებული მათი განსაზღვრებები. საქმე იმაშია, რომ ამ აღწერით სიტყვა 'კაცმა' არის ერთადგილიანი N-მა(V(N-მა)) ტიპის სიტყვა, ხოლო სიტყვა 'საქმე' N-ი(V(N-ი)) ტიპისაა. ამდენად, ისინი უშუალო სინტაქსურ კავშირს ერთმანეთთან არ ამყარებენ, არ ქმნიან სინტაქსურ წყვილს, არ გვაქვს საქმე სინტაგმასთან. მაგრამ იმის თქმა, რომ მათ შორის არ არსებობს არანაირი სინტაქსისი, არანაირი სინტაქსურადვე განსაზღვრული სემანტიკური კავშირი, ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია. კერძოდ, ჩვენ ეთვლით რომ, ისინი არაუშუალო, არაპირდაპირ, შუალედურ სინტაქსურ კავშირში იმყოფებიან და კერძოდ, მათ შორის შუალედურ, არაუშუალო სინტაქსურ კავშირს ამყარებს V(N-ი, N-მა) ტიპის თუნდაც ნებისმიერი სწორი ენობრივი გამოსახულება (სიტყვა). ამგვარად, რა ეწოდოთ 'კაცმა' და 'საქმე' სიტყვების კონკრეტნაციით ე. ი. მიწერით მიღებულ ენობრივ გამოსახულებას? - ჩვენ ვამბობთ, 'კაცმა' და 'საქმე' ამავე მიმდევრობით სინტაქ-

* ეს აღნიშვნები შემდგენიარად უნდა იქნეს გაგებულნი: N-მა, ისევე როგორც N-ი ერთადგილიანი სიტყვა-ოპერატორებია. ამასთან, ამ ერთი ოპერანდული ადგილის განსაზღვრის არე შედგება V(N-მა), შესაბამისად V(N-ი) ტიპის სწორი ენობრივი ფორმებისაგან. ე. ი. ისეთი ზმნური ტიპის ენობრივი ფორმებისაგან, რომლის ერთი მაინც ადგილი N-მა, შესაბამისად N-ი ტიპისაა.

სურ კავშირში არიან, მაგრამ ისინი სინტაქსურ წყვილს ანუ სინტაგმას არ ქმნიან. სიტყვათა ასეთ დაჯგუფებას ეკაზი-სინტაგმა, ანდა უბრალოდ, არაპირდაპირი (შუალედური) სინტაქსური წყვილი (კავშირი) ვუწოდოთ. რა ფორმალური ოპერაცია ქმნის ეკაზი სინტაგმას? – როგორც ჩანს, აქ ასეთი ოპერაციის როლში კონკეტენაცია (ანუ მიწერა) შეიძლება იქნეს მხოლოდ გააზრებული, მაშინ როდესაც სინტაგმის შემქმნელ ფორმალურ ოპერაციად შეიძლება მისი შემადგენელი აქტიური სიტყვა-ოპერატორის მეორე, პასიურ შემადგენელ სიტყვაზე ოპერირება მივიჩნიოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე შემთხვევაში (ზოგადი თვალსაზრისების გატარების მიზნით და არა მხოლოდ!) წყვილის შემქმნელ ფორმალურ ოპერაციად ვიგულისხმოთ კონკეტენაციის ოპერაცია, რომელიც უკვე პირველ ფორმალურ-შინაარსულ საფეხურზე სინტაგმის შემთხვევაში ერთგვარად შინაარსდება, ხოლო ეკაზი სინტაგმის შემთხვევაში მეორეგვარად. დაუბრუნდეთ ეკაზი სინტაგმას 'კაცმა საქმე'. ამ შემთხვევაში კონკეტენაციის ოპერაცია (და მას ჩვენ პირობითად '+' ნიშნით აღვნიშნავთ) მოქმედებს N-მა(V(N-მა)) და N-ი(V(N-ი)) ტიპის სიტყვებზე და გვაძლევს |N-მა +N-ი|(V(N-მა, N-ი)) ტიპის სწორ ენობრივ გამოსახულებას. ამგვარად, მიიღება შემდეგი ფორმულა.

$$N\text{-მა } (V(N\text{-მა})) + N\text{-ი } (V(N\text{-ი})) = |N\text{-მა} + N\text{-ი}| (V(N\text{-მა}, N\text{-ი})).$$

გასაგებია, რომ ამ არაპირდაპირ, შუალედურ კავშირს ბადებს თითოეული სიტყვით მენტალურად ნაგულისხმევი ზმნური ტიპების, ე. ი. (V(N-ი)) და (V(N-მა)) ტიპების, თანაკვეთით მიღებული V(N-ი, N-მა) ზმნური ტიპი.

განვიხილოთ კიდევ ერთი ტიპის ეკაზი-სინტაგმა. 'დიდი ნათელი' აღწერით 'დიდი', ისევე როგორც 'ნათელი' A-ი(N-ი) ტიპის სიტყვებია. ამდენად 'დიდი ნათელი სახლი' სწორი ენობრივი გამოსახულებაა, სადაც სინტაქსური წყვილებია 'დიდი სახლი' და 'ნათელი სახლი'. ამდენად, 'დიდი ნათელი' ეკაზი-სინტაგმასაც აზროვნებითად ნაგულისხმევი N-ი ტიპის სიტყვა ბადებს, რაც სწორედ საბოლოო ჯამში ჰქმნის აღნიშნულ არაპირდაპირ, შუალედურ სინტაქსურ კავშირს განსახილველ ეკაზი სინტაგმაში. ფორმულაში ყოველივე ზემოთქმული შემდეგნაირად აისახება:

$$A^1\text{-ი } (N\text{-ი}) + A^2\text{-ი } (N\text{-ი}) = |A^1\text{-ი} + A^2\text{-ი}| [N\text{-ი}].$$

ანალოგიურია, 'გუშინ საშინლად' ეკაზი-სინტაგმის ფორმალურ-ლოგიკური ანალოზი. ამ ტიპის ეკაზი სინტაგმებს ერთ ტიპობრივი ეკაზი სინტაგმები ვუწოდოთ. ერთი სიტყვით, ეკაზი სინტაგმების კლასი საკმაოდ ფართოა. მაერთებული ნიშანი მათი კი არის ის, რომ სიტყვათა ეკაზი სინტაგმური რიგი ენობრივად დაშვებულია.

დაუბრუნდეთ ძველ მაგალთს: 'დიდი ხიდი'. აქ 'დიდი' არის A-ი ტიპის მარჯვნივ ერთადგილიანი სიტყვა. ე. ი. 'დიდი' არის A-ი[N-ი] ტიპის სიტყვა, ხოლო 'ხიდი' არის N-ი(V(N-ი)) ტიპის. ამდენად, მათი კონკეტენაცია შემდეგნაირად უნდა იქნეს გაგებული:

$$A\text{-ი } (N\text{-ი}) + N\text{-ი}[V(N\text{-ი})] = |A\text{-ი} + N\text{-ი}| [V(N\text{-ი})].$$

ფორმულა გვიჩვენებს, რომ კონკეტენაციის შედეგი ტიპობრივად ემთხვევა მისი მეორე არააქტიური, ანუ პასიური, ანუ არაოპერატორული, ანუ ოპერანდული კომპონენტის (შესაკრების) ტიპს. გარდა ამისა, ფორმულა გვიჩვენებს, რომ ჯამის პირველი შესაკრები, ანუ კონკეტენაციის ოპერატორული ანუ აქტიური, ანუ არა-

ოპერანდული კომპონენტი მოქმედებს ოპერატორულად კონკეტენაციის N-ი[V(N-ი)] ოპერანდულ კომპონენტზე და გარკვეული თვალსაზრისით, თვისობრივად საზღვრავს, აზუსტებს მას და ამდენად, მორფოლოგიურ-სინტაქსურ ტიპს მას თითქმის არ უცვლის, ანუ კონკეტენაციის შედეგი ტიპობრივად თითქმის იგივეა, რაც მისი ოპერანდული კომპონენტის ტიპი. ასეთ სიტყვებს, საზოგადოდ, განმსაზღვრელებს ვუწოდებთ. როგორც ჩანს, რიგით სინტაგმებში ოპერატორული წევრი განმსაზღვრელია, ხოლო ოპერანდული წევრი კი არის ის, რაც გარკვეულად ინსაზღვრება, გარკვეულად ზუსტდება ოპერატორული განმსაზღვრელით. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის.

განვიხილოთ კიდევ ერთი რიგითი სინტაგმა – 'სწრაფად მირბის'. და ჯერ დაესვათ კითხვა: – არის თუ არა იგი რიგითი? ანუ ვალდებულნი ვართ თუ არა 'სწრაფად' დაინახოთ როგორც მარჯვნივ ერთადგილიანი სიტყვა-ოპერატორი? – ანუ, გვაქვს თუ არა უფლება 'სწრაფად მირბის' და 'მირბის სწრაფად' ერთი და იგივე უფლებებით და ძალით ერთი და იგივე შინაარსის კონსტრუქციულ კონსტრუქციებად გამოვაცხადოთ? – ენობრივი მასალის სტატისტიკური ანალიზი გეარწმუნებს ორივე ფორმის ძალიან მკაფიოდ განსხვავებაში ქართული ენობრივი სისტემისათვის. ჩვენ მსჯელობას არა სტატისტიკურ, არამედ ფორმალურ-ლოგიკურ მოსაზრებებზე დაყრდნობით განვაყოთარებთ, რამდენადაც ჩვენი მიზანია არა ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი ენობრივი სისტემის პრიმიტიული სტატისტიკური ანალიზი, არამედ მკაცრი ლოგიკურ-ფორმალური, მათემატიკური აზროვნებითი თვალსაზრისების გათვალისწინებით მისი (ე.ი. ენობრივი სისტემის!) მარეგულირებელ-მომწესრიგებელი წესების სრული და ამომწურავი მოძიება. განვიხილოთ შემდეგი ორი ენობრივი გამოსახულება – 'კაცი სწრაფად მირბოდა' და 'კაცი მირბოდა სწრაფად'. ენობრივი თვალსაზრისებით ისინი ერთი და იგივე შინაარსის წინადადებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ თითქოს 'სწრაფად' არის არა მარჯვნივ ერთადგილიანი, არამედ ერთადგილიანი (ე.ი. მარცხნივ-ან-მარჯვნივ ერთადგილიანი!). მაგრამ, შემდეგი სინტაქსურ-სემანტიკური კონსტრუქციები გეარწმუნებენ ზემოთ შემოთავაზებული დასკვნების უმართებულობაში. ეს კონსტრუქციებია: 'კაცი სწრაფად მორბოდა მოძრავ მატარებელზე' და 'კაცი მირბოდა სწრაფად მოძრავ მატარებელზე'. ცხადია, ორივე ეს კონსტრუქცია სინტაქსურად სწორი ენობრივი ფორმებია, ისიც ცხადია, რომ ისინი სემანტიკურად განსხვავებული შინაარსების მქონეები არიან. პირველ შემთხვევაში 'სწრაფად' სინტაქსურად დაკავშირდა სიტყვასთან 'მირბოდა', მეორე შემთხვევაში კი სიტყვასთან 'მოძრავ'. (სწორედ ეს სინტაქსური განსხვავებანი ქმნიან განსხვავებულ სემანტიკურ შინაარსებს). ანუ, ორივე შემთხვევაში სიტყვა 'სწრაფად' სინტაქსურ კავშირში შევიდა მის მარჯვნივ მდგომ სიტყვასთან, მიუხედავად იმისა, რომ მის მარცხნივ იყო სიტყვა, რომელთანაც მას შეეძლო უშუალო სინტაქსური კავშირის დაყარება (მხედველობაში გვაქვს მეორე მაგალითი!). ყოველივე ეს იძლევა იმ დასაბუთებული დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომელიც გვეუბნება, რომ 'სწრაფად' არის მარჯვნივ ერთადგილიანი და არავითარ შემთხვევაში მარჯვნივ-ან-მარცხნივ ერთადგილიანი ანუ უბრალოდ ერთადგილიანი. ანუ, 'სწრაფად მირბის' არის რიგითი სინტაგმა და 'მირბის სწრაფად', ისევე როგორც 'კაბა ლამაზი' და

'ხიდი დიდი' მკაცრი ფორმალურ-ლოგიკური მიდგომებით არ არის სინტაგმები'. იგივენაირად უნდა გაანალიზდეს 'ოთახში ხატავს', 'გუშინ დახატა', 'კაცისთვის ხატავს', 'გრძნობით ხატავს', 'საჩუქრად ხატავს' ტიპის რიგითი სინტაგმები[•]. ამრიგად, 'კაცმა დახატა' და 'დახატა სურათი' სინტაქსური წყვილები და ზემოთ განხილული სინტაქსური წყვილები, პრინციპულად განსხვავებულ სინტაქსის ქმნიან, როგორც სუფთა. ფორმალურ-სინტაქსური, ისე ლოგიკურ-სემანტიკური თვალსაზრისებით. ანუ, თუ 'კაცმა დახატა' სინტაგმაში ერთ-ერთი გაგებით დახატა, როგორც სიტყვა ოპერატორი მოქმედებს 'კაცმა' სიტყვაზე^{***}; სინტაგმაში 'გუშინ დახატა, გაგება იმისა, რომ 'დახატა' მოქმედებს 'გუშინ' - ზე, არა აზრისმიერია, როგორც სუფთა ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისებით. - ეს მსჯელობა ყველაფერთან ერთად ერთგვარად აზუსტებს ჩვენი თვალსაზრისებით ზმნის ადგილიანობის ცნებას კერძოდ, და საზოგადოდ, იგივე ტენზის შინაარსს სიტყვისათვის.

(W, SCR) წყვილში SCR-ით აღნიშნული გეაქვს ე. წ. ენის სინტაქსურ-გრამატიკული ანდა მოკლედ სინტაქსურ წესთა სიმრავლე. ანუ იმ წესთა სიმრავლე, რომელთა მეშვეობით სიტყვებისაგან იგება ყველა შესაძლო დასაშვები ენობრივი გამოსახულებები, W-თი კი სწორედ ამ სიტყვათა, ე. ი. ენობრივ გამოსახულებათა, სიმრავლეა აღნიშნული. - იმის გასაგებად რა ითქვა ამ წინადადებით უნდა გაეიაზროთ რას ნიშნავს, ანუ რა გეემსის დასაშვები ენობრივი გამოსახულებით აღნიშნულ ცნებაში? - სიტყვებს ჩვენ ერთი სიტყვითი სიგრძის სწორ ენობრივ გამოსახულებებს ვუწოდებთ. წინადადებებს ასევე სწორ ენობრივ გამოსახულებებად მივიჩნევთ. გარდა ამისა, სიტყვათა ნებისმიერი ისეთი მიმდევრობა, რომელიც ამ მიმდევრობის შემადგენელი სიტყვების და ამ სიტყვების რიგის შეუცვლელად სიტყვათა მიწერის შემთხვევაში შეესაბამება ოქნეს მარტივ წინადადებად, დასაშვებ ენობრივ რიგს ანუ გამოსახულებას ვუწოდებთ. მაგალითად: 'დიდმა მაგიდამ' არამარტო დასაშვები არამედ სწორი ენობრივი გამოსახულებაცაა, კერძოდ იგი რიგითი სინტაგმაა. 'დიდმა მაგიდა' არ არის სწორი ენობრივი გამოსახულება, მაგრამ იგი დასაშვები ენობრივი რიგია ანუ დასაშვები ენობრივი გამოსახულებაა რადგან, და იმ შემთხვევაში, თუ 'დიდმა მაგიდა გატეხა' გამოსახულებას წინადადებად ჩავთვლით. ე. ი. დასაშვები ენობრივი რიგის ანუ დასაშვები ენობრივი გამოსახულების ცნება ენობრივ გამოსახულებათა უფრო ფართო კლასს განსაზღვრავს, ეიღერ სწორი ენობრივი გამოსახულების ცნება, რამდენადაც ნებისმიერი სწორი ენობრივი გამოსახულება გამოსახულების ცნება, რამდენადაც ნებისმიერი სწორი ენობრივი გამოსახულება თავის მხრივ დასაშვებ ენობრივ რიგს ანუ გამოსახულებას წარმოადგენს. ახლა განვიხილოთ ორი დასაშვები ენობრივი გამოსახულება. პირველი 'კაცმა მაგიდა' და

[•] 'კაბა წითელი', 'გოგი ლამაზი' ტიპის ფორმებს, როგორც ვთქვით, ენობრივი სისტემა უშვებს. ამ ენობრივი მოვლენების ამხსნელ წესებზე ჩვენ სხვა დროს გვექნება საუბარი.

^{**} ენობრივი ფორმები 'ხატავს ოთახში მღვარს მაგიდას', 'დახატა გუშინ განცდილი', 'ხატავს კაცისთვის მნიშვნელოვან სურათს', 'ხატავს გრძნობით განცდილს', 'ხატავს საჩუქრად მიღებულ სურათს' გეიდასტურებენ იმას, რომ აქაც გამსაზღვრელობა მარჯვნიდან მარცხნივ მიიმართება.

^{***} 'კაცმა დახატა' სინტაგმაში 'დახატა', როგორც სიტყვა ოპერატორი ფორმალურად მიმართულია სიტყვაზე 'კაცმა', თუმცა სემანტიკურად იმის თქმა, რომ 'დახატა' მოქმედებს სიტყვაზე 'კაცმა' აზრისმიერად ვერ ჩაითვლება. პირიქით კი, როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური ზე-ქმედითობა 'კაცმა' სიტყვისა 'დახატა' სიტყვაზე ეჭვს არ იწვევს.

მეორე 'დიდმა მაგიდა'. ისინი არაპირდაპირ, არაუშუალო სინტაქსურ კავშირში არიან ერთმანეთთან.

$$[\text{კაცმა}](V(N\text{-მა})) + [\text{მაგიდა}](V(N\text{-ი})) = [\text{კაცმა} + \text{მაგიდა}](V(N\text{-მა}, N\text{-ი})\dots (1)$$

(1) ფორმულის ლოგიკა იმაშია, რომ 'კაცმა' და 'მაგიდა' ერთი წინადადების ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქცევა თუ ორივე ისინი ერთსა და იმავე ზმნაზე იქნებიან მიმართულნი. ამასთან იმაშიც, რომ ეს ერთი და იგივე ზმნა $V(N\text{-მა}, N\text{-ი})$ ტიპის შეიძლება იყოს მხოლოდ.

ახლა ენახოთ დასაშვები ენობრივი გამოსახულება 'დიდმა მაგიდა' როგორ სინტაქსურ კავშირს იძლევა. ჩვენი აღწერით 'დიდმა' A-მა ტიპის სიტყვაა, ანუ A-მა(N-მა) ტიპის. მაგრამ ეს სახე არ არის საკმარისი 'დიდმა მაგიდა' გამოსახულებაში სინტაქსური კავშირის დასაჭერად. ამისათვის საჭიროა იმ ერთი ზმნის გამოჩენა რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება განსახილველი დასაშვები ენობრივი გამოსახულების ერთ მარტივ წინადადებად შექცევა. ამისათვის კი ცხადია საკმარისია A-მა(N-მა) ტიპობრივი სახის სრული დაუსტებელი გაფორმება. ე. ი. N-მა სიმბოლოს ნაცვლად მისი სრული ტიპობრივი სახის ჩასმა ანუ N-მა(V(N-მა)-ს გამოსახულებაში ჩასმით A-მა(N-მა) გადადის A-მა(N-მა(V(N-მა))) გამოსახულებაში და მას A-მა ტიპის სრულ ტიპობრივ სახეს ეუწოდებთ. ახლა მზად ვართ 'დიდმა მაგიდა' როგორც დასაშვები ენობრივი გამოსახულება გადავიტანოთ ჩვენეული ფორმალიზმის ფარგლებში. კერძოდ, შემდეგი ფორმულით:

$$[\text{დიდმა}](N\text{-მა}(V(N\text{-მა}))) + [\text{მაგიდა}](V(N\text{-ი})) = [[\text{დიდმა}](N\text{-მა}) + \text{მაგიდა}](V(N\text{-მა}, N\text{-ი})) (2)$$

ამგვარად, თუ პირველ ფორმულაში კვადრატული ფრჩხილების შიგნით სუფთა ენობრივი გამოსახულება გვაქვს, მეორე ფორმულაში კვადრატული ფრჩხილების შიგნით N-მა ტიპის მანიშნებელი სიმბოლოც ფიგურირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ 'დიდმა მაგიდა' დასაშვებ ენობრივ რიგს არაპირდაპირ შუადღედურ სინტაქსურ კავშირად განვიხილავთ, და ეს ბუნებრივია, გამომდინარე (2) ფორმულიდან, მაშინ უნდა ვაღიაროთ რომ იგი სხვა ტიპის სინტაქსური კავშირია და კვაზი-სინტაგმისაგან 'კაცმა მაგიდა' აშკარად განსხვავდება. ამ განსხვავებაზე ჩვენ (2) ფორმულაში არსებული N-მა სიმბოლო გვანიშნებს. ეს ფორმალურად. არაფორმალურად კი სახეზეა შემდეგი: თუ 'კაცმა მაგიდა' კვაზი-სინტაგმის გასაზრებლად ჩვენ გვჭირდება პირობითად ერთი აზროვნებითი საფეხურის გაკეთება და იმ მათი სინტაქსურად მაკავშირებელი ზმნის გააზრება, რომელიც $V(N\text{-მა}, N\text{-ი})$ ტიპისაა, იმისათვის რომ, 'დიდმა მაგიდა' კვაზი სინტაგმად გაეიაზროთ ჩვენ პირობითად ორი აზროვნებითი საფეხური გვაქვს გასაკეთებელი: პირველი ის, რომ 'დიდმა' სიტყვა უნდა გავიყვანოთ მის არგუმენტზე ანუ N-მა ტიპზე, მეორე კი, ისევე როგორც წინა შემთხვევაში უნდა გავიდეთ უკვე მათ მთლიან, ერთ წინადადებად შემკერებელ $V(N\text{-მა}, N\text{-ი})$ ტიპის ზმნაზე. აი ამ ვითარებათა გამო ბუნებრივად შემოდის ერთი საფეხურის ანუ პირველი საფეხურის კვაზი-სინტაგმა და ორი საფეხურის ანუ მეორე საფეხურის კვაზი-სინტაგმა. აქვე, განზოგადების ინტერესებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ, ბუნებრივად ჩნდება მოთხოვნილება იმისა, რომ კლასიკურ სინტაგმებს ანუ სინტაქსურ წყვილებს ნული საფეხურის სინტაქსური წყვილი ანუ სინტაგმა ეუწოდოთ და შესაბამისად ამისა შემოვიტანოთ, ნაცვლად ტერმინებისა ერთი

საფეხურის და ორი საფეხურის კვაზი სინტაგმები, ტერმინები ერთი (პირველი) საფეხურის სინტაგმა და ორი (მეორე) საფეხურის სინტაგმა. ჩვენ ქვემოთ ეისარგებლებთ როგორც ძველი ისე ახალი ტერმინებით.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაღალი საფეხურის სინტაგმა. 'შავს წითელმა' კვაზი სინტაგმა. აქ უშუალო სინტაქსურ კავშირთან საქმე არა გვაქვს, მაგრამ 'შავს წითელმა გაასწრო' ისევე გამოყენებადი ენობრივი ფორმაა, როგორც 'შავს წითელი მირჩენია'. ახლა ენახოთ რომელი საფეხურის სინტაგმებია 'შავს წითელმა' და 'შავს წითელი'. 'შავს-(N-ს (V(N-ს)), შესაბამისად 'წითელმა'-(N-მა(V(N-მა)), შესაბამისად 'წითელი'-(N-ი(V(N-ი)) 'შავს', შესაბამისად 'წითელმა', შესაბამისად 'წითელი' სიტყვა-ოპერატორების სრული ტიპობრივი აღწერებია. ისინი მეორე საფეხურის ანდა ორი სირთულის სიტყვები არიან, რამდენადაც ზმნამდე მისასვლელად მათ სახელის გაკლა უხდებათ. ახლა ენახოთ როგორ კვაზი-სინტაგმებს ქმნიან მეორე საფეხურის სიტყვები:

$$\begin{aligned} & [\text{შავს}](N-\text{ს}(V(N-\text{ს}))) + [\text{წითელმა}](N-\text{მა}(V(N-\text{მა}))) = \\ & = [[\text{შავს}](N-\text{ს}) + [\text{წითელმა}](N-\text{მა})]V(N-\text{მა}, N-\text{ს}), \\ & [\text{შავს}](N-\text{ს}(V(N-\text{ს}))) + [\text{წითელი}](N-\text{ი}(V(N-\text{ი}))) = \\ & = [[\text{შავს}](N-\text{ს}) + [\text{წითელი}](N-\text{ი})]V(N-\text{ი}, N-\text{ს}). \end{aligned}$$

ზედა ფორმულებში კვადრატული ფრჩხილის შიგნით ორი ტიპის მაჩვენებელი სიმბოლო გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ განხილვადი სინტაგმები მესამე საფეხურის სინტაგმებია, ანუ მათ შორის არაუშუალო სინტაქსური კავშირის გასააზრებლად ჩვენ ჯერ ზეპირ-გონებითად უნდა გავიდეთ N-ს-ზე შემდეგ N-მა-ზე (მეორე შემთხვევაში N-ი-ზე) და ამის შემდგომ უკვე ზეპირ-გონებითადვე უნდა მოვიძიოთ მათი წინადადებად შემკერძეული V ტიპი. ეს პირველ შემთხვევაში V(N-მა, N-ი), ხოლო მეორე შემთხვევაში V(N-ს, N-ი) ტიპებია. ე. ი. 'შავს წითელმა' და 'შავს წითელი' სინტაქსური კავშირების გასააზრებლად ჩვენ გეჭირდება სამი ზეპირ-გონებითი ნაბიჯის გაკეთება, რაც ამ სინტაქსური კავშირის სამი სირთულის ანუ მესამე საფეხურის მანიშნებელია.

ამგვარად, ჩვენთან განზოგადდა რა სინტაქსური წყვილის ცნება, იგი აზროვნებითად ნული სირთულის ანუ ნული საფეხურის სინტაგმად იწოდა და, გარდა ამისა, განისაზღვრა არანულოვანი ანუ მაღალი საფეხურის სინტაქსური კავშირების ანუ კვაზი სინტაგმების ცნებები, რომელთა საფეხურეობრივი მაჩვენებელი გვანიშნებს იმ ზეპირ გონებით გააზრებათა ოდენობაზე, რომელიც საჭიროა ამგვარი მაღალი საფეხურის სინტაგმის სინტაქსისის გასათავისებლად. გარდა ამისა, განირჩა რიგითი და რიგითად თავისუფალი სინტაგმების ცნებები და გამოიკვეთა ამ ორი ძირითადი ტიპის სინტაქსისების არსებითად განმასხვავებელი და განმსაზღვრელი თეორიული საფუძვლები. დასასრულს კიდევ რამდენიმე სიტყვა ზოგიერთი რიგითი სინტაგმის განმსაზღვრელი ოპერატორული სიტყვების შესახებ:

1. 'სწრაფად' სიტყვის აღწერისას ვითვალისწინებთ მის მარჯვნივ ერთადგილიანობას. ე. ი. მისი სრული ფორმალური სახეა 'სწრაფად-' იგი როგორც სიტყვა-ოპერატორი მოქმედებს V-ტიპის (ე. ი. ზმნური ტიპის) და Part-ტიპის (ე. ი. მიმდგომის ტიპის) სიტყვებზე. მაგალითად: 'სწრაფად მიბრის' და 'სწრაფად მიმავალი', მაგრამ 'სწრაფად-' როგორც ოპერატორი არ მოქმედებს ყველა ამ ტიპის სიტყვებზე. მაგალითად: 'სწრაფად ვიცი', 'სწრაფად იცოდე',

'სწრაფად იცო' ენობრივი თვალსაზრისებით ვერც სინტაგმებად და ვერც სწორ ენობრივ ფორმებად ვერ ჩაითვლებიან, ისევე როგორც 'სწრაფად მცოდნელი'. ამგვარად, სიტყვის სრული განსაზღვრა ყველა ასეთი ნიუანსის გათვალისწინებას ითხოვს. ანუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ითხოვს სიტყვა-ოპერატორის როგორც ოპერატორის განსაზღვრის არის სრულ და ამომწურავ დადგენას. ყოველი კონკრეტული სიტყვა-ოპერატორისათვის დასმული ამოცანის მარტივი გადამწვევტი გზების ძიება მნიშვნელოვანი ლოგიკურ-ლინგვისტური ამოცანაა. ცხადია, ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებული განსაზღვრის არეები სწორი ენობრივი ფორმების გარკვეული სიმრავლეებია. რაც შეეხება აღსაწერი სიტყვის მნიშვნელობათა არეს, იგი პერბრანისეული მკაცრი ფორმალური მიდგომებით მექანიურად ისაზღვრება იმის გათვალისწინებით, რომ მიღებული ფორმის ტიპი ემთხვევა ოპერანდის ტიპს, რამდენადაც 'სწრაფად-' განმსაზღვრელი სიტყვა ოპერატორია, ეს ერთი, და იგივე მიზეზით აქ ფორმალურად შედეგი ფორმის მნიშვნელობაზეც შეიძლება საუბარი.

2. 'მალე', 'გუშინ', 'ხვალ' ზმნიზედების მაგალითზე გვინდა კიდევ ზოგიერთი ნიუანსის წინ წამოწვევა. 'გუშინ მოდის' არა დაშვებული ფორმაა, ისევე როგორც 'ხვალ მოვიდა'. ე. ი. დროითი ზმნიზედები ბუნებრივი ფორმალური ენის ლოგიკაში დროითი ლოგიკის ძირეულ დატვირთვებს იღებენ თავის თავზე. ამ მხრივ საინტერესოა სინტაგმა 'მალე მოდის', რომელიც შედეგში დროითი თვალსაზრისით არ ემთხვევა 'მოდის' სიტყვის დროით მნიშვნელობას, რაც ჩვენთვის იმასაც ნიშნავს რომ ამ ტიპის სიტყვებს ყველაფერთან ერთად დროითი საზრისის მქონე სიტყვებზე ე.ი. ზმნურ სიტყვებზე დროით ოპერატორული ზემქმედობის თანდაყოლილი უნარებიც შეენიშნებათ. - აქ ჩვენ ძალიან მოკლედ ვეხებით სიღრმისეულ და ბოლომდე და ამომწურავად ძნელად შესასწავლ საკითხებს, და კერძოდ იმ საკითხებს, რომელთა გარეშე ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემისათვის მახასიათებელი ბუნებრივი დროითი ლოგიკა ვერ აიგება.

ჩვენ საკმაოდ დიდი მოცულობის თეორიული სისტემის აგების პროცესში ვართ. ანალოგიური ხასიათის თეორიები დასავლეთში წლების განმავლობაში იქმნებოდა და დღესაც არ არის კვლევები დასრულებული პირველგანსაზღვრული მიზნობრივი შედეგით. ამდენად, ბუნებრივია, ჩვენი ამ პირველი წარმოდგენების ღირებულება არ უნდა შეფასდეს მათი ბოლომდე დახვეწილობით. რა თქმა უნდა, სფეროში არსებული გამოცდილება ამერიკული თუ ევროპული სკოლებისა, ჩვენ ხელს გვიწყოფს და ძლიერ გვეხმარება, მაგრამ ქართული ენის უნიკალურობა გვაიძულებს და გვიბიძგებს ორიგინალური, დამოუკიდებელი ხასიათის კვლევებისაკენ. ამდენად, ჩვენს მიერ არჩეული ახალი გზა იძულებას და არა ამბიციური, ამპარტავანი სურვილი მეკლევარობისა. ისევ ვიმეორებთ, ტერმინთა და აღნიშვნათა სისტემა შემდგომში ალბად დაიხვეწება, დაზუსტდება, მაგრამ ის, რომ მიდგომათა მამოძრავებელი საფუძველი სწორედ არის შერჩეული, ამაში ეჭვი არა გვაქვს, რაშიც ისიც გვარწმუნებს, რომ შემოთავაზებული ფორმალიზმი ესე ბუნებრივად შლის ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელ წყობობრივ-შიანაარსულ ანუ სინტაქსურ-სემანტიკურ თავისებურებებს.

ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1980.
2. მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი 1987.
3. ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი 1978.
4. კ. ფხაკაძე, მ. ივანიშვილი, რ. ასათიანი, ენის ლოგიკა და პარადოქსები, ვენა 2001.
5. კ. ფხაკაძე, მ. ივანიშვილი, მათემატიკური ლოგიკა და ბუნებრივი ენობრივი სისტემების ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის ამოცანები, თბილისი 2001.

ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემის
ერთი ფრაგმენტი როგორც
სიმრავლეთა თეორიული სისტემა

გასაღები სიტყვები: ბუნებრივი ენობრივი სისტემა, ბუნებრივი ენობრივი სისტემის ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის ამოცანები, ბუნებრივი ენობრივი სისტემის იზომორფული ფორმალურ-ბუნებრივი ენობრივი სისტემა, ბუნებრივი ენობრივი მტკიცებითი პროცედურების მკაცრი მათემატიკური ფორმალიზაცია და სიმრავლურ-თეორიული დაფუძნება. ბუნებრივი ენობრივი სისტემის პირდაპირი (ფრეგეს ტიპის) ფორმალურ-ლოგიკური აღწერა.

მცირე აბსტრაქტი: ნაშრომში მცირე ტექსტობრივი ფრაგმენტების მეშვეობით შუქდება ბუნებრივი ენობრივი სისტემების პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის საფუძველმდებლეთი იდეების ერთი ნაწილი, რის შემდგომაც, სხვადასხვა ტიპის ფრჩხილების მეშვეობით მკაცრ ფორმალურ-მათემატიკურ ტექსტობრივ ფორმად ქცეული ბუნებრივ-ენობრივი ტექსტუალური ფრაგმენტი განიხილება როგორც გარკვეული ტიპის სიმრავლურ-თეორიული სისტემა, რის შემდგომაც უკვე, იშლება მკაცრი მათემატიკური მტკიცებითი პროცედურები ტექსტობრივი მასალის სიტყვითი შემადგენლების სიმრავლურ-თეორიული ინტერპრეტაციების საფუძველზე. ნაშრომი განიხილული უნდა იქნეს ბუნებრივი ენობრივი სისტემების სრული და ამომწურავი ფორმალურ-მათემატიკური დაფუძნების არეში მდებარე კლდეად. ნაშრომის პრაქტიკული მხარე უკავშირდება კომპიუტერთან ბუნებრივი ენობრივი სისტემის ფარგლებში სრული და თავისუფალი პროგრამულ-ინტელექტუალური ურთიერთობის პრობლემას.

ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის ძირითადი შედეგების შესახებ: ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის სიტყვითი მასალის პირველმა ფორმალურ-ლოგიკურმა აღწერამ გვიჩვენა, რომ ბუნებრივი ენობრივი სისტემის ნებისმიერი სიტყვა როგორც სიმბოლო ფორმალურად ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით: 1. სიტყვის როგორც ფორმალური-სიტყვა-ოპერატორის ადგილიანობის მაჩვენებელი 2. არანულადგილიანი ფორმალური-სიტყვა-ოპერატორის თითოეული ადგილის ტიპის ტიპობრივი მახასიათებელი. 3. არანულადგილიანი ფორმალური-სიტყვა-ოპერატორის მნიშვნელობათა ტიპის ტიპობრივი მახასიათებელი. ანუ, პირდაპირმა ფორმალურ-ლოგიკურმა აღწერამ გვიჩვენა, რომ ენობრივი სისტემის სიტყვითი მასალა ფორმალურად ამომწურავად შეიძლება იქნეს დახასიათებული ფრეგესული ფორმალურ-მათემატიკური სიმბოლოს მახასიათებელი ძირითადი ატრიბუტებით, ამიტომაც ზოგჯერ, პირდაპირ ფორმალურ-ლოგიკურ აღწერას ფრეგეს ტიპის ფორმალურ-ლოგიკურ აღწერასაც ვუწოდებთ. ამგვარი მიდგომით სრულად აღწერილი სიტყვარი იძლევა ენობრივ სისტემაში სწორი ენობრივი გამოსახულებების მკაცრი ფორმალურ რეკონსტრუქციის მათემატიკური

განსაზღვრებებით მოცემის საშუალებას, თითქმის ისევე როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ კლასიკურ ფორმალურ-მათემატიკურ თეორიებში, რაც საბოლოო ჯამში ამ ბუნებრივი ენობრივი სისტემის იზომორფული ბუნებრივ-ფორმალური სისტემის აგების საშუალებას იძლევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბუნებრივი ენობრივი სისტემის სრული ფორმალიზება შესაძლებელია მხოლოდ მისი სიტყვითი მასალის სრული ფრეგეს ტიპის (ე.ი. პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური) აღწერით. ჩვენ ამ დასკვნამდე მივდით ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში ამ მიმართულებით მორაობის შედეგად. ქართული ენის მორფო-სინტაქსურმა სტრუქტურამ მოგვცა საშუალება განგვეხორციელებია მისი თითქმის სრული პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა ზემოთაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, რის საფუძველზეც ჩვენ ვამბობთ, რომ ქართული ენის ფორმალური კონსტრუქცია ტიპობრივად თანმიხვევია ფრეგესული მათემატიკური ფორმალური ენების ფორმალურ-კონსტრუქციასთან, რაც ერთგვარად ადასტურებს ფრეგესული მათემატიკური ნიშნის ზოგადი თეორიის ფართო, თითქმის ამომწურავ შესაძლებლობებს.

ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერით მიღებული ფორმალიზმისა და ხომსკი-მონტეგეუს ფორმალიზმების მცირე შედარებით ანალიზი: ხომსკისთან სიტყვით საფეხურზე ძირითადი ტიპია N-ტიპი, რომელსაც მონტეგეუ ე-ტიპად აცხადებს. ხომსკისეული წინადადებათა S-ტიპი მონტეგეუსთან t-ტიპად ცხადდება. გარდა N-ტიპისა ხომსკი სიტყვით საფეხურზე მარცხენა ძირითად V, A, Adv ტიპებს, მონტეგეუ კი e და t ტიპების გარდა ყველა დანარჩენ ტიპებს ჩორჩის λ-აბსტრაქტორით იღებს. მონტეგეუსაგან განსხვავებით, ჩვენ სხვადასხვა ტიპის სიტყვების სინტაქსური როლითი ფუნქციების შესაცნობად ჩორჩისეული λ-აბსტრაქტორი არ გვეჩრდება, მორფოლოგიური მარკერებით დეტალურად განცალკევებული და სინტაქსურ-როლითი ფუნქციებით უკვე სისტემურად ტიპიზირებული ქართული სიტყვა იძლევა მისი ფრეგესული აღწერის საშუალებას, რამაც ჩვენთან ხომსკისეული N და A ტიპი შესაბამისად N_{გა}, N_{გა}, N_ს და A_{გა}, A_{გა}, A_ს ქვე-ტიპებად დაგვიშალა. ამასთან, A_{გა}, შესაბამისად A-_{გა}, შესაბამისად A-, ტიპი ენობრივ სისტემაში მარჯვნივ ერთადგილიანი ოპერატორული ტიპია და ამ მარჯვენა ერთი ადგილის ტიპის ფორმალური ტიპობრივი მახასიათებელია N_{გა}, შესაბამისად N-_{გა}, შესაბამისად N-_ს, ხოლო მისი, როგორც სიტყვა ოპერატორის, მნიშვნელობათა ტიპის ტიპობრივი მახასიათებელი ემთხვევა მისივე ოპერანდული ადგილის ტიპობრივ მახასიათებელს. ანუ:

განსაზღვრება I: 1) N_{გა} (N_{გა}) (N_ს) არის N_{გა} (N_{გა}) (N_ს) ტიპის 1-საფეხურის სახელური ფრაზა. 2) A_{გა}(α) (A_{გა}(α)) (A-(α)) არის N_{გა} (N_{გა})(N_ს) ტიპის K-საფეხურის სახელური ფრაზა მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ α არის ((K-1)-საფეხურის) იმავე ტიპის სახელური ფრაზა.

მაგალითები: 1. 'ვაშლი - apple - nom. case' არის N_{გა} ტიპის 1-საფეხურის სახელური ფრაზა, 'ვაშლ-მა - apple - erg. case' არის N_{გა} ტიპის 1-საფეხურის სახელური ფრაზა, 'ვაშლ-ს - apple - dat. case' არის N_ს ტიპის 1-საფეხურის სახელური ფრაზა.

2. 'წითელი (ვაშლი) -red (apple)' არის N_{გა} ტიპის 2-საფეხურის სახელური ფრაზა, რადგანაც 'წითელი-red' არის A_{გა} ტიპის სიტყვა. 'წითელი (ვაშლი)' - red (apple) არის 'წითელი ვაშლი'-ის - 'red apple'-ის მკაცრი ფორმალურ-მათემატიკური

ფრჩხილებიანი ფორმა, რაც გვიჩვენებს იმას, რომ 'წითელი(-)', როგორც მარჯვნივ ერთადგილიანი სიტყვა-ოპერატორი, მოქმედებს რა N_n ტიპის სიტყვაზე 'ვაშლი', როგორც ოპერანდზე, შედეგად იძლევა იმავე N_n ტიპის ენობრივ გამოსახულებას.

3. ა) 'წითელმა (ვაშლმა)' - არის $N_{გ}$ ტიპის 2-საფეხურის სახელური ფრაზა, რამდენადაც 'წითელმა-red' არის $A_{გ}$ ტიპის სიტყვა-ოპერატორი.
- ბ) 'წითელ (ვაშლს)' - არის $N_{ს}$ ტიპის 2-საფეხურის სახელური ფრაზა, რამდენადაც 'წითელ-red' არის $A_{ს}$ ტიპის სიტყვა-ოპერატორი.
4. (1) მრგვალი (მაგიდა) - (1)-არის N_n ტიპის სახელური ფრაზა, ხოლო (2) არის მისი
round (table)
- (2) A_n (N_n) - აბსტრაგირებული ფორმა, რამდენადაც 'მრგვალი -round' არის A_n ტიპის სიტყვა, ხოლო 'მაგიდა - table' არის N_n ტიპის სიტყვა.
- (3) მრგვალმა (მაგიდამ) - (3) არის $N_{გ}$ ტიპის სახელური ფრაზა, ხოლო (4) კი მისი
round (table)
- (4) $A_{გ}$ ($N_{გ}$) - აბსტრაგირებული ფორმა, რამდენადაც 'მრგვალმა - round' არის $A_{გ}$ ტიპის სიტყვა, ხოლო 'მაგიდამ - table' არის $N_{გ}$ ტიპის სიტყვა.
- (5) მრგვალ (მაგიდას) - (5) არის $N_{ს}$ ტიპის სახელური ფრაზა, ხოლო (6) კი მისი
round (table)
- (6) $A_{ს}$ ($N_{ს}$) - აბსტრაგირებული ფორმა, რამდენადაც 'მრგვალ - round' არის $A_{ს}$ ტიპის სიტყვა, ხოლო 'მაგიდას - table' არის $N_{ს}$ ტიპის სიტყვა.

სახელური ფრაზების სიმრავლურ-სემანტიკური ინტერპრეტაციების შესახებ: ჩვენ ვისაუბრებთ N_n ტიპზე, თუმცა გამოთქმული მოსაზრებები ადვილად და ბუნებრივად ზოგადდება $N_{გ}$ და $N_{ს}$ ტიპებზე. N ტიპი საზოგადოდ, და კერძოდ N_n ტიპი, გუანიშნებს გარკვეული სახის საგნობრივ რაობაზე. ამასთან, N_n ტიპი, '-ი' ბრუნვითი მარკერის წყალობით, ხსენებული საგნობრივი მანიშნებლობის გარდა, მარტივ წინადადებაში გარკვეული სინტაქსურ-როლითი ფუნქციებით ხასიათდება, რაც მისით ნიშნული საგნის ამ მარტივი წინადადებით გამოსატული მსჯელობის ერთ-ერთ სამსჯელო საგნად გაგებას უკეთებს რეალიზაციას, მაშინ როდესაც, თვითონ N_n ტიპის სიტყვა მსჯელობად ანუ ჭეშმარიტული შინაარსის მატარებელ ენობრივ რაობად ვერ გაიგება. მარტივი წინადადებით გამოხატული მსჯელობის ძირითად მსჯელობით შინაარსს ამ წინადადების განმსაზღვრელი ზმნური შინაარსის მიმართებითი სიტყვა იძლევა, ხოლო წინადადების შემადგენელი სახელური ფრაზებით მანიშნებლობა კეთდება იმ საგნობრივ რაობებზე.

რომლებზედაც ზმნური მიმართებითი შინაარსით აზრი გამოითქმება, აზრი, რომელიც, ან ჭეშმარიტია, ან მცდარი, და რომელიც, ერთდროულად არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტიც და მცდარიც. ამ ზოგადი ენობრივ-ლოგიკური თვალსაზრისების ფონზე განვიხილოთ სახელური ფრაზების ენობრივ-საგნობრივი მანიშნებლობის ენობრივ-სისტემურად დაშვებული კონტექსტურად შესაძლო გაგებითი სხვადასხვაგვარობები (ვარიანტები).

მაგალითი:

- | | |
|--|---|
| (აღამიანი) [მოკვდავია] (1) (1)' (ყველა(აღამიანი)) [მოკვდავია] | |
| (man) [is mortal] | (Every (man)) [is mortal] |
| (N ₁ ^o) [V(N ₁ ^o)] | (ყველა(N ₁ ^o)) [V(N ₁ ^o)] |
| (აღამიანი) [მოკვდა] (2) (2)' (ყველა(აღამიანი)) [მოკვდა] | |
| (man) [died] | (Every (man)) [died] |
| (N ₁ ^o) [V(N ₁ ^o)] | (ყველა(N ₁ ^o)) [V(N ₁ ^o)] |

(1)-ში 'აღამიანი- man' არის ცვლადის (ე.ი. N₁^o) გაგებით, ხოლო (2)-ში კონსტანტა (ე.ი. N₁^o) გაგებით, რაშიც გვარწმუნებს ის, რომ (1) თითქმის ექვივალენტურია (1)-ის, მაშინ როდესაც (2)-ი მხოლოდ ერთი კერძო შემთხვევაა (2)-ის, რაც იმით აიხსნება, რომ ცვლადი სიმბოლოს განმაზოგადებელი კვანტიფიკაცია (1)-ი გამონათქვამის შინაარსს არსებითად არ ცვლის, მაშინ როდესაც, (2)-ში, კონსტანტა სიმბოლოს განმაზოგადებელი კვანტიფიკაცია იწვევს კერძო გამონათქვამის განზოგადობას, და ამდენად, მისი შინაარსის არსებით ცვლას. ამგვარად, ჩვენ უკვე დასაბუთებულად მივიჩნევთ, რომ ენობრივ სისტემაში ერთიდაიგივე N₁ ტიპის ფრაზა ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ცვლადის გაგების მატარებელი (ე.ი. N₁^o ტიპის), ხოლო მეორე შემთხვევაში, კონსტანტის გაგების მატარებელი (ე.ი. N₁^o ტიპის), თუმცა კი ორივე შემთხვევაშიც, და საზოგადოდაც, N₁ ტიპი ენობრივ-აზროვნებით სისტემაში, გაიგება როგორც სიმრავლე, და, იმისდა მიხედვით, აღნიშნული სიმრავლე რამდენ ელემენტთან სიმრავლედ აზრდება, ხდება N₁ ტიპის სიტყვების შემდგომი, სისტემური კლასიფიკირება-ტიპიზირება.

გვერდს ატეულით რა რიგი შემადგენლების დეტალურ გაშუქებას, დაეკონკრეტდებით N₁ ტიპის ფრაზების ზოგად სიმრავლურ-თეორიულ ინტერპრეტაციულ გაგებებზე: განვიხილოთ კონკრეტული N₁ ტიპის სიტყვა 'ვაშლი - apple', და ის სიმრავლე, რომლითაც იგი ენობრივ-აზროვნებით სისტემაში აზრდება აღნიშნოთ (ვაშლი)-ით. ანალოგიურად A₁ ტიპის სიტყვა 'წითელი - red' არის სიმრავლე, რომელსაც (წითელი)-ით აღნიშნავთ. სიმრავლე (ვაშლი), საგნობრივად ყველა ვაშლად წოდებული საგნების სიმრავლეა, ხოლო სიმრავლე (წითელი), საგნობრივად ყველა წითლად გაგებული საგნების სიმრავლედ აზრდება. ფორმალურ-ენობრივ სისტემაში კი სიმრავლე (ვაშლი) პირობითად იშლება (ვაშლი¹, ვაშლი², . . . , ვაშლიⁿ)-თი აღნიშნულ სიმრავლედ, სადაც ვაშლი¹ ერთის მხრივ არის N₁ ტიპის ენობრივი ფრაზა, მეორეს მხრივ კი არის (ვაშლი) სიმრავლის რომელიმე კონკრეტული ენობრივი ელემენტი, რაც უკვე ამ ტიპის ფრაზის საკუთრივ კონსტანტურ გაგებაზე გვანიშნებს. ანალოგიურადვეა პირობითად გადააზრებული ენობრივად სიმრავლე (წითელი). ამგვარად, 'წითელი (ვაშლი) -red (apple)' - ის 2-საფეხურის N₁ ტიპის სახელური ფრაზაა, რომელიც ფორმალურ-სინტაქსურად 'წითელი (-) - red(-)' სიტყვა-ოპერატორის N₁ ტიპის სიტყვა - 'ვაშლი - apple'-ზე ოპერირებით მიიღება, სიმრავლურად

ინტერპრეტირდება როგორც {წითელი} და {ვაშლი} სიმრავლეების ჩვეულებრივი სიმრავლური თანაკვეთა. ანუ, ენობრიუ-აზროვნებით სიმრავლურ-ინტერპრეტაციულ სისტემაში ჩვენ ვიცით, რომ

$$\{\text{წითელი (ვაშლი)}\} = \{\text{წითელი}\} \cap \{\text{ვაშლი}\} \quad (1)$$

რაც თავისთავად ნიშნავს იმასაც, რომ

$$\{\text{წითელი (ვაშლი)}\} \subset \{\text{წითელი}\} \quad (2)$$

და

$$\{\text{წითელი (ვაშლი)}\} \subset \{\text{ვაშლი}\} \quad (3).$$

სანამ შემდგომი ენობრივი მაგალითების განხილვაზე გადავიდოდეთ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ (1), (2) და (3) სიმრავლური მიმართებებით მოცემული ენობრივი ფრაზების სიმრავლურ-თეორიული საზრისები ამომწურავი და მინიმალურად საკმარისი ცოდნითი გაგებებია ამგვარი სახელური ფრაზების ფარგლებში მკაცრი მათემატიკური და სუფთა ფორმალურ-აზროვნებითი ხასიათის სიმრავლურ-თეორიული მტკიცებითი პროცედურების ასაგებად.

მაგალითი:

'ჩემი (ვაშლი) – my (apple)'

'ეს (ვაშლი) – this (apple)'

'ის (წითელი (ვაშლი)) – that (red (apple))'

ენობრივი ფრაზების სიმრავლურ-ინტერპრეტაციული სემანტიკა შემდგენიად ხასიათდება: 'ჩემი (ვაშლი) – my (apple)', 'ეს (ვაშლი) – this (apple)' და 'ის (წითელი (ვაშლი)) – that (red (apple))' უკვე აღარ არიან სიმრავლეები. ამ ტიპის სახელური ფრაზები კონკრეტული საგნობრივი მანიშნებლობის მატარებლები არიან, და ამდენად, ისინი {ვაშლი} სიმრავლის ელემენტებს წარმოადგენენ (როგორც საგნობრივად ისე ენობრივად). ე.ი. ძალაშია შემდეგი სიმრავლური მიმართებები:

$$(1) \text{ ჩემი (ვაშლი)} \in \{\text{ვაშლი}\}$$

$$\text{my (apple)} \in \{\text{apple}\}$$

$$(2) \text{ ეს (ვაშლი)} \in \{\text{ვაშლი}\}$$

$$\text{this (apple)} \in \{\text{apple}\}$$

$$(3) \text{ ის (წითელი (ვაშლი))} \in \{\text{წითელი (ვაშლი)}\} \subset \{\text{ვაშლი}\}$$

$$\text{that (red (apple))} \in \{\text{red (apple)}\} \subset \{\text{apple}\}.$$

ზემოთ განხილული მაგალითებით ხაზგასმული ძირეული სიმრავლურ-თეორიული ანალიზი ყველაფერთან ერთად იმაშიც გვარწმუნებს, რომ ენობრივი სისტემაში 'ჩემი – my', 'ეს – this' და 'ის – that' სიტყვა განმსაზღვრელების სიმრავლურ-ოპერატორული ბუნება სიმრავლეთა თეორიაში ამორჩევის აქსიომით განსაზღვრული თეაღსაზრისების ფარგლებში ხორციელდება.

მაგალითი:

'ყოველი (სტუდენტი) – Every (student)'

'რომელიღაც (წიგნს) – a (book)'

'ყოველი (სტუდენტი) – Every (student)' ენობრივი სისტემაში არის განზოგადებულად კვანტიფიცირებული N_0 ტიპის სახელური ფრაზა და ამდენად, იგი ფაქტიურად {სტუდენტი} სიმრავლის ნებისმიერ ელემენტზე იღებს

მანიშნებლობას, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ 'ყოველი (სტუდენტი)' არის ზოგადი ელემენტი {სტუდენტი} სიმრავლისა, რაც თავისთავად იმას ნიშნავს რომ 'ყოველი (სტუდენტი) - Every (student)' თუ არის რომელიმე მარტივი ენობრივი წინადადებით გამოხატული მსჯელობის რომელიმე სამსჯელო საგანი, მაშინ მსჯელობა ამ სამსჯელო საგნის გასწორე სრულად კვანტიფიცირებულია და ამდენად ზოგადურია. ანუ, თუ ამგვარი სამსჯელო საგნით გაფორმებული ენობრივი მსჯელობა ჭეშმარიტია, მაშინ იგი ჭეშმარიტი იქნება '{სტუდენტი} - {student}' სიმრავლის ნებისმიე_____რ კონკრეტულ ელემენტზეც. ფრაზა-'რომელია ც (წიგნს) - a (book)' ენობრივ სისტემაში არის ეგზისტენციალურად კვანტიფიცირებული N_n ტიპის სახელური ფრაზა, და ამდენად, იგი {წიგნს} სიმრავლის არა ნებისმიერად აღებულ, არამედ გარკვეული წინაპირობებით განსაზღვრულ ელემენტზე იღებს მანიშნებლობას, რაც თავის მხრე იმას ნიშნავს, რომ თუ ენობრივი მსჯელობის რომელიმე სამსჯელო საგანი არის 'რომელია ც (წიგნს) - a (book)' ტიპის ენობრივი ფრაზა და თუ ეს მსჯელობა ჭეშმარიტია, მაშინ აუცილებლად მოექმნით {წიგნს} - {book}' სიმრავლის ერთ მაინც ისეთ ელემენტს, რომელზედაც აღნიშნული მსჯელობა ასევე ჭეშმარიტი იქნება.

მაგალითი: (სტუდენტი^c) [კითხულობს] (წიგნს^c) (1)

(a (student)^c) [is reading] (a (book)^c)

(N_n^c) [$V^2(N_n, N_n)$] (N_n^c) (1)

(1)-ში 'სტუდენტი - student' არის N_n ტიპის სახელური ფრაზა, ხოლო 'წიგნს - book' არის N_n ტიპის სახელური ფრაზა. (1)-ში c-ინდექსი გვანიშნებს იმაზე, რომ აქ 'სტუდენტი - student' და 'წიგნს - book' სიტყვებს კონსტანტური გაგება აქვთ. ანუ, (1)-ის ჭეშმარიტება ნიშნავს, რომ 'რომელია ც (სტუდენტი) - a (student)' მართლა კითხულობს 'რომელია ც (წიგნს) - a (book)'. 'კითხულობს - is reading' პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერით არის $V^2(N_n, N_n)$ ტიპის ზმნური მიმართებითი სიტყვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი როგორც პრედიკატის მსჯელობის საგნები შეიძლება იყვნენ (კვანტიფიცირებული ან არა კვანტიფიცირებული) N_n და N_n ტიპის სახელური ფრაზები. ამგვარად, ჩვენთვის 'კითხულობს - is reading' ორადგილიანი პრედიკატივია, რაზედაც (1)-ში კვადრატული ფრჩხილები გვანიშნებს თვითონ 'კითხულობს' - სიტყვის მორფოლოგიურ მარკერებთან ერთად. ამგვარად, ჩვენთვის (1) სწორი ენობრივი ფორმა, კერძოდ კი სრული მარტივი წინადადებაა, რომლის მკაცრი ფორმალურ-მათემატიკური აბსტრაგირებული სახეა (1):

'კითხულობს' პრედიკატივის და საზოგადოდ [$V^2(N_n, N_n)$] ტიპის ზმნურ-მიმართებითი სიტყვის მათემატიკური სიმრავლურ-თეორიული ინტერპრეტირების შესახებ: ნებისმიერად აღებულ A და B სიმრავლეების დეკარტულ ნამრავლს ჩვენ $A \times B$ -თი აღვნიშნავთ. იგი წყვილთა სიმრავლეს წარმოადგენს. ეს ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ მონტევიუსთან ინგლისური ენობრივი სისტემის ზმნურ-მიმართებითი სიტყვები, ისევე როგორც ფორმალურ-მათემატიკურ ენებში პრედიკატები, (გარკვეული) სიმრავლეების დეკარტული ნამრავლის გარკვეულ ქვესიმრავლეებად აზრდება. ასე მაგალითად, $read(s)^2(x,y)$ ინგლისურ ენობრივ სისტემაში ორადგილიანი პრედიკატივია და კონკრეტულ სიმრავლურ ინტერპრეტაციაში იგი (N, N) ტიპის ენობრივ წყვილთა გარკვეულ სიმრავლედ

იშლება. - ეს ენობრივ სისტემებზე დღეს კარგად ცნობილი სიმრავლურ-თეორიული თვალსაზრისები და მიდგომებია, რომლებიც ასეთივე ბუნებრივობით არ შეიძლება გავრცელებულ იქნეს ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რასაც ქართულ ენობრივ სისტემაში მარტივი წინადადების სიმრავლური, რიგითად თავისუფალი გააზრება წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, ენობრივ სისტემაში N ტიპისა და V ტიპის სიტყვების ურთიერთსინტაქსურად მიმართებითი მორფო-მარკირებულობით არის უზრუნველყოფილი.

განსაზღვრება: A და B სიმრავლეების თავისუფალი ნამრავლი აღინიშნება $A \times_f B$ -ით და განსაზღვრით $A \times_f B = \{ \{a, b\}; a \in A \wedge b \in B \}$.

დღეს არსებული სიმრავლურ-თეორიული თვალსაზრისებით სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლი, ანუ ელემენტთა დალაგებული სიმრავლე, უფრო ზედა საფეხურის მათემატიკური იდეაა, ვიდრე ელემენტთა დაულაგებელი ანუ ჩვეულებრივი სიმრავლე. ამ ხედვით ფონზე სრული უფლება გვაქვს იმის თქმისა, რომ სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლის ოპერაცია, როგორც უფრო ზედა საფეხურის სიმრავლური ოპერაცია, განსაზღვრებადია სიმრავლეთა თავისუფალი ნამრავლის ოპერაციით. ეს ერთის მხრივ, - მეორეს მხრივ კი, სიმრავლეთა თავისუფალი ნამრავლი ის ამომწურავად საკმარისი და ბუნებრივი სიმრავლური გარემოა სადაც და რაშიც უნდა გააზრდეს ქართული ენობრივი სისტემის ზმნურ-მიმართებითი პრედიკატივების (პრედიკატების) სიმრავლურ-თეორიული საზრისები: უფრო კონკრეტულად: [კითხულობს] როგორც $[V^2(N_{-n}, N_{-n})]$ ტიპის პრედიკატი სიმრავლურად ინტერპრეტირდება როგორც გარკვეული $N_{-n} = \{ N_{-n}^1, N_{-n}^2, \dots, N_{-n}^n \}$ და $N_{-n} = \{ N_{-n}^1, N_{-n}^2, \dots, N_{-n}^n \}$. ენობრივი სიმრავლეების თავისუფალი ნამრავლის გარკვეული ქვესიმრავლე, ანუ ნებისმიერ კონკრეტულ ფაქტობრივ ტექსტობრივ მასალაში $[V^2(N_{-n}, N_{-n})] \subset N_{-n} \times_f N_{-n} = N_{-n} \times_f N_{-n}$ - აი, ეს ის ახალი სიმრავლურ-ინტერპრეტაციული ხედვაა, რასაც ქართული ენობრივი სისტემის სიღრმისეული აზროვნებითი ხედვა იძლევა. ამგვარად, თუ ტექსტი შედგება ერთი შემდეგი ფაქტისაგან: (‘სტუდენტი’) [კითხულობს] (წიგნს) = t'(I) მაშინ, ‘კითხულობს’ ჩვენთვის ცოდნითად { სტუდენტი , წიგნს } სიმრავლით ისაზღვრება. თუ (I) ფაქტობრივ ტექსტში ⁿ-ინდექსს შეეცვლით ⁿ-ინდექსით, ე.ი. ‘სტუდენტი’ და ‘წიგნს’ გაეიზრებთ ცვლად სიმბოლოებად, მაშინ მისგან მიიღება ფაქტობრივი-ტექსტი (‘სტუდენტი’) [კითხულობს] (წიგნს) = t'(I), რომელიც უკვე თავისმხრივ იძლევა [კითხულობს] პრედიკატის შემდეგ ცოდნით გაგებას [კითხულობს] = {სტუდენტი} \times_f {წიგნს}.

განიხილოთ კიდევ ორი ენობრივი მაგალითი წამოჭრილ საკითხების უკეთ გასაშუქებლად:

(Every (student)°) [is reading] (the (book)°) (E1)

(ყოველი (სტუდენტი°)) [კითხულობს] (წიგნს°) (G1)

(Every (student)°) [is reading] (a (book)°) (E2)

ყოველი (სტუდენტი°) [კითხულობს] (წიგნს°) (G2)

(I)-ში (წიგნს°) გვანიშნებს რომ ‘ყოველი სტუდენტი’ კითხულობს რაღაც ერთსა და იმავე ‘წიგნს’. ამ გაგებას ინგლისურ ენოვან ვარიანტში ‘the’ აკეთებს. ანუ, (G1) = t ფაქტი ნიშნავს იმას, რომ ‘ყველა (სტუდენტი°)’ კითხულობს ერთსა და იმავე (წიგნს°). ხოლო (G2) = t ფაქტი გვანიშნებს უკვე იმაზე, რომ ყოველი

სტუდენტისათვის არსებობს ისეთი წიგნი, რომელსაც იგი კითხულობს და არანაირი აუცილებლობა იმისა, რომ ყველა სტუდენტი ერთსა და იმავე წიგნს კითხულობდეს აქ აზროვნულად არ იგულისხმება. ამგვარი ანალოზის შემდგომ გასაგები ხდება, რომ (G1'), შესაბამისად (G2'), (E1)-ის, შესაბამისად (E2)-ის, უფრო ზუსტი აზროვნებით-ადეკვატური თარგმანებია:

(G1') (ყველა (სტუდენტი))^{vv} [კითხულობს] (ამ (წიგნს))^p

და

(G2')(ყველა(სტუდენტი))^v[კითხულობს](რომელიც(წიგნს))^{3<v>}

ანუ, (G1') = t უნივერსალურად განზოგადებული ფაქტობრივი ჭეშმარიტებიდან, როგორც კერძო შედეგი, მიიღება (სტუდენტი)^v [კითხულობს] (ამ (წიგნს))^p ფაქტის ჭეშმარიტება. ხოლო (G2') = t-დან კერძო შემთხვევის ასაღებად ჩვენ გეჭირდება $\exists <v>$ ტიპის ატრიბუტული ეგზისტენციალის ადება (წიგნს) სიმრავლიდან (სტუდენტის) სიმბოლოთი.

კიდევ ერთი განსაზღვრება ზემოთ განხილული კლასიკური ლოგიკური ხედვების უფრო ბუნებრივი ენობრივ-ლოგიკური დაფუძნების მიზნით.

განსაზღვრება: $[V^2(N_o, N_u)]$ პრედიკატის N_o დაკონკრეტება (დაზუსტება) ეუწოდოთ (N_o) $[V^2(N_o, N_u)]$ და $[V^2(N_o, N_u)] (N_o)$ ზმნურ ფრაზებს და ისინი როგორც პრედიკატები უკვე $[V^1(N_u)]$ ტიპისანი არიან. ანალოგიურად განისაზღვრება $[V^2(N_o, N_u)]$ პრედიკატის N_u დაზუსტება, რომელიც უკვე $[V^1(N_o)]$ ტიპის პრედიკატს იძლევა.

მაგალითი: [კითხულობს] არის $[V^2(N_o, N_u)]$ ტიპის პრედიკატი [(სტუდენტი) [კითხულობს]] არის მისი N_o დაზუსტება და იგი $[V^1(N_u)]$ ტიპის პრედიკატივია, ხოლო [(წიგნს)[კითხულობს]] [კითხულობს] პრედიკატივის N_u დაზუსტებით მიღებული $[V^1(N_o)]$ ტიპის პრედიკატივია. აქვე შეენიშნოთ, რომ ანალოგიურადვე განიმარტება პრედიკატივის N_{3a} ტიპის დაზუსტების ცნება.

ჩვენ უკვე ენახეთ, რომ $[V^2(N_o, N_u)]$ ტიპის პრედიკატივი როგორც სიმრავლე აზრდება $\{N_o, N_u\}$ ტიპის ორელემენტთან სიმრავლეთა სიმრავლედ. ამ პრედიკატივის N_o დაზუსტებით მიღებული $[(N_o)] [V^2(N_o, N_u)]$ პრედიკატივი როგორც სიმრავლე აზრდება $\{N_u\}$ ტიპის სიმრავლეთა სიმრავლედ, იმ დაზუსტებით, რომ ნებისმიერი ასეთი $\{N_u\}$ ტიპის სიმრავლისათვის არსებობს ისეთი N_o ელემენტი რომ $\{N_o, N_u\}$ უკვე $[V^2(N_o, N_u)]$ პრედიკატივის ელემენტია. ანალოგიურად აზრდება $[(N_u)] [V^2(N_o, N_u)]$ პრედიკატივის (ზმნური-ფრაზის) სიმრავლური გაგება.

მაგალითი: თუ '(სტუდენტი) [კითხულობს] (წიგნს) = t' ფაქტიდან [კითხულობს] პრედიკატივი ცოდნითად $\{(სტუდენტი, წიგნს)\}$ სიმრავლით განისაზღვრა, მაშინ, იგივე ცოდნით არეში [(სტუდენტი) [კითხულობს]] პრედიკატივი $\{(წიგნს)\}$ სიმრავლეს წარმოადგენს ხოლო [(წიგნს) [კითხულობს]] პრედიკატივი წარმოადგენს სიმრავლეს $\{(სტუდენტი)\}$.

თუ გაკეთებულ განსაზღვრებებში ერთელემენტთან სიმრავლურ ელემენტებს გავაიგივებთ მათსავე ელემენტთან, ერთის მხრივ, ძირითადი სიმრავლური თვალსაზრისები თითქმის უცვლელად ნარჩუნდება, მეორეს მხრივ კი, ვღებულობთ შემდგომი გამარტივებული მსჯელობების განვითარების საშუალებებს: ქვემოთ

გადმოცემას აქ გაკეთებული შეთანხმების ფარგლებში გაავარქვლებთ. განვიხილოთ ენობრივი ფაქტი:

(ყველა (სტუდენტი) [კითხულობს] (ამ (წიგნს)) = t.
(Every (student)) [is[reading]] (the (book)) = t.

ესაა გასაგები უნდა იყოს, რომ [(ყველა (სტუდენტი) [კითხულობს]) პრედიკატივი როგორც სიმრავლე განიშნება ერთელემენტური სიმრავლეზე, რომლის ერთადერთი ელემენტი ენობრივ საფეხურზე არის ენობრივი ფორმა 'ამ (წიგნს)', ხოლო საგნობრივ საფეხურზე მისით ნიშნული საგანი. ესაა გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ [(ამ (წიგნს)) [კითხულობს]] სიმრავლე აღნიშნულ ფაქტობრივ ცოდნით არეში ემთხვევა სიმრავლეს {სტუდენტი}. ანუ, იმისათვის რომ ზემოთ მონიშნულ ფაქტობრივ არეში ეუქსუსოთ შეკითხვას:

(I) (მერი) [კითხულობს] (ამ (წიგნს)) = t ?
(Mary) [is[reading]] (this (book)) = t ?

საკმარისია გავარქვიოთ არის თუ არა 'მერი' {სტუდენტი} სიმრავლის ელემენტი. ანუ, (I) ენობრივი ფორმით ჩამოყალიბებული კითხვა დაიყვანება ზემოთ აკებული ენობრივ-სიმრავლურ-თეორიულ სისტემაში დასმულ შემდეგ კითხვაზე:

(I') (მერი) ∈? {სტუდენტი}.

ამით ჩვენ ვამთავრებთ ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელი და, ჩვენ ვფიქრობთ, მასთან თანაზიარი ენობრივ-სიმრავლურ-თეორიული სისტემის პირველ საფუძველმდებობ წარმოდგენას. ამ ნაშრომს კი უკვე ნაწილობრივ გააზრებული და აკებული ენობრივ-სიმრავლურ-თეორიული სისტემის ფარგლებში შემდეგი ორი ფორმალურ-ტექსტუალური ამოცანების გაანალიზებით დავასრულებთ, რომელთაგან თითოეულში დეტალურად და ბიჯითად გააზრებულია დასმული ამოცანების ამომხსნელი ლოგიკურ-მათემატიკური ხასიათის სიმრავლურ-თეორიული პროცედურები:

- I. (ყოველი (სტუდენტი) [კითხულობს] (წიგნს)) = t. (1)
(Every (student)) [is[reading]] (a book) = t.
- (მერი) [არის] (სტუდენტი) = t (2)
(mery) [is] (a (student)) = t
- (მერი) [კითხულობს] (წიგნს) = t ? (3)

(I)-ში (1) და (2) ტექსტუალური ამოცანის პირობითი შემადგენლებია. (3) კი ამ ცოდნით არეში დასმული პასუხგასაცემი კითხვაა. დღეს არსებული მიდგომებით (1)-ენობრივი ფორმის ექვივალენტური მათემატიკური შინაარსი შემდეგნაირად ფორმდება:

$\forall x (\text{student}(x) \rightarrow \exists y (\text{book}(y) \wedge \text{read}(x,y)))$.

ჩვენი მიდგომებით კი, (1)-თი ფრჩხილებიანი ფორმა უკვე მისი მათემატიკური ექვივალენტია ზემოთ აკებულ ენობრივ-სიმრავლურ-თეორიულ სისტემაში. რაც შეეხება მე-(3)-ე კითხვაზე პასუხის პროცედურულ მოძიებას აქ საკმარისია ენობრივ სისტემაში ლოგიკური შინაარსის მქონე 'არის' - [is] სიტყვა-პრედიკატივის აქსიომური ლოგიკურ-სისტემური გადააზრება. ანუ ის, რომ '(მერი) [არის]

(სტუდენტი) = t' ფაქტიდან ენობრივი ლოგიკურ-სისტემური აქსიომატიკა პროცედურულად იძლეოდას '(მერი) ∈ {სტუდენტი} = t' სიმრავლურ-თეორიული ფაქტის შედეგად გამოყვანის საშუალებას, რის შემდგომაც უკვე, უნივერსალურად კვანტიფიცირებულ ფორმა (1)-ში 'ყოველი (სტუდენტი)'-ის ნაცვლად 'მერის'-ის ჩანაცვლებით ტრივიალურად ვღებულობთ დასმულ კითხვაზე დადებით პასუხს.

II. [შეიჭამა] (წითელი (ვაშლი)) = t (1)

[It was eaten] (red (apple)) = t

(ჩემი (ვაშლი)) [არ [არის]] (წითელი) = t (2)

(my (apple)) [[is] not] (red) = t

[[შეიჭამა] თუ [არა]] (ჩემი (ვაშლი)) = t? (3)

[It was or not eaten] (my (apple)) = t?

პირველი ნაბიჯი: რთული ალტერნატიული ხასიათის კითხვა 3-ის დახსურდავება. რის შედეგადაც ორ მარტივ კითხვას ვღებულობთ:

3¹ [შეიჭამა] (ჩემი (ვაშლი)) = t?

3² [არ [შეიჭამა]] (ჩემი ვაშლი)) = t?

მეორე ნაბიჯი: კითხვა 3¹ ჩაესვით დაშვების სახით (1) და (2) ცოდნით სისტემაში, რაზეც ამ კითხვით მოცემული ფორმულის ბოლოს დასმული ძახილის ნიშანი მიგვახვედრებს: ე.ი. ვღებულობთ:

[შეიჭამა] (წითელი (ვაშლი)) = t (1)

[It was eaten] (red (apple)) = t

(ჩემი (ვაშლი)) [არ [არის]] (წითელი) = t (2)

(my (apple)) [[is] not] (red) = t

[შეიჭამა] (ჩემი (ვაშლი)) = t! (3)

[It was eaten] (my (apple)) = t!

მესამე ნაბიჯი:

(1) → [შეიჭამა] = {წითელი (ვაშლი)} (4)

(1) → [it was eaten] = {red (apple)}

მეოთხე ნაბიჯი:

(2) → (ჩემი (ვაშლი)) ∈ {წითელი} (5)

(2) → (my (apple)) ∈ {red}.

მეხუთე ნაბიჯი:

(5) → (ჩემი (ვაშლი)) ∈ {წითელი (ვაშლი)} (6)

(5) → (my (apple)) ∈ {red (apple)}.

(ეს დასკვნა კეთდება (5)-ისა და ენობრივ-სისტემური სიმრავლურ-ლოგიკური აქსიომატიკის საფუძველზე).

მეექვსე ნაბიჯი:

(3) → (ჩემი (ვაშლი)) ∈ [შეიჭამა] ! (7)

(3) → (my (apple)) ∈ [it was eaten] !

მეშვიდე ნაბიჯი:

(4)-დან და (7)-დან → (ჩემი (ვაშლი)) ∈ {წითელი(ვაშლი)}! (8)

(4)-დან და (7)-დან → (my (apple)) ∈ {red (apple)} !

მერვე ნაბიჯი:

((8),(6)) → აშკარა წინააღმდეგობა !!!

ამით მტკიცებითი პროცედურა მთავრდება და ბოლო, მეცხრე ნაბიჯი შემდეგი დასკვნის სახით ვალიდდება: დაშვება (3¹)-ი, (1), (2) ცოდნით სიმრავლეში წინააღმდეგობრივია, ე.ი. დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს ალტერნატიული ფაქტობრივი შინაარსის ჭეშმარიტება. ანუ, როგორც შედეგი ვღებულობთ, რომ [‘არ [შეიჭამა] (ჩემი (ვაშლი)) = t’ გამოყვანადი ფაქტია (1), (2) ფაქტობრივი ცოდნითი სისტემიდან.

ეხლა (1), (2) ფაქტობრივ ცოდნით სისტემაში შევიდეთ შემდეგი ბუნებრივ-ლოგიკურ-მოდალური შინაარსის მქონე კითხვით:

[‘შეიძლება [შეიჭამა] (ჩემი (ვაშლი)) = t? (3’)

იმისათვის რომ ამ კითხვას ეუპასუხოთ ჩვენ გეჭირდება ლოგიკურ-მოდალური სიტყვა-ოპერატორის ‘შეიძლება(-)’-ს ბუნებრივი ენობრივი შინაარსის მკაცრი ლოგიკური ინტერპრეტირება, რასაც ბუნებრივადვე შემდეგნაირად გავაკეთებთ: (3’) კითხვაზე პასუხი უარყოფითია მხოლოდ მაშინ, თუ (1), (2), (3¹) სისტემა წინააღმდეგობრივია, წინააღმდეგ (საპირისპირო) შემთხვევაში (3’) კითხვაზე პასუხი დადებითია. – ეხლა გასაგები უნდა იყოს, რომ (3’) კითხვაზე სისტემა დაფუძნებულ უარყოფით პასუხს მოგვეცემს, გამომდინარე წინა პროცედურის შედეგიდან და ‘შეიძლება’ სიტყვის ზემოთ შემოთავაზებული გაგებიდან.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ი. ბენტემი, ესეები ლოგიკურ სემანტიკებში, 1986.

2. ბ. პარტი, მათემატიკური მეთოდები ლინგვისტიკაში, 1990.

3. ჩ. ჩენ, მათემატიკური ლოგიკა და თეორემათა ავტომატური მტკიცებანი, 1973.

4. შ. ფხაკაძე, აღნიშვნათა თეორიის ზოგიერთი საკითხი, 1977.
5. შ. ფხაკაძე, სიმრავლეთა თეორიისა და მათემატიკური ლოგიკის ელემენტები, 1978.
6. შ. ფხაკაძე, მათემატიკური ლოგიკა – საფუძვლები, ტ1-1996, ტ2-1999.

წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნება, პირის ნიშანთა საკითხი, ინტეგრალური და არაინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა-შინაარსები და ქართული ზმნის არასრული ანუ პირველი სემანტიკური კლასიფიკაცია

ნაშრომი შესრულებულია გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში იმ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით, რომლის სათაურიცაა - "კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში". ამასთან, ნაშრომში განხილული თემატიკა შეეხება დერივაციული ანუ წარმოქმნითი შესაძლებლობებით ისეთ ურთულეს სისტემას, როგორცაა ქართული ზმნა. მუშაობის პროცესში დეტალურად იქნა განხილული საკითხთან დაკავშირებული დღეს არსებული და კლასიკური ზედგები. ჩვენ გავეცანით ა. შანიძის, ს. ხუნდაძის, ნ. მარის, არნ. ჩიკობავას, შ. ონიანის, გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძის, მ. მაჭავარიანის, თ. თუთურგაძის, დ. მელიქიშვილის, ი. მელიქიშვილის, რ. ასათიანის და სხვათა შრომებს და შევეცადეთ ამის გათვალისწინებით წარმოგვეჩინა ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზისათვის დამახასიათებელი ის მკაცრი და ზუსტი თვალსაზრისები, რომლებიც ვითარდება ლოგიკისა და ენის ქართულ ჯგუფში. ეჭვგარეშეა, რომ ენის მკაცრი ფორმალისაცაა და მათემატიკაცაა მისი ლოგიკურ-პროგრამულ ენად მოდიფიცირების მიზნით ვერ იგუებს რთულ და არაცხადად გასაგებ ცნებებს. ამიტომ, იმისათვის, რომ ენობრივ სისტემაში გატარებული და ამავე ენობრივი სისტემით მოცემული აზროვნებითი გაგებები და შესაძლებლობები მიტანილ იქნას კომპიუტერამდე, აუცილებელია ამ ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელი ენობრივ-აზროვნებითი მოვლენების სიღრმისეული შინაარსების სრული და მარტივად გასაგები ახსნა-აღწერა იმგვარი წესების სახით, სადაც წინასწარვე იქნება გამორიცხული განუსაზღვრელ გამოწვევის შემთხვევათა სისტემური შესაძლებლობა. ამდენად, ენობრივ მოვლენათა ზუსტი სემანტიკური დეფინიცია (განსაზღვრა) და მათი ფორმალურ-გრამატიკული რეალიზაცია ერთმანეთთან სრულ და არაწინააღმდეგობრივ თანმთხვევაში უნდა იყვნენ! - ანუ, ამა თუ იმ ლინგვისტურ კატეგორიას (ცნებას) ნათლად განსაზღვრულად და დაფუძნებულად ვთვლით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შინაარსული ლინგვისტური კატეგორიის მარეალიზირებელი გრამატიკული შემადგენლები და ამ შემადგენლების ფორმალურ-ლინგვისტური ფუნქციონირება აღწერილია სრულ შესაბამისობაში მათი ბუნებრივ-ანთროპოლოგიური შინაარსებისა, და თანაც ყოველგვარი გამოწვევის გარეშე. ამგვარი პრინციპებით ენობრივი სისტემების დამუშავება დღეს საერთო ხასიათის უმნიშვნელოვანეს ამოცანად განისაზღვრა და

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლინგვისტური სკოლა, გამომდინარე იმ დიდი წვლილიდან, რაც მან შეიტანა საერთო ენათმეცნიერულ სფეროში, დამსახურებულად ამაყოფს მისი მიღწევებით, ჩვენ, ზემოთ ხაზგასმული ლინგვისტურ-ლოგიკურ ამოცანის ინტერესებიდან გამომდინარე, წლებით ჩამოერჩებით დღეს უკვე აქ არსებულ და მიმდინარე კვლევით საფუძვრებს. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში განხილული თვალსაზრისების კრიტიკული დამოკიდებულება მანამდე არსებულ კლასიკურ ხედვებთან განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, და შესაბამისად, ამ ახალი მოთხოვნებით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით, გადააზრდეს ტრადიციული ენათმეცნიერული თვალსაზრისებით ღრმად და თითქმის ამომწურავად შესწავლილი ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემა. - ამჯერად, ჩვენ დეტალურად ვერ განვიხილავთ ზემოთ აღნიშნული ავტორების, ჩვენი საკვლევი საფუძვლებისათვის ღრმად მნიშვნელოვან და მეტად საინტერესო, თეორიულ, ენათმეცნიერულ მიდგომებს, აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ერთიდაიგივე ზმნური სისტემის ასე მრავალი და სხვადასხვაგვარი სისტემური გაშლების არსებობა გეაფიქრებინებს, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ საბოლოო, ნათელ და მარტივ გადაწყვეტებთან არა გვაქვს საქმე, თუმცა კი, ისიც უნდა გაეთვალისწინოთ, რომ ის მკაცრად მათემატიკური სიცხადე და სიმარტივე, რომელსაც თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზი ითხოვს და ითვალისწინებს, განსაკუთრებულია, და ამ დოზით იგი მანამდელი ხასიათის კვლევებში საორიენტაციოდ არ იყო აღებული! - ახლა უშუალოდ იმ ხედვებისა და მიდგომების შესახებ, რომლებიც ვითარდება ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან არსებული „ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფის“ ფარგლებში.

დავიწყოთ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის შინაარსული ცნების დაზუსტებით. ჩვენ იგივეს ზოგჯერ ენობრივ-აზროვნებით მოვლენურ-მიმართებით სიტყვას ვუწოდებთ ხოლმე. ამგვარი დეფინიციის მიზნზე არის ის, რომ ჩვენთვის სიტყვა ენობრივ-აზროვნებითი ხასიათის ანთროპოლოგიური მოვლენაა, - ეს საზოგადოდ! და კერძოდ ისიც, რომ ჩვენეული ხედვებით ზმნური ტიპის სიტყვების შინაარსების არსებითი ფუნქციონალური სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რითაც ისინი გარკვეულად გასაგებ, უზოგადეს, ენობრივ აზროვნებით მიმართებაში აყენებენ ამავე ენობრივ-აზროვნებით სისტემაში სხვადასხვა ტიპის სახელებით გათავისებულ და გაგებულ სამსჯელო საგნობრივ რაობებს და, იმისდამიხედვით, თუ რამდენი სახელი ყენდება კონკრეტული ენობრივ-აზროვნებით მოვლენურ-მიმართებითი სიტყვით აზროვნულ-ლოგიკურ მიმართებაში განისაზღვრება ამ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ადგილიანობა. ამგვარად, ჩვენთვის, ნებისმიერ ბუნებრივ ენობრივ სისტემაში, ნებისმიერი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული და ამ სემანტიკური ერთეულით განსაზღვრებადი ასევე ნებისმიერი ზმნური სიტყვა იმგვარი მეორადი შინაარსული მოვლენაა, სადაც პირველად შინაარსულ საფეხურს მათ მიერ მსჯელობაში ჩაყენებული სახელები იღებენ. ასე მაგალითად: 'წერა' ორადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია და ამ ორადგილიანი ენობრივ-აზროვნებითი მიმართებითი სიტყვის შინაარსული ფუნქციონირება ემყარება ერთგვარად უზოგადეს გაგებას იმისა, რომ 'ვიღაც შეიძლება წერდეს' და აქედან გამომდინარე, როგორც შედეგი 'რადაც უნდა იწერებოდეს'. რაც შეეხება 'ცხოვრება' სიტყვას, როგორც წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს, ჩვენთან იგი ერთადგილიანად გაიგება, რამდენადაც იმ ენობრივ-აზროვნებითი მიმართებითი მოვლენის გასააზრებლად,

რომელიც 'ცხოვრება' სიტყვითაა აღნიშნული, ჩვენ გეჭირდება მხოლოდ იმ ერთი სახელის (პირის) გააზრება, რომელიც იმყოფება რა "ცხოვრება" შინაარსით გატარებულ აზროვნებით მიმართებაში, როგორც მიზეზი, ანხორციელებს მას. აქვე ვიტყვით, რომ ჩვენ ჩვენს გრამატიკულ სისტემაში ერთმანეთისაგან განვარჩევთ 'წერას' და 'ცხოვრება' ტიპის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს, რომელთაგან პირველს კონკრეტულად ანუ ძირითადად, ხოლო მეორეს არაკონკრეტულად ანუ განსაზღვრებად წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს ეუწოდებთ. ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში 'მიცემა' სამადგილიან - სემანტიკურად სამაღლენტიან ზმნურ მოვლენადაა გაგებული, რამდენადაც მის გასააზრებლად ჩვენ აუცილებლად გეჭირდება პირი, რომელიც 'როგორც მიზეზი ანხორციელებს მიცემა მოვლენას მისი პიროვნული აქტივობით', საგანი ან პირი, რომელზედაც 'ხორციელდება ზემოთ ხაზგასმული მიცემა მოვლენა' და ის პირი (ან საგანი), რომელიც 'აღნიშნული მიცემა მოვლენის განხორციელების შედეგად იმ საგანის(პირის) მფლობელი ხდება რომელზედაც სწორედ ეს კონკრეტული მიცემა მოვლენა განხორციელდა'. ანალოგიურადვე სამადგილიანად ხასიათდება 'ჩუქება' სიტყვით გაგებული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული. მიუხედავად ამისა, ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ ქართულ ენობრივ-აზროვნებით სისტემაში არაგანსაზღვრებადი და დღეს არსებული კლასიკური მიდგომებით სამადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების არსებობას და ზემოთ მაგალითად მოყვანილი ზმნური შინაარსების თაობაზე ვფიქრობთ, რომ ისინი არა ძირეული სემანტიკური ერთეულებია. ანუ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნებისმიერი კლასიკური ხედვებით სამადგილიანი წინარე ზმნური შინაარსი ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში არაძირეული, და ამდენად, განსაზღვრებადი, ანუ წარმოებული ე.ი. დერივატიული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია. აქვე უნდა ითქვას, რომ ქვემოთ განიხილება არა კლასიკური თვალსაზრისით სამადგილიანი ძირეული წინა ზმნური სემანტიკური ერთეულები, რომლებზედაც ჩვენ ჯერჯერობით აქცენტირებას არ ვაკეთებთ. - ამგვარად, კვლევის ამ ეტაპზე, ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში ჩვენ გამოვყოფთ ძირეული წინა ზმნური სემანტიკური ერთეულებისათვის ორ ფორმალურად განსხვავებულ კლასს, რომლებსაც შესაბამისად W(-1), W(-1; -2) გამოსახულებებით აღვნიშნავთ. - ისევ ვიმეორებთ, ეს კვლევის ამ მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთი პიპოტეტური თვალსაზრისია, დაყრდნობილები რომელზედაც ჩვენ ან დაავრწმუნებდით მის ჭეშმარიტებაში, ან მისივე უარყოფის გზით, შემდგომში უკვე, ამგვარ დასაბუთებულად უარყოფილ მცდარ საუფქველს აღარც განვიხილავთ და აღარც დავეყრდნობით. - მათემატიკაში დღეს არსებული ფორმალურ-ლოგიკური მიდგომებით ცნობილია, რომ თუ თეორიის ალფაბეტში გვაქვს ორადგილიანი სიმბოლოები, მაშინ, და მათ საფუძველზე, იმავე თეორიაში უკვე განხორციელებულია შესაძლებლობა ნებისმიერადგილიანი სიმბოლოს ფორმალურად მარტივი საშუალებებით რეალიზებისა (წარმოებისა) თუ ამავდროულად იმავე ფორმალურ თეორიაში წარმოდგენილია ნულადგილიანი გამოსახულებათა გარკვეული ოდენობა. - ეს ის ხედვებია, რომელთა გაუთვალისწინებლად არ შეიძლება მიღებულ იქნეს ამომწურავი დასკვნები ზემოთ ხაზგასმული ხასიათის უძირეული საკითხებზე. - როდესაც ჩვენ გამოეთქვამთ პიპოტეტურ თვალსაზრის იმის თაობაზე, რომ ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში არ არსებობს ძირეულად სამადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დარწმუნებულნი ამაში აქ ყველა სხვა თეორიულ შესაძლებლობას გამოერიცხავთ. პირიქით, სამეცნიერო წრეში ამგვარი პიპოტეტის გამოტანით ხაზს ეუსვამთ აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით დასრულებული და ჩამოყალიბებული ხედვის გამოკვეთის აუცილებლობას. – გამომდინარე ჩვენი ენობრივი მსოფლხედიდან კიდევ რამდენიმე სიტყვა აღნიშნულ თეზასთან დაკავშირებით: გასაგებია, რომ ბუნებრივ-ენობრივი გამოსახულებები შინაარსის გამომატველი გარე ენობრივი ფორმებია, და ისიც, რომ სიღრმისეულად იგივე შინაარსები უფრო მკაცრი და მარტივი ფორმალურ-მათემატიკური ენობრივი საშუალებებით ფორმდებიან. ჩვენთან წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები სწორედ ამ სიღრმისეული ფორმალურ-მათემატიკური ენობრივი სისტემის (ენობრივი შრის) პრედიკატული ტიპის შემადგენელი ენობრივ-აღფაბტური ელემენტებია. გარკვეული თვალსაზრისებით ისინი ქვე-ბუნებრივ-ენობრივ აზროვნულ-მათემატიკურ კონცეპტებს წარმოადგენენ, და რამდენადაც, ბუნებრივი ენობრივი სისტემის ქვემდებარე, ჩვენთვის ასევე ბუნებრივად არსებული, ქვეცნობიერი აზროვნებითი პროცესების წარმმართველი კონცეპტუალური ფორმალურ-მათემატიკური სამყარო გამოიხსნა ბუნებრივად არსებული სამყაროს ფაქტობრივი და არა სტილისტური აღწერისაკენ, არ არის გამორიცხული, რომ იქ იმ ქვეცნობიერ ბუნებრივ ფორმალურ-მათემატიკურ ენობრივ არეში ლინგვისტური თვალსაზრისებით ძირეულად სამადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები არც განიხილებოდეს და ასეთებს იქ საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრებებით ეუკეთებდეთ რეალიზაციებს. – კიდევ რამდენიმე კომენტარი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნების სიღრმისეული შინაარსის შესახებ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცნობიერი ბუნებრივი ენისა და მისი ქვემდებარე ქვეცნობიერი ბუნებრივი ფორმალურ-მათემატიკური ენის ერთ-ერთი ძირეული დანიშნულება შიგააღმინისეული და ადამიანსგარემდებარე სამყაროს სრული და ამომწურავი აღწერადობის რეალიზებაა. ამასთან, დღეს არსებული თვალსაზრისებით სამყარო შედგება საგნებისა და მოვლენებისაგან, სადაც 'საგანი' პირობითად 'მოვლენისაგან' იმით განსხვავდება, რომ იგი, როგორც არსებული, ყოველთვის პირველადობს იმ მოვლენასთან შედარებით, რომლის დროში არსებობსაც ემიზეზება(ე.ი. განაპირობებს) თავად ეს საგანი მისი რომელიმე უნარ-თვისობრიობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ მოვლენას, როგორც შედეგს, მიზეზობრივად წინ უსწრებს ამ მოვლენის ამა თუ იმ ფორმით მიზეზ-მხორციელებელი საგანი. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ რომელიმე მოვლენის უშუალო წინა მიზეზი იყოს სხვა რომელიმე დროში უკვე არსებული მოვლენა, მაგრამ ის, რომ არსებობდეს მოვლენა მისი წინამიზეზობრივი საგნობრიობის გარეშე ჩვენითვის დამახასიათებელი ადამიანისეული აზროვნებითი ხედვებით ნონსენსუალურია. ზოგადი თვალსაზრისებით, ნებისმიერი ფაქტობრივი ვითარება მიმდინარეობს დროში სამყაროს ცვალებადობის ან უცვალებადობის პირობებში. თუ ამ ზოგად ხედვას ერთ ნებისმიერად აღებულ საგანზე განვაკერძოებთ და გაითვალისწინებთ მანამდე გამოთქმულ თვალსაზრისებსაც, დავასკენით რომ, საგანი ან მიზეზია რომელიმე სამყაროსეული ცვალებადობის, ან იგი რომელიმე ამგვარ მიზეზს უშედეგება. ანუ, საგანი ან საერთოდ არ განიცდის ცვალებადობას ან რომელიმე სამყაროსეული ცვალებადობის გასწვრივ ისიც ცვალებადობს, და ასეთ შემთხვევაში, ამ უკანასკნელი საგნის ცვალებადობა შედეგია იმ საგნის მიზეზობრივი ქმედითობისა, რომელიც აღნიშნულ ცვალებადობას ეპირველმიზეზობოდა. ამგვარად, ნებისმიერი საგანი ან პირველმიზეზობს გარკვეულ სამყაროსეულ მოვლენას, ან უკვე რომელიმე საგნის პირველმიზეზობით განხორციელებული მოვლენური ქმედების ქვეშ მყოფი გარკვეულად ეშედეგება მას, ან საგანი ამ კონკრეტულ მოვლენასთან თანაფარდობში უცვალებად მდგომარეობაშია. ცხადია, ენობრივ-აზროვნებით

სისტემაში ჩვენ უნდა გვეკონდეს საგნებისა და მოვლენების ამ სიღრმისეული ურთიერთკავშირების დღეინიერებადი და ენობრივად სრულად ამსახველი საშუალებები. ანუ, ჩვენ უნდა შეგვეძლოს საგნის წარმონაჩა, როგორც მოვლენის პირველმიზეზობრიობაში, ისე მოვლენასთან შედეგობრივად კავშირში, ისე იმგვარად, რომ საგანი მოვლენასთან არ იყოს არც უშუალო მიზეზობრივ და არც უშუალო შედეგობრივ კავშირში. ეს ფუნქციები სხვადასხვა ბუნებრივ ენობრივ სისტემებში სხვადასხვა კონცეპტუალური შინაარსის ზმნური სიტყვა-ფორმებითა და ზმნური სიტყვა-კონსტრუქციებით ხორციელდება. უზოგადესი თვალსაზრისებით ზმნური სიტყვების შინაარსული დანიშნულება და აქედან გამომდინარე მათი შიგა სისტემურ-სემანტიკური მნიშვნელობა არის ის ინფორმაცია, ანუ შეტყობინება, რაც ამ ზმნური სიტყვით გვეწოდება იმ საგნისა ან საგნების შესახებ, რომლებზედაც იგი როგორც ენობრივ-პრედიკატული ნიშანი მსჯელობას აყალიბებს. ამგვარად, ჩვენთვის, ზმნური ენობრივ-პრედიკატული სიმბოლოს სემანტიკა მისსავე სამსჯელო საგანთან სისტემური ერთიანობისაგან მოწყვეტილად არ განიხილება და არც შეიძლება იქნეს განიხილული. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის, ზმნებრივ ენობრივ სისტემებში ზმნა, ისევე როგორც ზედსართავი სახელი, მეორადი სემანტიკური მოვლენაა. ამასთან, ბუნებრივ ენობრივ სისტემებში მათი ეტაპობრივად წინა სასაფუძვლო სემანტიკური საფეხური რეალიზდება ჩვენს მიერ საგნობრივ სახელებად წოდებული სიტყვათა შინაარსებით, რომლებიც, როგორც ჩანს, ენობრივ სისტემებში პირველად ენობრივ-აზროვნებით საფეხურებს წარმოადგენენ.

ზემოთ განვითარებული ერთგვარად ზოგადი და თეორიული განსჯის შემდეგ ცოტა უფრო კონკრეტულად, და კვლავ, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებისა და თავად ამ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის შესახებ, რომელიც, ჩვენთვის, ბუნებრივ ენობრივ სისტემაში ასევე პრედიკატული ბუნების მქონე და ეტაპობრივად მეორად სემანტიკურ საფეხურზე მდგარი ფორმალურ-შინაარსული მოვლენაა, თუმცა განსხვავებით ზმნური პრედიკატივებისაგან, რომელთა კონკრეტული ენობრივი სემანტიკები მათივე შესაბამისი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების საფუძველზე ლოგიკურად განსაზღვრებადი კონსტრუქციებია, არცერთი ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულისათვის არ არსებობს მისი განმსაზღვრელი და ბუნებრივ ენობრივ სისტემაში სემანტიკურად მეორად ლოგიკურ-ენობრივ საფეხურზე მდგარი სემანტიკური სიტყვა-ნიშანი. მაგალითისათვის განვიხილოთ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული 'კეთება' და მარტივი ზმნური ფორმები 'ვაკეთებ', 'აკეთებ', 'აკეთებს', 'ვკეთებ', 'კეთებ', 'კეთდება'. ჩვენი ხედვებით, ამ მარტივი გაგების ზმნური ფორმების გაგება მიიღება მათი შესაბამისი ორადგილიანი ზოგადი 'კეთება' გაგების პირთა გასწვრივ დაკონკრეტებით. ამასთან, პირველი სამი ფორმის შემთხვევაში საქმე გვაქვს ზოგად 'კეთება' გაგებაში არსებული 'კეთება' მოვლენის პირველ მიზეზობრივობით მხორციელებელი 'მომქმედი პირის ადგილის' პირთა გასწვრივ ფორმალურ-ლოგიკურ ჩანსით დაკონკრეტებასთან, ხოლო მეორე სამი ფორმის შემთხვევაში ეს ადგილი ენობრივ-აზროვნებით სისტემაში 'განზოგადებული მოქმედი პირით' არის მოცემული და პირთა გასწვრივ კონკრეტდება ზოგადი 'კეთება' გაგების 'ქვე-მომქმედი პირის(საგნის)' ადგილი. ყველა ეს ფორმები უღლებით სისტემაში 'მომქმედ პირიან აწყო გამგრძობით ანუ მოქმედებით' შინაარსებს იძლევიან, და პარალელურად ამისა, ისინი რეალიზაციას უკეთებენ 'მომქმედ პირიან აწყო განუსაზღვრელ ანუ არამოქმედებით' შინაარსებს. ანუ, ჩვენ ამით იმისი თქმაც გვინდა,

რომ შინაძისეული პირველი სერიის ფორმებით ერთდროულად რეალიზდება განმგრძობითი და განუსაზღვრელი ტიპის ზმნური შინაარსები და ქართული ზმნის უღლებითი სისტემის სემანტიკური გადააზრებისას თუ ეს მომენტი არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ ჩვენ გაგიჭირდება სწორი სისტემურ-სემანტიკური დასკვნების გაკეთება. – ამაზე შემდგომ. მანადეუ კი ხაზგასმით აღენიშნავთ, რომ ჩვენთვის ზემოთ მოცემული ექვსი ზმნური სიტყვა ფორმა მიიღება 'კეთება' ორადგილიანი წინარე ზმნურ-პრედიკატული შინაარსული ანუ გაგებადი ერთეულიდან მარტივი ჩასმითი ოპერაციებით. ამასთან, ზემოთ მოყვანილი ზმნური შინაარსები, მაშინ და მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს გაგებულად, თუ მანამდე გაგებული გვექნება წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული 'კეთება', რის შემდგომაც უკვე გაგებული ზმნური შინაარსების მრავლობითი ფორმების შინაარსთა გასაგებად დაგვჭირდება მხოლოდ, ეუწოდოთ ასე, გამრავლობითობის ფორმალურ-სინტაქსური ოპერაციის აზროვნულ-ლოგიკური ბუნების გაგება, რაც მთლიანობაში ერთ გაგებაზე ფორმალურ-ლოგიკურად დამყარებულ თორმეტ ენობრივ გაგებას უკეთებს რეალიზაციას. გარდა ამისა, გამოეთქვამთ ჰიპოტეტურ თვალსაზრის იმის თაობაზე, რომ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებით განსაზღვრული კვაზი-ლინგვისტური ანუ თითქმის ენობრივი ფორმა და მისით მოცემული გაგება არის უშუალო წინა გაგებითი საფეხური, ანუ, უშუალო წინა გაგება მორფო-სინტაქსურად და ლოგიკურ-სემანტიკურად უმარტივეს აწმყო დროით ფანჯარაში (შინაძისეული სისტემის პირველი სერიის პირველი წრის აწმყო მწკრივი) განთავსებული ზმნური ფორმა-შინააზრებისა, რომლებიც თავისმხრივ, ფორმალურად მოცემული მორფო-უღლებითი საშუალებებით ენაში გატარებულ შესაძლებლობათა გასწვრივ მათგან ახალ უღლებებულ გაგებებსა და შესაბამისად ამ გაგებების გამოსახულებრივად მარეალიზებელ ზმნურ ფორმებს იძლევიან. – ასე რომ, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ზუსტად მოძიებული და მისი ენობრივ-აზროვნებითი ბუნების ადეკვატურად რეალიზებული ცნებისა და ამ ცნებით მოცემული გაგების საფუძველზე ჩვენ საშუალება გვებძევა მათემატიკური პრინციპების სრული გათვალისწინებით - (მხედველობაში გვაქვს მათემატიკური პრინციპებით აგებული თეორიებისათვის დამახასიათებელი სიცხადე, სიმარტივე და სიზუსტეები, რასაც მათემატიკოსები ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე დეფინირებული საფუძვლებისა და ამ საფუძვლებზე მკაცრად მორგებული ფორმალური კონსტრუქციების წყალობით ახერხებენ!) – გაგებულ ვკყოთ, ანუ გავიგონ - გაიცინობიეროთ ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემის ისეთი ურთულესი შემადგენლის სრული სიღრმისეული ლოგიკურ-დროითი და ენობრივ-სემანტიკური ბუნება, როგორცაა ზმნა. – ამდენად, საკითხი რომელიც განიხილება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამასთან, კიდევ ერთხელ ხაზი გვინდა გაუუსვათ იმასაც, რომ ხედვები ვითარდება ენობრივ-აზროვნებითი გაგებადობის ცნების ფარგლებში და საფუძველზე იმ ინტერქსის გათვალისწინებით, რასაც სრული, არაწინარმდეგობრივი და მარტივად გასაგები ლინგვისტური თეორიის აგება წარმოადგენს. კიდევ ერთი ხაზგასმა: ტერმინი ბუნებრივი ენა გულისხმობს ენის ბუნებრივად არსებულობას. ჩვენთვის, ნებისმიერი სიტყვა, როგორც ბუნებრივად არსებული ფენომენი, ანთროპოლოგიურ-ანდროიდური ხასიათის მოვლენაა, და კერძოდ, იგი ამავე ენობრივი სისტემის სხვა სიტყვებთან ერთად, ამ ანთროპოლოგიური ენობრივი ერთეულის აზროვნებითი სტილის ერთ-ერთი გამსაზღვრელ-შემადგენელია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული თუ მთლიანად არა ნაწილობრივ მაინც ექსტრალინგვისტური

კატეგორია, მისი მკაცრი და დაზუსტებული გააზრება შეუძლებელია მოვწყვიტოთ იმ ენობრივ სისტემას, რომლისთვისაც და რომლის საფუძველზეც ჩვენ ამას ვაკეთებთ. - ანუ, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნების ჩვენეული გააზრება პირდაპირ არის მიბმული ბუნებრივი ქართული ენის სიღმისეულ ენობრივ-აზროვნებითი მსოფლხედვის განმსაზღვრელ სპეციფიკებთან, და იგი, ერთის მხრივ კვლევის მიზანი, ამავედროულად ბუნებრივად არსებული საკვლევი არის ერთა-ერთ საფუძველსაც წარმოადგენს.

საკამათო არ არის, რომ ქართული ენათმეცნიერული ხედვები ძირითადად ვითარდებოდა უკვე განვითარებული ძველი ბერძნული და თანამედროვე ინდოევროპეისტიკული ენათმეცნიერული ხედვების საფუძველზე. ალბათ ამით უნდა აიხსნას, რომ დღეს ქართულ ენათმეცნიერებაში სასაფუძველოდ აღებულია პირის სუბიექტურობის და ობიექტურობის, და შესაბამისად, სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ცნებები. - ეს ცნებები ინდოევროპული ტიპის ენებისათვის სწორედ რომ სასაფუძველი არიან, მაგრამ რამდენად დამყარდება მათზე ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის სიღრმისეული გრამატიკული ხედვები?! - ეს უკვე ჩვენთვის კითხვის ნიშანს აღარ წარმოადგენს, რამდენადაც პასუხი მასზედ თავისი უარყოფითი შინაარსით ნათელია. - დავიწყოთ იმით, რომ ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით ქართულში არა გვაქვს სუბიექტურ და ობიექტურ პირზედ მანიშნებელი ნაცვალსახელები. უფრო მეტიც, პირველ და მეორე პირზე მანიშნებლობა ქართულში მხოლოდ ერთი ნაცვალსახელით ხორციელდება და თუ პირველი და მეორე პირების გასწვრივ ამ თითო ნაცვალსახელების ხან 'ის', ხან 'მან', ხან 'მას' ბრუნვაში გადააზრება სისტემური თვალსაზრისებიდან გამომდინარე კიდევ ლოგიკურად შეიძლება ჩაითვალოს, ვერაფრით ვერ გაემართლდებით ამ უკანასკნელების ინდოევროპული სუბიექტური და ობიექტური პირის ნაცვალსახელების გვერდით დაყენებისას, ისევე როგორც ვერაფრით ვერ მართლდება ქართული 'სახელლობითის' ინდოევროპულ 'ნომინატივად' და 'ვიცეპითის' 'დატივად' გაგება-დფიქსირება. - და ეს მაშინ როდესაც, ზემოთ განხილულნი, ნებისმიერი ენობრივი სისტემის ძირეული ენობრივ-აზროვნებითი საფუძველებია. - ასეთია რეალურად არსებული ვითარება. გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ უკვე აღნიშნულ გაუმართლებელ ხედვებს მყარება ის დღეს არსებული ქართული ენათმეცნიერული თვალსაზრისი, რომ ენაში ერთმანეთისაგან ბუნებრივად ირჩევა მხოლოდ 'ვ' და 'მ' კლასის სუბიექტური და ობიექტური ტიპის პირის ნიშნები. - ჩვენ ამ ხედვებს უარყოფით, და ვთვლით, რომ: ამგვარი მიდგომებით ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის გრამატიკული ანალიზი არის მასზედ მისგან პრინციპულად განსხვავებული ენობრივი სისტემის ის თავზედ მოხვევის მცდელობა, რაც ბუნებრივია სრული ამომწურავობით თუ განხორციელდა, მაშინ ჩვენ არსებითად დაეკარგავთ ქართული ენისათვის დამახასიათებელ სიღრმისეულ აზროვნებით მსოფლხედვას, რაც მისივე ღრმა ბუნებრიობის გამო უშედეგოდ და უპატივებლად არ ჩაივლის. - წინამდებარე მაშრომი პირველი მცდელობაა იმ ალტერნატიკური ენათმეცნიერული თვალსაზრისების წარმოჩენისა რომლებიც ვითარდება ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან არსებულ ლოგიკისა და ენის ქართულ ჯგუფში. წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნება და ქართული ზმნის პირველი სემანტიკური კლასიფიკაცია სწორედ ამ თვალსაზრისებს ემყარება და ამჟღავნებს. - ძალიან მოკლედ მათ შესახებ: ჩვენ აღრეც გვქონდა საუბარი და ეხლაც გვინდა ხაზი გაუუსვთ იმას, რომ ზმნა როგორც ანთროპოლოგიური

ხასიათის ენობრივ-აზროვნებითი ნიშნობრივ-სემანტიკური მოვლენა მეორადი წარმომავლობისაა, და აქ მასთან, ლოლიკურ წარმომავლობით პირველადობაში, წინა პლანზე დგება ამ ზმნურ-პრედიკატული სემანტიკის წინამიზეზობრიობით მარიალიზირებული საგანი ან საგანთა ერთობლიობა, და ამდენად, ენობრივ საფეხურზე ზმნას, როგორც ენობრივ მოვლენას ეწინააღმდეგობრივება იმ საგნის ან საგნების ენობრივად ამდინშენელი სიტყვა ნიშნები რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი. უზოგადესი თვალსაზრისით ნებისმიერი ზმნური სიტყვა იძლევა გარკვეულ მსჯელობას მასთან ბუნებრივ-ლოლიკურად მიკავშირებული საგნისა ან საგნების შესახებ. ანალოგიურად უკვე აღნიშნულისა, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული გაიგება, როგორც უზოგადესი მსჯელობა მასთანვე ბუნებრივ-ლოლიკურად მიკავშირებული საგნის ან საგნების აბსტრაქტიზების ანუ განზოგადების საფუძველზე ტიპიზირებული ადგილებისათვის. ამასთან, იგი გაიგება, როგორც ნიშან-მომინშენელი, გარკვეული მენტალურად ნაგულისხმევი აზროვნულ-სამყაროსული ხატური გაგებისა, რომელსაც რეალობაში აღიქვამს გონება იმ საგნისა ან საგნების საფუძველზე რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგივე ამ ყველაფრის არსებითად განმსაზღვრელნი გონებითი ბუნებრიობით, მასთან ბუნებრივ ლოგიკურ კავშირში არიან. ამგვარად, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის როგორც ნიშნის შინაარსი, ისევე როგორც იგივე ზმნური სიტყვა ფორმისა, ეფუძნება მათთან გონებითი ნაგულისხმევობით და ლოლიკის წარმომქმნელი შინარსით მიბმულ საგნებსა და ამ საგნების გონებითი არეკვლის შედეგად წარმოქმნილ ენობრივ ნიშნებს ანუ სახელებს. აქედან გამომდინარე: წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნების დაზუსტებისა და მათი კლასიფიკაციებისათვის სახეზეა აუცილებლობა სამყაროსული საგნების უწინარესი კლასიფიკირებისა იმ ზოგადი ენობრივ-გონებითი მსოფლხედვის გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენი აზრით დომინანტურნი უნდა იყვნენ ამგვარი საკითხების განხილვისას.

ეხლა უშუალოდ სამყაროსულ საგანთა ის გონებითი კლასიფიკირება, რომელსაც საფუძველად ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემა ედება: ზოგადი ანთროპოლოგიური აზროვნებითი ხედვებით ნებისმიერი კონკრეტული საგნის იმანენტური, ე.ი. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ბუნებითი არსი, რაც ჩვენი მიდგომებით ამ საგნის უშუალო და სიღრმისეულ ანდრო-ბუნებით შინაარსთან თანმთხვევაშია, უნივერსალურად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ როდესაც, იგივე საგნის კონკრეტული ენობრივ-აზროვნებითი დეფინიცია, ანუ, ამ საგნის მიზეზ-შედეგობრივ ენობრივ-აზროვნებით ანდრო-ეთნო-ლოლიკურ დროით სიერცეში გაცნობიერებული ნაარსი ის დომინანტურად განმსაზღვრელი ეთნო-ლოლიკური თვალთხედვაა რომლის გასწორივაც ლაგდება, და შესაბამისად იხსნება კიდევ, ამ ანდრო-ეთნიური ერთეულის ყალიბ-მყალიბებელი ეთნო-ბუნებითი ენობრივი სისტემის მაწესრიგებელ შემადგენელთა ძირითადი ენობრივი სპეციფიკები. უზოგადესი თვალსაზრისებით ლოლიკურ-აზროვნებით დროით სიერცეში 'მიზეზი' ყოველთვის წინ უსწრებს 'შედეგს'. ანუ, 'შედეგის' არსებობა აუცილებლობის წესით ყოველთვის გულისხმობს მანამდე მისი 'მიზეზის' არსებობას. – ეს აზროვნებაში. – აქედან გამომდინარე: ერთადერთი მსჯელობითი ანუ აზრით მეტყველებითი ანუ ლოლიკური შეცდომა, და აქ იმასაც გვინდა ხაზი გაუუსვათ, რომ "შეცდომა" ეტიმოლოგიურად "ში-ცდა" გაგებიდან მომდინარე შინაარსია, არის ხაზოვან დროში მიმდინარე აზროვნებით ანუ აზრით მეტყველებით სიერცეში წინარე უმიზეზოდ არსებულის შედეგად გამოცხადება-გაგება.

– ისევე ვიმეორებთ, ეს აზროვნებაში, და მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისეული აზროვნება, ანუ ადამიანისეული ენობრივი-ფიქრითი პროცესი, მისი მრავალმხრივი და შესაძლებლობებში თითქმის შეუზღუდავი ბუნებით ცოცხალი ანთროპოლოგიური მოვლენა, მეცნიერულად დღესაც ახსნილ-შეუსწავლილია, ფიქრობთ, წარმოადგენს იმგვარ მთლიანს, რომელიც ყოველგვარი გამომაკლესობის გარეშე, მთელი მისივე მთლიანობის ფარგლებში წესრიგდება ზემოთ ხაზგასმული და დროით სივრცეში ბუნებრივად გაშლილი უზოგადესი მიზეზ-შედეგობრიობის უმარტივესი კანონმდებლობით. – ეს ჩვენი აზროვნებითი სივრცის უზოგადესი ფორმაა და ის, რომ აზროვნების ეს ფორმა წინარე მიზეზია იმისა, რასაც ჩვენ, ჩვენს გარშემო არსებული ბუნებითი სამყაროს მიზეზ-შედეგობრიობით წესრიგს ეუწოდებთ, ისევე არ შეიძლება იქნეს გამორიცხული, როგორც ის, რომ მათ შორის პირიქითი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებიცაა. – ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ჯერჯერობით ეყვრდნობით, და შესაბამისად ემოძრაობთ, იმის გათვალისწინებით, რომ მიზეზ-შედეგობრივია, როგორც ბუნებითი, ისე აზროვნებითი სამყარო და, კითხვა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა არსებობდეს სხვა ტიპის აზროვნება, დაყენანდა სხვა ტიპის ბუნებთობის შესაძლო არსებულობის თაობაზე დასაბუთდეს კითხვაზე. ანუ, თუ ბუნება დაყენანახება თავის თავს არა მიზეზ-შედეგობრიობაში, მაშინ არ არის გამორიცხული ჩვენი აზროვნებაც, როგორც ნაწილი ამავე ბუნებისა, არა მიზეზ-შედეგობრივად ჩამოყალიბებულიყო. – ნებისმიერ შემთხვევაში: საზოგადოდ ბუნებისა, და მათ შორის, აზროვნებითი ბუნების შესახებ აზროვნებითი ხედვების განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ვალდებულნი ვართ გამოვეკეთოთ ის ძირეული და ზოგადი დებულებითი ხედვები, რომლებსაც ეყვრდნობით კვლევით-მეცნიერული ძიებებისას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენითვის ცხადია, რომ ძიებანი ქაოტურნი და დაუფუნებელნი იქნებიან. – ეხლა დაეუბრუნდეთ მიმდინარე საკითხებს: ჩვენითვის სამყარო შესდგება საგნებისაგან და მოვლენებისაგან, სადაც თუ სივრცის არსებობას მოვლენად არ ჩაეთვლით, მყისიერი უცვალებადობაში მხოლოდ საგნები გვაქვს და აქ მოვლენათა არსებულობა ფერ აზრდება. – არის თუ არა საგნის არსებობა მოვლენა? – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დავაზუსტოთ მოვლენის ჩვენეული გაგება. – ზოგად ფიზიკური საბუნებისმეტყველო თვალსაზრისებით სამყაროს ნებისმიერ ცვლილებას ბუნებრივ მოვლენას უწოდებენ. მათ შორის ცოცხალ ორგანიზმებში დროში მიმდინარე გრძობა-აღქმითი პროცესებიც ბუნებრივ მოვლენებადაა გაგებული. ამდენად, საგნის გარე სამყაროსეული საგნობრივი არსებობა, რომელიც ობიექტური მიზეზია შიდა ადამიანისეულ სუბიექტურ სამყაროში ამავე საგნის გრძობა-აღქმითი არსებობისა ანდროიდულ ანუ ადამიანისეულ, ანდა უფრო ზუსტად, მენტალურ ანუ გონებით მოვლენადაა გაგებული. ნებისმიერ ანდროიდულ გრძობა-აღქმით მოვლენაზე დასაბუთებით შეიძლება ითქვას, რომ მას დროში წინ უსწრებს გარკვეული სამყაროსეული რაობითი არსებობა, და ამდენად, სახეზეა ამგვარი მოვლენების აშკარა არაპირველმიზეზობრიობითი არსებობა. რაც შეეხება საგნის შიგა ადამიანისეულ ლოდიკურ-ენობრივ-აზროვნულ ნაარსსა და ნააზრს, აქ უკვე გარე სამყაროსთან პირდაპირი ანდროიდური ურთიერთობა იცვლება შიდა ანდროიდული ურთიერთობით, და ის, რაც ამ ყველაფრისას ზემოთ აღნიშნულ ლოდიკურ-ენობრივ-აზროვნულ ხატებს ანუ ენობრიობითობით ნაქარგ სიტყვებს კქმნის პირველმიზეზობაში სხვა გარე სამყაროსეულ საგანთან ეერ შეჯერდება, და ამდენად, აქ ამით მათი ერთგვარი სიღრმისეული პირველადობის დადასტურებაც სახიერდება. – ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ამ ლოდიკურ-ენობრივ-აზროვნული ხატების ანუ სიტყვების სიღრმისეულ ფორმათა და

ბუნებათა ძიებაა, და კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, აღნიშნული ამოცანა პრიორიტეტულად განიხილება ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემისათვის. უფრო გასაგები რომ იყოს, განსახილველ მაგალითად ავიღოთ ასოთა შერწყმა 'კომპიუტერ'-ი. - დღეს აღარ ვკამათობ იმაზე, რომ ბუნებრივი ქართული ენისათვის იგი ასო-ბგერითი საშუალებების რიგში გასწვრივი შერწყმით მიღებული ენობრივი ნიშანია, რომლის არსებობაც განპირობებულია ამ ნიშნით აღნიშნული გარკვეული ტიპის სამყაროსეული საგნობრიობის არსებობით. აღნიშნული სიტყვა ნიშნის ანდროიდული ლოდიკურ-ენობრივ-აზროვნული მნიშვნელობა ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში (წესთწყობაში) ხორციელდება ენობრივ ერთეულში აღნიშნულ საგანზე მანიშნებლობით და ამით ლოდიკურ-ენობრივ-აზროვნულ სიერცეში იგი პირველ, გრძნობა-აღქმით საფეხურებრივ შრეზე მდგარ ნიშნად გვევლინება, მაშინ როდესაც იგივე სიტყვის ინგლისურენობრივი ადეკატი ბუნებრივ ინგლისურ ენაში სემანტიკურად კომპოზიციური ბუნების შინაარსია. ენობრივ ნიშანთა და მნიშვნელობათა პირველ, გრძნობა-აღქმით საფეხურებრივ შრეს ჩვენ მონაცემთა შრესაც ვუწოდებთ, და აქ, ამ შრეში, როგორც წესი, საქმე გვაქვს პრიმიტიულ, არაკომპოზიციურ და ამდენად არალოდიკურ სიტყვა ნიშნობრივ კონსტრუქციებთან. - სხვადასხვა ენობრივ სისტემებში ეს შრე ბუნებრივი ლოდიკურობით ძირეულ აზროვნულ უნივერსალიად არის გაგებული, თუმცა, ასევე როგორც წესი, სხვადასხვა ენობრივ სისტემებში სახეზეა მათი სხვადასხვა ენობრივი რეალიზაციები. მაგალითად ჩვენს შემთხვევაში სიტყვა 'კომპიუტერი'-ის ნაცვლად შეიძლება ამ შინაარსით გაგვენიშნებინა სიტყვა 'გამომთვლელი', რომელიც მიუხედავად ამგვარ გაგებაში მისი შინაარსის ერთგვარი ვასაზელება-გასაგებებისა, მაინც განსაზღვრულად კომპოზიციური ბუნების სიტყვა-ფორმასა და სემანტიკას გაუკეთებდა რეალიზაციას, რაც საბოლოო ჯამში, ვფიქრობთ, ენობრივ სისტემაში გაართულებდა ამ კომპოზიციური ძირ-საგნობრივი მნიშვნელობით ისეთი უცხოენოვანი წარმოშობის, მაგრამ კონსტრუქციულად ქართულ ლოდიკურ-ენობრივ სისტემაში ჩამყდარი სიტყვებით მოცემული ისეთი გაგებების რეალიზაციას, როგორებიანაცა გვაქვს საქმე 'ვაკომპიუტერებ' 'გამიკომპიუტერებია' და 'გამეკომპიუტერებია' სიტყვების შემთხვევაში. - აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სიტყვა-ფორმები 'ვაგამომთვლელელებ', 'გამიგამომ(იმ)თვლელელებია' და 'გამეგამომ(ემ)თვლელელებია' კომპოზიციურად ისეთი რთული ბუნებისანი არიან, რომ მიუხედავად მათი სრულად ქართული წარმომავლობისა, მაინც მათ უფრო ძნელად მოაქვთ შინაარსები ჩვენამდე, ვიდრე მათ ზემოთ მოტანილ ძირობრივად უცხო ენობრივ ადეკატებს. - ამგვარად, ბუნებრივად მივდივართ შემდეგ კითხვამდე: რა უფრო მნიშვნელოვანია ენობრივი სისტემის საკლასიფიკაციოთ - ცხრილური, გრძნობა-აღქმითი საფეხურის ძირითი ენობრივი ნიშნის ასო-ბგერითი კონსტრუქცია თუ ენობრივი სისტემის მორფო-სინტაქსურად განსაზღვრული ფსიქო-ლოდიკურ თავისებურებათა ერთობლიობა? და გვაქვს თუ არა უფლება, რომ სიტყვა-ფორმების დამახასიათებელი, და ამდენად, მისივე გარკვეულად უნიკალური ფსიხო-ლოდიკა მის ერთ-ერთ უძირეულეს ეთნიურ მახასიათებლად ჩავთვალოთ? - ჩვენი ვთვლით, რომ ჩვენ არა მარტო უფლება გვაქვს ამგვარი თვალსაზრისების მქონებლობისა, არამედ, უფრო მეტიც, უფლება არა გვაქვს აქ სხვა ხედვებითა და მიდგომებით სარგებლობისა. - ამ ყველაფერთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ განვიხილოთ ისეთი ენობრივი სიტყვა ნიშნები, როგორებიცაა მაგალითად: 'კომპიუტერი', 'კომპიუტერმა', 'კომპიუტერს', 'ვაკომპიუტერებ', 'გამიკომპიუტერებია' 'გამეკომპიუტერებია'. - ამ სიტყვა-ნიშნების

არსებობა მხოლოდ ანდროიდული გრძნობა-აღქმითი უნარებით უკვე ვეღარ აიხსნება. მათი და მათგარი სიტყვების არსებობა განპირობებულია ბუნებრივი ქართული ენის მორფოლოგიურად რეალიზებული დერევაციული ანუ წარმოქმნილი უნარებით და ამ ფორმალურ ენობრივ უნარებთან ბუნებრივად მიბმული ლოგიკური ენობრივ-აზროვნული მსოფლხედვით, რომლის, როგორც ჩანს, უძირეულესი საფუძველი მიზეზ-შედგობრიობის დროში გაშლასთან ერთად არის ისიც, რომ სამყაროს ნებისმიერი ცვლილება, როგორც შედეგი, უწინარესობის წესით გულისხმობს ამ შედეგის წინარე მიზეზის არსებობას, რომელიც საგნის პირობითად პირველადი და თავისთავადი არსებობითობით რომელიმე ამგვართან არის მიბმული და დაკავშირებული. ანუ, ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ, ისევე როგორც, ნებისმიერი ფიზიკური მოვლენა, რომელსაც ერთი მყისეულად უძრავი სამყარო გადააყვს მეორე ახალ მყისეულობაში, მიზეზობრივად განპირობებულია საგნით ან საგანთა გარკვეული ოდენობით, ასევე, ენობრივ-ლოგიკური აწმყო მარტივი ზმნური შინაარსები ერთგვარი მეორადულობით განპირობდებიან და გაიგვიან იმ საგნით ან საგნებით რომლებზედაც ამ ზმნური შინაარსით ცოდნა გეწოდება. – ამგვარად, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ზმნური სიტყვების ენობრივ-სისტემური შინაარსი, ანუ მნიშვნელობა, ვერ განისაზღვრება გრძნობა-აღქმით საფეხურებრივ შრეზე და ამ ტიპის სიტყვის კონკრეტულ-პირობითური შინაარსის გასაგებ-გასაზრებლად აუცილებელია ამ კონკრეტული ზმნური ფორმით დაპირისპირებული საგნობრივი მონაცემების თანგება. – ანუ, ამით ჩვენ ფაქტიურად ვამბობთ იმასაც, რომ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის შინაარსი მონაცემთა შრეზე განსაზღვრული გარკვეული ცხრილური წარმონაქმნია, რაც მერე უკვე ბუნებრიობის გზით გადადის ენობრივი ზმნური ფორმების შინაარსულ რეალიზაციებში. – ამ საკითხების დეტალური გაშუქება მათი მათემატიკური ანალოგების გამოყენებით შემგომის საქმეა, ეხლა კი, სანამ სამყაროსეულ საგანთა დანაპირებ ლოდიკურ, ენობრივ-გონებითი კლასიფიციციების ძირითადი ცნებითი საყრდენების გაშლას შეუდგებით დაეუბრუნდეთ ადრე დასმულ კითხვას: არის თუ არა საგნის არსებობა მოვლენა? – ჩვენ ამ კითხვას მიუვდებით არა ფიზიკო-მსოფლმხედველობითი, არამედ ლინგვო-ლოდიკო-მსოფლმხედველობითი საყრდენებითა და თვალსაზრისებით. ანუ, აქ ჩვენ დავეყრდნობით ადამიანისეული ენობრივ-აზროვნებითი უნარების ძირეულად განმსაზღვრელ თავისებურებებს. ის, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან განვარჩევთ საგნებსა და მოვლენებს, ადამიანისეული ბიო-ბუნებრივი სამყაროთი და ამ სამყაროში განხორციელებული ენობრივ-აზროვნებითი უნარების მყალიბებელი წესებითაა განპირობებული. ამ წესების მიხედვით საგნობრობა ენაში სახელად იხატება, ხოლო მოვლენურობა ზმნად. – ის, რისი ენობრივი ნახატაც მისი პირდაპირი შინაარსიდან გამომდინარე ენობრივ-აზროვნებით სიტემაში იძლევა ჩვენს მიერ საგნობრივ სახელად წოდებულ ენობრივ ელემენტს, ადამიანისეული სიღრმისეულ-მენტალური თვალხედვით საგნად არის გაგებელი, ხოლო ის სამყაროსეული არის, რომელთანაც ბიო-ანდრო-ბუნებრიობით მიბმული ში-აზროვნული ენობრივი ნაარსის ლინგვისტური გამოხატულობა მისივე უშუალო პირდაპირობით საშუალებას იძლევა უკვე მანამდე გაგებელი სამსჯელო-საგნობრივი სახელების შესახებ გარკვეული ლოგიკურ-ჭეშმარიტული შინაარსის ჩამოყალიბებისა, ანდროიდულ ენობრივ-ლოდიკურ-აზროვნებით ველში მოვლენის ამსახველად გაიგება. – სხვაგვარად რომ ეთქვას, ის ადრო-მენტალური გაგებანი, რომლებიც ადამიანისეულ გაგებათა ეელში არაგანსაზღვრებლად, ანუ ძირეულ, ანუ პირველად გაგებათა საფეხურს

შეადგენენ, თავიანთი სემიური მნიშვნელობით საგნებზე გემანიშნებლობენ, მაშინ როდესაც, მოვლენები ანდრო-მენტალურ საფეხურზე მეორადი ანუ განსაზღვრებადი გაგებებით რეალიზდებიან. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის დამახასიათებელი და ჩვენზედ თანდაყოლილი, დროში უცვლელი და ენობრივად უნივერსალური ლოლიკური საწყისები თავიანთი სიღრმისეული ბუნებით თვითონვე აკლასიფიცირებენ სამყაროსეულ საგნობრივ და მოვლენურ რაობებს, რაც ჩვენი თვალთხედვით, ზემოთ დაყენებული გეარის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხგასაცემი ერთადერთი და თანაც ამომწურავი საფუძველია. – ამით ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ უნივერსალური და სიღრმისეული ლოლიკო-ლინგვისტური საფუძვლები ნებისმიერ კითხვაზე სრულ და ამომწურავ პასუხს იძლევიან, არამედ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ ამ სიღრმისეული საფუძვლების შეუცნობლად და გაუანალიზებლად, უმეტეს შემთხვევებში, საერთო მსოფლხედველობითი თვალსაზრისებიდან გამომდინარე სიღრმისეული ღირებულებების მქონე კითხვებით განსაზღვრული მიმართულებით მოძრაობა წინასწარვე უშედეგობისთვისაა განწირული.

ახლა უშუალოდ საგანთა იმ ზოგადი კლასიფიკაციის შესახებ, რომელსაც, ჩვენ ვფიქრობთ, ეყრდნობა და ესაყრდენება ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემა: ბუნებრივი ქართულ ენობრივი სისტემაში ბუნებრივადვე არის განყოფილი სულიერ და უსულო საგანთა, და შესაბამისად, სულიერ და უსულო სახელთა კლასები. ინდოევროპულ ენათა ოჯახში 'ყოფნა' და 'ქონა' შინაარსის ინფინიტური ფორმები სხვადასხვა დროით-სემანტიკური კონსტრუქციის ზმნური შინაარსების ჩამოყალიბებაში სისტემურად ძირითად დატვირთვებს იღებენ თავიანთ თავზე, მაშინ როდესაც, ისინი ქართულ ენაში ამგვარად დიდი მოცულობით დატვირთულები არ არიან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ აქაც განსაკუთრებული როლი და ადგილი უკავიათ. ინდოევროპულ ენებში ინფინიტური ფორმები როგორც წესი ხშირად გამოყენებადი ფორმებია და ისინი ამ ენობრივი სისტემებში დაახლოებით იგივე როლს თამაშობენ, რა როლიც ჩვენ გვინდა დაეადოთ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს ქართულში. ამგვარად, ინდოევროპულ ენობრივი სისტემებში ინფინიტური ფორმები, ყველაფერთან ერთად, შეიძლება შეფასდეს როგორც უზოგადესი წინარე ზმნური ფაგებების მომცემი შინაარსები. უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ ენაში ანფინიტური ფორმები, ისევე არ თამაშობენ გადაწყვეტად არსებით როლს, როგორც უკვე აღნიშნული 'ყოფნა' და 'ქონა' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებით განსაზღვრული ზმნური შინაარსები, რაც უკვე აღნიშნულ პირზედ მანიშნებელ საშუალებათა მრავალრიცხოვანებასთან ერთად ქართული ენის ის კიდევ ერთი სპეციფიურობაა, რითაც იგი არსებითად განსხვავდება ინდოევროპული ტიპის ენებისაგან. სულიერ სახელებთან ქართულ ენობრივ-აზროვნებით ველში 'ქონა' ნაცვლდება 'ყოლა' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით, და ამით, სულიერი და უსულო სახელებისა და საგნების ურთიერთ განრჩევა ენობრივი კატეგორიად ფორმდება. იდოევროპულ ენებში დაახლოებით იგივე ენობრივი მოვლენას რეალიზებას 'უკეთდებენ' მესამე პირის ნაცვალსახელების სქესთა გასწვრივ გაშლით, რაც ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი. – ამ ყველაფრით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი იმ სიღრმისეულ სპეციფიურობებს რაც ქართულ ენას განასხვავებს ინდოევროპული ენათა ოჯახის შემადგენელი ენობრივი სისტემების სპეციფიურობებისაგან. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სიღრმის ენობრივი განსაკუთრებულობანი მხოლოდ ენობრივი შრის შემადგენლებით ვერ იხსნება. ჩვენ ამით იმას ვამბობთ, რასაც ზემოთ ხაზგასმულ

კითხვებზე მეცნიერული პასუხის მხოლოდ ლინგვისტური საშუალებებით მოძიების შეუძლებლობა ჰქვია. - ანუ ის, თუ რატომ ხასიათდება ესა თუ ის ენობრივი სისტემა ამა თუ იმ სიღრმისეული თავისებურებით, უფრო ანთროპოლოგიურ ფსიქო-ლოგიკურ-ლინგვისტურ პრობლემატიკას წარმოადგენს ვიდრე სუფთა ინტრალინგვისტურს. ამგვარ კითხვებზე პასუხების ძიებისას ჭევენ გარდა ზოგადი ფსიქო-ლინგვისტური თვალსაზრისებისა ვცდილობთ დავეყრდნობთ უკვე გარკვეულად დაფუძნებულ ლოგიკო-ლინგვისტურ ხედვებს, რითაც საშუალება გვეძლევა ძირეული ლინგვისტური მოვლენების ახსნისას ვისარგებლოდ უშუალოდ სისტემის გარეთ მდებარე ფორმალური ლინგვო-ლოგიკური საფუძვლების გათვალისწინებით. - ამ ყველაფერთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ უწინდელი ხასიათის ლინგვისტურ კვლევებში ამგვარი სიღრმეებით პასუხების ძიება ხაზგადასმული იყო ანთროპოლოგიურ ფსიქოლოგიურ-ლინგვისტურ თეორიულ თვალსაზრისებთან ერთად. - თუმცა, ამ ყველაფერთან დაკავშირებით, უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული ენობრივი სისტემის ის უნარი, რომ მას შეუძლია მის გარკვეულ ნაწილში თითქმის ინიზომორფულად ჩაიდგას ინდოევროპულ ენათა ოჯახის შემადგენელი თითოეული ენა, ერთის მხრივ, ზემოთ აღნიშნულ სიღრმისეულ საფეხურზე მდგარ კითხვას წარმოადგენს, და მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვა დღესაც მეცნიერულად დასაბუთებულ ახსნას ელოდება, ქართული ენათმეცნიერული სკოლები განუწყვეტლივ ფიქრობდნენ და მუშაობდნენ ამ მიმართულებით და მათ მიერ, ამ პრობლემატიკის ფარგლებში, უკვე გამოთქმულია არაერთი საინტერესო და გასათვალისწინებელი თვალსაზრისი, რომლებსაც ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვეყრდნობით და ვიზიარებთ კიდევაც. - დაუბრუნდეთ სულთიერი და უსულო სახელების ცნებებს: ადვილად დაერწმუნდებით, რომ ქართულ ენობრივ-აზროვნებით ველში ენობრივი ტერმინაციით 'საგნის სულიერების' ცნებაში არსებითი განმსაზღვრელი ნიშანი არის ის, აქვს თუ არა საგანს საკუთარი აქტივობით მოქმედებითი უნარი. ანუ ის, საგანი მოქმედუნარიანია თუ არა ქართული ენობრივი სისტემისათვის არსებითია. იგივე აზროვნული ხედვის რეალიზაცია ინგლისურ ენაში ხდება მესამე პირის ნაცვალსახელებით. ქართულში ბუნებრივი მოვლენების ამსახველი ზმნები ნულადგილიანებად არიან გაგებულნი. 'თოვს' და 'წვიმს' ამგვარი ნულადგილიანი ზმნების მაგალითებია. აქ საყრდენ საფუძვლად ის იყო ადგიული, რომ ისინი დამოუკიდებლად და მხოლოდ თავიანთი თავის ფარგლებშივე დასრულებულ წინადადებად გაიგებიან, და ამდენად, მათგან დასრულებული წინადადებების მისაღებად სასუბიექტო სახელების მიწერა აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი ქართულ ენობრივ-აზროვნებით სისტემაში გაიგებიან ისეთ შინაარსებად რომელთაც სამსჯელო 'სასუბიექტო' და 'საობიექტო' საგნები არ გააჩნიათ. ასეთ შემთხვევებში, როგორც გამოძინარე, უნდა დაეასკენათ ასეთ ზმნებში პირის ნიშნების ფსევდოფიცირობა, და შესაბამისად, ასეთ ზმნებს უპირისპინწო ზმნები უნდა ეწოდოთ. თუმცა ჩვენ ამ თვალსაზრის გამართლებულად არ მივიჩნევთ. - მათ ცხადია ახასიათებთ განსაკუთრებული სპეციფიურობანი, მაგრამ ის, რომ ისინი უპირისპინწო და უვალენტო ზმნებად გაეიგოთ, სწორი არ იქნება. ამგვარი მცდარი დასკვნების საფუძველი არის ის, რომ ფრაზა 'თოვლი თოვს' ლოდიკურ-აზროვნული ბუნებრივობით ენობრივ სისტემაში ჩანაცვლად ფრაზით 'თოვს', რამაც შექმნა იმიტაცია იმისა, რომ მსჯელობა გამოთქმულია მხოლოდ ზმნურ-მიმართებითი სიტყვით, რაც თავისმხრივ კმინის იმიტაციას იმისა, რომ 'თოვს' ზმნურ-მიმართებით სიტყვაში ასეთი საპქელო საგანი შეიძლება კი იგულისხმება, მაგრამ რეალობაში ასეთი იქ არ

არსებობს. დაახლოებით იგივეგვარ ვითარებებთან გვაქვს საქმე 'წვიმა წვიმს', 'ქარი ქრის', 'წყალი დის' ფრაზების შემთხვევაში, თუმცა ბოლო ორ მაგალითს ადრე მოყვანილი ორი მაგალითიდან განასხვავებს ის, რომ არაგადატანილი ანუ პირდაპირი შინაარსული გაგებით მხოლოდ 'თოვლი' შეიძლება 'თოვდეს' და 'წვიმა' 'წვიმდეს', მაშინ როდესაც 'დის' და 'ქრის' შემთხვევაში 'ქართან' და 'წყალთან' ერთად შეიძლება 'ქროდეს' ან 'დიოდეს' 'დროც' და 'ფიქრიც'. - ანუ, ამ მხრივ, ისინი რა თქმა უნდა განსხვავდებიან, მაგრამ ის რაც მათ აერთიანებს მათივე ბუნების ამსახველობითი შინაარსებიდან გამომდინარე უნზრუნველყოფს მათი სამსჯელო საგნების არა მოქმედ არამედ მოქმედების ქვეშ მყოფ, ანუ მოქმედების განმცდელ მსჯელობის საგნებად გააზრებას, და თანაც, რაც განსაკუთრებით ახასიათებს ამ ტიპის ზმნების სპეციფიურობას არის ის, რომ ასეთ ზმნებში 'მოქმედების განმცდელ' მსჯელობის საგანთან ერთად არ რეფერირდება ამ საგანთან ამ მოქმედების ფარგლებში უწყვეტად მიბმული წინა მიზეზი მოქმედებისა, რმელიც 'მოქმედ' პირიან ზმნებში' როგორც წესი რეფერირებულია პირის ნიშნით. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ მოქმედ საგანს მოქმედების ქვეშ მყოფი საგნისაგან და ეს ჩვენთვის ტერმინოლოგიურად პრინციპული დეფინიცია. - ანუ, ჩვენთვის საგანი შეიძლება მოქმედებდეს, მაგრამ არ იყოს მოქმედი. მაგალითად, დეღამიწა მოქმედებს გარე კოსმიურ სატელიტებზე, თუმცა, მიუხედავად ამისა იგი მოქმედდად ვერ გაიგება - მისი ეს მოქმედება პირველ შემოქმედითი ბუნებითი ძალეებით არის განსაზღვრული, აქ ის, როგორც მიზეზის შედეგი, უკვე მისგან მდინარე შემდგომ შედეგს ემიზეზება და მხოლოდ ამ, მასთან მისი უწინარესი მიზეზობრიობით ინახება მისევე მოქმედებითობის შინაარსი. - ჩვენი შემდგომი განსჯითი თვალსაზრისებისასთვის დაგვიჩვენება, და აქვე აღვნიშნავთ, ერთ უზოგადეს ანდროლოგიური ხასიათის ძირმდებელ თეზას იმის თაობაზე, რომ: ადამიანისეულ აზროვნებით ანდროლოგიურ სამყაროში მიზეზი ვერასდროს წყდება შედეგს და ვერც ვერასდროს შედეგი დროში წინ ვერ უსწრებს მისსავე მიზეზობრივ გარემოებას. - ამას ჩვენ, ჩვენთვის დამახასიათებელი აზროვნებითი წესრიგის ერთ-ერთ ძირმდებით დებულებად (აქსიომად) მივიჩნევთ. ეს პრინციპი ასევე ძირმდებითია იმ მოვლენების სიღრმისეული ბუნების ახსნა-შეცნობისას რომლებსაც ჩვენ ენობრივ-აზროვნებით მოვლენებს უწოდებთ. - ნებისმიერი ლოგიკური სისტემა წინასწარვე გულისხმობს მანამდე უმარტივესი ნოდლიკურ-ენობრივი საშუალებებით განსაზღვრულ მონაცემთა გარკვეულ ერთობლიობას. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ მარტივი ბუნებრივ ენობრივი წინადადებებით სხვადასხვა ბუნებრივ ენობრივ სისტემებში რეალიზებულია ამ ბუნებრივ ენობრივ სისტემასთან თანხორციელებული ლოგიკური სისტემისათვის აუცილებელი დროში მანამდე არსებული და უმარტივესი ენობრივ-ლოგიკური საშუალებებით განსაზღვრული მონაცემთა გარკვეული ერთობლიობა, მაშინ ნებისმიერი ზმნური სიტყვა-ფორმის ნებისმიერი შესაძლო უღლებითი ზმნური სიტყვა-ფორმა უმარტივეს ლოგიკურ მონაცემად უნდა ჩავთვალოთ. - ეს კი ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში ნამდვილად არ არის ესე. საზოგადოდ, ზმნური შინაარსების გასწვრივ არამორფოლოგიური ენობრივი სისტემებისათვის არ გამოირიცხება ის, რომ მისი მარტივი წინადადები რეალიზებას უკეთებდნენ მასთანვე თანაარსებული ენობრივ-ლოგიკური სისტემის მონაცემთა ბაზას. - ეს დასაშვებია, მაგრამ მაშინ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ასეთ ენობრივ სისტემაში თითოეული ზმნური სიტყვა-ფორმისათვის მხოლოდ ერთი უღლებითი მწკრივი(უჯრა) გვაქვს და ყველა სხვა ენობრივ-ლოგიკურად უნივერსალურად შესაძლო და დაშვებული

გონებრივ-აზროვნებითი სურათი ამ ენობრივ სისტემაში იმ ერთობითი რიცხვით დაშვებული ზმნური სიტყვა-ფორმით და ამავე ენობრივი სისტემის პრედიკატულ ზმნურ მიმართებით სიტყვა-ფორმებზე ოპერირებადი სიტყვა-ლოლიკური საშუალებებით იქმნება. – ეს არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისებია, ამგვარი ხედვები ჩვენ ადრეც გააგვიშუქებია. ამდენად, მათზე უფრო მეტი დეტალურობით აღარ ვიწერდებით და ვუბრუნდებით ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემას, რომელიც ზმნურ-მორფოლოგიური წარმოქმნითი საშუალებებით განსაკუთრებულად მრავალფეროვანია, რაც ქართული ენობრივი სისტემის მარტივ წინადადებათა უფრო რთულ ენობრი-ლოლიკურ ბუნებაზედ გვანიშნებს, ვიდრე მათ მარტივ წინა ლოლიკურ მონაცემით სტრუქტურაზე. შანიძის სისტემის მიხედვით ქართული ზმნის უღლებითი სისტემა შესდგება თერთმეტი უღლებითი მწკრივისაგან - თერთმეტი უჯრისაგან, რაც ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა საკმარისი არ არის ქართული ზმნის თუნდაც მხოლოდ ზოგად-ტიპობრივ სემანტიკურ სფიციფიკათა გასაშლელად. – ეს ცხადია, თუმიცა ამაჯობად არც ამ მიმართულებით არ გავლრმავდებით და ჩვენი კვლევის მიმდინარე ეტაპზე ჩვენთვის სასაყრდენ შანიძესეულ სისტემას დავუბრუნდებით. – დავსვით კითხვა: შანიძისეული თერთმეტი უჯრიდან რომელი იძლევა ენობრივ-ლოლიკურად უმარტივეს ზმნურ სიტყვა-ფორმებს? – ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი უნდა ემყარებოდეს იმას, რომ ენობრივ-ლოლიკურად უმარტივესი ზმნური სიტყვა-ფორმით აღებული შინაარსით მარტივად გასაგები ბუნებრივი ლოგიკურობით უნდა ისაზღვრებოდეს ამავე სიტყვა-ფორმის ყველა სხვა დანარჩენი უღლებითი ზმნური სიტყვა-ფორმა, და ამასთან იმას, რომ თავად ეს ჩვენთვის სასაყრდენ უმარტივესი ზმნური სიტყვა-ფორმა და მისი ლოლიკური ბუნება მაქსიმალურად მარტივ მისაღები და მარტივ გასაგები უნდა იყოს ენობრივი ანდრო-ლოლიკური ერთეულისათვის იმის სრულად გათვალისწინებით რასაც ამ ანდროიდურ ერთეულში ინსტიტუტურად თუ არაინსტიტუტურად განხორციელებული გრძნობა-აღქმითი და აზროვნებითი უნარჩვევები წარმოადგენენ. – ჩვენი ხედვებით, ადამიანი მხოლოდ მისი თანდაყოლილი გრძნობა-აღქმითი უნარებით და დროში მიმდინარე აწმყო ხანგრძლივ ნაკეთში ახერხებს უშუალო და პირდაპირი ურთიერთობის დამყარებას სამყაროსთან. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყარო ადამიანში შემოდის იმ აწმყო დროით მდინარებაში, რომელსაც ჩვენ აწმყო მიმდინარე დროით სარკმელს(ფანჯარას), ზოგჯერ კი უბრალოდ აწმყო მიმდინარე დროს ვუწოდებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი - გარე სამყარო, ამ აწმყო მიმდინარეობაში აღმქმელი სენსორების, ანუ, მგრძნობლების გავლით გარკვეული ცოდნის სახით ნიშნობრივად იხატება ში-ადამიანისეულ აღმქმელ-მეხსიერებით გარემოში, რაც ჩვენი უზოგადესი ენობრივი თვალსაზრისებით უკვე აღნიშნული გარე სამყაროს ში-ადამიანისეული ენობრივი ხატია, რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნავს, ჩვენთვის ნიშანთა ნებისმიერი სისტემა ენად გაივება. სამყაროს ამგვარ პირდაპირ ხატურ აღქმას ში-ადამიანისეულ შემეცნებით სამყაროში არალოგიკურ ბიო-ფიზიკო-ქიმიურ აღქმას ვუწოდებთ, რომელიც უნდა ეივარაუდოთ, რომ ადამიანისა და სამყაროს კელითად და არაველითად მიმდინარე ფიზიკო-ქიმიურ ურთიერთობათა შედეგია. ჩვენ ვთვლით, რომ აწმყო მიმდინარე დროითი კარის ენობრივი შესაბამი შანიძისეულ სისტემაში მისი პირველი სერიის აწმყო წრის აწმყოდ წოდებული მწკრივია, რამდენადაც აქ მოქცეული ზმნური შინაარსების პირველი ზედაპირული გაგება თითქმის თავიდან ბოლომდე შეიძლება იქნეს დაყვანილი და ახსნილი ზემოთ განსაზღვრულ არალოგიკური ბიო-ფიზიკო-ქიმიური აღქმითი უნარებით რეალიზებულ გაგებებზე. – ჩვენ როცა ვაპრობთ 'წერ', ჩვენ ეგებულობთ ამას თითქმის ყოველგვარი ლოლიკო-აზროვნებით

დაძაბვის გარეშე, რამდენადაც ვიცით, რომ ის ვისაც ჩვენ ამას ვეუბნებით, მაშინ როცა ჩვენ მას ამას ვეუბნებით, აკეთებს იმას, რასაც ჩვენ ამ დროს ეხედავთ, რომ აკეთებს. – საკითხის უფრო დაზუსტებული გაშუქების მიზნით შევინშნით, რომ 'წერ' ზმნის აქ გაშლილი შინაარსი ამ ტიპის ფორმების მხოლოდ ერთი სემიური ტიპია. ამით, ჩვენ იმის თქმაც გვინდა, რომ 'შანიძისული პირველი სერიის აწმყო მწკრივი, ბუნებრივი კარბონული ენის ლოლიკურ-სემანტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე რამდენიმე ბუნებრივადვე არსებულ უჯრად ანუ მწკრივად უნდა დაიშალოს. – რა გვაქვს მხედველობაში და რითი ვაარგუმენტირებთ უკვე თქმულს? – განვიხილოდ შემდეგი ენობრივი ფრაზები: 'ვწერ ლექს' და 'ვწერ ლექსებს'. დიდი განსჯა არ სჭირდება იმას, რომ პირველი ფრაზის შემთხვევაში პირველი პირი, როგორც მომქმედი პირი მის მიერვე ხორციელებული 'წერა' მოქმედების ხორციელების პროცესშია, მაშინ როდესაც მეორე ენობრივი ფრაზით მოცემული შინაარსით გაგება იმისა, რომ პირველი პირი მასთან მისივე მოქმედებულ და პირობითად მიმდინარე დროით აწმყოში რომელიმე კონკრეტული 'წერა' მოქმედების მხორციელებელი პირია, არალოლიკური, და ამდენად, მცდარად გააზრებული და გათავისებული სემანტიკური დასკვნაა. საქმე იმაშია, რომ ბუნებრივი და მარტივად გასაგები ლოგიკით, რაც როგორც ჩანს ამგვარი შესაძლო აზროვნებითი გაგებების პირობითად განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირეული საფუძველია, პირი ერთდროულად არ შეიძლება იყოს ორი ან რამდენიმე ლექსის მწერალი. – ანუ 'ვწერ ლექსებს' ნიშნავს არა იმას, რომ 'მე' პირი რომელიმე კონკრეტული 'ლექსების წერის პროცესშია', არამედ იმას, რომ 'მე' პირი ეხლა, დროის ამ მიმდინარე განიკეთეთ, ხშირად არის ხოლმე დაკავებული 'ლექსის წერით', რაც თავის მხრივ შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ ლექსის წერა მისი პროფესია, ანუ იმას, რომ იგი პოეტია, თუმცა ის, რომ ასეთ შემთხვევაში 'მე' გინდა თუ არა 'პოეტად' უნდა იქნეს გაგებული ენობრივ ლოლიკას გადაჭარბებული, და ამდენად, საღ აზრს მოკლებული დასკვნაა. ანალოგიური ხასიათის ტიპობრივ-სემანტიკური ვითარება გვაქვს ფრაზებთან 'ეხატაე კეიზაეებს', 'ეაშენებ სახლებს', 'ელეება სახურაეებს' და სხვა. ამგვარად, ჩვენ უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 'შანიძისული პირველი სერიის პირველი წრის აწმყო მწკრივში ზოგადი ლოლიკურ-ენობრივი შინაარსული ანუ სემანტიკური იტერმებიდან გამომდინარე ორი ტიპობრივად განსხვავებული მწკრივი ანუ უჯრა უნდა გამოიყოს, ამასთან გამოყოფის შედეგად მიღებული თითოეული მწკრივად განსაზღვრული უჯრა დროითად აწმყოდ უნდა შეფასდეს და ამ აწმყო მწკრივების განმსახეებლად მათი ტიპობრივად განჩრეული ენობრივ-ლოლიკური სემანტიკები უნდა დაიდოს, თუმცა არც ის უნდა დაეიეიწყოთ, რომ ენობრივი სისტემა ამ მოვლენაზე რეაგირებს და ტიპობრივ-სემანტიკურად განსხვავებული ომონიმიური ზმნური ფორმებიდან ერთს სინტაქსურ-სემანტიკურად ერწყმება ობიექტი მხოლოდობით ენობრივი რიცხვით, ხოლო მეორეს ობიექტი მრავლობით რიცხვში. – ამ ტიპობრივად განსხვავებულ დროითად აწმყო ზმნური ფორმებით განსაზღვრულ უღლებით მწკრივებს სახელებს მოგვიანებით შეეუარეთ, მანამდე კი ვიტყვით იმას, რომ ინგლისურ ენობრივ-გრამატიკულ სისტემაში თითქმის იგივე აწმყო შინაარსის ზმნური ფორმებიდან ერთი აწმყო განმგრძობითად, ხოლო მეორე აწმყო განუსაზღვრელად იწოდება. – ამგვარად, ერთისმხრივ ჩვენ უკვე უარვყავით 'შანიძისული დროითი გრამატიკული თვალსაზრისების ფუნდამენტური საფუძველი, სადაც იგი ამბობს, რომ ენაში დრო მხოლოდ სამი შეიძლება იყოს, ისევე როგორც ბუნებაში, რადგან რაღაც ან მოხდა, ან ხდება, ან მოხდება და სხვა შესაძლებლობა თეორიულადაც კი არ შეიძლება იქნეს განხილული. – ეს მისი დროით-ენობრივი თეორიული საყრდენი

მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ენობრივ-გრამატიკულად ღირებული, თუ ბუნებრივ ენობრივ სისტემას ბუნებრივადვე არსებული რეალობის უბრალო სარკულ ნარეკლად განვიხილავთ, რის უფლებასაც საბედნიეროდ არ გვაძლევს ბუნებრივ ენობრივ სისტემებში არსებული ენობრივ-ლოლიკური შემადგენლები, რომელთა მეშვეობით სამყარო არა მხოლოდ სარკულ რეალობაში არამედ დასაშვებად არსებულ ლოლიკურ-განსჯით შესაძლებლობათა ფარგალშიც განიხილება და რომ არა ეს ენობრივად რეალიზებული ლოლიკურ-განსჯითი შესაძლებლობათა მომცემი და გამომხატველი ენობრივი საშუალებანი, მაშინ არ იქნებოდა არც ის ჩვენეული, ანუ ადამიანისეული, კვლევით-მეცნიერული შემოქმედებითი უნარი, რის გარეშეც, საფიქრებელია, რომ ჩვენი სამყაროსთან ურთიერთობა უზოგადესი ქმედება-უუქმედების ბუნებრივ-ფიზიკური კანონის ფარგლებში მოქცეული მისითვე ამოწურულიყო – ეს ერთისმხრივ. მეორესმხრივ კი, შანიძისეული სისტემის პირველი სერიის პირველი წრის ამწყობ მწყობში ორი სემანტიკურად განსხვავებული ლოგიკურ-ტიპობრივი კლასის გამოყოფით ჩვენ შესაბამისად მთელი უღლებითი სისტემის გასწვრივ გამოყვავით ორი განსხვავებული ტიპის ზმნური სემანტიკები. ამასთან, ჩვენი ხედვებითა და ენობრივ-აზროვნებით გაგებადობის ცნებისა და პრინციპების გათვალისწინებით მათგან ის, რომელიც აწმყო დროით მიმდინარეობაში იძლევა მომქმედ პირს უწინარეს გაგებით საფეხურზე დგას, ვიდრე მეორე, და ამდენად, სწორედ ის რჩება ჩვენს მიერ არალოგიკურ ბიო-ფიზიკო-ქიმიურ აღქმით გაგებით საფეხურზე მდგარ აწმყო მწყობის შემადგენელ ნაწილად, ანუ პირველი სერიის აწმყო წრის იმ ნაწილად, რომლის გასაგებ საყრდენს უკვე წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული იძლევა, რომელის წიაღშიც თავისმხრივ, ჩვენი წინგერეკით, ყალბდება ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემის ის საბაზისო, ლოგიკურად უსმარტივესი ენობრივ-ცოდნით მონაცემთა ერთობლიობა, რომლის გარეშეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ შეიძლება იქნეს არც აგებული და არც გაგებული თუნდაც ნებისმიერგვარი ლოგიკურ-ენობრივი სისტემა. – ეს უკანასკნელი თვალსაზრისი ადასტურებს და ხსნის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის სასაფუძვლო მნიშვნელობას ბუნებრივი ენობრივ-ლოგიკური სისტემებისათვის. – წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებითი გააზრება ყველაფერთან ერთად გარკვეულად ეხმარება და უკავშირდება შანიძისეული გვარის გრამატიკული კატეგორიის ცნებას ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში. შანიძის მიხედვით გვარი ან მოქმედებითია ან ნებებითა ან საშუალები. ამასთან, შანიძესთან და კვაჭაძესთან საშუალო გვართი ფორმის „სუბიექტური პირი „მოქმედებს“, მაგრამ არ მოეპოვება სამოქმედო პირდაპირი ობიექტის სახით“ – ამ განსაზღვრებაში, რომ ყველაფერი წესრიგში არ იყო, ამას, როგორც ჩანს, ავტორებიც გრძნობდენ, ამით უნდა აიხსნას მათეულ ფრაზაში „მოქმედებს“ სიტყვის ბრჭყალებში მოთავსება, რაშიც ჩვენ მათ თავიდან ბოლომდე ვეთანხმებით. – ჩვენ ადრეც გეჟონდა ხაზგასმა იმის თაობაზე, რომ ქართული ენათმეცნიერული ხედვები უკვე კარგად განვითარებული ინდოევროპული ენათმეცნიერული ხედვების ფონზე ვითარდებოდა, რაც ალბად მიზეზია იმისა, რომ უნდამეცნიერული ხასიათის ენათმეცნიერული თვალსაზრისები და საყრდენი ლინგვისტური კატეგორიები ქართულისათვის ძირითადად მათი ინდოევროპული ანალოგების შემოტანისა და ერთგვარი მოდიფიცირების გზით ჩამოყალიბდა, რაც თავისმხრივ მიზეზად იქცა იმისა, რომ რიგი სიღრმისეული ენობრივი თავისებურებანი, ანუ ქართულისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური სპეციფიკები შესაბამისად არ აისახა ენობრივ-გრამატიკულ სისტემაში. – ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთ

ვითარებასთან გვაქვს საქმე ქართული ენისათვის გვარის გრამატიკული კატეგორიის ზემოთ განსასაჯვლად გამოტანილ შემთხვევაში. — შესადარებელი საზოგადო ინდოევროპული ენობრივი სპეციფიკების წარმოჩენისა და მათი განხილვისას ჩვენ დავეყრდნობით ინგლისურ ენისა. თუ ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში ერთმანეთისაგან განვარჩევთ 'ე' და 'მ' ტიპის პირის ნიშნებს, ინდოევროპულ ენებში უფრო მეტი ბუნებრივობით განირჩევიან ერთმანეთისაგან 'I' და 'Me' ტიპის ნაცვალსახელები, რომლებიც შესაბამისად სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნაცვალსახელებადაც იწოდებიან. ამასთან, ერთიდაიგივე ზმნური შინაარსის აქტიური ანუ მოქმედებითი და პასიური ანუ ენებითი შინაარსები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ პირველ შემთხვევაში 'I' ტიპის პირის მოქმედება ზმნური შინაარსით გადადის 'Me' ტიპის პირზე, ხოლო მეორე შემთხვევაში 'I' ტიპის პირი თვითონ განიცდის ზმნური შინაარსით ნაგულისხმევე მოქმედებას, თანაც ენობრივ სინტაქსურად ვითარება ისეა გაფორმებული, რომ განუწყვეტელი მარტივი წინადადების ფარგლებში არ ჩანს ზმნური შინაარსის განმხორციელებელის პირითი ენაობა. ამგვარად, ინდოევროპული ენებისათვის გვარის ანუ ერთიდაიგივე ზმნური შინაარსების აქტიური და პასიური კონსტრუქციების ცნებები ისეა განსაზღვრული, რომ ერთიდაიგივე გარდამავალი ზმნის აქტიური და პასიური ფორმა-კონსტრუქციების შინაარსებით ენობრივად ისახებიან აბსოლიტურად ერთიდაიგივე აზროვნებითი მოუღენები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში ენობრივად მსჯელობა ფორმდება ამ გარდამავალი ზმნური შინაარსით ნაგულისხმევი 'მომქმედის' 'I' ტიპის, ხოლო 'სამოქმედოს' 'Me' ტიპის პირად ჩვენებით, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში 'მომქმედი პირი' გარე ენობრივი მსჯელობის საგნად არ გამოიტანება და 'სამოქმედი პირი' მსჯელობაში 'I' ტიპის ენობრივ ნიშნად ფორმდება. ანუ, ერთისმხრივ, სახეზე გვაქვს ერთიდაიგივე ინფინიტური საყრდენით ფორმებული ორი განსხვავებული, შესაბამისად აქტიური და პასიური ზმნური ფორმები და მათი ენობრივად ასევე განსხვავებული აქტიური და პასიური ტიპის ზმნური შინაარსები, და მეორეს მხრივ, ამ განსხვავებული ზმნური ფორმების განსხვავებული ენობრივი შინაარსებით უზოგადეს აზროვნებით ველში გამოხატულია აბსოლიტურად ერთიდაიგივე სამყაროსეული სურათი, რის საფუძველზეც ჩვენ ეამბობთ, რომ ისინი, ანუ, აზროვნებით საფეხურზე თითქმის ერთიდაიგივე შინაარსის მქონე განსხვავებული ზმნური ფორმები, ერთგვარი თან მაქსიმალურად დანაწევრებული და თანაც უზოგადესი ინფინიტური შინაარსების სხვადასხვაგვარი ენობრივი წარმოდგენებია — გვარის გრამატიკული კატეგორიის ამგვარი დაწვერვებითი გააზრება და გაგება აუცილებელია მისი სიღრმისეული ლინგვისტიკურ-ლოგიკური ღირებულების შესაცნობად. ის, რომ გვართ განსხვავებული ზმნური შინაარსები ერთგვარი, და ამდენად, ერთმანეთთან შედარებადი შინაარსებია, სასაყრდენე მნიშვნელობისაა, როგორც ენობრივ-აზროვნებითი გაგებადობის ცნებითი გააზრებისას, ისე ენობრივ-აზროვნებითი გაგებადობის ინტუიციური და ფორმალური თეორიების აგებისას. ჩვენეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული ის მაქსიმალურად დანაწევრებული და ამავდროულად, მაქსიმალურადვე უზოგადესი ადგილიანობითი წინარე ზმნურ-მიმართებითი შინაარსია, რომლის მიმართებდად ადგილთა პრინციპულად სხვადასხვაგვარი ჩასმითი დაკომპლექტებითი იგება გვართ განსხვავებული ზმნური ფორმები და შინაარსები, ამასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ამოსავალი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული ისეთი ძირეულად ორადგილიანი მიმართებითი შინაარსია, რომლის ერთი ადგილი მოქმედი პირის

ადგლია. – ასეთ მომქმედ პირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს გარდამავალ წინარე ზმნურ სემანტიკებს ეუწოდებთ. ჩვენი თვალსაზრისებით მომქმედი პირის მოქმედებითობა ყოველთვის აზრდება გარკვეულ სამომქმედო საგანთან ერთად, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მომქმედი პირის პირველმიზეზობრივობით განხორციელებული მოქმედების შინაარსიდან გამომდინარე სამომქმედო საგნის როლში მხოლოდ ამ მომქმედი პირის გააზრება შეიძლება, მაშინ ასეთი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული ერთადგილიანად ცხადდება და ამ ტიპის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები თავისთავად გარდამავალ ანუ რეფლექსურ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებად იწოდებიან. ამგვარად, მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული ან რეფლექსურია ან გარდამავალი იმისდამიხედვით ერთადგილიანია იგი თუ ორადგილიანი. – ეხლა დავებრუნდეთ შინაბისეულ თვალსაზრისებს გვარის გრამატიკულ კატეგორიაზე ქართულში: როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ქართულიისათვის განიხილავს სამ გვართი ფორმას და მასთან ისინი შესაბამისად მოქმედებით, ენებით და საშუალო გვარებად იწოდებიან. ამასთან დაკავშირებით მივიჩნევთ, რომ ენობრივი გვარის კატეგორიის ჩვენს მიერ ზემოთ გააზრებული საფუძველმდებოთი ხედვის გათვალისწინებით ნებისმიერი ბუნებრივი-ენობრივი სისტემის ნებისმიერ ზმნურ ფორმას ან საერთოდ არ გააჩნია ეგრეთ წოდებულ ენებითში გვართი მეწყველე ანდა ასეთი გააჩნია მხოლოდ ერთი. – ანუ ის, რომ განიხილებოდეს ერთი და იგივე ზმნური შინაარსის სამი განსხვავებული გვართი ფორმა, ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია. – ეს თვალსაზრისი ფაქტიურად უკვე დაუდასტურებთ ზემოთ განვითარებულ თეორიულ მსჯელობაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცდებით აქ აღნიშნულის მაგალითებით არგუმენტირებას. – ეკაჭაძისა და შანიძის მიხედვით(იხ. „ქართული ენის გრამატიკა“ §159 გვარის ფორმები) 'აგორებს' მოქმედებითი გვარის ფორმაა, 'გორდება' ენებითი გვარისა, ხოლო 'გორავს' საშუალო გვარისა. ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ თუ 'აგორებს' გაგებულია როგორც 'გორდება' შინაარსის აქტივიზაციით მიღებული ზმნური შინაარსი, მაშინ 'გორავს' არ არის 'აგორებს' და 'გორდება' ზმნური შინაარსების გვარი ზმნური შინაარსი, ხოლო თუ 'აგორებს' გაგებულია როგორც 'გორავს' შინაარსის აქტივიზაცია, მაშინ 'გორდება' არ არის 'აგორებს' და 'გორავს' ზმნური შინაარსების გვარი ზმნური შინაარსი, და ამდენად, ამ სამი ზმნური ფორმის ერთ გვართი მწკრივში ჩაყენების გვარის უნივერსალური ენობრივი კატეგორიის სიღრმისეული სასაფუძველო პრინციპების დარღვევად მივიჩნევთ, რაც ბუნებრივია ვერაფრით ვერ გამართლდება ქართული ენის სპეციფიურობით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ენობრივი გვარის კატეგორიის უნივერსალური საფუძველები და ქართული ენის თავისებურებანი მეტად ნოყიერ ნიადაგას იძლევიან ამ ფრიად მნიშვნელოვანი გრამატიკული კატეგორიის ქართული ენობრივი სისტემის ინტერესების გასწვრივ მიზნობრივი და საფუძველიანი განვრცობისათვის. – ეს შემდგომ ეხლა კი, მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო დეტალურად შეგჩერდებით განსახეულად გამოტანილ მაგალითზე: მკითხველს შეეახსენებთ, რომ მსჯელობა და ამ მსჯელობით შემოთავაზებული არადაბუთება ემყარება მათემატიკურ პრინციპებს, ანუ იმას, რასაც ვამბობთ და არა იმას, რაც შეიძლება იგულისხმებოდეს ან ვინმემ იგულისხმოს! – დაეუშვათ, რომ 'ვიდაც აგორებს კასრს' და არა 'შიაგორებს', ან 'შოაგორებს', ან თუნდაც 'აგორავებს' და დაეუშვათ ისიც, რომ ამ ვითარებას ორი მაყურებელი ჰყავს. ერთი, რომელიც ყველაფერს ხედავს და მეორე, რომელიც იმ 'ვიდაცას' ვინც 'კასრს აგორებს' ვერ ხედავს. ასეთ შემთხვევაში მეორე დამკვირვებელი პირველს ეტყოდა 'კასრი გორდება'-ო, ის კი,

დაეთანხმებოდა რა მეორის მიერ უკვე გამოთქმულ თვალსაზრისს, ამ უკვე აღწერილი მოვლენის მიზეზობრივად დაზუსტების ინტერესებიდან გამომდინარე ამაზედ უპასუხებდა „ინ(ვილაც) აგორებს კასრს“-ო, რაც ყველაფერთან ერთად დასაბუთებული დასტურია იმისა, რომ 'აგორებს' და 'გორდება' არიან ერთიდაიგივე რეალობის ორი პრინციპულად განსხვავებული ენობრივი გამოხატვები, რაც ამ ფორმათა ერთგვარობის აშკარა საფუძველიცაა და დასტურიც. რაც შეეხება ფრაზას - 'კასრი გორავს', არ უნდა იყოს საკამათო, რომ იგი ზემოაღნიშნულ რეალობას არ ასახავს, რითაც დასტურდება, რომ 'გორავს' მართლაც არ არის 'აგორებს' და 'გორდება' ზმნებით მოცემული ზმნური შინაარსების გვარი ზმნური შინაარსი, ანუ დასტურდება ის, რომ 'გორავს' ზმნის დეფინირება, როგორც 'გორდება' და 'აგორებს' ზმნების საშუალო გვართი ფორმა უარყოფს გვარის უნივერსალური ენობრივი კატეგორიის ფუძემდებობას პრინციპებს, და ამდენად, მისი საშუალო გვარად დეფინირება გაუმართლებელია. ანალოგიურად იქნებოდა ამ ზმნური ფორმების არაერთგვაროვნობის მამტიკივებული მსჯელობა მათი შინაარსების მეორეგვარი გაგების შემთხვევაშიც. - რა იყო მიზეზი შანიძესთან 'გორავს' ფორმის საშუალო გვარის ფორმად გამოცხადებისა? - ჩვენ საკითხს მეტად მნიშვნელოვნად მივიჩნევთ და ამიტომ გვინდა ვიყოთ პუნქტუალურად დეტალური და საფუძვლიანად არგუმენტირებულნი ჩვენი დასკვნების წარმოჩენისას. - გავიხსენოთ შანიძისეული საშუალო გვარის განსაზღვრება, სადაც საშუალო გვარის ზმნის სუბიექტური პირი 'მოქმედ' პირად გაიგება, ოღონდ ისეთად, რომელსაც არ გააჩნია უშუალო და პირდაპირი სამოქმედო ობიექტი. - არის თუ არა 'გორავს' ზმნით მოწოდებული სუბიექტური პირი იმგვარადვე მოქმედი, როგორც ეს სახეზეა მისეული მოქმედებითი გვარის სუბიექტური პირის შემთხვევაში, რომელიც სისტემაში აგრეთვე მოქმედ პირად არის წოდებული? - რა თქმა უნდა არა, და რამდენადაც, ამ განსხვავებებს თავად შანიძეც ამჩნევდა, მან, საშუალო გვარის განსაზღვრისას, სიტყვა მოქმედი ბრჭყალებში ჩასვა, რითაც ბუნებრივია მიგვანიშნა ვითარების განსხვავებულ სპეციფიურობაზე, მაგრამ ამით, სამწუხაროდ, ის სიცხადე, რითიც უნდა ხასიათდებოდნენ განსაზღვრებები მეცნიერულ სისტემაში, გატარებული ვერ იქნა. - ჩვენ აქ, ქართულ ენაზე დაყრდნობილებმა, შემდეგი გამოსავალი მოვიძიეთ: განვიხილოთ ბუნებრივი ქართული ენის სიტყვები 'მოქმედი' და 'მოქმედი'. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ეს სიტყვები ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულნი და მათგან პირველი უარყოფილია, როგორც არასწორი ენობრივი ფორმა. ჩვენ, ბუნებრივია, ამ თვალსაზრისს არ ვიზიარებთ, და არამარტო ჩვენ, როგორც ჩანს ენამაც, მიუხედავად უკვე აღნიშნულისა, ვერ გაიზიარა ასეთი თავსმოხვეული თვალსაზრისი და არ მოიშორა მისივე ორგანულად შემაღვენილი ნაწილ-მთლიანობა. - ნებისმიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემა იმ პიველჩადებულ ფორმით პოტენციასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ანდრო-შენტალური მოვლენაა და თუ ანდრო-ინდივიდუმი ერთ ფერს მეორესაგან ვერ განარჩევს, მაშინ ორივე ფერისათვის ენაში ერთ სახელს დატოვებს და თანაც მანამდე, სანამ ამ ერთი სახელით მონიშნულ ფერში ორ განსხვავებულს ვერ დაინახავს ეერაფრით მიხედება თავის შეცდომას! - ეს ცხადია. ზუსტად იგივენაირ ვითარებასთან გვაქვს საქმე მენტალური ლოლიკო-აზროვნებით ხედვისას. ანუ, თუ ორ ფორმით განსხვავებულ სიტყვას აზროვნებითში ერთიდაიგივე ლოლიკო-აზროვნული შინაარსი მიეება, მაშინ, ანალოგიურად წინა შემთხვევისა, ჩვენთვის დამახასიათებელი ანდრო-ლოლიკური ბუნებრივობით იძულებულნი გავხდებით ამ ორი სიტყვიდან დაეფიქრდეთ ერთ-ერთის არა ენობრიობაზე. ანუ, ასეთი ორი სიტყვიდან ორივე ენობრივად ჩათვლება მხოლედ

იმ შემთხვევაში, თუ მანამდე მოძიებულ-დანახული იქნება ამ სიტყვების ანდრო-ლოლიკურად განსხვავებული მენტალური შინაარსები. - ესეც ცხადია. ეხლა დაუბრუნდეთ განსახილველ საკითხს: ჩვენ ადრეც გეკონდა საუბარი იმაზე, რომ ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის ადეკვატური ლოლიკურ-გრამატიკული გადაზრებისათვის აუცილებელია სუსტიერი და უსულო სახელთა, და შესაბამისად, ამ ორი განსხვავებული ტიპის სამსჯელო საგანთა განყოფა. ენობრივ სამსჯელო საგანთა და სისტემაში მათი ამსახველ სახელთა ამა თუ იმ ფორმითა თუ შინაარსით გრამატიკული განყოფა-კლასიფიცირება თითქმის უნივერსალურად შეიმჩნევა ბუნებრივ ენობრივ სისტემებში. სულიერ ანუ მომქმედუნარიან და უსულო ანუ მომქმედუნარო სამსჯელო საგანთა და სახელთა ურთიერთგანყოფას ჩვენ ერთ-ერთ დომინანტურ საფუძვლად მივიჩნევთ ქართული და არა მარტო ქართული ენობრივ-აზროვნებითი ველისათვის. თუმცა, როგორც ჩანს, ეს თითქმის უნივერსალურად დომინანტური ენობრივ-აზროვნებითი კატეგორია სხვადასხვა ენობრივ სისტემებში სხვადასხვაგვარად რეალიზდება. ინგლისური ენა ამ სიღრმისეულ ენობრივ-აზროვნებით მოვლენაზე ძირითადად რეაგირებს მესამე პირის საშუალო სქესის ნაცვალსახელით, რომელსაც ინგლისურ ენობრივ გრამატიკულ სისტემაში უპირო ნაცვალსახელსაც უწოდებენ. ასე მაგალითად, ბუნების მოვლენების ამსახველი ზმნური შინაარსები, რომლებიც ქართულ ენაშიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან, ინგლისურ ენობრივ სისტემაში ძირითადად უპირო 'it' ნაცვალსახელის მეშვეობით ფორმდებიან. 'წვიმს' ქართულში უპირო, უეაღენტო ზმნადაა გაებული. იგივე შინაარსი ინგლისურში 'it rains' ზმნური კონსტრუქციით ფორმდება, რომლის 'it' პირის 'rains' მოვლენის მომქმედ სუბიექტურ პირად გაგებ რა თქმა უნდა ნონსენსურია. ასევე ნონსენსურია 'ის წვიმს' ფრაზა, თუ 'ის' ნაცვალსახელით მონიშნულ შინაარსში 'წვიმს' მოვლენის მომქმედ პირის ძიებას დაეწყებოდა. მაგრამ, თუ დავავსებთ კითხვას - რა წვიმს? - პასუხი ერთადერთია, და კერძოდ ის, რომ შეიძლება 'წვიმდეს' მხოლოდ 'წვიმა'. - ჩვენი თვალსაზრისით ეს არის ის, რის საფუძველზეც 'წვიმს' ნულეაღენტო ზმნად განისაზღვრა, რაშიც რა თქმა უნდა არის გარკვეული ლოგიკა, მაგრამ ის, რომ ამის გამო 'წვიმს' უეაღენტო, ნულადგლიან ზმნურ ფორმად გამოვაცხადოთ არასწორად მიგვაჩნია, რადგანაც ამ შემთხვევაში, ფრაზა 'ურჩად ფიქრები წვიმს' ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში წინადადებად ეერ გააზრდება. - ეს ის საკითხია, რომელიც ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვნად ეერ ჩაითვლება, თუმცა იმ თვალსაზრისების გასაშუქებლად, რომლებითაც ჩვენ ეხლა დავაებულნი ვართ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ნაწილობრივ მაინც შევხებოდით მას. - ამ მცირე ანალიზის შემდეგ, მაინც შევეცდებით შემდეგი კითხვის დაყენებას - რით უნდა ავხსნათ ინდოევროპული ტიპის ენებისათვის რიგ შემთხვევაში გრამატიკული, რიგ შემთხვევაში კი შინაარსული სქესის ენობრივი კატეგორიის მიხედვით ენობრივი სისტემის შემადგენელი სახელების დაყოფა-დაშრეება? - ეს ღრმა კითხვაა და ცხადია, აქ მხოლოდ სისტემის მარეალიზებული ფორმალური საფუძვლებიდან გამომდინარე პასუხი ინტერეს ეერ დაკმაყოფილებს, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ფორმალური საფუძვლები ამაღროყოლად საფუძვლებია იმ შინაარსული რეალიზაციებისა, რომლებიც ანდრო-ფსიქო-ლოლიკურ-ლინგვისტური ხასიათის კვლევების მიზნებს შეადგენენ, მაშინ გასაგები გახდება ისიც, რომ ფორმალიზმი რომელსაც ჩვენ ეყრდნობით და რომლის ძიების პროცესშიც ვართ თავისი სიღრმისეული მანიშნებლობითი და მნიშვნელობითი ღირებულებებით არ შეიძლება შეფასდეს დღეს

ხელოვნურად წოდებულ მკაცრი ლოგიკურ-მათემატიკური ფორმალიზმისადმი ჩვენეული დამოკიდებულებით. – უფრო მეტიც, ფორმალიზმი, რომელსაც ჩვენ ევებთ, ფაქტიურად, იმ ჩვენზედ თანყოლილი და ჩვენივე ბუნებრივობით ბუნებრივად არსებული ენის ის ჩვენი რეზიდიუი სიღრმისეული შინა ფორმაა, რომლითაც გვეძლევა არა მხოლოდ სიტყვების გაკეთებისა და გაგების უნარები, არამედ ინიც, რასაც ჩვენი ყოველი აზროვნებით ხედვის დროში წინმსწრები ინტერპრეტითი ანუ ინტუიციური საფუძველი წარმოადგენს. – ამგვარად, აქ გამოთქმული თვალსაზრისებით ხაზგასმული მიმართულებით განსჯას აღარ გაეაგრძელებთ და ზემოთ დაყენებულ კითხვაზე პირველ მოკლე პასუხს ოდნავ მოგვიანებით გააკეთებთ, მანამდე კი, კიდევ ერთხელ სახელებისა და ზმნების სემანტიკურ სპეციკათა შესახებ: ნებისმიერ ენობრივ სისტემაში ნებისმიერი ზმნური სიტყვა-კონსტრუქციული შინაარსი იძლევა საშუალებებს ამავე ენობრივ სისტემაში სახელებით მოცემული საგნობრივი და აზრობრივი რაობების შესახებ სრულიად ნებისმიერი და გარკვეულად განსაზღვრული მსჯელობების ენობრივად გაფორმებისა. ფორმალურ-ლოგიკურ მათემატიკურ თეორიებში უმარტივესი მსჯელობები, ანუ, არა საგნობრივ-რაოდენობრივი, არამედ ლოგიკო-ტექნიკური ხასიათის შინაარსები ფორმდება პრედიკატების მეშვეობით, რომლებიც მიმართებითი შინაარსის მქონე არანულადგლიანი ენობრივ-მათემატიკური ნიშნებია. ამგვარად, ნებისმიერი მათემატიკური პრედიკატული სიმბოლო ენობრივად ნიშნავს და აფორმებს გარკვეულ აზროვნებით ხედვას მათემატიკური საგნის, ან გარკვეული რიგით მოცემული მათემატიკური საგნების შესახებ. მათემატიკური პრედიკატის ადგილიანობა ისაზღვრება იმის და მიხედვით, თუ რამდენ სამსჯელო საგანს აყენებს იგი აზროვნულ-ლოგიკურ მიმართებაში, ხოლო თავად ამ მათემატიკური მიმართების, ანუ პრედიკატის შინაარსი განისაზღვრება იმ სამსჯელო საგანთა სისტემური ერთობლივობით, რომელთა ურთიერთმიმართებაც გამოდინარე მიმართებადი პრედიკატის შინაარსიდან აზრისმიერად არის გაგებული. ამდენად, მათემატიკურ მიმართებათა სემანტიკა აშკარად მეორადი მოვლენაა, და იგი ამავე მათემატიკურ თეორიაში არსებული სამსჯელო-საგნობრივი რაობათა მანამდე გაგებული შინაარსული საფუძვლებით ისაზღვრება. ამ მიდგომებით მათემატიკურ თეორიებში პრედიკატების შინაარსების რეალიზაცია თითქმის ამოწურავი ზოგადურობით შეიძლება გაკეთდეს იმ ცხრილების მეშვეობით, რომელთა სამიმართებადო სექტების რიცხვი განსაზღვრავი მიმართების ადგილიანობის რიცხვს ემთხვევა და რომლის მნიშვნელობითად განმსაზღვრულ სექტში თითოეული სტრიქონის გასწვრივ გეხდება ერთ-ერთ მანამდე წინასწარ განსაზღვრულ ლოგიკურად დაშვებულ შესაძლებლობაზე მანიშნებელი სიმბოლო. ამგვარივე ცხრილულ მონაცემთა ბაზებს და ამგვარ ბაზებზე წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივობით მორგებულ და მათ ლოგიკურ-ალგორითმულად დამუშავებულ პროცედურულ საშუალებებს ეყრდნობა თანმედროვე პროგრამულ-ინტელექტუალური სისტემების. დღეს უკვე ინტენსიურად განვითარებად თეორიულ მეცნიერულ მიმართულებად განიხილება თვითგაფართოებად ცოდნით მონაცემთა ბაზებზე და თვითგანახლებად ლოგიკურ-ალგორითმულ პროცედურულ საშუალებებზე დაყრდნობილი ინტელექტუალური ლოგიკურ-პროგრამული სისტემების კონსტრუირებისა და მათი კონკრეტულ პროგრამულ რეალიზაციებთან დაკავშირებული პრობლემები და როდესაც საუბარია ბუნებრივი ენობრივი სისტემების სრული ლოგიკურ-ფორმალურ-ინტელექტუალური მოდელის მოძიებაზე ზემოთ მოკლედ გაშუქებული რეალობის არ გათვალისწინება სამიხნე და სასაფუძველო საყრდენების

გარეშე მოძრაობას ნიშნავს. – ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულად წოდებული, რიგ შემთხვევაში, ლინგვისტიური, და რიგ შემთხვევაში კი იქნება, ექსტრა ლინგვისტიური მოელენა სწორედ ისეთივე ტიპის პრედიკატული ანუ მიმართებითი გაგებაა, როგორც შენობა ჩვენს უკვე გვეყონდა საუბარში. ანუ, ჩვენს ერთეულ მიდგომებით, წინარე ზმნურ სემანტიკური ერთეული, როგორც ენობრივი ნიშანი, მეორადი სემანტიკური წარმოდგენაა და ანალოგიურად მათემატიკური პრედიკატებისა მისი მნიშვნელობა აზრდება იმ სამსჯელო საგნობრივი სახელების მეშვეობით, რომლებიც ამ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით მიმართებაში ყენდებიან. ანუ, ჩვენ ამით ფაქტიურად იმას ვამბობთ, რომ გაგებადობის თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე ენობრივ სისტემებში ზმნური სიტყვების შინაარსები უფრო მაღალ გაგებად საფეხურზე მდგარი გაგებებია, ვიდრე ამავე ენობრივი სიტემის იმ სახელების შინაარსები, რომელთა შესახებაც ეს ზმნური სიტყვები გარკვეულ მსჯელობებს იძლევენ. ზმნური სიტყვის ძირითადი სემანტიკური დანიშნულება არის ის, რომ ისინი გარკვეულ შეტყობინებას იძლევიან ამ ზმნურ სიტყვასთან ლოგიკურად დაკავშირებული სახელებით მოცემული საგნობრივ-აზროვნული შინაარსების შესახებ. ანუ, ზმნური შინაარსის გაგება იმ სახელით მონიშნული რაობის გაუგებრად, რომელზედაც მისით შეტყობინებას ვლებულობთ ლოგიკურ-აზროვნულად ვერ გაიგება და არც შეიძლება იყოს გაგებული, ისევე როგორც არ შეიძლება იქნეს გაგებული ინფორმაცია, ანუ ცოდნა, იმის გარეშე, რის შესახებაც ეს ცოდნა მოგვეცა. – აქედან გამომდინარე, მათემატიკურ ლინგვისტიკაში გატარებული ის თვალსაზრისი, რომ ზნა პრედიკატული ანუ მიმართებითი მოვლენაა არის, არა მათემატიკური ხედვების ენობრივ გარემოში გულბერყვილო ტრანსპლანტირების მექანიკური მცდელობა, არამედ სიღრმისეულად დასაბუთებული და ლოგიკურად გამართლებული ერთადერთი შესაძლო და სწორი ხედვა იმ ურთულესი სემანტიკური მივლენისა, რასაც იგი (ზნა!) წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები, რომლებიც ჩვენთვის სხვადასხვა ზმნური სიტყვა-შინაარსების გაგებათა მომცემი პირველსაწყისი სასაფუძვლო პრედიკატული გაგებებია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მათი გაგება რეალიზდება იმ ცხრილურ-ლოგიკური მონაცემებით, სადაც უკვე საყრდენ სემანტიკურ საფუძვლებად გვექვლინებიან სახელებით გაფორმებული საგნობრივ-აზროვნული რაობები. ამგვარად, თუ დაუბრუნდებით ზემოთ დაყენებულ კითხვას და თუ ზმნური შინაარსების მეორადულობას და მათ ერთგვარ ცხრილურ-მენტალურ რეალიზაციებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ თეორიულადვე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელთა 'სქესის' ან 'სულიერება-უსულობის' მიხედვით დაყოფა-დაშრეგებანი ნაწილობრივ შეიძლება გამართლებულ და ახსნილ იქნას ზემოთ გააზრებული ზმნური სემანტიკების ცხრილური წარმოდგენების მარტივად რეალიზებადობის ინტერესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ირჩევს ერთი ენობრივი სისტემა სახელთა დაყოფა-დაშრეგების ერთ გზას, ხოლო მეორე – მეორეს, ვფიქრობთ, არის ის, რაც ენობრივი სისტემის ეთნო-ფსიქო-ლოგიკურ სფეციფიკებზედ მეტყველებს და ეს ეთნო-ფსიქო-ლოგიკური სფეციფიკები გენეტიკურად თანდაყოლილია თუ წინაგენეტიკურობით ჩადებული არ წარმოადგენს ადვილად პასუხ გასაცემ კითხვას და ბუნებრივია აქ გამოთქმული თვალსაზრისები ამის გათვალისწინებითაც უნდა იქნეს გაგებულნი. – ეხლა დაუბრუნდეთ საგანთა იმ აუცილებელ ზოგად კლასიფიკაციას რის გარეშეც ჩვენ გავეიჭირებდებოდა წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების კლასიფიცირება: წინა მსჯელობებით უკვე გამოიყო

მოქმედების უნართა მქონე საგანთა კლასი ამ უნარის არ მქონე საგანთა კლასისაგან. ქართულ ენობრივ სისტემაში მოქმედების უნარის მქონე საგანთა კლასი არ შეიძლება შევხედოთ ენაში სულიერად გაგებულ საგანთა კლასით, და მით უფრო, არ შეიძლება ამ კლასის დაყვანა საგანთა იმ ერთობლიობაზე, რომელსაც ენაში სიტყვა 'ადამიანი' აღნიშნავს. თუმცა, ქვემოთ, მოუხედავად აღნიშნულსა, ვისარგებლებით იმ დაშვებით, რომ ჩვენთვის მოქმედების უნარის მქონე საგანად ანუ 'მომქმედ პირად' ადამიანი გაიგება მხოლოდ. – ამას გადმოცემათა გამარტივების მიზნით ვაკეთებთ. 'მომქმედი პირის' ცნებასთან ერთად, ჩვენს ლოგიკურ-გრამატიკულ სისტემაში, განიხილება მასთან ბუნებრივი ცნებით-საზრისული განუწყვეტლობით დაკავშირებული 'ქვე-მომქმედი პირისა' და 'ქვე-მომქმედი საგნის' ლოგიკო-გრამატიკული ცნებები. ანუ, ჩვენთვის, თუ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის პირველი ადგილი 'მომქმედი პირის' ადგილია, მაშინ ეს სემანტიკური ერთეული ან ერთადგილიანია და ასეთ შემთხვევაში, ის ერთი ადგილი ამავედროულად 'ქვე-მომქმედი პირის' ადგილიცაა, რაც თავისმხრივ იმასაც ნიშნავს, რომ 'მომქმედი პირი' იმავედროულობაში 'ქვე-მომქმედი პირიცაა', ანდა ორადგილიანია და უკვე ასეთ შემთხვევაში სემანტიკური ერთეულის მეორე ადგილი 'ქვე-მომქმედის ადგილად' იწოდება. ამასთან, რიგ შემთხვევებში ამ ადგილის დეფინიცია შეიძლება დაზუსტდეს ან 'პირის' ან 'საგნის' ატრიბუტით. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 'მომქმედ პირიანი' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული ნებისმიერ შემთხვევაში ორადგილიანი პრედიკატული შინაარსია, რომლის პირველი ადგილი არის 'მომქმედი პირის ადგილი', ხოლო მეორე ადგილი ყოველთვის 'ქვე-მომქმედის' ადგილია. ამასთან, თუ გამომდინარე წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის შინაარსიდან 'ქვე-მომქმედის' ადგილზე შეიძლება გააზრდეს მხოლოდ თავად ეს 'მომქმედი' პირი, მაშინ წინარე სემანტიკური ერთეული ერთადგილიანად გაიგება, და ასეთ შემთხვევაში, ეს წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული რეფლექსურად იწოდება და მას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ისეთი ერთადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, რომლის ერთი ადგილიც ორჯერად ადგილადაა გაგებელი, ანუ რეფლექსური წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ერთი ადგილი ერთდროულად გაიგება, როგორც 'მომქმედი პირის', ისე 'ქვე-მომქმედი პირის' ადგილად. იმ შემთხვევაში კი, თუ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული არ არის რეფლექსური, მაშინ ის გარდამავალ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულად იწოდება და მისი პირველი ადგილი 'მომქმედი პირის' ადგილია, ხოლო მეორე ადგილი 'ქვე-მომქმედის' ადგილად გაიგება. შენიშვნა: ჩვენ ჯერჯერობით ეოზღუდებით მხოლოდ ორადგილიანი მოქმედ პირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებს განვიხილავთ, და გამოეთქვამთ თვალსაზრისს, რომ ძირეულ საფეხურზე სამადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები ენობრივ სისტემაში არ რეალიზდება, თუმცა კი ვთვლით რა, რომ საკითხი ამ მიმართულებით საბოლოო გადაწყვეტამდე არ არის მისული, არ გვინდა გვერდი აუაროთ ალტერნატიული და არა ნაკლებ საფუძვლიანი მოსაზრების მარგუმენტირებელ მაგალითებს: განვიხილოთ ზმნურ-მიმართებითი სიტყვა ფორმა 'ვცელი'. დღეს არსებული კლასიკური თვალსაზრისებით იგი ერთპირიანი და ორ ვალენტისანი ზმნური ფორმაა, და შესაბამისად ამისა, 'ვცელი მე მას' დასრულებულ მარტივ წინადადებად გაიგება, რაც გამომდინარე მისი აქტანტური ზოგადურობიდან დასრულებულად არ მიგვიჩნია. ანუ, ჩვენ ვთვლით, რომ 'ვცელი მე ვაშლს' ისევე დაუსრულებელი შინაარსია, როგორც 'ვწერ მე', რადგან ვთვლით, რომ გაცელის აქტის დასრულებული გააზრებისათვის ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ისიც, რაზეც ის რასაც 'ვცელით' უნდა გაიცვალოს. ანუ, ჩვენ

მივიჩნევთ, რომ 'ვცვლი მე ვაშლს მსხალზე' არის მარტივი და დასრულებული შინაარსი, და ამდენად, მას განუერტობელ სრულ მარტივ წინადადებად მივიჩნევთ, რაც ერთგვარად წინააღმდეგობაშია დღევანდელ კლასიკურ თვალსაზრისებთან. – ამგვარად, შენიშნული ვითარებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ 'ცვლა' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული სამადგილიანი მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია, და იმის გამო, რომ 'ცვლა', სემანტიკური ერთეულის ადგილების ტიპები შესაბამისად არიან N-ი, N-ს და N-ზე ან N-ში, იგი, როგორც სამადგილიანი წინარე ზმნური პრედიკატი, ჩვენთან აღინიშნება 'ცვლა' სიმბოლოთი, და მისი სრული პრედიკატული სახეა 'ცვლა(N-ი, N-ს, N-ზე/N-ში)', რომელსაც 'ცვლა' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ფორმალურ-მათემატიკურ ლოგიკო-ლინგვისტურ სახეს ვუწოდებთ. ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ან ეს მიდგომები უნდა იქნეს უარყოფილი, ან ამ მიდგომების გათვალისწინებით გადასინჯულ უნდა იქნეს მთელი რიგი კლასიკური ენათმეცნიერული თვალსაზრისები, და მათ შორის, ვფიქრობთ სახეზეა საჭიროება მარტივი განუერტობელი წინადადების ცნების დაზუსტებისაც. განვიხილოთ კიდევ ერთი ნიუანსი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით: ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ 'მიცემა' შეიძლება განსხილულ იქნეს როგორც სამადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, და, რადგანაც, მისგან წარმოებული ისეთი უმარტივესი ზმნური ფორმა, როგორცაა 'აძლევს' სინტაქსურად შეირწყამს N-ი, N-ს, და N-ს ტიპის სახელებს, ჩვენ ამ სემანტიკური ერთეულის ფორმალურ-მათემატიკურ ლოგიკო-ლინგვისტურ სახედ მივიჩნევთ მიცემა(N-ი, N-ს, N-ს) გამოსახელებას. ესეა იმის თაობაზე, თუ რა პრინციპულად განსხვავებული ლინგვისტური ყოფაცემები შეინიშნება მიცემა(N-ი, N-ს, N-ს) და ცვლა(N-ი, N-ს, N-ზე/N-ში) სემანტიკურ ერთეულებში: განვიხილოთ 'ვცვლი' და 'ვაძლევ' ზმნური ფორმები. მორფოლოგიურად 'ვცვლი' ზმნის შემთხვევაში გამოიყოფა მხოლოდ 'ვ' პირის ნიშანი, მაშინ როდესაც 'ვაძლევ' ზმნაში გვაქვს 'ვ' პირის ნიშანი და 'ა' ფსევდო საარეისო ქცევის მაწარმოებელი მაქცევიარი, რომელიც ჩვენს გრამატიკულ სისტემაში გაიგება არაობლივატორული პირის ნიშნად, რომელიც ამავედროულობაში გვანიშნებს ზმნური ფორმის ინტეგრალურობაზე, ანუ იმაზე, რომ იგი როგორც ზმნური ფორმა და ზმნური შინაარსი განსაზღვრებადია წინა გაგებად საფეხურზე მდგარი, და აქედან გამომდინარე, უფრო მარტივი გაგების ზმნური ფორმა-შინაარსებით. 'ა'-ს ფსევდო საარეისო ქცევის ნიშნობა დასტურდება იმითაც, რომ ენობრივ სისტემაში ენობრივად ვერ გატარდენ ფორმები 'ვუძლევ' და 'ვიძლევ', რაც საბოლოო ჯამში ლოგიკურად კითხვების 'ა'-ს ფუძისეულ ხმოვანდ გამოცხადებისაკენ, არადა, რომ არა ამგვარი ვითარებები, შეიძლებოდა გვემოქმა ქართული ენობრივი სისტემის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად იმის გამოცხადებაზე, რომ მისი არცერთი საუღლებელი ფუძე ხმოვანზე არ იწყება. – ეს თეზა დღევანდელი მონაცემებით ვერ დასტურდება, მიუხედავად ამისა, საჭიროდ მივიჩნევთ ამ მიმართულებით სიღრმისეული მეცნიერული კვლევის წარმოებას, თუმცა ამჯერად ეს ჩვენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. ესეა დაუბრუნდეთ 'ვცვლი' ზმნურ ფორმას, რომელიც ჩვენთვის ერთპირიანი და სამადგილიანი ზმნური სემანტიკაა და განვიხილოთ მისი ინტეგრალიზაციით მიღებული ზმნური სიტყვა-ფორმები 'ვუცვლი' და 'ვიცვლი'. 'უ' ინტეგრატორმა სამადგილიანი ზმნური სემანტიკა 'ვცვლი მე N-ს N-ზე(ან N-ში)' გადაიყვანა ოთხადგილიან ზმნურ სემანტიკაში 'ვუცვლი მე N-ს N-ს N-ში(ან N-ზე)'. ამგვარად, 'უ' ინტეგრატორმა გამოიკეთა რა ახალი N-ს ტიპის ინტეგრირებული ადგილი, ამავედროულად 'ვცვლი' ზმნური ფორმიდან ინტეგრალური დერივაციით მიღებულ 'ვუცვლი' ზმნურ ფორმაში

ახალი N-ს ტიპის პირი განგვისაზღვრა, და ამდენად, ჩვენთვის იგი ოთხადგილიანი ინტეგრირებული ზმნური სემანტიკაა. კიდევ ერთი ნიუანსი: ჩვენს გრამატიკულ სისტემაში, როგორც უკვე აღინიშნა, 'ეცვლი' სამადგილიანი ზმნური სიტყვა-ფორმაა. ამასთანავე, დერივატივულად მისი გაგებითი შინაარსი მიიღება 'ცვლან(N-ი, N-ს, N-ზე/N-ში)' სემანტიკური ერთეულიდან 'ე' წარმოშობქმევის პირდაპირი ოპერირებით. 'ე' დერივატორები, ჩვენ ზოგჯერ, პირველი პირის ჩამრთველსაც უწოდებთ ხოლმე. 'ე' ტიპის დერივატორები, ანუ 'ე' ტიპის პირდაპირი ჩამრთველები, ანუ 'ე' ტიპის პირდაპირი ჩასმის ფორმალური ოპერატორები მოქმედებენ რა უშუალოდ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებით მოცემულ ზოგად ზმნურ-პრედიკატულ გაგებებზე პირთა გასწვრივ პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური ჩასმითი განკერძოებით იძლევიან ჩვენს მიერ მარტივი გაგების მქონედ წოდებულ ზმნურ ფორმებსა და სემანტიკებს. ამგვარად, 'ეცვლი' არის 'ცვლან(N-ი, N-ს, N-ზე/N-ში)' სემანტიკური ერთეულით განსაზღვრული ზოგადი ზმნურ-პრედიკატული გაგების ის დაკონკრეტება, რომლის დროსაც ხდება პირველი N-ი ტიპის ადგილზე 'მე'-თი მონიშნული პირველი ენობრივი პირის ჩასმა ანუ ჩართვა. 'ცვლი', შესაბამისად 'ცვლის' ზმნური ფორმები, რომლებიც 'ეცვლი' ზმნური ფორმის უღლებით ვარიანტებს წარმოადგენენ, ასევე მარტივი გაგების ზმნური სემანტიკებია და მათი გაგებაც, ანალოგიურად 'ეცვლი' ზმნური ფორმის გაგებისა, მიღებულია ამომავალი ზმნურ-სემანტიკური ერთეულის პირთა გასწვრივ პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური ჩასმითი განკერძოებით. ამდენად, 'ცვლან(N-ი, N-ს, N-ზე/N-ში)' სემანტიკური ერთეულის პირველ N-ი ტიპის ადგილს ჩასასმელ ანუ უღლებად ადგილს უწოდებთ, რაც უკვე პირდაპირობის წესით გადმოდის 'ეცვლი', 'ცვლი' და 'ცვლის' ზმნური ფორმებისათვის იგივე დეფინირებით. ესეა განვიხილოთ 'ტცვლი', 'მცვლი', 'მცვლის' და 'ტცვლის' ზმნური ფორმები. ერთი მიდგომით ამ ზმნური ფორმების სემანტიკური გაგებები მიიღება ორი პირის გასწვრივ ერთდროული პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური ჩასმითი ოპერაციით, რაც თავისმხრივ იმასაც ნიშნავს, რომ 'ცვლან(N-ი, N-ს, N-ზე/N-ში)' სემანტიკური ერთეულის მეორე N-ს ადგილიც ჩასანაცვლებელი ანუ უღლებადი ადგილია. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის 'ცვლან(N-ი, N-ს, N-ზე/N-ში)' ორ უღლებად ადგილიანი ანუ ორ ჩასანაცვლებელ ადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია. ამგვარად, ჩვენთვის, 'ეცვლი' ორ უღლებად ადგილიანი ზმნური ფორმაა და 'ცვლი', 'ცვლის', 'ტცვლი', 'მცვლი', 'მცვლის' და 'ტცვლის' მისი უბრალო უღლებადი ვარიანტებია. უბრალო უღლებად ვარიანტის ცნებას ჩვენ გვერდით ვუყენებთ განზოგადებულპირიანს უღლებადი ვარიანტის ცნებას და მკითხველისთვის რომ გასაგები იყოს რას ვეულისხმობთ, ვიტყვით მხოლოდ შემდეგ: ჩვენთვის აქტიური ანუ მოქმედი პირის პასივიზაცია მის განზოგადებულ საუღლებელ პირად წარმოჩენას ნიშნავს და აქედან გამომდინარე 'ვიცვლები', 'იცვლები' და 'იცვლება' ზმნური ფორმები, რომლებიც შანიძის მიხედვით ზემოთ მოცემული მოქმედებითი გეარის ზმნური ფორმების ენებითი გეარის ფორმებს წარმოადგენენ, ჩვენთან მიღებულია 'ეცვლი', 'ცვლი', 'ცვლის', 'ტცვლი', 'მცვლი', 'მცვლის' და 'ტცვლის' ორ უღლებად ადგილიანი ზმნური ფორმების მოქმედი პირის განზოგადებულ ენობრივ პირად წარმოჩენით. კერძოდ, ჩვენთან, 'ეცვლი', 'ცვლი' და 'ცვლის' (კერძოდ) მოქმედპირიანი ზმნური ფორმების მოქმედი პირის განზოგადებულ მოქმედ პირად წარმოჩენით მიიღება 'იცვლება' ზმნური ფორმა, 'მცვლი' და 'მცვლის' ზმნური ფორმების მოქმედი პირის განზოგადებულ მოქმედ პირად წარმოჩენით მიიღება 'ვიცვლები' ზმნური ფორმა, ხოლო 'ტცვლი' და 'ტცვლის' ზმნური ფორმები ანალოგიურად უკვე აღწერილისა იძლევა განზოგადებულ მოქმედ პირიან ზმნურ

ფორმას 'იცვლები'. მეგარად, ჩვენთვის 'ვეელი' 'ცელი', 'ცელი', 'გველი', 'მველი', 'მველის'. 'გველის', 'ვიცვლები', 'იცვლები' და 'იცვლება' ერთიდაიგივე ორ უღლებად აღგლიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით განსაზღვრული სრული უღლებადი მწკრივი, ისინი ჩვენთვის ერთგვარი ზმნური სემანტიკებია, რადგანაც მათ მიერ აღწერილი სურათები სამეაროსეულად თითქმის არ განსხვავებიან ერთმანეთისაგან, თუმცა კი ენობრივად განსხვავებულ მსჯელობებს იძლევიან. ამგვარად, ერთიდაიგივე ორუღლებადღგლიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული 'ცვლ(ა)(N-ი, N-ს, N-ზე)(N-ში)' იძლევა სემანტიკურად ერთგვარ და ფორმით განსხვავებულ ათ ზმნურ სიტყვა-ფორმას, რომელთაგან პირველი შვიდი 'ეგრძო მომქმედ პირიან' ფორმას, ხოლო ბოლო სამი 'განზოგადებულ მომქმედპირიან ფორმას' წარმოადგენს. ეხლა ენახოთ 'ვეელი' ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა ფორმა: როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი ორპირიანი და ოთხადგილიანი ზმნურ-პრედიკატული სემანტიკაა, და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის, გამოსახულება 'ვეელი მე N-ს, N-ს, N-ში' არის ამ ზმნური სიტყვით განსაზღვრული მარტივი (ე.ი. სრული და განუერცობელი) წინადადების უზოგადესი ფორმა. 'ვეელი', მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით 'ვეელი' ზმნურ-პრედიკატული ფორმისგან, ოთხადგილიანი ზმნურ-პრედიკატული ფორმაა, იგიც, ისევე როგორც იგივე 'ვეელი' ორუღლებადღგლიანი ზმნური პრედიკატივია. ამასთან, აქაც, ერთი ადგილი, ეგრძოდ კი პირველი ადგილი, მომქმედი პირის ადგილია. ამდენად, 'ვეელი', 'უცელი', 'უცელის', 'გიცელი', 'მიცელი', 'მიცელის' და 'გიცელის' – ეს შვიდი ზმნური ფორმა არის ერთიდაიგივე ორუღლებადღგლიანი მომქმედპირიანი ზმნური ფორმები. იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება მომქმედი პირის განზოგადებულ მომქმედ პირად წარმოჩენა, რაც თეორიულად გამომდინარე კონკრეტული ზმნურ-სემანტიკური ერთეულის ძირეულ ნიშნობრივი სვეციფიკიდან გამორიცხვით არ არის, განაპირობებს იმას, რომ ასეთ სპეციფიურ შემთხვევაში უღლებად სისტემაში განსაზღვრული შვიდივე უღლებადი ფორმა მოქმედებითი გვარის ზმნური-ფორმაა, თანაც ისეთი, რომ მათ ენობრივად არ მოეძებნებათ ვნებითი გვარის ფორმები. – ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვამბობთ, რომ ამგვარად განსაზღვრული შვიდეული იძლევა არასრულ უღლებად სისტემას, ეგრძოდ კი ისეთ უღლებად სისტემას, რომელშიც ვერ კეთდება განზოგადებულმომქმედპირიანი უღლებადი ფორმები, რის გამოდაც სწორედ, ამგვარ მომქმედ პირიან ზმნურ ფორმებს ნაკლულ ზმნურ ფორმებს უწოდებთ, და შესაბამისად, ნაკლული ზმნური ფორმებით განსაზღვრულ შვიდეურევიან უღლებით მწკრივს ჩვენთან ნაკლული უღლებითი მწკრივი ეწოდება. ამგვარად, ორუღლებადღგლიანი მომქმედპირიანი ზმნური სიტყვა-ფორმით განისაზღვრება ან სრული ან ნაკლული უღლებითი მწკრივი იმის და მიხედვით ნაკლულია თუ სრული განსახილველი ორუღლებადღგლიანი ზმნური სიტყვა-ფორმა. დაესვათ კითხვა: არის თუ არა 'ველები', 'ველები' და 'ვეცვლები' ზმნური სიტყვა ფორმები შესაბამისად 'ვეელი', 'უცელი', 'უცელის', 'მიცელი', 'გიცელი', 'მიცელის' და 'გიცელის' ზმნური ფორმების განზოგადებულმომქმედპირიანი ფორმა? – ანუ, პირველი: არის თუ არა 'ველები' 'ვეელი', 'უცელი' და 'უცელის' ზმნური ფორმების პასივიზაციით მიღებული ფორმა? მეორე: არის თუ არა 'ვეცვლები' 'მიცელი' და 'მიცელის' ზმნური ფორმების პასივიზაციით მიღებული ზმნური ფორმა? მესამე: არის თუ არა 'გეცვლები' 'გიცელი' და 'გიცელის' ზმნური ფორმების პასივიზაციით მიღებული ზმნური ფორმა? მეოთხე: რისი პასივიზაციით მიიღება ზმნური ფორმები 'ველები', 'ვეცვლები', 'მიცვლები' და 'გიცვლები'? მეხუთე: 'ველები', 'ვეცვლები', 'მიცვლები', 'გიცვლები',

მეცვლები', 'გაცვლება', 'გაცვლები' შვიდეული ხომ არ წარმოადგენს პასივიზაციით მიღებულ ორულდებადადგილიან ნაკლულ მწკრივს, და ამავდროულად, ხომ არ არის იგი ასევე პასივიზაციით მიღებული ერთულდებადადგილიანი 'იცვლება', 'იცვლები' თავისებური და მათომეტიკურად მეტად საინტერესო სისტემა იშლება ქართულში მასში განვითარებული ზმნის მდიდარი მორფო-დერივაციული საშუალებებით. - ჩვენ ამჯერად აქ დასმულ კითხვებზე პასუხს თავს ავარიდებთ და მსჯელობას ჩვენი გრამატიკული სისტემის კიდევ რამოდენიმე საყრდენ-სასაფუძვლო ნიუანსის წარმოჩენით გვაგარძელებთ, მანამდე კი ვიტყვით, რომ ინდოევროპული გეარის ენობრივი კატეგორიის იმგვარი ტრანსპლანტირება ქართულში, როგორც ამას შინაინსეული სისტემა გვთავაზობს ზოგადი ლინგვისტურ-ლოგიკური თანდასაზრისების გათვალისწინებით არ იძლევა ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი მიდგომების განვითარების საშუალებას. გეარის ზოგადი ლინგვისტური კატეგორიის გაგებადობის თეორიის ძირეულ პრინციპებზე დამყარებული და ლოგიკო-ლინგვისტურად გამართლებული მორგება ქართულ ენობრივ სისტემაზე მეტად რთული და საინტერესო ლოგიკო-ლინგვისტური ამოცანა, და როგორც უკვე ჩანს, ამ მიმართულებით მოძრაობა ჩვენ საშუალებას მოგვცემს ქართული ენის სიღრმისეულ სპეციფიურობების ვიზუალურად ცხადი და დასაბუთებული წარმოჩენების გაკეთებისა. - ეხლა ძალიან მოკლედ შევაჯამებთ იმ ძირეულ თავისებურებებს რაც უკვე გამოიკვეთა: ქართულში ზმნური სიტყვა-ფორმა შეიძლება იყოს ან ერთულდებადადგილიანი ან ორულდებადადგილიანი, მაშინ როდესაც ინდოევროპული ტიპის ენებში ორულდებადადგილიანი ზმნური სიტყვა-ფორმები არ შეიძინევა. ამასთან, ქართულში მომქმედპირიანი ზმნური სიტყვა-ფორმის მომქმედი პირის ადგილის განზოგადებული მომქმედი პირით ჩანაცვლება(დაკომპლექტება) ხორციელდება მორფო-ნიშნობრივი საშუალებებით და ამგვარი დერივაცია იძლევა იგივე ძირეული შინაარსის გეარით განსხვავებულ ფორმას. ამგვარად, გეარის ზოგადი ენობრივი კატეგორია ქართულში ისახება კერძო პირიანი საულლებელი ადგილის განზოგადებულ პირიანი უულლებელი ადგილით ჩანაცვლებაში, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს ზოგადი სამყაროსეული შინაარსის შენარჩუნებას და მეორესმხრივ ენობრივად იგივე შინაარსს სხვაგვარი ზმნური ფორმით აფორმებს. - დაეუბრუნდეთ ადრე უკვე მოტანილ მაგალითს, ერთი, თეორიულად აქ უკვე მონიშნული, თავისებურების საჩვენებლად: განვიხილოთ ზმნური სიტყვა ფორმა 'ვაძლევ'. იგი ორულდებადადგილიანი ზმნური სიტყვა ფორმაა და მისი კერძო მომქმედპირიანი ულდებადი მწკრივი შესდგება შემდეგი შეიდი ზმნური სიტყვა-ფორმისგან: 'ვაძლევ', 'გაძლევ', 'აძლევ', 'მაძლევ', 'აძლევს', 'მაძლევს', 'გაძლევს'. ეხლა განვიხილოთ 'ვიძლევ', 'იძლევ' და 'იძლევა' ზმნური სიტყვა-ფორმები. ისინი ერთულდებადადგილიანი მომქმედპირიანი ზმნური სიტყვა-ფორმებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის რომ ისინი გეარით კავშირში არიან 'ვაძლევ', 'გაძლევ', 'აძლევ', 'მაძლევ', 'აძლევს', 'მაძლევს', 'გაძლევს' ულლებით მწკრივთან ცხადია. - რაგვარ ლოგიკო-ლინგვისტურ მოვლენასთან გვაქვს აქ საქმე? - მცირე შინაარსული ანალიზია საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ მიცემამ(N-ი, N-ს, N-ს) სემანტიკური ერთეულით განსაზღვრული 'ვაძლევ' ზმნური სიტყვა-ფორმის ულლებით მწკრივიში მეორე საულლებელი ადგილის განზოგადებით ჩვენ ელბულობთ იგივე მიცემამ(N-ი, N-ს, N-ს) სემანტიკური ერთეულით განსაზღვრულ და გაგებად ულლებით მწკრივს 'ვიძლევ', 'იძლევ', 'იძლევა'. რაც შეეხება ორულდებადადგილიან შეიღწევიან ულლებით

მწკრივს 'ვეძლევი', 'გვიძლევი', 'ეძლევი', 'შეძლევი', 'ეძლევა', 'შეძლევა', 'გვიძლევა' აქაც მცირე ლოგიკურ-სემანტიკური ანალიზია საჭირო იმის დასადასტურებლად, რომ ეს მწკრივიც მიცმამ(N-ი, N-ს) სემანტიკური ერთეულით გაგებანი და მიღებული მწკრივია იმ ენობრივ-ლოგიკურად დაშვებული შესაძლებლობით რასაც 'მიცმამ' სემანტიკური ერთეულის პირველი მომქმედი პირის ენობრივად განზოგადებულ პირად წარმოიქმნა წარმოადგენს. ამ მცირე ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი მიცმამ(N-ი, N-ს, N-ს) წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულიდან დერივაციულად აიგება და სემანტიკურად გაიგება ჩვიდმეტი განსხვავებული ზმნური სიტყვა-ფორმა, რომელთაგან ათი მომქმედპირიანი ფორმებია, ხოლო შვიდი კი უმომქმედპირიანი ფორმაა. – განვიხილოთ კიდევ ორი მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული: წმრ(N-ი, N-ს) და ცმმ(N-ი, N-ს). გამომდინარე წმრ(N-ი, N-ს) ერთეულის სემანტიკიდან იგი ერთუღლებადადგილიანი სემანტიკური ერთეულია. ამიტომ ამ სემანტიკური ერთეულით განსაზღვრული მომქმედპირიანი უღლებითი მწკრივი შესდგება შემდეგი სამი წვერისაგან: 'ეწერ', 'წერ', 'წერს', რომელთა პასიუიზაციით, ანუ მომქმედი პირის განზოგადებით, რაც აგრეთვე მომქმედი პირის ენობრივ დამალვადაც შეიძლება იქნეს გაგებული მიიღება 'იწერება' ზმნური სიტყვა-ფორმა, რომელიც ენობრივად პოლისემიურია. ვგულისხმობთ იმას, რომ 'ნინო იწერება' ფრაზის შემთხვევაში 'იწერება' არ ნიშნავს იმას, რასაც იგი გულისხმობს ფრაზაში 'წიგნი იწერება'. ამგვარად, ერთუღლებადადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულისას გამომდინარე გაგებადობის თეორიის უძირეულესი პრინციპებიდან ვასკენით, რომ სრული უღლებითი მწკრივი ოთხი წვერისგან შესდგება, რომელთაგან მხოლოდ ერთია ენებითი გვარის, ხოლო დანარჩენი სამი მომქმედპირიანი მოქმედებითი გვარის ფორმებია. ცმმ(N-ი, N-ს) წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული განსხვავებით წმრ(N-ი, N-ს) სემანტიკური ერთეულისგან ორუღლებადადგილიანი სემანტიკური ერთეულია, რისი ძირითადი მიზნაც არის ის, რომ ქვე-მომქმედის ადგილზე პირის გააზრება შინაარსულად დაშვებულია. ამიტომ, ცმმ(N-ი, N-ს) სემანტიკური ერთეულით განსაზღვრული მომქმედპირიანი უღლებადი მწკრივი შემდეგი შვიდი წვერისაგან შესდგება: 'ეცემ', 'გცემ', 'ცემ', 'მცემ', 'ცემს', 'მცემს', 'გცემს', მაშინ როდესაც, 'მწერ', 'გწერ', 'მწერს', 'გწერს' ზმნურ ფორმებში 'მ' და 'გ' პირის ნიშნებად ცნობილი მორფო-ოპერატორები ინტეგრატორებია. – ამ მაგალითით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართულ ენაში ზმნასთან დაკავშირებული მორფო-ნიშნითა სისტემური ყოფაცქვეა არსებითად ისაზღვრება სასაფუძველ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ძირეულ ნიშნობრივი სპეციფიკურობით განსაზღვრული ლოგიკურ-ენობრივი შესაძლებლობათა ველით. – ცალკე კვლევის საგანია ქართულში ინტეგრალური მომქმედპირიანი ზმნური ფორმებისა და გვარის ურთიერთმიმართების საკითხი, რომელსაც ჩვენ ამჯერად არ შევეხებით და გადავალთ არამომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების განხილვაზე. – ქართულ ენობრივ სისტემაში, და ცხადია საზოგადოდაც, მომქმედი შეიძლება იყოს მხოლოდ პირი, ხოლო ქვე-მომქმედი შეიძლება იყოს პირიც და საგანიც, მაგრამ თუ სისტემაში, ჩვენ გვექნება მხოლოდ მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები, მაშინ ვერაფრით ვერ ჩამოვაყალიბებთ მკაფიო აზრს საგნის თაობაზე მომქმედი პირის გარეშე. სხვაგვარად იგივე რჩენეთი შემდეგს ნიშნავს: იმ სამყაროს აღსაწერად სადაც მხოლოდ საგნებია ჩვენ არ ვეჭვობდებით მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები. ისეთ სემანტიკურ ერთეულებს, რომლებიც გამომდინარე მათი ძირეული სემანტიკიდან მომქმედი პირის გაგებას არ იძლევიან და რომლებიც ახასიათებენ

საგნებს ან მათ დროით-სივრცულ მდებარეობაში ან მათ დროით-სივრცულ ძრობაში ან მათ დროით-სივრცულ უძრობაში საგნობრივ პირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს ეუწოდებთ. ჩვენ ფიქრობთ, რომ 'ჟ'ონა' როგორც წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, რომელიც თითქმის მთელ ენობრივ სისტემას წვდება გაგებადობის თეორიის მიხედვით მისთვის დამახასიათებელი ტრივიალური სემანტიკური მნიშვნელობის შეუცვლელად და შენარჩუნებით, საგნობრივპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია. ანუ, ჩვენ არ ფიქრობთ, რომ ენობრივ გამოსახულებებში 'მე ვარ', 'შენ ხარ' და 'ის არის' ნაცვალსახელით გატარებული პირი გაიგება როგორც მომქმედი პირი. პირიქით, ჩვენთვის ასეთ მსჯელობებში გააზრებული პირი, ზოგადი თვალსაზრისებით, გაგებით საფეხურზე გამოცდილია სულიერ პირით შინაარსებიდან, რითაც იგი იგივე გაგებით საფეხურზე საგნობრივ რაობასთან იგივედება. ამგვარად, ჩვენ ერთმანეთისაგან ვარჩევთ რა პირისა და საგნის ცნებებს, პირს მომქმედუნარიანად, ხოლო საგნს მომქმედუნაროდ გვეუბნებით. წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ადგილს პირისა და საგნის გასწვრივ სემანტიკურად ინვარიანტულ ადგილს ეუწოდებთ, თუ ეს ადგილი დებულობს, როგორც პირის, ისე საგნის გააზრების შესაძლებლობას. თუ სემანტიკური ერთეულის ადგილი, გამომდინარე ამ სემანტიკური ერთეულის ვიწრო ნიშნობრივი სემანტიკიდან იძლევა მხოლოდ პირის, შესაბამისად მხოლოდ საგნის, გააზრების საშუალებას. მაშინ ასეთი სემანტიკური ერთეულის ასეთ ადგილს პირით, შესაბამისად საგნობრივ, ადგილს ეუწოდებთ. ისეთი სემანტიკური ერთეულის ისეთ ადგილს, რომელიც პირისა და საგნის გასწვრივ სემანტიკურად ინვარიანტულია საგნობრივ-პირით ადგილს ეუწოდებთ. უხლა უკვე ცხადია, რომ მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის მომქმედი პირის ადგილი პირის ადგილია. ლინგვისტურად ეს იმას ნიშნავს, რომ 'კაცი აშენებს' და 'აგური აშენებს' ტიპის ენობრივ ფრაზებში 'აშენებს' არსებითად განსხვავებულ გაგებებს იძლევიან, რისი მიზეზიც რა თქმა უნდა არის ის, რომ "შენება" მომქმედ პირიანი სემანტიკური ერთეულის მომქმედი პირის ადგილი მომქმედი პირის გაგებით არ დებულობს საგანს. რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთ ნაწილობრივ განხილულ 'ჟ'ონა' წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს, რომელიც ჩვენ ფიქრობთ, უფრო სწორი დეფინიციით 'რ(ა)' გამოსახულებით უნდა აღინიშნოს, წარმოადგენს რა უმომქმედპირიანი წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს არა არსებითად განსხვავებს ერთმანეთისაგან 'კაცი არის' და 'აგური არის' ენობრივი ფორმებით მოცემულ შინაარსებს. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე 'კაცი გორავს' და 'ქვა გორავს' ენობრივი სემანტიკების შემთხვევაშიც, რასაც, ჩვენ ფიქრობთ, ემიზეზება ის, რომ 'გორვა' არამომქმედპირიანი ანუ საგნობრივპირიანი სემანტიკური ერთეულია. – ამგვარად, ჩვენ გამომდინარე ბუნებრივი ქართული ენის სიღრმისეული მსოფლხედვიდან უკვე ერთმანეთისაგან გამოყვავით ორი ძირითადი კლასი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებისა, რომელთაგან პირველს მომქმედპირიანი, ხოლო მეორეს საგნობრივპირიანი წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს ეუწოდებთ. – ისეთი სამყაროში, რომელშიც ჩვენ მხოლოდ უსულოდ ხსენებდნენ ანუ საგნებს განვარჩევთ აზრების ჩამოსაყალიბებლად და მსჯელობების გასაფორმებლად არამარტო არ გვჭირდება არამედ არც გამოგვადგება მომქმედპირიანი ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები! – ეს ჩვენეული ხედვების გასაგებად უძირეულესად სასაყრდენე თვალთხედვაა. – სამყაროში სადაც მხოლოდ მომქმედუნარო საგნებს განვარჩევთ, გამომდინარე ასეთი სამყაროს ბუნებრივი თავისებურებებიდან ლოლიკურად და ზოგადა-ზროვნულად გამართული აზრების ჩამოყალიბებას მხოლოდ

საგნობრივიპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების მეშვეობით შეეძლება. – ეს ცხადია. ისევე როგორც, ცხადია ის, რომ ჩვენს ბუნებრივ სამყაროში, რომელიც შესდგება სულიერი ანუ მომქმედუნარიანი და უსულიო ანუ მომქმედუნარო საგნებისაგან, რომ არა საგნობრივიპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები ვერაფრით შეეძლებდით იმგვარი აზროვნებითი ხატის შექმნას, როდესაც რაღაცა კი არ კეთდება არამედ ხდება. ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ ქართულ ენობრივ-აზროვნებით ეელში ბუნებრივად განიყოფიან ერთმანეთისაგან 'რა კეთდება?' და 'რა ხდება?' კითხვებით გააზრებადი და პრინციპულად განსხვავებული ზმნური შინაარსები, რომელთაგან პირველი ძირეულ საფეხურზე აუცილებლობის წესით გულისხმობს 'ეკრძო' ან 'განზოგადებული' 'მკეთებელი' პირის არსებობას, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში ასევე აუცილებლობის წესით 'არანაირიგვარი მკეთებელი' არ იგულისხმება. – ჩვენ ვამბობთ 'რა ხდება?'-ს მაშინ, როცა ხდება რაღაც მასთან მიზნობრივად მიბმული 'მომქმედი' ანუ 'მკეთებელი' პირის გარეშე, და ამდენად, და აქედან გამომდინარე, ერთგვარი თავისთავადობით. ამგვარად, ჩვენ რომ არ გექონდეს მენტალურად გააზრებული, ანუ რომ არ გექონდეს გონებაში ფორმალურად დაშვებული ისეთი ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, რომლითაც მისი მთავარი სამსჯელო საგანი გონებით ლოლიკურ-აზროვნებით სიერცეში ისაზღვრება მასთან განუწყვეტლობით მიბმული მომქმედი პირის გარეშე, მაშინ ჩვენ არც 'ხდება' ტიპის ზმნური შინაარსები გექქნებოდა და ნებისმიერი ამგვარი (ე.ი. ზმნური შინაარსი!) ძირეულად 'კეთება' ტიპის იქნებოდა. – ამგვარად, პირველი: ჩვენ დასაბუთებულად ვთვით ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში ჩვენს მიერ ეგრეთწოდებული 'საგნობრივიპირიანი' ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის არსებობას და გამოთქეამთ თვალსაზრისს, რომ 'ყოფნა' შინაარსის სახით იგი ნებისმიერ ენობრივ სისტემაში არსებობს. – აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი თვალსაზრისებით ამ ტიპის სამსჯელო საგანზე ქართულ ენობრივ სისტემაში ჩვენს მიერ 'ე-ვარ' ტიპის პირის ნიშნად წოდებული პირის ნიშანი გვანიშნებს. მეორე: ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის საფუძველზე მიმდინარე გონებით-სამსჯელო საგანთა ზოგადი კლასიფიცირების მიმართულებით ჩვენ უკვე გამოვეყვით სამსჯელო საგანთა ორი, პრინციპულად განსხვავებული ტიპი, რომელთაგან ერთს მომქმედუნარიანს ანუ პირს, ხოლო მეორეს, მომქმედუნაროს ანუ საგანს ეუწოდებთ. შესაბამისად ამისა, ჩვენს ენობრივ-გრამატიკულ სისტემაში ერთმანეთისაგან განვარჩევთ 'მომქმედი პირის', 'მომქმედი საგნის', 'საგნობრივი პირის' და 'საგნობრივი საგნის' ძირეულ ცნებებს. ამასთან, ბუნებრივად განისაზღვრა წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა ორი კლასი რომელთაგან ერთს მომქმედპირიან, ხოლო მეორეს საგნობრივიპირიან, სემანტიკურ ერთეულებს ეუწოდეთ. ქართული ენობრივი სისტემა გეობიძებებს კიდევ ერთი ზოგადი ტიპის სამსჯელო საგანთა განსაზღვრისაკენ, და შესაბამისად, კიდევ ერთი სემანტიკური ერთეულთა კლასის გამოყოფისკენ. ეს არის მდგომარეობის პირიანი წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა კლასი, მაგრამ სანამ ამ ტიპის სემანტიკური ერთეულებების თაობაზე გვექნება საუბარი, ცოტა უფრო დეტალურად შევეხებით საგნობრივიპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით განსაზღვრებად და გაგებად ზმნურ სიტყვა-ფორმათა რიგ თავისებურებებს ქართულ ენობრივ სისტემაში: ასეთი ტიპის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები ენაში არა მრავალრიცხოვანია. მათგან ერთი ნაწილი უშუალოდ ბუნებრივად წოდებული მოვლენების ამსახველი შინაარსებია. ამ ტიპის ზმნურ შინაარსებს ჩვენ ადრეც შევეხეთ. მათი თავისებურება განსაკუთრებით იმით გამოიხატება, რომ მათთან ძნელია იმ

სამსჯელო საგნობრიობის დანახვა, რომელთა გაგებადობის თვალსაზრისებიდან გამომდინარე უწინარესობაზე ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი. სხვათა შორის, ის რომ ამ ტიპის წინარე ზმნური სემანტიკები და მათგან ნაწარმოები ზმნური შინაარსები საზოგადოდ არაიმგავარ დამოკიდებულებაში იმყოფებიან მათთან სამსჯელოდ მიბმულ სახელებთან და საგნებთან, როგორც ამას ჰქონდა ადგილი უკვე განხილული მოქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულისა და მათგან ნაწარმოები ზმნური შინაარსების შემთხვევაში, კიდევ ერთი მკაფიო დასტურია ამ კლასის ცალკე მდგომობისა. ცხადია, რომ თუ მოქმედპირიანი წინარე ზმნური ერთეულის სემანტიკას უშუალოდ თავად მისი მოქმედი პირი ჰქმნის, რომელიმე თავად მისივე მოქმედებითი უნარ-თვისობრიობით, საგნობრივი პირი იგივე ყოფაცქვეით საგნობრივიპირიანი ზმნური სემანტიკის მიზეზ-მხორციელებლად ვერც აღიქმება და ვერც გაიგება. ასე მაგალითად, 'ვარ', 'ხარ', 'არის' საგნობრივიპირიანი ზმნური სემანტიკები და მათი საერთო საგნობრივიპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური წინაპარი 'რ(მ)', როგორც გარკვეული ლოლიკურ-აზროვნებითი იდეა, გაიგება არა საგნობრივი პირის რომელიმე მოქმედებითი უნარით, რაგვარსაც ტერმინი 'საგნობრივი პირი' და მისი ცნებითი გააზრება ბუნებრივადვე გამოირიცხავს, არამედ იმ საერთო ფიზიკო-მენტალური ბუნებრიობით, რასაც დროში და სივრცეში ყოელისმომცველი 'არსებობის' ანუ 'ყოფნის' არა პიროვნულად ან საგნობრივად განყოფილი და განკერძოებული შინაარსი გულისხმობს. სხვაგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ საგნობრივიპირიანი წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებში მთავარი საპირისინე სამსჯელო ადგილი თითქმის აბსოლუტური ერთფაფეობითი ლებულობის 'ეინ' და 'რა' ტიპის შინაარსებს, რამდენადაც იგი მისი ამ ლოგიკურად მთავარი სამსჯელო ადგილით არ არჩევს და არ ეყრდნობა 'ეინ' ტიპის პირის 'ეინობით' განსაკუთრებულობებს, რითაც და რის გამოც სწორედ ამ ტიპის სემანტიკურ ერთეულებში იკვეთება და ყალიბდება 'სულიერი პირის' კერძო და განზოგადებული 'უსულო პირითი' საგნობრივი გაგება. – ამიტომაც იყო, რომ ამ ტიპის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს ჩვენ საგნობრივიპირიანი ეუწოდეთ. – ის, რომ 'კაცი აშენებს' და 'აგური აშენებს' განსხვავებულად გაგებადი შინაარსებია, ხოლო 'კაცი არის' და 'აგური არის' ერთგვარად, აიხსნება სწორედ იმით, რომ 'აშენებს' მოქმედპირიანი ზმნური შინაარსია, მაშინ როდესაც 'არის' საგნობრივიპირიანი ზმნურ შინაარს წარმოადგენს. ჩვენთვის, 'კაცი აშენებს' წინადადებაში 'კაცი' მოქმედი პირია, მაშინ როდესაც 'აგური აშენებს, წინადადებაში 'აგური' მოქმედი საგანია, რაც ერთისმხრივ გეიჩვენებს იმას, რომ მას მოქმედი პირის ადგილი უკავია და მეორეს მხრივ იმასაც რომ იგი(აგური) მოქმედი პირი არ არის. რაც შეეხება წინადადებას 'კაცი არის' აქ 'კაცი' საგნობრივი პირია, 'აგური' კი წინადადებაში 'აგური არის' საგნობრივი საგანია. – ის ტერმინოლოგია, რაც ჩვენ აქ მკითხველს შეეთავაზეთ, არ არის გამორიცხული შემდგომში გარკვეულად დაზუსტდეს. თუმცა, ის სატერმინოლოგო-საკლასიფიკაციო საფუძვლები, რომლებითაც ეს ტერმინოლოგიური დეფინირება მოხდა ეფექტობით არსებითად არ შეიცვლება. ჩვენი მიდგომებით, 'რმ' (ან იქნებ 'წმწმწა') საგნობრივიპირიანი ორადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია. ამასთან იგი ერთურებადადგილიანია, კერძოდ კი, ერთსაგნობრივულებადადგილიანი, რამდენადაც, ის ერთი საუღლებელი ადგილი საგნობრივი ადგილია. მისი მეორე ადგილი, რომელთანაც 'წმწმწა' მიმართებაში ყენდება პირველი საუღლებელი ადგილი, საუღლებელ საგნობრივ პირს საზღვრავს ან თვისობრივად ან დროით-ადგილმდებარეობითად. ამასთან, პირველ შემთხვევაში სახეზეა ან არსებით-სახელობითი ანუ 'ვარ რა' ან 'ვარ ეინ' ტიპის ანუ N-ი ტიპის

თვისებითი მსაზღვრელობითობა, ან ზედსართავ-სახელობითი ანუ 'ვარ როგორი' ტიპის ანუ A-ი ტიპის თვისებითი მსაზღვრელობითობა, ან ზმნისხედური ანუ 'ვარ როგორ' ტიპის ანუ Adv ტიპის თვისებითი მსაზღვრელობითობა, ან სახელობით-მიმღებობითი ანუ 'ვარ მკეთებელი' ან 'ვარ კეთებელი' ანუ Part-ი ტიპის თვისებითი მსაზღვრელობითობა. მეორე შემთხვევაში, ჩვენს მიერ ეგრეთ წოდებულ დროით-ადგილმდებარეობით მსაზღვრელობითობას 'შროშნა' სემანტიკური ერთეული ანსორციულებს მეორე არასაუღლებელ სამსჯელო ადგილზე გარკვეული დროითი ან სივრცული მანიშნებლობითობის ჩაყენებით, რაც ენობრივად ამ ადგილზე შესაბამისი სემანტიკის მქონე N-ზე ან N-ში ტიპის ენობრივი კონსტრუქციების ჩასმით რეალიზდება. ჩვენ ფიქრობთ, რომ 'შროშნა' სემანტიკური ერთეულის ბოლოს აღწერილი ლინგვისტური ფორმაცქვეა ექვლეტიკური ხასიათისაა და იგი დროით-ადგილმდებარეობითად საზღვრული პირველი ტიპის კონსტრუქციების ელიფსისით მიღებული და ენობრივად ხშირად გამოყენებადობის ფორმის სისტემაში თითქმის პირველადი ბუნებრივობით შეიქცევილი შემოკლებული გამოშენბია, თუმცა არც იმას არ გამოვიციხვებთ, რომ მათი უშუალო პირველადობა სისტემურ-ლოლიკურად დაშვებული და უფრო მეტად ახსნად-გამართლებული იყოს. 'შროშნა' სემანტიკური ერთეულის ამ ზოგადი აღწერის შემდეგ ჩვენ გაკერით შევეხებით მისი, როგორც ზოგადი ზმნური შინაარსის, პირველპირითი განკერობებით მიღებად 'ვარ' სიტყვა-ფორმით აღნიშნულ ენობრივ ზმნურ-პრედიკატივს. ჩვენი აღწერით იგი მარჯვნივ-და-მარცხნივ თითო ადგილიანი ოპერატორია. ამასთან, მარცხნად ერთი ადგილის ტიპობრივი მსაზღვრელია 'შე' სიტყვა-ფორმა, ხოლო მარჯვენა ერთი ადგილის ტიპი კი ფორმალურად N-ი, N-ზე, N-ში, A-ი, Part-ი ან Adv გამოსახულებებით ისაზღვრება, რაც თავისმხრივ იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის 'შე ვარ ექიმი', 'შე ვარ გაკვეთილზე', 'შე ვარ სახლში', 'შე ვარ კარგად', 'შე ვარ მკეთებელი', და 'შე ვარ კეთებული' წინადადებებში ზმნურ-შესასმენ პრედიკატივად ანუ შემასმენლად 'ვარ' სიტყვას მივიჩნევთ, და ამდენად, ამგვარი სახის ენობრივ კონსტრუქციებზე შედგენილი შემასმენლის ლინგვისტურ-ცნებითი გაგების ანუ კატეგორიის მიყენებას მონტეგიუსული ლოგიკურ-ლინგვისტური და სიმრავლურ-თეორიული თვალსაზრისებიდან გამომდინარე გაუმარღებლად მივიჩნევთ. პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერით განსაზღვრული სიმრავლურ-თეორიული გააზრებებით ენობრივი სისტემის ნებისმიერგვარ ზემოთ აღწერილი ტიპის წინადადებაში, და შეიძლება ითქვას საზოგადოდაც, 'ვარ' პრედიკატივი გაიგება როგორც მათემატიკური სიმრავლურ-თეორიული ელემენტური კუთვნილების პრედიკატის ენობრივი ადეკატი. უფრო გასაგები რომ იყოს, იგივე ენობრივ-სისტემური ლინგვისტურ-ლოლიკური თვალსაზრისებით ნიშნავს იმას, რომ 'ვარ' არის პირველი 'შე' პირის საგნობრივ ელემენტად მიმკუთვნილებელი გარკვეული თვისებით განსაზღვრულ გარკვეულ საგნობრივ სიმრავლეზე. - აქ ჩვენ ძალიან მოკლედ შევეხეთ ლინგვისტურად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგნობრივიპირიან 'შროშნა' წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს და მისგან უშუალო პირველპირითი ჩასმით მიღებულ 'ვარ' დერივანტის ბუნებრივ და პრიმიტიულ სიმრავლურ-თეორიულ სემანტიკას, რომლითაც იგი ფაქტიურად არ განსხვავდება ელემენტური კუთვნილების მათემატიკური პრედიკატის შინაარსისაგან, მაგრამ ის რომ, 'ვარ'-ი, როგორც ლინგვისტური პრედიკატი, გარდა უკვე დაჭერილი პრიმიტიული მათემატიკური შინაარსისა ჩვენებას უკეთებს და თითქმის აქსიომატურ საფეხურზე იძლევა ეგრეთ წოდებულ 'აწმყო დროით ნაკეთს' არის ის, რითაც იგი არსებითად განსხვავდება მისივე მათემატიკური ადეკატისგან.

- ამჯერად ჩვენ თავს შევიკავებთ ამ მეტად საინტერესო საგნობრივიპირიან

ლინგვისტური პრედიკატის სხვა თავისებურებების გაშუქებისაგან და გადავალთ საგნობრივიპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებისა და ზმნური პრედიკატივების სიღრმისეულ უკვე სუფთა ლინგვისტურ განსაკუთრებულობათა წარმომიწინაზე: საგნობრივიპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები თავიანთ ძირითად სამსჯელო საგანს გვიჩვენებენ ან სიერცულ ძრობაში ან პირობით სიერცულ ძრობაში ან სიერცულ მდებარეობაში ან პირობით სიერცულ მდებარეობაში. ამასთან, ამ სიერცული მდებარეობის განსაზღვრაში არსებითი ხდება სამსჯელო საგნის, როგორც გეომეტრიული ფორმები, ისე სამსჯელო საგანის სულიერობა-უსულობის საკითხი. ასე მაგალითად: 'ვდი(ვარ)', 'დი(ხარ)', 'დის' საგნობრივიპირიანი ზმნური ფორმები სამსჯელო საგანს გვიჩვენებენ სიერცულ ძრობაში; 'ეტრიალებ', 'ტრიალებ', 'ტრიალებს' საგნობრივიპირიანი ზმნური ფორმები სამსჯელო საგანს გვიჩვენებენ პირობით სიერცულ ძრობაში, რამდენადაც ნებისმიერი ტრიანგულარი ძრობის განსაზღვრებად ჩვენ აუცილებლობის წესით გეჭირდება რაღაც, რომელთანაც უწყვეტ სისტემურ აზროვნებით მიმართებაშიც მხოლოდ, ეს კონკრეტული ძრობა ტრიალად გაიგება; 'ვარ', 'ხარ', 'არის' საგნობრივიპირიანი ზმნური ფორმები მათივე ერთ-ერთი ძირეულ-შინაარსული დატიერთით საგანს გვიჩვენებენ უპირობო სიერცულ-საგნობრივ მდებარეობაში, რაც უკვე ამ სამსჯელო-საგნობრივი პირის გონებითად სულიერ პირად გადაზრებით და ამავე ზმნური ფორმების დროითი შინაარსების იმწამიერი გონებითივე თანგაზრებით გონებითადვე წარმოდგენად გეომეტრიულ დროით სიერცულ რეალიზაციას უკეთებს აზროვნებითი არსებობის სიერცულ-მდებარეობითად დაუზუსტებელ გაგებას. - ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ თუ 'ვარ-ხარ-არის' ორადგილიანი ზმნური მიმართების მეორე ადგილის განზოგადებით 'მე ვარ'- 'შენ ხარ'- 'ის არის' გამოსახულებებს დასრულებულ წინადადებებად ჩავთვლით, მაშინ ჩვენ 'მე', 'შენ' და 'ის' ნაცვალსახელებით გააზრებული შინაარსების შესახებ ინფორმაცია გეძლევა მხოლოდ მათი გარკვეულად გაურკვეველი სიერცული მდებარეობის შესახებ, რომელიც, უკვე მეორე, მეორე არასაუღლებელი და ამჯერად განზოგადებული სამსჯელო ადგილის კონკრეტული ჩასმითი განკერძობის ხარჯზე შეიძლება ერთგვარი სიერცული ცალსახურობით დაზუსტდეს. ამგვარი საშუალებებით საგნის სიერცული მდგომარეობის განსაზღვრისას ყურადღება არ ექცევა ამ საგნის გეომეტრიულ ფორმებს და ამ ფორმების გათვალისწინებით მის კონკრეტულ სიერცულ განლაგებას, რაც საზოგადოდ ამ ტიპის ზმნური შინაარსების ერთ-ერთი არსებითად დამახასიათებელი თავისებურებაა. - ასე მაგალითად, განვიხილოდ 'დგას', 'წევს' 'დევს' და 'გდია' საგნობრივიპირიანი ზმნური შინაარსები. პირდაპირი არა ფსიქო-ლოგიკური სამყაროსეული სურათის შესაქმნელად ჩვენ არასდროს არ ვიტყვით 'ყუთი დგას მაგიდაზე' ან 'ყუთი წევს იატაკზე', ეს იმით აიხსნება, რომ 'დგას' და 'წევს' სულიერ სამსჯელო საგანზე ანუ საგნობრივ პირზე ორიენტირებული ზმნური შინაარსებია, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს და განპირობებულა იმით, რომ მათი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული თავდაპირველი და სისტემურად ძირეული პირობითობით საშინაარსებულა მხოლოდ სულიერი სამსჯელო საგნებისათვის, რისთვისაც ასეთ სემანტიკურ ერთეულებს ჩვენ საგნობრივიპირიანი სემანტიკური ერთეულები ეუწოდეთ. ზუსტად ანალოგიურადვე, ქართულ ენობრივ შინაარსებში, პირდაპირობითი მოთხოვნით არ გაიგება ენობრივი ფრაზა 'კაცი დევს', რისი მიზნობაც 'დევს' ზმნური შინაარსის ძირითადი საუღლებელი სამსჯელო ადგილის უსულო საგანზე აქცენტირებულობაა, რაც საბოლოო ჯამში ბუნებრივია გადადის მისი შესაბამისი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ძირითადი წინასაუღლებელი სამსჯელო

ადგილის ტიპიზაციაზეც, რის გამოდაც, ამგვარ სემანტიკურ ერთეულებს საგნობრივსაგნიანი წინარე ზმნური ერთეულები ეუწოდეთ. ეხლა შევიდართო ერთმანეთს 'ყუთი დევს' და 'ყუთი გდია', 'ლაშაბაქი დევს' და 'ლაშაბაქი გდია', 'ქვა დევს' და 'ქვა გდია' ფრაზები. ადვილად დაერწმუნდებით, რომ მესამე ფრაზათა წყვილით მოცემული შინაარსები ძირითადად ერთიდაიგივე ფაქტობრივ-გეომეტრიულ სურათებს იძლევიან, მაშინ როდესაც პირველი და მეორე ფრაზათა წყვილებით მოცემული შინაარსებით განსაზღვრული სივრცულ-გეომეტრიული სურათები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც 'ყუთი', 'ლაშაბაქი' და 'ქვა' სიტყვებით გააზრებული საგნების ყოფით-გეომეტრილი ფორმებითაა განპირობებული. ამგვარად, უმომქმედოპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული მისი ძირითადი სამსჯელო-საუღლებელი ადგილის მიხედვით შეიძლება იყოს ან საგნობრივპირიანი ან საგნობრივსაგნიანი ანდა კიდევ საგნობრივგანზოგადებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის ძირითადი წინარესაუღლებელი ადგილის ერთიდაიგივე შინაარსული ბუნებრიობით იღებს როგორც საგანს ისე პირს. ეხლა გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის, რომ 'ვარ-ხარ-არის' ზმნურ-პრედიკატული შინაარსების სასაფუძელო წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული 'მ(ო)წნა' ჩვენთვის საგნობრივგანზოგადებული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია. - ჩვენ აქ ხაზი გაუვსვით ნაწილს იმ ძირითადი საყრდენებიდან, რომელთა გათვალისწინებით უნდა იქნეს აღწერილი უმომქმედოპირიანი ანუ საგნობრივი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები, თუმცა ისიც გასაგებია, რომ აქ გაკეთებული დეფინიციები დაზუსტებას მოითხოვს. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დეფინიციები 'დგას' საგნობრივპირიანი ზმნური შინაარსია, ენობრივ სისტემაში სრული ბუნებრიობით იხმარება ფრაზა 'მაგიდა დგას', ისევე როგორც ფრაზა 'მაგიდა დევს', რისი მიზეზიც, რა თქმა უნდა, 'მაგიდა' სიტყვით გაგებული შინაარსის ყოფით-გეომეტრიული და ცნებით-ზროვნებითი ფორმებია. - ასე რომ, ჩვენს მიერ აღწერილი სასაფუძელო შემადგენლები ცხადია შემდგომში გასაგებად მარტივ და სისტემურად ამომწურავ დაზუსტებებს მოითხოვენ, რაც ბუნებრივია შემდგომი და უფრო დეტალური კვლევების ხარჯზე გამოიკვეთება. მანამდე კი ვიტყვით, რომ საგნობრივი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების რიცხვი ენობრივ სისტემაში არა არის დიდი, თუმცა, როგორც წესი, თითოეული მათთაგანი მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობებით ხასიათდება, რაც იმასთან ერთად, რომ ზმნურ სემანტიკათა ეს კლასი ქართულ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ცალკე და გამოყოფილად შესასწავლი ინტერესის საგნად არ ქცეულა, მეტად ართულებს აქ ყოელისმომცველი და ამომწურავად განმზოგადებელი დასკვნების გამოკვეთას. თუმცა, აქვე შეიძლება ითქვას, რომ შანიძისეული საშუალი გეარის ზმნათა დიდი უმრავლესობა, თუმცა კი არა მხოლოდ ისინი, სწორედ ამ ტიპის ზმნურ შინაარსებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, კიდევ რამდენიმე სიტყვით შეეჩერდებით გეარის უნივერსალური კატეგორიის გაგებაზე ქართულ ენობრივ სისტემაში: უკვე ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივი ზმნური შინაარსების ხისტი სემანტიკური კონსტრუქციებიდან გამომდინარე მათთვის კლასიკური პასივიზაციის პროცედურა არ ხორციელდება. ასე მაგალითად, როგორც არ უნდა მოვინდომოთ ვერაფრით ვერ შეეძლებო 'გორავს' ზმნური შინაარსის პასივირებას, ისევე როგორც ვერ შეეძლებო იგივეს 'დგას', 'გდია', 'წევს', 'დევს', 'დის', 'ქრის', 'რბის', 'ტრიალებს', 'კიდა' ზმნური შინაარსებისათვის, და ამას ვერ შეეძლებოთ არა იმიტომ, რომ ისინი უმეტესწილად ერთპირიანი ზმნური ფორმებია, არამედ იმიტომ, რომ წარმოადგენენ რა სემანტიკურად არამომქმედპირიანი

'რა ხდება' ტიპის ზმნურ შინაარსებს უკვე ველარაფრით ველარ გადავიყვანთ მათ მომქმედი პირის განზოგადებით მიღებად ენებით ანუ პასივიზირებულ ზმნურ-შინაარსულ ფორმებში. – ეს ცხადია. ცხადია ისიც, რომ ქართულში გარდა პასივიზაციის კლასიკური სქემისა, რომელზედაც ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი, ფიქტორით აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს აგრეთვე, ზმნური შინაარსების ენობრივ სისტემურად დაშვებული სააქტივიზაციო საშუალებები, და შესაბამისად ამისა, განხილულ უნდა იქნეს ზმნური შინაარსების აქტივიზაციის ანუ გამოქმედპირიანების ენობრივ-გრამატიკული ცნებით-აზროვნებითი გაგებაც. მაგალითად განვიხილოდ 'ვღებ' და 'იდება' ზმნური შინაარსები. გასაგებია, რომ 'ვღებ' არის 'ღება' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის მომქმედი პირის ადგილის პირველ-პირითი განკერძოებით მიღებული ზმნური შინაარსი, ხოლო 'იდება' მიიღება იგივე ადგილის განზოგადებულ-პირითი განკერძოებით. ეხლა დავესეთ კითხვა: მიიღება თუ არა და თუ მიიღება როგორ მიიღება 'ღება' სემანტიკური ერთეულიდან 'დევს' ზმნური შინაარსი? – ეს პრინციპული მნიშვნელობის კითხვაა: ეკრძებ, თუ 'დევს' ზმნური შინაარსი აბსოლიტური იდენტურობით მიღებად-გაგებადია 'ღება' სემანტიკური ერთეულიდან, მაშინ, იგი მარტივი გაგების მქონე 'ვღებ' ზმნურ შინაარსზე მაღალი გაგებადობის საფეხურზე მდგარი ზმნური შინაარსი ყოფილა, და ასეთ შემთხვევაში, ჩვენ არ უნდა ვეძებოთ მისი უშუალოდ წინა და მისი ჩასმითად განმსაზღვრელი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 'ღება(-1; -2; -3)', რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ ქვემოთ აღვწერთ, არ იძლევა 'დევს' ზმნური სემანტიკის სრულ ენობრივ-აზროვნებით რეალიზაციას, მაშინ გაგებადობის თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე ჩვენ ვაღიარებთ ვიქნებით მოვიძიოთ მისი ენობრივი გაგების მომცემი, და ამდენად, მისი განმსაზღვრელი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული. – ეს ცხადია. ეხლა, იმისათვის რომ აქ დასმულ კითხვას პასუხი გავცეს, გავაკეთებთ 'ღება' სემანტიკური ერთეულის არაფორმალურ ლინგვისტურ განსაზღვრას, ანუ, გავაკეთებთ მისი თითოეული ადგილის ზოგად ლინგვისტურ აღწერა-ტიპიზირებას. ამგეარად, ჩვენთვის, 'ღება' ისეთი მომქმედპირიანი სამადგილიანი სემანტიკური ერთეულია, რომლის პირველი ძირითადი საუღლებელი ადგილი არის იმ პირის ადგილი, რომელიც 'დებს' ანუ 'მდებელი პირის ადგილი', რიგით მეორე საუღლებელი ადგილი არის იმ საგნის ადგილი, რომელიც 'იდება' ანუ 'სადები საგნის ადგილი', ხოლო მესამე არასაუღლებელი ადგილი არის ის ადგილი სადაც 'საგანი იდება' ანუ 'დასადები ადგილის ადგილი'. აქედან გამომდინარე, ზოგადი ლინგვისტური თვალსაზრისებით 'ღება' სემანტიკური ერთეული აღიწერება როგორც 'ღება(N-ი, N-ს, N-ზე)' და ნებისმიერი ენობრივი სიტყვა ფორმა, რომელიც მისი თუნდაც ნებისმიერგვარი სემანტიკური დერივანტია ან ამ სიტყვის მორფოლოგიური კონსტრუქციიდან განპირობებული პირდაპირი სინტაქსური მანიშნებლობით ან სასაფუძვლო და განუყოფელ 'ღება' ზმნურ სემანტიკურ ერთეულთან ასევე განუყოფლად მიმბმული ლოლიკური ნაგულისხმობით მანიფესტირებს 'მდებლობითად მომქმედ' და ენობრივად 'მდებელ პირად' წოდებულ პირზე, რაც თავისთავად პირდაპირი ენობრივი დასტურია 'ღება' სემანტიკის აზროვნებითად ღრმა და განუყოფლობითად ერთეულოვანი ბუნებისა, ანუ, ამით ჩვენ იმის თქმაც გვინდა რომ, რომ არა აქ ხაზგასმული ლინგვისტურ-მენტალური ვითარება, მაშინ ჩვენეული ძირეულ ენობრივი თვალსაზრისები წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნების თაობაზე არა არგუმენტირებულად უნდა ჩაგვეთვალა. – ეხლა უშუალოდ იმის შესახებ თუ რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს 'დევს' ზმნური შინაარსი 'ღება' სემანტიკური

ერთეულისგან არაგანსაზღვრებადი პირდაპირი მორფო-ფორმალური საშუალებებით მიღებად სემანტიკურ დერეინტად? – პასუხი მარტივია. ჩვენ ვამბობთ, რომ აღნიშნული შეუძლებელია იმ ცხადი და მარტივი მიზეზის გამო, რასაც 'დევს' შინაარსში 'მდებლად' გაგებული და ამ შინაარსით 'მომქმედი პირის' ლოლიკურად არა აუცილებელი ნაგულისხმეობა წარმოადგენს. ამგვარად, 'დება' სემანტიკურ ერთეულთან ერთად უნდა განვიხილოთ 'დემ' სემანტიკური ერთეული, რომლის ზოგად-ლინგვისტური აღწერითი სახეა 'დემ (N-ი, N-ზე/ში)', რომელიც პრინციპულად 'დება' სემანტიკური ერთეულისგან იმით განსხვავდება, რომ იგი უმომქმედპირიანი ანუ უპირო ანუ საგნობრივი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია. – ამით ჩვენ ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში ფაქტიურად დაეადასტურეთ კიდევ ერთი ტიპის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის არსებობა. სემანტიკურ ერთეულთა ამ კლასს ჩვენ უპირო ანუ საგნობრივ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა კლასს ვუწოდებთ. წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა ამ კლასის შემადგენელ შინაარსთა თავისებურებების უფრო კარგად წარმოჩენის მიზნით განვიხილოთ 'დო' (ე-დო-ვარ), 'ძო' (ე-ქო-ვარ), 'რო' (ე-გო-ვარ), 'ფო' (ე-ფო-ვარ), 'დბ(ე)' (ე-დგე-ვარ), 'ძი' (ე-ქი-დო-ვარ), 'ბი' (ე-გე-დო-ვარ) წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები. ჩვენ შევეცდებით კიდევ ერთხელ დაეადასტუროდ, რომ ამ სემანტიკური ერთეულების ძირითადი მახასიათებელი პირველი სამსჯელო-საუღლებელი ადგილი ენობრივ-აზროვნებით ველში მოქმედი პირის ადგილად ვერ აზრდება. მართლაც, 'დის წყალი' ფრაზით მოწოდებული შინაარსის შემთხვევაში არ უნდა ვივულისხმოთ, რომ აქ 'წყალი' მოქმედებს ანუ ის, რომ 'წყალი' მოქმედი პირია. თუმცა, გასაგებია ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში 'წყალი' გარკვეული მოქმედების ქვეშ მყოფი გარკვეულად განიცდის ზმნის შინაარსით გატარებულ ქმედებას. იგივე შეიძლება ითქვას 'რბის დრო' და 'ქრის ქარი' ფრაზებით მოცემული ენობრივი შინაარსების შემთხვევაში. ახლა განვიხილოთ 'გდია ქვა' წინადადება, თუმცა სანამ ამ წინადადების განხილვაზე გადავალთ ჩვენ გაკერით გვინდა შევეხოთ წინა ენობრივი ფრაზებით მოცემულ შინაარსებთან დაკავშირებულ ერთ სიღრმისეულ ენობრივ-ლოლიკურ მოვლენას: უპირო წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებთან მიბმული ძირითად სამსჯელო ადგილზედ ჩასმადი შინაარსი არ არის აუცილებელი იყოს საგნობრივი გაგების მატარებელი. უფრო მეტიც, უპირო წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების შემდგომი სიღრმისეული კლასიფიცირება მისი ძირითადი სამსჯელო შინაარსის საგნობრივი თუ სხვადასხვა ტიპის არასაგნობრივი მანიშნებლობითი თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ასე მაგალითად ფრაზებში 'დის წყალი', 'რბის დრო', 'ქრის ქარი' არ შეიძლება 'წყალი', 'დრო' და 'ქარი' საგნობრივ რაობაზე მანიშნებელ სიტყვა-შინაარსებად ჩაეთვალოთ. უფრო მეტიც, თუ ერთმანეთს შევდარებთ 'დის წალი', 'დის დრო' და '(მი)დის კაცი' ფრაზებით მოცემულ შინაარსებს გასაგები გახდება, რომ სამივეგან სამი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ანდრო-მენტალური 'დის' სემანტიკა გვაქვს, რაც კიდევ ერთხელ ცხადლივ ადასტურებს ზმნური შინაარსების პირობით მერადულობას მათთან ძირეული ლოლიკურ-სემანტიკურობით მიბმულ სამსჯელო არსთა ასევე პირობითად გატეხულ შინაარსულ პირველადობასთან მიმართებაში. ეს ერთისმხრივ. მეორეს მხრივ კი, თუ 'დო' სემანტიკის სრული შინაარსული აღწერის ინტერესებით ეიმოძრავებთ, მაშინ ერთმანეთისაგან უნდა განეარჩიოთ ის შემთხვევა, როცა მის პირველ სამსჯელო ადგილზე აზრდება ისეთი თხევადი ანუ დინებადი ნივთიერების აღმნიშვნელი სიტყვა, როგორცაა 'წყალი' იმ შემთხვევებისაგან, როცა პირველ სამსჯელო ადგილზე

გააზრებულია 'ლი' ძრობით შინაარსში ჩაყენებული კერძო სულიერ-უსულობითი ან განზოგადებული აბსტრაქტულ შინაარსობრივი რაობა. პირველ შემთხვევაში 'ლი' სემანტიკური ერთეულის პირველი სამსჯელო ადგილი განსაზღვრულად შეიძლება ჩაითვალოს დინებად-თხევად ნივთიერებებზე მანიშნებელი 'N-' ტიპის სიტყვებისათვის, ხოლო ლოლიკურობით მეორე სამსჯელო ადგილი ამ ვითარებაში გემანტიშნებლობს იმ N-ს ტიპის საგანზე ან პირზე, რომელთანაც ეს კონკრეტული სითხითი დინება ბუნებრივი ლოლიკურობით არის მიბმული. აქედან გამომდინარე ამ ტიპის 'ლი' სემანტიკური ერთეულის აღწერითი სახეა 'ლი(N-ი, N-ს), რის შემდგომაც გასაგები ხდება 'მდის მე სისხლი' და 'სდის კასრს წყალი' ფრაზების მსგავსი ენობრივი შინაარსები და 'მ' ტიპის ობიექტური პირის ნიშნად წოდებული პირის ნიშნის ობიექტურისგან მეტად განსხვავებული არაობიექტური ფუნქციები, რაც ზმნურ ფორმაში გატარებული ამ 'მ' ტიპის მეორე პირის ნიშნის მეშვეობით ძირეული ზმნური სემანტიკის რიგით მეორე ადგილის დამკომპლექტებელი პირის მონიშნებით გამოისატა. სანამ 'ლი' სემანტიკური ერთეულის მეორე ტიპობრივ აღწერაზე გადავიდოდეთ 'მდის მე ცრემლი', 'გდის შენ ცრემლი', პ(ს)დის მას ცრემლი' და 'სდის კასრს წყალი' ენობრივი პარადიგმატული მწკრივის საფუძველზე გვინდა გამოვთქვათ პიპოთეტური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში უნდა ყოფილიყო მესამე პირის პირზე და მესამე პირის საგანზე მანიშნებელი პირითი ნიშნები. ამ აზრისაკენ ენობრივი სისტემის გრამატიკული სტრუქტურის უკვე გამოთქურებული ნაწილი და განვხვადობის თეორიის ძირეული პრინციპები გვიბიძგებს, თუმცა გამოითქვლი ჯერ კიდევ მხოლოდ პიპოთეტური თვალსაზრისია და აქ არც ის გამოირიცხება, რომ შემდგომი კვლევებით აღნიშნული თეორიული თვალთხედვა უარყოფილი იქნეს. დაუბრუნდეთ 'ლი' სემანტიკური ერთეულის აღწერის საკითხს, თუმცა კი მანამდე უკვე ჩატარებული აღწერის საფუძველზე გავაკეთოთ 'პ(ს)დის კაცს სისხლი' და 'სდის კასრს წყალი' წინადადებებით მოცემული შინაარსების ანალიზი: ცხადია, რომ საზოგადოდ, რაღაც შეიძლება 'დიოდეს' ან 'რადაციდან', როგორც გარკვეული ძრობის პირველსაწყისი სამისამართო პუნქტიდან, ან 'რადაციის შიგნიდან', როგორც დინებადი თვისების მქონე არსის სიერცულად შემომსაზღვრელი ადგილიდან, ან 'რადაციისაკენ', როგორც იგივე ძრობის საბოლოო სამისამართო პუნქტიდან, ან 'რადაციის შიგნითსაკენ', როგორც ჩადინებადი თვისების მქონე არსის სიერცულად შემომსაზღვრელი ადგილისაკენ. ამგვარად, 'დის წყალი' უნდა ნიშნავდეს 'დის წყალი რადაციდან ან რადაციის შიგნიდან ან რადაციისაკენ ან რადაციისშიგნითსაკენ, და აქედან პირდაპირი ბუნებრივი გამომდინარეობით, 'სდის კასრს წყალი' უკვე უნდა ნიშნავდეს 'დის კასრის შიგნიდან წყალი'. – ხელა დავსვათ კითხვა: რაზედ გვანიშნებს ენობრივი ფრაზა 'დის კასრს ფსკერიდან წყალი' თავისი ენობრივი შინაარსით და რთი განსხვავდება იგი 'დის კასრის ფსკერიდან წყალი' ფრაზის შინაარსისგან? – ჩვენ თვლით, რომ 'დის კასრის ფსკერიდან წყალი' შინაარსი აუცილებლობის წესით არ ითვალისწინებს ამ 'წყლის' კასრად წოდებული ჭურჭლის შიგნით არსებულობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაახლოებით იგივე გვარ შინაარსსთან გვაქვს საქმე 'დის კასრს ფსკერიდან წყალი' ფრაზის შემთხვევაშიც. მაგრამ, თუ ჩვენ განვიხილავთ ფრაზას 'სდის კასრს ფსკერიდან წყალი', მაშინ უკვე დასკვნას იმის თაობაზედ, რომ ეს 'წყალი' კასრის შიგნითაა განთავსებული გავაკეთებთ გამომდინარე იქიდან, თუ როგორ შევთანხმდებით 'ლი' სემანტიკური ერთეულის ძირეულ აღწერაში, და მერე უკვე ამაზედ დაყრდნობილები, როგორ განვსაზღვრავთ 'სდის' ზმნურ ფორმაში 'მ'-ტიპის 'ს' პირის ნიშნის სემანტიკურ ფუნქციას. – აქ ჩატარებულ მსჯელობას, რომ მკითხველისათვის

უფრო გასეგები და მისახვედრი ხაზე მიეცეს, ცოტა სხვა კუთხითაც გაეაშუქებთ: ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის უპირეულესი სპეციფიურობაა მასში რამდენიმე განსხვავებული ტიპის პირის ნიშანთა არსებობა, რაც არსებითად აფორმებს და აყალიბებს ენობრივი სისტემის მაღალ წარმოებით უნარს სხვადასხვა ტიპის ზმნური ფორმებისა და შინაარსების შექმნისას. ინდოევროპული ტიპის ენობრივი სისტემები პირის ნიშანთა ესეთი მრავალფეროვნებით არ ხასიათდებიან, და შესაბამისად ამისა, ამ ტიპის ენობრივ სისტემებში ჩვენ არა გვაქვს 'მდის', 'გდის', 'სდის' და 'შიდის', 'გიდის', 'უდის' ტიპის ზმნური სიტყვა-ფორმები და სიტყვა-შინაარსები, და აქედან გამომდინარე ბუნებრივი შესაბამისობით, ამ ენობრივ სისტემებში ჩვენს მიერ ზემოთ გაშუქებული პრობლემატიკა არ განიხილება. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს 'სდის' კასრს ფსკერიდან წყალი' და საჭიროების შემთხვევაში იგივე ენობრივ-ზროვნებით სურათს 'დის კასრის ფსკერიდან წყალი' ტიპის ენობრივი ფრაზით აფორმებენ. ამგვარად, ქართულში, ერთისმხრივ ენობრივ გამოსახულებათა დიდი მრავალფეროვნებაა, და მეორეს მხრივ, ამ ენობრივ გამოსახულებათა მრავალფეროვნების გამპირობებელი სუფთა ქართული ენობრივი ფორმები კონტექსტუალურად ამოსხნადი პოლისემიურობის გათვალისწინებით ენობრივ სისტემაში სისტემურადვე განსაზღვრებად გარკვეულ პირობით-შემამოკლებელ ფორმით შინაარსებს წარმოადგენენ, რაც ბუნებრივია თავისებურ ფორმალურ-შინაარსულ მიდგომებსა და გადაწყვეტებს საჭიროებს. აქ განვითარებული თვალსაზრისებიდან გამომდინარე უკვე ეგვიპარეშედ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენობრივ სისტემაში ბუნებრივადვე რეალიზებულია მაღალი გაგებითი სირთულის მქონე სიტყვების ფორმალურად მსაზღვრელი, და ამდენად, ამავე განსაზღვრების მეშვეობით მათგან გარკვეული შემოკლებელი შინაარსების მკეთებელი შიდა სისტემური საშუალებები, რაც თავისმხრივ ამ ენობრივი სისტემის მატარებელ ერთეულს აიძულებს ფრაზებში ჩადებული შინაარსების აღებისას აზრითად გაიაროს ამ განსაზღვრება-სქემებით მოცემული პოლისემიურ შესაძლებლობათა მთელი სპექტრი, რაც ბევრად უფრო გამახვილებულ მიხვედრითობით ადლოს ითხოვს მსმენლისაგან ვიდრე ეს საჭიროა პირდაპირი და ერთგვარად პრიმიტიული საშუალებებით ჩამოყალიბებული შინაარსების გაგებისას. ამასთან ერთად თუ იმასაც გათვალისწინებთ, რასაც ქართული ენის მაღალი სიტყვა-მწარმოებლობითი უნარით განხორციელებული ასევე მაღალი სიტყვა-წარმოდგენითი უნარი ჰქვია, გასაგები გახდება ზემოთ ხაზგასმულ ვიწრო ენობრივ სპეციფიკათაგან ბუნებრივად მომდინარე ფსიქო-ლოლიკურ შემადგენელთა ის მთელი სპექტრი, რითაც ხასიათდება ქართულ-ენობრივი ანდრო-მენტალური ერთეული. - ეხლა დაუბრუნდეთ საკითხს, თუმცა კი მას არსებითად არც მოეშორებიათ, და ენახოთ რა საშუალებებით ცდილობს სისტემა მაღალი სირთულის გაგებად საფეხებზე მდგარ ზმნურ სიტყვა-შინაარსებში გარკვევას: დღეს არსებული კლასიკური ენათმეცნიერული თვალსაზრისებით ცნობილია, რომ სიტყვათმწარმოებელი ზმნისწინური საშუალებებით არც ზმნური სიტყვა-ფორმის ზოგადი მორფო-სინტაქსური კონსტრუქცია იცვლება და შესაბამისად არც ამ ზმნური სიტყვა-ფორმით განსაზღვრული მარტივი წინადადების აგებულება. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს არა სწორი თვალსაზრისია: ასე მაგალითად, ჩვენ არ ვთვლით, რომ 'დის', 'დადის' 'მიდის', 'შედის' და 'გადის' ზმნური სიტყვა-ფორმებით ერთიდაიგივე კონსტრუქციის მარტივი წინადადებები მოიცემა. მაგრამ ის, რომ თითოეული ამ ზმნური სიტყვა-ფორმის შინაარსი ძირეულად უკავშირდება 'დი' სემანტიკური ერთეულის თანყოლილ

შინაარსს, ეს ცხადია. ამ თანდაყოლილი შინაარსით კი 'ღი' სემანტიკური ერთეულის პირველ მიახლოებითი ზოგად ლინგვისტური აღწერითი სახეა 'ღი' (N-ი, (N-დან, N-ისაკენ)). ანუ, ამ აღწერით განვითარებული ხედვით 'ღი' სემანტიკური ერთეულის პირველი სამსჯელო ადგილით მოიცემა ის რაც 'ღის' ხოლო მეორე და მესამე სამსჯელო ადგილების ერთგვარი დაწვევითი ისაზღვრება ის, თუ რა მიმართულებით 'ღის' ის რაც 'ღის'. ანუ, ამგვარი გაგებით 'ღი' მიმართული ძრაობის მატარებელი შინაარსია, რასაც ირიბად ადასტურებს ფრაზა 'კაცი მოძრაობს', რომელშიც ჩვენ საქმე სწორედ აშკარად მიუმაართე ძრაობასთან გვაქვს, რაც თავისმხრივ ლინგვისტურად თვალნათლივ დასტურდება იმით, რომ ამავე ენობრივ სისტემაში ანდრო-მენტალურ გაგებით საფეხურზე ვერ აზრდება 'ძრაობა' ზმნური სემანტიკიდან ზმნისწინებით მიღებადი 'შიძრაობს' 'აძრაობს', 'ჩაძრაობს', 'შეძრაობს', 'გაძრაობს' ფორმების მსგავსი სიტყვების შინაარსები. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად განხორციელდა სუფთა მორფოლოგიური დერივაცია 'შიძრაობს' 'აძრაობს', 'ჩაძრაობს', 'შეძრაობს', 'გაძრაობს' ფსევდო-მორფო-სინტაქსისების სახით, მაინც ვერ მოხერხდა და ანდრო-მენტალურად ვერ გაფორმდა მათი შესაბამისი მორფო-სემანტიკური დერივაციული ხაზების გაბმა, რაც სწორედ საკომპოზიციო მორფემების ერთგვარი შინაარსული შეუთანხმებლობით იხსნება, რასაც თავისმხრივ 'ძრაობა' სემანტიკური ერთეულის სივრცეში მიუმაართეი ზოგად ძრაობითი მანიშნებლობა განაპირობებს, რითაც საბოლოო ჯამში უფლება გვეძლევა 'ღი' სემანტიკური ერთეულის სივრცეში მიმართულ ძრაობად განსაზღვრისა. ამგვარად, თუ ჩვენთვის 'კაცი მოძრაობს' ლინგვისტურად დასტურებულ მარტივ აზრად გაიგება, ფრაზას 'კაცი ღის' ამგვარად ვერ მივიჩნევთ. იგი ჩვენთვის ლინგვისტურად არასრული მარტივი წინადადებაა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ წინადადებაში არ არის ნაჩვენები 'ღი' სემანტიკით ნაგულისხმევი ძრაობის მიმართულება. ამგვარად, ჩვენთვის 'კაცი ღის N-იდან N-ისაკენ' განუერცობელი მარტივი წინადადებაა და აქ არც 'N-იდან' და არც 'N-ისაკენ' ადგილის გარემოებებს არ წარმოადგენენ. ჩვენი თვალსაზრისებით ეს ორივე აბსტრაგირებული სიტყვა 'ღის' ზმნური შინაარსით აგებადი სრული მარტივი წინადადების აუცილებელ, ესე იგი არა განერცობად, წვეერებს წარმოადგენენ. ჩვენ მაგალითად, ამ წინადადების ადგილის გარემოებით განუერცობილ ვარიანტად მივიჩნევთ წინადადებას 'N-ში კაცი ღის N-იდან N-ისაკენ' და ამით ჩვენს მიერ კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ქართულში მარტივი წინადადების საკითხის გადასინჯვის აუცილებლობას. ანალოგიურადვე, ჩვენთვის სრული განუერცობელი მარტივი წინადადებებია 'კაცი შეღის ოთახში' და 'კაცი გამოღის ოთახიდან', სადაც 'შე' და 'გამო' ზმნისწინების შინაარსული ყოფაქცეითობის შესაცნობად ჩვენ გვჭირდება მათი 'ღი' პირველსაწყის სემანტიკაზე ოპერირების გადაზრება, რაც ძირითადად იშლება ამ სემანტიკის მიმართულებითი შემადგენლის სხვადასხვაგვარი ლინგვისტური გადაზრებით. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე 'სღის', 'მღის' და 'გღის' ზმნური სიტყვა-ფორმების შემთხვევაში 'შ'-ტიპის პირის ნიშების სემანტიკურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ გვაწვდიან 'ღი' სემანტიკასთან მიმართულ ახალ ენობრივ პირს ან საგანს ფუნქციონალურად ამ პირს ან საგანს 'ღი' შინაარსით ნაგულისხმევი მიმართულების თავისებურად მსაზღვრელ საშუალებად იყენებს, რაც საბოლოო ჯამში ხსნის იმას, რომ 'სღის კასრს წყალი' გარკვეული სიზუსტით ნიშნავს იგივეს რასაც 'ღის კასრიდან წყალი' ფრაზა გულისხმობს. ეხლა გასაგები უნდა იყოს, რომ ფრაზებში 'გასღის კასრს წყალი' და 'გადასღის კასრს წყალი' 'გა' და 'გადა' ზმნისწინები უფრო მეტად გვახვედრებენ, რომ

აქ კასრის შიგნით განთავსებული წყლის კასრიდან გადინებაზე და გადაღინებაზე საუბარი, მაგრამ თქმა იმისა, რომ 'გა' და 'გადა' ზმნისწინები 'ღი' სემანტიკასთან ყოველთვის ამაზედ გემანიშნებლობენ, რა თქმა უნდა სწორი არ იქნებოდა, რასაც ნათლად ადასტურებს უკვე განხილულ ფრაზებთან 'გასდის კასრს ფერი' და 'გადასდის კასრს ფერი' ფრაზებით მოცემული შინაარსების დაპირისპირება, რაც გარდა ამისა, კიდევ ერთი ცხადი დასტურია გაგებადობის თვალსაზრისებით ზმნური სემანტიკების პირობით მეორადულობასთან ერთად მათი მაწარმოებელი ზმნისწინების ასევე მეორადული და ერთი ზმნური ფორმის გასწვრივაც კი მეტად ფრაგმენტიზირებული სემანტიკური ყოფაქცევებისა, და აქედან გამომდინარე, მათი შინაარსული ყოფაქცევების აღწერა-კლასიფიცირება მანამდე ჯერ კლასიფიცირებული და მერე ფრაგმენტიზირებული წინარე ზმნური სემანტიკების გაუთვალისწინებლად, გამიზნული შედეგის ინტერვიუდიან გამომდინარე, ძირშივე ფუჭი და მარცხისთვის განწირული მცდელობაა. – ეს ცხადია და ცხადია ისიც რაოდენ სისტემურად ორგანიზებული და ჯგუფურად დატვირთულ შრომას მოითხოვს საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზით ნაგულისხმევი კვლევების შედეგიანი წარმოება, რაც ბუნებრივია გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ მიმართულებით კვლევების სახელმწიფოებრივად პრიორიტეტული რეალიზაციისას. ესეა დაუფურუნდეთ 'ე-ვარ' ტიპის პირის ნიშნის პრიორიტეტულ სემანტიკურ მანიშნებლობას და შესაბამისად პასუხი გაცეთ ადრე დასმულ კითხვას იმის თაობაზედ წარმოადგენს თუ არა ეთქვამ 'ედივარ-მიედივარ' ტიპის ზმნურ შინაარსებში 'ე-ვარ' პირი მომქმედ პირს? – ჩვენს პასუხი აქ ამგვარია: როგორც ჩანს 'ე-ვარ' ტიპის პირის ნიშნით შიძლება მიგვენიშნოს მომქმედ პირზე, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მომქმედი პირი თავის მოქმედებითობით თავისთავსაზე ხორციელდება. ანუ, 'ე-ვარ' მომქმედი პირი ეფიქრობთ არასდროს აზრდება გარდამავალ მომქმედ პირად და ჩვენ ასეთ 'მომქმედ პირს' გარდაუვალი ანუ 'თვითრეფლექსური მომქმედი პირი' ეწოდეთ, ანუ პირი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ორჯერადია, რამდენადაც იგი ერთიმხრივ მომქმედი პირია, და მეორესმხრივ, იმავდროულობაში, იგივე ქვე-მომქმედ პირადაც გვევლინება. ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი, კიდევ ერთხელ დაეკვირდეთ 'ღი' სემანტიკურ ერთეულს და შეეცადეთ იმის არგუმენტირებას, რომ იგი არ არის მომქმედპირიანი სემანტიკური ერთეული: ერთი წუთით დაუშვათ, რომ 'ღი' მომქმედპირიანი სემანტიკური ერთეულია გამომდინარე იქიდან, რომ 'შე მიედივარ' ფრაზით მოწოდებულ შინაარსში 'შე' პირის 'უმოქმედობაზე საუბარი იმ თვალსაზრისით, რომ ეს 'შე' პირი 'სიარულის პროცესშია' არ იქნებოდა გამართლებული და დავსვათ კითხვა: გატარებულია თუ არა 'ღი' სემანტიკურ ერთეულში 'სიარულით' ნაგულისხმევი 'მოსიარულე' პირის ცხრილურად თანდაყოლი გაგება? – ჩვენ ვპასუხობთ, რომ არა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ფრაზა 'მანქანით მიედივარ' ნონსენსური იქნებოდა მსგავსად ფრაზისა 'მანქანით მიეჭვნაობ'. სხვაგვარია ეითარება 'რბი' სემანტიკის შემთხვევაში, რომელიც ალბად სწორედ 'ე-ვარ' ტიპის არაგარდამავალი ანუ თვითრეფლექსური მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკაა. ახლა განვიხილოთ 'ტრიადი' ექსტრა ლინგვისტური გამოსახულებით მინიშნებული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულიდან ნაწარმოები 'ვტრიადებ' ზმნური შინაარსი. ჩვენ ყოველით, რომ მიუხედავად 'ე' პირის ნიშნით გაფორმებული შინაარსისა აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს არც გარდამავალ და არც გარდაუვალ მომქმედ პირთან, და რომ ამ შემთხვევაში, სახეზეა 'ე' ტიპის პირის ნიშნით გაფორმებული უპირო ანუ საცნობრივი პირი, რისი მიუხეობიც რა თქმა უნდა საქმენია და ახსნას მოითხოვს, თუმცა არც ის

არ არის გამორიცხული, რომ რიგ შემთხვევებში, პირის ნიშანთა პირობითი ფუნქციონირება განიხილებოდეს ერთი რომელიმე სემანტიკური ერთეულით მიღებად სრულ ლოგიკურ-პარადიმატულ სივცეში, და ეს იყოს ვადამწევეტი პრინციპი, და არა ის რომ, ეს პირის ნიშანი ერთსემანტიკურად ფუნქციონირებდა მთელი გრამატიკული სისტემის გასწვრივ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფს გრამატიკული მორფემების ფიქსირებულ სემანტიკურ მანიშნებლობას, და მით უფრო უარყოფს, თითქოს და მათ მიერვე განსორციელებულ მათსავე პირველსაწყის შინაარსულად კონცეპტუალურ არსებობას. – ჩვენ აქ გარდა იმისა, რომ გვენახებია 'მე' სემანტიკური ერთეულის აღწერითი სირთულეები და ღირებულებანი გაკერით შეეხებთ მთელ რიგ სასაფუძვლო მნიშვნელობის მქონე ენობრივ-გრამატიკულ საკითხებს, რომელთა სრული სისტემატიზაცია შემდგომის საქმეა. ესლა კი განვიხილოთ კიდევ ერთი სისტემურად მახასიათებელი სემეციფიკა საგნობრივიპირიანი ანუ 'ე-ვარ' ტიპის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები: 'ე-ვარ' ტიპის სემანტიკურ ერთეულებს შორის ერთმანეთისაგან განვარჩევთ მოქმედებით ანუ ძრაობით და არა მოქმედებით ანუ უძრაობით 'ე-ვარ' ტიპის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს. ასე მაგალითად: 'მე' (ე-ღი-ვარ), 'ძრე' (ე-ქრე-ვარ), 'რბე' (ე-რბე-ვარ), 'მეოვარ' (ე-გოვარ), 'ტრიალე' (ე-ტრიალე) 'მეოვარ' (ე(ი)-მეღრე-ვარ), 'ტრე' (ე(ი)-ტრე-ვარ) 'ე-ვარ' მოქმედებითი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებია, ხოლო 'წმე' (ე-წმე-ვარ), 'მე(ი)' (ე-ღმე-ვარ), 'ქმე' (ე-ქმე-ვარ), 'მე(ი)' (ე-გმე-ვარ), 'მე(ი)' (ე-დმე-ვარ) 'ე-ვარ' ტიპის არამოქმედებითი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებია. ჩვენ ვამბობთ, რომ ქართულ ენობრივ სისტემაში სისტემურადვე განსორციელებული შესაძლებლობა 'ე-ვარ' ტიპის მოქმედებითი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების გამოქმედპირიანებისა. ასე მაგალითად, 'ვარბენინებ', 'არბენინებ' და 'არბენინებ' ჩვენი თვალსაზრისებით 'რბის' გამოქმედპირიანებით ანუ აქტივიზაციით მიღებული ინტეგრალური ზმნური სიტყვა-ფორმებია. ანალოგიურადვე განხილულისა 'ვგორავებ', 'ავგორავებ' და 'ავგორავებს' ზმნური სიტყვა-ფორმები 'ე-ვარ' ტიპის 'გორავს' მოქმედებითი ზმნური სიტყვა-ფორმის აქტივიზაციით მიღებული ინტეგრალური გაგების ზმნური შინაარსებია. ზუსტად ასევე უკავშირდებიან ერთმანეთს 'ვატრიალებ', 'ატრიალებ', 'ატრიალებს' და 'ტრიალებს' ზმნური შინაარსები. რაც შეეხება 'ე-ვარ' ტიპის სემანტიკურ ერთეულთა მეორე კლასს, ანუ 'ე-ვარ' ტიპის არამოქმედებით სემანტიკურ ერთეულებს, გამომდინარე მათი ლოგიკური და სიღრმისეული ენობრივ-აზროვნებითი ბუნებიდან ისინი აქტივიზირებას არ ექვემდებარებიან. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ 'ე-ვარ' ტიპის მოქმედებითი ზმნური შინაარსები და მათი აქტივიზაციით მიღებული ინტეგრალური ზმნური შინაარსები ჩვენს მიერ უკვე განხილული უზოგადესი ლინგვისტური თვალსაზრისებით ერთგვარი ზმნური შინაარსებია, მაშინ როდესაც 'ე-ვარ' ტიპის არამოქმედებითი ზმნური შინაარსების ისეთი ინტეგრალიზაცია, რომ მიღებული ინტეგრალური ზმნური სემანტიკა იმავეგვარის იყოს რა გვარისავე მისი პირველსაწყისი ზმნური შინაარსია არ ხერხდება, და როგორც ჩანს, ესეთი შესაძლებლობა გამომდინარე ამ სემანტიკების უძრაობითი შინაარსიდან თეორიულადაც გამოირიცხება. ამგვარად, თუ გვარის ლინგვისტურ კატეგორიაზე უკვე აღრე გამოთქმულ თვალსაზრისებს შევაჯერებთ აქ წარმოჩენილთან დავასკენით, რომ თუ მოქმედპირიანი ანუ 'ე-ტიპის ანუ მარტივი ზმნური სიტყვა-შინაარსები ექვემდებარებიან ევრეთ წოდებულ ლინგვო-შენტალური პასივიზაციის ოპერაციას და იძლევიან ერთი და იგივე გვარის პასიურ და აქტიურ ფორმებს, ხოლო 'ე-ვარ' ტიპის მოქმედებითი შინაარსის მქონე მარტივი გაგების

ზმნური სიტყვა ფორმებისათვის თითქმის იგივე გვარის ინტეგრალური გაგების ზმნურ შინაარსებს ჩვენ ვლევებულვბთ ვგრეთ წოდებული ლინგვო-მენტალური აქტივიზაციის ოპერაციით. ლინგვო-მენტალური აქტივიზაციის ოპერაცია უმომქმედლოპირიან მოქმედებით ზმნურ შინაარსებზე აინტეგრირებს მომქმედ პირს, რაც საბოლოო ჯამში იძლევა საშუალებას შესაბამისი თვამქმედპირიანი ანუ აქტივიზირებულ ზმნური სიტყვა-შინარსის ფორმირებისა. მო პასივიზაციის ოპერაცია ვერ ხორცილედლება 'ვ-ეარ'-ტიპის მარტივ ზმნურ შინაარსებზე აქტივიზაციას ექვემდებარება, როგორც 'ვ-ეარ'-ტიპის ისე 'ვ'-ტიპის მარტივი ზმნური შინაარსები. 'ვ-ეარ'-ტიპის მარტივი მოქმედებითი ზმნური შინაარსების აქტივიზაციაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხებათ მომქმედპირიანი მარტივი ზმნური შინაარსების აქტივიზაციას აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზმნური სემანტიკით ნაგულისხმევ მომქმედ პირზე გარე ზენებითობით მომქმედი პირის დაინტეგრირებით მიღებული რთული გაგების ზმნური სიტყვა-შინაარსი. ამგვარად, თუ 'ვწერ-იწერება' გვარითად დაპირისპირებული ზმნური შინაარსებია, ჩვენ ასევე უფლებო გვაქვს შინაარსული ერთგვარობით ერთმანეთთან გარკვეულად მოდოფიცირებული თვალსაზრისებით გვარითად დაგეპირისპიროთ 'ვაწერიებ-ეწერიება' და 'უწერ-ეწერება' წყვილები სადაც 'ვაწერიებ' გარენებითი მიზეზობრივი აქტივიზირებით მიღებადი ფორმაა 'ეწერ' ფორმისაგან, ხოლო 'უწერ' მიიღება იგივე 'ეწერ' ზმნურ-შინაარსული ფორმის ერთგვარი მიზნობრივი აქტივიზირებით, რაც საბოლოო ჯამში ყველა ამ ფორმების მონათესავე გვარით ფორმებად გაგებისაქენ გეიბობებს. – ეს საკითხები ბუნებრივია შემდგომ დაზუსტებას და სისტემატიზირებას მოითხოვს, მაგრამ ის, რომ გვარის ზოგადი ლინგვისტური კატეგორია ქართულ ენობრივ სისტემაში უფრო მეტ დეტალიზაციას საჭიროებს ვიდრე ეს ინდოევროპულში ან ვიდრე ამას შინიძისეული სისტემა ვეთავიზობს ეს ცხადია. – ამგვარად, ჩვენ უკვე გამოვყავით მომქმედპირიანი და საგნობრივიწინიანი წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა თვისობრივად არსებითად განსხვავებული კლასები და ნაწილობრივ განვიხილედ კიდევ ისინი. ამასთან დაკავშირებით დამატებით ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ საგნობრივიწინიანი ზმნური შინაარსები, ისევე როგორც მომქმედპირიანი ზმნური შინაარსებიც, აწმყო დროით ფანჯარაში პირობითად იყოფიან აწმყო განუსაზღვრედ და აწმყო მიმდინარე ზმნურ შინაარსებად, რომელთაგან პირველი ბუნებრივად დებულვბს შინიძისეული 'ხოლმეობითობის' მოდალურ გაგებას, მაშინ როდესაც მეორე, როგორც მშრალი რვალობის თითქმის პირდაპირი კარტოგრაფიული ასახვა, გაგებითად პირველ ზმნურ საფეხურზე მდგარ შინაარსებს იძლევა დერივაციულად მარტივი ზმნური ფორმებისათვის, რაც თავისმხრივ ნიშნავს იმას, რომ 'ვ-ეარ' ტიპის ზმნური სემანტიკებისთვისაც აწმყო მიმდინარე დროითი ფანჯარა გაგებადობის თეორიის პრინციპების გათვალისწინებით ზმნურ გაგებათა სასაფუძვლო საფეხურია. – ეხლა მსჯელობას კიდევ ერთი ტიპის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა კლასის გამოყოფა-განხილვით გაავარძლებთ: სემანტიკურ ერთეულთა ამ ტიპს ჩვენ მდგომარეობის პირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა ტიპს ვუწოდებთ. ჩვენ ადრე საუბარი გვქონდა სულიერ და უსულო საგანთა სისტემურად ძირეულ ენობრივ-ზროვნებით განყოფაზე და ხაზი გავუსვით იმას, რომ ჩვენეული 'მომქმედი პირის' ენობრივ-ცნებითი გაგება უკავშირდება სულიერ საგანს მისი რომელიმე მოქმედებითი უნარის გასწვრივ და საფუძველზე, მაგრამ ქართულ ენობრივ-ზროვნებით სისტემაში სულიერება მხოლოდ მოქმედებით უნართა არსებობასთან არ ასოცირდება. ქართული ენობრივ-ზროვნებითი თვალსაზრისებით სულიერი არსი გარდა მოქმედებითი უნარებისა ხასიათდება აგრეთვე ამ სულიერი

არსის უცვლელ მთლიანობაში სხვადასხვა შინაგანი მდგომარეობითი საფეხურებით. ამასთან, ენობრივ-აზროვნებით სისტემაში ესა თუ ის შინაგანი მდგომარეობა აზრდება როგორც შედეგი გარკვეული მანამდე არსებული მიზეზობრივი გარემოებისა. ასე მაგალითად, სისტემაში, საფუძრაველია, რომ სიღრმისეული (თ)ტანდაყოლილობით, არსებობს 'ჰ(ო)ლ' და 'ძ(ონ)' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები, რომელთაგან პირველს სულიერი არსნი ემიზეზებიან, ხოლო მეორეს არასულიერი, მაგრამ ის, ვინც ამ 'ჰ(ო)ლ' ან 'ძ(ონ)' შინაარსით განსაზღვრულ შინაგან დამოკიდებულებაშია იმ საგანთან, რომელიც ან 'ყავთ' ან 'აქეთ', რა თქმა უნდა ყოველთვის სულიერი პირია, რამდენადაც გარკვეული და განსხვავებული შინაგანი მდგომარეობები მხოლოდ სულიერ სამსჯელო საგანთან განირჩევა და ეს აღრე აღნიშნულ მოქმედებით უნარებთან ერთად სულიერი სამსჯელო საგნის ანუ პირის არსებითად მახასიათებელი და მისი უსულო სამსჯელო საგნისგან ანუ საგნისგან არსებითად განმასხვავებელი ნიშან თავისებურებებია: ამგვარად, წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს, რომელიც გვანიშნებს სულიერი სამსჯელო საგნის გარკვეულ შინაგან მდგომარეობაში მყოფენლობაზე მდგომარეობისპირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს ეუწოდებთ. ასე მაგალითად, 'მპა' და 'ძმპა' ქართულში ორადგილიანი მდგომარეობის პირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებია, რომლებზედაც 'შ'-ტიპის პირის ნიშნის უშუალო ოპერირებით ეღებულობთ 'მყვა', 'გყვა', 'პყვა' და 'მქვია', 'გქვია', 'პქვია' ზმნურ სიტყვა-შინაარსებს, რომელთა გაგება მიიღება შესაბამისი სემანტიკური ერთეულის პირველი სამსჯელო ადგილის, ანუ მდგომარეობის პირის ადგილის, შესაბამისი პირითი დაკონკრეტებით. მდგომარეობისპირიანი სემანტიკური ერთეულების ლინგვისტური მახასიათებელი ისაა, რომ, მათზე უშუალოდ მოქმედებს 'შ'-ტიპის პირის ნიშანი, რის გამოდაც მათ 'შ'-ტიპის სემანტიკურ ერთეულებსაც ეუწოდებთ. ამგვარად, ჩვენთვის, 'მყვა', 'მქვია', 'მცია', 'მტკია' ტიპის ზმნური სიტყვა-ფორმები ერთპირიანი ზმნური სიტყვა-ფორმებია, რითაც ჩვენ უარყოფთ თვალსაზრისს 'ე'-ტიპის პირის ნიშნის ობლიგატურობაზედ ქართულ ენობრივ სისტემაში. ჩვენ ვთვლით, რომ პირის ნიშანი ობლიგატორული ანუ აუცილებელი შემადგენელია ზმნური სიტყვა-ფორმებისა. ამასთან, მარტივი გაგების გარდამავალ მოქმედპირიან ზმნურ სიტყვა-ფორმებში ობლიგატორულობს მათი მაწარმოებელი 'ე'-ტიპის პირის ნიშანი, გარდაუვალ ანუ თვითრეფლექსურ მოქმედპირიან ზმნურ სიტყვა-ფორმებში ობლიგატორულობს 'ე-ვარ'-ტიპის პირის ნიშანი, მდგომარეობისპირიან არაინვერსირებად ანუ ერთპირიან ანუ ერთუღლებადადგილიან ზმნურ სიტყვა-ფორმებში ობლიგატორულობს 'შ'-ტიპის პირის ნიშანი, მდგომარეობისპირიან ინვერსირებად ანუ ორპირიან ანუ ორუღლებადადგილიან ზმნურ სიტყვა-ფორმებში ობლიგატორულობენ 'შ'-ტიპისა და 'ე-ვარ' ტიპის პირის ნიშნები, საგნობრივიპირიან ზმნურ სიტყვა ფორმებში კი ობლიგატორული პირის ნიშნის როლში იშვიათი გამონაკლისების გარდა 'ე-ვარ' ტიპის პირის ნიშანი გვეყვინება. ამგვარად, ჩვენ, ზოგადი ლინგვისტურ-ლოგიკური თვალსაზრისებით, ერთმანეთისაგან განეაზრჩით ენობრივი პირისა და ენობრივი საგნის საფუძემდებელი ცნებები. ამასთან, ეს გაკეთდა ისე, რომ გათვალისწინებული იქნა პირის, როგორც საგნობრივი ბუნება, ისე მისი სუფთა პიროვნული მახასიათებლები, რომელთაგანაც პირველს პირის მოქმედუნარიანობის, ხოლო მეორეს, მრავალმდგომარეობითობის თვისებას ეუწოდებთ. ამგვარად, ჩვენთვის, პირი ხასიათდება საგნობრივბუნებრივობით და პიროვნულბუნებრივობით, რომელიც თავისმხრივ, და საზოგადოდ, მოქმედუნარიანობით და მრავალმდგომარეობითობით ისაზღვრება, მაშინ როდესაც

საგანი მისი საგნობრივბუნებრივობით არადუალური ფიზიკო-ლოლიკური არსია, და მასთან, პირდაპირი და არაგადატანილი თვალსაზრისებით პიროვნულბუნებრივი შემადგენლები არ განიხილება. – და თუ ეს ყველაფერი ესეა ('ასეა'-ს ვიტყვით იმ შემთხვევაში, თუ მანამდე სა-'ასეთ' გამოთქმული თვალსაზრისი იქნებოდა კატეგორიული და არა ლოლიკური), მაშინ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნებისმიერად განხილულ ზმნურ ენობრივ შინაარსში პირზე შეიძლება ვიმსჯელოთ ან როგორც მომქმედ პირზე, ან როგორც მდგომარეობის პირზე, ან როგორც საგნობრივი პირზე, და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია და ლოლიკურია ის, რომ სისტემაში პირზედ მანიშნებელ ნიშანთა სამი განსხვავებული ზოგადი ტიპი გვექონდეს. ჩვენი კონცეფციით, პირის ნიშანთა ამ სამი განსხვავებულ ტიპს 'ვ', 'მ', და 'ვ-ვარ' ტიპის პირის ნიშნები შეადგენენ. ამასთან, ეთვლით, რომ: პირის ნიშანთა შესახებ კონცეპტუალური ხედვები ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში გამოსაკეცი და დასაზუსტებელია, და რომ, ინდივიდუალური თვალსაზრისით პირისნიშანთა თაობაზე მთლიანი ქართული ენობრივი სისტემისათვის მიუღებელია, რამდენადაც ის მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობს ენის გარკვეულად მოდიფიცირებულ სიღრმისეულ და ბირთვულ ნაწილში.

– კიდევ ერთი თეორიული ნიუანსი განხილვად საკითხებთან დაკავშირებით: ქართულ გრამატიკულ სისტემაში ცნობილია ბუნების მოვლენების ამსახველი უპირო ზმნებად წოდებული ნულვალენტიანი ისეთი ზმნური სიტყვა-ფორმები და შინაარსები, როგორებიცაა მაგალითად 'თოვს' და 'წვიმს'. - ჩვენ ეთვლით, რომ ნულვალენტიანი, ანდა რაც ჩვენთვის თითქმის იგივეა, ნულადგილიანი ზმნური შინაარსი არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, თუმცა კი მივიჩნევთ რომ, არსებობენ, ჩვენს მიერ ვერტოლდებული, არა უღლებადი ზმნები, და როგორც წესი, ასეთი ზმნების საკვლევრო ანუ სასმსჯელო ადგილი არ უყენდება არც საგნობრივ და არც პიროვნულ შინაარსებს, რის გამოდაც სწორედ ყალიბდება მათი არაუღლებადი თვისობრიობა. ასეთი ზმნური სიტყვა-შინაარსების მაგალითებად ჩვენ მოვიყვანდით 'მოხდა' და 'გადაწყდა' სიტყვა-ფორმებს იმ სემანტიკური ექსპრესიით, რასაც 'ამბავი მოხდა' და 'საქმე გადაწყდა' შინაარსები გულისხმობენ, სადაც 'მოხდა' და 'გადაწყდა' ზმნური მსჯელობების სიღრმისეული სპეციფიურობა ისა, რომ მათი შინაარსიდან გამომდინარე, მათი სამსჯელო ადგილი უყენდება არა საგნობრივ რაობას ან პიროვნულ ვინაობას, არამედ, გარკვეულ მენტალურ მოვლენად აბსტრაგირებულ არასაგნობრივ და არაპიროვნულ შინაარსს, რაც არ არის გამორიცხვული, რომ გარკვეული ბუნებრივი მოვლენის ამსახველი სურათიც იყოს, მაგრამ ეს, როგორც უკვე ვნახეთ, არც გადამწყვეტია და არც არსებითი იმასთან მიმართებაში, რასაც კონკრეტული ზმნური შინაარსის არაუღლებადობა კჰმნის და წარმოადგენს. ასეთივე არაუღლებად ზმნურ სემანტიკად ყალიბდება 'უნდა', როცა მის სამსჯელო ადგილს მენტალურად გარკვეულ ზმნურ შინაარსზედ მივმართაეთ, ანუ ჩვენთვის, 'მას უნდა' და 'მან უნდა' ფრაზებში ორი პრინციპულად განსხვავებული 'უნდა' განირჩევა, რომელთაგან პირველი მდგომარეობისპირიანი ორუღლებადადგილიანი ზმნური პრედიკატივია, მეორე კი, როგორც ზმნური პრედიკატივი არ იულდება, თუმცა კი ისიც ორადგილიანია და ჩვენი აზრით იგი ზოგად-ტიპობრივ თანმთხვევაშია ქართულ ენობრივ სისტემაში 'ნეტა' სიტყვით განსაზღვრულ ზმნურ-პრედიკატულ შინაარსთან. – ამგვარად, განესაზღვრეთ რა არაუღლებადი ზმნური სიტყვა-ფორმათა ცნება, ვაჩვენეთ, რომ მათი არაუღლებადობის ძირითადი მიზეზია მათივე სამსჯელო საგნის ერთგვარად მოვლენური და გარკვეულად ზმნურ-შინაარსული სპეციფიკა. ამასთან, თუ 'მოხდა' და 'გადაწყდა' უპირო ერთ აბსტრაქტულადგილიანი ზმნური შინაარსებია, 'მინდა', 'გინდა',

'უნდა' ზმნური ფორმების განმსაზღვრელი 'ნდომა' მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული ისეთი ორადგილიანი ზმნური სემანტიკაა, რომლის ერთი ადგილი მდგომარეობისპირის ადგილია, ხოლო მეორე აბსტრაქტული სამსჯელო ადგილი ზოგადტრიპობრივად მდგომარეობისმიზნობრივად მსაზღვევრად ადგილად დეფინირდება. ამგვარად, ჩვენთვის 'ნდომა' მდგომარეობისპირიანი ორადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია და 'ნდომა(-1; -2)' მისი უზოგადესი ფორმალური სახეა. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მისი პირველი სამსჯელო ადგილი ზოგადტრიპობრივად მდგომარეობის პირის ადგილად განისაზღვრა, 'ნდომა(მN; - 2)' მისი ის დაზუსტებული ფორმალური სახეა, რომელიც მასში არსებული 'მN' შემადგენლით აღნიშნულზედ გვანიშნებს. ეხლა თუ იმისაც გაითვალისწინებთ, რომ ნებისმიერად აღებული მდგომარეობისპირის ნებისმიერი 'ნდომა' მიზნობრივად შეიძლება განსაზღვრული იყოს, ან, გარკვეული საგნობრივი ანუ სახელობითი ანუ N ტიპის შინაარსით, ან კი, გარკვეული მოვლენითი ანუ ზმნური ანუ V ტიპის შინაარსით, მაშინ გასაკუთრებელია 'ნდომა' სიტყვა-შინაარსის შემდეგი ზოგად ტრიპობრივად განსხვავებული და მისი პოლისემიურობის ამსახველი 'ნდომა(N; N)' და 'ნდომა(N; V)' ფორმალური აღწერების როგორც არსებობა, ისე ამ განსხვავებულ აღწერათა არსებობის განმპირობებელი წინა საფუძვლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის, ფრაზა 'მას უნდა ეაშუი'-ს შემთხვევაში ენობრივ-აზროვნებით შინაარსულ ველში გაგების მომცემად მუშაობს 'ნდომა(N; N)' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, მაშინ როდესაც ფრაზაში 'მე მინდა ვწერდე' გაგების მომცემად 'ნდომა(N; V)' სემანტიკური ერთეული ამუშავდა. – ამგვარად, ჩვენი მიდგომით, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის სამსჯელო ადგილი ზოგად ტრიპობრივად ან N ტიპის ან V ტიპის, რაც არსებითად ცვლის, როგორც დღეს არსებულ ქართულ გრამატიკულ თეაღსაზრისებს, ისე კლასიკურ ინდოევროპულ ხედვებს შედგენილი შემასმენლის, და საზოგადოდ, წინადადების და, მათ შორის, მარტივი წინადადების თაობაზედ. – ეს მნიშვნელოვანია. ამ საკითხს ოდნავ მოგვიანებით კიდევ შეეხებით, მანამდე კი დაუბრუნდეთ მიმდინარე: განვიხილოთ 'უნდა' წინარე სემანტიკური ერთეული. ჩვენ ვამბობთ, რომ 'უნდა' არაუღლებადი ზმნურ-მიმართებითი სიტყვაა, რაც საფუძველია იმისა, რომ იგი, ამავედროულად, მისივე საკუთარი ფორმის შეუცვლელად, განხილულ იქნეს, როგორც ამ ზმნურ მიმართებითი სიტყვის შესაბამის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულად. ამგვარად, ჩვენთვის, 'ნეტა', ისევე როგორც 'უნდა' ერთთმსხრივ არაუღლებადი ზმნურ-მიმართებითი სიტყვაა, მეორესმხრივ კი, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული. ამასთან, იგი, როგორც წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, და შესაბამისად, როგორც მიმართებითი ზმნური სიტყვა ფორმა ზახგასმულ მიმართებითობას ამყარებს მეტყველ ანუ მსჯელ პირსა და გარკვეულ ზმნურ მიმართებით შინაარსთან, რომელიც თავისმხრივ გარკვეული და არასრული სამსჯელო შინაარსით შეიძლება მიმართულ იქნეს, როგორც პირველ, მსჯელ-მეტყველ ენობრივ პირზე, ისე იგივე სამსჯელო შინაარსით შეიძლება იგი მიმართულ იქნეს, როგორც მეორე, ისე მესამე ენობრივ პირებზე. ამგვარად, ჩვენთვის, 'უნდა' მდგომარეობისპირიანი სემანტიკური ერთეულის ძირითადი სამსჯელო საგანი მიუხედავად იმისა მიყენებულია იგი პირველ, მეორე თუ მესამე ენობრივ პირზე არის პირველი მსჯელ-მეტყველი პირი, რითაც სწორედ იხსნება ის, რომ იგი არაუღლებად ზმნურ მიმართებით სიტყვად ფორმდება ენობრივ სისტემაში. ანუ, ჩვენ ვთვლით, რომ 'მე უნდა ვწერო', 'შენ უნდა წერო', 'მან უნდა წეროს' ენობრივი შინაარსები გვანიშნებენ არა პირველი, მეორე და შესაბამისად მესამე ენობრივი პირების გარკვეულ მდგომარეობაზე, არამედ სამივე

შემთხვევაში მანიშნებლობა წარმოებს მეტყველი პირის ერთგვარ გონებითად განსაზღვრულ მდგომარეობით დამოკიდებულებაზე სხვადასხვა ენობრივი პირებისა და მათი სამომავლო 'წერა' მოქმედების თაობაზე. ანუ, 'მან უნდა წეროს' წინადადება მართლად ანუ ჭეშმარიტად ასახავს მეტყველი პირის სინადასტრუქციას, თუ მეტყველი პირის მართლად ჰგონია ის, რომ 'მან უნდა წეროს', ამასთან თუ იმასაც დაეუშვებთ, რომ 'მან უნდა წეროს' არა მეტყველი პირთან ფარდობითი, არამედ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ამ შემთხვევაშიც, 'მან' პირისა და სამომავლო 'წერა' მოქმედებას შორის არანაირ მდგომარეობით დამოკიდებულებაზე ცოდნა არ გვეწოდება, მაშინ როდესაც მსჯელი პირის მიერ გამოტყველებული 'მას უნდა წეროს' შინაარსის აბსოლუტური ჭეშმარიტება პირდაპირობის წესით გვანიშნებს 'მას' პირის 'უნდა მდგომარეობით დამოკიდებულებაზე' სამომავლო 'წერა' მოქმედებასთან. – რითი აიხსნება ასეთი პრინციპული განსხვავება 'მან უნდა წეროს' და 'მას უნდა წეროს' შინაარსებს შორის? – პასუხი იმაშია, რომ 'მან უნდა წეროს' ფრაზაში 'უნდა' მიმართება გაიგება 'უნდა' წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობა გავიგებთ ('-!)უნდა(V)' გამოსახულებით აღწერილი, ხოლო 'მას უნდა წეროს' ფრაზაში იგივე უნდა გაგებულა ზემოთ ჩვენ მიერ უკვე აღწერილი 'ნდომა(N; V)' სემანტიკური ერთეულით. კიდევ ერთი ლინგვისტური არგუმენტი აქ ჩვენს მიერ გამოთქმული თეალასაზრისების დასაბუთების მიზნით: გამომდინარე უკვე მონიშნული მოსაზრებებიდან 'მას უნდა წეროს' ფრაზაში 'უნდა' მიმართებითი ზმნური შინაარსი მისი პირველი ანუ ძირითადი სამსჯელო ადგილით მიმართულია 'მას' სიტყვით გაფორმებულ პირველ ანუ ძირითად სუბსტანციურ სამსჯელო სიტყვა-შემადგენელზე, მაშინ როდესაც მეორე ანუ არაძირითადი რელაციური სამსჯელო ადგილით იგი 'წეროს' სიტყვით გაფორმებულ მეორე ანუ არაძირითად რელაციურ სამსჯელო სიტყვა-შემადგენელზე მიმართება, რითაც საბოლოო ჯამში სინტაქსურად იკვრება 'მას უნდა წეროს' ენობრივი ფრაზა, რომელშიც 'მას' და 'წეროს' ერთმანეთთან სინტაქსის არ იძლევიან და ეს გამომდინარე გაშუქებული მიდგომებიდან სავსებით ბუნებრივია ქართული ენობრივი სისტემისათვის. რაც შეეხება ფრაზას 'მან უნდა წეროს', აქ ვითარება უკვე აღწერილისგან იმით განსვადდება, რომ 'მან წეროს', ისევე როგორც, 'წეროს მან' ქართულ ენობრივ სისტემაში სინტაქსური წყვილებია 'მას წეროს' და 'წეროს მას' სიტყვათა შეერთებისაგან განსხვავებით, რაც აუცილებელი სასაფუძველი გარემოებაა იმისათვის, რომ 'მან უნდა წეროს' ფრაზაში იგი, როგორც ერთი სიტაქსურ-სემანტიკური მთელი, 'უნდა' მიმართების რელაციური სამსჯელო ადგილის შემესებელ-გაფორმებლად იქნეს გაგებული. ანუ, ჩვენთვის, 'მან უნდა წეროს' ფრაზაში 'უნდა' მსჯელობს 'მან წეროს' რელაციაზე, ხოლო 'მას უნდა წეროს' ფრაზაში, რომლის უფრო სრული ენობრივი ფორმა არის 'მას უნდა რომ წეროს', 'უნდა' შინაარსით მოცემული მსჯელობა მისი ერთი სამსჯელო ადგილით ფორმდება 'მას' სამსჯელო სიტყვით მოცემულ სუბსტანციურ შინაარსზე, ხოლო მისი მეორე სამსჯელო ადგილით მსჯელობა ფორმდება 'წეროს' სამსჯელო სიტყვით მოცემულ რელაციურ შინაარსზე. ამგვარი მიდგომებით გასაგები ხდება 'რომ' სიტყვის ენობრივი შინაარსიც: იგი ძირითადად რელაციურ სამსჯელო ადგილზე მანიშნებლობის ფუნქციას იღებს თავის თავზე, და ეს ამ სიტყვის ენობრივი ბუნების შესაცნობად ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანი დასკვნაა. – აქ გამოთქმული თეალასაზრისის დასადასტურებლად და გასაღრმავებლად განვიხილოთ 'თხოვნა' სიტყვით მოცემული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, რომელიც ჩვენი მიდგომებით სამადგილიანი სამსჯელო შინაარსია. ამასთან, იმისდამხვედით მისი მესამე სამსჯელო ადგილი სუბსტანციურია

თუ რელაციური, ჩვენ ვლებლობთ 'თხოვნა(N,N,N)' და 'თხოვნა(N,N,V)' გამოსახულებებით მოცემულ ზოგად ტიპობრივ ადწერებს. ანუ, 'შე ვთხოვე მას ვაშლი' და 'შე ვთხოვე მას, რომ მას ეთხოვა მისთვის ვაშლი' ჩვენთვის უკავშირო წინადადებათა. ჩვენი ლოგიკურ-გრამატიკული ხედვებით 'შე ვთხოვე მას, რომ მას ეთხოვა მისთვის ვაშლი' ისეთივე უკავშირო ანუ არართული ანუ მარტივი წინადადებაა, როგორცევა აგრეთვე 'შე ვთხოვე მას ვაშლი', ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში 'ეთხოვე' ზმნური შინაარსის მესამე სამსჯელო ადგილზე სუბსტანციური ანუ საგნობრივი შინაარსის 'ვაშლი' სიტყვაა, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე მესამე სამსჯელო ადგილს იკავებს რელაციური ანუ მიმართებითი შინაარსის 'მას ეთხოვა მისთვის ვაშლი' ფრაზა, რომელიც სწორედ როგორც მთლიანი და ცალკე მდგომი სამსჯელო შემადგენელი გამოყოფილია 'რომ' სიტყვა-ენობრივი საშუალებით. ის, რომ ჩვენს მიერ ზემოთ გატარებული არაკლასიკური თვალსაზრისი სწორი ენობრივ-გრამატიკული ხედვაა დასტურდება იმიტომ, რომ 'ეთხოვე' და 'ვაშლი' სიტყვებით სინტაქსურად გამართულად აგებულ ნებისმიერ მარტივ წინადადებაში თუ 'ვაშლი' გამოსახულების ნაცვლად ჩავსვამთ 'რომ მას ეთხოვა მისთვის ვაშლი' გამოსახულებას მივიღებთ ასევე სინტაქსურად გამართულ წინადადებას. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე 'ეთხოვე' და 'ვაშლს' სიტყვებით სინტაქსურად სწორად აგებული ნებისმიერი მარტივი წინადადების შემთხვევაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ 'ვაშლს' სიტყვა-გამოსახულებასთან ჩანაცვლებადია 'რომ მან თხოვოს მას ვაშლი' ფრაზა-გამოსახულება. – აქ ჩვენ მოკლედ შევეხებ ქართულ ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელ მეტად მნიშვნელოვან ენობრივ ფაქტს, რომელიც, ერთისმხრივ, ახლებურად აშუქებს განხილვის ქვეშ მყოფ საკითხებთან დაკავშირებულ დღეს არსებულ გრამატიკულ ხედვებს, მეორესმხრივ კი, უკვე ნაწილობრივ გაშუქებული, და როგორც აღინიშნა, ეს ფუნდამენტური ხასიათის ენობრივი ფაქტი ძირეული წინა საფუძველია შემდგომი ასევე ფუნდამენტური ხასიათის თეორიულად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი გრამატიკული დასკვნებისა, რომელთაც ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შევეხებით. – დაუებრუნდეთ მიმდინარე საკითხებს: როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაულლებად ზმნათა კლასი ქართულში ნაკლებადაა შესწავლილი. ამჯერად უფრო ღრმად ჩვენ არც ამ საკითხებზე შეჩერდებით, თუმცა სანამ ძირითადი თემის გასწვრივ მსჯელობას გაეგარძელებთ, შევნიშნავთ რომ ამ ტიპის ზმნურ სიტყვა-ფორმებში პირის ნიშნების ფუნქციონირება ერთგვარად ამოვარდნილია კლასიკური პირის ნიშნობრივი თვალსაზრისებიდან, და ამიტომ, ამ ტიპის ზმნური სიტყვა-ფორმებისა და შინაარსების საერთო სისტემიდან ცალკე გამოყოფა და ამის გათვალისწინებით მათი დამოუკიდებელი კვლევა-შესწავლა ერთგვარ ლინგვისტურ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს. – ეხლა დაუებრუნდეთ მდგომარეობისპირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს და რამდენიმე მათთაგანის დეტალურად განხილვის გზით წარმოვაჩინოთ მათი საზოგადო ნიშანთვისებულებანი: ნებისმიერი ძირეული მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკა ევრობობა გარკვეულად განცდად შიგა მდგომარეობით საფეხურზე მანიშნებელ სიტყვა-შინაარსს, რომლის გასწვრივაც მდგომარეობაში მყოფი პირი შეუცვლელად მისი სამსჯელო საგნობრივ-არსობრივი სახისა დროში ამ უკვე აღნიშნული მდგომარეობითი შინაარსით იშლება, რასაც იგი აკეთებს არა მისი რომელიმე მოქმედებითი უნარით, არამედ იმ მდგომარეობად განრჩეული თავისთავადი განცდითი შესაძლებლობით, რომელშიც მყოფი აცნობიერებს მას და აღიარებს იმ სიტყვა-შინაარსის ზმნურ-დერეივაციული ნაბადით, რომლითაცვე ისაზღვრა საყრდენი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული.

ასე მაგალითად, ავიღოთ სიტყვა-შინაარსი 'ცივი', და დავეუშვათ, რომ იგი გაგებულ იქნება და დავსვათ კითხვა: რა არის 'ცივა'? – საკამათო არ უნდა იყოს, რომ 'აქ ცივა' ენობრივ-წინადადობრივი გამონათქვამია, ანუ როგორც ენობრივი ფრაზა ლოლიკურ-ჭეშმარიტული შინაარსის მატარებელია, და აქედან გამომდინარე 'ცივა' პრედიაკატული ბუნების ზმნურ-მიმართებითი სამსჯელო შინაარსის სიტყვა უნდა იყოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა - რა არის ის, რაზედაც 'ცივა' როგორც სამსჯელო ზმნური შინაარსი მსჯელობას ანვითარებს? – გამომდინარე შინაარსული ლოლიკურ-ლინგვისტური ანალიზიდან იმ ერთი ადგილის ტიპი, რომელზედაც 'ცივა' მსჯელობად ყალიბდება, შეიძლება განისაზღვროს დროით-სივრცული ადგილის ადგილად. ესეა გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენთვის, 'მთაში სადამოობით ცივა' არა განერცობილი, არამედ დასრულებული მარტივი წინადადებაა, მაშინ როდესაც, 'ცივა' ისეთივე დაუსრულებელი შინაარსია, როგორცაა 'გუჰამე', რამდენადაც, მივიჩნევთ და ვფიქრობთ არგუმენტირებულადაც, რომ კონკრეტული პირის მიერ კონკრეტულ დროს და კონკრეტულ ადგილზე თქმული 'ცივა' მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ დასრულებულ შინაარსად, თუ იმ ადგილად და იმ დროდ, რომელთათვისაც 'სიცვიედ' გაგებულ 'სითბურ-ტემპერატურულ მდგომარეობას' ვსაზღვრავთ, მეტყველი პირის გარემომდებარე ადგილს და მეტყველების დროითი მომენტი განსაზღვრულ დროით ინტერვალს ჩავთვლით. – ეს ერთისმხრივ, მეორეს მხრივ კი, ასეთი მიდგომების შემთხვევაშიც 'ცივა' შინაარსს არ ეკარგება მდგომარეობისპირიანი ზმნური სემანტიკებისათვის დამახასიათებელი და მათთან ლოლიკურ-აზროვნულად უწყვეტობით მიბმული პიროვნულ-სუბიექტური გაგება, რამდენადაც აფასებს შემოთ აღნიშნულ 'სითბურ-ტემპერატურულ მდგომარეობას' არა სინამდვილით განპირობებულ რეალობაში, არამედ მეტყველი პირის განცდით განპირობებულ ფარდობითობაში, რითაც იგი გარემო ობიექტურ რეალობასთან მისით მიბმულ და მიკავშირებულ მისსავე შინაგან მდგომარეობით განწყობას ახმოვანებს, რაც თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ 'აქ ცივა' შინაარსით ობიექტური ინფორმაცია, ანუ, ნამდვილი და საზოგადოდ შემოწმებადი ცოდნა გვეძლევა უფრო მეტყველ პირზე ვიდრე იმ 'აქ' სიტყვით ნაგულისხმევ ადგილზე, რომელთანაც დაკავშირებით იგი ამბობს, რომ 'ცივა', და ამდენად, 'ცივა' შინაარსის ერთ სამსჯელო ადგილად მეტყველი პირი უნდა გაეიაროს. – ამ თვალსაზრისებით 'მეტყველი პირი', რომელსაც ხანდახან 'მსჯელ პირსაც' ვუწოდებთ, მეტ-ნაკლებობით და გარკვეული ლოგიკურ-წილითი შეზღუდვებით ნებისმიერ ზმნურ შინაარსთან მიბმება ერთგვარ სამსჯელო საგნად, რაც, რა თქმა უნდა, სრული ენობრივ-ლოლიკური სისტემის აგება-გაგებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს იმავე შესაბამისობით, რითაც იგი თვალისწინდება ბუნებრივი ენობრივ-ლოლიკური აზროვნებითი პროცესებისას. აქ აღნიშნულთან დაკავშირებით განვიხილოთ შემდეგი სხვადასხვა სემანტიკური ტიპის გამონათქვამები: 'მე ვწერ', 'ქვა გორავს', 'აქ ცივა' და 'მე მცივა' და დავსვათ კითხვა – რას ნიშნავს მათი ჭეშმარიტება? – 'მე ვწერ' გამონათქვამის ჭეშმარიტება გვეუბნება, რომ 'მე' პირი რასაც აკეთებს იმას 'წერა' ჰქვია, ხოლო ის, თუ რას უნდა ვუწოდოთ 'წერა' და რას არა, შეიძლება განვასაზოგადოთ, და აქედან გამომდინარე, 'მე ვწერ' საზოგადოდ შემოწმებადი ჭეშმარიტული შინაარსია. თითქმის ასეთივე ტიპის ჭეშმარიტულ შინაარს იძლევა 'ქვა გორავს' ენობრივი შინაარსი. რაც შეეხება 'აქ ცივა' გამონათქვამის ჭეშმარიტებას, იგი არ გულისხმობს განსაზოგადოებული სახით იმას, რომ აქ მართლა 'ცივა', რამდენადაც 'ცივა' გაგება ლოლიკურად უშვებს და ითვალისწინებს მხოლოდ კერძო 'მეტყველი პირის' თვალსაზრისებით აღქმულ საზოგადო 'გარე რეალობას', და

ამდენად, იგი საზოგადოდ საზოგადო შინაარსით და უფრო მეტი სარწმუნოობით ინფორმაციას სწორედ 'მეტყველ პირზე' იძლევა, რის გამოდაც ამ ტიპის სემანტიკური ერთეულების აღწერისას ერთ-ერთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითად სამსჯელო ადგილად 'მეტყველი პირის' გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაახლოებით ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე 'მე მცოვ' გამონათქვამის შემთხვევაშიც. – ამგვარად ის, რომ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების აღწერისას და ზმნური სიტყვა-ფორმების ფსიხო-ლოლიკურ ბუნებათა გახსნა-გაშინაარსებისას ყურადღება უნდა მიექცეს 'მეტყველი პირის' საკითხს, ჩვენთვის ცხადია. მიუხედავად ამისა, ამჯერად, ამ მიმართულებით კვლევებში აღარ გავრმავედებით, და ამ სუფთა ლინგვისტური და ასევე, ლოგიცისტური და ფსიქოლოგიცისტური თვალსაზრისებით უმნიშვნელოვანესი საკითხების დეტალურ კვლევებს შემდგომისათვის გადავდებთ. თუმცა, ამ თემის დახურვამდე, და მასთან დაკავშირებით, საზო გვინდა გაეთვალისწინოთ შანიძისეული მესამე სერიის იმ მახასიათებელს, რასაც 'უნახავ აქტს' უწოდებენ, და კერძოდ, მესამე სერიის მწკრივთა გასწვრივ განთავსებულ ზმნურ შინაარსებში 'მეტყველი პირის', ანუ 'უნახავ აქტად' წოდებული ლინგვისტური კატეგორიის ძირითადი მონაწილის, ურთიერთ არსებითად განსხვავებულ ფუნქციონირებას, რაც ვფიქრობთ, ზემოთ განხილულ საკითხთა ჭრილში განსახილველი პრობლემატიკაა. – ესლა დაეუბრუნდეთ 'ციმ' მორფემას. როგორც უკვე ვნახეთ, მისი მეშვეობით, როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ, მდგომარეობისპირიანი 'მცოვ', 'გცოვ', 'სცოვ' ზმნური შინაარსების გარდა, ბუნებრივი გაგებადობის ასევე ბუნებრივად არსებული პრინციპების შესაბამისად ენობრივ-აზროვნებით მორფო-სემანტიკური დერევიაციით მიიღება არაუღლებადი 'ცოვ' ზმნური სიტყვა-ფორმით განსაზღვრული სამსჯელო შინაარსიც, რომელიც თავისმხრივ გამომდინარე მისი სამსჯელო ადგილის სპეციფიკიდან პრინციპულად განსხვავებული ტიპის მსჯელობაა ზემოთ მოტანილი მდგომარეობისპირიანი ზმნური სიტყვა-შინაარსებით განსაზღვრული მსჯელობებისაგან, რაც უკვე თავისმხრივ განაპირობებს იმას, რომ მათი სემანტიკური დაფუნქციონირების ჩვენ გვაჭირდება ორი, ერთმანეთისაგან ასევე პრინციპულად განსხვავებული, წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული. მათ ჩვენ პირობითად ჯერჯერობით "მ(ი)-ც(ი)მ(ბ)ზ(ლ)" და 'ც(ი)მ(ბ)ზ(ლ)ბა' გამოსახელებებით აღვნიშნავთ, რომელთაგან პირველის გასაზრებლად მეტყველმა პირმა უნდა გაიაზროს ის ვიღაც სულიერი პირი, რომელიც "შინაგანად 'მე-ცოვებული' მდგომარეობის განცდის ქვეშ მყოფია", ხოლო მეორეს გასაზრებლად მეტყველი პირი იაზრებს გარკვეულ დროით-სივრცულ ადგილს, რომელსაც ამჟღადრობლობაში მისივე შინაგანი განცდითი ფარდობითობით სითბურ-ტემპერატურულად აფასებს, და ამდენად, აქ მეტყველი პირის სამსჯელო პოზიციაში ჩაყენება და მისთვის სამსჯელო ადგილის გამოყოფის ლოლიკურად უცილობელი საჭიროება ცხადია. – საერთოდ, სხვადასხვა ტიპის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებში მეტყველი პირისათვის სამსჯელო ადგილის გამოყოფის პრობლემა ერთ-ერთი სიღრმისეულად განსახილველი და ძირეულ პრობლემატიკაა, რომელიც, უკვე მანამდე, ბუნებრივ ენობრივ-აზროვნებით ველში ითხოვს ჭეშმარიტება-ჭეშმარიტულობის ცნების განსაზღვრა-დაზუსტებას და პრინციპულად განსხვავებული ტიპის ჭეშმარიტულ შინაარსთა ერთმანეთისაგან განყოფა-კლასიფიციკირებას მათი ბუნებრივადეე ძირეული თავისებურებებიდან გამომდინარე, იმგვარ, ასევე ძირეულ ენობრივ-აზროვნებით კატეგორიებთან თანაფარდობაში, როგორებიცაა 'ცოდნა' და 'ტყუილი'. ჩვენ ამით იმის თქმაც გვინდა, რომ სანამ ენობრივ-აზროვნებით ველში ჭეშმარიტულობის ანუ

ტეშმარტება-მცდარობის პრობლემას არ გადაეწყვეტო მკაცრად და ამომწურავად, მანამდე, ცხადია, ასევე ვერაფრით შეეძლებოდა ისეთი ძირეული ენობრივ-აზროვნებითი გაგებების მკაცრ მათემატიკურ დაფუძნებას, როგორცაც წარმოადგენენ ტეშმარტობა-მცდარობის უკვე მანამდე არსებულ გაგებებზე დამყარებული და აზროვნებით ველში ერთ-ერთ ძირეულ ადგილზე მდგარნი 'ცოდნისა' და 'ტყუილის' ფუნდამენტური და ამავდროულად განსაზღვრებადი კატეგორიები. – ეს საკითხები შემგომ დეტალურ კვლევებს ითხოვენ, თუმცა, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ანდროიდთათვის ტეშმარტულობის პრობლემის ამომწურავი გადაწყვეტა საჭიროებს, როგორც ზოგადი ანდროიდის ზოგად მათემატიკურ მოდელს, ისე კერძო ბუნებრივ-ენობრივი ანდროიდის ასევე კერძო ბუნებრივ-ენობრივ მათემატიკურ მოდელირებას, რაც, ბუნებრივია, ჩვენი კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. – რატომ დაგვჭირდა ამ სტატიაზე მუშაობისას ეს უკანასკნელი წილსვლა? – ჩვენ ზემოთ სემნატკურ ერთეულებად პირობითად მივიღეთ "ში(3)-ციმპაშლი" და 'ციმპაშლი' ასო-ენობრივი გამოხატულებები, რომელთაგან პირველი თუ კიდევ მანც იძლევა იმ მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემნატკური ერთეულის გაგებას, რომლის პირდაპირი პირველპირითი ჩასმით დერივანტი 'ციცია' ზმნური სიტყვა-შინაარსია, მეორეზედ იგივეს განვრცობა უფრო მეტად ნაძალადეუ აქტად უნდა იქნეს გაგებული. ანუ, თუ "ში(3)-ციმპაშლი" – 'ციცია' სიტყვა-შინაარსები გაგებითად გარკვეულად მისახვედრ ბუნებრივ კავშირში არიან ერთმანეთთან, იგივეგვარი ბუნებრივი კავშირის დანახვა 'ციმპაშლი' – 'ციცია' წყვილით მოცემული სიტყვა-შინაარსებისათვის ძნელია, რაც უფრო მეტად გვიბიძგებს უკვე ამ ტიპის შინაარსების დაფუძნებული გაგებისათვის აუცილებლად საჭირო ქართული ბუნებრივ-ენობრივი ანდროიდის ენობრივ-ლოგიკური მათემატიკური მოდელის გააზრებისაკენ. ანუ, ჩვენ უკვე შეგვიძლია მოეხაზოთ, რომ ქართულ ბუნებრივ-ენობრივ ანდროიდში ექსტრალინგვისტურ სასაყრდენე საფუძველზევე პირის შიდა რეალურ სამყაროში გაიგება და სიტყვით საფეხურზე მოგვეწოდება ცოდნა ამ ანდრო-ენობრივი ერთეულის ერთმანეთისაგან განსხვავებად შინაგან მდგომარეობებზე, რომლებიც, ჩვენ ვფიქრობთ, ისეთივე შემადგენლებია საერთო ობიექტური რეალობებისა, როგორცაც წარმოადგენენ სხვა ტიპის არა შინაგან-სუბიექტურ საგნობრივ რაობებთან დაკავშირებული ობიექტური რეალობები. ამგვარად, ჩვენთვის ანდროიდის ესა თუ ის მდგომარეობა ობიექტურად არსებული რეალობაა, რომელშიც შეიძლება იყოს ან არ იყოს ენობრივი ერთეული, და აქედან გამომდინარე, ანდროიდის ენობრივ-აზროვნებით ლოგიკურ-მათემატიკურ მოდელში მის განსხვავებულ მოქმედებით უნარებთან ერთად ჩართული უნდა იქნეს მისი ასევე ერთმანეთისაგან უკვე განრჩეული და განსხვავებული ბიო-ფიზიოლოგიური და ანდრო-მენტალური უნარებით დაშვებული, და ამდენად, ზოგად ანდროიდული შესაძლებლობითობით განსაზღვრული შინაგან მდგომარეობათა სრული ნუსხა. ამგვარად, ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემა მასზედ თანდაყოლილი და მისით განსაზღვრული ღრმა ბუნებრივობით თაყიდანე გულისხმობს, რომ პირზე შეიძლება განვითარდეს მსჯელობა ან რომელიმე მისი მოქმედებითი უნარის გასწვრივ, ან მისი რომელიმე შინაგანი მდგომარეობით შესაძლებლობის გათავადისწინებით, ან პირი, რომელიც მსჯელობის შემადგენელი, მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობს მისი პიროვნული მოქმედებითი და მდგომარეობითი მახასიათებლების გაუთვალისწინებლად, და ასეთ შემთხვევაში, პირზე განვითარებული მსჯელობით პირი ხასიათდება არა მის პიროვნულობაში არამედ მის ამ პიროვნულობა მოკლებულ საგნობრიობაში, რაც ყველაფერ

დანარჩენთან ერთად შინაარსულად აფუძნებს, და ამდენად, აბუნებრივებს 'შომქმედი პირის', 'მდგომარეობის პირის' და 'საგნობრივი პირის' უკვე ნაწილობრივ განსაზღვრულ ცნებათა ამგვარ დეფინირებას, რაც საბოლოო ჯგაშში, ზოგადი სემანტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ლოგიკურად ასაბუთებს სამი პრინციპულად განსხვავებული ტიპის პირის ნიშნის არსებობის საჭიროებას. - ამგვარად, ჩვენ უკვე მონახაზის სახით წარმოვაჩინეთ ქართულ ენოვანი აზროვნებით ერთეულის ენობრივ-ლოგიკური მათემატიკური მოდელის შემადგენელთა მცირე ნაწილი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საერთო მეცნიერული კვლევითი საფეხურების დღევანდელ ნიშნულზე საზოგადოდ ნებისმიერ ენოვანი, და კერძოდ, ნებისმიერ კონკრეტულ ენოვანი (მათ შორის ქართულ ენოვანი) გრძობა-აღქმითი და ენობრივ-აზროვნებით ერთეულის სრული ენობრივ-ლოგიკური მოდელირება გამომდინარე საკითხთა, როგორც კერძო პრაქტიკული, ისე ზოგად თეორიული ანთროპოლოგიური ღირებულებებიდან, ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემატიკაა. - ეს საკითხები ფრად მნიშვნელოვანია, როგორც სუფთა ლინგვისტური, ისე ლინგვისტურ-ლოგიკური და ლინგვისტურ-ფსიქოლოგიკური თვალსაზრისებითაც. ასე მაგალითად: ჩვენ უკვე ნაწილობრივ განვიხილეთ მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებასთან დაკავშირებული რიგი ძირეული საკითხებისა, კერძოდ კი, განვიხილეთ 'CIV' პირობით ენობრივ ნიშანთან ანუ მორფემასთან ბუნებრივად მიკავშირებული მდგომარეობისპირიანი ერთადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, რომელიც ექსტრალინგვისტურად 'შ(ი)CIVმპაულ' გამოსახულებით აღთრნეთ, რითაც თავისმხრივ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ 'შ(ი)CIVელებული', არამედ, საზოგადოდ, ნებისმიერი ისეთი ვითარება, სადაც სახეზეა თუნდაც რომელიმე კონკრეტული 'შ(ი)CIVელებული', მაგრამ ის, რომ აქ გატარებული შინაარსი არა საკმარისი ბუნებრიობით იღება 'შ(ი)CIVმპაულ' გამოსახულებით მოცემულ შინაარსში, იმასთან ერთად, რომ ანალოგიური ხასიათის უხერხულობასთან გექონდა საქმე 'CIVმპაულობა' - 'ცივა' წყვილის შემთხვევაშიც, გეარწმუნებს ასეთი ტიპის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების გამოსახატავად ენობრივად უფრო გამართლებული საშუალებებისა და ფორმების ძიების საჭიროებაში. - ჩვენ არ გვინდა, რომ ამ მიმართულებით და ამ მიზნით ძიება აქ დასრულებულად გამოეცხადოთ, თუმცა კი ქვემოთ, განხილვის ქვეშ მყოფ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ხედა, რომელსაც, გამომდინარე კვლევის მიმდინარე ეტაპიდან, ამჯერად, ყველა სხვა ხედვაზე მეტად გამართლებულად მივიჩნევთ: ჩვენ ეფიქრობთ, რომ აჯობებს ზემოთ მოტანილ ტერმინოლოგიაზე უარის თქმა და მათ ნაცვლად 'შ/მ CIVმ' და 'ა/მ CIVმ' ტიპის ექსტრალინგვისტური გამოსახულებებით სარგებლობა, რომელთაც თანდართული ატრიბუტების მიხედვით წაეკითხათ და გავიზარებთ, რაც ჩვენ შემთხვევაში იძლევა 'შინაგან-მდგომარეობითი ცივა' და 'ადგილ-მდებარეობითი ცივა' სახის ენობრივ დეფინიცებს. ამგვარად, ერთი 'CIV' მორფემით ენობრივ-აზროვნებით ველში განისაზღვრა ორი განსხვავებული ტიპის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, რომელთაგან პირველით მსჯეელი პირის თვალსაზრისით ფორმდება ზოგადი მსჯელობა ამ სემანტიკით მონიშნულ პირის შინაგან-მდგომარეობით ვითარებაზე, ხოლო მეორეთი იგივე საწყისი სემანტიკით მსჯელობა ყალბდება მსჯეელი პირის მიერ მენტალურად გააზრებული გარკვეული დროით-სივრცული ადგილის შესახებ. ეს ხედა აღწერით სქემებში შესაბამისი ბუნებრიობით იძლევიან '(SP)CIVმ(შ/მ-N)' და '(SP)CIVმ(ა/მ-N)' გამოსახულებებს,

რომლებშიც ('SP')-თი მონიშნულია მსჯელ-მეტყველი პირის სამისამართო ანუ სამსჯელო ადგილი. ქვემოთ შემდგომი დეტალური ანალიზისაგან თავს შევიკავებთ და გაგმახვილებით შინაგან-მდგომარეობით ანუ მდგომარეობისპირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებზე: ჩვენ უკვე განვიხილეთ ამ ტიპის ერთადგილიანი სემანტიკური ერთეული ში(მ)-ცინმპაში, რომლით მოცემული გაგების პირთა გასწვრივ თანმიმდევრული დაკონკრეტებთაც ჩვენ ველებულობთ 'მცოვა', 'გცივა' და 'სცივა' ზმნურ სიტყვა-შინაარსებს. ამ ტიპის, ანუ ერთადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების, ძირეული მახასიათებელია ის, რომ ისინი იძლევიან შინაარსულ გაგებას ერთი რომელიმე პირის ერთი გარკვეული შინაგანი მდგომარეობის შესახებ სხვა საგნებისაგან და ვითარებებისაგან დაბოუყიდებლად. ასე, მაგალითად: 'მე მცოვა' ახასიათებს 'მეს' 'სიცივის მდგომარეობაში' ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზის მიუნიშნებლად და იგი 'ვილაცას სცივა' ფრაზით მოცემული ზოგადი გაგების პირველ პირითი კერძო შემთხვევაა, რომლის მეორე პირითი კერძო შემთხვევაა 'გცივა' ზმნური ფორმით, ხოლო მესამე პირითი კერძო შემთხვევაა 'სცივა' ზმნური ფორმით მოიქცევა. ამგვარად, თუ ამ ტიპის ერთადგილიანი მდგომარეობითი სემანტიკების ძირეულად არსებობას დაუშვებთ, მაშინ 'მცოვა', 'გცივა', 'სცივა' ზმნური ფორმები ქართული ენობრივი სისტემის ერთპირიანი ზმნური ფორმებია, რაც 'ე' ტიპის პირის ნიშნების ობლიგატურობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს. პირის ნიშნების თაობაზე საუბარი ქვემოთაც გვექნება, მანამდე კი, დაუბრუნდეთ მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებას და გაეანალიზოთ ზმნურ სიტყვა-ფორმათა 'მ-ცოვა', 'გ-ცივა', 'ს-ცივა', 'ცივა' მწკრივი: ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ 'ცივა' პრინციპულად განსხვავებული ტიპის ზმნური შინაარსია 'მცოვა', 'გცივა' და 'სცივა' ზმნური შინაარსებისაგან. 'ცივა'-ს ჩვენ არაუშვებლადი ზმნური ფორმაც ვუწოდებთ, თუმცა ჩვენ არც იმას გამოვიცხავთ, რომ 'ცივა' როგორც ერთ-ერთი უღელილებითი ფორმა 'მცოვა', 'გცივა', 'სცივა' უღლებით მწკრივში ჩაეაყენოთ და ნაცვლად ამგვარი სამელებეტიანი უღლებითი მწკრივისა ასეთი სემანტიკებისათვის უღლილების ცნების ბუნებრივი გაფართოების ხარჯზე განესაზღვროთ ოთხელებეტიანი უღლებითი მწკრივი, რომლის მეოთხე 'ცივა' ტიპის ელემენტს ბუნებრივია 'უპირო ფორმა' ვუწოდოთ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ უკვე გვაქვს პირველი პირის, მეორე პირისა და მესამე პირის ზმნური ფორმები.. საკითხის ასეთ გადაწყვეტას ეარგუმენტება ისიც, რომ ჩვენს მიერ უკვე 'უპირო ფორმად' წოდებული 'ცივა' ზმნური ფორმა-შინაარსის არსებობა გაელენას ახდენს დანარჩენი სამი ზმნური ფორმის ფორმალურ დერვიაციაზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ბუნებრივი ქართულ ენობრივ სისტემაში ერთადგილიანი მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებით ნაწარმოები მარტივი გაგების ზმნურ სიტყვა-ფორმებში მესამე მდგომარეობითი პირის ნიშანი მიდრეკილია გაქრობისაკენ, რაც სისტემურად მართლდება კონკრეტული სემანტიკებისათვის 'ცივა' ტიპის ზმნური შინაარსების არ არსებობით. ასე მაგალითად, დღეს ნაცვლად ფორმებისა 'სტცივა', 'ს'შია', 'სწყურია' უფრო მეტად დამკვიდრებულია ფორმები 'ტცივა', 'შია', 'წყურია', რაც ენობრივი ნიშნის პირობით და ოპტიმალობაზე რეაგირებად შინაგან სიღრმისეულ ბუნებაზე გვანიშნებს. - სანამ ორადგილიანი მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების ზოგად განხილვაზე გადავალოთ მოკლედ შევეხებით მდგომარეობისპირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებთან ობლიგატორულ ანუ აუცილებელ მ-ტიპის პირის ნიშანთა ერთ თავისებურებას: განვიხილოდ 'ქვას სცივა', 'ქვა გორავს' და 'ქვა აშენებს სახლს' ფრაზებით მოცემული ენობრივი შინაარსები. პირველი წინადადების შემთხვევაში,

რომელიც მდგომარეობისპირიანი მარტივი ანუ პირდაპირჩასმითი გაგების 'სცივა' სამსჯელო ზმნური სიტყვა-შინაარსით არის აგებული, სიტყვა-ფორმითი შინაარსი 'ქეა' დასინტაქსისდა რა 'სცივა' პრედიკატულ სიტყვა-ფორმით შინაარსთან, გამომდინარე ამ უკანასკნელის მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური წარმოშობიდან, მოექცა სისტემურად შესაბამისი ალევორიზაციის ქვეშ, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა სამსჯელო 'ქეის' გაგებითი გასულიერება, რაც, ისევე ვიმეორებთ, განაპირობებულა მდგომარეობისპირიანი 'სცივა' პრედიკატივის სპეციფიკურებით, რამდენადაც ანალოგიური ტიპის ალევორიზაციასთან გვაქვს საქმე თითქმის ნებისმიერ მდგომარეობისპირიან ზმნურ სიტყვა-შინაარსთან. ასე მაგალითად, თუ ჩვენ განვიხილავთ ორუღლებადღელიან მდგომარეობისპირიან 'უყვარს' ზმნურ სიტყვა-შინაარსით აგებულ ენობრივ ფრაზას 'ვაშლს უყვარს მსხალი', დაერწმუნდებით, რომ ამ ფრაზაში 'ვაშლს' სიტყვა-ფორმით მოცემული შინაარსი სულიერდება, მაშინ როდესაც 'მსხალი' სიტყვა-ფორმით მოცემული შინაარსი არაფერს ამგვარს არ განიცდის. ამგვარად, მდგომარეობისპირიან მარტივ ზმნურ სიტყვა შინაარსებში 'მ'-ტიპის ობლიგატორული პირის ნიშნით მასთან დასინტაქსებული სიტყვა-ფორმითი რაობა თითქმის ყოველთვის სულიერ შინაარსად გაიგება, რაც საფუძველია ზემოთ 'სისტემური ალევორიზაციით' დატერმინებული ლინგვისტური ცნებისა, რომელიც ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში თითქმის ამომწურავად ასახავს მდგომარეობისპირიანი ზმნური შინაარსებისა და მდგომარეობისპირზედ მანიშნებელი 'მ'-ტიპის პირის ნიშანთა თავისებურებებს. - აქ შემჩნეულ ვითარებას ჩვენ სასაფუძვლოდ ვიღებთ ამ ტიპის ზმნურ სამსჯელო შინაარსებით აგებული მარტივი წინადადებებისათვის სუბიექტის და ობიექტის ცნებების განსასაზღვრავად, და კერძოდ, ჩვენ ვთვლით, რომ: მომქმედპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებით ნაწარმოებ მარტივი გაგების ზმნურ სიტყვა-ფორმებში სუბიექტზე, ანუ გამომდინარე ჩვენი გრამატიკული ხედვებიდან, ძირითად სამსჯელო სახელზე მანიშნებლობა 'ვ'-ტიპის პირის ნიშნით ხორციელდება, მაშინ როდესაც, მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებისაგან წარმოებული მარტივი გაგების ზმნურ სიტყვა-ფორმებში სუბიექტზე, ანუ, როგორც უკვე ხაზგასმულ იქნა, ძირითად სამსჯელო საგან-სახელზე სისტემა 'მ'-ტიპის პირის ნიშნით გემანიშნებლობს, რითაც ჩვენ ერთგვარად ვემთხვევით ჩიქობავასეულ ხედვებს რეალური ანუ სემანტიკური სუბიექტის თაობაზედ, თუმცა მისგან განსხვავებით უარყოფთ შანიძისეული სისტემისათვის დამახასიათებელ, მისეული მორფოლოგიური ანუ ფორმალური სუბიექტის გაგებას, რომელიც ფაქტიურად ემყარებოდა რა, ერთის მხრივ, 'ვ'-ტიპის პირის ნიშნის ობლიგატურობას, და მეორეს მხრივ კი, ქართულ ენობრივ-გრამატიკულ სისტემაში იგივე 'ვ'-ტიპის პირის ნიშნის სუბიექტურ პირის ნიშნად განაზრება-გამოცხადებას, მორფოლოგიურ სუბიექტად ყოველთვის ამ ტიპის პირის ნიშნით მონიშნულ პირს გეუბლობდა, რასაც ჩვენ ბუნებრივია ვერ დავეთანხმებით გამომდინარე ზემოთ აღნიშნულთაგან, სადაც უკვე უარყოფით იქნა 'ვ'-ტიპის პირის ნიშნის ობლიგატორულობის საკითხი, ისევე როგორც, ქართული ენობრივ-გრამატიკული სისტემის ის ფუნდამენტური სასაფუძველო შემადგენელი, რასაც ამ სისტემაში მხოლოდ ორი 'ვ' და 'მ' ტიპის პირის ნიშანთა მანამდე გაგებული არსებობა გულისხმობდა. - ამ მიმართულებით უფრო ამომწურავი თეორიული დასკვნების გაკეთება შემდგომის საქმეა, თუმცა აქვე გვინდა მოვნიშნოთ, რომ ჩვენთვის სუბიექტის და სხვადასხვა ტიპის ობიექტების დეფინირება-კლასიფიცირების საკითხი ძირითადად დაიყვანება წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის სამსჯელო ადგილთა

დეფინირება-კლასიფიცირების საკითხზე. ამასთან, ჩვენ დავეყრდნობით ლინგუო-ლოგიკური ანუ ენობრივ-ლოგიკური ხასიათის ისეთ უზოგადეს ცნებას, როგორცაა სიტყვის პირველშიზების ცნება, და კერძოდ, მოგვიწვევს ამ ცნებით იმ ქვეცნებით გააზრების დეტალური განხილვა რომელსაც ზმნური სიტყვა-შინაარსის წინამძღუთა რიგითი განაწილება ჰქმნის ქვანტურ-აზროვნებით დროით-მეყსეულ დანაწილებაში. გარდა ამისა, საკითხთა განხილვისას ჩვენ დაგვჭირდება მარტივი გაგებისა და არამარტივი ანუ ინტეგრალური ანუ შეჯამებული გაგების ზმნური სიტყვა-შინაარსების ურთიერთგანყოფა, თუმცა უკვე საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად დერევაციული წარსულისა ზმნურ სიტყვა-შინაარსებთან ლოგიკურად მიბმულ N-მა, N-ი და N-ს ტიპის ადგილებს შორის აზროვნებით დროით-ქვანტურ რიგში N-მა ტიპის ადგილი ყოველთვის დროში წინ უსწრებს მასთანვე არსებულ სხვა ტიპის ადგილებს, მაშინ როდესაც, N-ს ტიპის ადგილი ყოველთვის ნაბოლარაა დანარჩენი ტიპის ადგილთა მეყსეულ დროით-ქვანტურ გონებით რიგში. ანუ, ჩვენ ვთვით, რომ ქართულ ენობრივ-გამატიკულ სისტემაში N-ი, N-მა და N-ს ტიპის ბრუნვითი ფორმების უზოგადესი შინაარსული მანიშნებლობა რეალიზდება ამ ბრუნვითი ფორმებით მოწვებულ სამსჯელო იდეათა რიგითობით ლოგიკურ-გონებითად ერთმანეთზე მიბმულ მეყსეულ დროით-ქვანტურ მონაცვლეობაში. - ეხლა დავუბრუნდეთ მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებას და ზოგადად განვიხილოთ ამ ტიპის ორადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები: ჩვენთვის 'მიყვარს', 'გეყვარს', 'უყვარს', 'უყვარვარ', 'უყვარხარ', 'მიყვარხარ', 'გეყვარვარ' წარმოადგენს ორუღლებადადგილიანი მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით ნაწარმოებ სრულ (შეიდევერიან) უღლებით მწკრივს, რომლის გაგებითად განმსაზღვრელ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს 'ში-მპარამპულ(ობა)ში მყოფნა(ობა)' ექსტრა ლინგვისტური გამოსახულებით მოენიშნავთ. ეხლა გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენთვის 'ში-აქულაქულ(ობა)ში მყოფნა(ობა)' ორუღლებადადგილიანი მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია და რომ 'მძულს', 'გძულს', 'სძულს' ვძულვარ', 'ძულხარ', 'მძულხარ' და 'გძულვარ' მისგან პირდაპირ ჩასმითად ნაწარმოები შეიდევერიანი უღლებითი მწკრივია. - ისევე ვიმეორებთ, ჩვენ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების ზოგად აზროვნებითი შინაარსის გამომხატველი ენობრივი ფორმების ძიებაში ვართ და ამ ძიებისას ძირითად საყრდენად ვივლით ბუნებრივი მიხედვადობის მეტად სანტიგრესო პრინციპს, რომელსაც თუ ეცდით და ვერ გაეკატარეთ, მაშინ ამ სემანტიკური ერთეულების ექსტრაგერბალიზაციის იდეას ღირებულება ეკარგება და მასზედ ჩვენ სრული მომცველობითობით არსებითად უარსაც ვიტყვით. ამგვარად, ძიების პროცესში მყოფნი, უკვე 'ში-მპარამპულ(ობა)ში მყოფნა(ობა)'-თი მონიშნული მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ადმნიშენელ ექსტრა ლინგვისტურ გამოსახულებად, შესაბამისი ზმნური სიტყვა ფორმების მორფემულ-დერევაციული წარმომავლობიდან გამომდინარე '(მ)მპარ' გამოსახულებას ავირჩევთ, რომლის ფრჩხილებში განთავსებული ნაწილი გვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენთვის იგი მდგომარეობისპირიანი სემანტიკური ერთეულია. '(მ)მპარ(N;N)' და '(მ)მპარ(N-ს ; N-ი)' შესაბამისად ამ სემანტიკური ერთეულის ზოგადტიპობრივი და ზოგადლინგვისტურტიპობრივი ადწერითი სახეებია. ანალოგიურად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენთვის, ანალოგიურევე შინაარსული დატვირთვებით განიხილება '(მ)ქულ', '(მ)ქულ(N ; N)' და '(მ)ქულ(N-ს ; N-ი)' გარე ენობრივი გამოსახულებები. -

ამგვარად, ჩვენ უკვე ზოგადად განვიხილეთ მდგომარეობისპირიანი ერთადგილიანი და ორადგილიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები, რომელთა საერთო ლინგვისტური თავისებურებაა ის, რომ მათი მთავარი სამსჯელო ადგილი არის მდგომარეობის პირის ადგილი, რომელიც ლინგვისტურად ყოველთვის N-ს ტიპით ხასიათდება, რაც თავისმხრივ იმას ნიშნავს, რომ ენობრივად მდგომარეობის პირი ყოველთვის N-ს ტიპის სახელური ფრაზით მოიცემა. რაც შეეხება ამ ტიპის ორადგილიანი სემანტიკების მეორე სამსჯელო ადგილს იგი ზოგადტიპობრივად მდგომარეობის მიზეზის ადგილად ისაზღვრება და გამომდინარე პერექლსაწყისი სემანტიკური ერთეულის სპეციფიურობიდან იგი ან სუბსტანციურია ანუ საგნობრივია ანუ სახელურია ანუ N ტიპისა ან რელაციურია ანუ მიმართებითია ანუ ზმნურია ანუ V ტიპისაა. ამასთან, არსებობენ ისეთი მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები რომელთა მდგომარეობის მიზეზის ადგილის ტიპია N და არ არის V, შესაბამისად, არსებობენ ისეთი მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებიც, რომელთა მდგომარეობის მიზეზის ადგილის ტიპია V და არ არის N, და ისეთებიც, რომელთა მდგომარეობის მიზეზის ადგილის ტიპი პოლისემიურად V და N ტიპობრივი მახასიათებლობით ხასიათდებიან. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული 'უნდა' სემანტიკური ერთეულის მდგომარეობის მიზეზის ადგილის ტიპია V, ხოლო 'მინდა' სემანტიკური ერთეულის მდგომარეობის მიზეზის ადგილის ტიპი პოლისემიურად V და N ტიპებით ისაზღვრება, მაშინ როდესაც 'ქონა' სემანტიკური ერთეულის მდგომარეობის მიზეზის ადგილის ტიპია N. განვიხილოთ ამ თვალსაზრისებით '(მ)ჰმარ' და '(მ)ცმმ' სემანტიკები. ჩვენს მიერ უკვე გაკეთებული აღწერიდან ჩანს, რომ '(მ)ჰმარ' სემანტიკური ერთეულის მეორე სამსჯელო ადგილის ანუ მდგომარეობის მიზეზის ადგილი ზოგადტიპობრივად არის N.ტიპის, რაც გვანაშნავს იმაზედ რომ პირდაპირობით ეს სემანტიკა მსჯელობს მხოლოდ სახელით მოცემულ სამსჯელო სუბსტანტზე. – ანუ, ის რაც ვინმეს შეიძლება 'უყვარდეს' ან 'არ უყვარდეს', თავისმხრივ შეიძლება იყოს ან 'ვაშლი' ან 'შხალი' ან 'ქალი' ან 'ბავშვი' ან 'საქმე' ან 'წერა' ან 'მღერა' ან კიდევ ნებისმიერი სხვა რაიმე ან ვინმე, ოღონდ ენობრივად ის მოცემული უნდა იქნეს N-ი ტიპის სახელური ფრაზით. – ეს ცხადია, მაგრამ იმის თქმა, რომ '(მ)ჰმარ' სემანტიკური ერთეულით არ შეიძლება მსჯელობა შედგეს რელაციურ ანუ V ტიპის შინაარსზე რა თქმა უნდა არასწორია. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: რა ენობრივი საშუალებებით ახერხებს ამას ენა? – განვიხილოთ ასეთი მაგალითები: 'მე მიყვარს ის რომ ბავშვს სამშობლო უყვარს', 'მე მიყვარს ბავშვი მაგრამ არ მიყვარს ის რომ ბავშვს უყვარს ტყუილები', 'მე მიყვარს ბავშვს რომ სამშობლო უყვარს', 'მე მიყვარს ბავშვი და არ მიყვარს ბავშვს ტყუილები რომ უყვარს'. თუ ამ მაგალითებს, რომლებშიც ჩვენ სასვენი ნიშნები განზრახ არ დაესვით, კარგად დაეკვირდებით ადვილად დავასკვნით, რომ მათში 'რომ' სიტყვა-ოპერატორი, რომელსაც ჩვენ ზოგჯერ სიტყვა-სინტაქსატორსაც, ზოგჯერ კი, მოკლედ, სინტაქსატორსაც ეუწოდებთ ხოლმე, ძირეულ და სასაფუძვლო დატვირთვას იღებს თავის თავზე, როგორც ამ წინადადებებისათვის დამახასიათებელი მთლიანი ენობრივი სინტაქსისის შეკერაში, ისე მათით გატარებული და მათში არსებული ერთი მთლიანი შინაარსული სინტაქსისის ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ: ზმნურ შინაარსებზე ლინგვისტურად არა ორიენტირებული და სემანტიკურად მათზე განერცობადი ზმნური შინაარსები სემანტიკურად მათზე მიღმად ზმნურ შინაარსებზე მსჯელობათა ენობრივად გაფორმებას ახერხებენ 'რომ' სინტაქსატორის


მეშვეობით. – ეს მნიშვნელოვანი დასკვნაა: - იგი გვაიძულებს ახლებურად შეხედოთ 'რომ' სინტაქსატორს, და ამასთან, თითქმის ამოწმურავ საფუძველს იძლევა მისი ფორმალურ ლოგიკური აღწერისათვის. – ამჯერად ამ მიმართულებით აღარ გავრცობადებით, უბრალოდ მოვნიშნავთ იმას, რომ აქ განვითარებული მიდგომები საშუალებას იძლევა ენობრივ სისტემაში სხვა და სხვა ტიპის სიტყვა სინტაქსატორების, როგორც გამოყოფისა, ისე მათი აღწერისა. – ამგვარად, თუ კვლავ დაგუბრუნდებით განსახილველს, და კერძოდ, საუბარს გავაგრძელებთ '(მ)ჰმარ' სემანტიკური ერთეულის მეორე სამსჯელო ადგილის თაობაზე, დავასკენით, რომ: იგი, ან მდგომარეობის მიზეზობრივი პირია, ანდა იგი, მდგომარეობის მიზეზობრივი საგანია. ამ ორიდან პირველი გარემოება გამონაკლისის გარეშე უზრუნველყოფს იმას, რომ '(მ)ჰმარ'. ისევე როგორც, '(მ)ჰმ' ჩვენთან ორულდებადგლიან ზმნურ სიტყვა-შინაარსებად გაიგება, და რომ შესაბამისად ამისა, ისინი ბუნებრივად იძლევიან ქართული ენისათვის დამახასიათებელ შეიდეგემპირიან უღლებით მწკრივს. – ესლა გავაიღეთ '(მ)მ)მ' სემანტიკაზე და განვიხილოთ იგი უკვე დაიბრუნებული თვალსაზრისით: ჩვენ იგი აღწერეთ როგორც ერთადგილიანი მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, ანუ ჩვენთვის 'მე მცოვა' სრული განურცობელი მარტივი წინადადება. – ეს გასაგებია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: რა ტიპის წინადადებად უნდა იქნეს განხილული ენობრივი გამოსახულება 'მე მცოვა ფეხზე'? – თუ მას წინადადებად ჩავთვლით, და რა თქმა უნდა იგი წინადადობრივი ტიპის ენობრივი გამოსახულებაა, მაშინ იგი გამომდინარე წინა დებულებიდან მარტივ განურცობილ წინადადებად უნდა იქნეს გაგებული. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, სიტყვა 'ფეხზე' ამ წინადადების არა ძირითადი წევრია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი, ან რომელიმე ტიპის განსაზღვრება უნდა იყოს, ან რომელიმე ტიპის შემთხვევა, რაც, ჩვენი აზრით, განსახილველი წინადადების შემთხვევაში ვითარების არასწორად შეფასება იქნებოდა. ამგვარად, ჩვენ კიდევ ერთხელ მივადგვით ენათმეცნიერული თეორიული სისტემისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორიცაა მარტივ წინადადებაში წინადადების ძირითადი და არაძირითადი წევრების ერთმანეთისაგან მეცნიერულად დაფუძნებული და დასაბუთებული განჩრევა-განცალკაეება: ჩვენ ვამბობთ, რომ ნებისმიერი წინადადება იძლევა ლოგიკურად გარკვეულად გაფორმებულ და შინაარსით ჭეშმარიტულად გაგებულ, ერთგვარი პირობითობით დასრულებულ ენობრივ-აზროვნებით სურათს, რომლის დასრულებულობის პირობითობა სწორედ იმაშია, რომ უკვე ამგვარად მოცემულ, მარტივ და შინაარსულად სრულ წინადადობრივ სურათს ენობრივ-აზროვნებით ველში, თავად ამ გარკვეული ლოგიკურობით ოპტიმალური სურათის თავდაპირველი ზოგადი სახის შეუცვლელად, ჩვენ, ჩვენი სურვილის შესაბამისად, შეგვიძლია მივუჩინოთ გარკვეული ან დროითად, ან სიერცვლად, ან მიზნობრივად, ან მიზეზობრივად, ან კიდევ მისი რომელიმე ძირითადი წევრის ან წევრების ან თვისობითად, ან ვითარებითად, ან რაოდენობრივად, ან კიდევ რაიმეგვარად განმსაზღვრელი რაიმე ატრიბუტი, რომლითაც განივრცობა რა თავდაპირველი მარტივი განურცობელი წინადადობრივი შინაარსი გარდაიქმნება იგი მარტივ განურცობელი წინადადობრივ შინაარსად. – აქედან გამომდინარე დავსვამთ კითხვა: შეიძლება თუ არა 'მე მცოვა ფეხზე' წინადადება განხილულ იქნეს, როგორც 'მე მცოვა' წინადადების გარკვეული ტიპის ატრიბუტული განურცობის შედეგად მიღებულ წინადადებად, და შესაბამისად, შეიძლება თუ არა სიტყვა 'ფეხზე' განხილულ იქნეს, როგორც 'მე მცოვა' წინადადების ატრიბუტულად განმეორცობ სიტყვად? – ჩვენი პასუხი აქ ამგვარია: კითხვად დაყენებული შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ 'მცოცა ფეხზე' შინაარსს ჩათვლით 'მცოცა' ზმნური შინაარსის ატრიბუტული, ანუ ამ შემთხვევაში, გარკვეული თვისობითი დაზუსტებით მიღებულ ზმნურ შინაარსად, რისი ლოგიკურობის სრული და ხელაღებით უარყოფა არც ისე ადვილად იქმედდება სულად განმსჯელი ლოლიკურობას, მაგრამ, თუ მინც, მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ ამგვარ ხედვას უარყოფთ, გამომდინარე იქიდან, რომ 'მე მცოცა' მსჯელობით 'მე'-ზე მოცემული შეტყობინება 'მე მცოცა ფეხზე' მსჯელობით არა იმდენად ზუსტდება, რამდენადაც ბათილდება. – ანუ, 'მე მცოცა ფეხზე' მსჯელობით მოცემული შეტყობინების შემთხვევაში მსმენელს 'მე' პირზე ჭეშმარიტობით იმის თქმა, რომ 'მას სცივა' აღარ შეუძლია, რისი მიზეზიც სწორედ, 'მე მცოცა ფეხზე' ფრაზის იმ თვისებაშია, რომ იგი კი არ აზუსტებს 'მე მცოცა' შინაარსს, არამედ აბათილებს მას. – ამგვარი ფრთხილი, და ვფიქრობთ, ზუსტი მსჯელობის საფუძველზე ვასკენით, რომ: 'მე მცოცა ფეხზე' წინადადებაში სიტყვა 'ფეხზე', ისევე როგორც, სიტყვები 'მე' და 'მცოცა' წინადადების ძირითადი წევრები არიან. აქედან გამომდინარე, '(მ)ცინვ' მდგომარეობისპირიანი სემანტიკური ერთეულის ზოგადენობრივი დაზუსტებული აღწერითი სახეა '(მ)ცინვ(N-ს ; N-ზე)'. – აქ განვითარებული მსჯელობის ძირითადი ღირებულება არა ის, რომ შედეგად მსჯელობისა გარკვეულად დაზუსტდა '(მ)ცინვ' სემანტიკური ერთეულის აღწერა, არამედ უფრო ის, რომ იქ განვითარებული მსჯელობისა გამოიკვეთა შინაარსულად გასაგები პრინციპი იმისა, თუ როგორ უნდა განვარჩიოთ ერთმანეთისაგან წინადადების ძირითადი და არაძირითადი წევრები, რაც შესაბამისად არსებითი საფუძველია იმისა, რომ დაფუძნებულად და მკაცრად მეცნიერულად იქნეს გადაწყვეტილი მარტივი წინადადების საკითხი. განვიხილოთ კიდევ ერთი მდგომარეობისპირიანი სემანტიკური ერთეული. მას ჩვენ ზოგადლინგვისტურად '(მ)შიში(N-ს ; N-ის)' გამოსახულებასთან ერთად '(მ)შიში(N-ს)' გამოსახულებითაც აღწერთ, რითაც ჩვენ ხაზს იმასაც ვუსვამთ, რომ: რამდენადაც, მთელი თეორიული ენობრივი სისტემის სრული და მკაცრი ფორმალური წესრიგის მოძიების საქმეში სემანტიკური ერთეულების ზუსტ და ამომწურავ აღწერებს საფუნდამენტო როლი ენიჭებათ, ეცილობთ, და გამომდინარე აღნიშნულიდან, არ ექპარობთ მათთან დაკავშირებით საბოლოო და უკვე შეჯამებულ-დასაბუთებული დასკვნების გაფორმებას. უფრო კონკრეტულად: შეუადაროთ ერთმანეთს წინადადებები 'მე მეშინია' და 'მე მეშინია დათვის'. – ამ შემთხვევაში, 'დათვის მეშინია' არ აბათილებს 'მეშინია' შინაარსს, რაც საფუძველია იმისა, რომ 'მე მეშინია' წინადადება მარტივი წინადადებად იქნეს გაგებული, ხოლო 'მე მეშინია დათვის' კი მისი განეცობის შედაგად მიღებულ წინადადებად. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე 'მე მეშინია' და 'მე მეშინია შენი', 'მე მესმის' და 'მე მესმის ამ კაცის', 'მე ვერ ვგებულობ' და 'მე ვერ ვგებულობ ამ კაცისას' წინადადებათა წყვილებისათვის. – აქ, საკითხები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს აღწერითი საფუძველები, არა ნაჩქარევ, არამედ ღრმად დაფუძნებულ და არაორჭოფულად დასაბუთებულ ხედვებს უნდა დაემყაროს, რადგან ის რაც ერთხელ იქნება მიგნებული, და სისტემაში მისი ფუნქციონირების შესაბამისად აღწერილი, მერე უკვე, გამომდინარე მისი ბუნებრივობის შესაბამისი სრული სისტემური ადეკვატიზაციიდან, კი აღარ შექნის სირთულეებს, არამედ პირიქით, დამხმარე საისტრუმენტო საშუალებად იქცევა თანამდევ პრობლემათა და მიმდინარე საკითხთა გადაწყვეტისას. – მდგომარეობისპირიანი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების ამ პირველი ზოგადი ანილიზის დასასრულს შემაჯამებელი დასკვნების სახით: წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა ეს ტიპი მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. მათი

საზოგადო მახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მათი ძირითადი ანუ პირველი ანუ სუბიექტური სამსჯელო ადგილი ყოველთვის ითვალისწინებს მდგომარეობის პირს, ამასთან ამ ადგილის გასწვრივ შესაბამისი ზმნური სიტყვა ფორმა გამოხატვის გარეშე უღლებადია, და რადგანაც ეს ძირითადი უღლებადი ადგილი ყოველთვის 'მ' ტიპის პირის ნიშნით ინიშნება, ამ ტიპის სემანტიკური ერთეულების აღსანიშნავად, ჩვენ [მW] აღნიშნავს გამოვიყენებთ. აქვე შევთანხმდეთ, რომ [ვW] და [უ-ვარW] გამოსახულებებით მომქმედპირიან და საგნობრივპირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს აღნიშნავთ, ხოლო [W]-თი ჩვენთან უპირო, ანუ მეტყველებირზემიბმული, ანუ არაუღლებადი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების კლასია აღნიშნული. გარდა ამისა, მდგომარეობისპირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა კლასი ბუნებრივად იყოფა ორუღლებადადგილიან და ერთუღლებადადგილიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა კლასებად. ამასთან, შანიძისეული სისტემის პირველი სერიის პირველი წრის აწმყო წრის, რომელსაც ჩვენ აწმყო დროითი ფანჯარაც ეუწოდებთ, ამ ტიპის ზმნური ფორმებით პოლისემიურად რვალიზდება აწმყოში მიმდინარე მდგომარეობითი და აწმყოში არა მიმდინარე მდგომარეობითი ზმნური შინაარსები. ამგვარად, ნებისმიერი ერთადგილიანი W(-1), შესაბამისად, ორადგილიანი W(-1, -2) წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული ან მომქმედპირიანია, ან საგნობრივპირიანია, ან მდგომარეობის პირიანია. ამასთან, აწმყო დროით ფანჯარად გაგებული მწკრივით თითოეული მათთაგანი ერთი ენობრივი ფორმით პოლისემიურად რვალიზებას უკეთებს შესაბამისი ზმნური შინაარსების აწმყო დროში არა მიმდინარე ანუ აწმყო ხოლმეობით და აწმყო დროში არა ხოლმეობით ანუ აწმყო დროში მიმდინარე აზროვნებით დროით შინაარსულ გაგებებს. - ანუ, შანიძისეული სასაყრდენე ენობრივ-დროითი თეალსარისი იმის თაობაზე, რომ ისევე როგორც ბუნებითი დრო, გრამატიკული დროც, მხოლოდ სამი შეიძლება იყოს, ჩვენთვის მიუღებელია.

ამგვარად, ჩვენ უკვე ინტუციურ დონეზე ზოგადად მიმოვიხილეთ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ლოგიკურ-ლინგვისტურად ფუნდამენტური ხასიათის ცნება, და, გაეაკეთედ რა მათი სიღრმისეული სემანტიკური კლასიფიკაცია, დასაბუთებულად წარმოვაჩინეთ, ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში 'ვ' და 'მ' ტიპის პირის ნიშნითან ერთად 'უ-ვარ' ტიპის პირის ნიშნის არსებობა. გარდა აღნიშნულისა, განხილვის პროცესში კრიტიკულად შეეხეთ ქართული კლასიკური ენობრივ-გრამატიკული სისტემის ისეთ ფუნდამენტურ შემადგენლებს როგორებიცაა უღლებითი სისტემა, მარტივი წინადადებისა და მარტივი წინადადებში ძირითადი და არა ძირითადი წევრების საკითხი. ახლებურად იქნა აგრეთვე გადააზრებული რთული წინადადების დღეს არსებული ენათმეცნიერული გაგება. წამოწეული პრობლემატიკის განხილვის პროცესში გამოიკვეთა საერთო სისტემური ენობრივ-აზროვნებითი გაგებადობის მარეალიზირებელი სასაფუძველო ზოგად-თეორიული ფორმალური პრინციპები. ქვემოთ, ჩვენ, გაგებადობის თეორიული პრინციპების სრული გათვალისწინებით გაავსუქებთ შინაარსულად უკვე აღწერილ და ლინგვისტურად კლასიფიცირებულ პირის ნიშანთა ფორმალურ-ოპერატორულ ყოფაცქეებს, რის შემდგომაც და რის საფუძველზეც განხილულ იქნება ინტეგრალური ანუ შეჯამებული გაგებისა და არაინტეგრალური ანუ მარტივი გაგების ზმნურ სიტყვა შინაარსთა ენობრივ-ლოგიკური ბუნება. - ეს შემდგომ. მანამდე კი, ძალიან მოკლედ, ქვემოთ მოცემული სქემით განსაზღვრული ქართული ზმნის ღრმა ენობრივი დერეიაცული წინაპარის ანუ მისი გაგებითად მარეალიზირებელი ანუ ქართული წინარე ზმნური

შინააზროთი ერთეულების პირველი ზოგადტიპობრივი სემანტიკური კლასიფიკაციის შესახებ: როგორც სქემიდან ჩანს, ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის ნებისმიერი წინარე ზმნური შინააზროთი ანუ სემანტიკური ერთეული ან არაუღლებადია, ანუ [W] ტიპისა, ან უღლებადია, ანუ [-W] ტიპისა. ამასთან, უღლებად სემანტიკურ ერთეულთა კლასი ბუნებრივად იყოფა ორადგილიან და ერთადგილიან სემანტიკურ ერთეულთა კლასებად, რომლებიც სქემაზე შესაბამისად [-W(-1; -2)] და [-W(-1)] სიმბოლოებით კლასიფიცირდებიან, რომლებიც თავისმხრივ ასევე ბუნებრივად იყოფიან 'ე' ტიპის, 'ე-ვარ' ტიპის და 'შ' ტიპის ქვეკლასებად. ეს ქვეკლასები, შესაბამისად მათი ადგილიანობისა სქემაზე აღინიშნული არიან [ეW(-1)] და [ეW(-1; -2)], [ე-ვარ W(-1)] და [ე-ვარ W(-1; -2)] და [შW(-1)] და [შW(-1; -2)] სიმბოლოებით და რიგის მიხედვით ენობრივად იწოდებიან ერთადგილიან მომქმედპირიან, ორადგილიან მომქმედპირიან, ერთადგილიან საგნობრივიპირიან, ორადგილიან საგნობრივიპირიან, ერთადგილიან მდგომარეობისპირიან და ორადგილიან მდგომარეობისპირიან წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა კლასებად. ამით ჩვენ დავამოთავრეთ ნახაზი 1-ით მოცემული სქემის მოკლე აღწერა და სანამ უკვე დაპირებული საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, ვიტყვი იმას, რომ ქვემოთ მოცემული ქართული ზმნის პირველი ზოგადსემანტიკური კლასიფიკირება არსებითად ეყრდნობა ქართული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ნახაზი 1-ით უკვე მოცემულ და აქ უკვე ნაწილობრივ აღწერილ პირველ სემანტიკურ კლასიფიკაციას. - აღნიშნულ კლასიფიკაციას ეუწოდებთ პირველ სემანტიკურ კლასიფიკაციას, რამდენადაც მისი საკმარისად ზოგადი მაკლასიფიკირებელი ნიშნობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე იგი ვერაფრით სემანტიკურ ერთეულთა სრულ სემანტიკურ კლასიფიკაციად ვერ ჩაითვლება, არამედ მხოლოდ პირველ ნაბიჯად საჭირო და სასურველი სრული სემანტიკური კლასიფიკაციისაკენ.



ნახაზი 1

გადმოცემას გადაგრძელებთ ენობრივი პირის ნიშნების ფორმალურ-მათემატიკურ ოპერატორულ ბუნებათა წარმოჩენის მიზნით: ჩვენთვის 'რაინდობა' [ეW(-1)] ტიპის,

ხოლო 'წერა' [ვW(-1; -2)] ტიპის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებზე მანიშნებელი ენობრივი გამოსახულებებია. ანუ, ისინი ჩვენთვის ძირეული გაგებითი საფეხურის უზოგადესი მსჯელობითი ზმნური შინაარსებია, რომელთა უღლებით პირთა გასწვრივ დაკონკრეტებითაც მიიღება მათზე უშუალო დერივაციით მიბმული და ენობრივად მოცემული ზმნური სიტყვა-შინაარსები. ანუ, ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენში 'ერაინდობ', 'რაინდობ', 'რაინდობს' და 'ეწერ', 'წერ', 'წერს' ზმნური სიტყვა-ფორმები მოცემულია და მათი შინაარსები გაგებულია, მანამდე უკვე ჩვენშივე ძირეულობით მოცემული და გაგებითად განხორციელებული 'რაინდობა' და 'წერა' სემანტიკური ერთეულებით. ანუ, ჩვენთვის, 'ერაინდობ', 'რაინდობ', 'რაინდობს', შესაბამისად 'ეწერ', 'წერ', 'წერს', ზმნური სიტყვა-ფორმების ფრჩხილებიანი მორფო-ოპერატორული სახეებია 'ვ(რაინდობ(ა))', '-(რაინდობ(ა))', '(რაინდობ(ა))ს', შესაბამისად 'ვ(წერ)', '-(წერ)', '(წერ)ს' მორფო-სინტაქსური ფორმები. ამ ფორმებით ნაჩვენებია, რომ ჩვენთვის 'ვ' პირის ნიშანი მარჯვნივ ერთადგილიანი ოპერატორია, რომელსაც ამ მისი ერთი მარჯვენა ადგილით აქვს უნარი უშუალოდ იოპერიროს [ვW] ტიპის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულზე, რაც იმას ნიშნავს, რომ აქვს უნარი უშუალოდ იოპერიროს ამ ერთეულით მოცემულ ძირეულ-აზროვნებით ზმნურ-შინაარსულ გაგებაზე. სწორედ ამ ოპერირების შედეგად იგი დერივაციულად იძლევა იმ აზროვნებით ზმნურ შინააზრს, რომელიც მიიღება შესაბამისი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით განსაზღვრულ ზოგად გაგებაში პირველი სამსჯელო-საუღლებელი ადგილის ნაცვლად პირველი ენობრივი პირის ჩასმით. ესლა გასაგები უნდა იყოს, რომ 'ს' პირის ნიშანი ჩვენთვის მარცხნივ ერთადგილიანი მორფემა-ოპერატორია, რომელიც უშუალოდ ოპერირებს [ვW] ტიპის სემანტიკურ ერთეულებზე და მსგავსად უკვე აღწერილი ოპერირებისა ოპერირების შედეგად იძლევა საოპერაციო წინარე ზმნურ სემანტიკურ გაგებაში პირველი სამსჯელო-საუღლებელი ადგილის მესამე ენობრივ-პირითი დაკონკრეტებით მიღებად წარმოებულ ზმნურ შინაარსულ გაგებას. ქვემოთ, უკვე მარტივად გასაგები ფორმულების მეშვეობით, ნაჩვენებია 'ვ' ტიპის პირის ნიშანთა ანუ 'ვ' ტიპის მორფემა-ოპერატორთა ფორმალურ-მათემატიკური ფუნქციონირება. ამ ფორმულებთან დაკავშირებით დამატებით ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მათში 'III0' გამოსახულება მესამე პირის ობიექტზე გვანიშნებს, რაც თავის მხრივ იმასაც ნიშნავს, რომ საოპერაციო სემანტიკურ ერთეულში შესაბამისი ადგილი არასაუღლებელი ადგილია

$$\begin{aligned} \text{ვ(რაინდობა)} &= \text{ვ(რაინდობა(-1))} = \text{რაინდობაე (I)} \\ \text{-რაინდობა)} &= \text{-(რაინდობა(-1))} = \text{რაინდობაე (II)} \\ \text{(რაინდობა)ს} &= \text{(რაინდობა(-1))ს} = \text{რაინდობაე (III)} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{ვ(წერ)} &= \text{ვ(წერა(-1; -2))} = \text{წერაე (I ; III0)} \\ \text{-წერ)} &= \text{-(წერა(-1; -2))} = \text{წერაე (II ; III0)} \\ \text{(წერ)ს} &= \text{(წერა(-1; -2))ს} = \text{წერაე (III ; III0)} \end{aligned}$$

[ვ-ვარW] ტიპის 'დბე' და 'პი0ე' სემანტიკური ერთეულების საფუძველზე ქვედა ფორმულებით ნაჩვენებია 'ვ-ვარ' ტიპის პირის ნიშნების ფორმალურ-მათემატიკური ფუნქციონირება, რაც გამომდინარე უკვე თქმულთან, ვფიქრობთ, დეტალური მინიშნებების გარეშეც გასაგები იქნება მკითხველისათვის.

ვ(ღგე)ვარ	=	ვ(ღბმ(-I))ვარ	=	ღბმ(I)
(ღგე)ხარ	=	(ღბმ(-I))ხარ	=	ღბმ(II)
(ღგ(ე)ა)ს	=	(ღბმ(-I))ს	=	ღბმ(III)

ვ(კიდი)ვარ	=	ვ(კიდი(-1 ; -2))ვარ	=	კიდი(I ; III)
(კიდი)ხარ	=	(კიდი(-1 ; -2))ხარ	=	კიდი(II ; III)
(კიდი)ა	=	(კიდი(-1 ; -2))ა	=	კიდი(III ; III)

‘კიდი’ სემანტიკური ერთეული, განსხვავებით წინა მაგალითში განხილულ ‘წირა’ სემანტიკური ერთეულიდან, ჩვენთან განიხილება ორულდებადადგილიან სემანტიკურ ერთეულად, რაზედაც ზედა ფორმულეებში გვანიშნებს ‘III’ შემადგენლის არსებობა ნაცვლად ‘III0’ შემადგენლისა, რაც თავისმხრივ განაპირობებს იმას, რომ მისი მეშვეობით ენობრივ სისტემაში განისაზღვრება შეიდეგემენტანი უღლებითი მწკრივი, სადაც უკვე ამ ტიპის სემანტიკებთან ოპერირებაში პირდაპირი ფორმალურ-ჩასმითი ფუნქციონირებით აქ ობლიგატორული ‘ვ-ვარ’ ტიპის პირის ნიშნებთან ერთად ერთვებიან ‘მ’ ტიპის პირის ნიშნებიც. ქვედა ფორმულები სწორედ ამ ფუნქციონირებას აჟღერებენ შუქს:

ვ(კიდი)ა	=	ვ(კიდი(-1 ; -2))ა	=	კიდი(II ; III)
მ(კიდი)ა	=	მ(კიდი(-1 ; -2))ა	=	კიდი(I ; III)
მ(კიდი)ხარ	=	მ(კიდი(-1 ; -2))ხარ	=	კიდი(I ; II)
ვ(კიდი)ვარ	=	ვ(კიდი(-1 ; -2))ვარ	=	კიდი(II ; I)

შემდეგი ფორმულები [მW] ტიპის ‘ცივა’ და ‘მულ’ სემანტიკური ერთეულების საფუძველზე აშუქებენ ცალკე ობლიგატორულად მომქმედი ‘მ’ ტიპის პირს ნიშნის პირდაპირ ჩასმით ფორმალურ-მათემატიკურ ოპერატორულ ბუნებას. ამასთან, აქ ნაჩვენებია მდგომარეობისპირიანი სემანტიკური ერთეულებიდან დერივაციულად მომდინარე ზმნური შინაარსებისათვის დამახასიათებელი ოთხეულემენტანი უღლებითი მწკრივი, რომლის მეოთხე უღლებითი ფორმის ‘III0’ შემადგენელი გვანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში მსჯელობა გაფორმებულია არა ენობრივ პირზე არამედ მესამე პირის ობიექტზე, რითაც სწორედ ეს მეოთხე ფორმა შინაარსულად არსებითად განისხვავებს თავს დანარჩენი სამი უღლებითი შემადგენლებიდან. გარდა აღნიშნულისა, ქვედა ფორმულების მეშვეობით შუქდება ‘მ’ და ‘ვ-ვარ’ ტიპის პირისნიშანთა ერთდროული პირდაპირჩასმითი ოპერირება, რაც, როგორც უკვე ენახეთ, იძლევა ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემისათვის ბუნებრივად დამახასიათებელ შეიდეგემენტან უღლებით მწკრივს

მ(ცივა)	=	მ(ცივა(-1))	=	ცივა(I)
გ(ცივა)	=	გ(ცივა(-1))	=	ცივა(II)
ს(ცივა)	=	ს(ცივა(-1))	=	ცივა(III)
(ცივა)	=	(ცივა(-1))	=	ცივა(III0)

მ(ძულ)ს	=	მ(ძულ(-1 ; -2)ს	=	ძულ(I ; III)
გ(ძულ)ს	=	მ(ძულ(-1 ; -2)ს	=	ძულ(II ; III)
(ჰ)ს(ძულ)ს	=	(ჰ)ს(ძულ(-1 ; -2)ს	=	ძულ(III ; II)
(ძულ)ხარ	=	(ძულ(-1 ; -2)ხარ	=	ძულ(III ; I)
ვ(ძულ)ვარ	=	ვ(ძულ(-1 ; -2)ვარ	=	ძულ(III ; I)
გ(ძულ)ვარ	=	გ(ძულ(-1 ; -2)ვარ	=	ძულ(II ; I)
მ(ძულ)ხარ	=	მ(ძულ(-1 ; -2)ხარ	=	ძულ(I ; II)

ესლა ჩვენ მზადდართ მარტივი ანუ არაინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა-ფორმების ცნების განსამარტავად, და შესაბამისად, აგრეთვე მზადა ვართ, ბუნებრივ ქართულ ენობში სისტემაში მარტივი გაგების ზმნური სიტყვებისათვის დამახასიათებელი და ერთმანეთისაგან, როგორც ფორმალურად, ისე სემანტიკურად, მკაფიოდ განჩეულ უღლებათა განსამარტავად. ამგვარად: ვიტყვით რომ ზმნური სიტყვა-ფორმა მარტივი ანუ არაინტეგრალური გაგებისაა, თუ ამ ზმნური სიტყვის ზმნური სიტყვა-შინაარსი იწარმოება შესაბამის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულზე პირის ნიშანთა პირდაპირი ჩასმითი ოპერირებით. ამასთან, მარტივი გაგების ზმნურ სიტყვა ფორმას ეუწოდებთ 'ერთულდებადადგილიანს' ან 'ორულდებადადგილიანს' იმისდამიხედვით, თუ შესაბამის წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულზე ერთი პირის ნიშნით განხორციელებული პირდაპირი ჩასმითი ოპერირებითა და ორი პირისნიშნით განხორციელებული ერთდროული პირდაპირი ჩასმითი ოპერირებით მიღებული ზმნური სიტყვა-ფორმების შინაარსები ერთმანეთისაგან განირჩევიან თუ არა პირთა გასწვრივ მოცემულ შინაარსულ დაპირისპირებაში. შესაბამისად, თუ პირთა გასწვრივ გაფორმებული შინაარსული მიმართებით ეს ფორმები განირჩევიან, მაშინ სასაფუძელო წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულიც და მისგან ნაწარმოები მარტივი გაგების ზმნური სიტყვა-ფორმებიც ერთულდებადადგილიანად გაიგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, როცა პირთა გასწვრივ გაფორმებული შინაარსული მიმართებით ეს ფორმები ერთმანეთისაგან არ განირჩევიან, სასაფუძელო წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულიც და მისგან ნაწარმოები მარტივი გაგების ზმნური სიტყვა-ფორმებიც ორულდებადადგილიანად გაიგება. – აქ გაკეთებული განსაზღვრებით ჩვენ უკვე შევემზადეთ მარტივი გაგების ზმნური სიტყვა-შინაარსების სემანტიკური კლასიფიცირებისათვის, რაშიც, უკვე აღნიშნულთან ერთად, ბუნებრივად დაეყრდნობით აგრეთვე წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების ჩვენს მიერ ზემოთ გაკეთებულ კლასიფიკაციას. – ამგვარად: ჩვენ ერთმანეთისაგან განვარჩევთ [ვ[ვW(-1)](1)], [ვ[ვW(-1;-2)](1)], [ვ[ვW(-1;-2)](2)], [ვ-ვარ[ვ-ვარW(-1)](1)], [ვ-ვარ[ვ-ვარ W(-1; -2)](1)], [ვ-ვარ[ვ-ვარ W(-1;-2)](2)], [მ[მW(-1)](1)], [მ[მW(-1;-2)](1)] და [მ[მW(-1;-2)](2)] ტიპის მარტივი გაგების ზმნურ სიტყვებს, რომლებიც ბუნებრივად იყოფიან ორ თანაუკვეთ კლასად, იმისდა მიხედვით ზმნური სიტყვა ორულდებადადგილიანია თუ არა. W(1)-ით, შესაბამისად W(2)-ით, ჩვენ აღვნიშნაეთ ერთულდებადადგილიან, შესაბამისად ორულდებადადგილიან, ზმნურ სიტყვებსა და შესაბამისად ამგვარი ზმნური სიტყვების კლასებს. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ მოცემულ აღნიშვნებში მრგვალ ფრჩხილებში განთავსებული რიცხვი გვანიშნებს ზმნური ფორმის უღლებებადადგილიანობაზე, გასაკები უნდა იყოს, რომ [ვ[ვW(-1)](1)], [ვ[ვW(-1;-2)](1)], [ვ-ვარ[ვ-ვარW(-1)](1)], [ვ-ვარ[ვ-ვარ W(-1; -2)](1)], [მ[მW(-1)](1)], [მ[მW(-1;-2)](1)] ტიპის, შესაბამისად

[$vW(-1;-2)(2)$], [v -ვარ[v -ვარ $W(-1;-2)(2)$], [W][W][$W(-1;-2)(2)$] ტიპის, მარტივი გაგების ზმნური სიტყვები ამავედროულად $W(1)$, შესაბამისად $W(2)$, ტიპის მარტივი გაგების ზმნური სიტყვა ფორმებია. ამ ტიპებს ჩვენ შესაბამისად $(I)W(1)$ და $(I)W(2)$ გამოსახულებებით აღვნიშნავთ. — ამით ჩვენ უკვე მზადავართ, ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემის მარტივი გაგების ზმნური სიტყვებისათვის დამახასიათებელი უღლილებათა აღწერა-კლასიფიცირებისათვის: ამას ჩვენ ცხრილების მეშვეობით გადაკეთებთ: ქვემოთ მოცემული ცხრილით კლასიფიცირებულია მარტივი გაგების ერთუღლებადადგილიანი ზმნური სიტყვების უღლება. აქ გამოყოფილ სამ განსხვავებულ უღლებას ჩვენ შესაბამისად 'ვ' ერთადგილიან, 'ვ-ვარ' ერთადგილიან და 'მ' ერთადგილიან უღლებას ვუწოდებთ, რომლებიც თავისმხრივ განზოგადებულ სახელდებაში ერთადგილიან უღლებებად იწოდებიან.


ვ-ერთადგილიანი უღლება	ერთადგილიანი უღლება ვ-ვარ-ერთადგილიანი უღლება	მ-ერთადგილიანი უღლება
$v(I)W(1)$	$v(I)W(1)$ ვარ	$m(I)W(1)$
$[(I)W(1)]$	$[(I)W(1)]$ ხარ	$g(I)W(1)$
$[(I)W(1)]$ ს	$[(I)W(1)]$ ს(ა)	$h(-)(I)W(1)$

შემდეგი ცხრილით დაკლასიფიცირებულია მარტივი გაგების ორუღლებადადგილიანი ზმნური სიტყვების უღლება. უღლების ეს ტიპი არ არის დამახასიათებელი ინდოევროპული ოჯახის ენობრივი სისტემებისათვის. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის უღლებით განსაზღვრული შეიძლება იყოს მარტივი უღლებითი მწკრივი არსებითი სპეციფიურობით ახასიათებს ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემას.

მარტივი ორუღლებადადგილიანი უღლება

ვ-ორადგილიანი უღლება	ვ-ვარ-ორადგილიანი უღლება	მ-ორადგილიანი უღლება
$v(I)W(2)$	$v(I)W(2)$ ვარ	$m(m)[(I)W(2)]$ ს
$[(I)W(2)]$	$[(I)W(2)]$ ხარ	$g(g)[(I)W(2)]$ ს
$(h)[(I)W(2)]$ ს	$(h)[(I)W(2)]$ ა	$h(h)[(I)W(2)]$ ს
$g[(I)W(2)]$ ს	$g(h)[(I)W(2)]$ ა	$h(h)[(I)W(2)]$ ხარ
$m[(I)W(2)]$ ს	$m(h)[(I)W(2)]$ ა	$v(v)[(I)W(2)]$ ვარ
$m[(I)W(2)]$	$m(I)W(2)]$ ხარ	$m(m)[(I)W(2)]$ ხარ
$g[(I)W(2)]$	$g(I)W(2)]$ ვარ	$g(g)[(I)W(2)]$ ვარ

ამგვარად, ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის მარტივი გაგების ზმნური სიტყვა-ფორმების პირველი ზოგადი სემანტიკური კლასიფიცირება შემდეგი ცხრილით შეიძლება იქნეს გააზრებული:



ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ მარტივი ანუ არაინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა-ფორმების შინაარსული ცნება. ესლა შევეცდებით რთული ანუ შეჯამებული ანუ ინტეგრალური ზმნური სიტყვა-ფორმების ცნებითი შინაარსის განმარტებას: ვიტყვით, რომ: ზმნური სიტყვა-ფორმა რთული ანუ ინტეგრალური გაგების ზმნური შინაარსია მაშინ, და მხოლოდ მაშინ, თუ არ არსებობს ისეთი ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული რომლით მოცემულ გაგებაზე უშუალო პირისნიშნითი ჩასმითი ოპერირებით მიიღება ენობრივ სისტემაში ამ ზმნური სიტყვა-ფორმით გატარებული შინაარსი. ასე მაგალითად: განვიხილოთ ზმნური სიტყვა-ფორმა 'ვაწვინებ'. ცხადია, მისი გაგება არ გვეძლევა მხოლოდ 'წერა' ძირეულ სემანტიკურ ერთეულზე პირდაპირი პირისნიშნითი ჩასმითი ოპერირებით, თუმცა, თუ 'წვინება'-ს განვიხილავთ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულად, მაშინ ისიც ცხადია, რომ მისგან ერთდროული პირდაპირი პირისნიშნითი ფორმალურ-ჩასმითი ოპერირებით ჩვენ ვღებულობთ, და ვგებულობთ კიდევ, შვიდედემეტნიანი უღლებითი მწკრივის შემადგენელ 'ვაწვინებ', 'აწვინებ', 'აწვინებს' 'გაწვინებს' 'მაწვინებს', 'მაწვინებ', 'გაწვინებ' ზმნურ სიტყვა-ფორმებს, რაც გამომდინარე ჩვენი ზემოთ გაკეთებული განსაზღვრებიდან არასაკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ეს ზმნური სიტყვები მარტივი გაგების ზმნურ სიტყვებად მივიჩნიოთ. ანუ, განსაზღვრებიდან გამომდინარე, და გამომდინარე იქიდან, რომ 'წვინება' არაძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულია, ჩვენთვის, მიუხედავად ზემოდგაშუქებული პირდაპირი პირისნიშნითი ჩასმითი დერივაციული წარმომავლობისა 'ვაწვინებ' რთული, ანუ, ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვაა, და აქ არსებითი, ისევე ვიმეორებთ, ისაა, რომ იგი, ერთი ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით არ გაიგება. – ვფიქრობთ, მკითხველისათვის უკვე გასაგები გახდა, იმ ტერმინებით გატარებული ცნებითი შინაარსები, რომლებიც ჩვენ მარტივი და ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა ფორმებით დავასახალებთ. მიუხედავად ამისა, ქვემოთ შევეცდებით მაგალითების მეშვეობით უფრო ცხადდევ გავაშუქოთ უკვე წარმოჩენილი თვალსაზრისები: განვიხილოთ შემდეგი ზმნური ფორმები: "ვიშენებ(მე, მას)", "ვიყვარებ(მე, მას)", "ვუწერ(მე, მას,მას)", "ვიწერ(მე, მას)", "ვაწვინებ(მე, მას, მას)". ჩვენთვის ყველა ეს ზმნური ფორმა ინტეგრალური გაგებისაა, რამდენადაც არც ერთი მათგანის გაგება არ მოიცემა მხოლოდ ერთი ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის მეშვეობით. – ეს ცხადია. ესლა ენახოთ როგორ

ეიზრებთ ჩვენ ინტეგრირებულ სემანტიკებს და კერძოდ სემანტიკათა ინტეგრალიზაციას. განვიხილოთ შემდეგი ფორმულებით მოცემული მაგალითები:

$$1. \text{ ეუწერ(მე, მას, მას) = წარბ(I ; OIII) + ძონება(III ; OIII)}$$

ზედა ფორმულაში '+' ნიშნით აღნიშნულია ჩვენს მიერ ეგრეთწოდებული სემანტიკური ინტეგრალიზაციის (შეჯამების) ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვფიქრობთ მოიცემა და გვეძლევა 'ეუწერ' ზმნური ფორმის სემანტიკური გაგება. ფორმულის მარჯვენა მხარეში არსებული 'OIII' შემადგენელი ასრულებს, ერთის მხრივ, ადგილების დამაკავშირებელის ფუნქციებს, მეორეს მხრივ კი, გვანიშნებს, რომ სემანტიკური ინტეგრალიზაციის დროს ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული 'წარბ' დაკონტაქტდა ასევე ძირეულ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულ 'ძონება'-სთან მისი სამოქმედო ანუ ობიექტური ადგილის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ამგვარ სემანტიკურ ინტეგრალიზაციის ჩვენ ობიექტურ კონტაქტსაც ეუწოდებთ ხოლმე, თუმცა უფრო ზოგადი სახელდებით მას ჩვენ უ-ინტეგრალიზაციად ანუ უ-შეჯამებად განვიხილავთ.

$$2. \text{ ვაწერინებ(მე,მას,მას) = ნება(I; III) + წარბ (III; OIII)}$$

ზედა ფორმულით ჩვენთვის მოიცემა 'ვაწერინებ' ინტეგრალური ზმნური სიყვა-ფორმის ორსემანტიკური რთული ინტეგრალური გაგება. ამ ფორმულიდან ჩანს, რომ 'ნება' სემანტიკურად ერთეული დაკონტაქტებულია 'წარბ' სემანტიკური ერთეულის მომქმედ-სუბიექტურ პირთან. ამიტომ, ასეთ სემანტიკურ ინტეგრალიზაციას სუბიექტურ კონტაქტსაც ეუწოდებთ ხოლმე, რომელიც უფრო ზოგადი სახელდებით ჩვენთან ა-ინტეგრალიზაციად ანუ ა-შეჯამებად იწოდება.

$$3. \text{ ეიშენებ(მე,მას)=შანება(I; OIII) + ძონება (I; OIII)}$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ 'ეიშენებ' ორპირიანი ზმნური ფორმა ასევე ინტეგრალური გაგების ზმნური ფორმაა; ამასთან, ფორმულიდან ისიც ჩანს, რომ აქ 'მე' პირი სემანტიკურად ორჯერადი პირია, და რომ იგი ერთისმხრივ მომქმედი მშენებელი პირია და მეორესმხრივ იმავდროულობაში იგივე 'მე' პირი მკუთხედ-მქონებელ პირადაც ისახლერება.

$$4. \text{ ეზრდება(ის, მას) = ზრდა(-I ; III1) + PR(I ; III2)}$$

ზედა ფორმულა გვიჩვენებს იმას, რომ 'ეზრდება', რომელიც ერთდროულად 'ეზრდი', 'უზრდი' და 'უზრდის' ზმნური ფორმების ერთგვარი პასივიზირებული ვარიანტებია ინტეგრალური ანუ შეჯამებული გაგების ზმნური ფორმაა, მაგრამ ამ შემთხვევაში 'ე' მორფემის ინტეგრატორად გაგებას ხელს უშლის ის, რომ იგი ამავდროულობაში პასივიზატორადაც შეიძლება იქნეს გაგებული. ანუ, თუ ჩვენ წამოვიღებთ 'იზრდება' ზმნური სიტყვა-შინაარსიდან, მაშინ 'ე' მორფემა-ოპერატორი გარკვეული შინაარსის ინტეგრატორადაც შეიძლება იქნეს გაგებული. ანუ, 'ეზრდი(SS, SO) - იზრდება(SO) - ეზრდება (SO ; NS)' დერევაციით გამოდის, რომ პირველი 'ი' მორფემა-ოპერატორი პასივიზატორია, რამდენადაც მან

ლინგვისტურ საფეხურზე მოხსნა SS ძირითადი სამსჯელო ადგილი, ხოლო 'ე' მორფემა-ოპერატორი, რომელსაც ინტეგრირებულად შემოყავს ახალი სამსჯელო პირი, ინტეგრატორია. – ეს ერთისმხრივ. მეორესმხრივ კი, თუ ჩვენ 'ვზრდი(SS, SO) - ეურზრდი(SS ; შS :SO) – ეზრდება(შSS ; SO ; შ/შS)' დერივაციით წავალთ, მაშინ 'ე' მორფემა-ოპერატორი, როგორც უკვე აღენიშნეთ, პასივიზატორი ანუ მომქმედი პირის განმზოგადებელი ოპერატორია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია აგრეთვე 'ე-ებ' ერთდროულ მორფემულ ოპერირებასთან გვაქვს საქმე, თუ არა. ანუ, იქნებ, 'ზრდები' და 'ეზრდები' ფორმებიდან გამომდინარე, 'ზრდები' ის წინარე სემანტიკური ერთეულია, რომელზედაც 'ე' პირისნიშნითად ოპერირებს ჩვენს მიერ აღწერილ გვარად. ანუ, ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული 'ზრდა' იღებს რა 'ე-ებ' მორფო-ოპერატორის ოპერირებას შედეგში იძლევა წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს 'ზრდები', რომელიც უკვე მზად არის აწარმოოს განსხვავებული პირისნიშნითი ზმნური ფორმები. – ამგვარად, გამოიკეთა საკითხთა შემდეგი ვითარება: ერთისმხრივ განისაზღვრა მარტივი გაგების ზმნური სიტყვის ცნება, და შესაბამისად, როგორც ამ ცნების საფუძველი, განისაზღვრა მარტივი ანუ ძირეული გაგების წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებითი შინაარსი, რომელთა ძირეულობით თანდაყოლილმა სემანტიკურმა კლასიფიცირებამ ბუნებრივად მოგეთხოვა 'ე', 'მ' და 'ე-ეარ' ტიპის პირის ნიშნები და ამ სამი სხვადასხვა ტიპის პირის ნიშანთა მეშვეობით ასევე ბუნებრივად განისაზღვრა ზოგადად სამი განსხვავებული 'შW', 'შW' და 'მ-მარW' ტიპის ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები. რის შემდგომაც განესაზღვრეთ რა რთული ანუ შეჯამებული ანუ ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვების ცნებითი შინაარსი ენის შინაგანი სტრუქტურიდან გამომდინარე ბუნებრივად გავედით 'ა', 'უ', 'ი' და 'ე' ინტეგრატორების ანუ შემჯამებლების ცნებითი შინაარსებზე, რამაც, გამომდინარე ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებისა და მარტივი გაგების ზმნური სიტყვების უკვე ზოგადად მოცემულ 'შW', 'შW', და 'მ-მარW' კლასიფიცირებიდან ბუნებრივად გაგვიყვანა საზოგადოდ 'შაW' 'შუW' 'შიW' 'შეW' 'შა-მარW' და 'შუ-მარW' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვების ცნებებზე. მითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ 'შაW', შესაბამისად 'შუW', შესაბამისად 'შიW', შესაბამისად 'შეW' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვები მიიღებთან ზოგადი ტიპის 'ა', შესაბამისად 'უ', შესაბამისად 'ი', შესაბამისად 'ე' ინტეგრალიზაციით 'შW' ტიპის მარტივი გაგების ზმნური სიტყვებისაგან, ხოლო 'შა-მარW' და 'შუ-მარW' ტიპის ინტეგრალური ზმნურ სიტყვებს შესაბამისად იძლევიან ზოგადი ტიპის 'ა' და 'უ' ინტეგრალიზაციები 'მ-მარW' ტიპის მარტივი გაგების ზმნური შინაარსებიდან. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს დაკვირვებით და ლოგიკურად ახსნადი მიზეზების გამო 'შW' ტიპის მარტივი გაგების ზმნური სიტყვები აღწერილ ტიპის ინტეგრალიზაციებიდან ყველას არ ექვემდებარებიან. ამგვარად, ჩვენ უკვე საზოგადოდ განესაზღვრეთ ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვების ცნება, და შესაბამისად, უღლებითი ნიშნობრივი ზოგადურობით გამოვყავით 'შაW' 'შუW' 'შიW' 'შეW' 'შა-მარW' და 'შუ-მარW' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვათა ქვეკლასები, და სანამ 'შაW' 'შუW' 'შიW' 'შეW' 'შა-მარW' და 'შუ-მარW' ტიპის უღლებებს შეეხებით ზოგადად განვიხილავთ ინტეგრალური წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების საკითხს: როგორც უკვე ვნახეთ ძირეული ანუ მარტივი ანუ არაინტეგრალური წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული იძლევა იმ ზოგად ზმნურ გაგებას, რომელზედაც პირდაპირი პირისნიშნითი ჩასმებით ჩვენ ვღებულობთ

შესაბამისი მარტივი გაგების ზმნურ სიტყვებს. - ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ძირეული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული წინა გაგებით საფეხურზე დგას მისგან პირისნიშნითი დერივაციით მიღებად ზმნური შინაარსისათვის. ანალოგიურად აღნიშნულისა, ჩვენთვის, ინტეგრალური წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული იძლევა წინა გაგებით საფეხურს მისგან ასევე პირდაპირი პირისნიშნითი დერივაციით მიღებად ზმნური შინაარსისათვის. ანუ, ჩვენ სისტემაში გარდა ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვების ცნებისა განვიხილავთ აგრეთვე ინტეგრალური გაგების წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ცნებას, და შესაბამისად ამისა, განვიხილავთ აგრეთვე იმ ინტეგრატორების საკითხს, რომლებიც ერთი მარტივი წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის ინტეგრირების გზით იძლევიან ახალ, შეჯამებულ ანუ ინტეგრირებულ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულს. მათ ჩვენ სიღრმისეულ ინტეგრატორებს ეუწოდებთ, რამდენადაც ისინი ზედა ცნობიერ შრეზე უფრო ღრმა ენობრივ შრეში არსებულ და გარეენობრივად გაფორმებულ ძირეულ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებზე მოქმედებენ და მოქმედების შედეგსაც, როგორც წესი, სიღრმისეულ ენობრივ შრეში, გარეენობრივად იძლევიან შესაბამისი ინტეგრალური წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულით. ამგვარად, ჩვენ ბუნებრივად მივივლით ტერმინებამდე გარე ინტეგრატორი და შიგა ინტეგრატორი, რომელთაგან პირველი უშუალოდ ზმნურ სიტყვებზე მოქმედებენ, მეორე კი უშუალოდ მოქმედებენ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულებების სახით მოცემულ უფრო სიღრმისეულ ენობრივ სუბსტანტებზე. - მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი აქ საზოგადოდ გაშუქებული საკითხების უფრო დეტალურად წარმოჩინების მიზნით: განვიხილოთ შემდეგი სამუშაოები: 'ეწერ' - 'ვაწერ' - 'ვაწერინებ', 'ეცურავ' - 'ვაცურავებ' - 'ვაცურავებინებ', 'ეხატავ' - 'ვახატავ' - 'ვახატვინებ', 'ემღერის(ვარ)' - 'ვამღერებ' - 'ვამღერებინებ' 'ეპულობ' - 'ვაპულვებ' - 'ვაპულვებინებ' 'ეცივაობ' - 'ვაცივაებ' - 'ვაცივაებინებ' 'ეფიქრობ' - 'ეფიქრებ' - 'ეფიქრებინებ'. ესენი ერთი ძირეული სემანტიკური ერთეულიდან მიღებული მარტივი და შესაბამისი ინტეგრალური სემანტიკური ერთეულიდან მიღებული ინტეგრალური გაგების მქონე ზმნურ სიტყვათა სამუშაოებია. ჩვენ ვამბობთ, რომ 'ეწერ', 'ვაცურავებ', 'ვახატავ', 'ვამღერებ', 'ვაცივაებ' 'ვაპულვებ' მცირე გამონაკლისების გათვალისწინებით შესაბამისად მიიღებიან 'ეწერ', 'ეცურავ', 'ეხატავ', 'ემღერის(ვარ)', 'ეცივაობ', 'ეპულობ' მარტივი გაგების ზმნური სიტყვა ფორმების 'ა-ებ' ინტეგრალიზაციით, ხოლო 'ეწერინებ', 'ვაცურავებინებ', 'ვახატვინებ', 'ვამღერებინებ', 'ვაცივაებინებ' 'ეპულვებინებ' შესაბამისად მიიღებიან 'ეწერ', 'ეცურავ', 'ეხატავ', 'ემღერის(ვარ)', 'ეცივაობ', 'ეპულობ' მარტივი გაგების ზმნური სიტყვა ფორმების 'ა-(ებ)ინებ' ინტეგრალიზაციით, რაც ბუნებრივად ითვალისწინებს იმასაც, რომ იგივენი მცირე გამონაკლისების გათვალისწინებით მიღებადნი არიან 'ეწერ', 'ვაცურავებ', 'ვახატავ', 'ვამღერებ', 'ვაცივაებ' 'ეპულვებ' ზმნური სიტყვა ფორმების 'ა-ინებ' ინტეგრალიზაციით. რომ დავზუსტდეთ გამონაკლისების თაობაზე, ვიტყვი, რომ ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითებში, ჩვენ არ ვთვლით 'ეწერინებ', შესაბამისად 'ეწერ', ფორმა-შინაარს 'ეწერ', შესაბამისად 'ეწერ', ფორმა შინაარსიდან 'ა-ინებ', შესაბამისად 'ა-ებ' ინტეგრალიზაციით მიღებად ზმნურ ფორმა-შინაარსებად. ამგვარად, ჩვენ ძირითადად გამოვყოფთ 'ა' ინტეგრალიზაციის სამ კერძო კლასს. კერძოდ კი, გამოვყოფთ, ჩვენს მიერ ეგრეთწოდებულ 'ა-' 'ა-ებ' და 'ა-ინებ' ინტეგრალიზაციებს. რომელთა კომპოზიციონების შესაძლებლობამ განაპირობა ზემოთ 'ა-ებინებ' ინტეგრაციის გააზრება. ეს ერთისმხრივ. მეორეს მხრივ კი, უკვე გაზრებული გარეინტეგრატორებს შესაბამისობაში მოსდით შესაბამისი შიდა ინტეგრატორები,

რომლებიც უკვე მოქმედებენ რა წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებზე მოქმედების შედაგად ახალ ინტეგრირებულ წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულებს იძლევიან. ასე მაგალითად, 'წერა' სემანტიკურ ერთეულზე 'ა-' შიდაინტეგრატორის მოქმედების შედეგად ჩვენ 'აწერა' ანუ 'ზე-წერა' სემანტიკურ ერთეულს ვღებულობთ, ხოლო 'აინებ' სემანტიკური ერთეულის მოქმედების შედეგად 'აწერინებ' ანუ 'ზე-წერინებ' ინტეგრირებული სემანტიკური ერთეული მიიღება. ანალოგიურადევა საქმე 'ცურვა' ძირეულ სემანტიკურ ერთეულთან დაკავშირებით, რომელზედაც 'ა-ებ' შიდაინტეგრატორის ოპერირების შედეგად 'აცურავენ' ანუ 'ცურავენა' ინტეგრალური გაგების წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული მიიღება. ამგვარად, ჩვენ ვნახეთ, რომ ერთი 'შაW' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნურ სიტყვათა კლასი ბუნებრივად დაიყო 'შაW(ა-)', 'შაW(ა-ებ)', 'შაW(ა-ინებ)', 'შაW(ა-(ებ)ინებ)' კლასებად, მაგრამ მიუხედავად ამგვარი შიდა ფრაქცირებისა ნებისმიერი 'შაW' ტიპის ინტეგრალური ზმნური სიტყვა უღლებითი ინტერესებიდან გამომდინარე ჰქმნის ერთ ორულდებადადგილიან სისტემას. რომელსაც ჩვენ ქვემოთ აღწერთ, და ამდენად, ამ ნაშრომში, ზემოთ მინიშნებულ ნიუანსებს ქართული ზმნის პირველი სემანტიკური კლასიფიკაციებისას არსებითი ყურადღების მიღმა დავტოვებთ. – ამგვარად ჩვენ უკვე გაავსუქეთ წინარე ზმნური სემანტიკურ ერთეულთა ინტეგრირების ზოგადი მექანიზმები და ისიც დავასაბუთებდ, რომ ინტეგრირებულ ზმნურ სიტყვა შინაარს წინ უსწრებს და ესაფუძელება უფრო ქვედა გაგებით საფეხურზე მდგარი წინარე ზმნურ სემანტიკურ ერთეულთა ინტეგრირება. – ეხლა დეტალური გაშუქების გარეშე განვიხილავთ 'შუW' 'შიW' 'შეW' 'შა-შარW' და 'შუ-შარW' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვების ქვეკლასიფიკაციურ შემადგენლებს:

1. 'შუW' – 'შუW(უ-(ი))', 'შუW(უ-ებ)', 'შუW(უ-დებ(ი))' ['შW-(დებ(ი))']
2. 'შიW' – 'შიW(ი-(ი))', 'შიW(ი-ებ)', 'შიW(ი-ებ(ი))'
3. 'შეW' – 'შეW(ე-(ი))', 'შეW(ე-ებ(ი))', 'შეW(ე-ინებ)' 'შიW(ე-ოდებ(ი))'
4. 'შა-შარW' – 'შა-შარW(ა-)'
5. 'შუ-შარW' – 'შუ-შარW(უ-)'

უფრო გასაგები რომ იყოს ზემოთ მოცემული ცხრილის შემადგენელი სიმბოლიკის შინაარსი ქვემოთ გაავსუქეთ მის ენობრივ რეალიზაციას

1. 'შუW' – ვუწერ(ვუსერი), ვუციებ, ვუწერდები [ვუღლები]
2. 'შიW' – ვიწერ(ვისერი), ვიციებ, ვიზრდები
3. 'შეW' – ვეწვი(ვესერი), ვეწერები(ვეთამაშები), ველოდები
4. 'შა-შარW' – ვაღვევარ, ვაზივარ, ვაგდივარ
5. 'შუ-შარW' – ვუღვევარ, ვუზივარ, ვუკიდივარ

ამგვარად, ჩვენ მზად ვართ შემდეგი დასკვნების გასაკეთებლად: შინაიქსთან 'ი', 'ა', 'ე', 'უ' მაქცევრებად და კონტაქტის მაწარმოებელი ნიშნებად არიან გაგებულნი, ჩვენთან ისინი ინტეგრატორებად იწოდებიან, ამასთან, გამომდინარე ინტეგრირებული სემანტიკური ერთეულების საზოგადო ბუნებიდან მათ ინტეგრირებულ ზმნურ სიტყვა ფორმაში საინტეგრატორო ანუ საკონტაქტო პირზე მანიშნებლობა ესაზღვრებათ, რაც საფუძველია იმისათვის, რომ მათ ჩვენ ყველაფერ დანარჩენთან ერთად არაობლივგატორულ პირის ნიშნებსაც ვუწოდებთ, რომლებიც ზმნურ სიტყვა-ფორმაში მათთან ერთად ობლივგატორულად არსებულ 'ვ', 'შ', და 'ვ-ვარ' ტიპის პირის ნიშნებთან

ლოგიკურ დაწყვილებაში ანხორციელებენ თავთავიანთ პირისნიშნით ფუნქციონირებას. ასე მაგალითად, 'ი' როგორც არაობლიგატორული პირის ნიშანი როგორც წესი მიყვება რა ზმნურ სიტყვა-ფორმაში ობლიგატორულად არსებულ პირის ნიშანს უზრუნველყოფს მის ორჯერადობას ამა თუ იმ შინაარსით. 'მავ' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნურ სიტყვა ფორმებში 'ა' არაობლიგატორული პირის ნიშანი იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთად მხოლოდ 'ე' ტიპის პირის ნიშანია ზმნურ სიტყვა-ფორმაში გვანიშნებს 'ე' ტიპის პირის ნიშნით მონიშნული მომქმედი პირის მოქმედების ქვეშ უშუალოდ მეოფ მესამე საუღლებელ პირზე, ხოლო თუ ზმნურ სიტყვა ფორმაში 'მ' ტიპის პირი ნიშანიც გვხვდება, მაშინ 'ა' არაობლიგატორული პირის ნიშანი გვანიშნებს 'მ' ტიპის პირისნიშნით მონიშნული პირის იმ შინაარსულ ფუნქციაზე რაც წინა შემთხვევაში მხოლოდ 'ა'-თი მონიშნულ მესამე პირს ჰქონდა, ამასთან თუ ფორმაში სახეზეა 'ე' ტიპის მესამე პირის ნიშანი მაშინ მომქმედის ფუნქციებს მესამე პირი იღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მომქმედი პირია პირველი ან მეორე პირი იმისდა მიხედვით ზმნურ სიტყვა ფორმაში გვხვდება მეორე პირზე მანიშნებელი 'გ' პირის ნიშანი' თუ პირველ პირზე მანიშნებელი 'მ' პირის ნიშანი. 'მავ-მარვ' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნურ სიტყვა-ფორმებთან 'ა' არაობლიგატორული პირის ნიშანი იმ შემთხვევაში თუ ზმნურ სიტყვა-ფორმაში არ გვხვდება 'მ' ტიპის პირის ნიშანი გვანიშნებს 'ე-ვარ' ტიპის პირთან ზმნური სემანტიკით უშუალოდ დაკავშირებულ ანუ დაინტეგრირებულ მესამე პირის საუღლებელ პირზე, ხოლო თუ ზმნურ ფორმაში 'მ' ტიპის პირის ნიშანიცაა, მაშინ 'ა' არაობლიგატორული პირის ნიშანი ერთის მხრივ გვანიშნებს იმაზე რომ დაინტეგრირებული პირი არის ფორმაში არსებული 'მ' ტიპის პირის ნიშნით მონიშნული პირი მეორესმხრივ კი იმაზე რომ ფორმაში სხვა პირზე მანიშნებელი სიმბოლო 'ე-ვარ' ტიპისაა. - ამგვარად, თუ ამ ორ შემთხვევას განვაზოგადებთ და ცოტა გაავამარტივებთ შეიძლება ითქვას, რომ 'მავ' და 'მავ-მარვ' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნურ სიტყვა-ფორმებში 'ა' არაობლიგატორული პირის ნიშანი - (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ზმნური სიტყვა-ფორმებისათვის 'ა' ისეთივე ობლიგატორულია როგორც სხვა დანარჩენი) - გვანიშნებს დაინტეგრირებულ პირზე ან ცალკე ან 'მ' ტიპის პირის ნიშანთან კომბინაციაში. 'მუვ' ტიპის ინტეგრირებულ ზმნურ სიტყვა-ფორმებში 'უ' არაობლიგატორული პირის ნიშანი გვანიშნებს მესამე დაინტეგრირებულ პირზე შანიძისეული სასხვისო ქცევის კონტექსტში, რომელიც 'მუვ' შეიდეგემენტიანი უღლებითი მწკრივის 'მ' ტიპის პირისნიშნით ფორმებში გარდაიქმნება რა 'ი' არაობლიგატორული პირის ნიშნად ფორმაშივე არსებულ 'მ' ტიპის პირისნიშანთან შანიძისეული სათავისო ქცევის კონტექსტში გვანიშნებს ამ 'მ' ტიპის პირის დაინტეგრირებულობაზე მთლიანი ზმნური სიტყვა-ფორმის ინტეგრალური შინაარსის ჩარჩოებში. 'უ' არაობლიგატორული პირის ნიშნის თითქმის ზუსტად იგივენაირ ნიშნით ყოფაქცევასთან გვაქვს საქმე 'მუ-მარვ' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნურ სიტყვა-ფორმებში. 'მუვ' ტიპის ინტეგრალური გაგების ზმნურ სიტყვა-ფორმებში 'ე' ინტეგრალიზაცია ძირითადად ან 'მუვ' ინტეგრალიზაციით მიღებულ ზმნურ სიტყვა-ფორმათა საფუძველზე აწარმოებს შანიძისეული სასხვისო ქცევის მსგავს რეინტეგრალიზაციას და ასეთ შემთხვევაში 'ე' რეინტეგრატორი გვანიშნებს ამ რეინტეგრირებულ პირზე ან ცალკე ან 'მ' ტიპის პირის ნიშანთან კომბინაციაში, ან 'მავ' ინტეგრალიზაციით მიღებული ზმნური სიტყვა-ფორმის 'ე' რეინტეგრალიზაციით რეალიზაციას უკეთებს მომქმედი პირის განზოგადებულ პირად წარმოჩენას, ანუ, რეალიზაციას უკეთებს პასივიზაციის ოპერაციას და ამ პასივიზირებულ რეინტეგრირებულ ფორმაში 'ე' ტიპის პირის ნიშნებს

უსაზღვრავს პასივიზირებული მომქმედი პირის ქმედების ქვეშ მყოფ პირზე მანიშნებლობას, ხოლო 'შ' ტიპის პირის ნიშნებს პასივიზირებულ მქმედ პირზე მანიშნებლობას. – ამგვარად, აქ ჩვენ ძალიან მოკლედ წარმოვანიხეთ 'ა', 'უ', 'ი' და 'ე' ინტეგრატორები, როგორც საზოგადოდ, ისე კერძოდ, მათი პირისნიშნითი ფუნქციებით. გასაგებია, რომ აქ ჩვენ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტებთან საქმე არ გვაქვს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ განვითარებულია სრულიად ახალი ხედვა სიღრმისეულ ენობრივ საკითხებზე და რომ ამ მიმართულებით უკვე საკმარისი მოცულობის სისტემურად დაფუძნებულ შედეგებთანა გვაქვს საქმე. – ეხლა უკვე უშუალოდ 'შაW' 'შუW' 'შეW' 'შიW' 'შა-შარW' და 'შუ-შარW' ორულდებადადგილიან ინტეგრირებულ უღლებათა და 'შიW' ინტეგრირებული ერთულდებაადგილიან უღლების შესახებ:

'შაW' ორადგილიანი უღლება:

ვა –	ვა-წერ	ვა-წერინებ	ვა-ციებ	ვა-ცლი	ვა-ზრდი
ა –	ა-წერ	ა-წერინებ	ა-ციებ	ა-ცლი	ა-ზრდი
ა – ს	ა-წერ-ს	ა-წერინებ-ს	ა-ციებ-ს	ა-ცლი-ს	ა-ზრდი-ს
მა – ს	მა-წერ-ს	მა-წერინებ-ს	მა-ციებ-ს	მა-ცლი-ს	მა-ზრდი-ს
გა – ს	გა-წერ-ს	გა-წერინებ-ს	გა-ციებ-ს	გა-ცლი-ს	გა-ზრდი-ს
მა –	მა-წერ	მა-წერინებ	მა-ციებ	მა-ცლი	მა-ზრდი
გა –	გა-წერ	გა-წერინებ	გა-ციებ	გა-ცლი	გა-ზრდი

'შა-შარW' ორადგილიანი უღლება:

ვა – ვარ	ვა-ზი-ვარ	ვა-გდი-ვარ	ვა-დგე-ვარ
ა – ხარ	ა-ზი-ხარ	ა-გდი-ხარ	ა-დგე-ხარ
ა – ს(ა)	ა-ზი-ს	ა-გდი-ა	ა-დგე-ს
მა – ს(ა)	მა-ზი-ს	მა-გდი-ა	მა-დგე-ს
გა – ს(ა)	გა-ზი-ს	გა-გდი-ა	გა-დგე-ს
მა – ხარ	მა-ზი-ხარ	მა-გდი-ხარ	მა-დგე-ხარ
გა – ვარ	გა-ზი-ვარ	გა-გდი-ვარ	გა-დგე-ვარ

'შუW' ორადგილიანი უღლება:

შუ –	შუ-წერ	შუ-ზრდი	შუ-ცივდები	შუ-ყვარდები
უ –	უ-წერ	უ-ზრდი	უ-ცივდები	უ-ყვარდები
უ – ს(ა)	უ-წერ-ს	უ-ზრდი-ს	უ-ცივდებ-ა	უ-ყვარდებ-ა
ში – ს(ა)	ში-წერ-ს	ში-ზრდი-ს	ში-ცივდებ-ა	ში-ყვარდებ-ა
გი – ს(ა)	გი-წერ-ს	გი-ზრდი-ს	გი-ცივდებ-ა	გი-ყვარდებ-ა
მი –	მი-წერ	მი-ზრდი	მი-ცივდები	მი-ყვარდები
გი –	გი-წერ	გი-ზრდი	გი-ცივდები	გი-ყვარდები

'ვუ-მარW' ორადგილიანი უღლება:

ვუ – ვარ	ვუ-დგე-ვარ	ვუ-კიდი-ვარ	ვუ-გდი-ვარ	ვუ-ზი-ვარ
უ – ხარ	უ-დგე-ხარ	უ-კიდი-ხარ	უ-გდი-ხარ	უ-ზი-ხარ
უ – ს(ა)	უ-დგა-ს	უ-კიდი-ა	უ-გდი-ა	უ-ზი-ს
მი – ს(ა)	მი-დგა-ს	მი-კიდი-ა	მი-გდი-ა	მი-ზი-ს
გი – ს(ა)	გი-დგა-ს	გი-კიდი-ა	გი-გდი-ა	გი-ზი-ს
მი – ხარ	მი-დგე-ხარ	მი-კიდი-ხარ	მი-გდი-ხარ	მი-ზი-ხარ
გი – ვარ	გი-დგე-ვარ	გი-კიდი-ვარ	გი-გდი-ვარ	გი-ზი-ვარ

'მეW' ორადგილიანი უღლება:

მე – (ი)	მე-ზრდები	მე-სერი	მე-წვინები	მე-ლი
ე – (ი)	ე-ზრდები	ე-სერი	ე-წვინები	ე-ლი
ე – (ა)ს	ე-ზრდება	ე-სერი-ს	ე-წვინება	ე-ლი-ს
მე – (ა)ს	მე-ზრდება	მე-სერი-ს	მე-წვინება	მე-ლი-ს
გე – (ა)ს	გე-ზრდება	გე-სერი-ს	გე-წვინება	გე-ლი-ს
მე – (ა)	მე-ზრდები	მე-სერი	მე-წვინები	მე-ლი
გე – (ა)	გე-ზრდები	გე-სერი	გე-წვინები	გე-ლი

'მიW' ორადგილიანი უღლება:

მი –	მი-ყვარებ	მი-ძულეებ	მი-რთავ
ი –	ი-ყვარებ	ი-ძულეებ	ი-რთავ
ი – ს	ი-ყვარებ-ს	ი-ძულეებ-ს	ი-რთავ-ს
მი – ს	მი-ყვარებ-ს	მი-ძულეებ-ს	მი-რთავ-ს
გი – ს	გი-ყვარებ-ს	გი-ძულეებ-ს	გი-რთავ-ს
მი –	მი-ყვარებ	მი-ძულეებ	მი-რთავ
გი –	გი-ყვარებ	გი-ძულეებ	გი-რთავ

'მიW' ერთუღლებადადგილიანი უღლება:


მი – (ი)	მი-ზრდები	მი-ძინებ	მი-წერ	მი-ხატები
ი – (ი)	ი-ზრდები	ი-ძინებ	ი-წერ	ი-ხატები
ი – (ა)ს	ი-ზრდება	ი-ძინებ-ს	ი-წერ-ს	ი-ხატება

– ეხლა კვლავ კონკრეტულად და კერძოდ კიდევ ერთ მეტად საინტერესო ლინგვისტურ-ლოგიკური ხასიათის პრობლემატიკაზე: დღეს არსებული თვალსაზრისებით, ცნობილია, რომ 'ე' და 'მ' არიან პირველი პირის ნიშნები, რაც რა თქმა უნდა მთელი ენობრივი სისტემის გასწვრივ არაპალისმიერი დასკვნაა. ასე მაგალითად: განვიხილოთ 'ე-წერე-ო', 'ე-ხატე-ო', 'ე-უთხარი-ო', 'ე-იმღერე-ო', 'მ-იწერია-ო', 'მ-იხატია-ო', 'მ-იმღერია-ო', 'მ-ითქვია-ო' სიტყვა ფორმები. თუ მათ ზმნებად განვიხილავთ, და დღევანდელი თვალსაზრისებით სწორედ ასეც განიხილება,

მაშინ ამ ზმნებში 'ვ', და 'მ' პირის ნიშნები არ აკეთებენ მანიშნებლობას პირველი მეტყველი პირის არც სუბიექტურობაზე, არც ობიექტურობაზე, უფრო მეტიც, პირველ მეტყველ პირზე მანიშნებლობა ამ ტიპის ზმნურ ფორმებში ტექსტუალურად ყველაზე ნაკლებ დაშვებადი შესაძლებლობაა. ჩვენ ამგვარ, '-ო' ბოლოსართიან სიტყვა ფორმებს მეორედნამეტყველარ ანუ განსაჯელად ნამეტყველარ ზმნურ ფორმებს ვუწოდებთ და მათ ჩვენ ზმნებად არ განვიხილავთ. საქმე იმაშია, რომ როდესაც მეტყველი პირი ამბობს სიტყვას '-ო' ბოლოსართიანი ზმნური ფორმით ის ამ სიტყვით მანიშნებლობს ეინმეს მიერ მანამდე უკვე ნათქვამ ზმნურ-სიტყვაზე ან უშუალოდ ან გარკვეულ ლოგიკურ კონტექსტში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიტყვებით მეორედ გამეტყველდნენ უკვე გამეტყველებული ზმნური-სიტყვები, და ამდენად, მათ მეორედნამეტყველარ სიტყვებს ვუწოდებთ. სიტყვათა ეს ტიპი უაღრესად დამახასიათებელი თავისებურებაა ქართული ენობრივი სისტემისა. ისინი მეტად საინტერესო სპეციფიკებს ქნისა. დღეს არსებული გრამატიკული ენათმეცნიერული სისტემები ნაკლებად თვალისწინებენ ამგვარ სიტყვათა სიღრმისეულად მახასიათებელ ნიშან-თვისებებს. შეიძლება ითქვას, რომ სამსჯელო სიტყვათა ეს საკმაოდ ფართო კლასი ფაქტიურად შეუსწავლელია. ყოველ შემთხვევაში, ირიბი და პირდაპირი თქმის სინტაქსურ ყოფა-ქცევებში ამ ტიპის ზმნათა ფუნქციონალური როლების განყოფის გარდა ჩვენ მათ შესახებ ფუნდამენტური ხასიათის გამოკვლევებს არ ვიცნობთ – არადა, როგორც აღინიშნა, საოცრად საინტერესო ენობრივ მოვლენებს ქმნიან ეს სიტყვა ფორმები და მათი ზოგადი და კერძო ლინგვისტური კანონზომიერებების დაძებნა მნიშვნელოვან და საინტერესო ამოცანებად გვესახება. ჩვენ აქ გაკერბით შევხვებით მხოლოდ ერთ მომენტს – კერძოდ, ქვემოთ შევცდებით '-ო' ბოლოსართის, ანუ როგორც მას უწოდებენ სხვათასიტყვის 'ო'-ს ფორმალურ-ლოგიკურ აღწერას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, '-ო' სუფიქსი ჩვენთვის მარცხნივ ერთადგილიანი ოპერატორია და მას ჩვენ (-ო) გამოსახულებით აღვნიშნავთ. ბოლოსართის ამგვარი ადგილიანობითი ფორმალურ-ოპერატორული გააზრება არსებითად ცვლის სიტყვათა დღეს არსებულ მორფემულ გაშლით სქემას. ასე, მაგალითად: დღეს შემადგენელ მორფემებად სიტყვა 'ვწერო' იშლება შემდეგნაირად: 'ვ-წერ-ო' ამ გაშლით არ ჩანს იგი მეორე კავშირებითის 'ვწერო'-ს გაშლათ თუ სხვათა სიტყვის 'ვწერო'-სი. ჩვენთან, სხვათა სიტყვის 'ვწერო'-ს მორფემულ-ოპერატორული გაშლა შემდეგნაირია: "(ვ(წერ))ო", სადაც გარე ფრჩხილთა წყვილი გვანიშნებს, რომ 'ო' მორფემა მარცხნივ ერთადგილიანი ოპერატორია, რომელიც ოპერატორულად მოქმედებს ფრჩხილებს შიგნით განთავსებულ კონსტრუქციაზე. ანალოგიურად, შიგა ფრჩხილთა წყვილი გვანიშნებს 'ვ(-)' მორფემის მარჯვნივ ერთადგილიანობაზე, რომელიც ამ თავისი ერთი მარჯვენა ადგილით ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფორმალურ-ოპერატორულად მოქმედებს ფრჩხილებს შიგნით განთავსებულ 'წერ' მორფემაზე. რაც შეეხება მეორე კავშირებითის 'ვწერო'-ს გაშლას იგი შემდეგნაირია 'ვ(წერო)', რითაც აშკარად ჩანს ამ ფორმის შესაბამისი და მისი განმსაზრვრელი სრული დერივაციული წარსული. ამგვარი მორფემული გაშლები ბოლომდე დასრულებულად ასახავენ სიტყვის დერივაციულ ანუ აღნაგობით წარსულს. მაშინ, როდესაც ძველი ტიპის მორფემულ გაშლებში სრულად მხოლოდ მორფემული შემადგენლები წარმოჩინდებიან. რაც შეეხება კონკრეტული სიტყვის კონკრეტულ დერივაციულ წინა ისტორიას, მათ შესახებ ცოდნა აღნიშნული ძველი ტიპის მორფემულ გაშლებში გატარებული არ არის. ამგვარად, ჩვენ ერთის მხრივ მოკლედ წარმოვიჩინეთ ოპერატორულ-მორფემულ გაშლათა ზოგადი თეორიული საფუძვლები

და ამავდროულად დავასაბუთებ მათი უპირატესობა დღეს არსებულ მორფემულ გაშლებთან შედარებით და ის, რომ ახალი მორფემული გაშლები სრულად იძლევიან ინფორმაციას სიტყვის დერივაციული წარმომავლობის შესახებ, ფრიად მნიშვნელოვანია მკაცრი ლოგიკურ-ლინგვისტური ხასიათის კვლევების ფუნდამენტური წარმოებისათვის. ამავდროულად, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომების საფუძველზე მოხდა დემონსტრირება იმისა, თუ როგორ შეიძლება იქნეს აღწერილი '(-ო)' გრამატიკული მორფემა, როგორც ფორმალურ-ენობრივი ოპერატორი. '(-ო)' მარცხნივ ერთადგილიანი ბოლოსართის აღწერა, გამომდინარე მისი მარტივი ყოფა-ქცევიდან მარტივად მოხერხდა. ანალოგიური ამოწმურავი ხასიათის აღწერების გაკეთება მთელ რიგ გრამატიკულ მორფემათა შემთხვევაში საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა ისიც გასაგებია, რომ ამგვარი მკაცრი და ამომწურავი აღწერების არქონის შემთხვევაში ჩვენ არ გვექნება უფლება მათი ენობრივი სემანტიკის უკვე შეცნობილ სემანტიკად გამოცხადებისა. – რადგან მორფემულ გაშლათა შესახებ მოგვიწია მცირე ჩაღრმავების გაკეთება აქვე შევეცდებით გამოთქმულ თვალსაზრისთა გაღმავების მიზნით ნათესაობითის ბრუნვის ნიშნის, ანუ '-ის' მორფემის აღწერას: დავიწყებთ იმით, რომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ამ ბრუნვითი ფორმის ესეთი სახელდება, მით უფრო, რომ როგორც ეს ჩვენი აღწერიდანაც გამომდინდება '-ის' მორფემის ძირითადი სემანტიკური დატვირთვა არის ის, რომ გაუკეთოს ენობრივი რეალიზაცია კუთვნილების უზოგადეს იდეას. ანუ, ჩვენთვის 'კაც-ის-კენ' მორფემული გაშლა, გამომდინარე იქიდან, რომ 'ის' მორფემა-ოპერატორი აღწერით მარჯვნივ-და-მარცხნივ ერთადგილიანი ოპერატორია ფრჩხილებიანი ჩანაწერით შემდეგ სახეს იღებს ([კაც]ის[კენ]), რაც შინაარსულად ნიშნავს იმას, რომ '[– ის –]' მიკუთვნების იდეის ენობრივმა გამოხატულებამ 'კაც' საოპერანდოს განუსაზღვრა 'კენ' საოპერანდო კუთვნილებითად და გამომდინარე 'კენ' საოპერანდოს მიმართულებითობის მსაზღვრელი სემანტიკიდან ბუნებრივად მოგვცა 'კაც' საოპერანდოთი ბუნებრივად განსაზღვრული მიმართულებითი შინაარსი. – აქ მოცემული 'ის' მორფემა ოპერატორის, როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური აღწერა. ამასთან, მოცემულია აღწერა არა ნაწილობრივი, არამედ სრული და 'ის' ოპერატორის ენობრივი ბუნების სრულად და ამომწურავად ამსახველი, რითაც ჩვენ დემონსტრირება გააკეთეთ იმისა, რაც ზემოთ მხოლოდ დეკლარირებულად იქნა შემოთავაზებული. – ამგვარად, ყველაფერთან ერთად, ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ვასკენით, რომ დღევანდელი თვალსაზრისებით ქართულ ზმნურ სიტყვათა მიუღიანი სიმრავლე იშლება ორ თანაუკვეთ ქვესიმრავლედ, რომელთაგან ერთში შედიან პირველდნამეტყველარი ანუ სამსჯელო, ხოლო მეორეში – მეორედ ნამეტყველარი ანუ სასჯელი ზმნები და იმისათვის, რომ ო-ბოლოსართიან ზმნათა კლასი ამომწურავად იქნეს შესწავლილი, ცხადია უწინარესად ვაღიარებულნი ვართ ამომწურავად შევისწავლოდ ჩვეულებრივი, ანუ პირველდნამეტყველარი ზმნათა ბუნება. – წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამგვარ ზმნურ სიტყვა-ფორმათა სიღრმისეული ენობრივი ბუნების შეცნობით იყო დაკავებული. – ცხადია, ამგვარი სირთულის ენათმეცნიერული ამოცანების ლოგიკურად მკაცრი და ამომწურავი გადაწყვეტა მეტად რთული და შრომატევადი პროცესია. ასეთი მოცულობის ლოგიკურ-ლინგვისტური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტა წინასწარ ითხოვს სამოძრაო პრინციპების სწორად განსაზღვრას, და მერე, უკვე ამ განსაზღვრული პრინციპების გასწვრივ მეტად ორგანიზებულ მოძრაობას. – ეს გასაგებია. წინამდებარე ნაშრომი არსებითად ითვალისწინებს ზემო გამოთქმულ თვალსაზრისებს და

სასაფუძვლო პრინციპების სწორად გამოყვეთა კვლევის ამ ეტაპობრივ მიზნებშია. ქვემოთ, ჩვენ გავაკეთებთ წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულების ადრე დაპირებულ ზოგად სემანტიკურ კლასიფიცირებას, რის შემდგომაც თეზისის სახით კონსტრუქციულად ჩამოყალიბდება ქართული ზმნური სიტყვა-ფორმებისა და სიტყვა-წინაარსების საზოგადოდ განმსაზღვრელი ფორმულა:



ცხრილი 2

ზედა ცხრილი გვანიშნებს, რომ ძირეულადვე გამოიყოფა სამი ზოგადი ტიპის წინარე ზმნური სემანტიკური ერთეული, მომქმედპირიანი ანუ [3W] ტიპის, საგნობრიუპირიანი ანუ [3W] ტიპის და მდგომარეობისპირიანი. ანუ [3W] ტიპის. შემდეგ უკვე ნაჩვენებია 'ა', 'უ', 'ე' და 'ი' ინტეგრატორების მეშვეობით აგებული წარმოებული წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულები მათივე წინადერივანტული წარმომავლობის გათვალისწინებით. – ეს ცხრილი არა არის სრული. აქ ჩვენ არ შეგვიტანია ისეთი ლინგვისტურად საინტერესო შემთხვევა, როგორცაა 'მცევა – მციელება – ეციელები', 'გცივა – გცივდება – ცივლები', 'სცივა – სცივდება – ცივდება' უღლებებით მოცემული ვითარება, რომელთა არსში გასარკვევად ჩვენ 'ველები – ელები – ელება – მელება – გელება – მელები – გელები' უღლების გათვალისწინება მოგვიწევს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ, როგორც ჩანს, ქართულ ენაში 'ლება' და 'ნება' სემანტიკები არსებით როლს თამაშობენ, და თუ ამ ვითარებაში, 'ნება' სემანტიკური ერთეულის ფუნქციონირება ასე თუ ისე ახსნადია, შესწავლას ითხოვს 'ლება' სემანტიკის თავისებურებანი, რომელიც ჯერჯერობით იმ ერთადერთ ინტეგრატორად იკვეთება, რომელიც მოქმედებს რა [3W] ტიპის სემანტიკურ ერთეულებზე კვლავ ტოვებს სემანტიკას ზოგად [3W] ტიპად.

ნაშრომის დასარულს შევჯამდებით შემდგომი თვალსაზრისით: როგორც ჩანს ქართული ზმნის ანუ სამსჯელოდ გამზადებული მიმართებითი სიტყვის ზოგადი კონსტრუქცია შემდეგია: ნებისმიერი მარტივი გაგების ზმნური სიტყვა-ფორმის უზოგადესი სახე განისაზღვრება $\gamma((\alpha)\beta)$ ფორმულით, სადაც: α არის ან რომელიმე პრიმიტიული გარეენობრივი ნიშანი ან ენობრივად გაფორმებული და თანდაყოლილობით მოცემული აქსიომატური გაგებითი საფეხურის ძირეული პრიმიტიული სიმბოლო, β არის თანდაყოლილობით მოცემული ენობრივი შრის ერთადგილიანი ოპერატორი, რომელსაც გამომდინარე მისი ყოფაქცევიდან ზმნური სემანტიკის წარმოქმნელს, ანუ მოკლედ, w-წარმოქმნელს ვუწოდებთ, γ არის ამა თუ

იმ ენობრივ პირზე მანიშნებელი სუფთა ენობრივი ნიშანი, რომლის მათემატიკურ, ფორმალურ-ოპერატორულ ბუნებაზე საუბარი ჩვენ უკვე გექონდა. – ანუ, ჩვენთვის, ნებისმიერი ზმნური სიტყვა-შინაარსის დერეივაცია იწყება α -თი მოცემული ან გარეენობრივი ან ენობრივი ნიშან-გამოსახულებით, რომელიც, როგორც შინაარსული მოვლენა, არანაირი ზმნურ-მიმართებითი სპეციფიკაციით არ ხასიათდება. ანუ, ზმნური სიტყვა-ფორმის პირველსაწყისი α ენობრივი შემადგენელი თავისთავადობაში ზმნურ იდეას არც იძლევა და არც ანხორციელებს, რაც მთლიანობაში ბუნებრივად იხსნება ზმნური შინაარსის რთული, აზროვნებითად მაღალდერეივაციული საფეხურით. ასე მაგალითად: ზმნურ სიტყვა შინაარსებში 'ვურთაობ', 'ვიცაობ', 'ვასახლებ', 'ვიდიობ', 'ვიცელებ', 'ვალამაზებ', 'ვიპირელობ', 'ვმეცხრედობ', 'ვიმეორებ', 'ვითობ', 'ვიხრავ', 'ვიგრეკობ' α -ს როლს შესაბამისად ასრულებენ 'ურთ(ი)', 'ცივა', 'სახლ(ი)', 'დიდ(ი)', 'ცელქ(ი)', 'ლამაზ(ი)', 'პირველ(ი)', 'მეცხრედ(ი)', 'მეორ(ე)', 'თუ', 'ობ' და 'იგრეკ(ი)' არა ზმნურ-მიმართებითი შინაარსის მატარებელი ენობრივი გამოსახულებები, რაც ყველაფერთან ერთად იმასაც გეიჩვენებს, რომ ქართულ ენაში ზმნური შინაარსი შეიძლება გაკეთდეს თითქმის ნებისმიერი ენობრივი სიტყვა გამოსახულებიდან, რაც თავისმხრივ იმაზეც გვანიშნებს, რომ ზმნური შინაარსის ენობრივად გაფორმებისას საქმე გვაქვს არა ბუნდოვან აზრთა ეელში შესვლასა და მის დანაწევრებასთან, არამედ პირიქით, ენობრივად უკვე მოცემული საშუალებებით ჩვენ შესაძლებლობა გვქმედება ახალი ენობრივ-კომპოზიციური ფორმით გარკვეული ზმნური შინაარსის ვერბალური ანუ სიტყვითი გაფორმებისა. ფორმულაში შემავალი β შემადგენელი, ანუ როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, w -წარმოშობისა, ოპერირებს რა α -თი ენობრივად გაფორმებულზე ამ ოპერირების შესაბამისად იძლევა მასთან გარკვეულად მიკავშირებულ ზმნურ, ანუ ადგილიანობით დახასიათებულ მიმართებით სამსჯელო-ჭეშმარიტულ შინაარსს, რომელიც ფორმულაში (α)-ში არის მოცემული, და რომელზედაც უკვე პირდაპირი პირისნიშნითი ჩასმითი ოპერირებით მიიღება $\gamma((\alpha)\beta)$ -თი აღნიშნული ზმნური სიტყვა ფორმა და ამ ფორმითვე განსაზღვრული ზმნური სიტყვა-შინაარსი. რაც შეეხება რთული ანუ ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვა ფორმების უზოგადეს ფორმალურ სახეს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ კვლევის მიმდინარე ეტაპზე მისი ერთი ფორმულით მოცემას გამართლებულად არ მივიჩნევთ, რამდენადაც, ყოველი კონკრეტული ინტეგრაცია, გრამატიკული იქნება იგი, თუ სემანტიკური, მიყვება შესაბამის დერეივაციულ თანამიმდევრობას, და ამდენად, მათი განზოგადება ჯერჯერობით მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ. აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაში 'ა', 'უ', 'ი' და 'ე' გრამატიკულ ინტეგრატორებთან ერთად სისტემაში არსებითად იკვეთება 'ნება' და 'დება' სემანტიკური ინტეგრატორების განსაკუთრებული მონაწილეობა. კერძოდ, უკვე ჩანს, რომ 'ნება' ინტეგრატორი არ ოპერირებს ანუ არ უჯამდება [მ-პარW] და [მW] ტიპის სემანტიკებს, და ჩანს ისიც, რომ 'დება' სემანტიკური ინტეგრატორი სულ სხვადასხვაგვარად მოქმედებს [მW] ტიპის, [მ-პარW] ტიპისა და [მW] ტიპის სემანტიკებზე, რაც ვფიქრობთ ერთ-ერთი ძირეული გასაღები უნდა იყოს მთელი რიგი ლინგვისტური პრობლემებისათვის. უფრო გასაგები რომ იყოს რა მიზნით უნდა მიმდინარეობდეს ძიებანი ზოგადად განვიხილოთ 'დება'-სთან ინტეგრირებული ზმნური შინაარსები 'ვიცელება', 'მეცივდება', 'მიცივდება', 'მიყვარდება', 'შენდება', 'ვებერდება', 'ვითვრდება', რომლებიც მიუხედავად დერეივაციული წარმოშობისა და სემანტიკური სპეციფიკისა ჩვენს მიერ ადრე 'რა ხდება' ტიპის ზმნურ შინაარსებად განსაზღვრულ ზმნურ შინაარსებს წარმოადგენენ,

რასაც ბუნებრივია 'ღება' სემანტიკური ინტეგრატორი განაპირობებს. თუმცა, იგი აკეთებს ამას სულ სხვა ლოგიკურობით [3W] ტიპის სემანტიკებში, სადაც მას პირველსაწყისი არაპროცესუალური ანუ სტატიკური შინაარსი გადაჰყავს შესაბამის პროცესუალურ ანუ დინამიურ შინაარსში, რაც [3W]-ს გამო, ლოგიკური ბუნებრიობით, 'რა ხდება' ტიპის შეიძლება მხოლოდ იყოს, და შესაბამისად, სულ სხვა ლოგიკურობით [3W] სემანტიკებში, სადაც უკვე იგი ანზოგადებს რა მომქმედ პირს უნზრუნველყოფს პირველსაწყისი [3W] ტიპის შინაარსის პასივიზირებას, ანუ, მისი 'რა ხდება' ტიპის შინაარსად გარდაქმნას. – ახლა დავეთვათ კითხვა, როგორ ინტეგრირდება ან თუ ინტეგრირდება საერთოდ [3-მარW] ტიპის სემანტიკებთან 'ღება' სემანტიკა? – ჩვენი თვალსაზრისებით, 'ღება' [3-მარW] ტიპის სემანტიკებთან არ უნდა გვაძლევდენ 'რა ხდება' ტიპის სემანტიკებს, რადგან [3-მარW] ტიპის სემანტიკა თავიდანვე ფაქტიურად 'რა ხდება' ტიპისაა. – ეს ჩვენი ლინგვისტური თეზაა, რომელიც თუ დადასტურდა, მაშინ ბევრად უფრო არგუმენტირებული და თამამი ხასიათის დასკვნების გაკეთების უფლება მოგვეცემა, ხოლო თუ არ დადასტურდა მოგვიწვევს გამონაკლის შემთხვევათა მიზეზების დაწვრილებითი ძიება, რაც საბოლოო ჯამში, ბუნებრივია, შედეგებსა და ხედვებს უფრო დაახუსტებს. – შევხვით აგრეთვე ერთ მეტად საინტერესო და პრობლემატურ საკითხს, რომელიც წინამდებარე ნაშრომში განვითარებულ ხედვათა ფონზე შემდეგნაირად ყალიბდება: განვიხილოთ 'ცემს' ორულდებადადგილიანი სემანტიკური ერთეული, და შესაბამისად, 'ვცემ-მაცემინებს-მაცემინებ' დაწყვილება, საიდანაც ჩანს, რომ 'მაცემინებს მე ის მას' და 'მაცემინებ მე შენ მას' არიან 'ვცემ მე მას' შინაარსის 'ნება' ინტეგრალური შედეგები, ანუ, 'მაცემინებს' და 'მაცემინებ' არიან 'ვცემ' ზმნური შინაარსის 'ნება' ინტეგრირებით მიღებული ინტეგრალური შინაარსები. ასეთი ტიპის ინტეგრირებას ჩვენ 'ნება' აქტივიზირებასაც ვუწოდებთ ხოლმე. ახლა დავსვათ კითხვა: რატომ არ ექვენდებარებიან 'ნება' აქტივიზირებას 'მცემ' და 'ვცემ' ზმნური შინაარსები? – ანუ რატომ არ ექვემდებარება ინტეგრირებას I და II ენობრივ პირთა შორის გაფორმებული [3W] ტიპის სემანტიკები? – ამ კითხვაზე პასუხის საძიებელი გარემოებანი უკვე აშკარად ცილდება სუფთა ენობრიობას და უკვე ამ ენობრიობის მატარებელი ერთეულის ნეირო-ფიზიოლოგიური აგებულების კონტურების გააზრებისაკენ გვიბიძგებს. – აქ ერთ-ერთი თეორიულად შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ 'მცემ' და 'ვცემ' ზმნური ფორმები განსხვავებით 'ვცემ', 'ცემ', 'ცემს' ზმნური ფორმებისაგან, ერთი მიდგომით, თავადვე იტეგრალურ ფორმებად გაიკვირან, და აქედან გამომდინარე, მათი შემდგომი ინტეგრალიზაცია ანუ უკვე შეჯამებული სიტყვის კიდევ შეჯამება ადამიანთათვის დამახასიათებელი ბიო-ნეირო-ფიზიოლოგიური, კონსტრუქციისათვის მენტალურ-აპარატულად შუქლებელ ქმედებად იაზრება. რაც შეეხება მეორე თეორიულ შესაძლებლობას ზემოთ ხაზგასმული ლინგვისტურ-მენტალური ვითარებისა, არის ის, რომ, თუ განვითარებული მიდგომებით პირის ნიშნით მოუნიშნავი და წინარე ზმნური სემანტიკით განსაზღვრული საობიექტო-სამსჯელო ადგილს, რომელიც ზოგად-ენობრივი პარამეტრებით N-ს ტიპის ადგილად ცხადდება, მეთოდის შესაბამისი ბუნებრიობით გამოვაცხადებთ არა ჩასმითი უენერაციის ანუ არა ჩასმითი წარმოქმნის N-ს ტიპის ადგილად, მაშინ პრინციპული განსხვავება განხილვად ფორმათა შორის ისაა, რომ 'მცემ' და 'ვცემ' ორი ერთდროული პირდაპირი ჩასმით მიღებადი გაგება ცხრილური მონაცემებიდან, ხოლო 'ვცემ', 'ცემ', 'ცემს' ზმნური გაგებების მისაღებად ჩვენთვის საკმარისია მხოლოდ ერთი პირდაპირი პირითი ჩასმა, რაზეც დაყრდნობილები გამოეთქვამთ თეზას იმის თაობაზე, რომ ანდრო ბიო-ნეირო-ფიზიოლოგიური კონსტიტუციით ერთი სიტყვით

საფუხურის გაგების ასაღებად ქვეცნობიერ ენობრივ-აზროვნებით შრეში შეზღუდულად ვართ მაქსიმუმ ორი ერთდროული პირდაპირი პირისნიშნობრივი ჩასმითი ოპერირებით. - უფრო გასაგები რომ იყოს მოვყვანოთ გამოთქმულ თვალსაზრისთა უფრო კომპაქტური და უფრო ფორმალური დეფინირება: ჩვენთვის 'გცემ' როგორც ინტეგრალური გაგების ზმნური შინაარსი შემდეგი ფორმულით მოიცემა,

გცემ(მე,შენ)=ეცემ(მე,მას)+ხარ(შენ,ის*)=ცემა(I,III)+ხარ(II,III)=ცემა(I,N-ს) + =(II, N-ს) მაშინ როდესაც, 'ეცემ' მარტივი გაგების ზმნური შინააზრი შემდეგ ფორმულაში განსაზღვრული

$$ეცემ(მე,მას)=ცემა(I, N-ს).$$

რაც შეეხება ზემოთ გამოთქმულ მეორე თეზას, აქ მათ არსში ჩასაწელომად შემდეგი ფორმულები დაგვეხმარებიან:

$$გცემ (მე , შენ) = გ(ცემა(-1, N-ს)) = ცემა(I, II)$$

$$ეცემ (მე , მას) = ე(ცემა(-1, N-ს)) = ცემა(I , N-ს)$$

რომლებიდანაც ჩანს, რომ 'გცემ' სიტყვის შემთხვევაში 'გ' ჩასმით გაკეთდა ორი ერთდროული პირდაპირი პირითი ჩასმა, ხოლო 'ეცემ' სიტყვის შემთხვევაში 'ე' აკეთებს ერთ პირდაპირ პირით ჩასმას. - აღნიშნულ პრობლემათან დაკავშირებით ჩვენ თავად უფრო მეორე თეზით განპირობებული მიზეზებისაქენ ეიხრებით, თუმცა და მიუხედავად ამისა, ჩვენ აქ ორივე შესაძლო ვერსია განვიხილეთ იმ იმედით, რომ განსჯაში მკითხველიც ჩაერთვება. ანუ, ის თუ რატომ ვერ ვამბობთ, ანუ რაც თითქმის იგივეა, რატომ ვერ ვაბამთ ერთ სიტყვაში პირველი პირის მეორე პირზე, ან პირიქით, მეორე პირის პირველ პირზე გარე ნებით მოქმედებითობას, მაშინ როდესაც შესაძლ პირზე ნებისმიერი პირის გარე ნებითი მოქმედებითობა ერთ სიტყვაში იბმება, ახსნას საჭიროებს.

სურათის დასრულების მიზნით შევეხოთ კიდევ ერთ ენობრივ საეციოყიას. მანამდე კი დასკვნის სახით აღვნიშნავთ შემდეგს: ჩვენ ვთვლით, რომ დღეს სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებად წოდებულ გრამატიკულ მორფემა ნიშნების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ზმნაზე მანიშნებლობაა. უფრო მეტიც, ჩვენ ვთვლით, რომ ბუნებრივი ქართული ენის არცერთი ისეთი სიტყვა, რომელშიც ერთ-ერთ კომპონენტად არ შედის ზმნაზე მანიშნებელი გრამატიკული მორფემა, არცერთი წინადადების არცერთ ადგილზე ზმნის როლში არ შეიძლება მოგვევლინოს. ანუ, ქართულ ენაში ზმნა უთუოთ კომპოზიციური სუფთა ენობრივი სიტყვა ნიშანია, და აქედან გამომდინარე, იგი ცნობიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის ქვემდებარე ქვეცნობიერ ბუნებრივ ენობრივ შრეში შინააზრდება მისივე დრმა დროით-ლილიკური და ცხრილურ-მონაცემობრივი პირობითობით, რაც ბუნებრივია განაპირობებს მისი შესწავლისას გადამწვეტ საყრდენებად არა რეალურ სამყაროსეული სურათების აღწერა-გათვალისწინებას, არამედ სრულ სამყაროსეულ ბუნებრივ რეალობაზე უფრო ფართო და დრმა აზროვნებით ლოდიკურ-ტექსტუალურ ირეალობას, სადაც სწორედ როგორც ერთ-ერთი ურთულესი ფუნქციონალური მონაწილე იშლება და იხსნება სრულად და ამომწურავად. - ამგვარად, გამომდინარე წინამდებარე ნაშრომში გაშუქებული ხედებიდან, ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ, და უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას უარყოფთ კიდევც, შანიძისეულ გრამატიკულ სისტემაში ზმნის ცნებასთან დაკავშირებულ რიგს ფუნდამენტური საკითხებისა. ასე მაგალითად, ჩვენთვის ზმნა არ არის მოქმედების ან მდგომარეობის გამოხატეული სიტყვა, არამედ ჩვენთვის ზმნის

არსებითად განმსაზღვრელი ნიშანი არის მისი ის უნარი, რომ შექმნას ენობრივ-ზაროვნებით სისტემაში ლოგიკური, ანუ ჭეშმარიტული შინაარსები. – ესე ზმნის საკითხის გადაწყვეტა ჩვენ ეფიქრობთ უნივერსალურია და ენობრივი სისტემების თავისებურებათა მიუხედავად აქ არაფერი არ იცვლება. გარდა ამისა, ჩვენ არ ვთვლით, რომ ზმნა გინდა თუ არა პირიანი ფორმაცვალებადი სიტყვა უნდა იყოს, და არც იმას ვთვლით, რომ რიცხვის კატეგორია ზმნის არსებითად მახასიათებელი თვისებაა. ჩვენთვის, ნებისმიერი ზმნური სიტყვა არანულადგილიანი სამსჯელო შინაარსია, ამასთან იგი მსჯელობას იძლევა გარკვეული დროითი ყოფაქცევებით, ანუ გარკვეულად განსაზღვრული და სისტემატიზირებული დროითი ინტერვალების მეშვეობით ისე, რომ პრინციპულად არ იქნეს გამორიცხული რეალურად ხდომადი ვითარების ენობრივი გამოსახვა შესაბამის ზმნურ ფორმებთან სისტემურად მიკავშირებულ შესაძლო დროით ინტერვალურ საშუალებათა შეზღუდულობის გამო. – ამგვარად, ჩვენს სისტემაში, არ არსებობს უდროო ზმნურ შინაარსებად დეფინირებული ზმნური შინაარსები, ამასთან, ნებისმიერი სამსჯელო ზმნური შინაარსით ჩვენ გვეძლევა შეტყობინების ან გარკვეული დროით ინტერვალური გაფორმება ან შეტყობინება ფორმდება ერთგვარ არაინტერვალურ დროით მყისიერებაში, ეს ვფიქრობთ უნივერსალურად, გარდა ამისა, ენობრივი სისტემის სპეციფიურობისდა მიხედვით, ამ ენობრივ სისტემაში თავისებური, მკაცრი ენობრივ-ლოგიკური მათემატიკური სიზუსტეებით ნაწილდება და სისტემაში გააზრებული კონცეპტუალური პირობითობით ისაზღვრება პირველსაწყისობით მოცემულ და დროითად განსაზღვრულ სამსჯელო ზმნურ შინაარსებზე დროითადვე ოპერირებადი ენობრივი საშუალებების ოპერირებითი ბუნება, რისი სრული და მკაცრი ლოგიკურ-მათემატიკური მოდელის მოძიება ეჭვგარეშეა ვერაფრით დაისაყრდენებს შანიძისეული სისტემის პრიმიტიულ დროით ხედვებს, რაც უკვე აქ მოხაზული მიზნების გათვალისწინებით ქართული უღლებითი სისტემის სუფთა დროით სპეციფიკათა გადაზრების აუცილებლობის კიდევ ერთი დასტურია, რაც უკვე მანამდე წამოწეულ ღრმა ლინგვისტურ-ლოგიკური ხასიათის პრობლემატურ საკითხებთან ერთად რა შრომატევად მოცულობებსა და დახვეწილ კვლევით ინტელექტუალურ მონაცემებს საზღვრავს გასაგები უნდა იყოს ამგვარი ფართე მოცულობის სისტემური ხასიათის მათემატიკურ ამოცანებზე მუშაობის გამოცდილების მქონეთათვის, და ის რომ ჩვენი მოძრაობის აქტიობა ამგვარად მძაფრია ამ რეალობად არსებული საწყისი პირობებითაა განსაზღვრული.

ლიტერატურა:

1. Benthem, J. (1986), *Essays in Logical Semantics*, by D. Reidel Publishing Company, Dordrecht, Holland.
2. Benthem, J., Meulen, A. (1997), *Handbook of Logic and Language*, Elsevier Science B. V. The MIT Press.

3. Chomsky, N. (1965), *Aspects of the Theory of Syntax*, Cambridge, Mass. MIT Press, (1975), *The Logical Structure of Linguistic Theory*, Chicago, University of Chicago Press.
4. Frege, G. (1879). *Begriffsschrift*, Halle.
5. Hauser, R. *Foundations of Computational Linguistics, Man-Machine Communication in Natural Language*, Springer-Verlag Berlin, Heidelberg, 1999.
6. Gazdar, G., Evan Klein, Geoffrey K. Pullum, Ivan A. Sag (1985), *Generalized Phrase Structure Grammar*. Cambridge, Mass. Harvard University Press and Oxford Basil Blackwell.
7. Fitting, M. (1996), *First-Order Logic and Automated Theorem Proving*, Springer-Verlag
8. Montague, R. (1970), *Universal Grammar Theory*, 36: 373-398. Reprinted in Richard Thomason (ed.) *Formal Philosophy*. New Haven Yale University Press (1974).
9. Sag, Ivan A. and Wasow, Th. (1999), *Syntactic Theory, A Formal Introduction*. CSLI Publications, Stanford, California.
10. Пхაკაძე, Ш. (1977), *Некоторые вопросы Теории обозначений*, Тбилиси
11. Pkhakadze, K., Ivanishvili, M. (2001), *To Direct Formal-Logical Description of Georgian Language Based on the Language as a Natural System, Theses, The Fourth Tbilisi Symposium Language, Logic, Computation, Borjomi, September 24-28.*
12. Pollard, C. and Sag, Ivan A. (1994), *Head-Driven Phrase Structure Grammar*, Chicago, University of Chicago Press.
16. გამყრელიძე (1979), ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული მიძღვნილი გიეი მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავეზე „მეცნიერება“, თბილისი.
17. კ. ფხაკაძე, შ. ივანიშვილი (2001), ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის მათემატიკური ფორმალურ-ლოგიკური იზომორფის მოძიებისათვის, „ივერია“, IV, პარიზი-თბილისი.
18. შ. ფხაკაძე (1996), მათემატიკური ლოგიკა – საფუძვლები, I ნაწილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. შ. ფხაკაძე (1999), მათემატიკური ლოგიკა – საფუძვლები, II ნაწილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
20. არნ. ჩიქობავა (1961), მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია – ენათმეცნიერების ინსტიტუტი
21. რ. ასათიანი (1982), მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, „მეცნიერება“, თბილისი.
22. თ. უთურგაძე (2002), გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულში, „ქართული ენა“, თბილისი
23. დ. მელიქიშვილი (2001), ქართული ზმნის უღლების სისტემა, „ლოგოს პრესი“, თბილისი
24. იმელიქიშვილი (1998), ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის მიმართებისათვის ქართველურ ენებში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედ. ინსტ. შრ., თბილისი
25. მმაჭავარიანი (1987), ქვევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი
26. გ. მაჭავარიანი (1974), ზმნის ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქეხს, N 4.
27. ა. შანიძე (1980), ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
28. ლ. კვაჭაძე (1996), თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი
29. გ. ნებიერიძე (1976), ქვევის კატეგორია ქართულში, მაცნე, N 4.

- 30 ს. დოდაშვილი (2001). თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- 31 დ. უზნაძე (1998), შრომები, III–IV ტომი, ზოგადი ფსიქოლოგია, გამომცემლობა აღმაშენებელი
- 32 ჯ. კაშია (2001), ენა, საზრისი, ყოფიერება, თბილისი-პარიზი
- 33 გ. გაჩეჩილაძე (2002), ინტელექტი, ნება და ადამიანი,, თბილისი
- 34 ა. ფოცხიშვილი (1995), ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბილისი
- 35 დ. ე. ჰოლისკი (2000), ასპექტი და ქართული ზმნა, თბილისი
- 36 ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე (1971), ქართული ენის გრამატიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი

ლოგიკა და ენა:
ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი

(algebra) ალგებრა. მათემატიკური სტრუქტურა, რომელიც შედგება სიმრავლისგან (ე.წ. ალგებრის ბაზა, *carrier of the algebra*) და ამ სიმრავლეზე განსაზღვრულ ოპერატორთა კლასისგან. როგორც წესი, ალგებრას ასე აღნიშნავენ: (A, f_1, \dots, f_n) , სადაც A არის ბაზა, ხოლო f_1, \dots, f_n წარმოადგენს A -ზე განსაზღვრულ ფუნქციებს. თუ f_1, \dots, f_n არის რომელიმე A ალგებრის ოპერაციები, მაშინ ნატურალურ რიცხვთა რიგს (n_1, \dots, n_k) , რომელიც გამოხატავს შესაბამის ოპერაციათა ადგილიანობას, ეწოდება ამ ალგებრის ტიპი ანუ სიგნატურა. ალგებრის მარტივი მაგალითია $(\mathbb{N}, +, \times)$, რომელიც შედგება ნატურალური რიცხვების, მიმატებისა და გამრავლებისგან; მისი ტიპია $(2, 2)$. ლოგიკაში ასევე ცნობილია შემდეგი ტიპის ალგებრები:

(lattice) მესერი. (A, \sqcap, \sqcup) ალგებრა, რომლის ტიპია $(2, 2)$ და რომელიც აკმაყოფილებს ტოლობათა გარკვეულ სიმრავლეს (იხ. Davey and Priestley, 1990, გვ. 109). ოპერაციებს \sqcap/\sqcup , როგორც წესი, უწოდებენ 'გაერთიანება/თანაკეთა' ან 'ზუსტი ზედა ზღვარი/ზუსტი ქვედა ზღვარი' ან 'სუპრემუმ/ინფიმუმ' (*sup/inf*). მესერი შეიძლება ასევე განხილულ იქნას როგორც დალაგებული სიმრავლე (A, Ξ) , სადაც Ξ არის ნაწილობრივი დალაგება, განსაზღვრული A -ზე, რომელშიც არსებობს ერთადერთი ზედა ზღვარი და ერთადერთი ქვედა ზღვარი. ლოგიკაში ხშირად თავისთავად იგულისხმება, რომ ინფორმაციას აქვს მესერის სტრუქტურა.

(Boolean algebras) ბულის ალგებრა. $(A, \vee, \wedge, -, 0, 1)$ ალგებრა, რომლის ტიპია $(2, 2, 1, 0, 0)$; (განსაზღვრული ტოლობების შესახებ იხ. Davey and Priestley, 1990, გვ. 144). ბულის ალგებრას ეხედებით გამონათქვამთა ლოგიკაში, სადაც ბაზა A გაგებულია როგორც გამონათქვამთა სიმრავლე, \vee არის დიზიუნქცია, \wedge არის კონიუნქცია, $-$ უარყოფა, 0 არის გამონათქვამი, რომელიც ყოველთვის მცდარია, 1 კი ისეთი გამონათქვამია, რომელიც ყოველთვის ჭეშმარიტია. ბულის ალგებრის კიდევ ერთი სტანდარტული მაგალითია რაიმე სიმრავლის ქვესიმრავლეთა ალგებრა. ასეთ შემთხვევაში A არის რომელიმე განსაზღვრული X სიმრავლის ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლე, \vee არის გაერთიანება, \wedge არის თანაკეთა, $-$ არის მიმართებითი დამატება, 0 არის ცარიელი სიმრავლე, ხოლო $1 = X$. სთოუნის ცნობილი რეპრეზენტაციის თეორემის თანახმად ნებისმიერი 'ბულის ალგებრა' გარკვეული ქვესიმრავლური ალგებრის იზომორფულია.

(Lindenbaum algebras) ლინდენბაუმის ალგებრა. ბულის ალგებრა, რომელიც კლასიკურ ლოგიკაში გეხდება ლოგიკურად ეკვივალენტური ფორმულების სიმრავლეთა სიმრავლის სახით. ამდენად, ლინდენბაუმის ალგებრის ბაზა შედგება ყველა იმ სიმრავლისგან, რომლის ფორმაცაა $[\phi] = \{\psi \mid \psi \text{ არის } \phi\text{-ის}$

ეკვივალენტური}, ხოლო ბულის ოპერაციები განისაზღვრებიან სასაფუძვლო ბულის ალგებრის შესაბამისი ოპერაციებით; მაგ.: $[\phi \wedge \psi] = [\phi] \wedge [\psi]$.

(Boolean algebras with operators) ოპერატორებიანი ბულის ალგებრა გეხდება მოდალურ ლოგიკაში. ის წარმოადგენს ბულის ალგებრის გაფართოებას იმ ოპერატორებით, რომლებიც გამიზნულია აუცილებლობისა და შესაძლებლობის მოდელირებისათვის. (იხ. Jónson and Tarski, 1951, 1952; Marx and Venema, 1996.)

(relation algebras) რელაციური ალგებრა. $(B, \circ, \sim, 1)$ ალგებრა, სადაც B აღნიშნავს ბულის ალგებრას. მისი კონკრეტული მაგალითია ისეთი ალგებრა, რომლის ბაზაც არის $Pow(U \times U)$ ფორმის, ე. ი. B წარმოადგენს სიმრავლე U -ზე განსაზღვრულ ბინარულ მიმართებათა სიმრავლეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოპერატორი \circ არის სეკვენციური კომპოზიცია, \sim არის კონვერსიული, 1 კი – იგივეური მიმართება. რელაციურ ალგებრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოდალურ ლოგიკასა და დინამიკურ ლოგიკაში (Venema, 1991).

(cylindric algebras) ცილინდრული ალგებრა გამოიყენება პირველი რიგის ლოგიკის ალგებრულ კელევაში. ის წარმოადგენს ბულის ალგებრის გაფართოებას ცილინდრიფიკაციის იმ ოპერაციებით, რომლებიც გამიზნული არიან კვანტიფიკაციის მოდელირებისთვის. (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 7, პარაგ. 2.4)

(universal algebra) უნივერსალური ალგებრა შეისწავლის ალგებრათა იმ თვისებებს, რომლებიც არაა დამოკიდებული ამ ალგებრათა ტიპზე. ჩვეულებრივ, ეს მოიცავს ალგებრათა შორის მიმართებებს, მაგალითად, ისეთს, როგორცაა პომომორფიზმი, რომელიც წარმოადგენს ალგებრათა შორის ასახვას სტრუქტურის შენარჩუნებით (ზოგადად სტრუქტურის შემანარჩუნებელ ასახვათა შესახებ იხ. ასევე კატეგორიათა თეორია). ბირჰოფის ცნობილ თეორემა ამ სფეროში ძირითად შედეგად არის მიჩნეული. ხსენებული თეორემის თანახმად, ალგებრათა ყოველი კლასი, რომელიც ჩაკეტილია პომომორფიზმთა, ქვეალგებრათა და ნამრავლთა მიმართ, განსაზღვრებადია ტოლობათა სიმრავლის საფუძველზე; და პირიქით. უნივერსალური ალგებრა უშუალო კავშირშია მოდელთა თეორიასთან; მრავალი ცნება და მეთოდი საერთოა ამ დისციპლინებისთვის.

(ლიტერატურა: უნივერსალური ალგებრა: Burris and Sankappanavar, 1981; Grätzer, 1968; ცილინდრული ალგებრა: Henkin, Monk and Tarski, 1971, 1985; ცხაურის თეორია: Birkhoff, 1967; Davey and Priestley, 1990; ბულის ალგებრა: Sikorski, 1964; Stone, 1936; Jónson and Tarski, 1951, 1952; Marx and Venema, 1996; რელაციური ალგებრა: Németi, 1991; Jónson, 1991; Maddux, 1990, 1995.)

(ambiguity) არაერთაზროვნება. ამ ტერმინით აღინიშნება ენობრივი გამოხატულების ერთზე მეტი კლასიფიკაციის შესაძლებლობა. გამოყოფენ რამდენიმე ტიპის არაერთაზროვნებას.

(syntactic ambiguity) სინტაქსურ არაერთაზროვნებას ეხედებით იმ შემთხვევაში, როცა არსებობს გამონათქვამის ერთზე მეტი სინტაქსური ანალიზი, მაგალითად:

1. John saw her duck.
2. Mary hit a boy with a stick.
3. Competent men and women are invited to apply for this job.
4. The horse raced past the barn fell.

მეოთხე წინადადება აქ მოტანილია არა იმის გამო, რომ მთელი წინადადებაა არაერთაზროვნანი, არამედ იმიტომ, რომ მისი *NP* (სახელადი ფრაზა) "The horse raced past the barn" შეიძლება ასევე მიეკუთვნოთ *S* (წინადადება) კატეგორიას.

(semantic ambiguity) სემანტიკური არაერთაზროვნება ნიშნავს იმას, რომ გამონათქვამს აქვს ერთზე მეტი მნიშვნელობა. აქ შედის (გარკვეული ენობრივი ერთეულის) მოქმედების არის არაერთაზროვნება (არაცალსახობა), როგორც ფრაზაში "Every woman loves a man". სემანტიკური არაერთაზროვნების უკიდურესი გამოვლინებაა ლექსიკური არაერთაზროვნება. აქ შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც პოლისემია, როცა ერთი და იგივე სიტყვა იღებს სხვადასხვა მნიშვნელობებს, ისე პოლინიმია, როცა განსხვავებული სიტყვები ან ერთნაირად იწერება (პომოგრაფია), ან ერთნაირად უღერს (პომოფონია).

(polymorphism) პოლიმორფიზმი შესაძლებელია განისაზღვროს როგორც კატეგორიულური არაერთაზროვნება. სიმბოლოთა თანმიმდევრობის "duck"-ის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სახელი, ისე ზმნა, ის იღებს ომონიმიის სახეს. "and"-ის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნას, ერთი მხრივ, წინადადებათა, მეორე მხრივ კი ზმნურ ფრაზათა მაკავშირებლად, პოლიმორფიზმი პოლისემიის ფორმით ვლინდება. პოლიმორფიზმი ცენტრალური ცნებაა იმ სემანტიკური თეორიებისთვის, რომლებიც იყენებენ კატეგორიულ გრამატიკას ან ტიპთა თეორიას (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავები 1, 2, 3).

(pragmatic ambiguity) პრაგმატული არაერთაზროვნება. არაერთაზროვნების სახეობა, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ გამონათქვამის კონტექსტზე. მაგალითად, თელიან, რომ გამოთქმა "next Thursday" არაა ერთმნიშვნელოვანი, რამდენადაც ის შეიძლება გულისხმობდეს: ა) უშუალოდ მომდევნო ხუთშაბათს და ბ) მომდევნო კვირის ხუთშაბათს და რომ ეს არაერთაზროვნება შეიძლება განჩნდეს მხოლოდ ორ შაბათს და სამშაბათს (Fillmore, 1971).

(derivational ambiguity) დერივატიული არაერთაზროვნება. ამ ტიპის არაერთაზროვნება ჩნდება მტკიცებათა სქემებზე დაფუძნებულ გრამატიკებში,

როცა გამონათქვამს აქვს ერთზე მეტი დერივაცია. ასეთი არაერთაზროვნება ხშირად სასურველიცაა, რამდენადაც შეიძლება ახსნას (გარკვეული ენობრივი ერთეულის) მოქმედების არის განუზღვრელობა (არაერთაზროვნება).

გასაგებია, რომ არაერთაზროვნების ეს ტიპები არ გეხვდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. (1)-ის სინტაქსურ არაერთაზროვნებას საფუძვლად უდევს “duck”-ის კატეგორიული არაერთაზროვნება და, შესაბამისად, “her”-ის ბრუნვის გაურკვეველობა (ნათესაობითი/ბრალდებითი). (3) შეიძლება განხილულ იქნას როგორც მოქმედების არის სინტაქსურად განპირობებული არაერთაზროვნება.

არაერთაზროვნება სერიოზულ პრობლემას ქმნის ბუნებრივ ენაზე შექმნილი ტექსტების დამუშავებისას (Natural Language Processing). რამდენადაც არაერთაზროვნება, როგორც წესი, იზრდება ყოველ ბოჯზე, შედეგად მიიღება იმ შესაძლო ინტერპრეტაციათა უსაზღვროდ დიდი (ძნელად გასაკონტროლებელი) რაოდენობა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელი იქნებოდა NLP სისტემისთვის. მეტიც, ხშირ შემთხვევაში არაერთაზროვნების მოხსნის პროცესი გულისხმობს გარესამყაროზე ინფორმაციის გამოყენებას, ეს კი იმდენად დიდი რაოდენობის და არასისტემატიზებულ ფაქტებს მოიცავს, რომ მათი დამუშავება არარეალურია. თანამედროვე კვლევები, როგორც წესი, ხორციელდება არასრულად განსაზღვრული სემანტიკური გამოსახულებების საფუძველზე და არა ყველა შესაძლო ინტერპრეტაციის გათვალისწინებით (იხ. კრებული Van Deemter and Peters, 1996).

არაერთაზროვნების ზრდა პრობლემას ქმნის თეორემათა ავტომატური მტკიცების სფეროშიც. ამ შემთხვევაში ფორმულათა დერივაციული არაერთაზროვნება იმდენად აფართოებს შესაძლო დერივაციათა ძიების არეალს, რომ მისი დამუშავება ძალიან ძნელდება. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალური ხდება მოჩვენებითი არაერთაზროვნების (ინფორმაციული თვალსაზრისით ეკვივალენტური დერივაციების) მოხსნის პრობლემა (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 2).

ლინგვისტიკაში არსებული სემანტიკური არაერთაზროვნების თეორიული პრობლემები უკავშირდება ამ ცნების ცალსახა გამოიჯენას ბუნდოვანებისგან. ამ მიზნით შემუშავებულია არაერთაზროვნების ამოცნობის რამდენიმე გზა, მათ შორისაა პარაფრაზის (Pinkal, 1991) და ელიფსისის მეთოდი (იხ. Lakoff, 1970).

ლოგიკაში არაერთაზროვნება იშვიათად გეხვდება, რამდენადაც ლოგიკური ენები ხშირად სწორედ მათი (არაერთაზროვნებათა) თავიდან ასაცილებლადაა გამოიხსნილი. ლოგიკურ ენებში ყოველ სიმბოლოს აქვს ერთადერთი სინტაქსური კატეგორია, ფრჩხილები კი გამოიყენება იმისთვის, რომ გამოირიცხოს რთული ფორმულების არაერთაზროვნება. ეს გარემოება აისახება იმ ლოგიკური სემანტიკების მეთოდებზე, რომლებიც ბუნებრივი ენობრივი გამონათქვამებისთვის მნიშვნელობების მისაწერად ადგენენ მათ მიმართებებს გარკვეული ლოგიკური ენის ფორმულებთან, რამდენადაც არაერთაზროვნანი

წინადადებებისთვის ამ მიმართებას უნდა ჰქონდეს ფორმა 'ერთი-რამდენიმე' (ან 'რამდენიმე-რამდენიმე' კი: იხ. Hendriks, 1993).

(ლიტერატურა: Fillmore, 1971; Kempson, 1971, თავი 8; Kooij, 1971; Lakoff, 1970; Pinkal, 1991; Van Deemter and Peters, 1996; Zwicky and Sadock, 1975.)

(**anaphora**) ანაფორა აღნიშნავს გამონათქვამთა შორის ისეთ მიმართებას, როცა რომელიმე გამონათქვამის ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სხვა გამონათქვამთან (თავის ანტეცედენტთან) მისი დაკავშირების საშუალებით. როგორც ამაზე თვით სიტყვა *ანტეცედენტი* (*წინამძღვარი*) მიგანიშნებს, ანტეცედენტი წინ უსწრებს მასზე დამოკიდებულ ერთეულს. მოვლენა, როცა გამონათქვამის ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მის მომდევნო ფრაზასთან მიმართების საფუძველზე, ცნობილია კატაფორას სახელით.

მკვლევრები ხშირად ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რომელი მიმართებები უნდა იქნას განხილული ანაფორულად, ან სადაა საძიებელი ანაფორულ მიმართებათა საფუძველი – სინტაქსში, სემანტიკასა თუ პრაგმატიკაში. აქედან გამომდინარე, ანაფორის ზემომოტიანი განმარტება მხოლოდ და მხოლოდ მიახლოებით განსაზღვრავს ამ ტერმინის შინაარსს და ძირითადად მოიცავს მის ლინგვისტიკაში მიღებულ მნიშვნელობას. *ანტეცედენტი/ანაფორის* კარგად ცნობილი მაგალითებია:

1. Every farmer who owns a donkey beats *it*.
2. A man walks in the park. *He* whistles.
3. Bill likes *himself*.
4. Mary ate an apple. *So did* Peter.
5. Mary lost a red and a blue marble. Peter found the red *one*.
6. A tiger might come in. *It* would eat you first.

იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავები, რომლებიც ეხება DRT-ს და დინამიკას.

(ლიტერატურა: Chierchia, 1995; Evans, 1980; Groenendijk and Stokhof, 1991; Heim, 1982; Kamp, 1981; Pause, 1991; Reinhart, 1976, 1983.)

(**aspect**) ასპექტი. ლინგვისტური კატეგორია, რომელიც განსხვავდება დროის, პოლარობის (დადებითი/უარყოფითი გამონათქვამი) და შეთანხმების მორფოლოგიური კატეგორიებისგან. სემანტიკაში ამ ტერმინით ხშირად აღნიშნავენ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება აღწერილ ფაქტთან მოლაპარაკის დამოკიდებულებას, კერძოდ, მოლაპარაკის მიმართებას (შიდა/გარე) და კონტექსტურად განსაზღვრულ დროით ათვლას. 'არისტოტელე-ვენდლერის კლასიფიკაცია' ტრადიციულად გამოყოფს ასპექტის ოთხ კლასს: მდგომარეობა (ცვლილებათა არარსებობა), ქმედება (ატელიკური მოვლენა), ქმნა (ტელიკური მოვლენა), სრულქმნა (მყისიერი მოვლენა). მიუხედავად იმისა, რომ ასპექტის ამ კლასებს ბუნებრივი ენები სხვადასხვა კონსტრუქციების მეშვეობით გამოხატავენ, როგორც ჩანს, ყველა ბუნებრივი ენა ამა თუ იმ გზით გამოხატავს

ასპექტის ამ ოთხი კლასიდან თითოეულს და მხოლოდ მათ. (ასპექტის სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესახებ იხ. Verkuyl, 1993.) ასპექტის საკითხის დამუშავება ივარაუდება ტემპორალური ლოგიკის ფარგლებში, მაგრამ აქ ეხედვები მნიშვნელოვან განსხვავებას ტერმინოლოგიის, მეთოდებისა და explananda-ს მხრივ. თანამედროვე დინამიკური ლოგიკა ასპექტურ ინფორმაციას შეისწავლის როგორც კონტექსტის ცვლის ფაქტორს (Ter Meulen, 1995).

(იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავები 3 და 16.)

(ლიტერატურა: Galton, 1984; Ter Meulen, 1995; Verkuyl, 1993.)

(automata theory) ავტომატების თეორია. ლოგიკისა და გამომთვლელ მანქანათა თეორიის განშტოება, რომელიც სწავლობს გამომთვლელი მანქანების მათემატიკურ მოდელებს. ეს სფერო მჭიდროდ უკავშირდება ფორმალურ ენათა თეორიას. ორივე მათგანი მიზნად ისახავს ისეთი ალგორითმის შექმნას, რომელიც ავტომატურად ამოიცნობდა ენათა სხვადასხვა ტიპებს. ავტომატების თეორია ასევე უშუალოდაა დაკავშირებული რეკურსიის თეორიასა და სირთულის თეორიასთან (complexity theory).

ავტომატების კარგად ცნობილი ტიპებია (მათი ზუსტი განსაზღვრა იხ. მითითებულ ლიტერატურაში):

(finite state machines) სასრულ მდგომარეობებიანი ავტომატი. აქვს მდგომარეობათა სასრული რაოდენობა, რომელთაგან ერთ-ერთი არის საწყისი მდგომარეობა, ხოლო ზოგიერთი – მიმღები მდგომარეობა (приемное состояние конечного автомата, accepting state). ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა ხდება მხოლოდ და მხოლოდ შეტანილი სიმბოლოს წაკითხვის საფუძველზე. მომდევნო მდგომარეობის ფუნქცია შეიძლება იყოს დეტერმინისტული ან არადეტერმინისტული. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ეს გარემოება არ აისახება სასრულ ავტომატთა ამომცნობ სიმძლავრეზე: ისინი იცნობიერებენ რეგულარულ ენებს (ხომსკის იერარქიით მე-3 ტიპის ენებს).

(push-down automata) ავტომატი მჭიდვის ტიპის მეხსიერებით. აქვს მდგომარეობათა სასრული სიმრავლე, მონაცემთა შეტანის ფირი და მჭიდის ტიპის მარტივი მეხსიერება სიმბოლოთა სასრული კონით. ამ ავტომატს შეუძლია მონაცემთა ფირის წაკითხვა, კონის ზედა სიმბოლოს ამოკითხვა, ზედა სიმბოლოს წაშლა კონიდან ან კონაში ახალი სიმბოლოს შეტანა. ავტომატი მჭიდის ტიპის მეხსიერებით იცნობიერებს არაკონტექსტურ ენებს (ან მე-2 ტიპის ენებს).

(linear bounded automata) წრფივად ბმული ავტომატი (linear bounded automaton) არის ტიურინგის მანქანის შეზღუდული სახეობა, რომელიც იცნობიერებს კონტექსტზე დამოკიდებულ ენებს (context sensitive languages) (პირველი ტიპის ენებს).

(Turing machines) ტიურინგის მანქანა არის იერარქიის სათავეში, რამდენადაც მას აქვს ყველაზე ძლიერი გაცნობიერებითი უნარი: ის იცნობიერებს

რეკურსიულად თვლად ენებს (recursively enumerable languages) (ნული ტიპის ენებს). ტიურინგის მანქანას აქვს უსასრულო ფირი, რომელიც წარმოადგენს უჯრედთა უსასრულო რიგს. ამ მანქანას შეუძლია უჯრედიდან ამოიკითხოს სიმბოლო ან ჩაწეროს სიმბოლო უჯრედში და გადაადგილდეს ფირის გასწვრივ მარცხნივ ან მარჯვნივ. ტიურინგის მანქანები ფართოდ გამოიყენება რეკურსიის თეორიასა და სირთულის თეორიაში (complexity theory).

(ლიტერატურა: Hopcroft and Ullman, 1979; Lewis and Papadimitriou, 1981; Partee, Ter Meulen and Wall, 1990).

(Boolean algebra) ბულის ალგებრა იხ. ალგებრა

(cataphora) კატაფორა იხ. ანაფორა

(category theory) კატეგორიათა თეორია. თეორიული მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის კატეგორიებს, რომლებიც, თავის მხრივ, ისახლერება როგორც ორი ტიპის ელემენტთა – ობიექტების და მორფიზმების ერთობლიობა. როგორც წესი, ეს ობიექტები წარმოადგენენ (სტრუქტურირებულ) სიმრავლეებს, ხოლო მორფიზმები არის ამ სიმრავლეთა შორის (სტრუქტურათა შემანარჩუნებელი) ასახვები (mappings). კატეგორიათა თეორიის მეთოდები გამოიყენება მათემატიკის ისეთ დარგებში, როგორცაა ტოპოლოგია და ალგებრული გეომეტრია, ასევე თეორიულ ფიზიკაში. ლოგიკაში კატეგორიათა თეორია გამოიყენება მოდელთა თეორიის უმაღლეს კურსში და სიმრავლეთა თეორიაში; მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინტუიციური ლოგიკის მოდელთა თეორიაში.

(ლიტერატურა: Goldblatt, 1984; Kock and Reyes, 1977; Lambek and Scott, 1986; MacLane, 1971; MacLane and Moerdijk, 1992; Moerdijk, 1995.)

(Chomsky hierarchy) ხომსკის იერარქია იხ. ფორმალური ენის თეორია.

(classical logic) კლასიკური ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(common ground) საერთო საფუძველი. ლინგვისტური პრაგმატიკის მნიშვნელოვანი ცნება: მოსაუბრეთა შორის საერთო საფუძვლის არსებობა გულისხმობს განსჯათა სიმრავლეს, რომელიც ცნობილია ყველა მონაწილისთვის (ან გაზიარებულია მათ მიერ). ხშირად იყენებენ 'ურთიერთცოდნის' (ან 'საერთო რწმენის') უფრო ძლიერ ცნებას; ამ შემთხვევაში ყველასთვის უნდა იყოს ცნობილი, რომ ყველასთვის ცნობილია რომ ყველასთვის ცნობილია რომ ყველასთვის ცნობილია რომ ყველასთვის ცნობილია და ა. შ. განსჯათა ესა თუ ის კონკრეტული სიმრავლე.

ფილოსოფიაში 'ურთიერთცოდნის' ცნებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლუისის ნაშრომში კონვენციაზე (Lewis, 1969). ამ ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ საზოგადოებაში პირობითობები იმ შემთხვევაში მოქმედებს ეფექტიანად, როცა ეს პირობითობები საფუძვლად უდევს ამ 'ურთიერთცოდნას'. რამდენადაც

ეს ასევე ეხება ენობრივ პირობითობებს (კონვენციებს), 'ურთიერთცოდნა' მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის გამოყენების ანალიზში. ამის რამდენიმე მაგალითს ვხვდებით შესაბამის ლიტერატურაში. შიფერის ნაშრომში (Schiffer, 1972) გამოთქმულია მოსაზრება, რომ საუბრისას ნათქვამის შინაარსის ამოცნობა, მაგალითად, მსმენელის მიერ ფრაზის სადიאלოგო იმპლიკაციის გამოთვლა მოითხოვს 'ურთიერთცოდნას'. *საერთო საფუძველი* ცენტრალური ცნებაა მეტყველების კონტექსტის ცვლის თეორიაში (იხ. კონტექსტის ცვლა), კერძოდ, ამოსავალ დაშვებათა მიმართ პრაგმატისტულ მიდგომაში (Stalnaker, 1974; Karttunen and Peters, 1975, 1979; Gazdar, 1979; Heim, 1983). იმ ნაშრომთა შესახებ, სადაც განხილულია 'ურთიერთცოდნის' ლინგვისტური ასპექტები, იხ. Smith, 1982.

უკანასკნელ ხანს 'საერთო ცოდნის' ცნებას დიდი ყურადღება ექცევა კომპიუტერულ მეცნიერებაში, ძირითადად იმ გამოკვლევებში, რომლებიც ეძღვნება კომუნიკაციის საკითხებს დანაწილებულ სისტემებში. საერთო ცოდნის ცნებას აქ გადაამწყვეტი როლი ენიჭება შეთანხმებისა და კოორდინირებული მოქმედების ახსნაში. ამ კვლევებმა შედეგად მოგვცა ეპისტემური ლოგიკის საინტერესო გაფართოება 'საერთო ცოდნის' ოპერატორებით (Halpern and Moses, 1990; Fagin, Halpern, Moses and Vardi, 1995). "არასრულად დაფუძნებულ სიმრავლეთა თეორიაში" (non-well-founded set theory) 'საერთო ცოდნის' ანალიზისთვის იხ. Barwise, 1989.

(compactness) კომპაქტურობა იხ. ლოგიკა.

(completeness) სისრულე იხ. ლოგიკა.

(complexity theory) სირთულის თეორია. კომპიუტერული მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ალგორითმთა ეფექტიანობას და პრობლემების გამოთვლით სირთულეს. ალგორითმის ეფექტიანობა იზომება სიერცული და დროითი 'სირთულით'. სიერცული სირთულე არის მოცემული ალგორითმისთვის საჭირო მესხიერების მოცულობის საზომი, დროითი სირთულე კი იმ დროის საზომია, რომელსაც ეს ალგორითმი იკავებს. ალგორითმის სიერცული სირთულე არის $S(n)$, თუკი არსებობს ტიურინგის ისეთი მანქანა, რომელსაც ასეთი ალგორითმის გამოყენებისას ნებისმიერი n რაოდენობის სიმბოლოს მისაღებად დასჭირდებოდა ფირის მაქსიმუმ $S(n)$ უჯრედი. ხოლო მისი დროითი სირთულე უდრის $T(n)$ -ს, თუკი ტიურინგის მანქანას n რაოდენობის სიმბოლოზე სჭირდება მაქსიმუმ $T(n)$ მოქმედების (ბიჯის) შესრულება.

სირთულის ამ საზომებმა სათავე დაუდეს სხვადასხვა 'სირთულის კლასთა' გაჩენას. მაგალითად, $DSPACE(n^2)$ არის ყველა ისეთ პრობლემათა კლასი, რომლის გამოთვლაც შესაძლებელია დეტერმინისტული ტიურინგის მანქანის საშუალებით, რომლის სიერცული სირთულე არის n^2 , ხოლო $NTIME(10x(n))$ ისეთ პრობლემათა კლასია, რომლის გამოთვლაც შეიძლება არადეტერმინისტული ტიურინგის მანქანის მეშვეობით, რომლის დროითი

სირთულე არის $\log_2(n)$. სირთულის თეორიის სფეროში წარმოებული კვლევები მნიშვნელოვანწილად უკავშირდება იერარქიის თეორემათა ჩამოყალიბებას, რომლებშიც მკაცრად მტკიცდება, რომ სირთულის ორი კლასი განსხვავდება ერთმანეთისგან. ამ სფეროში დღემდე გადაუჭრელია $P = NP$ პრობლემა, რომელიც ეხება დეტერმინისტული პოლინომიალური დროითი კლასისა ($P = U_1$ DTIME (n^1)) და არადეტერმინისტული პოლინომიალური დროითი კლასის ($NP = U_1$ NTIME (n^1)) იდენტურობას.

იხ. ასევე: ავტომატების თეორია, რეკურსიის თეორია.

(ლიტერატურა: Balcazar, Diaz and Gabarro, 1988, 1990; Bovet and Crescenzi, 1994; Hartmanis and Hopcroft, 1971; Hartmanis and Stearns, 1965; Johnson, 1990; Rabin, 1963; Van Emde Boas, 1990.)

(conditional) პირობითი გამონათქვამები. პირობითი გამონათქვამების ანალიზი ლოგიკის ერთ-ერთი უძველესი პრობლემაა. კლასიკური ლოგიკა მატერიალური იმპლიკაციისთვის იყენებს ჭეშმარიტულ ცხრილებს (იხ. ჭეშმარიტულ-პირობითი სემანტიკა): "თუ A , მაშინ B " არის ჭეშმარიტი იმ შემთხვევაში, როცა A არის მცდარი ან B არის ჭეშმარიტი. ინტუიციონისტური ლოგიკის ე. წ. ბრაუერ-კეიტინგ-კოლმოგოროვის ინტერპრეტაცია პირობითი გამონათქვამებს განიხილავს ისეთ გამოსახულებად, რომელიც გულისხმობს, რომ არსებობს ანტეცედენტ A -ს მტკიცების ეფექტური ტრანსფორმაცია კონსეკუენტ B -ს მტკიცებად. პირობითი გამონათქვამების კიდევ ერთი გამაძლიერებელი ინტერპრეტაცია გაჩნდა მოდალურ ლოგიკაში, სადაც გამომდინარეობას განიხილავენ როგორც მატერიალური იმპლიკაციის აუცილებელ ჭეშმარიტებას (იხ. ინტენსიონალიზაცია). ამგვარი ინტერპრეტაციები იმ ინტუიციურ ძიებათა შედეგად გაჩნდა, რომელთა მიზანიც ჭეშმარიტი გამომდინარეობის დადგენა იყო (შდრ. Nute, 1984).

უფრო კონკრეტულად, ბუნებრივ ენაში გვხვდება პირობითი წინადადებების სხვადასხვა ტიპები, მათ შორის ინდიკატიური პირობითი გამონათქვამები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული ფაქტის კავშირს გარკვეულ გარემოებასთან ("თუ არის A , მაშინ არის B ") და არაფაქტობრივი განცხადებები, რომლებიც გამოხატავენ იმას, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ("რომ ყოფილიყო A , მაშინ იქნებოდა B). ეს უკანასკნელი თავდაპირველად მეცნიერების ფილოსოფიაში შეისწავლებოდა, რამდენადაც აშკარა იყო მისი კავშირი კანონთა მსგავს დებულებებსა და განმარტებებთან (Sosa, 1975). ამ ტრადიციის ყველაზე ნიშანდობლივი გამოხატულებაა 'რემზის ტესტი' (Ramsey Test), რომლის თანახმადაც პირობითი გამონათქვამის "თუ A , მაშინ B " შეფასებისას ადამიანი ცდილობს დაუმატოს და შეუთავსოს A თავის რწმენათა სისტემას (თუ საჭიროა, შეიტანოს მასში მინიმალური ცვლილებები), შემდეგ კი ამოწმებს, თუ რამდენად გამომდინარეობს B რწმენათა მიღებული სისტემიდან. ამ გარემოებამ სტიმული მისცა ლუისს და სტოლენეკერს ფილოსოფიურ ლოგიკაში შეექმნათ პოტენციურ სამყაროთა სემანტიკა, რომელიც გეთავაზობს პირობითი გამონათქვამის "თუ A , მაშინ B " შედეგ ინტერპრეტაციას: ყველა A -

სამყარო, რომელიც ყველაზე მსგავსია არსებული სამყაროსი, არის ამავე დროს B-სამყარო (Lewis, 1973). ამ მიდგომამ განეითარება პოვა მათემატიკური კვლევის პროგრამაში, რომელიც ამუშავებს სისრულისა და რეპრეზენტაციის არატრივიალურ საკითხებს (Burgess, 1981; Veltman, 1985). *ხელოვნურ ინტელექტის* 'არამონოტონური ლოგიკა' მოიცავს ე. წ. ნაგულისხმევ წესებს (default rules), რომლებსაც მრავალი ფორმალური მსგავსება აქვთ პირობით გამონათქვამებთან. ამ სემანტიკაში შესაბამისი რიგითობის განსაზღვრისას ფრაზა "ყველაზე მსგავსი" ჩანაცვლებულია "უპირატესით" (Shoham, 1988), კონდიციონალური ლოგიკა კი ახდენს სტრუქტურის იმთავითვე განსაზღვრული განსჯის (default reasoning) კოდირებას (Gärdenfors and Makinson, 1994).

ბუნებრივ ენათა სემანტიკაში ვხვდებით პირობით გამონათქვამთა უფრო რთულ ინტერპრეტაციებს. მაგალითად, 'წანამძღვართა სემანტიკაში' პოტენციური სამყაროების ცნება ჩანაცვლებულია შედარებით უფრო სტრუქტურირებული 'რწმენითი მდგომარეობებით' (belief states) (Veltman, 1976; Kratzer, 1979, 1981). ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია ანაფორას კვლევისას ანტეცედენტებისა და კონსეკვენტების ანალიზის გზით, როგორც ცნობილ 'ვირის წინადადებათა' (donkey sentences) შემთხვევაში (Heim, 1982; Reinhart, 1983). ანაფორული მიმართების ამ ტიპმა სტიმული მისცა 'დისკურსის რეპრეზენტაციის თეორიისა' და მასთან დაკავშირებულ 'დინამიკური სემანტიკის' განშტოებების ჩამოყალიბებას. მართლაც, პირობითი გამონათქვამები ტიპური არეალია დინამიკური მოვლენებისთვის. რეშის ტესტი გულისხმობს ანტეცედენტ A-ს რევიზიის პროცესს, აქედან გამომდინარე, კონდიციონალური ლოგიკა რწმენის რევიზიის თეორიაცაა (Gärdenfors, 1988). არაექსპლიციტური პირობითი გამონათქვამები (default conditionals) პოტენციურ სამყაროთა სემანტიკაში ასევე განიხილება როგორც უპირატესი სამყაროს აქტუალიზატორი, როცა მათ აღიქვამენ როგორც შემდგომ ინსტრუქციებს უპირატესი მდგომარეობების განსაზღვრისთვის ("მიანიჭეთ კიდევ მეტი უპირატესობა A&B-სიტუაციებს A&არაB-სიტუაციებთან შედარებით"; Spohn, 1988; Veltman, 1991). კონდიციონალური ლოგიკის სხვა მომიჯნავე დისციპლინები მოიცავენ ალბათობის და სტატისტიკის საფუძვლებს (Adams, 1975), ალბათობას (verisimilitude) (Kuipers, 1987), განზოგადებულ კვანტორებს (Van Benthem, 1984b).

(context) კონტექსტი. ტერმინ 'კონტექსტს' ლინგვისტიკაში სულ მცირე სამი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. (1) რომელიმე ფრაზის ენობრივი კონტექსტი არის მხოლოდ მისი ენობრივი გარემოცვა. (2) რომელიმე განცხადების სამეტყველო კონტექსტი მოიცავს ნებისმიერ ფაქტს, რომელსაც კი შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს მეტყველების ამ აქტთან და რომელიც რაიმე თვალსაზრისით აზუსტებს ან განსაზღვრავს მოლაპარაკეს, მსმენელს, იმას, რაც ითქვა, მეტყველების დროს, საუბრის მონაწილეთა რწმენას და მიზნებს და ა. შ. (3) კონტექსტის ცვლის თეორიებში (იხ. ქვემოთ) ტერმინი 'კონტექსტი' უკავშირდება მეტყველების კონტექსტს, მაგრამ უფრო ვიწრო გაგებით, ეკრძოდ, ის აღწერს მხოლოდ საუბრის მონაწილეთა მხრივ გარკვეული ფაქტების

ურთიერთგაცნობიერებულ ცოდნას და ამ შემთხვევაში ის დაახლოებით შეესაბამება ე. წ. საერთო საფუძველს.

(context-dependence) კონტექსტზე დამოკიდებული გამონათქვამები. გამონათქვამი შეიძლება იყოს კონტექსტზე დამოკიდებული ნებისმიერი ზემომოტანილი გაგებით. ნაცვალსახელთა ინტერპრეტაცია, როგორც წესი, შეიძლება დამოკიდებული იყოს ენობრივ კონტექსტზე, როგორც ფრაზაში “ბილმა იცის მას რა მოსწონს” (“Bill knows what he likes”). ინდექსიკალებისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ინტერპრეტაცია დამოკიდებული იქნება სამეტყველო კონტექსტზე, როგორც ფრაზებში “მე არ ვარ თადლითი” ან “ეს ჩემი მანქანაა”. კონტექსტური დამოკიდებულების ამ უკანასკნელი ტიპის განსაზღვრისთვის ფილოსოფოსებმა კაპლანმა და სტოლნეკერმა იმგვარად გააფართოვეს მონტევიუს ინტენსიონალური ლოგიკა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ინდექსიკალების და ჩვენებითი ნაცვალსახელების აღწერაც. ამ მიდგომის თანახმად, წინადადება “მე ელაპარაკობ” არაა თავისთავად ჭეშმარიტი, მაგრამ თუ ის ითქვა, მაშინ ის ჭეშმარიტია. ამ ორი შემთხვევის გარჩევა შეუძლებელი იქნებოდა მონტევიუს ინტენსიონალურ ლოგიკაში. კაპლანმა საჭიროდ ჩათვალა ცნება ‘ინტენსია’ ჩაენაცვლებინა ‘ნიშნის’ (‘character’) ცნებით. ‘ნიშანი’ აქ არის ფუნქცია, რომელსაც კონტექსტი “გადააყვებს” შინაარსში, ხოლო ‘შინაარსი’, ‘ინტენსიის’ მსგავსად, არის ფუნქცია, რომელიც “სამყარობისგან” ან ინდექსებისგან გვაძლევს ‘ექსტენსიას’ (Kaplan, 1978; Zimmermann, 1991).

რაც შეეხება კონტექსტური დამოკიდებულების იმ ტიპს, რომელიც გარკვეული ფაქტების ცოდნის ურთიერთგაცნობიერებას უკავშირდება, ამ მხრივ ნიშანდობლივია კლარკისა და მარშალის (1981) ნაშრომი, სადაც განხილულია “განსაზღვრული რეფერენცია”. ამ ავტორთა მტკიცებით, კომუნიკაციის პროცესში ფრაზის “კაცი, რომელსაც ლურჯი ლაბადა აცვია” (“the man in the blue raincoat”) სწორი გამოყენებისთვის არა მარტო ისაა აუცილებელი, რომ არსებობდეს ამ აღწერის მხოლოდ ერთადერთი რეფერენტი, ვთქვათ, **ა**, არამედ მთქმელმა და მსმენელმა, თითოეულმა, უნდა იცოდეს, რომ მეორემ იცის, რომ **ა** არის ამ აღწერის ერთადერთი რეფერენტი.

(context change) კონტექსტის ცვლა. თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც გამონათქვამი არის გარკვეული ოპერაცია კონტექსტზე (ამ შემთხვევაში კონტექსტზე, როგორც ‘საერთო საფუძველზე’), შემუშავებულ და განვითარებულ იქნა ჰემბლინის (1971), სტოლნეკერის (1978) და გაზდარის (1981) მიერ. ამ მიდგომის მიხედვით, წინადადება S-ის წარმოთქმა, რომელიც გამოხატავს რაღაც p განსჯას, შეცვლის კონტექსტს ამ p განსჯის კონტექსტში ჩართვის შედეგად. ამ ტიპის თეორიას იყენებენ ‘წინასწარი დაშვების’ (presupposition) ცნების განსაზღვრისთვის: თუ წინადადება S ‘წინასწარ უშვებს’ (გულისხმობს) q-ს, მაშინ S-ის მტკიცება დასაშვები იქნება მხოლოდ იმ კონტექსტში, რომელშიც უკვე ჩართულია q (Stalnaker, 1974; Gazdar, 1979; Heim, 1983; Beaver, 1995).

იხ. ასევე: საერთო საფუძველი, ინდექსიკალობა, პრაგმატიკა, მეტყველების აქტები.

(context free language) კონტექსტისაგან დამოუკიდებელი ენები იხ. ფორმალური ენის თეორია.

(context sensitive language) კონტექსტზე დამოკიდებული ენა (context-free language) იხ. ფორმალური ენის თეორია.

(constructive logic) კონსტრუქციული ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(constructivism) კონსტრუქტივიზმი. კონსტრუქციული მათემატიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრობლემათა გადაწყვეტის რეალური კონსტრუქციების აგებას. კონსტრუქციები არსებობდა ჯერ კიდევ ევკლიდეს გეომეტრიაში (თეორემებთან ერთად), მაგრამ მათი წინა პლანზე წამოწვევა ფილოსოფიურ პროგრამად იქცა გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით ე. წ. ინტუიციონიზმისთვის, სადაც 'გეშმარტება' ჩანაცვლებულია 'მტკიცებადობით', რომელიც აქ განსჯის სასაფუძველო ცნების როლს ასრულებს. ლოგიკური კონსტანტების ბრაუერ-პეიტინგ-კოლმოგოროვის ინტერპრეტაციის თანახმად, ისინი უნდა განვიხილოთ როგორც მტკიცებათა კომბინირების ინსტრუქციები. ამ მოსაზრების ალგორითმული შინაარსი ყველაზე ნათლად ქერი-ჰაეარდ-დებრუნის იზომორფიზმში ვლინდება, რომელიც კონსტრუქციულ მტკიცებებს შეუსაბამებს ალგორითმთა განსაზღვრებებს ტიპიზებულ ლამბდა გამოთვლებაში (typed lambda calculus). კრიკეს 'ოტენციურ სამყაროთა სემანტიკაში' გვხვდება კონსტრუქტივიზმის კიდევ ერთი ფორმა, სადაც ლოგიკურ გამონათქვამთა ინტერპრეტაცია ხდება ინფორმაციულ მდგომარეობათა სამყაროში, რომლის ფარგლებშიც მოძრაობს 'განსჯათა ბლოკი' (reasoner) (Kripke, 1965). კონსტრუქტივიზმის სხვა 'დინამიკურ' ტიპთა შორის შეიძლება გამოიყოს 'თამაშთა თეორიული სემანტიკა' (game-theoretical semantics) (Lorenzen and Lorenz, 1979) და 'კატეგორიათა თეორიული სემანტიკა' (category-theoretic semantics) (MacLane and Moerdijk, 1992). ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Troelstra and Van Dalen, 1988.

(convention) კონვენცია იხ. საერთო საფუძველი.

(conventional implicature) კონვენციონალური იმპლიკატურა იხ. სასაუბრო მაქსიმები.

(conversational maxims) სასაუბრო მაქსიმები. საუბრისას მსმენელს ხშირად იმ შემთხვევაში შეუძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა, თუ თვლის, რომ მოლაპარაკე იცავს გარკვეულ საკომუნიკაციო წესებს, მაგალითად, ის ცდილობს იყოს ინფორმატიული. ამ წესებს შეიძლება სასაუბრო მაქსიმები ეწოდოს. ამ სფეროში პირველი გამოკვლევა ეკუთვნის გრაისს (H. P. Grice, 1989), რომელმაც ჩამოაყალიბა ის წესები, რომელსაც საუბაროდ იცავენ საუბარში მონაწილე პირები. გრაისმა წამოაყენა კოოპერატიული პრინციპის (Cooperative

Principle) იდეა, რომელმაც შემდგომ მიიღო ოთხი სასაუბრო მაქსიმის ფორმა, თვისებრივი მაქსიმა ('იყო გულწრფელი'), რაოდენობრივი მაქსიმა ('იყო ინფორმატიული'), რელევანტურობის მაქსიმა ('არ გადაუხეო თემას'), სტილის მაქსიმა ('ისაუბრო მკაფიოდ და გასაგებად').

(implicature) იმპლიკატურა. ზოგადად, 'იმპლიკატურა' აღნიშნავს იმ ნებისმიერ დასკვნას, რომელიც კი შეიძლება მსმენელმა გამოიტანოს ნათქვამიდან და რომელიც არ გამომდინარეობს ამ ნათქვამის შინაარსიდან. ამიტომაც ითვლება, რომ ასეთი დასკვნები მიეკუთვნება პრაგმატიკის და არა ლოგიკურ-ტექსტუალურ სფეროს.

(conversational implicature) სასაუბრო იმპლიკატურა. დასკვნათა ის სახეობა, რომელთა გამოტანა მსმენელს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ თელის, რომ მოლაპარაკე იცავს სასაუბრო მაქსიმებს. ან, სხვაგვარად, ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც მოლაპარაკეს შეუძლია გადასცეს მსმენელს, თუკი მსმენელი გააცნობიერებს, რომ მოლაპარაკე იცავს ამ მაქსიმებს. ამის მაგალითია 'რაოდენობრივი' იმპლიკატურა – გამონათქვამ "5"-იდან კეთდება დასკვნა "მოლაპარაკე თელის, რომ 5-ი". გრაისი ასევე განიხილავდა ისეთ იმპლიკატურებს, რომელთა საფუძველიც არის მსმენლის მიერ იმ გარემოების გააცნობიერება, რომ მოლაპარაკე შეგნებულად არღვევს რომელიმე სასაუბრო წესს; ასეთ დასკვნებს ის უწოდებს 'არად ჩაგდებას' ან 'თავის სასარგებლოდ გამოყენებას' (exploitation).

(conventional implicature) პირობითი იმპლიკატურა. პრაგმატულ დასკვნათა ტიპი, რომელიც ითვალისწინებს არა სასაუბრო პრინციპებს, არამედ პირობითად დაკავშირებულია რომელიმე ლექსიკურ ერთეულთან. გრაისის მაგალითად მოჰყავს ინგლისური 'but', რომელსაც, როგორც ის აცხადებს, აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც 'and'-ს, მაგრამ პირობითად იღებს ორი გამონათქვამის მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციას.

(Cooperative Principle) კოოპერატიული პრინციპი იხ. სასაუბრო მაქსიმები.

(counterfactuals) არაფაქტობრივი გამონათქვამები იხ. პირობითი გამონათქვამები.

(cylindric algebra) ცილინდრული ალგებრა იხ. ალგებრა.

(decidability) ამოხსნადობა იხ. ლოგიკა, რეკურსიის თეორია.

(definite descriptions) განსაზღვრული აღწერები. ისეთი ტიპის გამონათქვამები, როგორიცაა "საფრანგეთის ახლანდელი მეფე" ან "მერის ძმა". განსაზღვრულ აღწერებს ფართოდ იყენებდნენ როგორც ფილოსოფიაში, ისე ლინგვისტიკაში. განსაზღვრული აღწერა გულისხმობს ერთადერთ რეფერენტს. ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ რომელ სფეროში უნდა ვეძიოთ ამ ერთადერთობის მოთხოვნა. თუ ეს სემანტიკაა, მაშინ ისეთი წინადადებები, სადაც ვხვდებით ურეფერენტო აღწერას, მაგალითად, "საფრანგეთის

ახლანდელი მეფე მელოტია”, შეიძლება ჩაითვალოს მცდარად, როგორც ამას აკეთებდა რასელი, ან უაზროდ, როგორც მიიჩნევდა სტროსონი. არსებობს სხვა პოზიციაც, რომელიც ერთადერთობის მოთხოვნას პრაგმატულ სფეროს აკუთვნებს, რამდენადაც ის იძლევა ფრაზის სწორად გამოყენების კრიტერიუმს. ამ პოზიციის თანახმად, განსაზღვრული გამოთქმები ერთადერთობის მოთხოვნას შეიცავენ წინაპირობის სახით და მათი სწორად გამოყენება ხდება მხოლოდ ისეთ კონტექსტში, სადაც დაკმაყოფილებულია ეს წინაპირობა. ამ თვალსაზრისთან ახლოსაა შეხედულება, რომლის თანახმადაც განსაზღვრული აღწერა თავისი არსით ანაფორული გამონათქვამია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მოცემული აღწერის წინა დისკურსით უკვე დადგენილია ამ აღწერის ერთადერთი რეფერენტი (იხ. Heim, 1982).

იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავები 3, 6 და 17.

(ლიტერატურა: Donnellan, 1966; Heim, 1982; Neale, 1990; Russell, 1905, 1919, 1957; Strawson, 1950).

(deixis) დეიქსისი იხ. ინდექსიკალობა.

(discourse) დისკურსი. ზოგადად, ენობრივი გამოსახულების უწყვეტი მონაკვეთი, რომელიც შედგება ერთზე მეტი წინადადებისგან. ფრანგულ სტრუქტურალისტურ ფილოსოფიაში 'დისკურსი' აღნიშნავს ყველაფერს, რაც კი საჭიროა მოცემული გამონათქვამის გასაგებად და შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ წარსულ მოვლენას.

1980-იან წლებში ლოგიკურ სემანტიკაში ჩნდება მიმდინარეობა, რომელსაც ანალიზი წინადადებათა დონიდან გადააქვს ტექსტის დონეზე. ამ ტიპის სემანტიკას დისკურსის სემანტიკა ეწოდება. ეს მიმდინარეობა განხილულია სახელმძღვანელოს Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, მე-3 თავში (დისკურსის რეპრეზენტაციის თეორია) და მე-10 თავში (დინამიკური სემანტიკა). ლინგვისტიკაში ტექსტის სტრუქტურისა და დიალოგის სტრუქტურის ეკლევას უფრო დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აქ ჩამოყალიბდა რამდენიმე მიმდინარეობა, მათ შორის, ტექსტის გრამატიკა (Van Dijk, 1972) და დისკურსის ანალიზი მეტყველების თეორიის ბაზაზე (Coulthard, 1977); აღსანიშნავია ასევე მრავალი ემპირიული გამოკვლევა დიალოგის ანალიზის სფეროში (Schlegoff and Sacks, 1973; Atkinson and Heritage, 1984; Schiffrin, 1987).

(domain theory) მნიშვნელობათა არის თეორია. ფუნქციათა მათემატიკური თეორია, რომელიც გვთავაზობს რეკურსიული ტოლობების $X = \dots X \dots$ ამოხსნის სისტემატურ გზას. ის ფართოდ გამოიყენება პროგრამული ენების სემანტიკაში, რამდენადაც პროგრამულ ენებს მნიშვნელოვანწილად ახასიათებთ სტრუქტურების და პროცედურების რეკურსიული განსაზღვრებები. გარდა ამისა, ველის თეორია იძლევა მოდელთა თეორიაში არატიპიზებული ლამზდა

გამოთვლის ინტერპრეტაციის საშუალებას ისეთი ველის (D) აგების გზით, რომელიც აკმაყოფილებს ტოლობას $D = [D \rightarrow D]$, სადაც $[D \rightarrow D]$ არის D-ზე განსაზღვრულ გაგრძელებად ფუნქციათა სიმრავლე.

იხ. ასევე ფიქსირებული ლოგიკა (fixed point logic).

(ლიტერატურა: Abramsky and Jung, 1992; Scott, 1982; Scott and Strachey, 1971).

(dynamic logic) დინამიკური ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(epistemic logic) ეპისტემური ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(events) მოვლენა. მოვლენა არის გარესსამყაროში მომხდარი ცვლილების ერთეული, რომლის ხანგრძლივობაც დროის ინტერვალით იზომება. დონალდ დევიდსონმა პირველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ქმედებათა აღწერის ინტერპრეტირებისათვის 'მოვლენის' ცნება ისევეა საჭირო, როგორც 'ინდივიდისა' (Davidson, 1980). მისმა თეორიამ გამოძახილი პოვა ბუნებრივ ენათა თანამედროვე სემანტიკაში – აქ არსებობს მიმდინარეობა სახელწოდებით "მოვლენათა ნეოდევიდსონისეული სემანტიკა", სადაც ზმნათა გარკვეული კლასების არგუმენტთა სტრუქტურა შეიცავს 'პირველადი მოვლენის' არგუმენტს (first-event argument) (Diesing, 1993). 'მოვლენა' უპირისპირდება 'მდგომარეობას', რომელიც არის ცვლილების არარსებობა. მოვლენებს ზოგჯერ ახასიათებენ როგორც ტელიკურს ან ატელიკურს; ამ შემთხვევაში იგულისხმება ის გარემოება, რომ მათი აღწერის ფორმა შესაბამისად იძლევა ინფორმაციას მათ დასრულებაზე (მაგ.: „ჯეინმა წაიკითხა წიგნი“, „Jane read a book“) ან დაუსრულებლობაზე (მაგ.: „ჯეინი კითხულობდა პროზას“ „Jane read prose“). ზოგიერთი ავტორი მდგომარეობათა და მოვლენათა აღმნიშვნელად ხმარობს ტერმინს 'eventuality', ხოლო ცვლილებათა ტელიკური აღწერის აღსანიშნავად იყენებს 'event'-ს.

იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავები 3 და 16.

(extensionality) ექსტენსიონალობა იხ. ინტენსიონალობა.

(first-order logic) პირველი რიგის ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(fixed point logic) ფიქსირებულ წერტილთა ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(focus) ფოკუსი. ინფორმაციული შინაარსის სამკომპონენტო რეპრეზენტაციაში (ფოკუსის ნაწილაკი / ფოკუსის ჩარჩო / ფოკუსი) ფოკუსი არის მოცემული გარემოება (პირობები), დაბმული არსებობის კვანტორით. ზოგჯერ ის განიხილება ახალ ინფორმაციად, მას შემდეგ, რაც მისი პრესუპოზიციები დაემატება კონტექსტს. ფაქტიურად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნებისმიერი ინგლისური გამონათქვამი დამოკიდებულია ფოკუსზე, მით უმეტეს, თუ იგი

ხასიათდება ხმის სპეციფიკური მოდულაციით, მაგრამ არსებობს განსაკუთრებული ოპერატორები, ისეთები, როგორცაა 'only' და 'even', რომელიც ცალსახად მიანიშნებს ფოკუსზე დამოკიდებულ მნიშვნელობაზე. მაგალითად, ფრაზას "Jane only took her mother to the movies" აქვს ფოკუსზე დამოკიდებული რამდენიმე მნიშვნელობა: ის შეიძლება გაეგოთ ისე, რომ ყველა იმ ადამიანთაგან, რომელიც კი ჯეინს შეეძლო წაეყვანა კინოში, მან წაიყვანა თავისი დედა; ან ის შეიძლება ნიშნავდეს, რომ ყველა იმ გასართობ ადგილთა შორის, სადაც კი ჯეინს თავისი დედის წაყვანა შეეძლო, მან ის კინოში წაიყვანა. განსაზღვრავს რა კვანტორის მოქმედების ელს, ფოკუსი მიანიშნებს იმაზე, თუ მოცემული ფრაზის კონტექსტი როგორ შეიძლება განიერცოს იმ გარემოებათა ალტერნატიული გარემოებებით, რომლებზეც ლაპარაკია ამ ფრაზაში.

(ლიტერატურა: Rochemont, 1986; Rooth, 1992, 1996; Vallduví, 1992).

(formal language theory) ფორმალურ ენათა თეორია. მათემატიკური ლინგვისტიკის განშტოება, რომელიც სწავლობს ენათა მათემატიკურ მახასიათებლებს. ამ დარგმა მიიყრო ლინგვისტიკის, ლოგიკოსებისა და კომპიუტერულ მეცნიერებაში მომუშავე სპეციალისტთა ერთობლივი ყურადღება. იგი მჭიდროდ უკავშირდება ავტომატების თეორიას. ენათა ყველაზე მეტად შესწავლილი კლასიფიკაცია არის ხომსკის იერარქია (Chomsky, 1956, 1959). ამ იერარქიაში გამოიყოფა ენათა ოთხი ტიპი. ეს ტიპები ერთმანეთისგან განირჩევა უშუალო შემადგენელთა იმ გრამატიკების საფუძველზე, რომლებიც წარმოქმნიან შესაბამის ენებს. ეს არის ოთხკორტეჟიანი (four-tuple) გრამატიკა $G = (V, T, P, S)$, სადაც V არის არატერმინალურ სიმბოლოთა სიმრავლე, T არის ტერმინალურ სიმბოლოთა სიმრავლე, P არის წარმოქმნათა (production) სასრული სიმრავლე და S კი არის განსაკუთრებული სიმბოლო, რომელსაც ეწოდება start symbol. წარმოქმნა არის $X \Rightarrow Y$ ფორმის გადაწერის წესი, სადაც X და Y არის V -დან ან/და T -დან აღებულ სიმბოლოთა სასრული მიმდევრობები და სადაც X უნდა იყოს არაცარიელი. დერივაციული მიმართება \Rightarrow^* არის \Rightarrow წარმოქმნის მიმართების ტრანზიტიული ჩაკეტვა. არაფორმალურად, V შეიძლება განხილულ იქნას როგორც გრამატიკულ კატეგორიათა სიმრავლე, T - როგორც ლექსიკონი, P - როგორც გრამატიკული წესების სიმრავლე, S კი - როგორც წინადადების კატეგორია. $L(G)$, ანუ G გრამატიკით წარმოქმნილი ენა, განისაზღვრება როგორც w ტერმინალურ სიმბოლოთა ყველა ჯაჭვის ისეთი სიმრავლე, რომ $S \Rightarrow^* w$ მიიღებოდეს ამ გრამატიკაში.

(unrestricted languages) შეუზღუდავი ენები. მათ ასევე ეწოდებენ 0 ტიპის ენებს. ეს ის ენებია, რომელთა წარმოქმნაც შეუძლია უშუალო შემადგენელთა ნებისმიერ გრამატიკას.

(context sensitive languages) უშუალო შემადგენელთა ენები.. ასევე უწოდებენ 1 ტიპის ენებს. ამ ენებს წარმოქმნის გრამატიკები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობას: მათი ყველა წარმოქმნა უნდა იყოს $AXB \Rightarrow AYB$ ფორმის.

(context free languages) უკონტექსტო ენები. ენათა ეს კლასი (ტიპი 2) წამოიქმნება იმ გრამატიკების მიერ, რომლებშიც დაცულია შემდეგი შეზღუდვა: ნებისმიერ $X \Rightarrow Y$ წარმოქმნაში X შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი არატერმინალური სიმბოლოსგან.

(regular languages) რეგულარული ენები ანუ მე-3 ტიპის ენები წარმოადგენენ უკონტექსტო ენების შეზღუდულ ფორმას: მათ წარმოქმნის კონტექსტისგან დამოუკიდებელი, ოღონდ ან მარცხნივ ლინეალური (left-linear), ან მარჯვნივ ლინეარული (right-linear) გრამატიკები. კონტექსტისგან დამოუკიდებელი გრამატიკა არის მარჯვნივ ლინეარული, თუკი ნებისმიერ $X \Rightarrow Y$ წარმოქმნაში Y შეიძლება შეიცავდეს მაქსიმუმ ერთ არატერმინალურ სიმბოლოს, რომელიც თუ მართლა არის Y -ში, მაშინ იგი შეიძლება იყოს Y -ის მხოლოდ უკიდურესი მარჯვენა შემადგენელი.

იერარქიის თეორემის თანახმად, ნებისმიერი ინკლუზია არის საკუთრივი: ტიპი $i+1$ არის i ტიპის საკუთრივი ქვესიმრავლე. არსებობს ზუსტი შესაბამისობა ამ კლასიფიკაციასა და ავტომატთა იმ ტიპებს შორის, რომელთაც შეუძლიათ ენათა გარკვეული კლასის ამოცნობა; იხ. ავტომატების თეორია.

ლინგვისტიკაში მწვავედ იდგა საკითხი იმის შესახებ, მიეკუთვნება თუ არა ბუნებრივი ენები არაკონტექსტურ (context-free) ენათა კლასს. ამჟამად ყველაზე გავრცელებული თეალზაზრისის თანახმად, ბუნებრივი ენები 'არამაკაცრად' კონტექსტზე დამოკიდებული (context sensitive) ენებია.

ასევე იხ. რეკურსიის თეორია, ავტომატების თეორია.

(ლიტერატურა: Chomsky, 1956, 1959; Hopcroft and Ullman, 1979; Lewis and Papadimitriou, 1981; Partee, Ter Meulen and Wall, 1990).

(Gödel's incompleteness theorems) გიოდელის არასრულობის თეორემები იხ. ლოგიკა.

(higher-order logic) მაღალი რიგის ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(implicature) იმპლიკატურა იხ. სასაუბრო მაქსიმები.

(indexicality) ინდექსიკალობა. ინდექსიკალური ფორმები უკავშირდება მეტყველების კონტექსტის გარკვეულ მახასიათებელს. მისი მაგალითებია: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, ადგილისა და დროის ზმნიზედები (ახლა, აქ), ჩვენებითი ნაცვალსახელები (ეს, ის), და დროის ფორმები. ამ მოვლენას ხშირად

აღნიშნავენ ტერმინით *deixis*. ინდექსიკალობასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი გამოკვლევა როგორც ფილოსოფიაში, ასევე ლინგვისტიკაში.

ასევე იხ. კონტექსტი, პრაგმატიკა.

(ლიტერატურა: Donnellan, 1978; Fillmore, 1971, 1975; Green, 1995; Kaplan, 1978; Lewis, 1972; Lyons, 1977; Montague, 1968, 1970; Perry, 1993; Rauch, 1982; Stalnaker, 1972; Weissenborn and Klein, 1982).

(intensionality) ინტენსიონალობა. ტერმინ 'ინტენსიონალობას' მრავალი მნიშვნელობა აქვს. ტრადიციულ ლოგიკასა და ფილოსოფიაში იკვლევდნენ ისეთ ინტენსიონალურ ცნებებს, როგორცაა 'იდეა' ('concept') ან 'გამონათქვამი' ('proposition'), თანამედროვე ლოგიკის მიდგომა კი იმთავითვე 'ექსტენსიონალური' იყო, რამდენადაც იკვლევდა გარკვეულ იდეასთან (concept) დაკავშირებულ ობიექტთა სიმრავლეს ან ფუნქციას მნიშვნელობათა არეს (ranges of values for a function). ამაზე მეტყველებს კლასიკური ლოგიკის ექსტენსიონალობის პრინციპი, რომლის თანახმადაც შეიძლება ერთმანეთს ჩაენაცვლონ ის გამონათქვამები, რომელთაც აქვთ ერთი და იგივე ჭეშმარიტული მნიშვნელობები ან ის პრედიკატები, რომლებსაც აქვთ ერთი და იგივე ექსტენსია. ფრეგეს ნაშრომში, რომელიც ენის ფილოსოფიას ეძღვნება, გამონათქვამის 'რეფერენცია' ექსტენსიონალურია, მათი 'აზრი' კი არის ამ რეფერენციის ინტენსიონალური საფუძველი. 1920-იან წლებში ინტენსიონალური ცნებები კვლავ ჩნდება მოდალურ ლოგიკაში (Lewis, 1918), ფილოსოფიური აუცილებლობისა და შესაძლებლობის სფეროში. მოდალობათა გამოყვებით წარმართულ განსჯას მხოლოდ ინტუიცია რომ არ უდევს საფუძვლად, ამაზე მოდალური დედუქციის მტკიცებათა სისტემაც მეტყველებს. 1950-იანი წლებიდან სემანტიკურ გამოკვლევათა ძირითადი მიმართულება იზიარებს ლეიბნიცის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც აუცილებლობა იმავდროულად ჭეშმარიტებაცაა ყველა შესაძლო სამყაროში, იმ მცირე განსხვავებით, რომ ეს ერთი აუცილებლობა ახდენს ყველა შესაძლო სამყაროს კვანტიფიკაციას (Kanger, 1957; Kripke, 1959; Hintikka, 1961). ამდენად, ინტენსიონალობას განმარტავენ როგორც მრავალჯერად ექსტენსიას ალტერნატიულ სიტუაციათა გასწვრივ. პოტენციურ სამყაროთა სემანტიკამ მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ამ საკითხის ფილოსოფიურ დამუშავებას (მოდალური პრედიკაცია და ობიექტთა სამყაროთშორისი იგივეობა (cross-world identity of objects): Marcus, 1961; Hintikka, 1969; Kripke, 1990) და მათემატიკურ კვლევებს (უნივერსალური ალგებრა და მოდალური სემანტიკის მოდელთა თეორია: Bull and Segerberg, 1984; Van Benthem, 1985; Goldblatt, 1993; Blackburn, De Rijke and Venema, 1996). ეს მიმართულება განვითარდა ტემპორალურ ლოგიკაში (Van Benthem, 1991b), ეპისტემურ ლოგიკაში (Hintikka, 1962), პირობით (conditional) ლოგიკაში (იხ. პირობითი გამონათქვამები), დეონტურ (deontic) ლოგიკაში (იხ. Åqvist, 1984). ამ განსტოებათა გარდა ფილოსოფიური ლოგიკისა და ინტენსიონალური ლოგიკის საფუძველზე კომპიუტერულ მეცნიერებაში წარმოიშვა ახალი დარგები: დინამიკური ლოგიკა (პროგრამები ცვლიან კომპიუტერის შესაძლო

მდგომარეობებს; შდრ. Goldblatt, 1992; Harel, Kozen and Tiuryn, 1995), ცოდნის რეპრეზენტაცია (ტერმინოლოგიური ენები; Ohlbach, Schmidt and Hustadt, 1995), ეპისტემური ლოგიკა (გამომთვლელ აგენტთა დანაწილებული სისტემები (distributed systems of computational agents); Fagin, Halpern, Moses and Vardi, 1995; ასევე დაგეგმა შეზღუდული ცოდნის პირობებში; შდრ. Moore, 1984). ეპისტემური მიდგომა მოიცავს ინტენსიონალობის სხვა მრავალ ასპექტს (შდრ. საერთო საფუძველი).

ბუნებრივ ენაში ინტენსიონალური კონსტრუქციები მოიცავენ დროით გამონათქვამებს (temporal expressions), ინტენსიონალურ ზმნებს ("seek") და პროპოზიციონალურ მიმართებებს ("იცის", "სჯერა", "ეჭვობს"); ამავე დროს, მეტყველების აქტებიც, ისეთები, როგორცაა კითხვა, ასევე ინტენსიონალურია (შდრ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 19). ინტენსიონალურ კონსტრუქციებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მონტეგუი (შდრ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 1), ამ საკითხის ლოგიკური დამუშავება იხ. Gallin, 1975. ეს საკითხი ბუნებრივი ენებისთვის განხილულია სხვა ცნობილ ავტორებთანაც (Lewis, 1975; Cresswell, 1973, 1985, 1988).

სიტუაციურ სემანტიკაში მძაფრად აკრიტიკებენ მიდგომას, რომელიც ინტენსიონალობას განსაზღვრავს მრავალჯერადი მიმართებების საფუძველზე (Barwise and Perry, 1983). 'თვისებათა თეორია' (Property Theory) გეთავაზობს ინტენსიონალობის კიდევ ერთ, პოტენციურ სამყაროთა ანალიზისგან განსხვავებულ, ინტერპრეტაციას (Bealer, 1982; Chierchia and Turner, 1988).

1990 წლამდე ამ სფეროში არსებულ ნაშრომთა მიმოხილვა იხ. Van Benthem, 1988; უახლეს გამოკვლევათა შესახებ იხ. De Rijke, 1993, 1996; ხოლო კონკრეტულად, მნიშვნელობათა თეორიისა (theory of meaning) და მოდალურ პრედიკატთა ლოგიკის დინამიკური სემანტიკის ურთიერთაკავშირის შესახებ იხ. Groenendijk, Stokhof and Veltman, 1994, 1996; ეპისტემურ ლოგიკასა და ინფორმაციის გაცვლის თეორიაში ლინგვისტური და გამოთვლითი ტრადიციების შერწყმის შესახებ იხ. Groeneveld, 1995; Gerbrandy, 1996).

(intuitionistic logic) ინტუიციონისტური ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(Kripke semantics) კრიპკეს სემანტიკა იხ. ლოგიკა.

(lambda calculus) ლამბდა გამოთვლა. თავდაპირველად ლამბდა გამოთვლა შემუშავდა ფუნდამენტურ ლოგიკაში როგორც ფუნქციითა ზოგადი თეორია და მასში გამოიყენებოდა მხოლოდ აბსტრაქციისა და მიყენების (application) ძირითადი ოპერაციები (Curry, 1930; Church, 1932, 1933). რომელიმე t ტერმის საფუძველზე შეგვიძლია მოვახდინოთ აბსტრაქცირება და მივიღოთ ფუნქციონალური ტერმი $\lambda x.t$, ასევე შეგვიძლია მიუყუენოთ ეს ტერმი x არგუმენტს და მივიღოთ ტერმი $t(x)$. ლამბდა გამოთვლის ძირითადი აქსიომა

არის β -კონვერსიის წესი – $(\lambda x. t(x)) (y) = t(y)$ (ამ წესს ზოგჯერ λ -კონვერსიასაც უწოდებენ).

ჩორჩის მცდელობა, გაეფართოებინა ლამბდა გამოთვლა ლოგიკური კავშირებით ისე, რომ ამ გაფართოებული გამოთვლით შესაძლებელი გამხდარიყო მათემატიკის დაფუძნება, უშედეგოდ დასრულდა მისი წინააღმდეგობრიობის გამო (Kleene and Rosser, 1935). მიუხედავად ამისა, ლამბდა გამოთვლის ფუნქციონალური ნაწილი (დღესდღეობით სწორე ეს წარმოადგენს ლამბდა გამოთვლას) წარმატებით გამოიყენება მთელ რიგ დისციპლინებში. თვით ლოგიკის ფარგლებში მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკურსიის თეორიაში, რამდენადაც ლამბდა გამოთვლაში შესაძლებელია 'ეფექტურად გამოთვლადი ფუნქციის' ახსნა (ჩორჩი) λ -განსაზღვრებადი ფუნქციის საფუძველზე. λ -განსაზღვრებადობა ეფექტური გამოთვლის სხვა, მაგალითად, გიოდელის რეკურსიული ფუნქციების (Kleene, 1936b) და ტიურინგის გამოთვლადი ფუნქციების (Turing, 1936, 1937), მათემატიკური განსაზღვრებების ეკვივალენტურია.

კომპიუტერულ მეცნიერებაში დიდი ინტერესი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ლამბდა გამოთვლაში შესაძლებელია ყველა გამოთვლადი ფუნქციის განსაზღვრა. ამ სფეროში ლამბდა გამოთვლა პროგრამული ენების ზოგადი პრობლემების კვლევის მძლავრ თეორიულ ბაზად იქცა. პრაქტიკული თვალსაზრისით კი ლამბდა გამოთვლამ გააუარესა იქონია პროგრამული ენების დიზაინზე, განსაკუთრებით LISP-ში. უფრო მეტიც, რამდენადაც ლამბდა გამოთვლა მჭიდროდ უკავშირდება პროგრამირების ენებს, მისი სემანტიკური ინტერპრეტაციები ადვილად გადადის ამ უკანასკნელთა სემანტიკურ ინტერპრეტაციებში (იხ. ველის თეორია და პროგრამირების ენები).

λ -გამოთვლის ენციკლოპედიური მონოგრაფია (იხ. Barendregt, 1984). დაბოლოს, ლამბდა გამოთვლამ დიდი გავლენა მოახდინა ლოგიკური სემანტიკის სფეროზე, განსაკუთრებით მისმა ტიპიზირებულმა ვერსიამ (typed version). ამ გავლენის შესახებ იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავები 1, 2, 8, 9 და 12.

(language acquisition) ენის ათვისება. გენერაციულ გრამატიკაში ენის ადეკვატურად აღმწერი გრამატიკა, ე. ი. ისეთი, რომელიც ითვალისწინებს ყველა ინტუიციურად მისაღებ გამონათქვამს და მხოლოდ მას, ამავე დროს ითვლება ენის ადეკვატურად ამხსნელ გრამატიკად, თუკი ის ითვალისწინებს ენის ათვისების პროცესსაც, კერძოდ, იმ რიგითობას, რომლითაც ხდება სხვადასხვა კონსტრუქციათა ათვისება და იმ მეთოდს, რომლითაც ბავშვები ახდენენ გარკვეულ წესთა არასწორ განზოგადებას (მაგალითად, როცა ინგლისურში წარსული დროის ფორმების წარმოების წესს აერცვლებენ ძლიერი ზმნებზეც, he walk-ed/ he left-ed). გამოკვლევები ენის ათვისების სფეროში საინტერესოდ აშუქებენ როდესაც კოგნიტიურ სქემებს და დიდად უწყობენ ხელს ზრდასრული ადამიანის მიერ ბუნებრივი ენის გაგების უნარის ლოგიკური და მათემატიკური მოდელირების სრულყოფას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 13.

(lattice) მესერი(ცხაურა) იხ. ალგებრა.

(lindenbaum algebra) ლინდენბაუმის ალგებრა იხ. ალგებრა.

(logic) ლოგია. ლოგია, რომელიც წარმოადგენს საერთო სფეროს ფოლოსოფიისა და მათემატიკისთვის, ზოგადად განიხილება მეცნიერებად განსჯის დასაბუთების შესახებ. მეცნიერების ცალკე დარგად ლოგია მნიშვნელოვანწილად მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა, ხოლო მათემატიკურად სრულყოფილი ფორმა მიიღო ფრეგეს, რასელის, გიოდელის, ტარსკის და მრავალ სხვა მეცნიერთა შრომის შედეგად (იხ. მათემატიკური ლოგიკისა და ფილოსოფიური ლოგიკის სახელმძღვანელოები). ლოგიკის განშტოებათა შორის, როგორც წესი, მოიხსენიებენ მოდელთა თეორიას, სიმრავლეთა თეორიას, რეკურსიის თეორიას და მტკიცებათა თეორიას. მაგრამ ბოლო ხანს გამოვიდნა კელეის არაერთი სფერო, რომელიც საერთოა ლოგიკისა და სხვა დისციპლინებისთვის, განსაკუთრებით კომპიუტერული მეცნიერების (იხ. სახელმძღვანელო 'ლოგია კომპიუტერულ მეცნიერებაში'), ხელოვნური ინტელექტის (იხ. სახელმძღვანელო 'ლოგია ხელოვნურ ინტელექტში') და ლინგვისტიკისთვის (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997).

1. კლასიკური ლოგია.

ლოგიკათა შორის ყველაზე ფართოდ შეისწავლება და გამოიყენება კლასიკური პროპოზიციული ლოგია და კლასიკური პირველი რიგის ლოგია.

(classical logic) კლასიკური ლოგია არის *ტეშმარტულ მნიშვნელობათა* (truth conditional) ლოგია. ტეშმარტულობის საკუთრივ 'კლასიკური' წინაპირობაა (1) ორმნიშვნელოვნება: დაიშვება მხოლოდ ორი ტეშმარტული მნიშვნელობა, 'ტეშმარტი' და 'არა ტეშმარტი' ანუ 'მცდარი'; (2) მესამის გამორიცხვა: ნებისმიერი წინადადება ან ტეშმარტია, ან მცდარი; (3) არაწინააღმდეგობრიობა: არც ერთი წინადადება არ შეიძლება იყოს ერთდროულად ტეშმარტიც და მცდარიც. კლასიკური ლოგიკის კიდევ ერთი ნიშანი ისაა, რომ ზოგად მართებული გამომდინარეობა აქ ისეთი გამომდინარეობაა, რომელიც დასკვნაში ინარჩუნებს თავისი წანამდღერების ტეშმარტებას: განსჯა $\phi_1, \dots, \phi_n / \psi$, სადაც ϕ_1, \dots, ϕ_n არიან წანამდღერები, ψ კი დასკვნა, არის ზოგად მართებული, თუკი ყოველთვის, როცა ყველა ϕ_1, \dots, ϕ_n არის ტეშმარტი, ψ -ც ტეშმარტია. ასევე იხ. ტეშმარტული სემანტიკა (truth-conditional semantics).

(first-order logic) პირველი რიგის ლოგია არის კლასიკური პროპოზიციური ლოგიკის სრულყოფა და გაფართოება. სრულყოფა იმაში მდგომარეობს, რომ აქ

უმარტივესი ფორმულა არის არა 'ატომური', არამედ აქვს n -რაოდენობის ობიექტთა სიმრავლეზე n -ადგილიანი მიმართების პრედიკატის ფორმა. გაფართოება კი იმაში გამოიხატება, რომ დამატებულია კვანტიფიკაციის ლოგიკური კონსტანტები, არსებობის კვანტორი \exists და ზოგადობის კვანტორი \forall . განსაზღვრება 'პირველი რიგის' ნიშნავს, რომ კვანტიფიკაცია დასაშვებია მხოლოდ ობიექტებზე ('პირველი რიგის საგნებზე') და არა, მაგალითად, ობიექტთა სიმრავლეზე (ე. ი. თვისებებზე), რომლებიც 'მეორე რიგის ობიექტები' არიან. ასევე იხ. ჭეშმარიტული სემანტიკა (truth-conditional semantics).

2. მნიშვნელოვანი ცნებები და შედეგები.

(logical constants) ლოგიკური კონსტანტები. ფორმალურ ლოგიკურ სისტემაში ლოგიკური კონსტანტები ისეთი სიმბოლოებია, რომლებსაც ფიქსირებული მნიშვნელობები აქვთ განსხვავებით არალოგიკური სიმბოლოებისგან, რომლებსაც სხვადასხვა სიტუაციაში (მოდელში) სხვადასხვა მნიშვნელობები შეიძლება ჰქონდეთ. ლოგიკური კონსტანტები, როგორც წესი, წარმოადგენენ ბუნებრივი ენის გარკვეული გამოხატულებების ფორმალურ ანალოგებს, ისეთების, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ მსჯელობაში, მაგალითად, "არა", "და", "ყველა", "ზოგიერთი". ნებისმიერი ტიპის ლოგიკური კონსტანტების ზოგადი ნიშანი დისკურსის ველის ცვლილების პირობებში მათი უცვლელობაა (იხ. Van Benthem, 1991a).

(completeness) სისრულე. (1) გამოყვანადობის (derivability) სინტაქსურად განსაზღვრული ცნების (\vdash) და ლოგიკური გამომდინარეობის (consequence) სემანტიკურად განსაზღვრული ცნების (\models) არსებობის პირობებში სისრულის თეორემა ადგენს შემდეგ იმპლიკაციას: თუ $\Gamma \models \phi$, მაშინ $\Gamma \vdash \phi$. ამდენად, სისრულის თეორემა გეიჩვენებს, რომ მიმართება \vdash 'სრულად' აღწერს \models მიმართებას. პირუკუ იმპლიკაცია, თუ $\Gamma \vdash \phi$, მაშინ $\Gamma \models \phi$, ცნობილია კორექტულობის თეორემის ან სემანტიკური არაწინააღმდეგობრიობის თეორემის (soundness theorem) სახელით. (2) სრული თეორია არის წინადადებათა ისეთი T სიმრავლე, სადაც ყველა ϕ -ისთვის $T \vdash \phi$ ან $T \vdash \neg\phi$. ამას ზოგჯერ სინტაქსურ სისრულესაც უწოდებენ – რომ გაარჩიონ (1) პუნქტში აღწერილი ნიშნისგან.

(compactness) კომპაქტურობა. გამომდინარეობის მიმართება არის კომპაქტური, თუ $\Gamma \models \phi$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა Γ -ს გარკვეული სასრული Δ ქვესიმრავლისთვის $\Delta \models \phi$. პირველი რიგის ლოგიკა კომპაქტურია.

(decidability and undecidability) ამოხსნადობა და არა ამოხსნადობა. რეკურსიის თეორიის ეს ცნებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ლოგიკური გამომდინარეობის მიმართაც. მაგალითად, კლასიკურ პროპოზიციულ ლოგიკაში ზოგად მართებულ (valid) ფორმულათა სიმრავლე ამოხსნადია, მაგრამ არა ამოხსნადია პირველი რიგის ლოგიკის ჭეშმარიტ ფორმულათა სიმრავლე.

ზოგადად, როცა ამბობენ, რომ რომელიმე ლოგიკა არაამოხსნადია, გულისხმობენ, რომ ამ ლოგიკაში არაამოხსნადია გამომდინარეობის მიმართება.

(Löwenheim-Skolem-Tarski Theorem) ლოვენჰაიმ-სკოლემ-ტარსკის თეორემა. პირველი რიგის ლოგიკის მნიშვნელოვანი თეორემა, რომელიც ადგენს უსასრულო სიმძლავრეთა (cardinality) არაამოხსნადობას პირველი რიგის ლოგიკაში. ვთქვათ, T არის რაღაც თეორია პირველი რიგის L ენაში, რომლის სიმძლავრეა $\|L\|$. ლოვენჰაიმ - სკოლემ - ტარსკის ქვედა ზღვრის (downward) თეორემის თანახმად, თუ T -ს აქვს მოდელი, მაშინ მისი მოდელის სიმძლავრე არ აღემატება $\|L\|$ -ს. ლოვენჰაიმ - სკოლემ - ტარსკის ქვედა ზღვრის (upward) თეორემის თანახმად, თუ T -ს აქვს უსასრულო მოდელი, მაშინ მას აქვს ისეთი მოდელიც, რომლის სიმძლავრე არის ნებისმიერი უსასრულო სიმძლავრე $\geq \|L\|$ -ზე.

(Lindström's Theorem) ლინდსტრომის თეორემა არის მეტათეორემა, რომელიც პირველი რიგის ლოგიკას აღწერს მოდელთა თეორიით განსაზღვრულ თვისებათა ტერმინებში: ამ თეორემის თანახმად, პირველი რიგის ლოგიკა არის უძლიერესი ლოგიკა, რომელიც აკმაყოფილებს 'კომპაქტურობის თეორემას' და ლოვენჰაიმ - სკოლემ - ტარსკის თეორემას.

(Gödel's Incompleteness Theorem) გიოდელის არასრულობის თეორემა. დღეისთვის ლოგიკაში მიღწეული ყველაზე ცნობილი შედეგი. გიოდელის 'არასრულობის პირველი თეორემის' თანახმად, ფორმალური არითმეტიკის ყველა არაწინააღმდეგობრივი აქსიომატური გაფართოება არასრულია. გიოდელის 'არასრულობის მეორე თეორემის' თანახმად, ფორმალური არითმეტიკის არაწინააღმდეგობრივი აქსიომატური გაფართოებით მიღებულ არცერთ სისტემის ფარგლებში არ არის შესაძლებელი მისივე არაწინააღმდეგობრობის დამტკიცება (იხ. Gödel, 1931; Smullyan, 1992).

3. კლასიკური ლოგიკის სხვადასხვა ვარიანტები.

(constuctive logics) კონსტრუქციული ლოგიკა. ლოგიკა, რომელიც ეფუძნება კონსტრუქტივიზმს. ის მათემატიკის ფილოსოფიის მნიშვნელოვანი განშტოებაა, რომლის ძირითადი დებულებების თანახმად ყველა მათემატიკური ცნებებისა და მტკიცებებისთვის უნდა არსებობდეს (ეფექტური) კონსტრუქციები. იხ. კონსტრუქტივიზმი.

(intuitionistic logic) ინტუიციონისტური ლოგიკა. ლოგიკის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბდა ბრაუერის, პეიტინგისა და კოლმუგოროვის მიერ. მისი უმთავრესი ფილოსოფიური იდეა მდგომარეობს იმაში, რომ კონსტრუქციის ცნებას საფუძვლად 'მათემატიკური ინტუიცია' უნდა ედოს. კლასიკური ტავტოლოგიები $\phi \vee \neg\phi$ და $\neg\phi \rightarrow \phi$ ინტუიციონისტურ ლოგიკაში არაა ჭეშმარიტი. ინტუიციონისტურ პრედიკატთა ლოგიკაში

ზოგადობის და არსებობის კვანტორები არაა ურთიერთგანსაზღვრებადი; მაგალითად, პრინციპი $\neg\forall x\neg\phi \rightarrow \exists x\phi$ არაა ჭეშმარიტი ინტუიციონისტური თვალსაზრისით. ამის მიზეზი ისაა, რომ არსებობის კვანტორით განსაზღვრული გამონათქვამის $\exists x\phi$ ინტუიციონისტური მტკიცება უნდა ეფუძნებოდეს იმ ობიექტის ექსპლიციტურ აგებას, რომელიც აკმაყოფილებს ϕ -ს. იხ. Van Dalen, 1984; Troelstra and Van Dalen, 1988).

(**partial logic**) ნაწილობრივი ლოგიკა. ლოგიკა, რომელშიც შესუსტებულია ჭეშმარიტების კლასიკური (იხ. კლასიკური ლოგიკა) პირობები. მრავალმნიშვნელოვან (many-valued) ლოგიკაში არსებობს ორზე მეტი ჭეშმარიტული მნიშვნელობა. მაგარამ ჭეშმარიტული 'ორმნიშვნელოვნების' პირობებშიც შესაძლებელია გარკვეული ვარიანტების არსებობა: შეიძლება დასაშვებია იყოს ფორმულები, რომლებიც არც ჭეშმარიტია და არც მცდარი (ამ შემთხვევაში არ არის დაცული მესამე გამორიცხულის პრინციპი) ან შესაძლოა არსებობდეს ფორმულები, რომლებიც ჭეშმარიტცაა და მცდარიც (ამ შემთხვევაში აღარ მოქმედებს არაწინააღმდეგობრიობის პრინციპი). იხ. Blamey, 1984; Langholm, 1987; Urquhart, 1984; ამ საკითხის ლინგვისტურ პრობლემებთან კავშირის შესახებ იხ. Fenstad, Halvorsen, Langholm and Van Benthem, 1987).

4. კლასიკური ლოგიკის გაფართოებით მიღებული სისტემები.

(**higher-order logic**) მაღალი რიგის ლოგიკა. ლოგიკა, სადაც კვანტიფიკაცია დასაშვებია არამარტო დისკურსის განსაზღვრის არეში შემაჯავლ ობიექტთა, არამედ ამ ობიექტთა უფრო მაღალი რიგის კონსტრუქციების მიმართ, ისეთების, როგორცაა ობიექტთა სიმრავლეები ან ამ ობიექტებზე განსაზღვრულ ბინარულ მიმართებათა სიმრავლეები.

(**second-order logic**) მეორე რიგის ლოგიკა. ლოგიკა, სადაც დასაშვებია ობიექტთა სიმრავლეების და ობიექტთა შორის მიმართებათა კვანტიფიკაცია.

(**modal logic**) მოდალური ლოგიკა. პროპოზიციული ლოგიკის გაფართოება ორი ერთადგილიანი ოპერატორით (\Box , \Diamond), რომლებმაც უნდა გამოხატონ ფრასათა „უცილებელია, რომ“ და „შესაძლებელია, რომ“ მნიშვნელობა. მოდალური ლოგიკის დამუშავებას დიდი სტიმული მისცა კრიკეს სემანტიკის განვითარებამ, რომელიც 50-იანი წლების ბოლოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნეს კენგერმა, პინტიკამ და კრიკემ. ასევე იხ. ინტენსიონალობა.

(**Kripke semantics**) კრიკეს სემანტიკა. სემანტიკა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ინტენსიონალური სენტენციური ოპერატორების შემცველ ლოგიკურ სისტემებში, ისეთებში, როგორცაა მოდალური ლოგიკა, ეპისტემური ლოგიკა, დროითი ლოგიკა (tense logic) და დინამიკური ლოგიკა. კრიკეს მოდელი არის სტრუქტურა (S, R, I) , სადაც S არის ინდექსთა რაღაც სიმრავლე, R არის S -ზე

განსაზღვრული ბინარული მიმართება, ხოლო I არის არალოგიკური სიმბოლოების ინტერპრეტაცია. წყვილ (S, R) -ის (რომელსაც ასევე უწოდებენ ჩარჩოს) ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ლოგიკის კონკრეტულ ტიპზე. მაგალითად, მოდალურ ლოგიკაში S არის შესაძლო სამყაროთა სიმრავლე და R არის მიღწევადობის მიმართება (accessibility relation); ტემპორალურ ლოგიკაში S არის დროის მომენტთა სიმრავლე, ხოლო R არის მიმართება 'უფრო ადრე, ვიდრე'. ინტენსიონალური სენტენციური O ოპერატორის მნიშვნელობა იქნება განსაზღვრული S -ში შემავალი ინდექსის მიმართ, მაგრამ ამავე დროს ეს მნიშვნელობა იქნება რელატივიზებული S -ში შემავალ სხვა მომენტთა მიმართ R მიმართების საშუალებით; ამ შემთხვევაში ტიპური სემანტიკური წინადადება შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს: $O\phi$ ჭეშმარიტია i -ში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ϕ არის ჭეშმარიტი ყველა j -ში ($j \in S$), როცა ადგილი აქვს მიმართებას iRj .

(epistemic logic) ეპისტემური ლოგიკა. ცოდნისა და რწმენის ლოგიკა. ჩვეულებრივ, ასეთი ლოგიკა პროპოზიციულია, რომელშიც დამატებულია K_a და B_a ოპერატორები შემდეგი ინტერპრეტაციით: „აგენტმა a -მ იცის, რომ ϕ “ და „აგენტი a -ს სჯერა, რომ ϕ “. იხ. Hintikka, 1962; Fagin, Halpern, Moses and Vardi, 1995).

(temporal logic) ტემპორალური ლოგიკა. დროითი მიმართებების ლოგიკა. გარდა იმისა, რომ ის წარმოადგენს პროპოზიციული ლოგიკის გაფართოებას სენტენციური დროითი ოპერატორებით (ისეთებით, როგორცაა „ამიერიდან ყოველთვის. .“), აქ ასევე ვხვდებით დროის პირველი რიგის ლოგიკას. იხ. Goldblatt, 1992; Van Benthem, 1983).

(dynamic logic) დინამიკური ლოგიკა. ლოგიკა, რომელშიც შესაძლებელია გამონათქვამის შედგენა კომპიუტერული პროგრამების მოქმედების შესახებ. პროპოზიციულ დინამიკურ ლოგიკაში ვხვდებით $[a]\phi$ სახის ფორმულებს, რომლებიც გამოხატავენ იმ გარემოებას, რომ პროგრამა a -ის ყოველი წარმატებული მოქმედების შემდეგ ϕ არის ჭეშმარიტი, სადაც ϕ არის გარკვეული გამონათქვამი კომპიუტერის (საბოლოო) მდგომარეობის შესახებ. არსებობს დინამიკური ლოგიკის კვანტიფიცირებული ვარიანტებიც. იხ. Harel, 1984; Goldblatt, 1992; Harel, Kozen and Tiuryn, 1995).

(conditional logic) კონდიციონალური ლოგიკა. ხშირად შეუძლებელია ბუნებრივი ენის „თუ . . . მაშინ . . .“ ტიპის ფრაზების მატერიალური იმპლიკაციის საშუალებით ინტერპრეტაცია (იხ. ჭეშმარიტული სემანტიკა (truth-conditional semantics)). ამ დაბრკოლების გადასალახავედ კონდიციონალურ ლოგიკას შემოაქვს ახალი კავშირები, რომლებიც უახლოვდებიან ბუნებრივი ენის პირობით ოპერატორებს. იხ. პირობითი გამონათქვამები.

(fixed point logic) ფიქსირებულ წერტილთა ლოგიკა. F ფუნქციის ფიქსირებული წერტილები არის ის X არგუმენტები, სადაც $F(X) = X$. ფიქსირებული წერტილები ინდექციურ განსაზღვრებათა თეორიის საკვანძო ცნებაა (Aczel, 1977; Moschovakis, 1974), რომელიც სასარგებლო სიმრავლეებს (usefull set) განსაზღვრავს როგორც სათანადო ოპერატორთა (suitable operators) ფიქსირებულ წერტილთა სიმრავლეს. სათანადოდ მონოტონურ ან უწყვეტ ფუნქციებს ვოველთეის აქტ ფიქსირებულ წერტილები (Scott, 1982) და ამდენად ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მნიშვნელობათა არის თეორიაში (domain theory), რომელიც სემანტიკურ საფუძველს უქმნის არატიპიზებულ ლამბდა გამოთვლას (Barendregt, 1984). ფიქსირებულ წერტილთა ლოგიკა აფართოებს სტანდარტულ ლოგიკას $\mu p * A(p)$ კონსტრუქტორთა დამატებით, სადაც p არის პრედიკატი, რომელიც ფორმულა A -ში მხოლოდ პოზიტიური მნიშვნელობით ჩნდება (იხ. პოლარობა). ეს უკანასკნელი აღნიშნავს ტოლობის $p = A(p)$ უმცირეს ამონახსნებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან ე. წ. კლასიკური პრედიკატული ლოგიკის გამომხატველობით ძალას. ამავე ბუნებისაა პროგრამირების არაერთი ოპერაცია (Harel, Kozen and Tiuryn, 1995) ისევე, როგორც ძიების (запрос) კომპიუტერული ენები (Kannelakis, 1990). სემანტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს უდიდეს ფიქსირებულ წერტილთა ცნებაც, რაზეც მიუთითებს მათი გამოყენება არასრულად დაფუძნებულ სიმრავლეთა თეორიაში (non-well-founded set theory) (იხ. Aczel, 1988) და მასთან დაკავშირებულ გამოყენებით დისციპლინებში (იხ. Barwise and Etchemendy, 1987; Barwise and Moss, 1996).

(non-monotonic logic) არამონოტონური ლოგიკა. ლოგიკა, რომელშიც წანამძღვართა დამატებამ შეიძლება გამოიწვიოს დასკვნათა გაუქმება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა უარყოფილი დასკვნა არსებითად თავისთავად ცხად დაშვებას წარმოადგენდა, რომელიც უფრო მეტად ეფუძნებოდა მოლოდინს, ვიდრე შიშველ ფაქტებს. ამ ტიპის განსჯაზე 'ხელოვნურ ინტელექტში' დიდი რაოდენობის გამოკვლევებია ჩატარებული (Ginsberg, 1987; Mrek, 1993; Shoham, 1988). სემანტიკასთან მისი კავშირის შესახებ იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 14 და 20.

5. სხვადასხვა ლოგიკური სისტემების ურთიერთდაყვანა.

ერთი თეორიის მეორეზე დაყვანა სათავეს გეომეტრიისა და სიმრავლეთა თეორიის დაფუძნებიდან იღებს. როგორც წესი, სარგებლობენ ეფექტური კომპოზიციური ასახვებით, რომელიც ერთი რომელიმე ლოგიკის თეორემებს სხვა ლოგიკის თეორემებს შეუსაბამებს. მათ შეიძლება პქონდეთ ასეთი ფორმაც:

1. თუ $L_1 \vdash A$, მაშინ $L_2 \vdash trans(A)$ (არაწინააღმდეგობრიობა)
2. თუ $L_2 \vdash trans(A)$, მაშინ $L_1 \vdash A$ (სისრულე)

ამის ცნობილი მაგალითებია მათემატიკური თეორიების დაყვანა სიმრავლურ მათემატიკურ თეორიებზე, კლასიკური ლოგიკის ჩართვა ინტუიციონისტურ ლოგიკაში (იხ. კონსტრუქტივიზმი) ან ინტუიციონისტური ლოგიკის ჩართვა მოდალურ ლოგიკაში. არსებობს ინტენსიონალური მოდალური ლოგიკის (იხ. ინტენსიონალობა) ჩართვაც კი ისევე ექსტენსიონალურ კლასიკურ ლოგიკაში (Van Benthem, 1984a). ამდენად, შესაძლებელია ერთი და იგივე (ლინგვისტური) ფაქტის განსხვავებული რეპრეზენტაციების მიღება და მათზე განსხვავებული ლოგიკური გამოთვლების ჩატარება ერთი და იმავე შედეგის მისაღწევად. გადაყვანის მეთოდოლოგიას იყენებენ ინტენსიონალური ტიპის თეორიები ბუნებრივი ენის სემანტიკაში (შდრ. Gallin, 1975). ის ასევე გამოიყენება თანამედროვე დინამიკურ სემანტიკაში (იხ. Muskens, 1994, 1996). ინტენსიონალური ლოგიკიდან ექსტენსიონალურ ლოგიკაში გადაყვანის მეთოდები საკმაოდ გაერცვლდა თეორემათა დამტკიცების სფეროში (Ohlbach, 1991).

6. ლოგიკის ისტორია.

მე-20 საუკუნემდე არსებული ლოგიკის ისტორიის შესახებ იხ. Bochenski, 1956, 1961 და Kneale and Kneale, 1962). მე-20 საუკუნის ლოგიკის ისტორია ფართოდაა გაშუქებული მთელ რიგ სახელმძღვანელოებში, იხ. Handbook of Mathematical Logic (Barwise, 1977), Handbook of Philosophical Logic (Gabbay and Guentner, 1984), Handbook of Logic in Computer Science (Abramsky, Babbay and Maibaum, 1992), Handbook of Logic in Artificial Intelligence and Logic Programming (Gabbay, Hogger and Robinson, 1993), Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997.

(logic programming) ლოგიკური პროგრამირება. სფერო, სადაც ლოგიკური ფორმალიზმი პროგრამირების ენად გამოიყენება. პროგრამირების ენის ყველაზე ცნობილი მაგალითია *PROLOG*-ი, რომელშიც გამოყენებულია პირველი რიგის ლოგიკის ფრაგმენტი. აქ მომქმედ გამომდინარეობის ძირითად მექანიზმს რეზოლუცია ეწოდება. პროპოზიციული ლოგიკის რეზოლუციის წესის თანახმად, $(\phi \vee \psi)$ -სა და $(\neg\phi \vee \chi)$ -დან გამომდინარეობს $\phi \vee \chi$. პრედიკატულ ლოგიკაში ეს წესი გამოიყენება უნიფიკაციის წესთან ერთად, რომელიც ისეთ ჩანაცვლებას შეიცავს, რომელიც, თავის მხრივ, აიგივებს ორ ფორმულას: $(\phi \vee \psi)$ -სა და $(\neg\psi \vee \chi)$ -დან გამომდინარეობს $\sigma(\phi) \vee \sigma(\chi)$, თუ σ ისეთი ჩანაცვლებაა, რომ $\sigma(\psi) = \sigma(\chi)$. ფორმალურ სინტაქსში ორი გამონათქვამის T-სა და S-ის უნიფიკაცია შესაძლებელია ისეთი α ჩანაცვლების პოვნით, რომლისთვისაც $T[\alpha] = S[\alpha]$. 'მახასიათებელთა სტრუქტურებისთვის' უნიფიკაცია შეიძლება განხილულ იქნას როგორც ორი (ან მეტი) 'მახასიათებელთა სტრუქტურიდან' მიღებული ინფორმაციის შერწყმა საერთო, უფრო სპეციფიკური 'მახასიათებელთა სტრუქტურის' პოვნის გზით (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 8).

(ლიტერატურა: Fitting, 1990; Gabbay, Hogger and Robinson, 1993; Lloyd, 1987).

(logical form) ლოგიკური ფორმა. ცნება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ლოგიკაში, ასევე ლინგვისტიკაში. ლოგიკას რაც შეეხება, რასელის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ (1905) აქ ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ ლოგიკური ფორმა მკაფიოდ განსხვავდება გრამატიკული ფორმისგან. მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ შემდეგ ორ წინადადებას,

1. Peter walks
2. Nobody walks

აქვს ერთი და იგივე გრამატიკული, მაგრამ სხვადასხვა ლოგიკური ფორმა. თუკი ამ წინადადებებს ვთარგმნით პრედიკატული ლოგიკის ენაზე, დავინახავთ მათი ლოგიკური ფორმების განსხვავებას: პირველი წინადადებისთვის მივიღებთ ფორმას $\exists x, \text{სინგულარულ პრედიკატისა, მეორისთვის} - \text{ფორმას } \neg \exists x : Wx$, არსებობის კვანტორის შემცველ უარყოფით გამონათქვამს. ამ გარემოებას საფუძველი მისცა რასელს წამოყენებინა 'მონტეგენით ფორმათა თეზისი': არ არსებობს ცალსახა შესაბამისობა ბუნებრივი ენის გამონათქვამების გრამატიკულ ფორმებსა და ლოგიკურ ფორმებს შორის. ამ თეზისმა დიდი გავლენა მოახდინა ანალიტიკური ფილოსოფიის სფეროში წარმოებულ კვლევებზე, განსაკუთრებით კი ეს ლოგიკურ პოზიტივიზმს შეეხო. განზოგადებული კვანტორების თეორია (generalized quantifier theory) და მათი განვითარება, მაგალითად, 'მონტეგეის გრამატიკა' (Montague, 1974), რამდენადმე განსხვავებული კუთხით განიხილავს ამ საკითხს, ყოველ შემთხვევაში, ზემოხსენებულის მსგავს მაგალითებს: თუ ორივეს, 'Peter'-საც და 'Nobody'-საც მივიჩნევთ განზოგადებულ კვანტორებად, 1 და 2 წინადადებებს ექნებათ ერთი და იგივე გრამატიკული და ლოგიკური ფორმები ($Q(walk)$) და მათი მნიშვნელობების სხვაობა განპირობებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ შესაბამის კვანტორთა განსხვავებული თვისებებით. ამდენად, 'მონტეგეის გრამატიკა' ფაქტიურად არ განარჩევს ერთმანეთისგან გრამატიკულ და ლოგიკურ ფორმებს.

ლინგვისტიკაში ლოგიკური ფორმის ცნება (LF) განსაკუთრებულ როლს ასრულებდა გრამატიკის ხომსკისეულ ინტერპრეტაციაში. აქ ლოგიკური ფორმა სოგადად შეიძლება განისაზღვროს როგორც ფრაზის ისეთი, გრამატიკულად რელევანტური წარმოდგენა, რომელშიც მოხსნილი იქნება ყველა კვანტორის არაერთაზროვნება. ასე მაგალითად, LF-ში განსაზღვრულია კვანტორის მოქმედების ველი. ლოგიკურ ფორმას ხშირად აიგივებენ D -სტრუქტურასთან. უფრო მეტიც, თუკი LF გადაწყვეტს ყველა არაერთაზროვნებას, მაშინ მოცემული წინადადების LF შეიძლება განხილულ იქნას ამ წინადადების მნიშვნელობად, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ისეთ ფორმად, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს მის მნიშვნელობას.

(logical syntax) ლოგიკური სინტაქსი. მრავალი ლინგვისტური თეორია იყენებს მონიშნულ გრაფებს (labeled graphs) როგორც სინტაქსური, სემანტიკური, მორფოლოგიური და ფონეტიკური ინფორმაციის მატარებლებს (carriers). ამის მაგალითებია 'მართვის მიმართების თეორია' (Government Binding Theory) და 'უნიფიკაციის გრამატიკები'. ამ მიდგომის თანახმად, ლინგვისტური თეორია

აღწერს იმ დასაშვებ გრაფებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტექსტებს ან გამონათქვამებს. მაგალითად, უკონტექსტო (context-free) გრამატიკა იძლევა დერივაციული ხის მიღების საშუალებას (რომელიც აკმაყოფილებს 'განშტოებათა დაშვების პირობას' (node admissibility condition) დერივაციის საკუთარ წესთა შესაბამისად). ეს პირობები შესაძლოა ჩამოყალიბდეს პირველი რიგის ლოგიკის სტანდარტული ფორმულებით ან მოდალური ლოგიკის ენებზე, რომლებიც აღწერენ განშტოებათა მომდევნო დასაშვებ ელემენტებს. უშუალო შემადგენელთა ხეები (phrase structure trees) წარმოადგენენ სასრულ მოდალურ მოდელებს, სადაც გრამატიკული კატეგორიებისა და ლექსიკური ერთეულებისთვის გამოიყენება პროპოზიციული ასოები. ამდენად, ყოველ გრამატიკას აქვს განსაზღვრული ამომცნობი საშუალება, რომელიც კოდირებულია ხეების კლასთა მეშვეობით, და, აქედან გამომდინარე, ის ფუნქტურად შეესაბამება გარკვეულ მოდალურ ფორმულას. ეს ანალოგია ახლებურად აკავშირებს ლინგვისტიკასა და ლოგიკას. არსებობს მოდალური ენების იერარქია მათი გამომხატველობითი ძალის მიხედვით, რომელიც შეიძლება შეეუსაბამოთ გრამატიკების 'ხომსკის იერარქიას' (იხ. ფორმალური ენის თეორია). ამასთან ერთად, პოტენციურ მოდალურ სამყაროთა შორის ბუნებრივი სემანტიკური იგივეობები (როგორც ეს 'ბისიმულაციის' დროს ხდება) ასახავს ენობრივ გამონათქვამთა ლოგიკური ფორმების სხვადასხვა დონეებს. შეიქმნა მოდალური ლოგიკა, სადაც გადაწყვეტილია სასრული ხეების ამონხნადობის პრობლემა. 'უშუალო შემადგენელთა მოდალური გრამატიკა' ('Modal phrase structure grammar') შესახებ იხ. Kracht, 1995; Blackburn and Meyer-Viol, 1994). სხვა მეთოდი სასრული ხეებისთვის იყენებს პირველი რიგის ენებს და მონადურ მეორე რიგის ენებს (monadic second-order languages) (Backofen, Rogers and Vijay-Shanker, 1995). 'მართვის მიმართების თეორიის' ('Government Binding Theory') ფარგლებში ენობრივი კონსტრუქციების ნახტომები სირთულის ერთი დონიდან სხვა დონეზე ამ კლასიკური თეორიულ-მოდელური თეალსაზრისით განხილულია როჯერსის წიგნში (Rogers, 1994). სხვა მოდალური სტრუქტურები გამოიყენება იქ, სადაც ხეების განშტოებები ჩანაცვლებულია მახასიათებელთა მოდელებით (იხ. Carpenter, 1992; Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 8). ამის შედეგად იღებენ დეკორირებული ხეების ორდონიან მოდალურ ლოგიკას, რომელიც უკავშირდება ასევე სიტუაციათა თეორიის სხვადასხვა ასპექტებს (Barwise and Moss, 1996; Barwise and Seligman, 1997). ამ მიდგომას აქვს რაღაც საერთო დინამიკურ სემანტიკასთან, რამდენადაც გადაწერის წესები (rewrite rules), გარკვეული აზრით, იგივე პროცედურული წესებია, ხოლო ხეების მოდელები მოგვაგონებენ გადასვლის სისტემებს (transition systems) (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 10).

(Löwenheim-Skolem-Tarski theorem) ლოვენჰაიმ-სკოლემ-ტარსკის თეორემა იხ. ლოგიკა.

(material implication) მატერიალური იმპლიკაცია იხ. ჰეშმარტული სემანტიკა (truth-conditional semantics).

(modal logic) მოდალური ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(model theory) მოდელთა თეორია. ლოგიკის განშტოება, რომელიც შეისწავლის ლოგიკურ ენათა და მათ მოდელთა შორის არსებულ სხვადასხვა მიმართებებს. მისი მაგალითია პირველი რიგის ლოგიკის მოდელთა თეორია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ტარსკიმ, განსაზღვრა რა ჭეშმარიტული მნიშვნელობა, და რომელიც გამოირჩევა მათემატიკური სრულყოფით (Chang and keister, 1990). ტიპიური კითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას მოდელთა თეორიის ფარგლებში: თუკი მოცემულია მოდელთა კლასი K , შეგვიძლია თუ არა ისეთი T თეორიის პოვნა, რომელიც ჭეშმარიტი იქნება ზუსტად ამ K კლასში შემაჯავ მოდელებში? პირველი რიგის ლოგიკისთვის არსებობს რამდენიმე ასეთი განსაზღვრებადობის თეორემა. მაგალითად: (a) სასრულ მოდელთა კლასი არ არის 'პირველი რიგის განსაზღვრებადი' (first-order definable); (b) ყველა უსასრულო მოდელის კლასი არის 'პირველი რიგის განსაზღვრებადი' (first-order definable); (c) არ არსებობს ისეთი უსასრულო კარდინალური რიცხვი k , რომ ყველა k სიმძლავრის მოდელთა კლასი იყოს 'პირველი რიგის განსაზღვრებადი'. შედეგი (a) გამომდინარეობს 'კომპაქტურობის თეორემიდან', (c) კი გამომდინარეობს ლოვენჰაიმ – სკოლემის თეორემიდან; (a) და (c) მოდელთა თეორიის ცნობილი შედეგებია (იხ. ლოგიკა). განსაზღვრებადობის ცნების ზოგად განმარტებას იძლევა კაისლერის განსაზღვრებად მოდელთა კლასისთვის: მოდელთა კლასი არის 'პირველი რიგის განსაზღვრებადი' მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ისიც და მისი დამატებაც ჩაკეტილია ულტრაწარმოებულთა და იზომორფიზმთა მხრივ (closed under ultraproducts and isomorphisms). მოდელთა თეორიაში, როგორც წესი, ისმის სხვა კითხვაც, რომელიც ეხება ფორმულის (ან თეორიის) გარკვეული სინტაქსური თვისებისა და მოდელთა თვისების ურთიერთმიმართებას. ამის უპირველესი მაგალითია 'სისრულის' თეორემა, რომელიც აღგენს ეკვივალენტობას გამოყვანადობასა და ჭეშმარიტულობას შორის (იხ. ლოგიკა). ამ ტიპის კიდევ ერთი მაგალითია ე. წ. 'შენარჩუნების' თეორემები, კერძოდ: ფორმულა ინარჩუნებს ჭეშმარიტებას ქვემოდელის ფარგლებში მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ის უნივერსალური ფორმულის ეკვივალენტურია.

აბსტრაქტულ მოდელთა თეორია ზოგადად შეისწავლის ლოგიკის თვისებებსა და მოდელთა თეორიაში მიღებულ შედეგებს, მაგალითად, კომპაქტურობის თეორემას ან ლოვენჰაიმ – სკოლემის თეორემას (Barwise, 1974; Barwise and Feferman, 1985). ამ სფეროში მიღებულ შედეგთა შორის აღსანიშნავია ლინდსტრომის თეორემა, რომლის თანახმადაც პირველი რიგის ლოგიკა არის ერთადერთი აბსტრაქტული ლოგიკა, რომელსაც ახასიათებს კომპაქტურობა და ლოვენჰაიმ – სკოლემის თვისებები.

(non-monotonic logic) არამონოტონური ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(parsing) ანალიზი. კომპიუტერული ლინგვისტიკის უმთავრესი მიზანია იმ ალგორითმთა აგება და შესწავლა, რომლებიც ადგენენ მოცემული ტექსტის გრამატიკულ და/ან სემანტიკურ სტრუქტურას. ამ პროცესს, როგორც წესი, ანალიზს (parsing) უწოდებენ. არსებობს ანალიზის შემდეგი მეთოდები: ქვემოდან ზევით (ლექსიკური ერთეულებიდან რთული სტრუქტურებისკენ), ზომოდან ქვევით (რთული სტრუქტურებიდან ლექსიკური ერთეულებისკენ) და ინკრემენტული (სტრუქტურის თანმიმდევრული გამოთვლა, როცა პროცესის ყოველ ნაბიჯზე ანალიზი ვრცელდება ჯაჭვის მომდევნო რგოლზე). ამ სფეროში დიად რჩება საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარიმართოს სინტაქსური და სემანტიკური ანალიზი, კერძოდ, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების გამოთვლა უნდა მოხდეს ერთდროულად თუ – გარკვეული რიგითობის დაცვით.

პერეირას მიერ გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად (Pereira, 1983), რომელიც ანალიზისა და ლოგიკის ურთიერთმიმართებას ეხებოდა, გარკვეული ჯაჭვის გრამატიკული სტრუქტურის პოენის პრობლემას ბევრი რამ აქვს საერთო ლოგიკაში ფორმულის დამტკიცების პოენის პრობლემასთან. პარადიგმას, რომელსაც უწოდებენ 'ანალიზს როგორც დედუქციას', დიდი მნიშვნელობა ენიჭება კატეგორიულ და ტიპთა-თეორიულ გრამატიკაში; იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 2.

(ლიტერატურა: Carpenter, 1992; Nerbonne, 1996; Pereira, 1983; Pereira and Shieber, 1987; Rosner and Johnson, 1992; Shieber, 1986).

(partial logic) ნაწილობრივი ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(performative) პერფორმატივი იხ. მეტყველების აქტი.

(Performative Hypothesis) პერფორმატიულობის ჰიპოთეზა იხ. მეტყველების აქტი.

(phrase structure grammar) ფრაზულ სტრუქტურათა გრამატიკა (phrase structure grammar) იხ. ფორმალური ენის თეორია.

(polarity) პოლარობა. გრამატიკული ცნება, რომელიც უკავშირდება ენობრივი ფრაზის დისტრიბუციაში არსებულ რეგულარულ შეზღუდვებს. უარყოფითი პოლარობის ელემენტები მხოლოდ უარყოფით კონტექსტებში გეხდებოდა; მათ შორისაა: "any", "ever", "yet". მაგალითად, ფრაზა "I didn't eat any bagels" გრამატიკულად სწორია, მაგრამ "I ate any bagels" გაუმართავი ფრაზაა. ამის საპირისპიროდ, დადებითი პოლარობის ელემენტები მხოლოდ დადებით კონტექსტებში შეიძლება შეგეხდეს; ესენია: "somebody", "already", "still" და ა. შ. მაგალითად, "I have already finished reading" დასაშვებია ფრაზაა, "I have not already finished reading" – არა. პოლარობასთან დაკავშირებული მთავარი თეორიული პრობლემა უარყოფითი (დადებითი) კონტექსტის ზუსტი განსაზღვრაა. ამ პრობლემის გადაწყვეტას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ – სინტაქსური

(Klima, 1964; Progovac, 1993), სემანტიკურით (Ladusaw, 1979; Hocksema, 1986) და პრაგმატულთ (Baker, 1970; von Bergen and von Bergen, 1993). ლადუსოს სემანტიკური მიდგომა (Ladusaw, 1979) იმის შესანიშნავი ილუსტრაციაა, თუ რაოდენ მიზანშეწონილია ლინგვისტიკაში ლოგიკური ცნებების გამოყენება. ლოგიკაში P პრედიკატის ϕ ფორმულაში შესვლა ითვლება დადებითად (უარყოფითად), თუ ამ პრედიკატის ინტერპრეტაციის გაფართოების (შეზღუდვის) შემთხვევაში შენარჩუნებულ იქნება ϕ -ს ჭეშმარიტება. დადებით (უარყოფით) შესვლას ასევე უწოდებენ მონოტონურად მზარდ (კლებად) პოზიციას. ეს ცნებები ლინგვისტიკისთვისაც ნაყოფიერი აღმოჩნდა; მაგალითად, ფრაზაში „მე არ ვჭამ X -ს“ X -ის პოზიცია არის კლებადი, რამდენადაც ფრაზიდან „მე არ ვჭამ არაქისს“ გამომდინარეობს „მე არ ვჭამ მარილიან არაქისს“. ლადუსოს კონცეფციაში მნიშვნელოვანია ის, რომ 'უარყოფითი კონტექსტი' აქ 'მონოტონურად კლებად პოზიციას' ნიშნავს. მართალია, ამ მიდგომით შეუძლებელია ყველა რელევანტური ფაქტის ახსნა, მაგრამ მისი საშუალებით შეიძლება აღიწეროს ფაქტების საკმაოდ ფართო კატეგორია (Van der Wouden, 1994).

(polymorphism) პოლიმორფიზმი იხ. არაერთაზროვნება.

(possible worlds) პოტენციური სამყაროები იხ. პირობითი გამონათქვამები, ინტენსიონალობა, კრიკეს სემანტიკა, ლოგიკა.

(pragmatics) პრაგმატიკა. ფართო გაგებით, პრაგმატიკა არის სემიოტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს „ნიშნებისა და ინტერპრეტატორების ურთიერთმიმართებას“ (Morris, 1938). პრაგმატიკა უფრო ვიწრო გაგებით, კერძოდ, ლინგვისტური პრაგმატიკა სწავლობს მიმართებებს ენობრივ გამონათქვამებსა და ამ ენაზე მოლაპარაკეებს შორის, რაც დაახლოებით შეესაბამება პრაგმატიკის კარნაპისეულ კონცეფციას. ეს გაგება კიდევ უფრო დაეწიროვდა ბარ ჰილელის მიერ – ის პრაგმატიკას განსაზღვრავდა როგორც იმ ენათა შემსწავლელ დისციპლინას, რომლებიც შეიცავენ ინდექსურ და დეიქტიკურ ტერმინებს (Bar-Hillel, 1954). ამ თვალსაზრისს იზიარებენ კელიში (Kalish, 1967) და მონტეგუ (Montague, 1968).

მორისის კონცეფცია თითქოს მეტისმეტად ზოგადია იმისთვის, რომ მიზანშეწონილი იყოს მისი გამოყენება ლინგვისტიკაში, ბარ ჰილელის მიდგომა კი – მეტისმეტად შეზღუდული. პრაგმატიკის კვლევის ობიექტის განსაზღვრისას თავს იჩენს ორი მთავარი პრობლემა. ჯერ ერთი, პრაგმატიკა უკავშირდება მნიშვნელობას, მაგრამ ამასვე იკლავს სემანტიკაც; ამდენად, საკმაოდ რთულია მნიშვნელობის პრაგმატული და სემანტიკური ასპექტების ერთმანეთისგან მკაფიო გამოიჯენა. მეორე სირთულეზე მიუთითებდა ლევისონი, როცა წერდა: „ტერმინი *პრაგმატიკა* მოიცავს ენის სტრუქტურის კონტექსტით განპირობებულ ასპექტებს, მაგრამ ამასთან ერთად ის გულისხმობს ენის გამოყენების იმ პრინციპებსაც, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ან ძალზე მცირე რამ აქვთ საერთო ენის სტრუქტურასთან. რთულია ისეთი განსაზღვრის მოუქრება,

რომელიც ასახავდა ამ ორივე ასპექტს." (Levinson, 1983, გვ. 9). იხ. თავი 1 (Levinson, 1983), სადაც დაწვრილებითაა განხილული პრაგმატიკის განსაზღვრის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი. როგორც წესი, პრაგმატიკის შესწავლის სფეროს აკუთვნებენ: დიქსისს; 'თემის კომენტარის სტრუქტურას' (topic-comment structure); პროსოდისას; ინტონაციას და მახვილს; პრესუპოზიციას; მეტყველების აქტებს; საუბრის ანალიზს; სასაუბრო იმპლიკაციებს.

ასევე იხ. საერთო საფუძველი, კონტექსტი, ფოკუსი, სასაუბრო მაქსიმები, ინდექსიკალობა, მეტყველების აქტი.

(ლიტერატურა: Davis, 1991; Levinson, 1983; Mey, 1993).

(programming languages) პროგრამირების ენები. პროგრამირების ენების სემანტიკის კვლევა რამდენიმე მიმართულებით წარმოებს. *ოპერატიული სემანტიკა* იკვლევს კომპიუტერული პროგრამის ხილულ ეფექტებს, რომლებსაც, როგორც წესი, სრულად იძლევა პროგრამის მონაცემთა შეტანა-გამოტანის მახასიათებლები (input-output behaviour). ამ მეთოდის უფრო სრულყოფილი ვარიანტია *პროცესთა ალგებრა* (process algebra), რომელიც ითვალისწინებს შუალედურ მდგომარეობებსაც. *დენოტაციურ სემანტიკაში* კომპიუტერული პროგრამის მნიშვნელობა, არსებითად კი პროგრამირების ენის ყოველი კონსტრუქცია არის მათემატიკური მოდელის გარკვეული შემადგენელი, ჩვეულებრივ, არე (იხ. მნიშვნელობათა არის თეორია (domain theory)). დაბოლოს, *აქსიომატური სემანტიკა* უზრუნველყოფს ლოგიკურ გამოთვლებს, რომლის დროსაც კომპიუტერული პროგრამის შესასვლელი და გამოსასვლელი პირობების გამოთვლა ხდება დელუქციური წესით.

ამ მიდგომებს შორის არ არსებობს პრინციპული წინააღმდეგობები. ჯერ ერთი, დენოტაციურ სემანტიკაში პროგრამის მნიშვნელობა შეიძლება იყოს 'ოპერატიული' (მონაცემთა) შეტანა-გამოტანის ფუნქცია (input-output function). მეორეც, 'დინამიკური ლოგიკის' (Harel, 1984) მსგავს ლოგიკურ სისტემას აქვს ოპერატიული სემანტიკა, ხოლო მისი აქსიომატიკა უზრუნველყოფს (რეგულარული) პროგრამების შესასვლელი და გამოსასვლელი პირობების გამოთვლის დელუქციურ პროცედურას.

(ლიტერატურა: Beaten and Verhoef, 1992; Van Benthem and Bergstra, 1995; Hennessy and Milner, 1985; Meyer, 1990; Mosses, 1990; Ong, 1992; Plotkin, 1975; Scott and Strachey, 1971; Stoy, 1977; Tennent, 1991; Tennent, 1992; Wagner, 1992).

(proof theory) მტკიცებათა თეორია. მტკიცებათა თეორია სათავეს პილბერტის მათემატიკიდან იღებს, რომლის მიზანიც იყო მათემატიკური მტკიცების არაწინააღმდეგობრივი აღწერა კომბინატორული მეთოდით ისე, რომ გადაეწყვიტა ცნობილი ფუძემდებლური პარადოქსების პრობლემა (Smorynski, 1977). ამ სფეროში მთავარ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს გენცენის ნატურალური დელუქცია (Gentzen, 1939, 1969), ხოლო პირველ შედეგად – 'შკეეთი

ელიმინაციის თეორემა' (Cut Elimination theorem); ეს თეორემა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება პრედიკატული ლოგიკის აქსიომატიზაცია იმ წესების საშუალებით, რომელთა გამოყენებითაც ხდება დასკვნათა თანმიმდევრული (ინკრემენტული) აგება. ამის შედეგად გამოყვანის პროცედურაზე მოპოვებული კონტროლი საშუალებას იძლევა განხორციელებდეს დედუქციური სრულყოფილი სტრუქტურის (fine-structure) კომპინატორული ანალიზი. მტკიცებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ინტუიციონისტურ ლოგიკაში (იხ. კონსტრუქტივიზმი), სადაც ისინი, კერძოდ—პავარდ—დე ბრუინის იზომორფიზმის საშუალებით, შეესაბამებიან ალგორითმთა აღწერას ტიპიზებულ ლამბდა-გამოთვლაში. ამ კავშირის მეშვეობით მტკიცებებზე განხორციელებული ისეთი ოპერაციები, როგორცაა მკვეთი ელიმინაცია, შეესაბამება ლამბდა-ტერმებზე განხორციელებულ ისეთ ოპერაციებს, როგორცაა ნორმალიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, აბსტრაქტულ გამოთვლამდე დაიყვანება. ლინეარულ ლოგიკაში (Gerard. 1987) საკვანძო ადგილი უჭირავს მტკიცებათა სრულყოფილ სტრუქტურას (fine-structure of proofs); ეს უკანასკნელი ნათლად მოწმობს, თუ კლასიკური სტრუქტურული წესების უარყოფას როგორ მიეყვართ შემოსვლათა ამოხსნად პრედიკატულ ლოგიკამდე (logic of occurrences), რომელიც მოიცავს ლოგიკურ ოპერატორთა გაცილებით მდიდარ ლექსიკონს. ეს გარემოება ასევე მნიშვნელოვანია მტკიცებათა თეორიის გამოყენებისას გრამატიკულ ანალიზში (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 2). მტკიცებათა თეორია ორი მიმართულებით ვითარდებოდა. პირველი მათგანი უკავშირდება მათემატიკის საფუძვლებს (Schwichtenberg, 1977); ბოლოდროინდელი კვლევები აერთიანებენ მტკიცებებს და მორფიზმებს კატეგორიათა თეორიაში, ლოგიკას კი აკავშირებენ სხვადასხვა კატეგორიალურ თეორიებთან (Lambek and Scott, 1986; MacLane and Moerdijk, 1992). მეორე მიმართულება გულისხმობს მის გამოყენებას კომპიუტერულ მეცნიერებასა და ლინგვისტიკაში; ამ შემთხვევაში ის იყენებს შესაფერის ტექნიკას სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის დასამუშაველად, მაგალითად, 'მონიშნულ დედუქციას' (labeled deduction) (Gabbay, 1990).

იხ. Girard, Lafont and Taylor, 1990; Troestra and Schwichtenberg, 1996.

(recursion theory) რეკურსიის თეორია. ლოგიკის განშტოება, რომელიც იკელევს *რეკურსიული გამოთვლის* ცნებას. ამ დისციპლინას სათავე დაუდო გიოდელმა რეკურსიული ფუნქციების განსაზღვრით (1931), შემდგომ კი განავითარეს ტიურინგმა, კლინიმ და ჩორჩმა. არსებობს რეკურსიული გამოთვლადობის სხვადასხვა განსაზღვრებები: გიოდელის მიერ განსაზღვრული რეკურსიული ფუნქციები; ტიურინგის მანქანით გამოთვლადი ფუნქციები; ლ-გამოთვლაში განსაზღვრებადი ფუნქციები; რეგისტრული მანქანებით (register machines) გამოთვლადი ფუნქციები და კიდევ სხვა (შდრ. Bell and Machover, 1977). ამ საკითხების კვლევის მთავარი შედეგი ისაა, რომ ყველა ეს კონცეპტუალიზაცია ფორმალურად ერთმანეთის ეკვივალენტური აღმოჩნდა. ამ გარემოებამ მრავალი მკვლევარი დააჩქარა ჩორჩის თეზისის (რომელიც ასევე ცნობილია როგორც ჩორჩ-ტიურინგის თეზისი) სამართლიანობაში, რომლის თანახმადაც ყოველი

ინტუიციურად გამოთვლადი პროცედურა იმედროულად გამოთვლადია ტიურინგის მანქანის საშუალებით.

(recursive function) რეკურსიული ფუნქციები. ნატურალურ რიცხვებზე განსაზღვრულ ფუნქციათა კერძო კლასი, რომლის წევრებიც არიან ისეთი ფუნქციები, რომლებისთვისაც არსებობს მნიშვნელობათა გამოთვლის მექანიკური პროცედურა.

(decidability) ამოხსნადობა. ეფექტური პროცედურის არსებობა ამოცანის დადებითად ან უარყოფითად გადასაწყვეტად.

(recursive axiomatizability) რეკურსიული აქსიომატიზებადობა. ფორმულათა სიმრავლე Γ არის რეკურსიულად აქსიომატიზებადი, თუ არსებობს ფორმულათა ისეთი Δ სიმრავლე, რომ Γ შეიცავდეს ზუსტად Δ -ის ლოგიკურ შედეგებს.

(recursive language) რეკურსიული ენა. ენა (ჯაჭვთა სიმრავლე), რომლისთვისაც ამოხსნადია კითხვა იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა მოცემული ჯაჭვი ამ ენას.

(recursively enumerable language) რეკურსიულად თვლადი ენა. ენა, რომელსაც მიიღებს ტიურინგის მანქანა; ან, ხომსკის იერარქიით, 0 ტიპის ენა. იხ. ავტომატების თეორია, ფორმალური ენის თეორია.

რეკურსიის თეორიის მრავალი აღწერა მოიცავს ავტომატების თეორიის და ფორმალური ენის თეორიის სხვადასხვა ასპექტებს. რეკურსიის თეორიის თანამედროვე განშტოებაა სირთულის თეორია (complexity theory). ძირითად რეკურსიის თეორიის საფუძვლები განიხილება მათემატიკური ლოგიკის შესავალი კურსის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში (Mendelson, 1964; Enderton, 1972).

(ლიტერატურა: Bools and Jeffrey, 1989; Davis, 1958, 1965; Enderton, 1972; Gödel, 1931; Kleene, 1936a, 1952; Rogers, 1967; Schoenfield, 1971; Turing, 1936, 1937).

(regular language) რეგულარული ენა იხ. ფორმალური ენის თეორია.

(relation algebra) რელაციური ალგებრა იხ. ალგებრა.

(second-order logic) მეორე რიგის ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(self-reference) თვითმიმართება. ზოგიერთი წინადადების თვისება გამოთქვას რაღაც თავის თავზე, როგორც ეს კეთდება ამ წინადადებაში. მართალია, არსებობს მრავალი ისეთი წინადადება, რომელსაც ახასიათებს თვითმიმართება და რომლის ანალიზისას არანაირ პრინციპულ სირთულეს არ ეხვდებით (ისევე, როგორც ზემოხსენებულ წინადადებაში), მაგრამ ცნობილი "მატყუარას პარადოქსი" – „ეს წინადადება არაა ჭეშმარიტი“ – უძველესი დროიდან

საგონებელში აგდება ფილოსოფოსებს. 'მატყუარას პარადოქსმა' აიძულა ლოგიკოსი ტარსკი განეცხადებინა, რომ არცერთი ენა არ შეიძლება შეიცავდეს საკუთარ ჭეშმარიტულ პრედიკატს; არამედ არსებობს ენათა იერარქია, სადაც გარკვეული k დონის წინადადების ჭეშმარიტულობაზე შეიძლება რაიმე ითქვას მხოლოდ და მხოლოდ $k+1$ დონის წინადადებაში (Tarski, 1956). ამ პრობლემის ტარსკისეული გადაწყვეტა ნაწილობრივ იმასაც გულისხმობს, რომ ყველა წინადადება, სადაც k ადგილი აქვს თვითმიმართებას, გრამატიკულად არასწორია. მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებობს არაერთი ისეთი წინადადება, რომელსაც ახასიათებს თვითმიმართება და ამავე დროს მისი ანალიზი არ წარმოადგენს რაიმე პრინციპულ სირთულეს (როგორც, მაგალითად, წინადადებისა „ეს წინადადება შედგება ხუთი სიტყვისგან“), მრავალი თეორეტიკოსი ამგვარ მიდგომას მეტისმეტად მკაცრად მიიჩნევს. ამიტომაც შემოთავაზებულ იქნა ამ პარადოქსის მრავალი ალტერნატიული გადაწყვეტა, სადაც დაიშვება თვითმიმართება, ოღონდ შესუსტებულია ჭეშმარიტულობის კრიტერიუმი. უმრავლეს შემთხვევაში ეს გულისხმობს ჭეშმარიტულ მნიშვნელობათა ნაწილობრივ მიწერას, ისე, რომ ზოგიერთი წინადადება შეიძლება არ იყოს არც ჭეშმარიტი და არც მცდარი (იხ. კრებულები Martin, 1970, 1984; Kripke, 1975; Barwise and Etchemendy, 1987).

თვითმიმართება მნიშვნელოვან როლს ასრულებს პენოს არითმეტიკის არასრულობის გიოდელისეულ დამტკიცებაში. ამ დამტკიცებაში პენოს არითმეტიკის ენაზე იგება ისეთი ფორმულა, რომელიც თავის თავზე გამოხატავს აზრს იმის შესახებ, რომ პენოს არითმეტიკაში მისი დამტკიცება შეუძლებელია (იხ. Smullyan, 1992).

(set theory) სიმრავლეთა თეორია. ლოგიკის განშტოება, რომელიც სწავლობს სიმრავლეთა მათემატიკურ თვისებებს. სიმრავლეთა თეორია შეიძლება განვიხილოთ როგორც მეტაენა ლოგიკისა და მათემატიკისთვის. გეორგ კანტორმა საფუძველი ჩაუყარა სიმრავლეთა მათემატიკური შესწავლას (Cantor, 1885). სამწუხაროდ, კელევისას კანტორი იყენებდა წედომით მეთოდს, რომლის წინააღმდეგობრიობაც უჩვენა რასელმა (1902). რასელის ამ აღმოჩენამ დასაბამი მისცა ლოგიკოსთა და მათემატიკოსთა ფუნდამენტურ კვლევებს. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა ტიპების თეორია (Russel, 1908) და სიმრავლეთა თეორიის ფორმალიზებული ვარიანტები. ეს ფორმალური სისტემები შედგება გარკვეულ ლოგიკური ენის აქსიომათა ჩამონათვალისგან, ეს, როგორც წესი, არის პირველი რიგის ლოგიკის ენა. დღესდღეობით ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სიმრავლეთა თეორიათაგან აღსანიშნავია ZF და ZFC (ZF-ის აქსიომები შექმნეს ცერმელომ და ფრენკელმა; ZFC მიღებულია ZF-ისთვის ამორჩევის აქსიომის დამატებით). ამ სფეროში უკანასკნელ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს პიტერ ექსელის 'სიმრავლეთა არასრულად დაფუძნებული (non-well-founded) თეორია' (Aczel, 1988). სიმრავლეთა ამ თეორიაში დასაშვებია ისეთ სიმრავლეთა არსებობაც, რომელიც არის თავისი თავის წევრი. ZF-ში ამგვარი სიმრავლებები იკრძალება 'დაფუძნების' აქსიომით (axiom of Foundation).

(ლიტერატურა: Aczel, 1988; Barwise, 1977, ნაწილი B; Benacerraf and Putnam, 1964, ნაწილი IV; Cohen, 1966; Fraenkel, Bar-Hillel and Levy, 1973; Gödel, 1940; Jech, 1973; Kunen, 1980).

(speech acts) მეტყველების აქტი. მეტყველების აქტის თეორიის ამოსავალი პრინციპის თანახმად გამონათქვამი არის აქტი. ეს თვალსაზრისი გარკვეულწილად შემზადებულ იქნა ვიტგენშტაინის კონცეფციით 'ენა-თამაში' (Wittgenstein, 1958), მაგრამ მეტყველების აქტის თეორიას, როგორც წესი, ფილოსოფოს ოსტინის სახელს უკავშირებენ (J. L. Austin, 1962). როგორც ოსტინი აღნიშნავდა, არსებობს არაერთი თხრობითი წინადადება, რომლის ჭეშმარიტული ანალიზიც შეუძლებელია; მაგალითად, „ბოდიშს გიხდით“, „სიტყვას გაძღვეთ“. ასეთ წინადადებათა მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ისინი არ გამოხატავენ რაიმე განსჯას, არამედ წარმოგიდგენენ გარკვეულ ქმედებას. ოსტინი ასეთ წინადადებებს აღნიშნავდა ტერმინით პერფორმატივი და განარჩევდა მათ 'განსჯითი გამონათქვამებისგან', რომელთაც ის კონსტანტივებს უწოდებდა. უაზრობა იქნებოდა პერფორმატივების განსაზღვრა ნიშნით ჭეშმარიტი ან 'მცდარი'. ოსტინის მიიჩნევს, რომ პერფორმატივების მნიშვნელობათა ანალიზი უნდა შესრულდეს 'შესაფერისი პირობების' ტერმინებით, რაც დაახლოებით გულისხმობს იმ პირობებს, სადაც ამა თუ იმ წინადადების გამოყენება იქნებოდა გამართლებული. უფრო მეტიც, ის განარჩევდა გამონათქვამთა სამ ასპექტს: ლოკუციურ აქტს, რომელიც უკავშირდება აზრობრივი შინაარსის გამოხატვას; ილოკუციურ აქტს, რომელიც მიანიშნებს წარმოდგენილი ქმედების ტიპზე, მაგალითად, დაპირებასა ან ბრძანებაზე; და პერლოკუციურ აქტს, რომელიც ეხება იმას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მსმენელზე შესაბამისმა გამონათქვამმა, მაგალითად, დაჯეროს ან დაარწმუნოს ის რაიმეში. ფილოსოფოსმა სირლმა თავის ცნობილ ნაშრომში განაერთო და სისტემაში მოაქცია ოსტინის იდეები (Searle, 1969). ინტენსიონალური ლოგიკის მეტყველების აქტებით გაფართოების შედეგად წარმოიშვა ე. წ. 'ილოკუციური' ლოგიკა (იხ. Searle and Vanderveken, 1985; Vanderveken, 1990, 1991).

მეტყველების აქტების თეორიის გავლენით ლინგვისტიკაში გაჩნდა ე. წ. პერფორმატიული ჰიპოთეზა, რომლის ყველაზე მარტივი ვარიანტების თანახმად, ყოველ გამონათქვამს აქვს შემდეგი სახის სიღრმისეული სტრუქტურა: „ამით მე PV, რომ P“, სადაც PV არის პერფორმატიული ზმნა, მაგალითად, „ვაცხადებ“ ან „გებრძანებ“, P კი სამსჯელო შინაარსია (Ross, 1970; Sadock, 1974; Lakoff, 1972, 1975). ამ შემთხვევაში 'პერფორმატიული ჰიპოთეზა' ილოკუციურ ფაქტორს სტანდარტული სინტაქსური და სემანტიკური განხილვის ობიექტად აქცევს. ამგვარი პოზიციიდან გამომდინარე პრობლემათა შესახებ, განსაკუთრებით კი არაპირდაპირ მეტყველებასთან დაკავშირებით, იხ. Levinson, 1983, თავი 5, ქვეთაეები 5.4 და 5.5.

იმ მიდგომის შესახებ, რომელიც მეტყველების აქტს განიხილავს 'კონტექსტის ცვლის' თვალსაზრისით, იხ. კონტექსტი.

ასევე იხ. (common ground) საერთო საფუძველი, (pragmatics) პრაგმატიკა.

(tense logic) დროითი ლოგიკა იხ. ლოგიკა.

(tree logics) ხეების ლოგიკა იხ. (logical syntax) ლოგიკური სინტაქსი.

(truth-conditional semantics) ჭეშმარიტულ-პირობითი სემანტიკა. მიმართულება სემანტიკაში, სადაც თხრობითი წინადადებების მნიშვნელობა გაიგივებულია მათი ჭეშმარიტულობის პირობებთან. ფილოსოფიასა და ლოგიკაში ასეთ მიდგომას დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც იწყება არისტოტელედან და გრძელდება მე-20 საუკუნეშიც ფრეგეს, პოსტის, ვიტგენშტაინის, ტარსკის, კარნაპის, დევიდსონისა და მონტევიუს შრომებში. ეს არის კლასიკური, ანუ ორნიშნა მიდგომა, რამდენადაც ოპერირებს მხოლოდ ორი ჭეშმარიტული მნიშვნელობით – 'ჭეშმარიტი' და 'მცდარი'. პოსტის, ლუკასევიჩისა და ბოჩვარის (Bochvar) მიერ შექმნილ მრავალნიშნა ლოგიკებში არსებობს ორზე მეტი ჭეშმარიტული მნიშვნელობა.

(truth function) ჭეშმარიტული ფუნქცია. ჭეშმარიტულ მნიშვნელობათა (თანმიმდევრობის) ფუნქცია, რომელიც იძლევა ჭეშმარიტულ მნიშვნელობას. ასეთ ფუნქციას შეიძლება ჰქონდეს ადგილთა ნებისმიერი სასრული რაოდენობა, კერძოდ, თუკი T არის ჭეშმარიტულ მნიშვნელობათა სიმრავლე, ჭეშმარიტული ფუნქცია იქნება $f : T^n \rightarrow T$, სადაც n არის რაღაც ნატურალური რიცხვი. კლასიკურ პროპოზიციულ ლოგიკაში კავშირების მნიშვნელობები ჭეშმარიტული ფუნქციებია.

(truth table) ჭეშმარიტული ცხრილი. ჭეშმარიტულ ფუნქციათა წარმოდგენის შემჭიდროებული ფორმა, რომელიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს ვიტგენშტაინმა (1921) და პოსტმა (1920, 1921). ქვემოთ მოცემულია კლასიკური კავშირების \neg („არა“), \wedge („და“), \vee („ან“) და მატერიალური იმპლიკაციის \rightarrow („თუ... მაშინ...“) ჭეშმარიტული ცხრილები:

ϕ	$\neg\phi$	ϕ	ψ	$\phi \wedge \psi$	ϕ	ψ	$\phi \vee \psi$	ϕ	ψ	$\phi \rightarrow \psi$
1	0	1	1	1	1	1	1	1	1	1
0	1	1	0	0	1	0	1	1	0	0
		0	1	0	0	1	1	0	1	1
		0	0	0	0	0	0	0	0	1

ჭეშმარიტული ცხრილის აგების ეს მეთოდი შეიძლება განზოგადდეს მრავალნიშნა ლოგიკაზე (Łukasiewics, 1967; Rescher, 1969).

(truth-functional completeness) ჭეშმარიტულ-ფუნქციური სისრულე. ჭეშმარიტულ ფუნქციათა სიმრავლე X არის სრული ჭეშმარიტულ-ფუნქციური თვალსაზრისით მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ნებისმიერი ჭეშმარიტული ფუნქცია შეიძლება განისაზღვროს როგორც X -ში შემავალ ფუნქციათა კონზინაცია. ეს ამცირებს X -ის მოცულობას და საშუალებას იძლევა კავშირთა მხოლოდ მცირე რაოდენობა ჩაითვალოს ძირეულად, დანარჩენი კავშირები კი მათ საფუძველზე განისაზღვროს. კლასიკურ პროპოზიციულ ლოგიკაში კავშირთა ჭეშმარიტულ-ფუნქციური თვალსაზრისით სრული სიმრავლეების მაგალითები: $\{\neg, \wedge, \vee\}$, $\{\neg, \wedge\}$, $\{\neg, \vee\}$, და $\{\perp, \rightarrow\}$, სადაც \perp არის პროპოზიციული კონსტანტა (ნულადგილიანი ჭეშმარიტული ფუნქცია), რომლის მნიშვნელობა ყოველთვის 0-ია (მცდარი).

(assignment) მნიშვნელობათა მიწერა. ფუნქცია, რომელიც ცვლადებისგან იძლევა ობიექტებს დისკურსის მნიშვნელობათა არიდან. ეს ფუნქცია შემოიღო ტარსკიმ, რათა პირველი რიგის ლოგიკაში კვანტორებისთვის მიენიჭებინა ჭეშმარიტულ-პირობითი სემანტიკა.

(satisfaction) დაკმაყოფილება. მოდელის, ფორმულისა და 'მნიშვნელობათა მიწერის' (assignment) ურთიერთმიმართება. მიღებული აღნიშვნით, $M \models \phi$ მიმართება გამოხატავს იმ გარემობას, რომ ფორმულა ϕ ჭეშმარიტია მოდელ M -ში, სადაც ϕ მიიღება თუ ϕ -საგან თუ მასში არსებული თავისუფალი ცვლადების რეფერენციას g მიწერით დაეაფიქსირებთ. 'დაკმაყოფილების' მიმართება პირველი რიგის ლოგიკის ტარსკისეული სემანტიკის საკვანძო ცნებაა.

(truth function) ჭეშმარიტული ფუნქცია იხ. (truth-conditional semantics) ჭეშმარიტულ-პირობითი სემანტიკა.

(truth table) ჭეშმარიტული ცხრილი იხ. (truth-conditional semantics) ჭეშმარიტულ-პირობითი სემანტიკა.

(Turing machine) ტიურინგის მანქანა იხ. (automata theory) ავტომატების თეორია.

(undecidability) არაამოსხნადობა იხ. ლოგიკა, რეკურსიის თეორია.

(universal algebra) უნივერსალური ალგებრა იხ. ალგებრა.

(universals) უნივერსალიები. უნივერსალია ისეთი თვისებაა, რომელიც საერთოა ყველა ბუნებრივი ენისთვის. კერძოდ, არსებობს სინტაქსური უნივერსალიები, როგორცაა „ყველა ენაში არის ზმნები“, სემანტიკური უნივერსალიები, მაგალითად, „ყველა განმსაზღვრელი კონსერვატიულია“ (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თავი 15), ან პრაგმატული უნივერსალიები, რომელიც უკავშირდება გარკვეული ილოკუციური

აქტის გრაძატიკალიზაციას, შაგალითად, შეკითხვის დასძას. არსებობს სტატისტიკური უნივერსალიებიც, რომელიც ეხება ფუნქციური სიტყვების ("is", "of", "the") და შინაარსული სიტყვების ("walk", "universe", "blue", "softly") დისტრიბუციას. როგორც კლასი, შინაარსული სიტყვები ბევრად აღემატება ფუნქციურ სიტყვებს (რამდენიმე ასეული ათასი – რამდენიმე ასეულის საპირისპიროდ); როგორც ნიშნები, ფუნქციური სიტყვები გაცილებით ხშირად გეხვდება; ინგლისურში ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვაა "the" (Bolinger, 1975).

ლინგვისტური უნივერსალიების ძიება ხომსკის ლინგვისტიკის უძთაერეს ამოცანა იყო. მართვისა და მიბმის თეორიაში (Government and Binding Theory) (იხ. Handbook of Logic and Language, Johan van Benthem and Alice ter Meulen, eds., 1997, თაეი 5) ეს ელინდება 'კანონების და პარამეტრების' მეთოდოლოგიურ პრინციპში: თეორიამ უნდა უზრუნველყოს ისეთ უნივერსალურ კანონთა აღმოჩენა, რომლებიც შეიცავენ გარკვეულ პარამეტრებს, ხოლო არსებული ენებისა ან ენათა ოჯახების აღწერა ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ამ პარამეტრთა შევსებით.

(ლიტერატურა: Chomsky, 1965; Comrie, 1989; Greenberg, 1966).

წინამდებარე ლექსიკონი მომზადდა იოჰან ვან ბენტემისა (Johan van Benthem) და ალის ტერ მიულენის (Alice ter Meulen) რედაქტორობით გამოცემულ "Handbook of Logic and Language"-ში არსებული ეილემ გრონეველდის (Willem Groeneveld) შესაბამისი ლექსიკონის გადმოთარგმანებით.